ახალი პოლონეთი

სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე

2001

ელენე ამირეჯიბი: როგორ მოვხვდი პოლონეთში

იეჟი იასტრჟემბოვსკი: პოლონეთი სცენაზე ბრუნდება

ალექსანდრე კვაშნიევსკი: პოლონეთის ადგილი ახალ ევროპაში

გენერალი სტანისლავ კოჟეი: რაში გვჭირდება NATO

იეჟი ფედოროვიჩი: ხულიგნები დგამენ შექსპირს

რობერტ კარაბინი: ქართველი ოფიცრები პოლონურ ჯარში

XX საუკუნის გასამართლება

ვარშავა

ISSN 1508-5589

ახალი პოლონეთი

სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე

2001 წელი

ISSN 1508-5589

ყოველთვიური საზოგადოებრივ – პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი

ი. პომიანოვსკი
უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან, ვიდრე გვგონია 4

ს. ბრატკოვსკი
მთელი ამ ისტორიის მოკლე კურსი 8

ი. იასტრჟემბოვსკი
პოლონეთი სცენაზე ბრუნდება 18

ა. კვაშნიევსკი
პოლონეთის ადგილი ახალ ევროპაში 22

გენ. სტ. კოზეი
როგორ გავხსნათ ქოლგა 27

ვ. კულერსკი
მიმდინარე მოვლენების ქრონიკა 30

ი. პომიანოვსკი
პური მეიშაგოლიდან 50

ა. ლიპატოვი
ძნელი მეზობლობა 54

ტ. სობოლევსკი
ოხოისკასთან 59

მ. გუტოვსკა-ადამჩიკი
იურეკ ოშიაკი – „გულთა ორკესტრის" დირიჟორი 65

ვ. კულერსკი
იგი ტრამპლინიდან საშობაო სიმღერების ღიღინით ხტება 72

მ. იაგელო
გზა აღმოსავლეთისაკენ 77

ე. ამირეჯიბი
როგორ მოვხვდი პოლონეთში და ფრაგმენტი წიგნიდან „თავადის ქალის ტკბილი ცხოვრება" 80

ა. ეოჟნიაკი
ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში 85

რ. კარაბინი
პრომეთეიზმი 93

რ. კარაბინი
ქართველი ოფიცრები პოლონურ ჯარში 99

ი. ძუცოვა, პ. იუსტინსკაია
პოლონელი მხატვრები საქართველოში 106

ა. ფურიერი
პროფესორი კეინიხიძე – ქართველი პოზნანიდან 112

ს. ყურულიშვილი
ოჯახური მოგონებანი სერგო ყურულიშვილზე 115

პ. მიტზნერი
ვერცხლისფერი ნატალია 117

კ. ი. გალჩინსკი
სამი ლექსი მიძღვნილი ნატალიასადმი 119

ლ. ბალცეროვიჩი
Polnische Wirtschaft 121

ვ. ვილჩინსკი
უმეცართა თავხედობა 124

ე. ვონსაჩი
პრივატიზაცია პოლონურად 126

ი. ფედოროვიჩი
ხულიგნები დგამენ შექსპირს 130

მ. ვასილევსკი
თავისუფლების აჩრდილი 136

ლ. შარუგა
უკანასკნელი ათწლეულის ლიტერატურა 142

პ. მუხარსკისა და ვ. იანოვსკას საუბარი
სტ. ლემთან „ცოდნისა და უცოდინრობის შესახებ" 150

XX საუკუნის გასამართლება 157

სარედაქციო საბჭო

სტეფან ბრატკოვსკი
ჰენრიკ ვოზნიაკოვსკი
ნატალია გორბანევსკა
იეჟი კლოჩოვსკი
კაროლ მოძელევსკი
იანუშ თაზბირი
სტანისლავ ჩიოსეკი
იეჟი პომიანოვსკი (მთავარი რედაქტორი)

რედკოლეგია

ნატალია გორბანევსკა
ნიკიტა კუზნეცოვი
ვიქტორ კულერსკი
იანინა კუმანეცკა
პიოტრ მიტზნერი (მთ.რედ.მოადგილე)
ქრისტინა პაშეკი (სამდივნო)
გუეგოჟ პშებინდა
იეჟი რედლიხი (მთ.რედ.მოადგილე)
სტანისლავ ფილიპჩაკი (პასუხისმგებელი მდივანი)
ლეშეკ შარუგა
დიმიტრი შევიონკოვ-კისმელოვი (მთავარი მხატვარი)

რედაქციის მისამართი
Al.Niepodległości, 213
02 – 086 Warszawa
ტელეფონები: (48-22) 608 27 95; 608 25 65
ფაქსი: (48-22) 608 25 05; 608 27 96
e-mail: **nowpol@bn.org.pl**

სპეციალური ქართული ნომრის
პასუხისმგებელი რედაქტორი იეჟი რედლიხი
ტექნიკური რედაქცია და დაკაბადონება
ვიქტორ დომუხოვსკი, რუსუდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკა
მთარგმნელები: ნანული ბურდული-ტალიაშვილი, მერაბ გოდერძიშვილი, ხათუნა გოილაძე, ამბროსი გრიშიკაშვილი, რუსუდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკა, ზურაბ სეფიაშვილი, ბადრი ტალიაშვილი

გამომცემელი
BIBLIOTEKA NARODOWA
ეროვნული ბიბლიოთეკა
პოლონეთის რესპუბლიკისკულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროს დავალებით

სპეციალური ქართული ნომერი შექმნილია ფონდი
„Polish Know-How Foundation" ფინანსური დახმარებით
ul. Warecka 4/6, 00-040 Warszawa,
ტლფ/ფაქს: (48-22) 828-75-21, 828-75-22
e-mail: zarzad@knowhow.org.pl

ვარშავა
2 0 0 1 წლის სექტემბერი

იეჟი პომიანოვსკი

უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან, ვიდრე გვგონია



უკვე ორი წელია რაც ვარშავაში გამოვცემთ ყოველთვიურ ჟურნალს „ნოვაია პოლშა". ამ ხნის განმავლობაში რუსულ ენაზე გამოვიდა ოცზე მეტი ნომერი, ხოლო ახლახანს ვრცელი უკრაინული ნომერიც გამოვეცით. ჟურნალი არ ხვდება საგაზეთო ჯიხურებში, სამაგიეროდ ხვდება ათასობით ბიბლიოთეკებში, საჯარო სამკითხველოებსა და გამომცემლობებში, რამეთუ სურვილი აქვს მიაღწიოს მოაზროვნე, სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენების შესახებ ცოდნას მოწყურებულ ადამიანებამდე. ასეთნი რუსეთშიც არ არიან ცოტანი.

პოლონეთი არის მრავალი ახალი მოვლენის მხარე, და თანაც ისეთების, რომლებითაც განსაკუთრებით შეიძლება დაინტერესდნენ იმ ქვეყნების მცხოვრებნი, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ჩვენნაირ ბედში, მსგავსი კანონ - სამართლით იყვნენ შებოჭილები, რის გამოც ჩამორჩნენ განვითარებაში და ახლა სურთ ეს ჩამორჩენა გამოასწორონ. სწორედ ასეთი მკითხველისათვის შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი ჩვენი გამოცდილება, კარგიცა და ცუდიც, ჩვენი დისკუსიები და პრობლემები, ჩვენი მიღწევები და შეცდომები. რუსი და უკრაინელი მკითხველები უკვე დარწმუნდნენ, რომ ჩვენს საზრუნავზე ისეთივე გულახდილობით ვსაუბრობთ, როგორც დაბრკოლებათა გადალახვის წარმატებულ მცდელობებზე, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში.

ყოველივე ამან გაგვაბედვინა „ნოვაია პოლშა"- ს სპეციალური ნომრის ქართულ ენაზე გამოცემა. ამას ვაკეთებთ არა მხოლოდ პოლონეთის პრეზიდენტის ალექსანდრე კვაშნევსკის საქართველოში მომავალი ვიზიტის გამო. დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართულ ინტელიგენციას უფლება აქვს ჰქონდეს ბევრად უფრო მეტი და აქტუალური ინფორმაცია საკითხებისა

და მოსაზრებათა ჭეშმარიტ მდგომარეობაზე პოლონეთში, რამეთუ არსებობს ურთიერთით დაინტერესების ზოგიერთი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მიზეზი.

მოაზროვნე პოლონელების მიერ საქართველო არ აღიქმება მხოლოდ ეგზოტიკურ და ტურისტებისათვის საინტერესო ქვეყნად. აქ ნუ შევეხებით, ასეთი შემთხვევებისათვის ჩვეულებრივს – საუბარს ეროვნული ხასიათის მსგავსებასა და მის რაინდულ ბუნებაზე, ან კიდევ უძველესი და უძლიერესი ქრისტიანული ტრადიციის გავლენას ამ ხასიათის ჩამოყალიბებასა და გადარჩენაზე უმძიმეს პირობებში. უპირატესობა მივანიჭოთ სხვა ორ ანალოგიას, რომლებიც უშუალოდ, ობიექტურად გადამწყვეტნი არიან ორივე ჩვენი ერის მომავლისათვის.

ჯერ ერთი – საქართველოს და პოლონეთის ბედზე უდიდესი გავლენა იქონია მათმა მდებარეობამ ორ ძალას შორის, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ დომინირებას – მათთან შედარებით უფრო მცირე ერზე, რომელიც ცხოვრობდა მათ საზღვრებს შორის და დამოუკიდებლობა სწყუროდა. პოლონეთის შემთხვევაში საუბარია გერმანიასა და მეფის რუსეთის, ან საბჭოთა იმპერიაზე. საქართველოს შემთხვევაში კი – იმავე იმპერიაზე ჩრდილოეთით და მუსულმანურ სახელმწიფოზე სამხრეთით.

ისეთ ეპოქაში აღმოვჩნდით, როდესაც პირველად კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, მეცნიერების, ტექნოლოგიების, აგროტექნიკის, ინფორმატიკისა და სამუშაოს ორგანიზაციის სფეროში მიღწევებმა შექმნეს ისეთი სიტუაცია, როდესაც დაპყრობითი ომები და სხვისი თავისუფლების ფასად შეძენილი კოლონიები აღარაა მომგებიანი. ეს, რომ ყველას ესმოდეს, მაშინ ჩვენ, პოლონელებსაც და ქართველებსაც, შეგვეძლებოდა მთელი შესაძლებლობები თანამედროვე, ინტენსიური მეურნეობისაკენ მიგვემართა. ჩვენ რაღაც - რაღაცეებს ვაკეთებთ ამ სფეროში – და თანაც გარკვეული მიღწევებიცა გვაქვს. ამიტომ ამ ნომერში იპოვით ერთი ახალგაზრდა გენერლის ნარკვევს, თუ რატომ გახდა პოლონეთი NATO – ს წევრი. ჩვენთვის, სამოქალაქო პირებისათვის, ბოლოს და ბოლოს ცხადია, რომ არა იმისათვის, რომ რუსეთთან კონფლიქტი გააღრმაოს, არამედ იმისათვის რათა ბოლოს და ბოლოს შევუთანხმდეთ მას, როგორც ტოლი ტოლს. სწორედ დამოუკიდებლობის სიტუაციამ მოგვცა ჩვენი ეკონომიკის მნიშვნელოვანი განვითარების შესაძლებლობა – თავსმოხვეული მოდელის, ვალდებულების, მონოკულტურებისა და ზემოდან განსაზღვრული მიწოდებების გარეშე. მეტი ინფორმაცია ეძებეთ წერილებში ჩვენი პრივატიზაციის მეთოდებზე, თავისუფალი ბაზრის ხელსაყრელობასა და ცრურწმენათა მავნებლობაზე, რომელებიც ჩვენშიც არსებობენ ამ თემაზე.

მეორე – საქართველოც და პოლონეთიც სხვა ქვეყნებისათვის უკიდურესად საჭირო საქონლის უმარტივესი ტრანზიტის ქვეყნები არიან. ასე რომ გავხდით შეუცვლელი, მნიშვნელოვანი პარტნიორები როგორც მიმწოდებლისთვის ასევე მომხმარებლისთვისაც. ეს არა მარტო ჩვენ – ქართველებსა და პოლონელებს გვპირდება მოგებას. საქმე იმაშია, რომ ამ როლის შესრულებას ჩვენი ქვეყნები მხოლოდ მშვიდობის შემთხვევაში შესძლებენ, რაც საქართველოსა და პოლონეთს თავიანთ რეგიონებში პოლიტიკური სტაბილიზაციის გარანტად აქცევს.

პოლონეთის უმთავრესი საუნჯე კი, მაინც არის არა ეკონომიკის უსულო ობიექტები, არამედ ადამიანები. ეს არ არის გაცვეთილი სიტყვები: პოლონეთში, კომუნისტური მუშტრის მიუხედავად, მაინც გადარჩა ინიციატივის, სპონტანური მეწარმეობის, თავისშველის უნარი. ეს არის იურეკ ოვშიაკისა და მისი „სადღესასწაულო დახმარების დიდი ორკესტრი"-ს გასაოცარი წარმატების მიზეზი. ეს არის თეატრში სათამაშოდ ხულიგნების ჩაბმის მიზეზი. ეს არის მიზეზი ისეთი ფიგურისა, როგორიც არის იანინა ოხოისკა, არაჩვეულებრივი გოგონა, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს ბალკანეთის, ჩეჩნეთის, საკუთარი ქვეყნის კატაკლიზმებისა და ომების მსხვერპლთათვის დახმარებას.

თავისთავად ცხადია, რომ ჟურნალის ამ ნომერში ცენტრალური ადგილი დაეთმობა მასალებს საქართველოსა და პოლონეთს შორის უშუალო და კონკრეტული კავშირების შესახებ. მათი უმრავლესობა კომუნიზმის პერიოდში სრულ ტაბუს წარმოადგენდნენ – ასეთი იყო მაგალითად ომთა შორის პერიოდში დიდი რაოდენობით ქართველი კადრის ოფიცრების სამსახური პოლონეთის ჯარში. სხვა სახის მოგონებები კი უბრალოდ იმ ქართველების პირად სულიერ საუნჯეს წარმოადგენენ, რომლებმაც პოლონეთში იპოვეს მეორე და თანაც მადლიერი სამშობლო. უნდა არსებობდეს რაღაც მაგნიტი პოლონურ ჩვევებსა და კულტურაში, თუ ცოტანი არ იყვნენ ისეთი პიროვნებები, როგორიცაა ელენე ამირეჯიბი, ვისი სახელიც იცის ყოველმა პოლონელმა კინომატოგრაფისტმა და მაყურებელმა.

ყველაზე მეტად ღირებული პოლონური პროდუქცია შეიძლება იყოს მოსაზრებები, იდეები, კონცეფციები. საგნის არსიდან გამომდინარე ეს არის ინტელიგენციის საქმიანობის სფერო. თანამედროვე სახელმწიფოში საზოგადოების ამ ფენამ წამყვანი როლი უნდა ითამაშოს. დიდი ხნის განმავლობაში მას არავითარი უფლებები არ ჰქონდა. ქართველებმა ჩვენზე ნაკლებად არ იციან ამის შესახებ . . . ამდენად მკითხველს დააინტერესებს ახლახანს გარდაცვლილი ბრწყინვალე მწერლის, ანჯეი შჩიპიორსკის, მწვავე წერილი.

გვინდა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ თანამედროვე პოლონელებისათვის სრულიად გამორჩეული მნიშვნელობა აქვთ იეჟი გედროიჩის კონცეფციებს. იგი საფრანგეთში, 55 წელი რედაქტორობდა პოლონეთის პრესის ისტორიაში საუკეთესო ჟურნალ „კულტურა"-ს და დროულად გვასწავლა, თუ როგორ არ უნდა დავეჯვებულვიყავით დამოუკიდებლობაში და როგორ უნდა უზრუნველგვეყო მისთვის განსაზღვრული მომავალი. თქვენს ხელთ არსებული ჟურნალი მისი მეოხებით იშვა. "ნოვაია პოლშა"-ს ამ ნომერს განასრულებს კრაკოვში საჯაროდ ჩატარებული „ XX საუკუნის გასამართლება"-ს სრული სტენოგრამა, რომელმაც უნდა წარმოგიდგინოთ თუ როგორ გამოიყურებიან ზოგჯერ პოლონური მოსაზრებები.

ამ სტრიქონებს წერს ადამიანი, რომელმაც საქართველოზე მხოლოდ ის იცის რაც წაუკითხავს – მაგრამ სამაგიეროდ რა წაუკითხავს და თანაც ვისი ნაღვაწი! ჩემმა მეგობარმა პოეტმა იეჟი ზაგურსკიმ ულამაზესად თარგმნა პოლონურად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ბორისპასტერნაკი მიკითხავდა რუსულად ვაჟა-ფშაველასა და შერისხული პოეტების –პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის მისეულ შესანიშნავ თარგმანებს . . . მე თვითონ კი ისააკ ბაბელის „ ჩემი პირველი ჰონორარი "-ს პოლონურად თარგმნის დროს (თარგმანი უფრო ადრე დაიბეჭდა ვიდრე რუსებს მისი წაკითხვის უფლებას მისცემდნენ), გავეცანი თბილისის მწველ მომხიბლაობას. და მას შემდეგ მენატრება ეს ქალაქი.

თარგმნა რუსულდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

სტეფან ბრატკოვსკი

მთელი ამ ისტორიის მოკლე კურსი



სტეფან ბრატკოვსკი (1934), გამოჩენილი პუბლიცისტი, პოლონეთის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე. წარსულში– ერთ-ერთი დამაარსებელი ცნობილი ეკონომისტებისა და პოლიტოლოგების იატაკქვეშა სადისკუსიო ჯგუფის "გამოცდილება და მომავალი" (D I P) , რომელიც ამუშავებდა კომუნისტური რეჟიმის მოსალოდნელი დაშლის შემდგომი პოლონეთის პოლიტიკური მოწყობის გეგმებს. იყო მრავალი წიგნის ავტორი, მათში: " პოლონეთის უმოკლესი ისტორია", " ბატონი დიდებული ნოვგოროდი" და სხვ.

პოლონეთის უკანასკნელი ათწლეულის ისტორიის (ხოლო თანამედროვე თაობისთვის ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა – შორეული XIX საუკუნეა) და მასში მომხდარი ცვლილებების მოკლედ აღწერა, ერთი ორი ზუსტი ფრაზით ან მოხდენილი ფორმულირებით, შეუძლებელია. ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო. და არა ერთი, თუნდაც მასიური, გამოსვლით. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელსაც არც დაძაბულობა არ აკლდა და არც . . . უაზრობის ელემენტები, და რომლებზეც მუდამ იმარჯვებდა პოლონელების საღი აზრი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, თავიდანვე არც სტალინურ რეჟიმს არ უჩვენებია პოლონეთისთვის თავისი მგლის ხახა. პოლონეთის სტალინიზმისადმი დაქვემდებარება უფრო მოგვაგონებდა მის თანდათანობით ჩათრევას რკინის კბილანებში იმავდროული იდეოლოგიური ფანტასმაგორიის ტკივილგაყუჩებით.
ხალხს, რომელსაც რეჟიმი მტრად თვლიდა- ციხეები , წამება, შემდეგ კი უხეშად შეთითხნილი პროცესები და ბოლოს სიკვდილი ელოდა. პოლონეთის

უბრალო მოქალაქე არა მარტო შიშს ეჩვეოდა. იგი კვლავ ეჩვეოდა მისთვის ჰიტლერული ოკუპაციის დროიდან ნაცნობ მაღაზიის რიგებს: კომუნისტური ეკონომიკის მინისტრის მიერ გამოცხადებულმა "ვაჭრობისათვის ბრძოლამ" ძირი გამოუთხარა პოლონეთის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობას. "შავმა ბაზარმა" ვერ შეავსო ოფიციალური ეკონომიკის ნაკლოვანებები, რადგან "დამნაშავეებს" აგზავნიდნენ იძულებითი სამუშაოების ბანაკებში და ციხეებში ამწყვდევდნენ. მან გაუძლო პასიურ წინააღმდეგობათა სისტემისა და რიგი ილეთების წყალობით, რომელთა მეშვეობითაც ხელმყოფებისაგან იცავდა თავს.

სტალინიზმმა პოლონეთიში შედარებით ნაკლები ხალხი იმსხვერპლა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო პოლონეთის უმღლეს სასწავლებლებში ძველ პროფესორებს მაინც შეეძლოთ მოღვაწეობა. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ახალმა წყობამ დაუშვა რაიმე ალტერნატივის არსებობა. არაფრის, მათ შორის არაფრის სასარგებლოს გაკეთება არ შეიძლებოდა, ყველაფერი პარტიისა და მისი საიდუმლო პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. დამოუკიდებელი აზრი პარალიზებული იყო, ხოლო ქსენძების მიმართ ჩატარებულ საჩვენებელ პროცესებს მიზნად ჰქონდათ კათოლიკური ეკლესიის დაჩოქება.

სამაგიეროდ პოლონური სოფელი არ ნებდებოდა კოლექტივიზაციას. მასზე ხდებოდა საშინელი და უაზრო ზეწოლა. მოგვიანებით მე მომიწია ისეთ სოფლებში ყოფნამ, სადაც გლეხების უმეტესობამ, მოხუცების ჩათვლით სხვადასხვა მიზეზების გამო, გამოიარა იძულებითი შრომის ბანაკები და ციხეები. მაგრამ არც პოლონელი გლეხის ტანჯვა და არც სტალინის სიკვდილით გამოწვეული "დათბობა", არ ყოფილა მიზეზი 1956 წლის პოლონელი ახალგაზრდობის ბუნტისა, რამაც პირველი ძირეული გარდატეხა მოიტანა.

ეს თვითონ რეჟიმმა გაზარდა თავისი მტრები. ის ქადაგებდა: თავისუფლებას, სამართლიანობას, დემოკრატიას, თანასწორუფლებიანობასა და პოლონეთის თავისუფლებას, ხოლო ფაქტები ამ სიტყვებს ეწინააღმდეგებოდნენ. პროტესტი სტუდენტური კაბარეების სატირული პროგრამებით დაიწყო. 1955 წლის შემოდგომაზე მოსაწყენი სტუდენტური ჟურნალი "პოპროსტუ", რომელიც ინსტიტუტის დერეფნებში დასტებად ეწყო სიმართლის, და ამდენად ბუნტის, გაზეთად გადაიქცა.

ახალგაზრდობამ არ იცოდა რა იყო კაპიტალიზმი. მათ სურდათ ნამდვილი რევოლუცია და ჭეშმარიტი, შეუბილწავი სოციალიზმი. ისინი თვლიდნენ, რომ მათი მტერი- პრივილეგიებით აღჭურვილი "წითელი ბურჟუაზია" იყო. თავიდან, 1956 წლის მაისში, კრაკოვის სტუდენტები, "პოპროსტუს" მკითხველები, სტუდენტური დღესასწაულის, იუვენალიის დროს, მრავალათასიან ჯგუფებად გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, სიცილითა და ხუმრობით, და ამისთვის ისინი არ დასჯილან. ერთი თვის თავზე, ივნისში, პოზნანის ქუჩებში გამოვიდნენ ჟურნალ "პოპროსტუს" სხვა მკითხველები – ცეგელსკის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა მუშები, რომლებთანაც "მუშათა ხელისუფლებამ" საუბარიც კი არ ისურვა. ანგარიშსწორება სისხლიანი იყო. ათეულობით ადამიანი დაიჭრა და დაიღუპა.

შემოდგომით სტუდენტური რევოლუციური კომიტეტებისა და მუშების გაერთიანებულმა მოძრაობამ მხარი დაუჭირა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის (PZPR), იმ ჯგუფს, რომელიც ქვეყნის დემოკრატიზაციას ემხრობოდა. მასიურმა გამოსვლებმა მთელი პოლონეთი შეძრა. PZPR -ის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა ძალაუფლება გომულკას გადასცა, და მაშინ მას

უკლებლივ მთელმა ხალხმა მხარი დაუჭირა, მათ შორის კათოლიკურიმა ეკლესიამაც. და ეს გაკეთდა კრემლის თანხმობის გარეშე, მაშინ, როცა პოლონეთში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები ვარშავისაკენ დაიძრნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ხელები ექავებოდა, პოლონელებმა იარაღს ხელი არ მოკიდეს. შიშის გამო კი არა, უბრალოდ საღმა გონებამ ასე ურჩია.

პოლონეთის ოქტომბერმა, ასე დაერქვა ამ ისტორიულ ცვლილებებს, რეჟიმის პოლიტიკური პატიმრები გაანთავისუფლა, და მასთან ერთად ქვეყანაც გაანთავისუფლა კოლექტივიზაციის კოშმარისაგან. სოციალიზის ახალი, "პოლონური მოდელი", დასაშვებად მიიჩნევდა მცირე მეწარმეობას ვაჭრობაში, ხელოსნობასა და მომსახურეობის სფეროში. სეიმში შევიდნენ დეპუტატები კათოლიკური ეკლესიის წრეებიდან. მათ დაუბრუნეს ბეჭდვითი ორგანოები. ეს ყოველივე რა თქმა უნდა, ცენზურის ქვეშ იმყოფებოდა და შეზღუდული ტირაჟით გამოდიოდა, მიუხედავად ამისა მათ საკუთარი გაზეთები გააჩნდათ. სამხრეთ პოლონეთში, პოვიატ ნოვისონჩში "პოპროსტუს" ინიციატივით, ექსპერიმენტის სახით ფუნქციონირება დაიწყო ტეტიტორიულმა თვითმართველობამ, რომელმაც რამოდენიმე წელიწადი იარსება, რამაც ადგილიბრივი დემოკრატიის ეფექტურობა დაამტკიცა.

ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, მმართველი პარტიის აპარატებმა ძალები აღიდგინა. ახალგაზრდა "რევოლუციონერებმა" იცოდნენ მხოლოდ ის, თუ რა არ სურდათ და ისიც რაც საზოგადოებას არ სურდა. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ აითვისეს პოლონელებმა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ანბანი.

პოლონეთში სტალინური ტერორის მსგავსი სცენარი უკვე აღარასოდეს აღარ გამეორებულა. პოლონეთი სოციალისტურ ბანაკში თავისი განსაკუთრებული უფლებების მქონე ქვეყნად გადაიქცა. და რაც მთავარია, პოლონეთის ოქტომბერმა ხალხს აჩვენა, რომ ცვლილებები შესაძლებელია, მხოლოდ ამისათვის საზოგადოების საკმარისად დიდი ძალების მობილიზაციაა საჭირო.

■

რა თქმა უნდა, არც შემდეგ არ ჰქონდა არავითარი ადგილი არანაირ კოსტრუქციულ და მმართველი პარტიის აპარატის ან უსაფრთხოების სამსახურის მიერ არაკონტროლირებად საქმიანობას. ყველაფერზე ხელისუფლების თანხმობა იყო საჭირო, იმ შემთხვევების გამონაკლისით, რომელზედაც თავად მთავრობა თვალს ხუჭავდა. ეკონომიკაში სრული უძრაობა სუფევდა. სამოცდათიან წლებში დასავლურმა კრედიტებმა ქაოსი გამოიწვია. შემდგომმა საზოგადოებრივმა შეშფოთებებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო: 1968 წლის მარტში სტუდენტების გამოსვლები, 1970 წლის დეკემბერში გაფიცულ მუშათა მიმართ სისხლიანი გასწორება და 1976 წლის მუშების პროტესტი მილიციელების ხელკეტებითა და სასჯელის ციხეში მოხდით დამთავრდა. ეს აღშფოთებები კიდევ ერთხელ უდასტურებდა პოლონელებს, რომ ცვლილებების გზა, კაპიტულაციასა და ტყვიამფრქვევებს შორის გამავალ ვიწრო ბილიკს წარმოადგენს. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა. ეს ყოველივე მთელი პოლონელი ხალხისთვის საკმაოდ ბევრის მასწავლებელ გაკვეთილად გამოდგა.

იმ დროს პოლონელებისთვის დაცვით რეაქციას ხუმრობა და შესანიშნავი სიმღერები წარმოადგენდნენ. ბევრნი ამბობდნენ, რომ პოლონეთში გამეფდა ტო-

ტალიტარიზმი, რომელიც სიმღერებითა და პოლიტიკური ანეგტოტებითაა შერბილებული. ხოლო ანეგტოტებს რეჟიმმა მართლაც ვერაფერი ვერ მოუხერხა.

1976 წლის მოვლენების შემდეგ, ინტელიგენტების ჯგუფმა გადალახა რა შიში, *მუშათა გადარჩენის კომიტეტი* (komitet obrony robotników შემოკლებით – KOR) ჩამოაყალიბა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, იაცეკ კურონი, მიმართვით გამოვიდა: " პარტიული კომიტეტების დაწვის მაგივრად, ჩამოაყალიბეთ საკუთარი". რამოდენიმე ხანში გამოჩნდა პრესა, რომელიც ცენზურის ქვეშ არ იმყოფებოდა, დაიწყეს მოქმედება იატაკქვეშა ტიპოგრაფიებმა და არალეგლური ლიტერატურის გამავრცელებელმა ქსელებმა. ამდენად, კათოლიკური ეკლესიის გვერდით, კიდევ ერთი რეჟიმისგან დამოუკიდებელ ორგანიზაციათა სისტემა ჩამოყალიბდა, რომლებიც რეჟიმს იგნორირებას უკეთებდნენ და აკრიტიკებდნენ კიდევაც მას. გახსნილობა და საჯაროობა ამ ორგანიზაციების ძალას წარმოადგენდა. KOR-ის ხალხს სცემდნენ, დევნიდნენ, ციხეებში ამწყვდნენ. მაგრამ რეჟიმი სულ უფრო და უფრო უძლური ხდებოდა.

1978 წელს ინტელექტუალურმა წრეებმა, რომლებიც KOR-თან ახლოს იმყოფებოდნენ, დააარსეს ჯგუფები "წარსულის გამოცდილება და მომავალი" (პოლუნურად Doświadczenie i Przyszłość შემოკლებით DIP). ისევე როგორც KOR-ის, მათი დაშლა ან დევნა ფორმალურად შეუძლებელი იყო: DIP-ს ხელმძღვანელობა არ ჰყავდა, არ გააჩნდა არც წესდება და არც წევრთა სია. მისი "საზოგადოების სამსახურში მყოფი კოლექტივი" ადგენდა ანკეტებს, და პოლონური ინტელექტუალური ელიტის წამყვანი წარმომადგენლების პასუხებზე დაყრდნობით ამზადებდნენ ანგარიშებს სახელმწიფოს მდგომარეობისა და მზარდი კრიზისიდან გამოსვლის საშუალებების შესახებ. ეს ყოველივე იმართებოდა დევიზით: "ჩვენ, პოლონეთზე პასუხისმგებლობისგან, არავის არ გავუნთავისუფლებივართ."

ამავე დროს ახალგაზრდა ვარშაველმა ეკონომისტმა ლეშეკ ბალცეროვიჩმა, თანამოაზრეების ჯგუფთან ერთად, დაიწყო მუშაობა ძნელ, თავისი მნიშვნელობით ნოვატორულ პრობლემაზე – ტრანსფორმაციის პრობლემები, ანუ "სოციალიზმიდან" თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. და თუმცა იმ დროს ზოგიერთებს ეს ყოველივე, შესაძლოა ცარიელ თეორიად ეჩვენებოდა, ათიოდე წლის შემდეგ იგი ფრიად გამოსადეგი აღმოჩნდა.

პოლონური საზოგადოების ფართე ფენები ანგარიშს არ უწევდნენ იმ ფაქტს, რომ მთავრობა გარედან ზეწოლის ქვეშაც იმყოფებოდა. აშშ-ს პრეზიდენტმა, პოლონეთში ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვის კამპანია გააჩაღა. დამიანის უფლებების დაცვის, ამ ერთი შეხედვით გულუბრყვილო ამერიკულმა მოთხოვნმ, ძალიან დიდი როლი ითამაშა, რადგანაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება მზარდი საგარეო ვალების მარწუხებში აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა ვერც KOR-მა, ვერც პრეზიდენტმა კარტერმა და ვერც ანჯეი ვაიდას ფილმა " მარმარილოს ადამიანი", რომელსაც მთელს ქვეყანაში აჩვენებდნენ, ისტორიის ბორბალი უკან ვერ დააბრუნეს. გარდატეხა 1978 წელს მოხდა, როდესაც რომის პაპად პოლონელი აირჩიეს – კრაკოვის ეპისკოპოსი, კაროლ ვოიტილა.

1979 წელს მილიონობით პოლონელი გამოვიდა ქუჩებში რათა დახვედროდა "თავის" პაპს, რომელიც სამშობლოში პირველი ვიზიტით ჩამოვიდა. სწორედ მაშინ დაინახეს მათ, თუ რა დიდია გარე ძალების მხრიდან თავს მოხვეული რეჟიმის მოწინააღმდეგეთა რიცხვი. რომ არა პოლონეთის ქალაქების ქუჩებში მილიონობით ადამიანის გამოსვლა, არ იქნებოდა 1980 წელი.

1980 წელს ფასების მომევნო მომატებამ, ქვეყანაში გაფიცვათა მთელი რიგი გამოიწვია. კომუნისტური რეჟიმის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელისუფლებასა და მუშათა კლასს შორის შემდგარი პირველი მოლაპარაკების შემდეგ, გაფიცვები გადაიზარდა თავისუფალი პროფკავშირების უზარმაზარ მასობრივ მოძრაობაში, რომელსაც "სოლიდარნოშჩ"-ი ერქვა. ეს რევოლუცია, რომელსაც სათავეში გდანსკის გემთმშენებელი ქარხნის ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა ედგა, პოლიტოლოგებისგან განსხვავებით თვითშეზღუდვას არ აპირებდა. მან ორიენტაცია თავიდანვე მშვიდობიან ცვლილებებსა და რეფორმებზე გააკეთა. სხვა გამოსავალი არ იყო. ავანტურებს აყოლილი "სოლიდარნოშჩ"-ი ვერ გადაიქცეოდა ასეთ ლეგენდად.

ერთი თვის შემდეგ "სოლიდაროშჩ"-ი თავის რიგებში დაახლოვებით ათ მილიონ ადამიანს ითვლიდა. სინამდვილეში მან ქვეყნის მთელი მოსახლეობა გააერთიანა, ხელისუფლების აპარატის წარმომადგენლებისა და მათთან დაკავშირებული ხალხის გარდა. PZPR-ში მყოფი სამ მილიონიანი ჯგუფიდან ორი მილიონი მათ რიგებს შეუერთდა, ასევე გაუერთიანდნენ PZPR-თან ერთად მართველნი და მათ ქვემდებარებაში მყოფი ორი სხვა – გლეხთა ერთიანი და დემოკრატიული პარტიების წევრებიც.

ორგანიზებულობის მხრივ "სოლიდარნოშჩ"-ი ძალიან სუსტი აღმოჩნდა. რომელიც საერთოდ საზოგადოებრივ მოძრაობას უფრო წააგავდა, ვიდრე ორგანიზციას. იგი ძველი, ამგვარი ორგანიზაციებების ტრადიციებითა და გამოცდილებებით არ შეიარაღებულა. გათიშულ საზოგადოებაში, სადაც ორგანიზაციული აქტიურობის ნებისმიერი გამოვლინება სასტიკად ითრგუნებოდა, ისინი აღარავის ახსოვდა. თავიდან "სოლიდარნოშჩ"-ი იყო პროტესტებსა და თავისუფლებაზე ოცნების გამომხატველი. მაგრამ საზოგადოება ძალიან სწრაფად ერთიანდებოდა და ასევე სწრაფად აყალიბებდა დემოკრატიულ სტრუქტურებს, ამტკიცებდა დისციპლინას და სწავლობდა პასუხისმგებლობას, მაგრამ რა თქმა უნდა, სასაცილო იქნება თუ ვიტყვით , რომ "სოლიდარნოშჩ"-ს შეეძლო დამუქრებოდა კბილებამდე შეიარაღებულ სახელმწიფო აპარატს, როგორც ამას ავრცელებდა ოფიციალური პროპაგანდა.

პოლონეთის ისტორიისთვის თავისებურ ბედის წყალობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამხედრო მდგომარეობის შემოღება და ამით "სოლიდარნოშჩ"-ის განადგურება მოუხდა გენერალ იარუზელსკის და არა იმ ცინიკოს პოლონელ ლაქიებს, რომელნიც მზად იყვნენ კრემლის ბებრების ყოველგვარი სურვილი შესასრულებინათ ("სოლიდარნოშჩ"-თან ანგარიშის გასწორების საბჭოური რეცეპტი მე, 1980 წლის დეკემბერში, გამაცნო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მარშალ კულიკოვის შტაბის პოლკოვნიკმა: "სამი ათასი დაიხვრიტოს, ხოლო დანარჩენებს პატეფონები დაუ-

რიგდეს"). პარადოქსულია, რომ 1981 წლის 13 დეკემბრის შემდეგ, როცა სამხედრო მდგომარეობა იქნა შემოღებული და სახელმწიფოში უამრავი დაპატიმრება ჩატარდა იმ სიების მიხედვით, რომელიც ხელისუფლების მიერ უკვე მაისში იყო შედგენილი, და სადაც "სოლიდარნოშჩ"-ის ბარიკადული ხელმძღვანელობის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი შედიოდა, იატაკქვეშ გადანაცვლებული პროფგაერთიანების სათავეში მოვიდა ხალხი, რომელიც უფრო ნაკლებ რადიკალურნი იყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერნი ორგანიზაციულ საკითხებში.

"სოლიდარნოშჩ"-ი არ წარმოდგენდა ისეთ იატაკქვეშა სახელმწიფოს, როგორიც იყო პოლონეთი II მსოფლიო ომის დროს. მას არ ჰქონდა აწყობილი სტრუქტურა, დისციპლინა და წარმოდგენა მომავლისათვის მუშაობზე. თუმცა ოთხმოციანი წლების დასაწყისის რეპრესიებიც შორს იყო გიტლერული და სტალინური ტერორისაგან. "სოლიდარნოშჩ"-ი მხოლოდ წინააღმდეგობის მოძრაობას წარმოადგენდა, თუმცა კონსპირაციულობის მხრივ საკმაოდ ზუსტად ფუნქციონირებდა რამოდენიმე პარალელურად მომქმედი საკონტაქტო ბადით, ცენზურას დაუქვემდებარებელი პრესით (იატაკქვეშა კვირეულის "ტიგოდნიკ მაზოვშე"-ს ტირაჟი აღწევდა 80 ათას ეგზემპლიარს, რომლებიც 24 არალეგალურ ტიპოგრაფიაში იბეჭდებოდა, და ეს მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების სამსახური განსაკუთრებული გულმოდგინებით სდევნიდა აკრძალული ლიტერატურის მბეჭდავებსა და გამავრცელებლებს).

სულიერმა და კულტურულმა ცხოვრებამ მეტწილად საყდრებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გადაინაცვლა. პოლონური კათოლიკური ეკლესიის სიმბოლურ ფიგურად უმოკლეს ხანში ახალგაზრა კსენძი (კათოლიკური ეკლესიის მღვდელი) იეჟი პოპელუშკო გახდა, რომელიც ვარშავის ერთ-ერთ რაიონში, ჟილიბოჟის ტაძარში მსახურობდა. იგი იყო იქვე მდებარე მეტალურგიული კომბინატ "ვარშავა"-ს მუშების სულიერი მამა. მოგვიანებით ის უშიშროების სამსახურის ჯალათებმა მხეცურად მოკლეს. სწორედ იეჟი პოპელუშკოსა და მისნაირებს უმადლის პოლონეთი ასეთ სასწაულ მშვიდობიან რევოლუციას. არა და პოლონეთში ხომ ბევრი ნიჭიერი ქიმიკოსი ცხოვრობდა, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ ნებისმიერი რაოდენობის ფეთქებადი ნივთიერების დამზადება, იყვნენ ელექტრონიკოსები, რომელთაც შეეძლოთ ნებისმიერი კონსტრუქციის დისტანციური მართვის მექანიზმის მოგონება. მაგრამ პოლონეთის ახალგაზრდობამ დაუჯერა თავის მოძღვარებს და არ გააჩაღა პარტიზანული ომი, რომელსაც პოლონური ქალაქების ჯოჯოხეთად გადაქცევა შეეძლო.

დროთა განმავლობაში პოლონური წინააღმდეგობის მოძრაობმ, თავის რიგებიდან ელიტა გამოყო, უფრო მეტიც, მან შექმნა თავისი წარმომადგენლობა ე.წ. მოქალაქეთა კომიტეტი, რომელიც პროფგაერთიანება "სოლიდარნოშჩ"-ის თავჯდომარესთან, ლეხ ვალენსასთან არსებობდა. მაგრამ ეს წყობაც არამდგრადი და მოუწესრიგებელი აღმოჩნდა და ფაქტიურად, წარმომადგენლობის გარდა, იგი არავითარ კონკრეტულ მიზანს არ ისახავდა. ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ რეჟიმი ცოტა ხანში დაიმსხვრეოდა. 1988 წელს წარმოშობილი იდეა, "საზოგადოებრივი კომიტეტის" წევრებისგან დაარსებულიყო "ჩრდილოვანი კაბინეტი", სასაცილოდ აიგდეს და საშიშ ილუზიად ჩათვალეს. მომავლის პრობლემებზე მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმარ-

თველობის სპეციალისტთა კოლექტივები მუშაობდნენ, კოლექტივები, რომლებიც საკუთარი ინიციატივით შეიქმნენ. მათ გარდა მხოლოდ ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფი არსებობდა. რას იზამ, წინააღმდეგობა მოითხოვდა ვაჟკაცობასა და გადამწყვეტ მოქმედებებს და არა ქვეყნისა, ქალაქისა, თუ რაიონის განვითარების პროგრამას.

ძველისაგან ჩამოშორება დააჩქარა ჰიპერიმფლაციამ, რომელიც გამოწვეული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების მცდარობით, რაც სისტემის საბოლოო მორალურ კატასტროფას ნიშნავდა. აქამდე ხომ ზლოტის კურსის სტაბილურობა იმ გამოცდილი სპეციალისტების კონტროლის წყალობით ხდებოდა, რომლებმაც ცოდნა ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე მიიღეს.

მაგრამ პარტიული აპარატი არ აპირებდა ხელისუფლების დათმობას. "მრგვალი მაგიდის" მოლაპარაკებებს (თებერვალ-აპრილი 1989 წლის), რომლებიც პოლონეთის ისტორიაში გარდამტეხ მომენტად გადაიქცა, ქვეყნის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის ნაწილი, როგორც ეს პარტიას სურდა, ოპოზიციის მხრებზე უნდა გადაენაწილებინა, მაგრამ მხოლოდ ქვეყნის მართვისთვის საჭირო ძალაუფლების "სოლიდარნოშჩ"-ის წარმომადგენლებისთვის მიუცემლად. ასევე იქნა ჩაფიქრებული საპარლამენტო არჩევნები: თავისუფალი არჩევნები, ოპოზიციასთან ჩატარებული მოლაპარაკებიდან გამომდინარე, უნდა შეხებოდა მხოლოდ ქვედა პალატაში, სეიმში, ადგილების 1/3 და პარლამენტის ზედა პალატის, სენატის, შექმნილს როგორც დეკორაცია, ყველა ადგილს. ადგილების უმრავლესობა კი ხელისუფლებამ თავისთვის დაიტოვა. ამის გარდა, გამოჩენილი პარტიული მანიპულატორი, რომელიც იმ პერიოდში პოლონეთის ტელევიზიას ხელმძღვანელობდა, მოხერხებული პროპაგანდის გზით აპირებდა ხელისუფლების დიდი რაოდენობით მანდატებით უზრუნველყოფას, თავისუფალი არჩევნების ხარჯზე.

1989 წლის 4 ივლისის არჩევნებში "საზოგადოებრივმა მხარემ" ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რითაც "პარტიული მხარე" შოკში ჩააგდო. ამასთან ხელისუფლებას წარმოდგენაც არ ჰქონდა, იმაზე რომ მის საკუთარ სიებში "საზოგადოებრივმა მხარემ" დაახლოვებით ასი მომხრე ჩაწერა, რათა 18 ივნისს ჩატარებულ დამატებით არჩევნებზე უზრუნველყოთ მათი გამარჯვება პარტიული აპარატის კანდიდატებზე. სწორედ ასე, დემოკრატიული პარტიის სიით გავიდა პოლონეთის მომავალი პრემიერ მინისტრი- ჰანა სუხოცკა, ხოლო PZPR-ის სიებით, "სოლიდარნოშჩ"-ის ხელისუფლებაში მშენებლობის მომავალი მინისტრი. ხელისუფლებას კი არ აუღია "მრგვალ მაგიდასთან" შეთანხმებული სეიმის მანდატთა რაოდენობის გარანტირებული 65%, ეს ოპოზიციამ მოიპოვა პარლამენტის სეიმის მანდატების 60%, ხოლო სენატისა- 99%. ყოველივე ამის გარეშე ქვეყანაში რადიკალური რეფორმების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.

შემდგომი რამოდენიმე თვის განმავლობაში საქმე მივიდა მორიგ რევოლუციამდე: სეიმმა, პირველად 50 წლის განმავლობაში, დემოკრატიული მთავრობა დაამტკიცა. ეს იყო დამოუკიდებელი პოლონეთის მთავრობა.

ქვეყანას არ ეწერა მთელი იმ ეიფორიის განცდა, რომელშიც 1989 წლის შემოდგომაზე უნგრეთის, ჩეხეთისა და გ დ რ-ის ხალხები იმყოფებოდნენ. დამოუკიდებლობამ პოლონეთში, არა მარტო ხალხის არამედ პარტიული ხელისეფლების გაოგნება გამოიწვია. ფაქტიურად არავინ არ იყო მზად ძალაუფლების ხელში ასაღებად, პირველი დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრი, თადეუშ მაზოვეცკიც კი. მაზოვეცკი – კათოლიკი ინტელექტუალი, ვარშავაში არსებული კათოლიკური ინტელიგენციის კლუბის მოღვაწე, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ვალენსას ორი მთავარი მრჩეველიდან ბრონისლავ გერემეკთან ერთად. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალმა ხელისუფლებამ განაცვიფრა დასავლეთი სამყარო თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით.

მაზოვეცკის მთავრობა, თავისი თითქმის ერთწლიანი არსებობის განმავლობაში, თითქოს დანაღმულ ველზე მუშაობდა, რადგანაც არ იცოდა მოწინააღმდეგე მხარის გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვის მხრიდან მოთმინება იქნა დემონსტრირებული, მან არ იცოდა რა მოელოდა მოსკოვის მხრიდან. არ იცოდა თუ როგორ რეაგირებას გააკეთებდნენ ძალაუფლება დაკარგული პოლონელი გენერლები. მაზოვეცკი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა გენერლების ძალაუფლების დემონტირებას, ისინც ნაბიჯ-ნაბიჯ თმობდნენ, რადგან რამდენადმე ლოიალური იყვნენ "ვალენსას ჯგუფის" მიმართ. ისტორია უეჭველად დადებითად შეაფასებს მათ სამშობლოს მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას. არადა გენერლების ხელში ხომ ისევ რჩებოდა პარტიული აპარატი, არმია, მილიცია, სახელწიფო უშიშროება და ადმინისტრაცია, მათ შეეძლოთ არ დათანხმებოდნენ ხალხის არჩევანს. მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს.

უფრო მეტიც, გენერლების მსგავსად მოიქცა, მთელ ქვეყანაში გამეფებული კლასი, ე. ი. ეგრეთ წოდებული სახალხო პოლონეთის პატრონები. ისინი ფინანსური და ფსიქოლოგიური მხრიდან უკეთ იყვნენ მომზადებულნი კაპიტალიზმისთვის, მიუხედავად ამის თამაშის წესებს არ არღვევდნენ, ეს კი დიდი ცვლილებების მშვიდობიან განვითარებას უწყობდა ხელს.

1989-1990 წლების "პოლონური სასწაული" დღემდე ბოლომდე არ არის აღწერილი. "მრგვალი მაგიდის" გარშემო საუბარიც კი არ იყო ღრმა ეკონომიურ რეფორმებზე. ეკონომიკური ჯგუფის თავმჯდომარეს "სოლიდარნოშჩ"-ის მხრიდან, არ უყვარდა სპეციალისტები და "მრგვალ მაგიდის" მოლაპარაკებამდე ერთი დღით ადრე კათოლიკური ინტელიგენციის კლუბში, საბეჭდ მანქანაზე ერთი თითით ამობეჭდა ხელისუფლებასთან დისკუსიის ძირითადი თეზები.

პირველ დემოკრატიულ პრემიერ-მინისტრს ბალცეროვიჩ+ის გვარი გაგონილიც კი არ ჰქონდა. მას ასევე არ იცნობდა მაზოვეცკის უახლოვესი მრჩეველი, პროფესიით ეკონომისტი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საზღვარ-

გარეთიდან. მიუხედავად ამისა, პრემიერის პოსტზე დანიშვნისთანავე, მაზოვეცკიმ, განაცხადა, რომ ახალი მთავრობა "საკუთარ ერჰარდს" საჭიროებს. DIP-ის წრეებთან ახლოს მყოფ პროფესორ იანუშ ბექსიაკს, უდაოდ გამოჩენილ პოლონელ ეკონომისტს, შეეძლო წარედგინა თავისი კანდიდატურა. მაგრამ მან ბალცეროვიჩი შესთავაზა. ტადეუშ მაზოვეცკი – მაღალი კლასის პოლიტიკოსი – სრულიად ენდო ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სავსებით უცნობ მეცნიერს. მას არ ეშინოდა ბალცეროვიჩის შოკში ჩამგდები და მაგრამ ამასთან მყარი ლოგიკური დასკვნების. ის მეცნიერს მხარს უჭერდა ლოიალურად და თანმიმდევრულად. აცნობიერებდა რისკს და თავდებად უდგებოდა საზოგადოების წინაშე. მაზოვეცკის პოლონეთში ბევრი იცნობდა, როგორც დინჯ და სამართლიან ადამიანს, იმ მომენტში მასზე იყო თავმოყრილი საზოგადოების მთელი სიმპათია. და როდესაც სეიმში გამოჰქონდა თავისი მთავრობის პროგრამა, მან დაღლილობისაგან ტრიბუნაზე გრძნობა დაჰკარგა, და მაშინ ტელევიზორებს მიჯაჭვული მთელი პოლონეთი დაძაბულობაში გაქვავდა.

მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ორი ფუძემდებლური წამოწყების განხორციელება, რომელებიც 1990 წელმა მოიტანა – ბალცეროვიჩისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების რეფორმები.

■

ლეშეკ ბალცეროვიჩი არ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა მიეღწია რეფორმების "კრიტიკული მასისთვის". მუშაობდა რა წლობით, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემაზე, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მას მოუხდებოდა გარდაქმნების დაწყება საშინლად მზარდი ინფლაციის დროს, რომ ფასებისა და ხელფასების სპირალი სასიკვდილო სისწრაფით დაიწყებდა დახვევას (მანამდე პარტია ცდილობდა ფულთან არ "ეთამაშა"). ბალცეროვიჩსა და მის თანამოაზრეთა წინაშე წარმოიშვა მოულოდნელი კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა, ფასების განთავისუფლების შემდეგ, ინფლიაციის წყაროების გამოვლენა და აღმოფხვრა. დიდი ჰიჩკოკიც კი ვერ შექმნიდა ისეთ დაძაბულობას, როგორითაც მთელი პოლონეთი ელოდა ამ ოპერაციის შედეგებს. და ბალცეროვიჩმა იმედები გაამართლა, თუმცა ყველაზე დიდი ოპტიმისტებსაც კი ამის დიდად არ სჯეროდათ.

ბალცეროვიჩის წყალობით, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში პოლონეთმა სწრაფად შეაბიჯა, და სულ რაღაც რამოდენიმე თვეში, თითქმის თავიდანვე შემოიღეს სტაბილური სამამულო ვალუტა. ამ რეფორმამ წლების განმავლობაში დაგროვილი მთელი ინიციატიურობისა და გამომგონებლობის პოტენციალი აამუშავა, რომელიც მანამდე გამოყენებას პოულობდა ე. წ. "ჩრდილოვან ეკონომიკში". ეკონომიკურმა თავისუფლებამ მრეწველობის აყვავება მოიტანა, ხოლო მცირე სავაჭრო ობიექტების სწრაფმა პრივატიზაციამ მაღაზიების დახლები საქონლით გაავსო. ქვეყანამ, რომელც ხორბლის იმპორტირტით ცხოვრობდა, იმის გამო, რომ ხელისუფლება გლეხებს გასაქანს არ აძლევდა, უკვე ერთი წლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის საქონლის ფართე ასორტიმენტის ექსპორტირება შეეძლო.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხალხში ისეთი ენერგია გამოანთავისუფლა, რომელზედაც ოცნება არავის არ შეეძლო. პატარა ქალაქები გასუფთავდნენ და განათდნენ, შეიცვალეს სახე სულ რაღაც რამოდენიმე თვეში, ხოლო დაახლოებით ერთი წლის შემდეგ პოლონეთის ცნობა შეუძლებელი გახდა. შეიძლებოდა ყველაფრის ყიდვა, გამყიდველები მყიდველებს დაუპატიჟებელი სტუმრებივით აღარ ეპყრობოდნენ, ხოლო ტაქსისტებმა მგზავრების მოპატიჟება დაიწყეს. და ასე იყო ყველგან.

მთელმა ქვეყანამ, რომელიც არც პირველი და არც მეორე რეფორმისთვის არ იყო მზად, თვისი მათდამი დადებითი განწყობით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რეფორმატორების შემდგომმა დამარცხებამ არჩევნებში (როგორც ეს ხდება ხოლმე, ერთმანეთში წაიჩხუბნენ, რითაც მომხრეებიც კი საწინააღმდეგო მხარეს დადგნენ) არავითარი ცვლილებები არ მოიტანა. 1993 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ძალაუფლება პოსტკომუნისტური დაჯგუფებების ხელში გადავიდა, მაგრამ ეს უკვე მოდერნიზებულ სახელმწიფოში მოხდა. ამ დაჯგუფებებმა თუმცა არავითარი ახალი რეფორმები არ ჩაატარეს, მაგრამ არც არაფერი არ გააფუჭეს. მომდევნო 1997 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, იძულებული იქნენ ძალაუფლება გადაეცათ სხვებისთვის, იმიტომ რომ საზოგადოების აზრით, ხელისუფლების მართვისკენ გზის გახსნა მათთვის ფულისკენ გზის გახსნას ნიშნავდა. ასე, რომ 1990 წლის რეფორმებმა, პოლონეთი ძირფესვიანად შეცვალა. მაზოვეცკის მთავრობის ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან ათი წლის შემდეგ პოლონეთს შეჰყურებენ როგორც "ამერიკას" ევროპის ცენტრში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით პოლონელები, გაცილებით ნაკლებს სვამენ და ეწევიან.

დღევანდელი პოლონეთის პრობლემა დაკავშირებულია, ჭარბ სასოფლოსამეურნეო პროდუქციასთან, რომელიც საკმაოდ ტიპურია თანამედროვე ეკონომიურად განვითარებული ქვეყნებისთვის. იმ რეფორმატორების ორგანიზაციული ჩავარდნები, რომლებიც წინდაუხედავად და ერთი ხელის დაკვრით წყვეტენ ისეთ ძნელ პრობლემებს, როგორიცაა სოციალური დაზღვევა, სასკოლო განათლების სისტემა – ეს არც ისე დიდი ხნის წინ არსებული ეპოქის მემკვიდრეობაა. ხშირია ცოდნის დაბალი დონე, ხანდახან ელემენტარულ საკითხებშიც კი. ეს არის შედეგი თავისებური ცივილიზაციური ღრეჩოსი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში წარსული ორმოცდაათი წლის მანძილზე წარმოიშვა. პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის რეალობანი – წარსულში არსებული უბრალო, ჩვეულებრივი მიღწევები გვეჩვენებოდა გაუგებარად და მიუღწეველად, ნუ იქნებ შესაძლებელი იყოს სადღაც შორეულ მომავალში.

მიუხედავად ამისა, პოლონეთი როგორიც არის, მთელი თავისი შეცდომებით და გადაცდომებით, წარმოგვიდგება თავისებურ ლაბორატორიად, რომელშიც ევროპის ჩვენი ნაწილის ქვეყნების მომავლის მოდელირება ხდება. და ჯრჯერობით სანამ იგი წინ მიდის, ჩემი აზრით, მისი მცდელობები სერიოზული ყურადღების ღირსია.

თარგმნა ზურაბ სეფიაშვილმა

ეჟი იასტშემბოვსკი

პოლონეთი სცენაზე ბრუნდება

ათი წლის წინათ ჩვენ ვიგრძენით, რომ ბევრი ვართ პოლონელები, როცა ერთად ვართ, ანუ იმათი ჩათვლითაც, ვინც საზღვარგარეთ ცხოვრობს. თუმცა, ამჟამად ქვეყნის მოსახლეობა დაქსაქსული და ერთმანეთს დამდურებულია. მაგრამ შეხედავ შორიდან და სურათი იცვლება. პოლონეთს მძლავრი ტალღა ეწევა წინ. დღეს პირველად, სამასზე მეტი წლის შემდეგ, ნაცვლად სახეში წვიმისა, ქვეყანას ზურგის ქარი სცემს. ჭეშმარიტად ისტორიული დროა. ნამდვილად ძნელი იქნება ამისთვის ხელის შეშლა, მიუხედავად ზოგიერთის მცდელობისა. ამ რამდენიმე კვირის წინ, ლონდონის ყოველკვირეულმა "ეკონომისტმა" გამოაქვეყნა სტატია ბოლო თვეების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც ასეთი ფრაზით დაასრულა: "პოლონეთი პოლიტიკურად სტაბილური ქვეყანაა!"

ახლა ძალზე დელიკატურ საკითხზე ვისაუბრებთ, რომლის შესახებ ადრე მაინცდამაინც არ ვლაპარაკობდით: პოლონეთის კულტურა და პოლონური ენა თანამედროვე მსოფლიოს ავანსცენაზე. საოცარი სურათი იშლება წინ!

მისმა აქცენტმა მიმახვედრა, რომ იგი შვედი იყო. ვიდრე თვითმფრინავი დაიძვრებოდა, ცოტა გადაჰკრა. ტორონტოდან ბოსტონში გადაფრენა საათნახევარს გრძელდება. შვედი კონსულტაციაზე მიფრინავდა ჰარვარდში. ნობელის პრემიის ლიტერატურული კომიტეტი მიმდინარე წლის კანდიდატების შესახებ მსჯელობს. ცხადია, ყველაფერი საოცრად გასაიდუმლოებულია.

— ყველაზე მეტი სირთულე, როგორც ყოველთვის, პოლონელებს უკავშირდებათ (მე ყურები ვცქვიტე), ყოველწლიურად მათ ორი ნაღდი კანდიდატი ჰყავთ, — პოეტი და პროზაიკოსი. შეგიძლიათ ამის დაჯერება? თუ უახლოეს წლებში, — ხოლო საქმე აქეთკენ მიდის — არჩევანი ერთ–ერთ მათგანზე გაკეთდება, პოლონეთს ერთდროულად ეყოლება სამი ცოცხალი ლაურეატი, ანუ გაცილებით მეტი, ვიდრე სხვას! — შვედმა ჰაერი შეისრუტა.

პოლონეთი ლიტერატურული ქვეყანა? და ეს პოლონეთის კულტურისა და განათლების სისტემაში არსებული ამჟამინდელი კრიზისის პირობებში? მეორე დღესვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაკენ გავეშურე. შვედი მართალი აღმოჩნდა. ადრე მე უკვე ვწერდი პოლონეთის კულტურის პროვინციულობის შესახებ და ერთ–ერთ არგუმენტად პროფესორ ეჟი ედლიცკის აზრი მომქონდა ხოლმე: პროვინციული შეგვიძლია ვუწოდოთ ქვეყანას, რომელიც მიეკუთვნება გარკვეულ კულტურულ სივრცეს და ცენტრიდან გაცილებით მეტ კულტურის ნიმუშებს სესხულობს, ვიდრე მათ იქით აწვდის. კულტურის პროვინციული ხასიათი მჟღავნდება ადგილობრივი მოსახლეობის (რომელიც აღზრდილია თავისი კულტურის განვითარების ღრმა მიდრეკილებით) მზადყოფნით განურჩევლად აითვისონ უცხოური ნიმუშები (ნიუ–იორკელები, პარიზელები და ლონდონელები, როგორც წესი, ვერ ეგუებიან ჩვენი კულტურის სიმბოლოებს, რამეთუ მათთვის ეს სიმბოლოკა არაფერთან არ ასოცირდება).

ედლიცკი ორი პოეტის პოპულარულობას ადარებდა ერთმანეთს: ბაირონის, რომელსაც დასავლეთის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში იცნობენ და მიცკევიჩის, რომელიც ძირითადად ლიტერატურათმცოდნეებმა იციან. ამის შემდეგ იგი ასკვნიდა: "საუკუნის განმავლობაში დასავლეთი გაცილებით სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ჩვენ. ოცნებაც კი არ შეიძლებოდა პროვინციიდან ცენტრში გადანაცვლებაზე. ჩვენ, ჯერჯერობით, პორტუგალიას უნდა დავეწიოთ".

თუ დღემდე ჩვენ ვეწევით პორტუგალიას ეკონომიკის დარგების მიხედვით, სამაგიეროდ, კულტურის სფეროში ჩვენ მას უკვე გავუსწარით. პორტუგალიის ნობელის პრემიის ლაურეატი ამ ვითარებას ვერ ცვლის. მე ვიყენებ პოლონეთის კულტურის საზღვარგარეთ გავრცელებისათვის უბრალო და, როგორც წესი, უშეცდომო მეთოდს, ანუ მე ყურადღებას ვაქცევ პოლონეთის ხსენებას მას–მედიაში. არსებობს შემდეგი კანონზომიერება:

ყოველთვის, როდესაც ვინმეს (კომპოზიტორს, მხატვარს, მწერალს) წარმოადგენენ როგორც "ცნობილს" ან "სახელგანთქმულს", ამით ზუსტად იმას ამბობენ, რომ ის, ვისზედაც არის საუბარი, არც თუ ისე ცნობილია, ან საერთოდ უცნობია. გამოჩენილი ადამიანები წარდგენას არ საჭიროებენ.

ათი წლის წინათ პოლონელი კომპოზიტორები შოპენი და პანდერევსკი მიეკუთვნებოდნენ ამ უმაღლეს კატეგორიას. ამჟამად მათ მიემატნენ გურეცკი (ხშირად), ლუტოსლავსკი (ნაკლებად), ხოლო ბოლო დროს, ეს როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მე მოვისმინე, რომ კანადელმა დიქტორმა, სრულიად სწორად და ზედმეტი კომენტარების გარეშე, წარმოთქვა გრაჟინა ბაცევიჩის საოცრად ძნელად წარმოსათქმელი სახელი და გვარი.

თუ მუსიკისათვის საზღვრები არ არსებობს, მწერლობისათვის ეს გაცილებით ძნელია. მხოლოდ ერთი, — რიშარდ კაპუშჩინსკი არის იმდენად ცნობილი ჩრდილოეთ ამერიკაში, რომ მხოლოდ მისი გვარის წარმოთქმისას არ იშველიებენ ეპითეტს. კაპუშჩინსკის შემდეგ მოდის მილოში, შემდეგ (ჩამოთვლა გრძელდება ანბანის მიხედვით, თუმცა სია ნამდვილად არ არის სრული): ბარანჩაკი, გლოვაცკი, კონვიცკი, კრალი, ლემი, რუჟევიჩი, ჰერლინგ–გრუძინსკი, ჰერბერტი და შიმბორსკა. ოცი წლის წინათ მათ შესახებ აქ არავინ არაფერი უწყოდა.

სენკევიჩი ამერიკელებმა დიდი ხანია დაივიწყეს. ამას ვერც ჰოფმანის კოლორიტული ფილმი შეცვლის. აქაურ, ადგილობრივ ბაზრებზე პირველი ადგილები ასევე ვერ მოიპოვეს ჩვენმა ბრწყინვალე პოეტებმა, რადგან ამერიკელების მხოლოდ მცირე ნაწილი ინტერესდება ტანჯვა–წამების აპოლოგიით. ავიღოთ თუნდაც ისეთი გამოჩენილი პოეტი, როგორიც თადეუშ ბოროვსკი იყო. აქ იგი ძირითადად თავისი მოთხრობებით არის ცნობილი, ისიც ისეთ წრეში, რომლებიც რაღაცით დაკავშირებულია კატასტროფასთან. ამ წრის გარეთ, ამერიკაში, ცოტა ვინმე თუ ფლობს იმ ისტორიულ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გაიგონ ბოროვსკის წინასწარმეტყველური მოწოდება:

წერეთ, პოეტებო, პატიოსნად,
წერეთ, პოეტებო, გაბედულად,
ცოცხალ პოეტებს - ციხეები
სახელი — მხოლოდ გარდაცვლილებს.

ანდა მისი საშინელი წინასწარმეტყველება:

ჩვენ რას დავტოვებთ? გროვას ჯართისას
მწარე დაცინვას გესლიანი შთამომავლების.

(ლექსები თარგმნა რ.კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ)

მშვენიერ გამონაკლისს წარმოადგენს მიცკევიჩი, მაგრამ მოდით, მის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ.

მიძღვნის ასეთ ფორმებს მიმართავს ის სოციალური ჯგუფი, რომლის დამსახურებად ითვლება პოლონეთის შესახებ ისტორიაში მანამდე არნახული ცოდნის გავრცელება აქაურ მრავალეროვან მოსახლეობას შორის. ამ სოციალურ ჯგუფს ხუმრობით "პოლონურ მაფიას" უწოდებენ.

პოლონეთი მსოფლიო ავანსცენაზე. პოლონური ენა

ჰარვარდის უნივერსიტეტის ვიდენერის ბიბლიოთეკა ყველაზე დიდი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაა მსოფლიოში. მხოლოდ სლავური წიგნების რაოდენობა აქ 800 ათასს აჭარბობს. ამ სფეროში საქმიანობის მთავარი სულისჩამდგმელია გრაჟინა სლანდა, ამიტომ სწორედ მას ვეკითხები (ჩვენ პოლონურად ვსაუბრობთ), აქვთ თუ არა ბიბლიოთეკაში რაიმე გალიციის ავკანყების შესახებ (საქმე ეხება პოლონელი გლეხების ავკანყებას ავსტრიელთა წინააღმდეგ გალიციაში 1846 წელს იაკუბ შელის წინამძღოლობით — მთარგმ.). იგი თითებს აკაკუნებს კომპიუტერის კლავიატურაზე და ზუსტად ოცი წამის შემდეგ მპასუხობს: ჩვენს ფონდში არ არის ასეთი დასახელების წიგნები, მაგრამ გვაქვს შვიდი წიგნი თავად იაკუბ შელის შესახებ.

პროფესორთა კლუბში ვახშმობისას მესმის, თუ ინგლისურის პარალელურად როგორ საუბრობენ იქ შეკრებილნი პოლონურ ენაზეც. პენსიონერი პროფესორი, რუსეთის კვლევათა ცენტრის დირექტორი რიჩარდ პაიპსი (რეიგანის ყოფილი მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში) თავის მეუღლე ირინესთან მხოლოდ პოლონურად საუბრობს, ამასთან, ყოველგვარი აქცენტის გარეშე, თუმცა აგერ უკვე სამოც წელზე მეტია, პოლონეთის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს. იგივე ითქმის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სლავური კათედრის — უკრაინის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელის, უკრაინის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის რომან შპორლიუკის შესახებაც (40 წელზე მეტია, რაც პოლონეთი დატოვა). მისი მოადგილე ლუბომირ გაიდაც ლაპარაკობს პოლონურად, თუმცა ცოტა წელავს სიტყვებს. ალბათ, ასე ლაპარაკობდნენ პოლონეთის აღმოსავლეთ მხარეებში აღზრდილი მიცკევიჩი და სლოვაცკი.

ძველ საუნივერსიტეტო ქალაქში (რომელიც ცნობილია როგორც ჰარვარდ–იარდი) ბოლო დროს ერთი ასეთი ხუმრობა გავრცელდა: "გინდა ჰარვარდში კარიერის გაკეთება? მაშინ შეისწავლე ჩინური ან პოლონური ენა, ზოგჯერ ინგლისური ენის ცოდნაც გამოგადგება".

უკრაინის სამეცნიერო ინსტიტუტის სასემინარო დარბაზში ლექციის კითხვის დროს მინდოდა შემემოწმებინა, თუ მსმენელთაგან რამდენმა იცოდა პოლონური ენა. ამიტომ სხვათაშორის ასეთი გამოთქმა ჩავურთე: "უკრაინელები ბატები ხომ არ არიან, მათ იციან თავიანთი ენა" (პარაფრაზი ფრთიანი გამოთქმისა, რომელიც XVI საუკუნის უდიდეს პოლონელ პოეტს მიკოლაი რეის ეკუთვნის. მან პირველმა დაიწყო წერა არა ლათინურ ენაზე, არამედ პოლონურად: "პოლონელები ბატები არ არიან, მათ იციან თავიანთი ენა"). დარბაზს სიცილმა გადაუარა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მსმენელთა მიერ გაგებული იყო არა მხოლოდ სიტყვები, არამედ ასევე, ყოველ შემთხვევაში, აუდიტორიის ნაწილის მიერ მაინც, გამონათქვამის ლიტერატურულ–ისტორიული კონტექსტიც.

ტორონტოში, როდესაც დახმარება მჭირდება ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით, ჩემთვის უდიდეს იმედს წარმოადგენს პროფესორი პეტრე ვრუბელი, პოლონეთიის ისტორიის კათედრის გამგე (იგი ყოველთვის მთხოვს 30 წამს, ანუ მცირე ხანს, დაფიქრებისათვის). თუ მსურს ვიპოვო კონვიცკის ესა თუ ის ციტატი, მაშინ მე სლავიანურ ენათა ლიტერატურის ინსტიტუტის პოლონური ლიტერატურის კათედრის პროფესორის თამარა ტროიანოვსკას დახმარების იმედი მაქვს.

მიცკევიჩის დიდებას (ეს ზუსტად ის მშვენიერი გამონაკლისია, რომლის შესახებაც მე უკვე ვისაუბრე) და ასევე ინფორმაციას ლიტვის სხვა ორი შვილის — მილოშისა და კონვიცკის შესახებ ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ისტორიკოსს საიმონ შამეს. ამ ღვაწლმოსილმა ადამიანმა (ადრე ჰარვარდის, ახლა ნიუ–იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა), გამოაქვეყნა ციტატები პოლონურ–ლიტვური პოეზიიდან და პროზიდან თავის ოთხი წლის წინათ გამოცემულ ბესტსელერში "პეიზაჟები და ხსოვნა". მე მას იმიტომ ვიხსენებ, რომ იგი დაკავშირებულია პოლონეთთან სხვა სახით: მისი ებრაელი პაპისპაპა, ელიზერ შამა, ნემანში მეტივე იყო.

იაგელონების დინასტიის ორი უკანასკნელი მეფის ზეობის წლებში (1505–1572 წწ.) ჟეჩპოსპოლიტას კავშირები უკრაინის კულტურულ ცენტრებთან, როგორებადაც მაშინ მიჩნეული იყო ჩრდილოეთ იტალია და ნიდერლანდები, უფრო ინტენსიური გახდა. როდესაც პორტუგალიამ გაყარა თავისი ებრაელები, ხოლო ინკვიზიციის გააქტიურებამ ამ პერიოდში პიკს მიაღწია, ნიდერლანდია და პოლონეთი მთელი ევროპის არაქრისტიანული აღმსარებლობის ხალხთა იმედად იქცა, რამდენადაც მათ აქ თავშესაფარს აძლევდნენ. ვარშავის კონფედერაციის აქტის (1573 წ.) წყალობით, ჟეჩპოსპოლიტა გადაიქცა ევროპაში ყველაზე შემწყნარებლურ სახელმწიფოდ. როდესაც პორტუგალიაში ბრწყინვალე კამოენსი კვდებოდა, ხოლო მისი სამშობლო დამოუკიდებლობას კარგავდა, ჟეჩპოსპოლიტაში კანცლერმა იან ზამოისკიმ ბრწყინვალე გეტმანის კვერთხი მიიღო, ხოლო ქვეყანამ თავისი ისტორიის ყველაზე დიდებულ პერიოდში შეაბიჯა, რომელიც უფრო პოლონური კულტურის სიდიადითა და მიმზიდველობით აღმოჩნდა დასამახსოვრებელი, ვიდრე ჰუსართა სამხედრო ძლიერებით. იმ პერიოდში გერმანელი ქალაქელი პატრიციები ნებაყოფლობით პოლონელდებოდნენ. პოლონეთდებოდა ასევე ლიტვისა და რუსეთის თავადაზნაურობაც. ჟეჩპოსპოლიტას დელეგაცია, რომელიც 1581 წელს იამ–ზაპოლსკიში იქნა გაგზავნილი მოსკოვთან მოლაპარაკებებზე, შედგებოდა რუსინის (იაუშ ზბარანსკი) და ორი ლიტველისაგან (ალბრეხტ რადძივილი და მიხალ ხარაბურდა). უფრო სწორედ, ეს უკანასკნელი სინამდვილეში ბელორუსი იყო. თანამედროვეები ამაში რაიმე უჩვეულოს ვერ ხედავდნენ.

გაცილებით სუსტად იყო წარმოდგენილი პოლონური კულტურა და პოლონური ენა აღმოსავლეთში. ლილიანა, ახალგაზრდა უკრაინელი, ჰარვარდში მეცნიერებათა კანდიდატი, ამტკიცებს, რომ საბჭოთა პერიოდში ლვოვში შეიძლებოდა ჟურნალების "პშეკრუის" (Przekrój) და "პშიაჩიულკას" (Przyjaciólka) შეძენა. ზოგჯერ კი "პოლიტიკასაც" (Polityka) იშოვიდით. ახლა აქ პოლონურ პრესას საერთოდ ვერ შეხვდებით, სამაგიეროდ, დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი რუსული ჟურნალ–გაზეთები (ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოში — ქართველი მთარგმნელის შენიშვნა). პროფესორი შპორლიუკი აცხადებს, რომ "ლიტერატურნაია გაზეტა" აშშ-ში 3 $ ღირს, უკრაინაში კი ნებისმიერ ადგილას შეიძლება მისი შეძენა ამის მეოცედ ფასად. უკრაინელების ბრალი არ არის, რომ რუსეთი თავისი გამოცემების სუბსიდირებას ახდენს, პოლონელები კი ივიწყებენ, თუ რაოდენ საჭიროა, რომ პოლონური პრესა იყოს წარმოდგენილი ლვოვისა და კიევის საგაზეთო ჯიხურებში.

პოლონური ფილმები. თუ არა კესლევსკის დიდებული ფილმები, რომლებსაც იცნობენ ყველგან, უკანასკნელი პოლონური მოვლენა მომთხოვნ ამერიკულ ბაზარზე იქნებოდა დაუვიწყარი პოლიანსკის 1962 წლის "დანა წყალში". ამას წინათ ანჯეი ვაიდამ თქვა: "როგორი პარადოქსია! დღეს ახალგაზრდები მსოფლიოს

მოქალაქენი არიან, მათი ფილმების ყურება კი ამ ქვეყნად არავის სურს".

საბედნიეროდ, ზოგიერთი ქვეყნის დედაქალაქებში იმართება პოლონური ფილმების ფესტივალები, სადაც პოლონელებიც იკრიბებიან...

მესმის სკეპტიკური ფრაზები: არ გაღარიბდება პოლონური კულტურა, არ დაკარგავს თავის კოლორიტს, თუკი ჩვენთვის ვითომ წარმატებული ისტორიული პროცესი თანდათან უფრო ღრმად გაიყვანს ხალხს დასავლეთის ცივილიზაციის ორბიტაზე? საკმარისია მოვუსმინოთ, რომელ ენაზე საუბრობენ ახალგაზრდა პოლონელები ერთმანეთში, ვკითხოთ, თუ რა აინტერესებთ. ხომ არ იქცევა მოკლე ხანში მათთვის კულტურა ინტერნეტში "მორიგ პიქტოგრამაზე თითის უბრალო დაკაკუნებად"?

"რა არის აქ დასამალი (...) ჩვენ ყველანი განვიცდით არასრულფასოვნების კომპლექსს. არცერთმა ჩვენთაგანმა არ იცის, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს და ნორმალურად ფუნქციონირებდეს სერიოზული სახელმწიფო. (...) ჩვენი ხელისუფლება, რეჟიმები და ადმინისტრაციები ერთიმეორეს მიყოლებული ეცემოდნენ, ხდებოდნენ დაცინვის ობიექტები, სწრაფად კოტრდებოდნენ".

"პოლონეთი — პაროდისტების ქვეყანაა, პოლონეთი — პაროდიის სამშობლოა (...) და რადგან ჩვენ უკვე დავცინეთ ამქვეყნად ყველაფერს: თავისუფლებას და მონობას, პატრიოტიზმსა და ნიშნის მოგებას (...), ახლა ჩვენ უკვე საკუთარი პაროდიის პაროდირებაღა დაგვრჩენია".

ასე — თადეუშ კონვიცკის ლიტერატურული ფანტაზიით გარდაქმნილი გამოიყურებოდა აგონიის პერიოდის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სინამდვილე. 1982 წლის იანვარში გაცოფებით ვკითხულობდი "მთვარის ამოსვლა–ჩასვლაში" თადეუშ კონვიცკის საუბარს ნათელმხილველ — მამა რესლავ კლიმუშკოსთან. პოლონეთის მომავლის შესახებ დაჟინებული კითხვებით "კედელთან მიყენებული" ნათელმხილველი კრთებოდა ამგვარი მკრეხელობის გამო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს პასუხობს:

"ყველაფერი კარგად იქნება. პოლონეთის წინ ორმოცდაათი ა–ა–სე–თი წელია! (...) პოლონეთის დრო მოდის, მისი მტრები ეცემიან. მე ვხედავ სინათლეს და აღმავლობას".

განრისხება მერეოდა, რომ კონვიცკი და კლიმუშკო შეურაცხყოფდნენ ისეთებს, როგორიც მე ვიყავი. ეს იყო ბრეჟნევ–სუსლოვის და იარუზელსკი–კიშაკის დრო. ვინ იყო მართალი? ცხადია, კლიმუშკოც და კონვიცკიც.

დღეს უკვე აღარ არის აუცილებელი ნათელმხილველობა, რათა შეამჩნიო, რომ პოლონეთმა "აღმასვლა" დაიწყო. გარემომცველი სინამდვილისაგან ოდნავ გარიდებაც საკმარისია.

ვამთავრებ ციტატით, ტრადიციულად არაკეთილსასურველს პოლონელებთან დაკავშირებით. მსხვილი კანადური გაზეთი "გლობ ენდ მეილ" მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა კამპანიას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგ. გაზეთის აზრით, რუსეთის არგანაწყენების დიადი ამოცანების ფონზე პოლონეთის საკითხი სავალალო გაუგებრობას ბადებდა. ნატოში მიღების რამდენიმე დღით ადრე კი, საერთაშორისო მიმომხილველმა მარკუს ჯიმ გამოაქვეყნა დიდი წერილი, საიდანაც მე მოვიყვან მხოლოდ სათაურსა და დასაწყისს:

■■■■■ პოლონეთი — სცენაზე ფენომენალური დაბრუნება

რა გაიელვებს თქვენს გონებაში, როდესაც ისმენთ სიტყვა "პოლონეთს"? წაგებული კავალერისტული იერიში? თავხედური ხუმრობა? ლეხ ვალენსას ულვაშები? დროა შევიცვალოთ ანალოგიური "წარმოდგენები". კომუნიზმის დაცემიდან ათი წლის გასვლის შემდეგ პოლონეთი რენესანსს განიცდის, რომელიც სამუდამოდ დაასამარებს პოლონელთა შესახებ მანამდე არსებულ სტერეოტიპულ შეხედულებებს.

პოლონეთის ნატოში შესვლამ დააგვირგვინა უჩვეულო პროგრესის ათწლეული, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლმა, კოპერნიკისა და შოპენის ერმა თავისი ადგილი დაიკავა ევროპის ხალხთა შორის. პოლონეთის ეკონომიკა თითქმის უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებისა. მის კულტურასა და ენას გაფურჩქვნის ხანა დაუდგა.

კანადელს რომ გადაეჭარბებინა კიდეც, განა ეს ჩვენი სურვილიც არ იყო ათი წლის წინათ?

თარგმნა ამბროსი გრიშაშვილმა

ალექსანდრე კვაშნიევსკი

პოლონეთის ადგილი ახალ ევროპაში

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოსვლა მსოფლიო მასშტაბის კომფერენციაზე საერთაშორისო ურთიერთობების ფრანგულ ინსტიტუტში (IFRI) პარიზში



პატივცემულო ინსტიტუტის დირექტორო, თქვენო ბრწყინვალებავ, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემთვის დიდი პატივია, ასეთ წარმომადგენლობით აუდიტორიას გავუზიარო ჩემი მისაზრებები გაერთიანებული ევროპის შესახებ. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და გულწრფელად მივესალმები ჩვენს მასპინძელს, ბატონ ტიერ დე მონბრიალს, დირექტორს საერთაშორისო ურთიერთობების ფრანგული ინსტიტუტისა, რომელიც ახლა თავის მე-20 წლისთავს აღნიშნავს.

სამი წლის წინათ მე მომიხდა ამავე ინსტიტუტში გამოვსულიყავი მოხსენებით და მესაუბრა პოლონეთისა და ევროკავშირის შესახებ, რომლებიც ერთად უახლოვდებოდნენ საუკუნის ბოლოს. ის, რაც მაშინ მხოლოდ იდეა იყო, დღეს სინამდვილედ იქცა. 2000 წელი უკვე ზღურბლზეა, ხოლო პოლონეთი და ცენტრალური ევროპის კიდევ ოთხი ქვეყანა ევროკავშირთან ერთად განიხილავენ თავისი ევროკავშირში შესვლის პირობებს. ცვლილებების მასშტაბებს, ისტორიულ გარდაქმნათა სიჩქარეს ჩვენ უფრო კარგად გავიგებთ, თუ გავიხსენებთ, როგორ გამოიყურებოდა ევროპა ათი წლის წინათ: "რკინის ფარდამ ის-ისაა დაიწყო გაბზარვა. მაშინ მხოლოდ ადამიანების მცირე რიცხვს შეეძლო წარმოედგინა მისი დანგრევა. არ ვიცი, გაბედავდა კი ვინმე როდისმე ეთქვა, რომ 1999 წელს პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი ნატოს წევრები გახდებოდნენ.

ვაერთიანებთ რა ევროპას, ჩვენ ვიბრძვით "ცივი ომის" მემკვიდრეობის წინააღმდეგ. ევროპის შესახებ შეხედულება ორაზროვანი იყო. ჩვენ ვამბობდით: აღმოსავლეთი და დასავლეთი. ეს გეოგრაფიული ცნება გახდა ქვეყნებს შორის იდეოლოგიური, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური განსხვავების სიმბოლო. ბერლინის კედლით ერთმანეთისაგან იყოფოდა ორ სამყარო: ერთი მხრივ - დემოკრატია, მეორე მხრივ - ტოტალიტარიზმი; ერთ სამყაროში - ქვეყანა-პარტნიორების თანამშრომლობა და ერთიანობა, მეორეში - საბჭოთა ზესახელმწიფოს ჰეგემონია. დიახ, ეს ასე იყო. მაგრამ ევროპა წარმოიშვა არა

1945 წელს, არა 1918 წელს და არც 1815-ში. გაყოფის არქიტექტურა - ეს არ არის ევროპისთვის მიკუთვნების გასაღები. ევროპა - ეს არის ერთობლივი ისტორიის ათასწლეული; ეს არის ერთიანი სულიერი სივრცე, ეს არის თაობათა ცივილიზებული მემკვიდრეობა. მრავალსაუკუნოვანი შენობები და ხელოვნების ნიმუშები კრაკოვის ვაველში, პრაღის გრადჩანში, ესტერგომში, ლევოჩში, ვილნიუსში, რიგაში, ტალინში, ლვოვში - ეს უფრო მეტია, ვიდრე წარსულის ძეგლები. ეს კულტურული კოდის ნიშნებია, რომელთა თანახმადაც ვლინდება ევროპა და რომელსაც იგი, როგორც სარკეს, ისე უყურებს. ასე იყო პარიზში, რომში, ოქსფორდში, ვენაში, მიუნხენში. მიმდინარე წელი - ეს არის ევროპის კულტურის გიგანტების ბრწყინვალე იუბილეები. 200 წლის წინათ დაიბადნენ ონორე დე ბალზაკი და ალექსანდრე პუშკინი; 250 წლის წინათ გარდაიცვალა იოჰან ვოლფგანგ გოეთე; 150 წლის წინათ გარდაიცვალა ფრედერიკ შოპენი და იულიუშ სლოვაცკი, უდიდესი პოლონელი პოეტი. ისინი არიან ავტორები ისეთი ნაწარმოებებისა, რომლებიც ევროპის თვითმყოფადობაში შედიან და არ სცნობენ არც საზღვრებს, არც სხვა რაიმე ბარიერებს. ბიოგრაფიები შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც სიმბოლოები. ფრედერიკ შოპენის შემოქმედებითი გზა დაიწყო ვარშავაში და ბერლინის, პრაღის, ვენის გავლით პარიზამდე ჩავიდა. იულიუშ სლოვაცკი დაიბადა კრემენცში, რომელიც ამჟამად დამოუკიდებელი უკრაინის ტერიტორიაზე მდებარეობს, ხოლო თავისი ნაწარმოებები დაწერა პოლონეთსა და საფრანგეთში. ისინი და კულტურისა და მეცნიერების მრავალი სხვა წარმომადგენელი ჩვენი ევროპული ერთიანობის მფარველნი გახდნენ. ევროპა მრავალსახიანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ერთი მთლიანია. "რკინის ფარდამ" ვერ შეძლო გაეხლიჩა ეს სულიერი ერთიანობა. ამიტომ ახლა, როდესაც დაინგრა კედლები და შლაგბაუმები, ევროპის შესახებ ჩვენს წარმოდგენაში განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ იმას, თუ რა გვაერთიანებს და რა გვაერთიანებდა და არა იმას, თუ რა გვყოფდა. თუმცა, ისიც მართალია, რომ კომუნისტური სისტემის არსებობამ თავისი ანაბეჭდი დატოვა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ხალხებზე. მისი კვალი ჯერ კიდევ არის ჩვენს გონებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს ევროპულ ფასეულობებთან შესისხლხორცების სურვილი, ჩვენ მასზე ვაგებთ ჩვენს წარმატებებს. ახლა შევხედოთ პოლონეთს. კანონის ძალაუფლება, დემოკრატიული პროცედურები, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარება - ყველაფერი ეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობაა. თანმიმდევრობით გატარებული ეკონომიკური რეფორმები და მეწარმეობითი სული წარმოების დონის ამაღლების საშუალებას იძლევა, რომლის ტემპებიც შენარჩუნებულია აგერ უკვე შვიდი წლის განმავლობაში. ჩვენი წარმატებები სტიმულს აძლევს ინვესტორებს, რომლებმაც პოლონეთში 35 მილიარდ დოლარზე მეტი დააბანდეს. ათი წლის განმავლობაში პოლონეთი სრულიად სხვა ქვეყნად იქცა.

ასეთი ენერგია არ იქნებოდა ერში, რომელიც ფსიქოლოგიურად განწყობილი არ არის განვითარების მიმართ, ერში, რომელიც დაკარგავდა იმ ღირსებებსა და შესაძლებლობებს, რომლითაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ამაყობდა ევროპული ცივილიზაცია. დიდი საზოგადოებების განვითარების კანონზომიერება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალური წარმატებები - ეს არის კულტურულ ფასეულობათა ზედნაშენი. ჩვენი წარსული, ჩვენი არსებობა ევროპაში, აი, ჩვენი დღევანდელი დღისა და ჩვენი მომავლის მამოძრავებელი ძალა.

იმის დამამტკიცებელი არგუმენტები, რომ ევროპა წარმოადგენს ერთიან სულიერ სივრცეს, მრავალია. ცნებები - "დასავლეთი" და "აღმოსავლეთი" დღესაც გეოგრაფიულად უფრო არიან დაკავშირებული, ვიდრე პოლიტიკურად; მიუხედავად ამისა, გარკვეული სტერეოტიპები კვლავ შემორჩენილია. ამას მივყავართ იქამდე, რომ ერთიმეორისადმი გახსნილობა ზოგჯერ შერეულია უნდობლობასთან, პარტნიორობა - ურთიერთსწავლების სურვილთან. არის, მაგალითად, საზოგადოების ისეთი წრეები, რომელთათვისაც ჯერ კიდევ უმწვავეს საკითხს წარმოადგენს "ანგარიშის გასწორება იალტის გამო". უნდა გავხსოვდეს, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში საზოგადოება

ჯერ კიდევ მისტირის წარსულს. განსაკუთრებით უფროსი თაობის მეხსიერებაში არ აღმოფხვრილა მძაფრი შეგრძნება იმისა, რომ ჩვენი ისტორიის კრიტიკულ მომენტში დასავლეთმა არ მიგვატოვა. მაგრამ, ასე ვთქვათ, "ისტორიული ვალდებულებების სასამართლო აღმასრულებლის" პოზიცია თანდათან უფრო ნაკლებ პოპულარული ხდება. კვლავ მოვიტანოთ პოლონეთის მაგალითი. ახალგაზრდა თაობა უპირატესად მომავლის შემყურეა. მათ ესმით, რომ ყოველი ადამიანი თვითონ არის თავისი ბედნიერების მჭედელი. აუცილებელია ასევე შევიგნოთ, რომ გაერთიანების რთულ პროცესში არ გვშველის ის, რასაც ჩვენ ზოგჯერ ვაწყდებით დასავლეთის მხარესთან და რასაც შეიძლება ეწოდოს "ტექნიკური მოსამართლის" პოზიცია, ანუ სტანდარტების აბსოლუტიზირებისაკენ მიდრეკილება. ევროკავშირის წევრობა, ეჭვგარეშეა, მოითხოვს ძალზე ბევრი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. ეჭვგარეშეა ისიც, რომ საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალი საერთო კანონების მიღების პროცესებს, ზუსტად მივუთითოთ დაგვიანებებსა და უზუსტობებზე. მოლაპარაკებები - ეს არის კომპრომისების რთული ხელოვნება, რომლის დროსაც საჭიროა გულდასმით ავწონ-დავწონოთ პოზიციები. მილიმეტრებით ვერ გავზომავთ იმას, რაც ბრწყინვალე ფორმირებას, ქმნილებას წარმოადგენს. იმავდროულად, ევროპა - ეს არის ჩვენი ცივილიზაციის გრანდიოზული თავგადასავალი, ისტორიული გამოწვევა. ვმონაწილეობთ რა მასში, ვალდებული ვართ ვიყოთ რეალისტები და სკრუპულოზურები, მაგრამ მას უნდა თანხვდებოდეს ცვლილებებისადმი მისწრაფება, დროის სიმბოლოების, იდეების გაქანების გაგება.

რათა გაერთიანება წარმატებით დასრულდეს, ხმამაღლა უნდა მოვისურვოთ ევროპული სული. ევროპეიზმი, - ეს არის აქტიური, ღია და შემოქმედებითი პოზიცია. ეს არის პიროვნების თავისუფლება, შემწყნარებლობა, კრიტიციზმი. ეს არის აზრის გამოთქმის თავისუფლება და, იმავდროულად, ჭეშმარიტებისადმი პატივისცემა; ეს არის დემოკრატია, კანონის ძალაუფლება, სამოქალაქო საზოგადოება; ეს არის გაბედული, შეუბოჭავი, თავისუფალი მეწარმეობა და ასევე საზოგადოებრივი გონიერება, სოლიდარობა სუსტებისა და გაჭირვებულთა დახმარების საქმეში. ამასთან, ძალიან დამახასიათებელია ისიც, რომ ერები, რომლებიც გაერთიანებულ ევროპაში შედიან გრძნობენ თავიანთი ეროვნული სახის შესახებ კამათის საჭიროებას. მათ სურთ დაადგინონ, თუ რა არის მათთვის საერთო და რა - საკუთარი. წელს პოლონეთში გადაიღეს ორი ფილმი, - ორივე ლიტერატურულ ნაწარმოებთა ეკრანიზაციაა. ამ ფილმებს პოლონური სულის გამოვლინებად მიიჩნევენ. ორივე დიდი წარმატებით სარგებლობს. ამ სურათებიდან ერთ-ერთია "პან თადეუში", რომელიც ანჯეი ვაიდამ ადამ მიცკევიჩის პოეტური ეპოსის მიხედვით დადგა. ფილმი პოლონელი და ფრანგი კინემატოგრაფისტების თანათშრომლობის შედეგია. ეს არის განსაკუთრებული ნაწარმოები, რომლის დიალოგებში შენარჩუნებულია ტრადიციული პოლონური ლექსიკა და, მიუხედავად ამისა, მათ ბუნებრივი ჟღერადობა აქვთ. აქ პროვინციალური "მცირე სამშობლოს" წარმომადგენელთა ბანაკი უთავსდება ნაპოლეონის ეპოქის ბრწყინვალე ევროპულ სცენას. ნაჩვენებია პოლონური ზნე-ჩვეულებები, ლიტვური სოფელი, პარიზული სალონი, - და 1812 წლის ქარიშხალი ევროპაში. ამბობენ, რომ ეპოსიც და ფილმიც მხოლოდ პოლონელებისათვის არის გასაგები, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მათში არის უნივერსალური ხასიათები. ჩვენ, ევროპელები, XXI საუკუნის ზღურბლზე ზუსტად ასე ვგრძნობთ ჩვენს ევროპულობას, - ჩაკირულები როგორც "მცირე სამშობლოს" და ეროვნული კულტურის, ისე ევროპულ ფასეულობათა სამყაროში. ჩვენ საკუთარ სამშობლოში ვართ და, იმავდროულად, - ჩვენ ვართ ევროპაში.

ევროპის გაერთიანება, - ეს არის საფრთხისა და მიღწევათა განუწყვეტელი ბალანსი. ინტეგრაციული სტრუქტურები - ევროკავშირი და ნატო, და ასევე ის, რაც მათ მიერ მიღწეულია მრავალი წლის მანძილზე, - ეს ნამდვილად ისტორიული წარმატებაა. მათ გარეშე სრულიად სხვაგვარი სახე ექნებოდა ევროპის ისტორიას. ევროპული არქიტექტურის "მამა-დამფუძნებლებმა", - ჟან მონემ, რობერტ შუმანმა, ალჩიდე დე გასპერმა, კონრად ადენაუერმა, - ჩვენ

ყველას შეგვიქმნეს შესაძლებლობა, გამოვსულიყავით ევროპული პოლიტიკის ვაკადონური წრიდან, რომელიც გამუდმებით ეძებს მყიფე წონასწორობას ძალთა ბალანსში. მონეტარული კავშირი, უშიშროებისა და იურისდიქციის ერთიანი სივრცის შექმნა, შიდა რეფორმებისათვის მზადება და ასევე გაფართოებისათვის ევროკავშირის მომწიფება ინტეგრაციის პროცესს ახალ განზომილებებს აძლევს. ევროპის გაერთიანების მნიშვნელოვან ეტაპად იქცა ნატოს გაფართოება. იგი იყო დასასრულის ტოლფასი ევროპის დაყოფისა, რომელსაც საწყისი იალტაში მიეცა. ამ ნაბიჯს სხვა, ახალი ნაბიჯები მოჰყვება. გაერთიანებისაკენ მიმართული სტიმული კონტინენტის ორივე მხრიდან მოდის. საერთო ევროპულ წარმატებებში ძალზე მნიშვნელოვანი წვლილია ცენტრალური ევროპის რეგიონალური წარმატებები, - როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური. ცენტრალურ ევროპასა და მის მეზობელ ქვეყნებში ჩამოყალიბდა თვითრეგულირებადი და თვითორგანიზებადი მექანიზმი, რომელიც მყარი და პროგნოზირებადია. ის საკმაოდ ეფექტურია და შეუძლია განმუხტოს დაძაბულობა, კერძოდ, ეთნიკური, რომელიც საშინელებად იქცა ევროპის ზოგიერთ სხვა რეგიონში. მაგალითი უამრავია: პოლონეთ-გერმანიის შერიგება და ასევე პოლონეთ-ლიტვის, პოლონეთ-უკრაინის, ჩეხთა და სლოვაკთა "ხავერდოვანი გაყრა", რუმინეთ-უკრაინის შეთანხმება, უნგრული უმცირესობის მონაწილეობა სლოვაკეთის ხელისუფლებაში. ჩვენ შევქმენით ორგანიზაცია CEFTA - თავისუფალი ვაჭრობის ერთიანი სივრცე. ვცდილობთ რეგიონალური რგოლების თანამშრომლობის გაერთიანებას, რათა შევქმნათ ერთიანი ვაჭვი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე - ცენტრალური ევროპის გავლით. ვადგენთ რა ევროპულ ბალანსს, მის გრაფაში მნიშვნელოვან პუნქტად უნდა შევიტანოთ "ვაიმარის სამკუთხედი". გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის თანამშრომლობა, ანუ ახალი ფაქტორი ევროპულ პოლიტიკაში, რომელიც ახალ ეპოქას ახასიათებს. ეს არის ერთ-ერთი გზა მომავალი ევროპის კეთილდღეობისა და ერთიანობისაკენ. განსაკუთრებით წამახალისებელია ის, რომ დროთა განმავლობაში "ვაიმარის სამკუთხედის" შესაძლებლობანი არა თუ შემცირდება, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კი თანამშრომლობისაკენ გვიბიძგებს. ევროპის აქ ჩამოთვლილმა წარმატებებმა არ უნდა მოადუნოს ჩვენი ყურადღება, რადგანაც, რამდენადაც შთამბეჭდავია მიღწევათა ბალანსი, იმდენად საგანგაშოა საფრთხეთა ჩამონათვალიც. გამოიღვიძეს ჩვენი კონტინენტის წარსულის საშინელმა დემონებმა: ავტორიტარიზმმა, აგრესიულმა ნაციონალიზმმა, ქსენოფობიამ. განსაკუთრებით ტრაგიკული გვერდი - ეს არის ბალკანეთის კონფლიქტები, სადაც ირღვევა როგორც ადამიანის, ისე ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, და სადაც ადგილი აქვს "ეთნიკურ წმენდას" და გენოციდსაც კი. უნდა გვაშფოთებდეს ის ფაქტი, რომ გამოჯეკილ დასავლურ დემოკრატიაშიც კი მხარდაჭერით სარგებლობენ ის პოლიტიკური ძალები, რომელთაც თავიანთ პროგრამაში შეტანილი აქვთ პუნქტი, რომელშიც სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ ზიზღს გამოხატავენ. და, თუმცა, საერთო ვაჭაში, ჩვენი კონტინენტის სტაბილურობა და უსაფრთხოება მტკიცდება, მაგრამ მრავალი ადამიანი გრძნობს, რომ მისი პირადი უსაფრთხოება დაუცველია. გაერთიანების პროცესს თან სდევს ახალი დაყოფების წარმოშობა. დასავლეთის მრავალ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შეიძლება შევხვდეთ ისეთ შეხედულებას, რომ ევროპის ზოგიერთი რეგიონი მზად არ არის ინტეგრაციისათვის. ეს აზრი პოლონეთს სულაც რომ არ ეხებოდეს, მაინც იწვევს ჩვენს დიდ შეშფოთებას. იმასაც ვხედავთ, რომ მრავალ ადამიანს ევროპის განვითარების შესაძლებლობებისადმი რწმენა უსუსტდება. დასავლეთის საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა აზრმა "ევროსკეპტიციზმის" შესახებ და მის მყარ ელემენტად იქცა. თანდათან უფრო ვიუტად ისმის კითხვა: აქვს კი ევროპას იმის შესაძლებლობა, რომ გაუძლოს მსოფლიო კონკურენციას? გააჩნია კი ევროპულ სოციალ-ეკონომიკურ მოდელს ისეთი გამწევი ძალა, რომ ჩვენი მომავალი უზრუნველყოს? მე ვპასუხობ: დიახ! მაგრამ, თუ ევროკავშირში ახალი წევრების მიღების ვადა ძალზე გადაიწევს, მაშინ ამის საპასუხოდ ჩვენს მიერ წამოწყებული ახალი ინიციატივების მიმართ უიმედობა და სასოწარკვეთა გაბატონდებოდა. ეს ტალღა

დასავლეთის "ევროცენტრიზმის" შემხვედრ ტალღასთან ერთად ევროპულ პროექტს არსებით ზიანს მიაყენებდა.

მე აქ ჩემს თავს წარმოვიდგენ, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მილიონობით მცხოვრების წარმომადგენლად. მათ წარმომადგენლად, ვისაც სწამს ევროპის წარმატებები. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ევროპული ცივილიზაციის წინაშე ბრწყინვალე მომავალი იხსნება, ხოლო გაერთიანებული კონტინენტი ყველაზე ეფექტურ პასუხს გასცემს მრავალ სხვადასხვაგვარ კითხვას. დიდი სურვილი გვაქვს, რომ დასავლეთის ქვეყნები ჩვენში ხედავდნენ არა მხოლოდ ევროპულ სტრუქტურებში შესვლის მსურველებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, პარტნიორებს, რომლებიც მათ ეხმარებიან ევროპული კეთილდღეობის მშენებლობაში. ეს არის საკითხი ევროპის ცხოვრებაში სოლიდარობის შესახებ. ზუსტად სოლიდარობის ეს გრძნობა მოითხოვს პოლონეთისაგან, რომ იგი იბრძოდეს ადგილისათვის ევროკავშირში და ასევე ლატვიის, რუმინეთის, ბულგარეთის და ჩვენი კონტინენტის სხვა ქვეყნების ადგილებისათვის, ზოგიერთებისათვის ეს საკითხი ნაადრევია, უადგილოც კი, რადგან მას წამოსწევს ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ თავად არ არის ევროკავშირის წევრი. მაგრამ მე ვთვლი, რომ სახელდობრ ამგვარად ამტკიცებს პოლონეთი, თუ როგორი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდება იგი ევროპულ პროექტს, ვინაიდან ჩვენთვის გაერთიანებული ევროპა მხოლოდ სამაშველო ნავი როდია - რაც უფრო შიგნით შეიჭრები, მით უფრო უკან მოიტოვებ სხვებს. ევროპის გაერთიანება არ შეიძლება მიმდინარეობდეს სხვაგვარად, თუ არა ეტაპობრივად. ამ ეტაპების ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის განჭვრეტა დღეს არავის ხელეწიფება. იმავდროულად, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ევროპა, - ეს არა მეოცნების აბსტრაქტული წარმოდგენაა, რომ იგი სადღაც მთავრდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ XXI საუკუნეში იძულებულები გავხდებით, ვუპასუხოთ რამდენიმე მეტად სერიოზულ კითხვას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხი რუსეთის შესახებ, მისი კავშირების ხასიათის თაობაზე დასავლეთთან, ევროკავშირთან, ნატოსთან, ცენტრალურ ევროპასთან. შეუძლებელია ამ საკითხის მნიშვნელობის შეუფასებლობა. ამის პასუხი, უპირველეს ყოვლისა, თავად რუსეთმა უნდა გასცეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი უკრაინის, მისი სამეურნეო რეფორმების შესახებაც, ანუ იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას მიიღებს იგი. უკრაინის გარეშე ევროპის შესაძლებლობები და უსაფრთხოება სრული არ იქნება. რეალურად დგას ასევე საკითხი თურქეთის მონაწილეობის შესახებ ევროკავშირში.

ევროპა, გახსნილი აღმოსავლეთთან თანამშრომლობისათვის, მათ შორის, მეზობელ აზიურ ქვეყნებთანაც - ეს არის ცივილიზაციის უდიდესი გამოწვევა, რომელსაც, ეჭვგარეშეა, XXI საუკუნე ჩვენ წინაშე დააყენებს. პოლონეთს სურს და შეუძლია მიიღოს ამგვარი გამოწვევები.

ვაჯამებ რა ყოველივე ზემოთქმულს, მსურს გამოვიყენო ჟან მონეს ერთი ფრაზა. მან ბრწყინვალედ განსაზღვრა ევროპული ერთიანობის აზრი: "ჩვენ ვაერთიანებთ არა სახელმწიფოებს, - ჩვენ ვაერთიანებთ ადამიანებს". მეორე შემაჯამებელ იდეად მე სურვილი მაქვს ვაქციო ჩვენი მასპინძლის, ბატონ ტიერ დე მონბრიალის სიტყვები: "თუ XX საუკუნის ისტორიას შეუძლია რაიმე გვასწავლოს, ეს არის რწმენა იმისა, რომ რეალიზმი და იდეალიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავენ". დაე, ეს სიტყვები იქცეს ლოზუნგად, რომლის დახმარებითაც უკეთ ავაშენებთ ევროპულ სახლს.

1999 წლის ნოემბერი
თარგმნა ამბროსი გრიშაშვილმა

სტანისლავ კოზეი

როგორ გავხსნათ ქოლგა

სტანისლავ კოზეი — გენერალი,
პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს
შეიარაღებული ძალების დეპ
არტამენტის დირექტორი

XXI საუკუნის ზღურბლზე ბირთვული სტრატეგიისადმი დიდი ყურადღების მიქცევას ორი უკანასკნელი ფაქტი მოითხოვს. ეს არის ქაშმირის კონფლიქტი პაკისტანსა და ინდოეთს შორის და რუსეთის ახალი სტრატეგიული მიდგომა ბირთვული იარაღის როლისადმი.

გასაგები მიზეზების გამო, ეს პრობლემები არ შეიძლება არ აღელვებდეს პოლონეთს. ვარშავის შეთანხმების ჩარჩოებში ბირთვულ სფეროში პოლიტიკურ-სტრატეგიული გადაწყვეტილებები პოლონეთის მონაწილეობის გარეშე მიიღებოდა. ნატოში პოლონეთის როლი სრულიად საწინააღმდეგოა იმისა, რაც იყო ადრე. ვარშავის ხელშეკრულების ფარგლებში პოლონეთის შეიარაღებული ძალები, იმ უპირატესობით, რომ ისინი ფლობდნენ ტაქტიკურ და ოპერატიულ საშუალებებს, რომელთაც შეეძლოთ ბირთვული იარაღის ტარება, განიხილებოდნენ როგორც შესაბამისი დავალებების პოტენციური შემსრულებელნი. დღეს ჩვენ აღარა გვაქვს ამ ტიპის იარაღის სატრანსპორტო საშუალებები, მაგრამ ჩვენ, მიუხედავად ამისა, უმაღლეს პოლიტიკურ-სტრატეგიულ დონეზე მაქსიმალურად ვღებულობთ მონაწილეობას სამოკავშირეო სისტემის ბირთვულ კონსულტაციებში. ცხადია, პოლონეთის თვალთახედვით პრინციპული მნიშვნელობა აქვს ნატოს ბირთვულ სტრატეგიასა და პოლიტიკას. კავშირის სტრატეგიულ კონცეფციაში ხაზგასმულია, ბირთვული არსენალის უმთავრეს მიზანს აქვს პოლიტიკური ხასიათი და იმას წარმოადგენს, რომ თავიდან აიცილოს ომი, პოტენციალურ მოწინააღმდეგეს ხელი ააღებინოს ძალადობაზე. ამ აზრით, ატომური იარაღიც ასევე კრიზისული რეაგირების ერთ-ერთი სერიოზული საშუალებაა.

ეჭვგარეშეა, ბირთვულ სტრატეგიაში უმთავრეს როლს თამაშობენ ბირთვული სახელმწიფოები, მაგრამ იმისათვის, რომ ეს სტრატეგია ეფექტური იყოს, საჭიროა კავშირის დანარჩენი წევრების და, მათ შორის, ასევე პოლონეთის ფართო მონაწილეობა. რა სახის უნდა იყოს და იქნება ეს მონაწილეობა, რა როლი უნდა ვითამაშოთ კავშირის ატომურ სტრატეგიაში, — ეს, ცხადია, ზუსტი ანალიზისა და სტრატეგიული დამუშავების საკითხია

ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენ გვეგონა, რომ ბირთვული იარაღი გაქრა ანალიტიკოსების, პოლიტიკოსებისა და სტრატეგების თვალთახედვიდან. სტრატეგიული დაშინების მისი ფუნქცია ცივი ომის დასრულებასთან ერთად მეორე პლანზე გადავიდა. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ანტიატომური სტრატეგია, კერძოდ კი, ის საკითხები, რომლებიც ატომური იარაღის არაკონტროლირებადი გავრცელების წინააღმდეგ მოწმედება. მაგრამ წერილის დასაწყისში ნახსენები ქაშმირის კონფლიქტი და ასევე რუსეთის სტრატეგია მოითხოვენ იმას, რომ კვლავ იყოს გამოჩენილი ინტერესი ბირთვული იარაღისადმი, მისი გამოყენების შესაძლებლობისა და შედეგების მიმართ

რისკის ზღურბლი

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდოეთისა და პაკისტანის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის სერიას ის მიზანი ჰქონდა, რომ დაეშინებინა მეორე მხარე კონფლიქტის მორიგი ესკალაციის წინა დღეს. მაგრამ

ამ ჩანაფიქრმა ვერ გაამართლა. ბირთვული იარაღით შეშინება ამ შემთხვევაში არ გამოვიდა. მიუხედავად ამისა, ომი მცირე ხნით გაგრძელდა, მისი სახიფათოდ გავრცელება არ მოხდა. ცხადია, იმ ფაქტმა, რომ ორივე მხარე ფლობს ბირთვულ იარაღს, ამ შემთხვევაში არსებითი როლი ითამაშა, რამეთუ ეს გახდა რისკის გარკვეული ზღურბლი, რომლის იქით გადასვლაც არც ერთმა მხარემ არ მოისურვა

შეიძლება ამის საფუძველზე გავაკეთოთ საერთო დასკვნა, რომ ბირთვული იარაღი არ არის დაშინებისა და ორ ქვეყანას შორის, რომლებიც ამგვარ იარაღს ფლობენ, ომის თავიდან აცილების საკმარისად ეფექტური საშუალება. ან იქნებ სრულიად პირიქით — ასეთი იარაღის არსებობას შეუძლია იქამდე მიგვიყვანოს, რომ მხარეები უფრო ჩვეულებრივ იარაღს აიღებენ ხელთ პოლიტიკური დავების გადასაწყვეტად? ბირთვული იარაღის ფლობა მხარეების ძალებს ათანაბრებს. ბირთვული შურისძიების საფრთხე იძლევა ტოტალური დამარცხებისაგან თავის დაღწევის გარანტიას იმ მოწინააღმდეგესთანაც კი, რომელიც ყველა დანარჩენი მაჩვენებლებით გაცილებით ძლიერია. რა თქმა უნდა, ბირთვული პლურალიზმის სამყაროში ომი არ იქცევა უფრო იშვიათ მოვლენად, ვიდრე წარსულში. არც ის არის აუცილებელი, რომ ომს გაცილებით უფრო ძლიერი მხარე წამოიწყებს. მაგრამ შეიძლება ეს ომები არ იყოს ტოტალური ხასიათის, შეუზღუდავი. ეს უფრო „ქაშმირის ტიპის“ კონფლიქტები იქნება — მცირე მასშტაბის, შეზღუდული, ტრადიციული, რომელთა მიმდინარეობასაც ადგილი ექნება ატომური რისკის დონის ქვევით

რუსეთის პასუხი

სტრატეგიულ ბირთვულ ანალიზში ახალი ეტაპია რუსეთის სტრატეგიული დოქტრინის პრინციპები. შეგახსენებთ, რომ ისინი იძლევიან იმის საშუალებას, რომ ჩვეულებრივი იარაღის გამოყენების საპასუხოდ ნახმარი იქნეს ბირთვული იარაღი (და არა მხოლოდ როგორც შურისძიების სახით ბირთვულ დარტყმაზე, როგორც ეს ადრე იყო დადგენილი). ეს სტრატეგია ითვალისწინებს ასევე მცირე სიმძლავრის ბირთვული ბომბების შეტანას სტრატეგიულ არსენალში. რას შეიძლება ეს ნიშნავდეს? რუსეთი იღებს იმის უფლებას, რომ პირველად გამოიყენოს ბირთვული იარაღი (first use) არა მხოლოდ ფიზიკური აგრესიის წინააღმდეგ (რაკეტული და ავიაციური დარტყმები, ხმელეთიდან თავდასხმა და ა. შ.), არამედ ინფორმაციული აგრესიის წინააღმდეგაც (სახელმწიფოს ხელმძღვანელობისა და შეიარაღებული ძალების მართვის სისტემების დეზორგანიზაცია და მწყობრიდან გამოყვანა)

ასეთია რუსეთის პასუხი დასავლეთის ტექნოლოგიურ უპირატესობაზე, განსაკუთრებით, ეგრეთწოდებულ ზუსტი იარაღისა და საინფორმაციო ომების ტექნიკის სფეროში. ჩვეულებრივი შეიარაღების სისუსტე კომპენსირებული უნდა იქნეს მაღალი საბრძოლო მზადყოფნით და სტრატეგიული ბირთვული არსენალის ეფექტიანობით. ატომური იარაღის პირველად გამოყენების მზადყოფნა, ცხადია, დაშინების, პოტენციური აგრესიის შეჩერების ფაქტორია და, ამდენად, ომის გაჩაღებასაც აღუდგება წინ. ამასთან, ის მიმართულია არა იმდენად დასავლეთის სერიოზული აგრესიის საშიშროების წინააღმდეგ (რაც, სიმართლე რომ ითქვას, რუსეთშიც არავის სჯერა), რამდენადაც საშიშროების სტრატეგიული და არასტრატეგიული ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც გამომდინარეობენ სრულიად სხვა წყაროებიდან. ახალი სტრატეგია, რომელიც ამცირებს ბირთვული რისკის დონეს, ნებისმიერ ომს გაცილებით საშიშად ხდის პოტენციური აგრესიისათვის

საბრძოლო იარაღი

რამდენადმე სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული სტრატეგიული ბირთვული იარაღის მინიატურიზაციის განზრახვა. ეს შეიძლება ნიშნავდეს ტენდენციას, მიმართულს იქითკენ, რომ ატომურ იარაღს მოვეპყრათ არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური დაშინების იარაღს, არამედ ასევე, — როგორც ბრძოლის ველზე საბრძოლო იარაღს. შეგახსენებთ, რომ 80-იანი წლების დასაწყისში უპირატესობით სარგებლობდა მიდგომა, რომ ატომური იარაღი ბირთვულ მოწინააღმდეგესთან არის, არსებითად,

ანტი-იარაღი, რამდენადაც მისი პრაქტიკული გამოყენება გამოიწვევდა მოწინააღმდეგე მხარის რეტორსიის შედეგად, იმის განადგურებას, ვინც გაბედავდა მის გამოყენებას. შესაბამისად, ასეთი იარაღი უფრო თვითმკვლელობის იარაღია, ვიდრე საბრძოლო დავალების შესრულების გონივრული საშუალება. ამიტომ შეიძლება მისი განხილვა როგორც მხოლოდ დაშინებისა და შეკავების იარაღის, ე. ი. როგორც პოლიტიკური და არა საბრძოლო საშუალება. სტრატეგიული ბირთვული იარაღის მინიატურიზაცია ცვლის ასეთ მიდგომას, რამდენადაც იგი ვარაუდობს ბირთვული იარაღის შერჩევითი, შეზღუდული გამოყენების შესაძლებლობას

ასეთი კონცეფცია, ცხადია, წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელიც დადებითად მოქმედებს რუსეთის სტრატეგიული აქტების ზრდაზე. ჯერ ერთი, იზრდება დაშინების დამატებითი კოზირები, კოზირები ისეთი იძულებითი პოლიტიკისათვის, რომელიც შეესაბამება რუსეთის ინტერესებს. დაბოლოს, მესამე, ისეთ მოწინააღმდეგესთან ომის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნია ბირთვული შეიარაღება, ასეთი კონცეფცია მას მისცემს შესაძლებლობას მოიპოვოს გამარჯვება დიდმასშტაბიანი და ხანგრძლივი, შესაბამისად, ნაკლებხარჯიანი ომის შედეგად, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნება მხოლოდ ჩვეულებრივი შეიარაღება

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სტრატეგია რუსეთს აძლევს დიდ თავისუფლებას, ნებას იმისას, რომ წავიდეს პრობლემის სამხედრო გადაწყვეტის გზით შესაძლო კონფრონტაციის დროს ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც თავის არსენალში ბირთვული იარაღი არ გააჩნია. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ბირთვული იარაღის პრექტიკული გამოყეიებისა და ბირთვული ომის წამოწყების მუქარას გაცილებით რეალურს ხდის, ვიდრე ადრე. ცხადია, რუსეთის მიერ ახალი სტრატეგიის მიღების შედეგად მსოფლიო მთლიანობაში უფრო უსაფრთხო ვერ გახდება

დენთის კასრზე დაბრუნება

სტრატეგიული ბირთვული იარაღის მინიატურიზაცია ვერ შეცვლის შეიარაღების ზუსტ სახეებს. მეორე ატომურ სახელმწიფოსთან შესაძლო კონფრონტაციის დროს მინიატურული ბირთვული იარაღის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში განხილული იქნება, როგორც ბირთვული თავდასხმა, — აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. ასეთ სიტუაციაში მცირე სიმძლავრის სტრატეგიული ბირთვული იარაღი იქნება ასევე მხოლოდ დაშინების პოლიტიკური საშუალება და არა საბრძოლო იარაღი. ამასთან, ასეთ იარაღს მოჰყვება დამატებითი რისკი იმ მხარეებს შორის შესაძლო კონფრონტაციის დროს, რომელთაც ბირთვული იარაღი გააჩნიათ. ამ რისკის საწყისი იმაშია, რომ შეუძლებელია გამოირიცხოს ცდუნება: ასეთ შემთხვევაში შედარებით ადვილი გადასაწყვეტი იქნება მინიატურული ბირთვული იარაღის გამოყენება იმ იმედით, რომ იქნებ მეორე მხარე მაინც არ უპასუხებს მასირებული ატომური დაბომბვით, და უფრო დამთმობი გახდება. საქმე უფრო გართულდება იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარეს ექნება ასეთი იარაღი, რაც სავსებით არ არის გამორიცხული. ასეთ შემთხვევაში, — ბირთვული რისკის ზღურბლის რადიკალური შემცირების გამო, ბირთვული ომის საფრთხე, რომელიც შეიძლება სწრაფად და შეუფერხებლად გადაიზარდოს გლობალურ კატაკლიზმებში, მნიშვნელოვნად იზრდება

არსებითად, ჩვენ ვუბრუნდებით სიტუაციას, რომელიც ანალოგიურია პერიოდისა, როდესაც ევროპული კონტინენტი გაჯერებული იყო უდიდესი რაოდენობის სხვადასხვა, მათ შორის, ძალიან მცირე სიმძლავრის ტაქტიკური და ოპერატიული ბირთვული იარაღით. ასეთი დენთის კასრზე ცხოვრება სრულიადაც არ იყო უსაფრთხო. ძალიან დიდი ძალისხმევა იყო გაწეული მის გასაუვნებელსაყოფად და, ცხადია, გონივრული როდი იქნება მისი კვლავ გატენა დენთით, ახლა უკვე სტრატეგიულ დონეზე. ზუსტად ამაშია უმთავრესი საშიშროება, რომელიც რუსეთის ახალი ატომური სტრატეგიიდან გამომდინარეობს. საშიშროება, რომელიც ძალზე გამოწვლილვით უნდა იქნეს გაანალიზებული და გათვალისწინებული საკუთარ — მოკავშირე თუ ეროვნულ სტრატეგიულ გეგმებსა და კონცეფციებში

თარგმნა ამბროსი გრიშიაშვილმა

ვიქტორ კულერსკი

(ზოგიერთი) მიმდინარე მოვლენების ქრონიკა

2001 –ის იანვარ – სექტემბერი

• „პოლონეთის დამოუკიდებლობის 1989 - 1999 ათწლეულის წიგნი" უსასყიდლოდ შექმნილი 369 ავტორის, 378 ფოტოგრაფისა და 30 გრაფიკოსის მიერ, 177 დაწესებულების არქივების გამოყენებით, ითელის 1143 გვერდს, რომლებზეც განთავსებულია 415 სტატია და 4283 ილუსტრაცია. მთლიანობაში 11 კგ-ზე მეტს იწონის. „გვსურდა გვეჩვენებინა გასული ათწლეულის ბრწყინვალება და ჩრდილები, როგორც ჰაგიოგრაფიის ასევე პესიმიზმის გარეშე" – თქვა ვალდემერ კუჩინსკიმ, წიგნის იდეის ავტორმა და რედაქტორმა. წიგნი დაფინანსდა კერძო სპონსორების მიერ. პირველ სამ ათას ეგზემპლარს მიიღებენ სკოლები და ბიბლიოთეკები. წიგნის პროტოტიპი იყო 1929 წ. გამოცემული „აღორძინებული პოლონეთის 1918 - 1928 ათწლეულის წიგნი" („ ვპროსტ ", 25 თებერვალი 2001).

• მთავარი სტატისტიკური სამმართველოს თანახმად 2000 წელს ინფლაციამ 8,5 % შეადგინა – ყველაზე მცირე III რესპუბლიკის ისტორიაში („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 28 იანვარი 2001).

• 2001 წლის თებერვალში წლიურ სკალაზე გადაანგარიშებული ინფლაცია 6,6 %-მდე ეცემა („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 25 მარტი 2001).

• „ პოლონელებს დიდი ხარჯები აქვთ. ჩვენი სამხრეთელი მეზობლები თუმცა ნაკლებს იღებენ, მაგრამ მათი საერთო ეროვნული შემოსავალი ჩვენსაზე მეტია [. . .] ევროპის კავშირის წევრობა ნიშნავს სიმდიდრის, კაპიტალის, ხალხის, ტექნოლოგიების თავისუფალ დინებას. თუ გვინდა, რომ ეს რეგრესითა და უმუშევრობით არ დამთავრდეს, დღესვე უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ფირმების კონკურენტუნარიანობისათვის " – აცხადებს ფინანსთა მინისტრი იაროსლავ ბაუცი („ გაზეტა ვიბორჩა ", 10 - 11 მარტი 2001).

• 2000 წ. საშუალო ხარჯები ბრუტოთი 11 %-მდე გაიზარდა („ ვპროსტ ", 28 იანვარი 2001).

• შემოსავლების ზრდამ პოლონეთსა და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში გამოიწვია ის, რომ დასავლეთში სამუშაოდ გამგზავრება აღარ არის ხელსაყრელი. გერმანელი გლეხებიც კი, რომლებიც სარგებლობდნენ პოლონელების დახმარებით, იძულებული არიან ეძებონ სამუშაოს მსურველები. გერმანიის მიერ მიღებული ოცი ათასი უცხოელი ინფორმატისტის დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებითაც კი მხოლოდ ასიოდე პოლონელმა თუ ისარგებლა („ ვპროსტ ", 28 იანვარი 2001).

• მთავარი სტატისტიკური სამმართველოს თანახმად 2001 წ. იანვრისათვის უმუშევრობამ პოლონეთში 15,7 % მიაღწია. 2,8 მილიონზე მეტი პოლონელი უმუშევრად რჩება. მათმა უდიდესმა უმრავლესობამ უკვე დაკარგა დახმარებაზე უფლება. ყველაზე დიდ ჯგუფს 24 წლის ასაკამდე ახალგაზრდები შეადგენენ. უმუშევრების 44 % (1,2 მილიონი) სოფლების მაცხოვრებლებია. უმუშევრების 70 % საშუალო განათლების არმქონე პირებია. უმაღლესი განათლების მქონენი მთელი უმუშევრების 2,6 %-ს შეადგენენ („ უეჩპოსპოლიტა ", 21 თებერვალი 2001).

• პროფკავშირები მეწარმეებისათვის მორიგი ვალდებულებების დაკისრებას მოითხოვენ და ისინი თავისას კვლავ აღწევენ, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა მხოლოდ

ერთ მეექვსედს წარმოადგენენ. კერძო საწარმოებში, სადაც ხშირად წილი აქვს სახელმწიფო ხაზინას, პროფკავშირები მთელი მომუშავე პერსონალის ერთ მეათედს ძლივს აღწევენ. კერძო ფირმებში დასაქმებულთა შორის პროფკავშირის წევრების რიცხვი 2 %- ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, თუ 1990 წ. ქვეყანაში 250 გაფიცვა იყო, 1999 წ. – უკვე 920. პროფკავშირებს მათი წონისათვის შეუსატყვისი ძალაუფლება გააჩნიათ („ ვპროსტ ", 11 მარტი 2001).

• სეიმმა სამუშაო კვირა 2002 წლისათვის 41 საათამდე, ხოლო 2003 წლიდან 40 საათამდე შეამცირა („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 11 მარტი 2001).

• ეკონომიკის განვითარებამ გამოძახილი ჰპოვა დასქმების ბაზარზე. თებერვალში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 41 ათასით და 2,87 მილიონს გადააჭარბა. უმუშევრობის ნიშნული გაიზარდა და 15,8 %-ს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ფირმების ფინანსური შედეგები 2000 წ. უკეთესი იყო წინა წელთან შედარებით. ფირმების ინვესტიციური ხარჯები 2 %-ით ძლივს გაიზარდა. ინვესტირებას ახდენენ ძირითადად დიდი ფირმები, რომლებსაც ათას კაცზე მეტ ჰყავთ დასაქმებული. ინვესტიციების 80 % ფირმების თითქმის ერთ მეხუთედზე მოდის. გასულ წელს, კლებადი მოთხოვნილების პირობებში, ქვეყანაში ექსპორტი გაიზარდა 15,5 %-ით, ხოლო იმპორტი მხოლოდ 6,6 % - ით. საზღვარგარეთ ვაჭრობის დეფიციტი შემცირდა 2,1 მილიარდი დოლარით. ეს ტენდენციები არ შეცვლილა 2001 წლის იანვარ – თებერვალში („ გაზეტა ვიბორჩა ", 22 მარტი 2001).

• ეკონომიური ვარდნა, ანუ ზრდის ტემპის დროებითი კლება არაფერს უჩვეულოს არ წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაში. ეს განმწმენდი ვარდნა პოლონეთს დიდი ხნის წინ უნდა გაევლო. 1999 წ. ბოლოს, როცა მიმდინარე ბრუნვათა დეფიციტმა 8 %-ს მიაღწია, უკეთესი იქნებოდა ზრდის ტემპის დროებითი შენელება. უფრო რთული პირობები აიძულებენ პოლონურ ფირმებს გააუმჯობესონ ორგანიზაცია, ხარისხი, უფრო მრავალფეროვანი გახადონ წინადადებები და ეძებონ ახალი ბაზრები. ბევრი იმათგანი, ვინც დღევანდელ არახელსაყრელ სიტუაციას გადაურჩება, მომავალ გამოცდაზე ჩაიჭრება – ვერ გაუძლებს დაპირისპირებას ევროკავშირელ კონკურენტებთან. გზას მხოლოდ საუკეთესონი გააგრძელებენ. ამ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ უმუშევრობის პრობლემაზე პოლონეთში, მაგრამ მიჩუმათებულია ყველაზე უარესი რამ – სამუშაოსადმი გულაცრუება და მისი დაბალი მწარმოებლობა – ევროკავშირის საშუალო მწარმოებლობის 21 %-იც კი არა. 1999 - 2000 წლების მისი 53 % - იანი გაუმჯობესება გამოწვეული იყო მოსამსახურე პერსონალის უკეთესი შერჩევით. საერთო ეროვნული შემოსავლის 45 %-ით გაიზარდას მივაღწიეთ მოსამსახურეთა რიცხვის 5 %-ით შემცირებით. საწარმოები, რომლებიც შესძლებენ განახორციელონ ცვლილებები და მოერგონ უარეს გარემოებებს, მომავალ, სავარაუდო რთულ პერიოდებსაც გაუძლებენ („ ვპროსტ ", 5 მარტი 2001).

• ლეშეკ ბალცეროვიჩის აზრით „პოლონეთში უმუშევრობის ზრდის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დემოგრაფიულ პიკს თან ახლავს ძლიერი დაბრკოლებები ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. საკუთრივ პიკი ჩვენი უდიდესი კოზირი იქნებოდა, გააძლიერებდა ჩვენს განვითარებას, თუკი ისეთი დაბრკოლებები არ იარსებებდნენ, როგორებიცაა შეზღუდვები შრომის კანონმდებლობაში და სხვა ბიუროკრატიული სიძნელეები, რომლებიც აძნელებენ მეწარმეობის განვითარებას, განსაკუთრებით მცირე მეწარმეობის. პოლიტიკა მოჩვენებით არის პროსოციალური, სინამდვილეში კი მეწარმეები ჰყავს მიზანში ამოღებული [. . .] კრიზისის საფრთხე სერიოზულად მცირდება, მეტწილად ზოგიერთი პოლიტიკოსისაგან გაკრიტიკებული მონეტარული პოლიტიკის გამო. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია თქვას, რომ ეკონომიკურად სავსებით დაცულია. ბრძოლას სტაბილური და ჯანსაღი განვითარებისათვის არასოდეს ექნება დასასრული. პოლონეთში ასეთი განვითარების გასაღები საზოგადოებრივი ფინანსების უფრო სწრაფ გაწონასწორებაში და სტრუქტურული რეფორმების დასრულებაში მდგომარეობს " („ გაზეტა ვიბორჩა ", 26 მარტი 2001).

• „ ბალცეროვიჩის მიერ შემოთავაზებული გადასახადთა რეფორმის [პროპორციული გადასახადების თანდათანობითი შემოღება] უკუგდებით ჩვენ ერთ ადგილზე გავიყინეთ, სხვა დანარჩენებმა კი წინ გასწიეს " („ ვპროსტ ", 25 მარტი 2001).

• როგორც საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის გამოკვლევებიდან გამომდინარეობს - პოლონელების 48 % რეპრივატიზაციის მომხრეა, ხოლო 38 % წინააღმდეგია („ უეჩპოსპოლიტა ", 23 მარტი 2001).

• პოლონეთში რეპრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ სასამართლოებმა და არა პარლამენტმა – ასეთი იყო პრეზიდენტ ალექსანდრე კვაშნევსკის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, როცა ვეტო დაადო რეპრივატიზაციის კანონს. პრეზიდენტის აზრით სეიმისეული კანონი პოლონელთა ისეთ ძირეულ ინტერესს ემუქრება, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარება. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ კანონში გათვალისწინებული ქონების დაბრუნების მექანიზმი უპირისპირდება საზოგადოებრივ სამართლიანობასა და მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობას („ უეჩპოსპოლიტა ", 23 მარტი 2001).

• დეპუტატ ანჯეი ველოვეისკის (თავისუფლების კავშირი) აზრით, „ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სეიმისაგან მოწონებულ რეპრივატიზაციის კანონზე ვეტოს დადება არის [...] უბრალოდ დაბრუნება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, სრული იმდროინდელი ადამიანებისადმი მიყენებული უსამართლობების უგულველყოფით, კერძო საკუთრების პრინციპის დარღვევა [. . .] პოლონელი მემარცხენეების სირცხვილია [. . .] მაგრამ არც მემარჯვენეებს აქვთ საამაყოდ საქმე [. . .] ებრაელი ეროვნების პოლონელი მოქალაქეების მემკვიდრეების გამორიცხვა კანონის მოქმედების სფეროდან გამაოგნებელი რამ არის. ჩვენს მორალურ უწიგნურებაზე მეტყველებს. დღევანდელი პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ომამდე მცხოვრები დაახლოებით 2,5 მილიონიანი ებრაელობის ქონების უდიდესი ნაწილი ხომ, მიუხედავად განადგურებისა და გერმანელი ოკუპანტების მიერ დატაცებისა, პოლონელების ხელში გადავიდა. ხომ ჩვენ დავიკავეთ დახოცილი ებრაელების ბინები და სამუშაო ადგილები [. . .] სერიოზულ შანსს ვუშვებთ ხელიდან, რომ გავხდეთ ნორმალური საზოგადოება, როგორც სამართლებრივი ასევე მორალური თვალსაზრისით " („ უეჩპოსპოლიტა ", 24 – 25 მარტი 2001).

• პოლონელების 55 % ევროკავშირში გაერთიანების მომხრეა, ხოლო 30 % – წინააღმდეგია – ასეთია საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის გამოკვლევის შედეგები („ გაზეტა ვიბორჩა ", 16 მარტი 2001).

• პირდაპირმა საზღვარგარეთულმა ინვესტიციებმა პოლონეთში 2000 წ. 9,3 მილიარდ დოლარს მიაღწია (6,3 მილიარდთან შედარებით 1999 წ.) – აცხადებს პოლონეთის ეროვნული ბანკი („ ვპროსტ ", 11 მარტი 2001).

• ევროპულმა კომისიამ შესთავაზა ევროსაბჭოს დაასრულოს მოლაპარაკებები პოლონეთთან სასაზღვრო კავშირის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ბრიუსელის აზრით, პოლონელ მესაზღვრეებს უნარი შესწევთ გააკონტროლონ ევროსაბჭოს მომავალი, 1100 კმ-ზე მეტი სიგრძის, აღმოსავლეთ საზღვარი – რუსეთთან, ბელორუსეთთან და უკრაინასთან („ უეჩპოსპოლიტა ", 9 მარტი 2001).

• სასაზღვრო სამსახურის წილი საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 29 %-დან 32 %-მდე გაიზარდა. კონტრაბანდის გამოვლენის შედეგიანობა უკანასკნელ წელს 30 %-ით გაიზარდა („ ვპროსტ ", 28 იანვარი 2001).

• იმ ოც ქვეყანას შორის, რომლებსაც ევროკავშირში გაერთიანება სურთ, პოლონეთი ყველაზე მეტად აჯანჯლებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ევროპული კანონის მიღებას, და ისევე როგორც თურქეთს, არავითარი პროგრესისათვის არ მიუღწევია ამ საქმეში – გვაფრთხილებს ევროპის კომისია („ გაზეტა ვიბორჩა " და „ უეჩპოსპოლიტა ", 7 - 8 აპრილი 2001).

• პარლამენტში ერთი დეპუტატის მიერ წარმოდგენილი მოქალაქეების რიცხვი პოლონეთში შეადგენს 82,5 ათასს, საფრანგეთში – 93,0 ათასს, გერმანიაში – 116,0 ათასს. ადგილების საშუალო რიცხვი ერთპალატიან პარლამენტში ან ორპალატიანის ქვედა პალატაში დასავლეთ ევროპაში შეადგენს 238 ადგილს, აღმოსავლეთ ევროპაში და დსთ-ში – 188 ადგილს. პოლონეთში კი 460 ადგილია („უეჩპოსპოლიტა", 26 მარტი 2001).

• პარლამენტში წარმოდგენილი ძირითადი პარტიები ჯამში 350 ათას წევრს ითვლიან, მათ შორის „ აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩ "- ის შემადგენლობაში შემავალ პარტიებს ჰყავთ: კონსერვატორულ - სახალხო პარტია – 18 ათასი წევრი, 27 დეპუტატი პარლამენტში და 2500 თვითმმართველობის ორგანოებში; პოლონელ ქრისტიან დემოკრატთა თანხმობა – 10 ათასი წევრი, 24 პარლამენტში და დაახლოებით 400 თვითმმართველობაში; ქრისტიანულ - ეროვნული გაერთიანება – 18 ათასი წევრი და 21 დეპუტატი; საზოგადოებრივი მოძრაობა აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩ – 40 ათასი წევრი, 100 დეპუტატი და 3 ათასი თვითმმართველობაში. მემარცხენე დემოკრატიული კავშირი ითვლის 101 წევრს, ჰყავს 161 პარლამენტის დეპუტატი, 32 სენატორი და 8 ათასი თვითმმართველობაში. თავისუფლების კავშირს ჰყავს 20 ათასზე მეტი წევრი, 53 პარლამენტში და 1,5 ათასზე მეტი თვითმმართველობაში. პოლონეთის სახალხო პარტია – 140 ათასი წევრი, 26 დეპუტატი, 9 ათასი თვითმმართველობაში („ უეჩპოსპოლიტა ", 30 იანვარი 2001).

• ანჯეი ოლეხოვსკიმ (ალექსანდრე კვაშნიევსკის უპარტიო კონტრკანდიდატი უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნებში), მაჩეი პლაჟინსკიმ (სენატის მარშალი, გამოვიდა აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩიდან) და დონალდ ტუსკმა (სენატის ვიცემარშალი, გამოვიდა თავისუფლების კავშირიდან) შექმნეს ახალი გაერთიანება – „ მოქალაქეობრივი პლატფორმა ", რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ პარტიად უნდა გადაკეთდეს („ გაზეტა ვიბორჩა ", 20 – 21 იანვარი 2001).

• ასევე ახალწარმოქმნილ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს „ საზოგადოებრივი კომიტეტი კანონი და სამართალი ". ერთ - ერთი ინიციატორი არის იაროსლავ კაჩინსკი. მისი ძმა ლეხ კაჩინსკი იუსტიციის მინისტრია და ჯერჯერობით კომიტეტში არ შესულა. კომიტეტს მიზნად აქვს პოლონელი მემარჯვენეების გარდაქმნა („ უეჩპოსპოლიტა ", 22 მარტი 2001).

• მემარჯვენეთა კავშირი ეს კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური პარტიაა შექმნილი აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩში შემავალი პოლიტიკოსების ჯგუფის მიერ. ახალი პარტიის სათავეში დგას კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრი კაზიმიეჟ უიაზდოვსკი („ გაზეტა ვიბორჩა ", 27 მარტი 2001).

• საპარლამენტო არჩევნები 2001 წლის მარტში რომ ჩატარებულიყო, მონაწილეთა 44 % ხმას მისცემდა მემარცხენე დემოკრატიული კავშირის კოალიციას შრომის კავშირთან; 12 % - მოქალაქეობრივ პლატფორმას; 9 % - ხელისუფლებაში მყოფ აქცია ვიბორჩა სოლიდარნიშჩს; 7 % - პოლონეთის სახალხო პარტიას; 6 % - თავისუფლების კავშირს. გამოკითხვა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრმა 2001 წლის 2–5 მარტს („ უეჩპოსპოლიტა ", 10 - 11 მარტი 2001).

• პოლონეთში პარტიები სუსტადაა ფესვგადგმული [. . .] პოლონელები თავს არ იკლავენ პარტიის წევრობისათვის და მათთვის ხმის მისაცემად. საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებში სულ უფრო და უფრო ნაკლებია ამომრჩეველთა აქტიურობა [. . .] ყოფითი ცნობიერების დონეზე პოლიტიკოსი ასოცირდება ყველაზე უარესთან: ანგარებასთან, კორუფციასა და დაუსჯელობასთან ." – ამტკიცებს სოციოლოგი ინკა სლოდკოვსკა („უეჩპოსპოლიტა ", 30 იანვარი 2001).

• საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის ცენტრის ანალიზის მიხედვით ყველაზე მეტად პოპულარულნი პოლიტიკოსთა შორის არიან: პრეზიდენტი ალექსანდერ კვაშნიევსკი – 78 % უცხადებს ნდობას; იუსტიციის მინისტრი ლეხ კაჩინსკი – 67 %; იაცეკ კურონი – 65 %; ანჯეი ოლეხოვსკი – 56 %; იაროსლავ კალინოვსკი (პოლონეთის სახალხო პარტიის თავმჯდომარე) – 54 % („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 3 მარტი 2001).

• იუსტიციის მინისტრმა ლეხ კაჩინსკიმ ბევრი ზეპარტიული სტრუქტურები და საქმეები დაშალა. დაარტყა პოლონურ მაფიურ სტრუქტურებსაც, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სპეცსამსახურების ოფიცრები, მეორე რიგს ქმნიდნენ მათ მიერ შანტაჟირებული პოლიტიკოსები, მოხელეებიები, პოლიციის ჩინოსნები, მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლები, ხოლო მესამეს - ქმნიდნენ ჩრდილოვანი სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც მოკლე დროში გახდნენ მეწარმეები, პარლამენტარისტები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები. გამოძიების ცენტრალურ ბიუროში ამბობენ, რომ დაქირავებული მკვლელების წრეში გაჩნდა კონტრაქტი „ მართლმსაჯულების სისტემის მაღალი თანამდებობის პირზე ". ბევრი რამ მიუთითებს, რომ ლაპარაკი მინისტრ კაჩინსკის შესახებ უნდა იყოს („ ვპროსტ ", 11 მარტი 2001).

• III რესპუბლიკის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ყოფილი მინისტრი ციხეში აღმოჩნდა. გდანსკის რაიონულმა სასამართლომ დაპატიმრების დადგენილება გამოუტანა ვაცლავ ნიევიაროვსკის, რომელიც ხელმძღვანელობდა მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროს. პროკურატურა ყოფილ მინისტრს ქრთამის აღებაში სდებს ბრალს („უეჩპოსპოლიტა ", 1 თებერვალი 2001).

• კორუპციაში ედება ბრალი აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩის დეპუტატს, კაჟიმიეჟ პოზნანსკის. ვარშავის საოლქო პროკურატურამ იუსტიციის მინისტრს მიმართა შუამდგომლობით, რათა ამ უკანასკნელმა დეპუტატის ხელშეუხებლობის მოხსნა სთხოვოს სეიმს. მინისტრის მხრიდან თანხმობის გამოცხადების შემდეგ დეპუტატმა თავად სთქვა უარი იმუნიტეტზე („ გაზეტა ვიბორჩა ", 28 თებერვალი 2001).

• ვარშავის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება საქმეზე პრეზიდენტ ლეხ ვალენსას კანცელარიის თანამშრომლების მიერ დამნაშავის შეწყალების მიზნით ქრთამის აღების თაობაზე („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 25 თებერვალი 2001).

• პოლონეთში დაახლოებით რვა ათასი მოსამართლეა. დისციპლინარულ სასამართლოში შეტანილია 110 განაცხადი. განხილულია 52 საქმე. 17 მოსამართლეს მიესაჯა დისციპლინარული სასჯელი. 3 მოსამართლე დათხოვნილი იქნა სამსახურიდან. დისციპლინარულმა სასამართლომ ნება დართო 5 მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საქმის აღძვრაზე („ უეჩპოსპოლიტა ", 5 მარტი 2001).

• მსოფლიო ბანკის მოხსენება პოლონეთის თემაზე მოსამართლეებს მოიხსენიებს, როგორც კორუპციისადმი ერთ - ერთ ყველაზე მიდრეკილ ჯგუფს [. . .] პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დაცემის შემდეგ მოსამართლეებს არ გაუვლიათ ატესტაცია [.. .] ამჟამინდელმა სიტუაციამ აჩვენა, თუ რაოდენ უსაფუძვლო იყო მოლოდინი იმისა, რომ მოსამართლეთა წრე ბუნებრივ თვითგანწმენდას დაექვემდებარებოდა – სწერს ბრონისლავ ვილდშტეინი („ უეჩპოსპოლიტა ", 20 თებერვალი 2001).

• 2001 წლის 4 თებერვლიდან ქრთამის მიცემა, მიცემის მცდელობა ან აღება ისჯება ექვსი თვიდან რვა წლამდე პატიმრობით. განსაკუთრებულად დიდი თანხების შემთხვევაში სასჯელი შეიძლება 12 წლამდე განისაზღვროს. გასულ წელს სასამართლოებმა განიხილეს 300-ზე მეტი კორუფციული საქმე, აქედან 250 პიროვნებას სასჯელი მიესაჯა ქრთამის მიცემისათვის, ხოლო 80–ს – აღებისათვის („ უეჩპოსპოლიტა ", 3 – 4 თებერვალი 2001).

• პოლონელების 86 % მხარს უჭერს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კორუფციის მამხილებელ ჟურნალისტიკას – ასეთია საზოგადოებრივ გამოკვლევათა სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები („ უეჩპოსპოლიტა ", 19 იანვარი 2001).

• „ თვითმმართველობასთან დიდი იმედები იყო დაკავშირებული [. . .] მაგრამ დროთა განმავლობაში, თვითმმართველობა გადაიქცა პოლიტიკურ ბრძოლათა არენად. საზოგადო მოღვაწეებმა წააგეს ბრძოლა პოლიტიკოსებთან. თვითმმართველობის აპარატი [. . .] წარმოუდგენელად გაიზარდა [. . .] ნამდვილი თვითმმართველობისაგან მხოლოდ მოგონებანი ღა დარჩა. ამასთან უზარმაზარი თანხა განიავდა – მივლინებებზე, ხელფასებზე, ოფისებზე, სამსახურეობრივ მანქანებზე" – წერს ქშიშტოფ გოტესმანი („უეჩპოსპოლიტა", 15 თებერვალი 2001).

• სეიმმა შეცვალა კანონი თვითმმართველობის შესახებ. 2002 წ. ერთი მეოთხედით შემცირდება თვითმმართველობაში დეპუტატების რიცხვი, თვითმმართველობის ორგანოების სხდომები ღია იქნება მოქალაქეებისათვის, ხოლო დეპუტატებს არ ექნებათ უფლება პარლამენტარისტის ფუნქციები შეითავსონ („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 25 თებერვალი 2001).

• სტეფან ბრატკოვსკის აზრით ადგილობრივი გაზეთები სათანადოდ არაა დაფასებული: „ პოლონეთში გამოდის ოთხი ათასზე მეტი ასეთი გაზეთი; ისინი სწერენ არა მხოლოდ დანაშაულებსა და წარუმატებლობების შესახებ არამედ იმაზეც თუ ვინ რისი გაკეთება შესძლო. ისინი გადმოსცემენ თავიანთი გარემოცვის მიმდინარე ცხოვრების შესახებ. წარმოადგენენ რეალურ ძალას, რამდენადაც ამ ოთხ ათასზე მეტ დასახელებას ჯამში დაახლოებით ათი მილიონიანი ტირაჟი აქვს. უზარმაზარი პროცენტი უფასოდ ვრცელდება [. . .] იქ სადაც საქმე გვაქვს ძლიერ ადგილობრივ გაზეთებთან საზოგადოებრივი ცნობიერება სხვანაირად ფორმირდება. ყველაზე უფრო ცუდად გვაქვს საქმე ქალაქებში, რომლებშიც ვრცელდება მრავალტირაჟიანი საერთო საქალაქო გაზეთები („ ახალი წიგნები ", 3 / 985 , მარტი 2001).

• კონტროლის უმაღლესმა პალატამ შეამოწმა გმინების მიერ 1990 - 99 წლებში ჩატარებული კომუნალური საწარმოების პრივატიზაციის მიმდინარეობა. გმინების სამ მეოთხედში პრივატიზაცია არასწორად ჩატარდა, ხოლო ყოველ მეორე გმინაში – კანონის დარღვევით. ამიტომ 86 შემოწმებული გმინის ბიუჯეტში საერთო ჯამში გადაირიცხა 15,8 მილიონი ზლოტით ნაკლები და კანონის დარღვევით გაიცა 5,7 მილიონი ზლოტი. მიუხედავად ამისა 86 შემოწმებულმა გმინამ ორას ათი კომუნალური საწარმოს პრივატიზაციაზე ჯამში გააკეთა დაახლოებით 230 მილიონი ზლოტი („უეჩპოსპოლიტა ", 19 იანვარი 2001).

• პოლონეთის დიდ ქალაქებში თითქმის ათასი კომუნალური ან სახელმწიფო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ყალბი ანდერძებისა თუ ჩაწყობილი აუქციონების გამოყენებით ხელთ იგდეს ავაზაკთა ჯგუფებმა. პროცედურაში მონაწილეობას იღებდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, ნოტარიუსები, საქალაქო დაწესებულებათა მოხელეები, და ყოფილი სამხარეო პოლიციის კომენდანტიც კი („ ვპროსტ ", 4 თებერვალი 2001).

• სამოქალაქო სამსახურის წესდების მიხედვით „პოლიტიკურად მგრძობიარე" თანამდეობათა საერთო რიცხვი სამინისტროებში, ცენტრალურ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციებში არ აღემატება 1,7ათასს. მაგრამ პრაქტიკულად დაახლოებით 90 ათასი თანამდებობა ექვემდებარება იმ პარტიის რეკომენდაციას, რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში. ეს თხუთმეტჯერ უფრო მეტია ვიდრე აშშ. ამ საქმეში მიღწეული იქნა, პოლონეთის ცხოვრებისათვის უჩვეულო, კონსენსუსი. ძველი მონოპარტიული ნომენკლატურა შესცვალა მულტინომენკლატურულმა სისტემამ, რომელშიც თითოეული პარტია ცდილობს მიიღოს თანამდეობათა გარკვეული ფონდი – შეფასებას იძლევა სამოქალაქო სამსახურის შეფი იან პასტვა („ ვპროსტ ", 1 აპრილი 2001).

• პოლონელების 71 % ნდობას უცხადებს კათოლიკურ ეკლესიას; 26 % არ ენდობა მას; 62 % სთვლის, რომ ეკლესიის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ზედმეტად დიდია; 30 %-ს კი მიაჩნია, რომ ისეთია როგორიც უნდა იყოს („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 28 იანვარი 2001).

• „ ამჟამად უფრო ნაკლები ადამიანი აცხადებს აქტიურ რელიგიურობას ვიდრე 1988 წ. 10 %-ით დაეცა იმ ახალგაზრდათა რიცხვი, რომლებიც მორწმუნეებად სთვლიან საკუთარ თავს [. . .] ჩვენს საზოგადოებაში ვრცელდება ცხოვრების დასავლური წესი, უფრო მატერიალისტური, ხოლო მორალურ სფეროში – ეთიკური რელატივიზმი [. . .] გაიზარდა აბორტებისა და განქორწინების მომხრეთა რიცხვი [. . .] 1988 წ. გოგონების 35 % და ვაჟების 46 %-სათვის იყო მისაღები ანტიკონცეპციული საშუალებები, ათი წლის შემდეგ მათი რიცხვი გოგონების 70 % -სა და ვაჟების 66 %-ზე მეტია " – აცხადებს კათოლიკური ეკლესიის სტატისტიკის ინსტიტუტის ვიცედირექტორი ქს.სტანისლავ ზარემბა („ჟეჩპოსპოლიტა", 24 იანვარი 2001).

• „ რადიო მარია ", რომელსაც სრულწლოვანი პოლონელების 14 % უსმენს, მის დირექტორს ქს. ტადეუშ რიძიკს სულების რაზმეულებს მოუპოვებს. მას მხარს უჭერს გაზეთი „ ნაშ ჯენნიკ ", რომელიც იმავე წრეს წარმოადგენს, იბეჭდება 250 ათასიანი ტირაჟით. რადიო მარიას ჰყავს საკუთარი დეპუტატები და სენატორები, ჯამში დაახლოებით 30 პარლამენტარი. ეს ფენომენალური მოვლენაა ევროპის მასშტაბით, რომ ერთმა სასულიერო პირმა მოახერხა ოთხი მილიონი ადამიანის მობილიზაცია. მით უფრო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ოპოზიციაში რჩება ეკლესიის იერარქებისა და ძირითადი პოლიტიკური ძალების უმეტესობის მიმართ. რადიო მარიას წრე ეს არის საზოგადოებრივი გეწოლის ძლიერი, მობილიზირებული და დისციპლინირებული ჯგუფი. გავლენა აქვს ყოველ მეშვიდე სრულწლოვან პოლონელზე. რიძიკის მეტმა ვერცერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შესძლო ასეთი მობილიზაცია გაეკეთებინა ასეული ათასი ადამიანისათვის და თანაც არჩევნებს შორის! უფრო მეტი მომხრეები მოიპოვა ვიდრე გამაერთიანებელმა ფრანგმა ეპისკოპოსმა ლეფევრმა. არსებითად ქს. რიძიკი გახდა ყველაზე უფრო გავლენიანი რელიგიური ფუნდამენტალისტი ევროპაში („ ვპროსტ ", 8 აპრილი 2001).

• 2000 წელს პოლონეთში ცხოვრობდა 38 644 000 ადამიანი. 28 500 - მა პოლონეთი დასტოვა, ხოლო მუდმივ საცხოვრებლად 8 000 ჩამოვიდა. პოლონეთის მაცხოვრებელთა რიცხვი 10 000 - ით შემცირდა. სტატისტიკური პოლონელი 35 წლისაა. 1995 წ. პოლონელის საშუალო ასაკი 34 წელი იყო („ ჟეჩპოსპოლიტა ", 27 – 28 იანვარი 2001).

• პოლონეთში ბუნებრივმა მატებამ 45 % - ით დაიკლო. ბოლო ათწლეულში 25% - ით დაიკლო ქორწინებათა რიცხვმაც. განქორწინების რიცხვი კი 1993 წ. 27,9 ათასიდან 1998 წ. 45,2 ათასამდე გაიზარდა („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 7 იანვარი 2001).

• უკანასკნელ ათწლეულში მარტოხელა მშობლების რიცხვი პოლონეთში 50 % - ით გაიზარდა. ამჟამად ასეთი არასრული ოჯახები მილიონზე მეტია. მათ 90 % - ს მარტოხელა დედები შეადგენენ. ეს არის ოჯახების ყველაზე სწრაფად ზრდადი ჯგუფი („ ვპროსტ ", 11 თებერვალი 2001).

• უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კერძო პირების დავალიანება კომერციული ბანკების მიმართ ოთხმაგად გაიზარდა. დავალიანებულია ყოველი მესამე ოჯახი. ყოველი მესამე საოჯახო მეურნეობა საერთო შემოსავლის 15 % - ზე მეტს იხდის კრედიტების შესატანების დასაფარავად. უფრო და უფრო ვალებში ვეფლობით, ფულს კი ვხარჯავთ, ანუ სამუდამოდ ვკარგავთ. დაუფარავი ვალების საფრთხე განსაკუთრებით იმათ ემუქრებათ ვინც სამუშაო დაკარგა („ ვპროსტ ", 28 იანვარი 2001).

• „ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მზად არის იმუშაოს ვინმესთან მხოლოდ არა საკუთარი, თუნდაც მოკრძალებული, საქმიანობის დასაწყებად. სწავლობდა ბიოლოგიას, გეოგრაფიას, პროფესიულ საგნებს, მაგრამ არა ბუღალტერიას, საკრედიტო დოკუმენტაციის სწორად შევსებას, ფაქტურის გაფორმებას, ადგილობრივი ბაზრის შესწავლას " – ამტკიცებს ანჯეი ოლეხოვსკი („ ვპროსტ ", 25 თებერვალი 2001).

• მოქალაქეთა უფლებების დამცველის პროფ. ანჯეი ზოლას აზრით „ 18 მარტს კრაკოვში წარმოდგენილი „ დეკლარაცია მოქალაქეობრივი განათლება

განვითარებისათვის" ავტორები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ „ პოლონეთის ცივილიზირებული განვითარების მთავარი დაბრკოლება არ არის არც უფულობა, არც ცუდი კანონები თუ ცუდი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ". ძალიან ცუდად განათლებული საზოგადოება ვართ. აქ საუბარი არ არის მხოლოდ თანამედროვე განათლებაზე საშუალო სკოლის დონეზე. არ ეხება ეს არც მხოლოდ უცხო ენათა ძალიან ცუდ ცოდნას. საუბარია სათანადო პრომოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირებაზე, რაც გადაწყვეტს შევძლებთ თუ არა, და თუ კი როდის, ავაშენოთ სამოქალაქო საზოგადოება [. . .] პოლონური საზოგადოების დონეს განსაზღვრავს არა ელიტის განათლებულობა, არამედ – მუშებისა და გლეხების. მათი კონკურენციის უნარიანობა ევროპის დასაქმების ბაზარზე განსაზღვრავს იმას, თუ სად აღმოვჩნდებით – ევროპის სალონებში თუ მოსაცდელებში" („ უეჩპოსპოლიტა", 2 აპრილი 2001).

• ათი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა Opus Dei [ღვთის ქმნილება] გამხდარიყო ერთ – ერთი ყველაზე მოქნილი კათოლიკური ორგანიზაცია პოლონეთში. ამ ორგანიზაციის ცენტრებში ნახავთ ხოლმე ადამიანებს გაზეთების პირველი გვერდებიდან. Opus Dei ყველაზე სწრაფად აკადემიურ ცენტრებში ვითარდება. უკვე ფლობს რამდენიმე სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში. იეზუიტების ორდენის მსგავსად Opus Dei - ც განათლებაზე აკეთებს აქცენტს და სურს იყოს კათოლიკური ელიტის სკოლა („ვპროსტ ", 7 იანვარი 2001).

• სეიმმა დაამტკიცა კანონი, რომელიც აუქმებს მრავალ დებულებას მიმართულს ცხოველების დასაცავად მათდამი ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ. სენატმა ეს კანონი უფრო დაარბილა [. . .] წმ. მამა იოანე პავლე II საუბრობს ჩვენი უმცროსი ძმების შესახებ, რომ ცხოველებსაც გააჩნიათ სული. პოლონეთში არიან მღვდლები, რომლებიც ცხოველებს აკურთხებენ და მოითხოვენ მათდამი პატივისცემით მოპყრობას, მაგრამ უმეტესობა სამღვდელოებისა გამოსულია ისეთივე სოფლებიდან საიდანაც არიან დეპუტატებიც –სოფლებიდან სადაც ცხოველები არიან ნივთები, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ შეგიძლია მოეპყრო. ეკლესია დუმს. სანქციების გაუქმება და შემცირება ცხოველების აბუჩად აგდებისათვის, ქვეყანაში სადაც მათ მიმართ გავრცელებულია სატიკი მოპყრობა, ცდილობენ გაამართლონ ევროკავშირის მოთხოვნებით [. . .] ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში ცხოველთა დმცავი დებულებანი იმდენად უფრო მეტად შემზღუდავია, რომ სინათლის წლის მანძილითაა დაშორებული იმ ნორმებისაგან, რომელთაც პოლონეთის პარლამენტი ევროპელობის სახელით აუქმებს " – წერს მაჩეი რიბინსკი („ უეჩპოსპოლიტა ", 2 აპრილი 2001).

• კინოს და თეატრის ცნობილი პოლონელი მსახიობები, მათ შორის ანჯეი ვაიდამ, გუსტავ ჰოლოუბეკმა, კრისტინა იანდამ, მაია კომოროვსკამ, იან ენგერტმა, იანუშ გაიოსმა, ვოიჩეხ პშონიაკმა, ქშიშტოფ ზანუსშიმ, სენატს თხოვნით მიმართეს უარყოს სეიმის შესწორებები, რომელნიც ცხოველთა დაცვის კანონის „ ლიბერალიზაციას " ითვალისწინებს. ხელისუფლებამ თხოვნას მხარი დაუჭირა („ გაზეტა ვიბორჩა ", 29 მარტი 2001).

• პოლონეთში პირველად იქნა წარმოდგენილი რაპორტი უპატრონო ცხოველების თავშესაფრებში სიტუაციის შესახებ. 1999 წ. თავშესაფრებში იყო 90 ათასზე მეტი მობინადრე, მათ შორის 60 ათასი ძაღლი და თითქმის 30 ათასი კატა. 1998 წელთან შედარებით ეს რიცხვი გაზრდილია 13 % - ით. ადგილების უქონლობის გამო 1999 წ. თავშესაფრებში მოაკვდინეს 21 ათასზე მეტი ძაღლი და კატა. ყოველი მეორე ძაღლი და ყოველი მეოთხე კატა თავშესაფრიდან ახალ პატრონს პოულობს. ძლიერ დრამატული სიტუაციაა კატებთან დაკავშირებით. 1998 წ. თავშესაფრებში მიიღეს 6 ათასზე მეტი კატა. 1999 წ. იყო უკვე 18 ათასი. საშუალოდ ერთ გალიაში 29 კატა ცხოვრობს. მათი თითქმის სამი მეოთხედი კვდება („უეჩპოსპოლიტა", 27-28 იანვარი 2001).

• ვოლონტარიატი არის უფასო, შეგნებული და ნებაყოფლობითი სამსახური სხვათა სასარგებლოდ, იმათ სასარგებლოდ ვინც არ შედის ოჯახის წევრთა, მეგობართა და ამხანაგთა წრეში. პოლონეთში არის ვოლონტარიატის ცამეტი ცენტრი, ხოლო განსწავლული ვოლონტარების რიცხვი 1875 ადამიანს შეადგენს („ უეჩპოსპოლიტა ", 2 იანვარი 2001).

• ითვლება, რომ პოლონეთში აქტიურად მოქმედებს 20 – 30 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია. უმეტესობა საზოგადოებრივი დახმარებით, ხარიტატიული, განმანათლებელი საქმიანობითაა დაკავებული. მხოლოდ ერთი მესამედით ფინანსირდებიან გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან („ გაზეტა ვიბორჩა ", 24 - 25 მარტი 2001).

• Pay - roll (ინგ. საგადასახადო უწყისი) ეს არის ხარიტატიული საქმიანობის მხარდამჭერი სისტემაა. გადასახადთა განყოფილება თანამშრომლის თხოვნის საფუძველზე ყოველთვიურად მისი ხელფასიდან იღებს დეკლარირებულ თანხას და გადარიცხავს თანამშრომლის მიერვე არჩეული დაწესებულების ან ხარიტატიული ორგანიზაციის ანგარიშზე. ეს თანხები არ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი სახის მხარდაჭერით უკვე სარგებლობენ პოლონეთის ბავშვთა და ახალგაზრდათა ფონდი და პოლონეთის ჰუმანიტარული აქცია („ გაზეტა ვიბორჩა ", 5 თებერვალი 2001).

• ეროვნული უმცირესობათათვის ციკლური და ერთჯერადი სატელევიზიო პროგრამები გადაიცემა, როგორც ცენტრალური ასევე რეგიონალური ტელევიზიებით. ათი რეგიონალური ცენტრი რეგულარულად გადასცემს გადაცემებს ეროვნული უმცირესობეთათვის. ყველაზე მეტი ასეთი პროგრამები იქმნება ბიალისტოკში – ბელორუსების, უკრაინელების, ლიტველების, თათრების, ბოშებისათვის. პოლონეთში ცხოვრობენ: გერმანელები 1 - 3 მლნ; უკრაინელები 500 ათასიდან 2 მლნ - მდე; ბელორუსები 500 ათას. – 1 მლნ - მდე; ბოშები 30 - 50 ათასი; ჩეხები 25 - 40 ათასი; ლიტველები 25 - 40 ათასი; სლოვაკები 25 - 40 ათასი; ლემკები 20 – 30 ათასი; რუსები 20 – 30 ათასი; სომხები 15 - 20 ათასი; ებრაელები 10 – 30 ათასი; ბერძნები 6 – 10 ათასი; მაკედონელები 6 - 10 ათასი; თათრები 4 – 5 ათასი; უნგრელები 1 - 2 ათასი; ქარაიმები 200 - 1000 („ ანტენა ", 2 აპრილი 2001).

• განათლების სამინისტრო მთლიანად აფინანსებს ეროვნული უმცირესობებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემას, მათ შორის „ დედაენებს ": ლიტვურ, ბელორუსულ, უკრაინულ, სლოვაკურ და კაშუბურ ენებზე („ გაზეტა ვიბორჩა ", 13 - 14 იანვარი 2001).

• პოლონეთში იზრდება ლტოლვილის სტატუსის მთხოვნელთა რაოდენობა. 2000 წ. ეს იყო 4506 განცხადება 40 %-ზე მეტი ვიდრე 1999 წ. 1089 განცხადება ჩეჩნებმა შეიტანეს. განმცხადებლებს შორის არიან ლტოლვილები 65 ქვეყნიდან. ჩეჩნების შემდეგ ყველაზე მეტი სომხებია, რუმინელი და ბულგარელი ბოშები და ასევე მონგოლები. ვიეტნამელების მიერ შეტანილი განცხადებების რიცხვი 1999 წელთან შედარებით ოთხჯერ გაიზარდა. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთათვის გამიზნული ცენტრები გადატვირთულია. თითოეული მათგანის შენახვა სახელმწიფოს 1 600 ზლოტი უჯდება („ უეჩპოსპოლიტა ", 24 - 25 თებერვალი 2001).

• 52,5 ათასამდე გაიზარდა იმ უცხოელთა რიცხვი, რომელთაც 2000 წ. უარი ეთქვა პოლონეთში შემოშვებაზე. წინა წელთან შედარებით ეს რიცხვი ერთი ათასით გაიზარდა. 2000 წელს საზღვრის უკანონო გადალახვის მცდელობაზე დააკავეს 6 150 პირი, მათ შორის 800 - ზე მეტი უკრაინელი, 271 რუმინელი, 263 ავღანელი, 225 რუსია. ასევე გაიზარდა დაკავებულ ვიეტნამელთა რიცხვიც („ უეჩპოსპოლიტა ", 3 იანვარი 2001).

• იან ტომაშ გროსის წიგნმა „ მეზობლები " 1941 წლის 10 ივლისს დაბა იედვაბნეში მთელი, 1 600 კაციანი, ებრაელური თემის, ამავე დაბის მაცხოვრებელი პოლონელების მიერ ამოწყვეტის შესახებ, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. წიგნი „ მეზობლები " გამოვიდა

2000 წლის მაისში ორი ათასამდე ტირაჟით. 2001 წლის 1 მარტამდე პოლონურ პრესაში დაიბეჭდა დაახლოებით 150 გამოხმაურება ამ წიგნის თემაზე. მათი ნახევარზე მეტი მკითხველთა წერილებია. იედვაბნეს საქმეზე პუბლიკაციებიანი გაზეთებისა და ჟურნალების საერთო ჯამურმა ტირაჟმა 50 მილიონს გადააჭარბა. შეუძლებელია იმ მაყურებლებისა და რადიომსმენელების დათვლა ვინც უყურა თუ უსმინა გადაცემებს იედვაბნეზე. გროსის წიგნის წაკითხვის და მასზე საკუთარი შეხედულების გამოთქმის უფასო შესაძლებლობა შექმნა ინტერნეტმა ათივე უმთავრეს პოლონურ პორტალზე. იედვაბნის საქმეზე შეიქმნა რამდენიმე ათეული სადისკუსიო გაგზავნილებანი და ჩატ–ოთახები („ ვპროსტ ", 18 მარტი 2001).

• ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტმა გარდა უკვე დაწყებული იედვაბნეში მომხდარი ბოროტმოქმედების გამოძიებისა, 1941 წლის 7 ივლისს რაჯილოვში მომხდარი დანაშაულის გამოძიებაც დაიწყო. წინასწარი მონაცემებით რაჯილოვში ამოწყვიტეს 600 - 800 ებრაელი, რომლებიც კარაპანში გამოწვეს. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ბოროტმოქმედება რაჯილოვში იედვაბნეს მსგავსად განვითარდა („ გაზეტა ვიბორჩა ", 31 მარტი – 1 აპრილი 2001).

• კათოლიკური „ ტიგოდნიკ პოვშეხნი "–ს მთავარი რედაქტორის ქს. ადამ ბონიეცკის აზრით „ როცა საუბარია იედვაბნეზე, არაფერი ითქმის ხოლმე დაბაზე პოდლაშედან, მაგრამ საუბრობენ პოლონელების „ ავტოპორტრეტზე ". თურმე ავტოპორტრეტი: მითიური, ლამაზი, სუფთა, ყოველგვარი ნაკლის გარეშე არ ყოფილა მთლად მართალი. იედვაბნემ შეგვახსენა [. . .] რომ პოლონელები ასეთ რამეს აკეთებდნენ და სრულებითაც არა გერმანული თოფის ლულების ქვეშ " („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 8 აპრილი 2001).

• დაპატიმრებულ ყოფილ სამხედრო პროკურორს ვაცლავ ლ - ს , 76 წლის, ბრალი დაედო 1946 წლის დეკემბერის ორ სასამართლო მკვლელობაში. ანტიკომუნისტური ორგანიზაციის ორი წევრი იმავე დღეს იქნენ დახვრეტილი, როდესაც ვაცლავ ლ – მ მათი სიკვდილით დასჯა მოითხოვა („ გაზეტა ვიბორჩა ", 12 იანვარი 2001).

• ფრანჩიშეკ რ – ს ყოფილ მოსამართლეს, გენერალურ პროკურორს და იუსტიციის ვიცემინისტრს ჩამოერთვა მოსამართლის პენსიაზე უფლება, რადგან ორმოციან წლებში ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა უსაფრთხოებაში. ასე გადაწყვიტა მართლმსაჯულების სახელმწიფო საბჭომ, ხოლო უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ფრანჩიშეკ რ – ს სარჩელზე უარი უთხრა („ უეჩპოსპოლიტა ", 14 მარტი 2001).

• მემარცხენე დემოკრატიული კავშირის სენატორი, იეჟი მოკრუიცკი, ხუთი წლის განმავლობაში იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური სამხედრო სამსახურის ფარული და შეგნებული თანამშრომელი. ლუსტრაციის საბუთებში დამალა ეს ფაქტი – დაასკვნა სააპელაციო სასამართლომ ძალაში შესულ განაჩენში. ეს ნიშნავს, რომ მოკრუიცკი დაკარგავს სენატორის მანდატს და ათი წლის განმავლობაში ვერ დაიკავებს სახელმწიფო თანამდებობებს („ უეჩპოსპოლიტა ", 22 მარტი 2001).

• პოლონეთის სახალხო პარტიის დეპუტატი და ყოფილი სოფლისმეურნეობის ვიცემინისტრი, რიშარდ სმოლარეკი, სამი წლის განმავლობაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურის ფარული და შეგნებული თანამშრომელი იყო. ლუსტრაციის საბუთებში დამალა ეს ფაქტი – დაასკვნა სააპელაციო სასამართლომ. განაჩენი ძალაში არ არის შესული („ უეჩპოსპოლიტა ", 4 აპრილი 2001).

• პორონინში ლენინის მუზეუმის მემორიალური წიგნი, რომელიც მრავალი დამთვალიერებლის ხელმოწერას შეიცავს, გასაყიდად იქნა წარმოდგენილი ზაკოპანეს ერთ - ერთ ანტიკვარულ მაღაზიაში. საწყისი ფასი – 16 ათასი ზლოტია („ ტიგოდნიკ პოვშეხნი ", 14 იანვარი 2001).

· 1791 წლის 3 მაისის კონსტიტუცია მხოლოდ არასრული ორი წელი მოქმედებდა, პოლონეთის მეორე დაყოფამდე: ერის ცნობიერებაში ინახებოდა 210 წლის განმავლობაში. ამ დოკუმენტმა განაპირობა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობა

წართმეულებიც იმ ერად ვგრძნობდით თავს, რომელსაც ასეთ სახელმწიფოდ ყოფნის უფლება ჰქონდა. 1991 წლიდან 3 მაისი კვლავ სახელმწიფო დღესასწაულია („გაზეტა ვიბორჩა", 2–3 მაისი 2001).

· პრეზიდენტმა ალექსანდრე კვაშნევსკიმ ხელი მოაწერა ახალ საარჩევნო დებულებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას. მიღებული იქნა ხმების დათვლის Saint Leaque-ს მეთოდი, რომელიც ხელსუწყობს პროპორციულობას, ანუ უკეთ წარმოაჩენს არჩევნების შედეგებს. ეს მეთოდი ხელსაყრელია პატარა პოლიტიკური დაჯგუფებებისათვის, თუმცა კი ართულებს ძლიერი საპარლამენტო ზურგის მქონე მთავრობის შექმნას. კანონი უკრძალავს პარტიებს ეკონომიკურ საქმიანობას, ე.წ. „ აგურების" გაყიდვას, იურიდიული პირებისაგან თანხის მიღებას, ასევე ზღუდავს გადარიცხვებს ფიზიკური პირებისაგან, ამყარებს საარჩევნო კამპანიის ზღვრულ ხარჯებსა და სავალდებულოს ხდის ფინანსური ოპერაციების მხოლოდ ბანკების მეშვეობოთ განხორციელებას. უქმდება ე.წ. საერთო საქვეყნო სიები, პარლამენტარების არჩევა ხდება მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო ოლქებში („უეჩპოსპოლიტა", 2–3 მაისი 2001).

· დეპუტატებისა და სენატორების ქონებრივი დეკლარაციები ახალი კადენციიდან დაწყებული გამოქვეყნდება – საბოლოოდ ასე გადაწყვიტა სეიმმა მიიღო რა სენატის შესწორება, რასაც 306 დეპუტატი დაეთანხმა, 4 იყო წინააღმდეგი, 9-მ – თავი შეიკავა („უეჩპოსპოლიტა", 25–26 აგვისტო 2001).

· აღმოჩნდა, რომ სენატის გადაწყვეტილება პარლამენტარების ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების შესახებ შეესატყვისება ამომრჩეველთა სურვილს: პოლონელების 83% სურს, რომ პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაციები გამოქვეყნებული იყოს. ამავე დროს გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მესამედი აცხადებს, რომ არჩევნების დროს მხედველობაში მიიღებს კანდიდატის მატერიალურ მდგომარეობას. იმ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი ვისთვისაც კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვანია – ქონების მფლობელს აირჩევს და მხოლოდ ყოველი მეათე არ მისცემს ხმას ასეთ კანდიდატს. საზოგადოებრივი კვლევის სამსახურის რესპოდენტების მნიშვნელოვან უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქონებრივი დეკლარაციების წარმოდგენისა და გამოქვეყნების ვალდებულება უნდა დაეკისროთ არა მარტო პარლამენტარებს არამედ ასევე მთავრობის წევრებს, მთავრობისა მაღალი თანამდებობის მოხელეებსა და თვითმმართველობის დეპუტატებს, ყველა ისეთი სააქციო საზოგადოების თავჯდომარეებს სადაც მონაწილეობს სახელმწიფო ქონება და აგრეთვე პროფესიონალ პოლიტიკოსებს, რომლებიც არ ასრულებენ სახელმწიფო ფუნქციებს („უეჩპოსპოლიტა", 20 აგვისტო 2001).

· სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი წლიდან დეპუტატების რაოდენობა თვითმმართველობის ნებისმიერ დონეზე ერთი მეოთხედით შემცირდეს; არ შეიძლება შეთავსება თვითმმართველობისა და პარლამენტის მანდატის, ვოევოდას ან ვიცევოევოდას თანამდებობის, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულებში სამსახურის; თვითმმართველობის ორგანოების სქმიანობა გმინებში (რაიონებში) გამჭვირვალე იქნება („უეჩპოსპოლიტა", 12 აპრილი 2001).

· სეიმმა დაამტკიცა კანონი, რომლის თანახმად მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის დაცული სახელმწიფო საიდუმლოს გრიფით. ინფორმაციის მიწოდებაზე უკანონო უარის თქმა ისჯება ერთი წლით პატიმრობით („გაზეთი ვიბორჩა", 26 ივლისი 2001).

· გამჭვირვალე სახელმწიფოს სტანდარტების დამკვიდრებისათვის საზოგადოებრივი

აზრის ზეწოლის შედეგია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონის ექსპრესულ ტემპში მიღება: კანონი ითვალისწინებს საკასაციო სასამართლო პროცედურას, სადაც ხელისუფლება ვალდებული იქნება წარმოადგინოს ინფორმაციის მიწოდებაზე უარისთქმის დასაბუთება იმ პიროვნების გვარისა და თანამდებობის დასახელებით ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ეტყობა პოლიტიკოსები და მოხელეები არ არიან მზად ასეთი ცვლილებებისათვის. მიუხედავად ამისა ისინი გარდაუვალია, რასაც ადასტურებს პოლიტიკოსებისათვის ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების იძულება, რაც მართლაც რომ რამოდენიმე დღეში განხორციელდა („ვპროსტ", 19 აგვისტო 2001).

· სეიმმა დაამტკიცა კანონი კოოპერატივების შესახებ, რომლის თანახმად კოოპერატივის წევრებს უფლება აქვთ ჩაიხედონ ხელმძღვანებლობის მიერ დადებულ ხელშეკრულებებში, ხოლო კოოპერატივების თავმჯდომარეები საკუთარ გადაწყვეტილებებზე მთელი თავიანთი პირადი ქონებით არიან პასუხისმგებელნი („ტიგოდნიკ პოვშეხნი", 5 აგვისტო 2001).

· დასაქმების მაღალი ხარჯები, საგადასახადო დაბეგვრა და შრომის მოუქნელი კანონი – აი, ის მთავარი მიზეზები,რამაც გამოიწვია პოლონური საწარმოების ყველაზე უარესი მდგომარეობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. 1996-1997 წლებში ფირმების რენტაბელობა 15-18%-ს აღწევდა, გასულ წელს კი იგი მხოლოდ 2-4%-ღა იყო. თუ კონიუქტურა კვლავ არახელსაყრელი იქნება, მაშინ უახლოეს წლებში ექვსი ათასზე მეტი პოლონური საწარმო გაკოტრდება („ვპროსტ", 3 ივნისი 2001).

· ერთი წლის წინ პოლონელი საშუალოდ 487 დოლარს გამოიმუშავებდა თვეში, მაშინ როდესაც ჩეხი – 354, უნგრელი –307,სლოვაკი –273, რუმინელი – 130, ხოლო უკრაინელი კი დაახლოებით 39 დოლარამდე. ყოველ ათას პოლონელზე სამასს აქვს მანქანა, 122 –კაბელური ტელევიზია, 62 – კომპიუტერი („ვპროსტ", 9 სექტემბერი 2001).

· გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) თანახმად შემუშავებული რაპორტის – „პოლონეთი 2000: სასოფლო ტერიტორიების განვითარება" –მიხედვით, არსებობს ორი პოლონეთი – ქალაქური, რომელიც განვითარებულ საზოგადოებას ეკუთვნისა და სოფელი, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩენილია: საერთო ეროვნული შემოსავალი წელიწადში სოფლის მაცხოვრებელზე გადაანგარიშებით 6,1 ათასი დოლარია რაც 2,8 ათასი დოლარით მეტია ვიდრე იგივე სეშ გადაანგარიშებული ქალაქის მაცხოვრებელზე; უმაღლესი განათლება აქვს სოფლის მაცხოვრებლების 3%-სა და ქალქის 11%; საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი სოფლისათვის არის 0,814, ხოლო ქალაქისათვის – 0,828. საუნივერსიტეტო განათლებას 80-იან წლებში ყოველი მე-14 სოფლელი ბავშვი ღებულობდა, ხოლო 90-იან წლებში კი მხოლოდ ყოველი 130–140-ე. ასეთი განსხვავების შენარჩუნება ქვეყნის განვითარების დესტაბილიზაციას იწვევსა და შეუძლია სერიოზულად შეაფერხოს ევროსაბჭოს სტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესი – აცხადებს UNDP-ს რაპორტი („გაზეტა ვიბორჩა", 24 აპრილი 2001).

· 928 878 პოლონური ოჯახი ღებულობს საზოგადოებრივ დახმარებას სიღარიბის გამო, 708 649 – უმუშევრობის გამო, 415 979 – როგორც არასრული ან მრავალშვილიანი, 392 261 – ინვალიდობისა, ხოლო 365 157 კი – ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო („ვპროსტ", 29 იელისი 2001).

· კონკურსის „ ქველმომქმედი – 2000 " ლაურეატი გახდა სტანისლავ პარაჩინსკი, მეფუნთუშე ქალაქ კალიშიდან. მისი კერძო საცხობი ყოველდღიურად 80 პურს

გასცემს, რაც დღიური წარმადობის 10%-ს შეადგენს, სამეურვეო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ.პარაჩინსკიმ სხვებიც წააქეზა და დღეს უკვე ათი სხვა კალიშელი მეფუნთუშეც ყოველთვიურად ერთად გასცემენ 7 – 8 ათას პურს მშივრებისათვის („უეჩპოსპოლიტა", 14 მაისი 2001).

· „დავიწყეთ პოლონეთში ეკონომიკური რეფორმები [...] სულ თავიდან დავიწყეთ ნორმალური ეკონომიკის მშენებლობა: და ეს იყო უდიდესი ეპოქალური წარმატება. სამწუხაროდ ნაკლებად იყვნენ გონიერი ხალხი (ან შეიძლება გამბედაობა აკლდათ) ვინც ეტყოდა საზოგადოებას, რომ საზოგადოებრივი მომსახურეობის ასე განტოტვილი სისტემა არსად არ არსებობს მსოფლიოში და რომ იგი პოლონეთზე სამჯერ და ოთხჯერ უფრო მდიდარი ქვეყნებისთვისაც კი განუხორციელებელია. კიდევ უფრო მეტი – „კარგმა ხალხმა" (შეიძლება სიბრძნე აკლდათ ან გამბედაობა) საზოგადოებრივი მომსახურეობის ამ სისტემის განხორციელება დაიწყეს. ამავე დროს მომავლისათვის გადაჰქონდათ ნორმალური ეკონომიკური მოთხოვნების შემოღება საზოგადოებრივი მომსახურეობის მთელი რიგი სფეროებისათვის [...] დასაწყისიდანვე ვმუშაობთ იმაზე, რაც ადრე თუ გვიან უდიდეს ეკონომიკურ კატასტროფას გამოიწვევს [...] თუ პოლონური საზოგადოება გონს არ მოეგება [...] პოლონეთი დაემატება კრიზისის მსხვერპლი ქვეყნების სიას" – ამტკიცებს მიხეილ ჟელინსკი („ტიგოდნიკ პოვშეხნი", 22 ივლისი 2001).

· „მემარცხენულ ილუზიას წარმოადგენს, რომ თითქოს საზოგადოებრივი უთანასწორობის გამოსწორება შესაძლებელი იყოს მთელი ფენებისა და ჯგუფების (საზოგადოებრივი) ზევით ამოწევით. გარკვეული წარმატებებით ამას სოციალური რევოლუციები აკეთებდნენ. დასავლურმა დემოკრატიამ აჩვენა, რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რათა წინსვლას მოწყურებული პიროვნების წინ არავითარი ბარიერი არ არსებობდეს – რომ მისი შანსი მხოლოდ მისსავე უნარზე იყოს დამოკიდებული და არა მშობლების მდგომარეობასა თუ პროფესიაზე, დაბადების ადგილზე, დამთავრებულ სკოლაზე [...] ინდივიდუალური მისწრაფებებისათვის ხელშეწყობა პოლონეთში ჯერ კიდევ არა არსებით ახირებად ითვლება. სამაგიეროდ პროფესიების მთელი ჯგუფისათვის ფინანსური დანამატები შესაფერის პოლიტიკად ". – შეფასებას იძლევა ტერეზა ბოგუცკა („გაზეტა ვიბორჩა", 18-19 აგვისტო, 2001).

· ლეშეკ ბალცეროვიჩი, მიუხედავად იმისა, რომ მისი წყალობით ცხოვრების დონემ პოლონეთში 40%-ით აიწია, მმართველობის ერთი წლის შემდეგ საზოგადოებრივ მტრად გადაიქცა. ანჯეი ოლეხოვსკი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ბიუჯეტი არ არის მეწველი ძროხა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროფკავშირული და დარგობრივი ლობისტების სურვილების ასრულება", იძულებული გახდა უარი ეთქვა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე. როდესაც პრემიერი ქშიშტოფ ბელეცკი ამბობდა, რომ „ არ შეიძლება მომავლის შეჭმა, საჭიროა მეტი მუშაობა და მომჭირნე წლებისთვის თადარიგის დაჭერა", მისმა პარტიამ ვერ გადალახა საარჩევნო ზღვარი და პარლამენტში ვერ მოხვდა. სიმხდალის გამო არ ითქმის, რომ პოლონელი მშრომელების პროდუქციულობა ხუთჯერ უფრო დაბალია ვიდრე საშუალო ევროსაბჭოში, რომ ჩვენთან ჯამაგირები 25-30%-ით მეტია იმაზე რაც ეკონომიკური გაანგარიშებით უნდა იყოს, რომ პენსიები ერთი მესამედით მეტია ანარიცხებსა და სეშ-თან შედარებით. უმცირესი შემოსავლის მქონეთა 94% დახმარებას სახელმწიფოსაგან ელოდება, ხოლო 82% თავის ამგვარ მდგომარეობაში ხელისუფლებას ადანაშაულებს („ვპროსტ", 1 ივნისი 2001).

· „რამდენად ღრმაა ჩვენი წყობილებითი ცვლილებები? [...] ბევრად უფრო ზერელეა, ვიდრე გამომდინარეობს ჩვენი კრებითი თვითშეფასებისა და დასავლეთის მასმედიის წარმოდგენით [...] შოკურმა თერაპიამ არა მარტო ეკონომიკური წარმატება მოიტანა,

არამედ დაიხსნა კიდევაც პოლონეთი ისეთი ქვეყნების მსგავსი ბედისაგან როგორებიცაა უკრაინა, მოლდავეთი, რუმინეთი თუ ბულგარეთი [...] საზოგადოებრივი და პოლიტიკური ასპექტებით კი მზად ვიყავით შევდგომოდით „ სოციალიზმს ადამიანური სახით “ – თავისთავად ცხადია, რომ სხვა სახელით. სწორედ ამ პროგრამას ეყრდნობოდა „სოლიდარნოშჩი”, რომელსაც მხარს უჭერდნენ ფართო მასები და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, იმდროინდელ დაჯგუფებათაშორისი კავშირებისათვის იყო მისაღები. გარდამავალი პერიოდის არაჩვეულებრივ პოლიტიკურ სიტუაციაში აქტიურ მოქმედებებს უმადლიან პოლონელი რეფორმატორები შოკური თერაპიის წარმატებას. პრინციპიალური გარდატეხა ეკონომიკაში მოხდა იმაზე უფრო ადრე ვიდრე ამოქმედდებოდნენ ჯგუფური ინტერესების არტიკულაციის დემოკრატიული მექანიზმები. მაგრამ მაინც 1990 წლის ბოლოსათვის დაიწყო რეფორმის ათვისება, რაც ნიშნავს მისი პრინციპების ისეთ რეინტერპრეტაციას, რომელიც არ გამოეწვდა უძლიერესი და ყველაზე მკვეთრად პროტესტანტი პროფესიული ჯგუფების სიტუაციის გაუარესებას [...] ამგვარად პოლონეთი თანდათანობით დაადგა წყობილებითი სინკრეტიზმის გზას, რომელიც წარმოიშვება არა იმდენად სხვადასხვა იდეოლოგიური კომპრომისების გამო რამდენადაც როგორც სულ უფრო და უფრო უიდეო და კორუმპირებულ პოლიტიკურ კლასზე სტიქიური ზეწოლის შედეგი” – შეფასებას აძლევს პროფ.ედმუნდ მოკუიცკი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი („გაზეტა ვიბორჩა”, 11-12 აგვისტო 2001).

· 2002 წელს ბიუჯეტის დეფიციტი, – სხვაობა სახელმწიფოს შემოსავალს (128,2 მლდ.ზლოტი) და გასავალს (216,4 მლდ.ზლოტი) – 88,2 მილიარდ ზლოტს მიაღწევს და იგი საერთო ეროვნული პროდუქტის 11%-ს გადააჭარბებს. „ასეთ დეფიციტს სახელმწიფო ვერ აიტანს. მას მხოლოდ 35,3 მლდ.ზლოტის დაფინანსება შეუძლია” – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა იაროსლავ ბაუცმა (“გაზეტა ვიბორჩა”, 16 აგვისტო 2001).

· „ საჭიროა ვიცოდეთ საიდან გაჩნდა ბიუჯეტის სიძნელეები [...] მივუთითებდით, რომ პოლონეთს არ ჰქონდა ჯანმრთელობის სამსახურისთვის გამოყოფილი თანხების ზრდის შესაძლებლობა, რომ საჭირო იყო შრომის ბაზრის განბლოკვა, რადგან ცნობილი იყო, რომ დემოგრაფიული პიკი მოდიოდა. სამწუხაროდ ამ გაფრთხილებათა უმრავლესობა იგნორირებული იქნა და ამან მიგვიყვანა ბიუჯეტის ასეთ სერიოზულ მდგომარეობამდე [...] საბედნიეროდ პოლონეთი ჯერ კიდევ არ არის ისეთ სიტუაციაში, როგორშიც იყვნენ უნგრელები 1994 წელს, როდესაც ეკონომიკის გასაჯანსაღებლად იძულებული გახდნენ მიეღოთ მკაცრი გადაწყვეტილება (უპირველეს ყოვლისა ხელფასებისა და სოციალური გადასახადების შეზღუდვა) [...] საჭიროა უარი ეთქვას მაცდურ დოქტრინას, რომელიც კეთილდღეობას საბიუჯეტო ხარჯების ზრდას უკავშირებს. ყველა ბიუჯეტი ხდებოდა კრიტიკის ობიექტი იმის გამო რომ ცოტას გასცემდნენ. დღეს ასეთი გაცემების ეფექტი გამოჩნდა” – შეგვახსენებს ლეშეკ ბალცეროვიჩი („გაზეტა ვიბორჩა”, 14-15 აგვისტო 2001).

· საზოგადოებრივ გამოკვლევათა სამსახურის ანგარიშების თანახმად ბიუჯეტის დეფიციტის მიზეზად პოლონელებმა დაასახელეს: მაქინაციები და კორუფცია, რაც ამცირებს სახელმწიფოს შემოსავლებს –76%; ხელისუფლების უუნარობა და შეცდომები –74%; არარენტაბელური სახელმწიფო საწარმოებისათვის საკმარისად მაღალი დახმარებები –23%; ზომაზე მეტად მეურვე სახელმწიფო, რომელიც ზომაზე მეტს გასცემს სოციალური დახმარების, ჯანდაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფის სახით – 3% („უეჩპოსპოლიტა”, 16 აგვისტო 2001).

· პრემიერმა გაანთავისუფლა ფინანსთა მინისტრი იაროსლავ ბაუცი. იგი შესცვალა ვიცემინისტრმა ჰალინა ვაშილევსკა-ტრენკნერმა. ფინანსთა ვიცემინისტრების უმრავლესობამ ბაუცთან სოლიდარობის გამო უარი თქვა საკუთარ თანამდებობებზე(„უეჩპოსპოლიტა”, 29 აგვისტო 2001).

· „მინისტრის იაროსლავ ბაუცის განთავისუფლებით პრემიერმა იეჟი ბუზეკმა უარყო ერთობლივი პასუხისმგებლობის პრინციპი. საკუთარი, მთელი ხელისუფლების, საპარლამენტო კლუბ „აქცია ვიბორჩა სოლოდარნოშჩ"-ის შემადგენლობაში შემავალი ყველა დაჯგუფებისა და მისი დეპუტატების უმრავლესობის ბრალის გამო ფინანსთა მინისტრი გაანთავისუფლა. ეტყობა მისი დანაშაული გამბედაობა იყო [...] არჩევნებამდე ცოტახნით ადრე მინისტრმა ბაუცმა გაბედა და საზოგადოებრივი კეთილდღეობა პარტიულ ინტერესებზე უფრო მაღლა დააყენა, პასუხისმგებლობა სახელმწიფოსგამო უფრო მაღლა ვიდრე არჩევნებში ხმების მოპოვების წინაშე პასუხისმგებლობა და კაბინეტის წევრებისაგან მოითხოვა მომჭირნეობა და იმ მორიგ საკანონმდებლო ინიციატივებზე უარისთქმა, რომლებიც საზოგადოებრივ ხარჯებს ზრდიან" – კომენტარს უკეთებს მაჩეი რიბინსკი („უეჩპოსპოლიტა", 29 აგვისტო 2001).

· პრეზიდენტმა ალექსანდრე კვაშნევსკიმ ხელი არ მოაწერა მთელ რიგ კანონებს, რომელთა განხორციელება გამოიწვევდა დაახლოებით 13 მლდ.ზლოტის დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს („ტიგოდნიკ პოვშეხნი", 9 სექტემბერი 2001).

· ხელშეკრულება პოლონეთში დანიის გაზის მოწოდებისა და დანიიდან პოლონეთამდე 230 კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობის შესახებ ხელმოწერილი იქნა პოლონეთისა და დანიის პრენიერების იეჟი ბუზეკისა და პაულ ნირუპ რასმუსენის თანდასწრებით. მოგვიანებით შეიძლება ნორვეგიაც შემოუერთდეს და დანიიდან ნორვეგიამდე გააგრძელოს მილსადენი. ახალი წამოწყება შეამცირებს პოლონეთის დამოკიდებულებას რუსეთის გაზის მოწოდებაზე, რაც ამჟამად იმპორტირებული გაზის 90%-ს შეადგენს. „დანიელებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ გვინდა მოვაგვაროთ სადაო საკითხები გაზპრომთან" – განაცხადა ვიცეპრემიერმა იანუშ სტეინჰოფმა („უეჩპოსპოლიტა", 29 ივნისი – 3 ივლისი 2001).

· ძალაუნებურად იბადება ყოფილი ე.წ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დახლართული რუსეთის გაზსადენის ქსელის შედარება რკინის ქვეწარმავლებთან. ამ კვანძის გახსნა მხოლოდ ერთადერთი გზით შეიძლება: გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროების აქტიური ძიება (რასაც, საბედნიეროდ, პოლონეთი აკეთებს) და კიდევ უფრო აქტიური უარი კერძო შუამავლებს, რომლებიც ხშირად სიკვდილშიცა და სიცოცხლეშიც რუსულ მოლოხთან არიან დაკავშირებული („ვპროსტ", 26 აგვისტო 2001).

· ნორვეგიული გაზი პოლონეთს მოეწოდება ბალტიის ზღვის ფსკერზე გადებული მილსადენით. პრემიერებმა იეჟი ბუზეკმა და იენს სტოლტენბერგმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, ხოლო პოლონეთის ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ნორვეგიის ხუთი კონცერნის ხელმძღვანელებმა დადეს სავაჭრო კონტრაქტი. ნორვეგიასთან ხელშეკრულების შესახებ აზრი გამოთქვეს პრეზიდენტმა ალექსანდრე კვაშნევსკიმ და პრემიერმა იეჟი ბუზეკმა. ალექსანდრე კვაშნევსკი: „პოლონეთი გაზისა და ნავთობის მოწოდების წყაროებს პოეტიკის გარეშე უნდა მიუდგეს, რათა გვქონდეს უსაფრთხოების შეგრძნება". იეჟი ბუზეკი: „ძალიან გვინდა ვისარგებლოთ რუსული გაზით და დავიცვათ ყველა კონტრაქტი რუსეთთან. მაგრამ დამატებითი წყაროებიც უნდა გაგვაჩნდეს [...] ხანდახან დავფიქრდები ხოლმე რუსები არიან შეშფოთებულნი თუ დაინტერესებული ჯგუფები პოლონეთში, რომლებსაც აქამდე მონოპოლია ჰქონდათ აღმოსავლეთთან კონტაქტებზე და რომლებიც ახლა საკუთარი პიროვნული ინტერესების გამო დარდობენ („უეჩპოსპოლიტა", 4 სექტემბერი 2001).

· ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის პროკურორებმა დღემდე კომუნისტური დანაშაულების 25 საქმეში 31 პიროვნებას წაუყენეს ბრალდება. ემი ამჟამად იხილავს 584 ამდაგვარ საქმეს, მათშორის 19 საქმეს, რომლებიც ეხება დანაშაულს ჩადენილს

კომუნისტი მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ. 211 საქმე ეხება ნაცისტურ დანაშაულებს, 22 – უკრაინელი ნაციონალისტების მიერ არის ჩადენილი პოლონელი მოქალაქეების წინააღმდეგ და პოლონელების მიერ უკრაინელი, გერმანელი და ბელორუსი ეროვნების პოლონელი მოქალაქეების წინააღმდეგ („უეჩპოსპოლიტა", 13 აგვისტო 2001).

· ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 186 ადგილის სია, სადაც 1944 – 1956 წლებში მარხავდნენ კომუნისტური ძალმომრეობის აპარატის მსხვერპლთ. ეს სია ჯერ კიდევ არ არის სრული. მსხვერპლთა გვამების დამალვის ტიპური ადგილებია სასაფლაოების გამოყოფილი ადგილები, რაიონული სამოქალაქო მილიციის უბნებისა და საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილებების ეზოები, სასროლეთები და პოლიგონები და ტყეები, სადაც ტარდებოდა ეგზეკუციები. ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოძიების მიზანია მსხვერპლთა რაც შეიძლება სრული სიის დადგენა და შემსრულებელთა იდენტიფიკაცია. პოლონელი ერის წინააღმდეგ დანაშაულის სამძებრო კომისიის ყოველი განყოფილება იძლევა დაწრილებით ინფორმაციას თავის ტერიტორიაზე სტალინიზმის სავარაუდო მსხვერპლთა შესახებ („უეჩპოსპოლიტა", 26 აპრილი 2001).

· ფრაგმენტი პრეზიდენტ ალექსანდრე კვაშნევსკის ინტერვიუდან, რომელიც 1941 წლის 10 ივლისს, მეორე მსოფლიო ომის დროს, დაბა იადვაბნეს ებრაელი ეროვნების საზოგადოების მათივე პოლონელი მეზობლების მიერ ამოწყვეტის 60 წლისთავის წინ მისცა: „პოლონელებს შორის იყვნენ ისეთები, ვინც ებრაელებს ეხმარებოდნენ და გადაარჩენდნენ ხოლმე. იყვნენ ისეთებიც, ვინც ებრაელებს გასცემდნენ [გერმანელ ოკუპანტებს] და სამწუხაროდ – ხდებოდა – რომ კლავდნენ. ასეც იყო და ისეც. იადვაბნეს საქმის ერთ-ერთი დასკვნა ისიც არის, რომ არ გამოვა და არც შეიძლება გმირობისა და ნაძირლობის გაბალანსება. პოლონეთში იყო უდიდესი გმირობაცა და უდიდესი სირცხვილიც. საჭიროა ამის აღიარება და ამ სირთულეზე საუბარი [...] რას არ მივცემდი, რათა აღმოჩენილიყო, რომ იადვაბნეში ამოწყვეტა ეს მხოლოდ შავი სიზმარია და ტყუილი . . . სამწუხაროდ იადვაბნე ფაქტია" („ტიგოდნიკ პოვშეხნი", 15 აპრილი 2001).

· 2001 წლის 10 ივლისს, იადვაბნეში, პრეზიდენტ ალექსანდრე კვაშნევსკის მიერ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვის ფრაგმენტი: „ ეს იყო დანაშაული. მას ვერაფერი ვერ გაამართლებს. მსხვერპლთა შორის, დამწვრებს შორის იყვნენ ქალები და ბავშვები [...] სრულიად სარწმუნოდ ვიცით, რომ მდევართა და შემსრულებელთა შორის იყვნენ პოლონელები[...] აქ, იადვაბნეში პოლონელი მოქალაქეები დაიღუპნენ სხვა, ასევე პოლონელი მოქალაქეების ხელით [...] მათ, ვინც სდევნიდა, სცემდა, კლავდა, ცეცხლს უკიდებდა ამით დანაშაული ჩაიდინეს არა მხოლოდ თავისი ებრაელი მეზობლების წინააღმდეგ, დამნაშავენი არიან აგრეთვე პოლონეთის რესპუბლიკის წინაშე [...] ამ დანაშაულის გამო მოტევება უნდა შევსთხოვოთ მიცვალებულთა აჩრდილებსა და მათ ოჯახებს. ამიტომაც დღეს, როგორც მოქალაქე და როგორც პრეზიდენტი პოლონეთის რესპუბლიკისა, ბოდიშს ვიხდი. ბოდიშს ვიხდი საკუთარი და იმ პოლონელების სახელით, ვისი სინდისიც შეძრწუნებულია იმ დანაშაულით, მათი სახელით ვისაც მიაჩნია, რომ არ შეიძლება იამაყო პოლონეთის დიადი ისტორიით, და იმავე დროს არ არ გრძნობდე ტკივილსა და სირცხვილს იმ ბოროტების გამო, რაც პოლონელებმა სხვებს მიუგეს. ტრაგედია, რომელიც აქ დატრიალდა აღარ გამოსწორდება. ბოროტება არ დაიმალება, ტკივილი არ გაყუჩდება. სიმართლის თქმა იმის შესახებ რაც აქ მოხდა ვერ გამოასწორებს მომხდარს. სიმართლეს არა აქვს ასეთი ძალა. მაგრამ მხოლოდ მას, უმწვავესსა და მტკივნეულს – ძალუძს მეხსიერების ჭრილობის გაწმენდა [...] წარმოვთქვამთ დღეს სამძიმრისა და მწუხარების სიტყვებს [...] რადგან სწორედ ასე ვგრძნობთ თავს. რადგან უპირველეს ყოვლისა თავად ჩვენ გვჭირდება ისინი" ("გაზეტა ვიბორჩა", 11 ივლისი 2001).

· ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ პოლონელების 79% განაცხადა, რომ პოლონეთმა, როგორც აშშ-ს მოკავშირემ, მის ნებისმიერ რეაქციას უპირობოდ უნდა დაუჭიროს მხარი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი მხარდაჭერა მოითხოვს პოლონეთის შეიარაღებული ძალების გამოყენებას. პოლონელების მხოლოდ 4%-ია პოლონეთის მხრიდან რაიმე სახის რეაქციის მოწინააღმდეგე ("ნიუსვიიქ პოლსკა", 23 სექტემბერი 2001).

· ივლისსა და აგვისტოში პოლონეთში მომხდარი წყალდიდობის შედეგების აღმოსაფხვრელად მთავრობამ 800 მლნ ზლოტი გამოყო, ევროპის კომისიამ კი – 55 მლნ. პოლონეთის ფოსტა უსასყიდლოდ ღებულობს ამანათებსა და ფულად გადარიცხვებს დაზარალებულებისათვის ასევე მოიქცა პოლონეთის ბანკი, რომელმაც პოლონეთის წითელი ჯვრის, სოციალური დახმარების პოლონეთის კომიტეტის, პოლონეთის ჰუმანიტარული აქციის, „კარიტას – პოლსკა"-სა და „ტელემაყურებლები – წყალდიდობით დაზარალებულებს" ანაბრებზე გაკეთებული გადარიცხვები პროცენტული ანარიცხებისაგან გაანთავისუფლა. იმ მრავალ ორგანიზაციებს, საზოგადოებებსა და კერძო პირებს შორის, რომლებმაც დახმარება არ დააყოვნეს არის ვიეტნამელების საზოგადოება პოლონეთში „სოლიდარობა და მეგობრობა" („გაზეტა ვიბორჩა", და „უეჩპოსპოლიტა" 31 ივლისი და 1 აგვისტო 2001).

· უკრაინის მთავრობამ წყალდიდობით დაზარალებულებისათვის გამოაგზავნა ექვსი 20-ტონიანი სატვირთო ავტომანქანა 800 ათასი ზლოტის ღირებულების დახმარებით. „გვახსოვს ის დახმარება, რაც პოლონეთმა გაგვიწია, როდესაც ერთი წლის წინ ჩვენ გვიჭირდა" – სთქვა ქარავანის უფროსმა, უკრაინის საგანგებო სიტუაციათა ვიცემინისტრმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე სკიპალსკიმ. ამას გარდა დახმარება მოდის გერმანიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, ნორვეგიის წითელი ჯვრებისაგან და ასევე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციისაგან („გაზეტა ვიბორჩა", 4-5 აგვისტო 2001).

· ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა 210 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვეს იმ პეტიციაზე, რომელშიც სეიმისაგან მოითხოვენ აიკრძალოს ცოცხალი ცხენების საზღვარგარეთ სასაკლაოებზე გაგზავნა. დიდ ბრიტანეთში ასეთი კანონი ჰუმანიტარული თვალსაზრისით არის სავალდებულო. ყოველწლიურად პოლონეთიდან 100 ათასი ცხენი იგზავნება სასაკლაოზე.ასეთმა ექსპორტმა გამოიწვია პოლონეთში ცხენების რაოდენობის შემცირება დაახლოებით 1 მილიონიდან ათი წლის წინათ ამჟამინდელ 490 ათასამდე („უეჩპოსპოლიტა" და „გაზეტა ვიბორჩა", 31 აგვისტო 2001).

· „ცხოველიც ადამიანია" ასეთი დევიზით სპოტის ტყის ოპერაში ჩატარებული წლევანდელი კონცერტის შემოსავლის ნახევარი გამოიყო სასაკლაოზე, გასაგზავნად უკვე გამზადებული ცხენების გამოსასყიდად. გზა სამხრეთ იტალიის სასაკლაომდე ეს არის ათასობით კილომეტრი შეუსვენებლად, უკიდურეს სიმჭიდროვეში. ცხოველებს, რომლებიც დაეცემიან აღარა აქვთ ადგომის საშუალება. ცხენების ნაწილი უკვე თავიდანვე ავადმყოფია ან დაჭრილი. ცხოველებს, რომლებსაც არ სურთ მანქანაში ასვლა სცემენ რკინის ჯოხებით, ჩხვლეტენ მუცელში ურტყამენ დენს. თუ დაჭრილი ცხოველი, რომელსაც ფეხი აქვს დაზიანებული, ვერ ადის საბარგულში მას ჯაჭვებით მიათრევენ. წონისა და მდგომარეობის მიხედვით ცხენი 2,5–დან 5 ათას ზლოტამდე ღირს. პოლონეთში არის ცხენების ოთხი თავშესაფარი, და სულ უფრო და უფრო მეტი პირები გამოისყიდიან ხოლმე ცხენესა და ქმნიან მათთვის კერძო მინი თავშესაფრებს („გაზეტა ვიბორჩა", 8-9 სექტემბერი 2001).

· გოჟუვი არის პირველი ქალაქი პოლონეთში, სადაც შემოღებული იქნა ძაღლების სავალდებულო დანიშვნა კისერში ჩანერგილი მილიმეტრული ჩიპით. სპეციალური წამკითხავი ხელაწყოსა და კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელია პატრონის ვინაობის დადგენა.ასეთი აქციის საშუალებით ძაღლი სამუდამოდ არის დაკავშირებული ადამიანთან, შესაძლებელი ხდება სამართლებრივად მოგვარდეს საჭირ-ბოროტო საკითხები და შეიზღუდოს მაწანწალობა.აქამდე ხშირად ხდებოდა, რომ ადამიანები აიყვანდნენ ძაღლებს, ხოლო შემდეგ მათ ქუჩაში გაგდებდნენ ხოლმე („გაზეტა ვიბორჩა", 29 აგვისტო 2001).

· ქვეყნის სტრატეგიული ბუნებრივი რესურსებისთვის ეროვნული ხასიათის შენარჩუნების ახალი კანონის თანახმად ტყეები არ ექვემდებარებიან არც პრივატიზაციას და არც რეპრივატიზაციას. კანონი მიღებული იქნა მოქალაქეთა ინიციატივით და მის პროექტს ხელიმოაწერა 200 ათასმა ადამიანმა. პოლონეთის ტყეების დაცვის, შენარჩუნებისა და სათანადოდ გამოყენებისათვის გამოყოფილია ერთი მილიარდი დოლარი საერთაშორისო დახმარება („უეჩპოსპოლიტა", 6 აგვისტო 2001).

· დრავენის ეროვნულ პარკში დაიწყო უმრავლესობა ბუნებრივი და ბუნებრივს მიახლოებული (ე.ი. ისეთების, რომელთაც შეუძლიათ ფუნქციონირება ადამიანის ჩარევის გარეშე) დაბერებული ტყის მასივის გაჩეხვა. პარკს ამგვარად 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 80 მილიონი ზლოტის გაკეთების იმედი აქვს („გაზეტა ვიბორჩა", 17 აგვისტო 2001).

· სახელმწიფო ქონების სასოფლო სამეურნეო საკუთრების სააგენტომ 1995-2000 წლებში გაყიდა თხუთმეტი ტბა შენაკადებითა და კიდევ ერთი მდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს ასეთი წყლების გაყიდვასა და კომუნალიზირებას, რადგან ისინი სახელმწიფოს საერთო სახალხო სიმდიდრეს წარმოადგენენ. ტრანსაქცია გაუქმებული იქნა („უეჩპოსპოლიტა", 21 ივნისი 2001).

· თავდაცვის ვიცემინისტრი, რომუალდ შერემეტიევი, კორუფციაში ეჭვმიტანილი მისი ასისტენტის საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობის შემდეგ განთავისუფლებული იქნა თანამდებობიდან („უეჩპოსპოლიტა", 12 ივლისი 2001).

· კავშირგაბმულობის მინისტრი, ტომაშ შიშკო, განთავისუფლებული იქნა მას შემდეგ, რაც კონტროლის უმაღლესმა პალატამ დაამტკიცა სამინისტროში არსებული „კორუფციული სისტემა" („უეჩპოსპოლიტა", 19 ივლისი 2001).

· „ თუ დღეს პრემიერი იეჟი ბუზეკი იშორებს საეჭვო პოლიტიკოსებს, თუნდაც არაბრალდებულებს პროკურატურის მიერ, ხოლო მემარცხენე დემოკრატიული კავშირი განდევნის თავისი პარტიიდან ბრალდებულებს მაგალითად ნეპოტიზმში, ისინი ამას აკეთებენ ჩვეულებრივი პრაგმატიზმის გამო. ამავე დროს გამომჟღავნებული რამოდენიმე აფიორა ცხადს ხდის, რომ მათ იყენებდნენ თავიანთ პოლიტიკურ თამაშებში. მაგრამ ის ფაქტი, რომ ასეთი თამაშები შეიძლება წარმოებდეს, მათ შესახებ შეიძლება, რომ პრესა თავისუფლად სწერდეს – ადასტურებს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. რას იზამ პოლონეთში მართლაც გასკდა – ძალაუფლებისათვის მებრძოლები ანგარიშის უწევენ პოლიტიკის თავისუფალ ბაზარს, ინფორმაციის თავისუფალ ბაზარს, თავისუფალი ქვეყნის სახელს. სწორედ ასე იფურჩქნება დემოკრატია („ვპროსტ", 5 აგვისტო 2001).

· სეიმმა გააფართოვა პოლიციის მოქმედების სფერო. მათ პროკურორისა და სასამართლოს თანხმობის საფუძველზე შესაძლებლობა ექნებათ აკონტროლონ კორესპონდენცია, მოუსმინონ და უთვალთვალონ პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულში. გარდა ამისა უფლება ექნებათ შეაგროვონ ინფორმაცია

წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებებისა, რწმენისა და პირადი ცხოვრების შესახებ („უეჩპოსპოლიტა", 25 მაისი 2001).

· სასჯელის გაძლიერება 80 სახეობის დანაშაულზე და განხილვის დაჩქარება – აი, ძირითადი ცვლილებები, რომელიც შეიტანა სეიმმა სისხლის სამართლის კანონში. გაძლიერდა სასჯელი მაგალითად: მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით – 20 წლი ან სამუდამო; ჯგუფური გაუპატიურება განსაკუთრებული სისასტიკით – 5-დან 25 წლამდე; დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობა – 6 თვიდან 8 წლამდე; ბანდის შექმნა და მისი ხელმძღვანელობა – 3-დან 15 წლამდე; შეიარაღებული ყაჩაღობა – 5-დან 25 წლამდე („უეჩპოსპოლიტა", 25-26 აგვისტო 2001).

· ორი ახალი დაჯგუფების – „მოქალაქეობრივი პლატფორმა" და „კანონი და სამართალი" – სწრაფი პოლიტიკური კარიერა ადასტურებს, რომ არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნილება მათ მიერ გამოცხადებულ დაპირებებსა და წინადადებებზე: დემოკრატიაში მოქალაქეობრივი მონაწილეობის ამაღლება; საგადასახადო დაბეგვრების შემცირება; მოქალაქეთა პირადი უსაფრთხოების ამაღლება („ უეჩპოსპოლიტა", 21 აგვისტო 2001).

· „მოახლოებული არჩევნები უნდა განვიხილოთ როგორც გარდამტეხი, რადგან მასში პირველად გამოჩნდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადატრიალების ყველაზე არსებითი შედეგი – პოლონეთში თანამედროვე საშუალო კლასის წარმოშობა [...] „მოქალაქეობრივი პლატფორმის" წარმოშობას მისი დამფუძნებლების მხრიდან თანხდევდა იდეოლოგიური ეთიკეტების უკუგდება [...] ახლა ბურჟუაზიას აქვს თავისი პარტია – მოქალაქეობრივი პლატფორმა – რომლის ელექტორატი შეუჩერებლივ გაიზრდება, თუმცა შეიძლება ისე სწრაფად არა როგორც ეს მის ლიდერებს სურთ, ხოლო მემარცხენე დემოკრატიული კავშირის ელექტორატი ასევე შეუწყვეტლივ შემცირდება [...] ხოლო პროფესორები უეჭველად დასტოვებენ სეიმის სავარძლებს უნივერსიტეტების კათედრების სასარგებლოდ. ბოლოს და ბოლოს სწორედ იქ არის მათი ადგილი ნორმალურ საპარლამენტო დემოკრატიაში" – მიაჩნია მარეკ გაუტეცკის („უეჩპოსპოლიტა", 8-9 სექტემბერი 2001).

· მემარცხენე დემოკრატიული კავშირის საარჩევნო წარმატების შესაძლებლობა უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობს პოლიტიკური კონკურენტების მაკომპრომენტირებელი ქცევებიდან [...] დიდმადა მცირე თაღლითებმა, სოლიდარნოშჩის ვეტერანების ტოგებ მორგებულებმა, თავიანთი ქმედებებით გამოიწვიეს, რომ ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს მობეზრდა ისინი და თანახმაა პოსტკომუნისტებზე" – შეფასებას იძლევა ბოგდან ცივინსკი ("უეჩპოსპოლიტა", 7 სექტემბერი 2001).

· „შემოდგომის საპარლამენტო არჩევნები [...] აჩვენებენ რამდენად ღრმა ცვლილებები განიცადა ჩვენმა პოლიტიკურმა განწყობამ. მემარცხენე დემოკრატიულმა კავშირმა, პარტიამ 20% მხარდამჭერებით, მოიპოვა მომხრეების კიდევ რამოდენიმე ათეული პროცენტი. აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩმა დაკარგა ელექტორატის სამი მეოთხედი. უნია ვოლნოშჩის მხარეს დღეს 3-დან 5%-მდე ამომრჩეველია [...] მხარდაჭერას მოიპოვებს ორი ახალი დაჯგუფება: მოქალაქეობრივი პლატფორმა და კანონი და სამართალი. ჯამში შეუძლიათ აიღონ 30%, ანუ თითქმის იმდენივე რაც 1997 წელს აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩმა [...] ამომრჩევლებისათვის წარსულ დამსახურებებს უკვე აღარა აქვთ მნიშვნელობა. მაგრამ ასევე ქრება თავად ინტეგიგენცია თავისი ადრინდელი სახით. იგი უმთავრესად შთანთქა პროფესიონალების ფენამ [...] უნია ვოლნოშჩის მოსალოდნელ მარცხთან ერთად კი უკვე მერამდენედ, დამთავრდება პოლიტიკურ წარმოსახვაში არსებობა ე.წ. ინტელიგენტური ღირებულებების, ოდესღაც

ბოგდან ცივინსკის, ადამ მიხნიკის თუ იაცეკ კურონის მიერ აღწერილი. ჩვენი ლექსიკონებიდან აორთქლდნენ სიტყვები: დაუმორჩილებელი, უდრეკელი, ღირსების საქმე, გონიერი პატრიოტიზმი, დიალოგი, რომანტიზმი" – ამტკიცებს სოციოლოგი პაველ შპევაკი („ტიგოდნიკ პოვშეხნი", 17 ივნისი 2001).

· „თუ უნია ვოლნოშჩი აღარ იქნება სეიმში, ისევე როგორც აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩი, ეს იქნება მაჩვენებელი იმისა, რომ პოლონეთის პოლიტიკაში დამთავრდა ეპოქა, რომელშიც როლს თამაშობდნენ სენტიმენტი, ფესვები,და პოლიტიკის წარმოების გარკვეული სტილი. საბოლოოდ დაიწყება ძალაუფლების რასული პოლიტიკოს-პრაგმატიკოსების, უწარსულო ლობისტებისა და დიადი სიტყვების ერა" – მიაჩნია კატარჟინა კოლენდა-ზალესკას („ტიგოდნიკ პოვშეხნი", 17 ივნისი 2001).

· 2001 წლის 23 სექტემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 46,29%-მა. არჩევნების შედეგების მიხედვით სეიმში, რომელიც 460 ადგილს ითვლის ცალკეულმა დაჯგუფებებმა შემდეგი რაოდენობის მანდატები მოიპოვეს: ;
მემარცხენე დემოკრატიული კავშირისა და შრომის კავშირის კოალიციამ - 216; მოქალაქეობრივი პლატფორმა - 65; სამოობორონა - 53; კანონი და სამართალი - 44; პოლონეთის სახალხო პარტია - 42; პოლონური ოჯახების ლიგა - 38; გერმანული უმცირესობა - 2 . პარლამენტს გარეთ დარჩნენ წინა კადენციაში მმართველი პარტიები - აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩი მემარჯვენე და უნია ვოლნოშჩი - რომლებმაც ვერცერთი მანდატი ვერ მოიპოვეს. სენატში, რომელიც 100 ადგილს ითვლის - 75 მანდატი მოიპოვა მემარცხენე დემოკრატიული კავშირისა და შრომის კავშირის კოალიციამ; 15 - ბლოკმა "სენატი 2001" (აქცია ვიბორჩა სოლიდარნოშჩი მემარჯვენე, მოქალაქეობრივი პლატფორმა, უნია ვოლნოშჩი); 4 - პოლონეთის სახალხო პარტია; 2 - სამოობორონა; 2 პოლონური ოჯახების ლიგა; 2 მანდატი მოიპოვეს დამოუკიდებელმა კანდიდატებმა.

თარგმნა რუსულდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

ეჟი პომიანოვსკი

პური მეიშაგოლიდან



საუკუნის ბოლოს პოლონეთში იმდენი გლოვა იყო, ერთიმეორის მიყოლებით ისე ვეთხოვებოდით გამოჩენილ ადამიანებს, რომ გამორიცხული არ იყო, სახელების ამ ქაოსსა და განურჩეველ ქებაში, თავდავიწყებაში არ გადავვარდნილიყავით და არ დაგვივიწყნოდა ის განსაკუთრებული თვისებები და დამსახურება, რამაც გედროიჩი განუმეორებელ ადამიანად აქცია.

თითქოს ცოტა ყოფილიყოს საფრანგეთში თავისი ემიგრაციული ცხოვრების 54 წლის განმავლობაში მის მიერ დაბეჭდილი 636 ნომერი ჩვენი, და ალბათ არა მხოლოდ ჩვენი, ბეჭდვის ისტორიის ყველაზე სერიოზული ჟურნალი და „ისტორიული რვეულების" ასობით ტომი, რომელთა გარეშეც ჩვენი უახლესი ისტორია მომავალი ისტორიკოსებისათვის დანაღმული მინდორი იქნებოდა; თითქოს ცოტა ყოფილიყოს, რომ მან პოლონურად დაბეჭდა ჟურნალ „კულტურის" ბიბლიოთეკის 500 ტომზე მეტი — XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი წიგნები, მათ შორის, მრავალი ნაწარმოები რუსი და უკრაინელი დისიდენტებისა (ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სინიავსკი და დანიელი, ამ პოლონელს უშუალოდ აწვდიდნენ თავიანთ ხელნაწერებს); თითქოს ცოტა ყოფილიყოს, რომ თავისი განმარტოებული ცხოვრებით, რომელიც მთლიანად უანგარო შრომას მიუძღვნა, მან პოლონეთს უაღრესად იშვიათი მაგალითი უჩვენა. ყოველივე ამის გარდა მან ისიც დაგვანახა, რომ ჩესტერტონი მართალი იყო: ჭეშმარიტი პატრიოტი შეუძლებელია კმაყოფილი იყოს თავისი სამშობლოთი. გედროიჩი პირდაპირ საწინააღმდეგო მხარეა შოვინისტისა; თუ მას რაიმეს ატანა არ შეეძლო, ეს იყო სარმატული ცარიელსიტყვაობა. მაგრამ თავისი თანამემამულეებისგან ცოტა ვინმეს თუ უშლიდა თავისი კარის ზღურბლზე გადაბიჯებას, თვლიდა რა აუცილებლობად ცოდვების გამოსყიდვის ერთადერთ საშუალებას — გამოისყიდე იგი, ს zანამ ცოცხალი ხარ. იგი იყო არა მხოლოდ კეთილშობილი და გულუხვი, არამედ მომჭირნეც: ვერ იტანდა პოლონელების ჩვევას, რომელიც საკუთარი ნიჭის უმიზნოდ გაფლანგვაში მდგომარეობდა. იგი ტალანტების დასაცავად გამოდიოდა ზუსტად მაშინ, როდესაც მათ განადგურებას, გათელვას, პირის ამოკერვას შეეცდებოდნენ ხოლმე. თუ არა მისი ეს მონარქიული პატიოსნება და მზრუნველობა, ჩვენ, ალბათ, არ გვექნებოდა არც მილოშის „დამონებული გონება" და არც გომბროვიჩის „ტრანსატლანტიკა".

უფრო მეტიც — იგი ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რომ მის შემდეგ არავის აქვს უფლება დაუბრუნდეს იმ გზას, რომლითაც პოლონეთი მიდიოდა ერთი ღირსეული დამარცხებიდან მეორისაკენ. აქ მე ვილაპარაკებ გედროიჩის რამდენიმე წამოწყების შეასახებ, — მათ შესახებ, რომლებიც შეიძლება გადამწყვეტი გახდეს პოლონეთის პოლიტიკური მომავლისათვის, თუკი „კულტურის" რედაქტორის მითითებები ელირსებიან უფრო ფართო გაგებასა და გაგრძელებას.

* * *

გედროიჩი და მისი „კულტურა" წარმოადგენდნენ იმათ, ვინც მისცა ფორმა და ყველაზე

ნათლად მიანიშნა მიზანი ბუნტის სტიქიურ ელემენტებს, რომლებიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მწიფდებოდა. თავისუფალმა დისკუსიებმა და პროგრამულმა სტატიებმა გედროიჩის ჟურნალში დაასწრეს სამშობლოში ოპოზიციის საიდუმლო პროგრამების გამოჩენას. უმიზეზოდ როდი ჩათვალა არსებულმა რეჟიმმა ეს ჟურნალი ძირგამომთხრელი საქმიანობის მთავარ ორგანოდ და შეუტია მას თავისი ლაქიების კალმით. „კულტურის მკითხველნი იყვნენ ისინი, ვინც გააზრებული ლოზუნგებით განამტკიცებდა მუშათა სტიქიურ აჯანყებებს. ეჭვგარეშეა, რომ სხვა არავინ, თუ არა ისინი, ეხმარებოდნენ პოლონეთში უჩვეულო, მითიური ფენომენის — ინტელიგენციისა და მუშათა თანამშრომლობის წარმოშობას. ისტორიულად ეს პროცესი ხანგრძლივი არ ყოფილა, მაგრამ ზუსტად ამ მოკლე დროში შეიძლებოდა გდანსკის შეთანხმებაზე ხელის მოწერა 1980 წლის აგვისტოში და „მრგვალ მაგიდასთან" მთავრობისა და ოპოზიციის დაჯდომა 1989 წელს... პოლონური ოპოზიციის სხვა ცენტრები ასეთ კავშირს უტოპიად მიიჩნევდნენ. გედროიჩს კი ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში, ვინაიდან პრაქტიკოსები უტოპიის გარეშე თვალთახედვიდან კარგავენ თავიანთ მიზანს. იგი იმეორებდა, რომ ისტორიაში უფრო მეტი დამარცხება მოიტანა არა პრაგმატიზმის უკმარისობამ, არამედ მომავლის არასწორად განჭვრეტამ. ამასთან, იგი იყო დაბადებით პრაგმატიკოსი და თავის პრინციპებზე უარის თქმის გარეშე იცვლიდა ტაქტიკას.

ცვლილებების შემთხვევაში, რომელთაც იგი გარდუვალად მიიჩნევდა, გედროიჩი წინასწარ ამზადებდა სერიოზულ პროგრამას. ამაში რწმუნდებოდა არა ირაციონალური რწმენიდან გამომდინარე, არამედ იქიდან, რომ კარგად იცოდა, რაც ხდებოდა „ცენტრში", ანუ პარალიჩით დაავადებული საბჭოთა ეკონომიკისა და დასავლეთთან თვითმკვლელურ კონფრონტაციაზე გამიზნული იმპერიის მექანიზმების შესწავლის საფუძველზე.

დასკვნები, რომლებსაც იგი ამ შესწავლის საფუძველზე აკეთებდა და რომლებშიც სხვების დაჯერებასაც გამუდმებით ცდილობდა, ძალზე კარგად უწყობდა ხელს იმას, რომ პოლონეთში დამყარებულიყო განსაკუთრებული პირობები: იგი გახდა „ბანაკის" ერთადერთი ქვეყანა, რომლისთვისაც 1989 წლის გარდატეხა არ გამხდარა სრული მოულოდნელობა. დიახ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მან ერთმა შეუწყო ხელი ამას, მაგრამ გზის მაჩვენებელი ორი შუქურიდან, — რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ნაპირთან მშვიდობით მისვლა — ერთი აანთო. მეორე იყო ეჟი ტუროვიჩის კათოლიკური ჟურნალი „საყოველთაო ყოველკვირეული".

და აი, პოლონეთის ისტორიაში პირველად არ გამართლდა ნორვიდის დიაგნოზი: „...ჩვენთან კი?.. წიგნები მეტისმეტად გვიან იბადებიან. მოქმედებები?.. ნაადრევად მწიფდება".

* * *

სამაგიეროდ, გამართლდა წინასწარმეტყველება, ისეთი ტვინის მიერ შემუშავებული, რომელიც შექმნა ამ უდიდესმა სულისჩამდგმელმა, რათა მხარი დაეჭირა თავისი მთავარი იდეისათვის: იგი დარწმუნებული იყო, რომ „სოციალისტური სამყაროს" დაშლა გარდუვალი იყო: საერთო პროცესის ამ ხაზს ყოველთვის გაცილებით უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე კომუნისტური იდეოლოგიის კრახს, ვინაიდან იცოდა, რომ უკვე დიდი ხანია ის ბუტაფორიად იქცა; გარდა ამისა, ყველაზე მეტად იმ ხალხების, და არა მხოლოდ პოლონელების, ბედი აწუხებდა, რომლებიც ბანაკის კარცერში იყვნენ ჩაკეტილნი; დანარჩენი სამყარო ამ წინასწარმეტყველებას როგორც უტოპიას, ისე უყურებდა, ამასთან საშიშს, რომელსაც სსრკ-ის ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაფუჭება შეეძლო. გედროიჩმა კი წინასწარ უბრალოდ და მშვიდად, ყოველი შემთხვევისათვის მოამზადა მოქმედების გეგმა, რათა მზად ყოფილიყო იმ მომენტისათვის, როდესაც პოლონელები და მისი მეზობლები სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ.

სხვამ ვინ, თუ არა გედროიჩმა, მეროშევსკისთან ერთად შეძლო შეემუშავებინა პოლონეთის

აღმოსავლეთის პოლიტიკის ისეთი პრინციპები, რომლებიც ჩვენთვის დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიას წარმოადგენენ? იმავდროულად, ისინი იძლევიან მუდმივი დილემის გადაწყვეტის ისეთ გასაღებსაც, თუ როგორ დავამყაროთ კავშირი სუვერენულ უკრაინასთან, რომ რუსეთი მტრად არ გადავიქციოთ. „კულტურის" პუბლიცისტებს მიაჩნდათ, რომ „ახლო აღმოსავლეთის" იმ ხალხების დამოუკიდებლობა, რომლებიც რუსეთსა და პოლონეთს შორის ცხოვრობენ, მოსპობდა კამათის მიზეზსა და საგანს ჩვენ ორ სახელმწიფოს შორის, ვინაიდან საუკუნეთა მანძილზე სისხლიანი ომები ზუსტად ამ ხალხებზე გაბატონებისათვის მიმდინარეობდა. კონფლიქტის მიზეზები გაქრება მაშინ, როდესაც ჩვენ, პოლონელები და რუსები, უზრუნველვყოფთ ჩვენი საერთო მეზობლობის სუვერენიტეტსა და ურღვევ საზღვრებს.

ზუსტად „კულტურის" წრეებში ტრიალებდა კონცეფცია ჩვენს აღმოსავლეთ მეზობლებთან სტრატეგიული კავშირის შესახებ, — კავშირისა, რომლის ფასადაც პოლონეთი სრულ უარს იტყოდა ყოფილ აღმოსავლეთ მიწებზე, ვილნიუსზე, ლვოვზე, გროდნოზე. გამოუსწორებელ უტოპისტ გედროიჩზე, რომელიც თავის პარიზულ გარეუბანს არ ტოვებდა, შეუწყვეტლივ ავრცელებდნენ სიცრუესა და ცილისწამებას როგორც ემიგრაციაში, ისე სამშობლოში პატენტიანი პოლონელი პატრიოტები, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იგი მოესწრო იმ დროს, როდესაც მისი, ერთი შეხედვით, თვითმკვლელური კონცეფცია საყოველთაოდ მისაღები გახდა და მტკიცედ დამკვიდრდა ეროვნულ ჯანმრთელ თვითშეგნებაში. ის, რაც პილსუდსკისათვის აუხდენელ ოცნებას წარმოადგენდა კონფედერაციაზე, გედროიჩმა გარდაქმნა ნორმალური კავშირის ფხიზელ სტრატეგიად და თანდათან დაარწმუნა მის ერთგულებაში ყველაზე განმჭვრეტი ტვინები, ხოლო მათ შემდეგ კი ყველა დანარჩენი. თუნდაც ამიტომ მას პირველი ადგილი ეკუთვნის პოლონელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის.

მაგრამ არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ თავისი კონცეფცია გედროიჩს არასოდეს არ შემოუთავაზებია როგორც ბრძოლის იარაღი რუსეთსა და რუსებთან. იგი თვლიდა, რომ თავად რუსეთიც ვერ განვითარდებოდა ჩვენი აღმოსავლეთი მეზობლების დამოუკიდებლობის გარეშე. უკრაინის დაპყრობის ცდები რუსეთისათვის გარდაქმნის სერიოზულ მუხრუჭად იქცევა. ადვილი არ არის მაგალითი ავიღოთ ინგლისისგან, საფრანგეთისგან, ნიდერლანდებისგან (ისევე, როგორც გერმანიასა და იაპონიისაგან), რადგან, როგორც მათ, ჩვენც უნდა მივატოვოთ ფიქრი კოლონიებზე, დაპყრობებსა და ტერიტორიული მიტაცებების შესახებ. ფიქრი და მთელი ყურადღება უნდა გადავიტანოთ მეურნეობის თანამედროვე ინტენსიურ განვითერებაზე, რამაც ამ ქვეყნებს ძალა შესძინა და კეთილდღეობა მოუტანა — დიქტატურისა და სხვათა მიწების დაპყრობების გარეშე... დღეს ევროპაში არც ერთი ერი ისე არ დგას დრამატული არჩევანის წინაშე, როგორც რუსეთი: ახალი გზით სიარულისას რუსებმა გაიარეს მხოლოდ ოღრო-ჩოღროები, ხოლო ექსპანსიის ძველი გზა მათ ძველებურად შესაძლებლად ეჩვენაბათ.

გედროიჩმა იცოდა, რამდენად გადამწყვეტია არჩევანი — თავად რუსეთისთვისაც, ევროპისთვისაც და პოლონეთისთვისაც. ამიტომ აძლევდა იგი ასეთ დიდ მნიშვნელობას რუსეთის მოქალაქეების ინფორმირებას პოლონელების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე იმ სიძნელეების შესახებ, რომელთაც ისინი აწყდებოდნენ თავიანთ გზაზე, იმის შესახებ, თუ რა შევძელით ჩვენ ბოლოს და ბოლოს, და ამ გამოცდილებიდან თუ რა შეიძლება იყოს გარკვეული გაფრთხილება. მისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ თემებზე დიალოგის გამართვა თავად რუს მოქალაქეებთან; არა პოლიტიკურ ელიტასთან (როგორც ეს ადრე ხდებოდა ხოლმე), არამედ მასთან, ვინც ყველაზე მეტად მოწყურებულია ცოდნას მთელ მსოფლიოში, და კერძოდ, პოლონეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ; მასთან, ვინც შეძლო უარი ეთქვა ქვეშევრდომობაზე და გადაქცეულიყო მოქალაქედ და ამომრჩევლად.

სწორედ ამიტომ შეიქმნა ყოველთვიური ჟურნალი „ახალი პოლონეთი", რომელიც უკვე

ერთი წელია გამოდის. იგი აღწევს რუსეთის შორეულ კუთხეებამდე, მიდის მათთან, ვინც წარმოადგენს მის გონებრივ ავანგარდს. ჟურნალის პირველივე ნომერი გაიხსნა ეჟი გედროიჩის მიმართვით, რომელშიც ავტორი ვრცლად შეეხო სლავი ხალხების ძმობის ტრადიციებს, არა იმ ცნობილი ლაბადის შესახებ, რომლის ქვეშაც ბრინჯაოს მხედართან იდგა ორი ახალგაზრდა პოეტი, არამედ საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე სისხლიან ბრძოლებს, პოლონელთა ხანგრძლივ მონობას და იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, როდესაც შესაძლებელი გახდა რუსებთან საუბარი პირფერობის გარეშე, ისე, როგორც ტოლი ტოლთან. მხოლოდ ასე თუ შეიძლება მივაღწიოთ ურთიერთგაგებას.

გედროიჩმა ამ სტრიქონების ავტორი დაითანხმა დაეარსებინა და ერედაქტორა ჟურნალ „ახალი პოლონეთისათვის". ვფიქრობ, რომ არ არსებობს უფრო მეტი შეგრძნება კმაყოფილებისა, რომელსაც განიცდი მაშინ, როდესაც საბოლოო შედეგებამდე მიგყავს ასეთი ნათელი გონების მქონე ადამიანის ჩანაფიქრი.

უნდა ითქვას, რომ ეჟი გედროიჩმა დაიმსახურა გაცილებით მეტი, ვიდრე მხოლოდ ამქვეყნიური პატივისცემაა. მისი კონცეფცია უნდა მივიღოთ, როგორც მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და არ გადავუხვიოთ მისი სტრატეგიიდან. დიახ, „კულტურა" უკვე აღარ იქნება, მაგრამ დარჩა ვალდებულებები, რომელთა შესრულების აუცილებლობაც მან ჟურნალის ფურცლებზე მიუთითა. კონფლიქტების გარეშე მათი შესრულება მხოლოდ ჩვენი რუსი ძმების დახმარებით გახდება შესაძლებელი.



ახლა სწორედ დროა, ვაღიარო, რომ ამ ადამიანის მიმართ დავალებული ვარ გაცილებით მეტად, ვიდრე სხვა ვინმეს წინაშე მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, ვინაიდან მან რამდენიმეჯერ დამტვირთა ისეთი შრომატევადი საქმიანობით, რომელმაც ჩემს ცხოვრებას აზრი მისცა. გუსტავ ხერლინგ-გრუდზინსკიმ სწორედ გედროიჩისგან ჩამომიტანა, იაფფასიან ფლორენციულ სასტუმროში მცხოვრებ სამშობლოდან ახლადგაძევებულს, სსრკ-დან პირველად საიდუმლოდ გამოტანილი სოლჟენიცინის რომანის ფურცლები მისი თხოვნის წერილით — მეთარგმნა იგი. თავდაპირველად ეს იყო რომანი „წრე პირველი", შემდეგ — „გულაგის არქიპელაგი". შემდეგ იყო სახაროვის, გელერის, შალამოვის ტექსტები... პირადად გედროიჩი ითხოვდა ჩემგან რეცენზიებს, პოლემიკებს, სტატიებს და მსაყვედურობდა, თუკი მათ დავუგვიანებდი. მანვე შემაგულიანა, მომეგროვებინა სტატიები რუსეთისა და პოლონეთის შესახებ წიგნისათვის — „რუსული თვე და ოდნავ მეტი", რომლისთვისაც წინასიტყვაობა თვითონვე დაწერა და სრულიად მოულოდნელად მომანიჭა „კულტურის" მიერ დაწესებული მეროშევსკის სახელობის პრემია. მაგრამ მე გაცილებით უკეთ მახსოვს არა ეს ჯილდოები, არამედ გედროიჩთან ბოლო შეხვედრა სააღდგომო სუფრასთან, მეზონ-ლაფიტში მიმდინარე წელს. მაშინ ჩვენ გავტეხეთ შავი პურის ნაჭერი მეიშაგოლიდან. ეს პური მას მაშინვე შეუყვარდა: მან მინსკელ გედროიჩის, ამ ლიტველ თავადს, ბავშვობა გაახსენა (ეს ლიტვური პური ვარშავის ერთ-ერთ ფურნეში ვიპოვე). გატეხილი პურის ჩემი კუთვნილი ნახევარი მე შევინახე და ვფიქრობ, რომ ამ გამხმარი პურით გაცილებით მდიდარი ვარ იმ ათასობით პოლონელთან შედარებით, რომელთაც გედროიჩი თავისი სიბრძნით კვებავდა.

თარგმნა ამბროსი გრიშაშვილმა

ალექსანდრე ლიპატოვი

ძნელი მეზობლობა



ალექსანდრე ვლადიმერის ძე ლიპატოვი (დაბ. 1937) პოლონისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სლავურისმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ–თანამშრომელი, რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი. ა. ლიპატოვი ავტორია მრავალი პუბლიკაციის, რომელთაგან აღსანიშნავია სამი წიგნი: „პოლონური საგანმანათლებლო რომანის წარმოშობა“, „პოლონური რომანის ფორმირება და ევროპული ლიტერატურა (შუა საუკუნეები, აღორძინება, ბაროკო)“ და „ლიტერატურა შლიახტური დემოკრატიის წრეებში“. ივი სისტემატიურად იბეჭდება ჟურნალ „სლავიანოვედენიეში“..

აბსოლუტური შინაგანი ჰარმონია მხოლოდ მითებისა და უტოპიისათვისაა დამახასიათებელი. ასეთია აქამდე ცოცხალი (ვინაიდან დღემდე ხდება მისი გამოყენება პოლიტიკოსების მიერ) მითი სლაური ერთიანობის შესახებ. ეს მითი იმსხვრევა პირველივე კონკრეტული შეპირისპირების დროს, როგორც წარსულის შიდაეროვნულ ისტორიასთან (გავისხენოთ დაუსრულებელი ძმათამკვლელი ომები ძველ რუსეთში, პოლონეთში, დასავლეთ და სამხრეთ სლაურ სახელმწიფო გაერთიანებებში), ასევე ჩვენი დროის რეალობასთან (სსრკ–ის დაშლა, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის მაგალითები). სლაური ერთიანობის მითმა „არ გაამართლა“ ასევე სლავთაშორის გარე ურთიერთობებშიც: ცნობილია ტრადიციული ანტაგონიზმი მოძმე სლაური ხალხების — რუსებისა და უკრაინელების; უკრაინელების, რუსების და პოლონელების; პოლონელების და ჩეხების; ბულგარელების და სერბების; სერბების და ხორვატების...

სლაური ერთიანობის მითი იმსხვრევა აგრეთვე სხვადასხვა კონფესიისადმი სლავთა ისტორიული მიკუთვნებულობის თვალსაზრისითაც (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, მაჰმადიანობა) და მათგან მომდინარე მთელი შედეგებით. დაპირისპირება წარმოჩინდა ეროვნული კულტურის სფეროში, მენტალიტეტში, სხვა ეთნოსებისადმი დამოკიდებულებაში, შიდა და გარე პოლიტიკურ ორიენტაციაში. ეს ზუსტად ასე განიხილება თავად ქრისტიანობის შიგნითაც. ქრისტიანობამ, თუმცა კი აერთიანებს ხალხებს სულიერად, ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა

პოლიტიკური კონფლიქტები, ერთაშორისი ომები, სახელმწიფოებრივ უფლებებზე ხაზგასმა, ასევე ხელისუფალთა პირადი ამბიციები თავად ქრისტიანული აღმსარებლობის შიგნით.

მაგრამ პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა მარტო კი არ თიშავდა, არამედ აერთიანებდა კიდეც ერთი კონტინენტის სხვადასხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს. ყველაფერი ეს საკმარისი სისრულით აისახებოდა რუსების (ძირითადად ეს დაკავშირებილია აღმოსავლეთ სლავების მართლმადიდებლობასთან) და პოლონელების ურთიერთობებში.

მიუხედავად ომებისა, რუსული კულტურული თვითშეგნებისათვის კარგად არის ცნობილი ის განსაკუთრებული, თავისებური როლი, რომელიც პოლონეთმა, მისმა კულტურამ, მეცნიერებამ და სიტყვიერებამ ითამაშა XVII საუკუნის რუსეთის ცხოვრებაში (გაცილებით ადრე მან ეს როლი უკრაინელთა და ბელორუსთა ცხოვრებაში შეასრულა ამ უკანასკნელთა პოლონეთ–ლიტვის სახელმწიფო საზღვრებთან მდებარეობის გამო), როდესაც პოლონური ბაროკოს გავლენით,– ჯერ კიდევ პეტრეს დრომდე, — დაიწყო მოსკოვის შესვლა დასავლეთევროპულ სივრცეში, მაშინ ჩამოყალიბებულმა კავშირებმა (რომლებიც უფრო ადრეულ ტრადიციებს ეფუძნებოდა) საფუძველი ჩაუყარა ისეთ კულტურულ ურთიერთგავლენას, რომელიც სხვადასხვა დონის ინტენსიურობით თითქმის ჩვენს დრომდე გამოსჭვივის (საკმარისია გავიხსენოთ პოლონური ლიტერატურის, კინემატოგრაფიის, მუსიკალური ხელოვნების და ბოლოს, თავად პოლონური მოდის როლი საბჭოთა კავშირში „დათბობის“ დროიდან მოყოლებული).

ამის პარალელურად, — დასაბამიდან — თავად პოლიტიკური კონფლიქტები და მათგან გამომდინარე ოფიციალური ეროვნულ–სახელმწიფოებრივი იდეოლოგია წარმოშობდნენ და, დიდი თუ მცირე მუდმივობით, მხარს უჭერდნენ, ააქტიურებდნენ როგორც რუსების, ისე პოლონელების წარმოდგენაში უარყოფით სახეებსა და ნეგატიურ სტერეოტიპებს ერთმანეთის მიმართ. ამან ასახვა ჰპოვა არა მხოლოდ ორი ხალხის ეროვნულ მეხსიერებაში, არამედ ზოგჯერ მეცნიერულ წარმოდგენებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაზე.

პოლონელებს არ შეუძლიათ დაივიწყონ რუსეთის ძალადობა მათი სამშობლოს მიმართ, ვინაიდან თავად რუსეთის იმპერია, ხოლო შემდეგ იმპერიალისტური სსრკ, გამუდმებით აახლებდა ამ ძალადობას და განუწყვეტლივ სჭედდა ეროვნული ჩაგვრის ჯაჭვს, რითაც დაუმორჩილებელი ერის გმირული და ტრაგიკული წინააღმდეგობების პროვოცირებას ახდენდა.

რუსეთის მონაწილეობა პოლონეთის დაყოფასა და მისი სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციაში, მისი მიერ აჯანყების სასტიკი ჩახშობა, რომელიც გამოწვეული იყო ადგილობრივი ხალხის და მისი კულტურულ–ისტორიული ტრადიციების მიმართ რუსული უპატივცემულობით, პოლონელთა სამოქალაქო უფლებებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შეზღუდვა, და ბოლოს, იძულებითი რუსიფიკაცია, — ასეთი იყო პოლონელთა ხვედრი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე 1918 წლამდე, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ახლად სახელმწიფოებრიობა მოპოვებულ ქვეყანას სულ მალე ახალი საშიშროება დაემუქრა უკვე 1919–1920 წლებში, როდესაც წითელმა არმიამ პოლონეთისაკენ გასწია, რათა განეხორციელებინა მსოფლიო რევოლუციის ბოლშევიკური იდეა, შესულიყო გერმანიაში და გერმანელ კომუნისტებს დახმარებოდა თავიანთი ხელისუფლების დამყარებაში. შემდეგ დაიწყო პოლონური წარმოშობის საბჭოთა მოქალაქეების დევნა, შევიწროება და საერთოდ საბჭოეთის ფარგლებში პოლონური კულტურის განადგურება, პოლონეთზე თავდასხმა 1939 წლის სექტემბერში, რეპრესიები და პოლონელთა მასობრივი დეპორტაცია „განთავისუფლებული“ მიწებიდან, ხოლო 1940 წელს, — 21 ათასი პოლონელი სამხედრო ტყვის განადგურება კატინში, ოსტაშკოვოში, სტარობელსკში და სხვა ბანაკებსა და საპატიმროებში. 1944 წელს დაიწყო პოლონურ მიწებზე მარიონეტული რეჟიმის დამყარება, რასაც შემდეგ მოჰყვა რეპრესიები, უცერემონიო ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში, გამუდმებული კონტროლი და მხარდაჭერა „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის“ სახელით

დამყარებული ტოტალიტარული რეჟიმისა 1989 წლამდე.

არ შეიძლება ამ მძიმე მეზობლობის ხანგრძლივ ტრადიციას გავლენა არ მოეხდინა პოლონელთა ფსიქიკაზე, გუნება–განწყობილებაზე, მათ შეგნებაში არ ჩამოეყალიბებინა მტრის კომპლექსი, რომელიც ქმნიდა გამუდმებულ „საშიშროებას აღმოსავლეთიდან“. ყველაფერი ეს კი უკვე ჩვენს თვალწინ გადაიზარდა ნატოში შესვლის მისწრაფებად. პოლონელთათვის ეს ანტირუსული აგრესიის გამოვლინების აქტი კი არ იყო, არამედ ისტორიულად გამუდმებული საფრთხისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, „აღმოსავლეთის“ წინაშე შიშის კომპლექსისაგან განთავისუფლება, დიდი სლავი ძმის მეზობლობაში საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის რწმენის განმტკიცება.

იმავდროულად, ამის პარალელურად (ყოველ შემთხვევაში, დაწყებული მიცკევიჩიდან, რომელმაც იმპერიის სიღრმეებში პოლიტიკური გადასახლების დროს შეიმეცნა რუსეთი, მოიპოვა ახლო მეგობრები და ლიტერატურული აღიარება) პოლონელთა შეგნებაში არსებობს ორი რუსეთის ისტორიული გააზრება: ოფიციალურის, — უცხოსი და მტრულის და არაოფიციალურის, რომელსაც შეადგენს ტრადიციული (სახალხო) და მაღალი რუსული კულტურა, მიმზიდველი, თავისი საერთო ნიშნებით ევროპულ ფასეულობებთან ახლო მდგომი.

ახლა, როდესაც რუსეთი ცდილობს მოისროლოს ბალასტი, რომელიც ურთულებს საერთო ევროპულ სახლში შესვლას, ესწრაფის გაიაზროს თავისი ისტორიული გამოცდილება, თავისი წვლილი საკაცობრიო ფასეულობათა საგანძურში და თავისი ცოდვები კაცობრიობისა და ადამიანურობის წინაშე, განსაკუთრებით მკვეთრად დგება მის წინაშე აზროვნების ტრადიციული სტერეოტიპების გადალახვის აუცილებლობა. მსგავსი პრობლემა მკვეთრად იგრძნობა პოლონეთშიც, რომელიც ასევე ესწრაფის არა მხოლოდ საბჭოეთის მიერ „გარედან“ თავსმოხვეული ტოტალიტარიზმისაგან გათავისუფლებას, არამედ თავისი „უძველესი“ ეროვნულ–ისტორიული სტერეოტიპების, პროვინციალიზმის, დასავლეთისაგან ჩამორჩენის კომპლექსებისაგან თავის დაღწევას. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ შეიმეცნოს თავი, საკუთარი ისტორია, კულტურა, თავისი ადგილი წარსულსა და ამჟამად ჩვენს ირგვლივ არსებულ სამყაროში, — ღირს საკუთარი თავის დანახვა ასევე სხვისი თვალებით. ასეთი რაკურსი დაგვეხმარება არა მხოლოდ უფრო ადეკვატურად შევიმეცნოთ ეს „სხვები“, გავიგოთ მათი ტკივილი და წყენა, არამედ, — დავინახავთ რა საკუთარ თავს პერსპექტივიდან, — დავძლევთ ჩვენს სიამაყეს, მოვთოკავთ პრეტენზიებს ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ და ზოგჯერ ჩვენი დანაშაულის აღიარებასაც მივაღწევთ.

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ მონანიებაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება სამშობლოს, მშობლიური ხალხის, საკუთარი კულტურის წინაშე დანაშაულთან. მაგრამ იქნება კი სრული ასეთი მონანიება სხვების წინაშე საკუთარი დანაშაულის შეგნების გარეშე? შეძლებენ კი ეს სხვები ჩვენი თვითშეგნების გარეშე დაინახონ ჩვენში არა მხოლოდ გეოგრაფიული მეზობლები, არამედ მეზობლები ევროპული ცივილიზაციის საერთო ჭერქვეშ? და საერთოდ: რამდენად კარგად ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს? რამდენად შევძელით ჩვენ გადაგველახა ოფიციალური მეცნიერების ახლომხედველობა, საბჭოური ხანის იდეოლოგიური შეზღუდულობა, სტერეოტიპები, რომლებსაც ოფიციალური ხელისუფლება ნერგავდა ისტორიულ და უახლოეს წარსულში, დოგმატიზმი, სასწავლო–საგანმათავისუფლო პროგრამების ცალმხრივობა და ა. შ.?

ამგვარმა კითხვებმა მიგვიყვანა ჩვენ, რსჰუ–ს (რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი — ა. გ.) ისტორიულ–ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, პოლონელ კოლეგებთან, იმათთან, ვინც მზადაა ღია დიალოგის გასამართად.

პირდაპირი, არაოფიციალური, ყოველგვარი ბიუროკრატიული ფორმალობებისაგან თავისუფალი საუბრები ვარშავის და იაგელოს უნივერსიტეტების კოლეგებთან, ასევე კრაკოვის პედაგოგიური აკადემიის თანამშრომლებთან სწრაფად გვარწმუნებს ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობაში, რომ „რუსულ–პოლონური სემინარი“ (ასე ვუწოდეთ ჩვენ მომავალ შეხვედრას), დაიწყებოდა

1997 წლის 11 ნოემბერს. პროფესიული მოუცლელობის გამო, ამაზე ადრე პოლონელებს არ შეეძლოთ, ხოლო ამაზე გვიან, — ჩვენ.

ღვთის ბეჭედი? გარემოებათა დამთხვევა? ზუსტად წინა დღეს, გასამგზავრებლად მზადების ქაოსში გაგვახსენდა, რომ ჩვენი სტუმრებისათვის ეს იყო ეროვნული დღესასწაული: 1918 წლის 11 ნოემბერს გამოაცხადა პოლონეთმა თავისი დამოუკიდებლობა. ორ „ოფიციალურს“ (საერთაშორისო შეხვედრას დამატებული ეროვნული დღესასწაული) მიემატა მესამე: — საორგანიზაციო კომიტეტს აცნობეს იმის შესახებ, რომ ჩვენთან სტუმრობის სურვილი ჰქონდათ პოლონეთის ელჩს ანჯეი ზალუცკის და საელჩოს თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობდნენ მეცნიერების, კულტურისა და განათლების საკითხებზე. ყველა ეს სამი „ოფიციალობა”, რომლებიც ერთი მეორეზე წაეწყო, კი არ გასამდა, არამედ მოხდა მათი სხვა ხარისხში გადაზრდა, რაც განპირობებული იყო მონაწილეთა შემადგენლობით, და თავად მათ მიერ შექმნილი შეხვედრის ატმოსფეროთი. ურთიერთობის ოთხი დღე დასრულდა „მრგვალი მაგიდით“, რომელშიც მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ლიტერატორებმა, ჟურნალისტებმა, სხვა პროფესიათა წარმომადგენლებმა, — ყველამ, ვისაც აინტერესებს რუსეთ–პოლონეთის ურთიერთობათა წარსული, ამ ურთიერთობათა ამჟამად არსებული მდგომარეობა, აღელვებს მისი მომავალი. ასე რომ, მეცნიერულმა პრობლემებმა მოიპოვეს უშუალო გასასვლელი თანამედროვე რუსეთისა და პოლონეთის საზოგადოებრივ–კულტურულ ცხოვრებაში.

რუსეთ–პოლონეთის ურთერთგაუგებრობის ერთობლივი გადალახვის შეგნების აუცილებლობა წარსულსა და აწმყოში, ახლა და მომავალში ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით, პროფესიული თანამშრომლობის შეგრძნება და ჭეშმარიტი კეთილმოსურნეობა, — ყველაფერმა ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ პოლონელმა კოლეგებმა შემოგვთავაზეს დაწყებული დიალოგის გაგრძელება, მისთვის სისტემატური სახის მიცემა. შემდგომი შეხვედრის გამართვა გადაწყდა კრაკოვში, — იქ, სადაც 1364 წელს გაიხსნა პირველი პოლონური უნივერსიტეტი და სადაც პოლონელთა გვერდით სწავლობდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

მეორე შეხვედრა შედგა 1999 წლის ოქტომბერში, სახელწოდებით: „პოლონურ-რუსული სემინარი, ინტელიგენცია, ტრადიცია და თანამედროვეობა“. მისი მასალები პოლონეთში გამოქვეყნდება. ამ შეხვედრის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ ერთხმად გადაწყდა შემდგომი სემინარის დაგეგმვა.

პოზიციებზე და შეფასებებზე ზოგიერთი ძველი შეუთანხმებლობა გარკვეული დონით განიხილებოდა ორივე სემინარზე. ამასთან, წარსულის აწმყოში ამგვარი „განსხვავებული წაკითხვა“ დაკავშირებული იყო არა ამა თუ იმ ავტორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მიკუთვნებასთან, არამედ ავტორისეულ შეხედულებებთან. ეს უკვე ჩვენი დროის ნიშანია. ღია კამათის ამჟამინდელი შესაძლებლობა არ გულისხმობს ყველაფერში და ყველასთან შეთანხმების აუცილებლობას: საყოველთაო ერთიანი აზრის იმპერატივი დამახასიათებელია იდეოლოგიისათვის და არა მეცნიერებისათვის. სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაში დანერგილი აზრი აუქმებს ჭეშმარიტ მეცნიერებას, მას ხდის რეჟიმისათვის უსარგებლოს; რეჟიმის შესანარჩუნებლად იდეოლოგიაა საჭირო. თავისუფალი აზროვნება წარმოშობს მეცნიერებას და მას ხდის აუცილებელს კულტურის თვითმყოფადობის, პიროვნების თვითრეალიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

სახელდობრ ასეთი — პოლიტიკის წარმავალ მოთხოვნებს დაუმორჩილებელი და აზროვნების იდეოლოგიური სტერეოტიპებით შეუზღუდავი მეცნიერება გვეხმარება ობიექტურად შევიმეცნოთ კაცობრიობის მიერ შექმნილი რეალობა და ამით გადავლახოთ წარსულის მიერ დატოვებული ნაციონალისტური, ველიკოძერჟავული და კონფესიონალური ცრურწმენათა ხელოვნური ბარიერები, განვთავისუფლდეთ მესიანური და უტოპიური მითებისაგან, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა იდეოლოგია.

სიცრუეზე და სიყალბეზე შეუძლებელია არა მხოლოდ ადამიანთშორისი, არამედ ერთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი

ურთიერთობების აშენება. ჭეშმარიტების დამალვას, ფაქტების გაყალბებას არ შეუძლია ადამიანების დაახლოება: ეს მხოლოდ აშორებს მათ. ჩვენთან ნათქვამმა სიმართლეს სსრკ–ისა და ნაცისტურ გერმანიას შორის საიდუმლო შეთანხმების შესახებ, აგრეთვე კატინისა და ვარშავის აჯანყების თაობაზე სრულიადაც არ შეუქმნია მორიგი წყალგამყოფი რუსებსა და პოლონელებს შორის. პოლონეთში „არაოფიციალურად“ ყველაფერი ეს ყოველთვის და ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. ამ ფაქტების ოფიციალურმა აღიარებამ გამოიწვია იმათ მიმართ ნდობისა და პატივისცემის აღდგენა, რომლებიც ამ ნაბიჯებზე წავიდნენ, მიუხედავად იდეოლოგიური ტაბუსი. რუსეთში, სადაც ყველაფერი უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის, „რკინის ფარდის“ ახსნისა და შინაგან მმართველობაში „ეჟოვის ხელთათმანების“ გახდის შემდეგ, აღნიშნულმა სიმართლემ ხელი შეუწყო არა მარტო საზოგადოების მიერ თავისი ახლო წარსულის არსის შეცნობას, არამედ პოლონელების დამოუკიდებლობის არსის გაცნობასაც მათი ისტორიის „რუსულ საკითხთან“ დაკავშირებით. ეს სიმართლე მათ დაეხმარათ ასევე გაეგოთ, თუ რატომ მოხდა, რომ „რეალური სოციალიზმის“ დროიდან საზოგადოებაში დანერგილი „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ერთიანობის შეგნება“, სსრკ დაშლასა და მისი ჯარების საკუთარ საზღვრებში დაბრუნებასთან ერთად, მყისიერად ფერფლივით გაიფანტა; რატომ მოხდა, რომ ომახიანი ჰიმნები „საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობის“ შესახებ (ზუსტად ისევე, როგორც სხვა ხალხებს შორის, რომელთაც მაშინ „მოძმე ხალხებს“ უწოდებდნენ) სამგლოვიარო მარშებად იქცა, ხოლო მიზანთა ერთობა („წინ კომუნიზმისაკენ“) დაიმსხვრა პოლონეთის (და სხვა „მოძმე ქვეყნების“ და ასევე ზოგიერთი ყოფილი „საბჭოთა რესპუბლიკის“) პრინციპულ სვლად ევროკავშირისა და ნატოსაკენ. ეს ოფიციალური რუსეთისათვის იქცა დაკარგული თვითმპყრობელობით გამოწვეულ უძლურ–აგრესიულ სევდად და გაავებულ წინააღმდეგობად ბოლოდროინდელი „უმცროსი ძმების“ ასეთი დამოუკიდებელი საქციელის მიმართ.

ხელისუფლების ეს ბრმა რეაქცია მთელს რუსეთს (რომელთანაც მმართველი ელიტა თვითდაჯერებულად აიგივებს თავის თავს), ამსგავსებს ისტერიულ, მიტოვებულ ქალს, რომელსაც არ სურს ანგარიში გაუწიოს იმას, თუ რა საბრალოდ გამოიყურება და ამიტომ ვერ პოულობს საკმარის ძალას საკუთარი თავის ხელში ასაყვანად, რათა საბოლოოდ არ დაეცეს, შეინარჩუნოს საკუთარი ღირსება, შეიმეცნოს თავი ცვალებად ცხოვრებაში და ახალი ურთიერთობები დაამყაროს ახალ ვითარებაში.

პოლიტიკა, — მაცდური ახირებული და სულელი ქალბატონია; ზოგჯერ იგი ქალბატონიც კი არ არის, არამედ მსუბუქი, შეზღუდული და ჩერჩეტი დედაკაცი, ზოგჯერ კი, — როგორც ეს ჯარისკაცული პირდაპირობით თქვა პილსუდსკიმ, — უბრალოდ კახპა. მაშ შეიძლება, რომ ასეთ არსებას სრულიად ვენდოთ? რომ მხოლოდ მას მივცეთ რწმუნება დაგვყოს „ჩვენებად“ და „სხვებად“, „მეგობრებად“ და „მტრებად“? განა მას ხელეწიფება გაარკვიოს და მიგვითითოს, თუ როგორი უნდა იყოს ხალხთა შორის, მათ კულტურათა შორის დამოკიდებულება, ამა თუ იმ ხალხის წარმოდგენები წარსულსა და მომავალზე, ან როგორი უნდა იყოს მათი სამომავლო გეგმები?

იმ დროს, როდესაც საკმარისი არ არის და ხშირად ვერ გამოინახება ხოლმე სახელმწიფოთაშორის და ერთაშორის პოლიტიკაში საერთო ენა, მეცნიერების ენა იძენს აზრსა და მნიშვნელობას, რომელიც გეოგრაფიულ საზღვრებს შორდება. რუს და პოლონელ მეცნიერებს შორის შემდგარი და მიღწეული დიალოგი ხელს შეუწყობს იმას, რაც ვერ შეძლეს პოლიტიკოსებმა: ჭეშმარიტების დადგენას, ჩვენს მეზობლობაში ხელისუფალთა და იდეოლოგთა წყალობით შექმნილი სირთულეების შემსუბუქებას; ამ მეზობლობას ვერსად გავექცევით: შეუძლებელია შეცვლა–გადაკეთება გეოგრაფიის, პოლიტიკათა განსხვავებულობის, კანონმდებლობის, მოდისა და ცოლ–ქმრობის... არ შეიძლება მათი არც შეცვლა და არც გადაკეთება.

თარგმნა ამბროსი გრიშაშვილმა

თადეუშ სობოლევსკი

ოხოისკასთან

მე გამიმართლა

ვარშავაში ნოვი შვიატის ქუჩაზე მდებარეობს პოლონეთის ჰუმანიტარული აქცია, რომელიც ორ ოთახშია განთავსებული, აქვს სამზარეულოც. იანინა ოხოისკა, ფონდის დამფუძნებელი, ჯერ კიდევ არ ჩამოსულა კრაკოვიდან, სადაც საავტომობილო კატასტროფის შემდეგ მკურნალობს. ნოვი შვიატზე კი მას მოუთმენლად ელიან.

დერეფანი მომლოდინე ხალხითაა სავსე. თითოეული მათგანი ადამიანი–ისტორიაა, მიუხედავად კანის ფერისა, სულ ერთია შავკანიანია, ყვითელკანიანი თუ თეთრი. ყოველი ლტოლვილის ბედი მზა თემაა რეპორტაჟისა თუ ფილმისათვის, თუმცა, ამ შემთხვევაში, ერთდღიანი მოწმის როლი ვერ გამოდგება. მათი მდგომარეობა რომ გაიგო და გაითავისო, ყველაფერ ამის მონაწილე უნდა იყო, მიხვიდე მათთან (უმჯობესია, თუ რეგულარულად ივლი) და, ბოლოსდაბოლოს, მოხალისე (ვოლონტერი) გახდე. ეს ყველაზე ტიპიური გზაა.

ადამიანურობა

კედლებზე რუკებია გაკრული — ყაზახეთის, ბოსნიის, პოლონეთის. იქვეა კარგად ცნობილი ღია ბარათები, ომის დროს სარაევოში სტუდია „ტრიო დიზაინის“ გამოცემული: „Enjoy Sarajevo“ („Enjoy Coca-cola“–ს ანალოგიით), ქილა სუპი კამპბელა — „Sarajevo chicken Soup“, პლაკატი: „ღია ბარათის შეძენით, შენ ეხმარები გატანჯულთ“. ხელმოწერა: ოხოისკა.

ხუთი წელი

საუბარი ვარშავაში, ნახევარი წლის წინ, ზახენტას გალერეაში, პოლონეთის ჰუმანიტარული აქციის დაარსების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე გაიმართა:

– 1989 წლის თავისუფალი არჩევნების შემდეგ, როდესაც კერძო ფონდების დაარსების შესაძლებლობა შეიქმნა, ჩვენ ბოგდანთან და მალგოშიასთან ერთად შევქმენით Equi Libre–ს განყოფილება. Equi Libre–ზე არჩევანი განაპირობა სამხედრო მდგომარეების პირობებში საფრანგეთის ბადრაგთან ჩამოყალიბებულმა ურთიერთობამ. როდესაც პირველად დავუკავშირდით არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციებს, ისინი მას–მედიის მხარდაჭერით სარგებლობდა. კარგად მახსოვს მაშინდელი ჩემი განცვიფრება — ეს დახმარება მდიდრების დახმარება როდი აღმოჩნდა. საქმე სრულიად სხვაგვარად იყო. დახმარების წყარო, როგორც ეს ჩვენში ეგონათ, იყო არა ვადაგადაცილებული დასაწყობებული რეზერვები, არამედ გახლდათ უბრალო ხალხის დამსახურება და ორგანიზატორების გვარიანი გარჯის პროდუქტი. მაგალითად, ტარდებოდა აქცია:

„Remplissons biberons polonais“ — „შევავსოთ ბოთლები საწოვარათი“ და ჩვენც ვავსებდით...

ოხოისკა წუთით გადის, ტელევიზიისათვის ინტერვიუს სთხოვენ. იგი უახლოვდება ტელეკამერას, მესმის მისი წყნარი ხმა: „ყველაფერი, რაც ჩვენ შევძელით, ათასობით ადამიანის, ფირმების დამსახურებაა, რომელთაც გაიღეს ფული. ჩვენ მხოლოდ შევაგროვეთ, ორგანიზაცია გავუკეთეთ და გავგზავნეთ...“

შემდეგ ჩვენთან საუბარში იგი უბრუნდება გაწყვეტილ აზრს: უბრალო ღონისძიებებით დავიწყეთ. ტორუნის ბავშვთა სპეციალიზირებულ სკოლას ესაჭიროებოდა ქსეროქსი. გაჩნდა აზრი, რომ ფულის შოვნა სხვადასხვა გზით შეიძლებოდა. მოვაწყეთ ზეიმი, დედებმა ნამცხვრები დააცხვეს, საჭირო იყო ურთიერთდახმარების სტრუქტურის ჩამოყალიბება.

1995 წელს სახელი შევუცვალეთ ჩვენს ორგანიზაციას და დავარქვით „პოლონეთის ჰუმანიტარული აქცია“. ადრე ვიმყოფებოდი ბოსნიაში, - Equi Libre–ს ფრანგულ წარმომადგენლობასთან ერთად, დავათვალიერე ლტოლვილთა ბანაკები, მოვინახულე სარაევო და გავიფიქრე: დადგა დრო, ვინმემ პოლონეთში ბადრაგის ორგანიზებაზე იფიქროს. ისინი, ვისთანაც ვიმყოფებოდი, 80–იან წლებში პოლონეთშიც ჩამოდიოდნენ დახმარებით. მახსოვს, პირველი ინტერვიუს შემდეგ ჟურნალისტმა მთხოვა: „მომეცით ვინმეს ტელეფონის ნომერი“. მე მაგდას ნომერი მივეცი, რომელიც იმ დღეს გავიცანი. პროგრამის დასრულების შემდეგ, მინდოდა მაგდა გამეფრთხილებინა, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო, იმდენად ბევრი ადამიანი ითხოვდა დახმარებას.

კილოგრამი ბრინჯი

– 1993 წელს გაჩნდა იდეა, რომ ბავშვთა ანსამბლი „გავენდა“ იმღერებდა და ბავშვები ნაცვლად ბილეთებისა, ბრინჯის ან ვერმიშელის პაკეტებს დაარიგებდნენ. ირგვლივ ნაირფერი მუყაოს კოლოფები ეწყო: წითელი — ბრინჯისათვის, ყვითელი — შაქრისათვის და ა. შ. ბოსნიაში გავაგზავნეთ სამი ტონა სურსათი. შეხედეთ — ვამბობდით ჩვენ, ამაში ყოველი ჩვენთაგანის წვლილია.

არ ვეძებდით ერთ რომელიმე ძლიერ სპონსორს. ეს ძალზე უბრალოა: მილიარდი ერთი ბადრაგისათვის, მილიარდი — მეორისათვის. ხალხის, ბავშვების მოზიდვას ვცდილობდით. ამ ფოტოსურათზე პირველი ბავშვთა პარლამენტის შეკრებაა აღბეჭდილი, — ისინი ბოსნიისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საუბრობენ. ჩვენ ვეხმარებოდით ყველას, მიუხედავად იმისა, თუ ვის მხარეზე იყო კონფლიქტის მონაწილე. მახსოვს, როდესაც მეორე ბადრაგი პალეს გავლით სარაევოში მიდიოდა, სერბებმა პრეტენზიები წამოგვიყენეს, თუ რატომ მიგვქონდა მაჰმადიანებთან დახმარება. სერბმა მესაზღვრემ დამარტყა კიდეც. სარაევოში უხერხული ჩხრეკაც კი მოგვიწყეს.

სასოწარკვეთის მომენტები? წარმოიდგინეთ, არა მქონია. თუ ვიფიქრებდი, რომ ეს ბოლო წვეთია ჩემი მოთმინების, ვერაფერს გავაკეთებდი. ეს იმას ნიშნავდა, საკუთარი თავისთვის მეთქვა: დაე, დაიხოცონ ადამიანები.

მამა ღმერთის ზეგანაკვეთი

– აქ დევს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბადრაგს ესროლეს.1993 წლის მარტი იყო. მაშინ დაიღუპა შანტალი. ბოლეკ სურუვკა მძიმედ დაიჭრა. მარჯვენა ხელს იგი დღემდე წესიერად ვერ ხმარობს. პირველად მაშინ შევეჩეხეთ იმას, რისიც გვეშინოდა. მაგრამ ამან მხოლოდ გააძლიერა ჩვენი რწმენა, რომ აუცილებელი იყო შემდეგი ბადრაგის გაგზავნა და იმათი კანონების იგნირირება, ვინც ისროდა.

1994 წლის ნოემბერში იგმანის გავლით ებრუნდებოდით სარაევოდან, ორი კილომეტრი წყდიადში გამორთული ფარებით უნდა გაგვევლო, რადგან ახლომდებარე ილიზდიდან გზას სერბები მკაცრად აკონტროლებდნენ, ვინაიდან ეს ერთადერთი გასასვლელი იყო სარაევოში. გასაგებია, ისინი ისროდნენ ბრმად, ხმაურის მიმართულებით, რადგან ძრავის სრულად გამორთვა შეუძლებელია. პირდაპირ მანქანის წინ აგვიფეთქეს ბომბი. აფეთქების ტალღამ მანქანა უფსკრულში გადაისროლა. ერთ–ერთმა ჟურნალისტმა, ამჟამად ჩემმა მეუღლემ, დაინახა, რაც ხდებოდა. შემდეგში მან ასეთი სათაური მისცა თავის რეპორტაჟს: „მამა ღმერთის

ზეგანაკვეთი", რადგან სინამდვილეში ეს ასე იყო. თითქოსდა მამა ღმერთ ზუსტად იქ იყო ზეგანაკვეთ საათებში და სწორედ იქ, მთის ფერდობზე პატარა ქვის ნატეხი დაგვახვედრა, რომელმაც შეაჩერა ჩვენი მანქანა.

შოუ ბიზნეს–ფონდში

–1998 წლის გაზაფხული. შტაბ–ბინაში შეკრებაა. ჩაწერას ვერ ვასწრებ. ოხოისკა თავისი კომპიუტერული მეხსიერებით თითქმის ყველაფერს კრებს: დაწყებული მთავარი პრობლემით — საით გაიზავნოს ბადრაგი და დამთავრებული იმით, რომ საწყობში შესვლა საშიშია.

მისმინეთ, პრობლემაა სარაევოს სკოლის აღდგენასთან დაკავშირებით. 700 ფირმას გავუგზავნეთ განაცხადი. გახსოვდეთ, აუცილებელი არ არის ნაღდი ფული. საჭიროა ინიციატივა, რომელიც გადაიცემა ტელევიზიით. მყავს სპონსორი, იგი მზად არის მომცეს 50 ათასი ზლოტი და უფრო მეტიც. არის შესაძლებლობა, რომ ამის შესახებ გადავცეთ ტელევიზიის მეორე პროგრამით. თუ მოგვცემს 100 ათასს, მას ექნება საშუალება გამოვიდეს პოპულარულ პროგრამა „ტოკ შოკში". ვიმედოვნებ, მის მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

— უნდა შევხვდე კომპოზიტორ პენდერეცკის მეუღლეს! გვაქვს დუდი–გრაჩის სურათი, რომელშიც 40 ათასს მოგვცემენ.

— იქნებ ვინმემ უფრო მეტი შემოგვთავაზოს.

— არის კიდევ ოქროს ყელსაბამი...

— ახლა შემდეგი: ვის მივცეთ დიპლომი და ვის მედალი? ჩვენ გვყავს სერიოზული სპონსორები. მოვაწყოთ მათ შესახებ შოუ.

— შეგვიძლია მივცეთ მედლები, შეგვიძლია გავყიდოთ კიდეც. ვინც იყიდის, ნაღდ ფულს გადაიხდის. უცნაურად ჟღერს შოუ–ბიზნესის ჟარგონი ამ ოთახში.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვხელმძღვანელობ მარკეტინგის ფირმას, — იცინის იანინა, — მაგრამ თუ გვინდა, რომ მოვხვდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ ენაზე უნდა ვისაუბროთ. სისტემატიური ხასიათი უნდა ჰქონდეს ჩვენს გამოსვლებს მას–მედიაში. ამგვარად გაიგებს ხალხი, თუ ვის სჭირდება დახმარება და რისთვის იხარჯება მათი ფული.

ყაზახეთი

— გვინდოდა დახმარება სხვა ქვეყნებზეც გაგვევრცელებინა. შევარჩიეთ ყაზახეთი, რამდენადაც იგი შორს მდებარეობს და იქ გადასახლებული პოლონელები ცხოვრობენ. თუმცა, მათგან არ დაგვიწყია. აღმოჩნდა, რომ ყაზახეთში მედიკამენტებთან დაკავშირებით დიდი პრობლემებია. გადავწყვიტეთ დავხმარებოდით კოკჩატაის ბავშვთა საავადმყოფოს, რომელსაც თადეუშ იანკოვსკი ხელმძღვანელობს, კარგი ადამიანი, ამასთან პოლონური ენის არმცოდნე.

ყარაგანდაში ორ საბავშვო ბაღსა და ორ საავადმყოფოზე ავიღეთ შეფობა. პოლონელები თვლიდნენ, რომ ჩვენი მხრიდან ეს არასწორი მიდგომა იყო, რადგან წამლებს პირდაპირ ყაზახეთის პოლონელთა საზოგადოებას ან კათოლიკურ თემს არ ვაძლევდით. მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სამედიცინო დახმარებამ არ უნდა დაყოს საზოგადოება. ვეხმარებოდით ყაზახებს, მაშასადამე, ვეხმარებოდით პოლონელებსაც. და ამ მეთოდმა გაამართლა.

ფოტოგადაღებები

გვძინავს სტეპებში. არ ვცხოვრობთ სასტუმროებში, ვმომთაბარეობთ. მშვენიერია სტეპი. ყარაგანდაში თვითმფრინავს ვცლით, რომელმაც 3 ათასი ამანათი ჩამოიტანა. საშინელი ქარიშხალია, თოვლით. ეს სადღესასწაულო ნობათებია პოლონური ოჯახებისათვის. უკანა გზაზე თვითმფინავს მლოცველები მოჰყავს. პანი როზალია პოლკოვნიკ ჩიჟევსკის „ქათმის" ფორმის შალითას გადასცემს ჩაიდნისათვის.

— და ისევ სარაევო. ლუმელი – „ბურჟუიკა“ ჩვენი იდეაა. ასეთი ღუმელები 600–ზე მეტი დავაგზავნეთ სხვადასხვა ადგილებში. ეს ერთობლივი ღონისძიებაა „რადიო-ზეტთან“ ერთად. მახსოვს, 1994 წელს ჩვენთან სააღდგომო მილოცვით მოვიდა ქსენძი და ფული გადმომცა. აღდგომის შემდეგ კი იმდენი ფული მქონდა, რომ სამი „ბურჟუიკის“ ყიდვა შემეძლო.

— შემდეგ კი ჩეჩნეთში ვართ. ვიწყებთ საჩუქრების დაცლას შალის საავადმყოფოსათვის. ჩვენთანაა დარეკ პლატეკი. ეს მას უნდა ვუმადლოდეთ ჩეჩნეთიდან ამასწინდელ უსაფრთხო გამოსვლას. რუსებმა საზღვართან გაგვაჩერეს. იარაღის კონტრაბანდაში გვადანაშაულებდნენ. ექვსი დღე სოფელ გერზელში გაგვაჩერეს. ამასობაში ბრძოლამ სოფლამდე მიაღწია და ჩვენ თითქმის ცეცხლის ხაზზე აღმოვჩნდით. ერთხელაც სროლამ გაგვაღვიძა: სადღაც ახლოს ხიდი ააფეთქეს. ასეთ შემთხვევაში გვერდით საიმედო ადამიანი უნდა იყოს, ვინც სცენებს არ გამართავს. აქამდე ასეთი მე ვიყავი, მაგრამ აქ, გერზელში, ჩემი კომპეტენცია საკმარისი აღარ იყო. დარეკი, რომელიც დესანტი გახლდათ, სიმშვიდეს როგორღაც უზრუნველყოფდა და პანიკაში ჩავარდნის საშუალებას არ გვაძლევდა.

— ეს ზუსტად ის დრამატული მომენტია, როცა ჩვენს სატვირთო მანქანებს ევაკუაცია მოუწია. ვიდექით პოდეში, მდინარე აქსალის შუა წელში. ეს მდინარე ჩეჩნეთს დაღესტნისაგან ჰყოფს. ასეთ წუთებში მხოლოდ წესრიგზე უნდა იფიქრო, სხვაგვარად განადგურდები.

— ამ სურათებზე ჩვენი ფონდის ხალხია აღბეჭდილი: მარიოლა, ჩვენი პირველი ნამდვილი მდივანი. ძიაძენკა, — ადვოკატი სარნა, ჩვენი იურისტი, მოხალისე, რომელიც პირველივე დღეებიდანვე ჩვენთანაა. ესენი მარტა და ვერონიკა არიან, ასევე მოხალისეები; ეს ეჟიკია (ფეხი დაადგა ზღვის ზღარბს ადრიატიკის ზღვაში), ანრე ანჯეი ვენგჟინოვიჩი და დარიუშ პლატეკი, რომლის გარეშეც ვერც ერთი ბადრაგი ადგილიდან ფეხსაც ვერ დაძრავს. ბოსნიაში 18 ბადრაგი გაემგზავრა.

— მათ გაგზავნაში ერთნახევარი ადამიანი მონაწილეობდა. ოლია და მე. ვამბობ „ერთნახევარს“, რამდენადაც მე სხვა ვალდებულებებიც მეკისრებოდა. ამასთანავე, ჰუმანიტარულ აქციებს ორი ადამიანი ატარებს. საკმაოდ ბევრი ხალხია ლტოლვილთა დახმარების ცენტრში, მაგრამ ისინი გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის აღრიცხვაზე არიან, რომელიც მათი შრომის ანაზღაურებას ახდენს. ისინი იმდენი არიან, რამდენიც საჭიროა, — ანუ ხუთნი.

— ეს შტატგარეშე სამუშაოა დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდე. ჩვენთან დარეკვა შეიძლება შაბათ-კვირასაც. შაბათ საღამოს ადამიანები გვირეკავენ და მიაჩნიათ, რომ ეს ნორმალურია. ჩვენ გვიცნობენ: გვაკითხავენ ლტოლვოლები დაჭმუჭნული ქაღალდებით, რომლებზეც ჩვენი მისამართი სწერია. ეს მისამართი ვიღაცისაგან „მოიპოვეს“ საზღვარზე, ან სადღაც უკრაინაში, სადაც ისინი გადაისროლეს კონტრაბანდული გზით.

— ლტოლვილთა დახმარების პროგრამა იმ მომენტიდან დაიწყო, როდესაც ბოსნიელი ლტოლვილების საქმით ვიყავით დაკავებული. კარგად გვესმოდა, როგორ სირთულეებს აწყდებოდნენ ლტოლვილები ჩვენთან, პოლონეთში. მათ აიგივებდნენ დამნაშავეებთან, მაშინ, როდესაც ესენი უფრო ის ადამიანები იყვნენ, ვინც თავიანთი სახლები დევნის, ზოგჯერ წამების გამო, დატოვა. საჭირო იყო მათთვის დახმარების აღმოჩენა, რათა განთავისუფლებულიყვნენ შიშისაგან, სასოწარკვეთისაგან. საჭირო იყო მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რომ თავი მეორეხარისხოვან ადამიანებად არ ეგრძნოთ. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მათი რიცხვი, ამიტომ ასეთი მუშაობა უაღრესად საჭიროა, რისთვისაც დახმარების სპეციალური სტრუქტურები უნდა შეიქმნას. ჩვენს სახლში, ბიალოლენკაში, ეს ადამიანები ელოდებიან ლტოლვილის სტატუსს, სწავლობენ ენას. ისინი მოდიან პაკისტანიდან, ავღანეთიდან, სომალიდან, შრი ლანკადან, რუმინეთიდან და ჩინეთიდან. სტატუსის მიცემის შემდეგ საჭიროა მათთვის სამუშაო, საცხოვრებელი. მე ვისურვებდი, რომ ბოლოს და ბოლოს, მათთვის საკუთარი სახლი მიმეღო.

მე უფრო მეტი მინდა გავაკეთო

— პირველი ბადრაგი სარაევოსა თუ ჩეჩნეთში, ანდა რომელიმე უბედური შემთხვევა, როგორც წესი, მას–მედიის ცხოველ ინტერესს იწვევს. ყოველთვის ვთანხმდებოდი ინტერვიუებზე, ეგაა ჟურნალისტები მეტისმეტად ინტერესდებიან ჩემი პირადი ცხოვრების წვრილმანებითაც კი. მესმის, რომ მათი ინტერესი შესაძლოა იმ ფაქტითაც იყოს გამოწვეული, რომ ვკოჭლობ. განა მე ასეთი სამუშაო

იმიტომ ამოვირჩიე, რომ ვკოჭლობ, არც იმიტომ, რომ ქალი ვარ, არადა, ვგრძნობ, რომ სწორედ ამ საკითხებზე სურთ ჩემთან საუბარი. მე გამიმართლა, სამუშაო ხომ თავად მოვიდა ჩემთან. პროფესიით ასტრონომი ვარ, სამეცნიერო სამუშაოთი ვიყავი დაკავებული, მაგრამ ცხოვრება ისე აეწყო, რომ ჩემგან საჭიროებდნენ დახმარებას. მე კი ეს შემეძლო. გამზარდეს იმ შეგნებით, რომ უნდა გამეკეთებინა და გამეცა სხვაზე მეტი, სიკეთე ხომ ათმაგად ნაზღაურდება. პირველი ბადრაგის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ასტრონომიას აღარ დავუბრუნდებოდი, ყოველთვის გავაკეთებდი იმ საქმეს, რასაც ახლა ვემსახურები.

— ეს პოლონეთისათვის ჩვენი დახმარების ნაწილია. დამატებითი კვება ბავშვებისათვის ბეშედაში. აქ, — დამატებითი საკვები ლიტისათვის. ვოცნებობ ბელორუსში მოვხვდე. ლიტვაში არ ვაგზავნით ბადრაგს სურსათით. იქ მხოლოდ ფულს ვაწვდით სასკოლო სადილისათვის. ჩვენ გვაქვს განათლების საოლქო განყოფილების მიერ მოცემული სია ბავშვებისა და ფულს მათ ვუგზავნით. დივნიშკაში გვიდასტურებენ, რომელმა ბავშვებმა ისადილეს. ვეხმარებით საბავშვო სახლებსაც. ვაძლევთ მათ სახსარს იმისათვის, რასაც ვერ აფინანსებს სახელმწიფო: გორგოლაჭები, ფლეიერები. აი, ჩვენი წითელი კუთხე ლოძის პათოლოგიური ოჯახებისათვის. ესენი მარტივი საშუალებებია მათთვის ბედნიერების მისანიჭებლად, წარმოიდგინეთ, ჩემთვისაც. შეხედეთ წერილს: „გმადლობთ, სიკეთისა და მოფერებისათვის, იმისთვის, რომ არ გვივიწყებთ“.

ჩემი დღე

— დილის 7 საათი — საცურაო აუზი. შემდეგ ფონდი. საღამოს ცხრა საათზე სახლში ვარ. მხოლოდ ამგვარად ვინარჩუნებ ფორმას. უნდა მახსოვდეს ჩემი ჯანმრთელობის შესახებაც. ფონდში პანი იზას ან პანი მარიას ყოველთვის მოაქვთ ჩემთვის ცხელი საჭმელი. ასე რომ, ვიღაც ყოველთვის მეხმარება.

— ჩემო ცხოვრება განაწილებული მაქვს ვარშავას, კრაკოვსა და ტორუნს შორის. დავოჯახდი. ჩემი მეუღლე, მიხეილი ყოველკვირეულ „ტიგოდნიკ პოვშეხნიში“ („საყოველთაო ყოველკვირეული“) მუშაობს, ამიტომ შაბათ-კვირას კრაკოვში ვატარებ, ხოლო დანარჩენ დღეებში ცდილობს თავად ჩამოვიდეს ვარშავაში. მშვენივრად ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, — ყოველთვის როდი ხერხდება ცხოვრება ისე მოიწყო, შენ რომ გინდა. და რადგან გადავწყვიტე ასეთი საპასუხისმგებლო საქმისთვის მომეკიდა ხელი, უნდა შევურიგდე კიდეც იმ გარემოებას, რომ ჩემი პირადი ცხოვრება, ასე ვთქვათ, არარეგულარული გამოვიდა. მშვენივრად მაქვს შეგნებული, რომ ეს მნიშვნელოვანი საქმე ჩემი ხვედრია. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ დიდი ხნის მანძილზე საშუალება მექნება ეს საქმე ვაკეთო.

მიძღვნის სიხარული

როგორ ართმევს თავს პოლონეთის ჰუმანიტარული აქცია პრობლემებს პანი იანინას გარეშე, მაშ შემდეგ, რაც იგი საავადმყოფოში აღმოჩნდა? რა ხდება სკოლასა და სარაევოში? რა ხდება ბელორუსში, ბულგარეთსა და ლიტვაში?

— მოხალისეს მეძახიან ანუ fill time-ს — ამბობს ალექსანდრა რეზუნოვა. მე ის ადამიანი ვარ, რომლის ნახვა ფონდში ყოველთვის, ნებისმიერ დროს შეიძლება. მე აქ „დეიდას“ მეძახიან, თუმცა ასაკში განსხვავება არც ისე დიდია. რა გსურთ ჩვენ შესახებ გაიგოთ? ბევრი რამ ვიცი, მაგრამ საზოგადოების წინაშე არ გამოვდივარ, რადგან თუ დავიწყებ, მერე ვეღარავინ შემაჩერებს, ბევრი რამის თქმას მოვინდომებ ერთბაშად.

— ყველაფერ ამას ვინ აკეთებს, თქვენი თანამშრომლების რაოდენობა ხომ თითებზე ჩამოითვლება?

— დიახ, შტატიანი თანამშრომელი მხოლოდ რამდენიმეა. ძირითადი ბირთვი ათეული მოხალისისაგან შედგება, რომლებიც მუდმივად კონტაქტში არიან ჩვენთან. სხვები ფართომასშტაბიანი აქციის დროს მოდიან დასახმარებლად. მაგალითად, ამანათების მოსამზადებლად, კომპიუტერზე სამუშაოდ, ახალგაზრდებს ასეთი საქმე სიამოვნებთ, რამდენადაც სახლში მათ კომპიუტერი არა აქვთ.

— აქ როგორ მოვხვდი? როდესაც 1993 წელს ბოსნიაში გასამგზავრებლად ბადრაგის ფორმირება

ხდებოდა, ვუყურებდი რეპორტაჟს და ვფიქრობდი, თუ რისი გაკეთება შემეძლო. შევაგროვე შემოწირულობანი, დავჯექი ჩემს მანქანაზე და გავემგზავრე. შვილები მოზრდილები არიან, ქმარი თავისი ფირმის საქმეებითაა დაკავებული, მაშასადამე, შემეძლო ჩემი თავისუფალი დროის განმკარგულებელი თავად ვყოფილიყავი, რაღაც ახალი მესწავლა. მოხალისე ვარ, ამასთან გამაჩნია ისეთი კომფორტი, როცა იძულებული არ ხარ, ცხოვრების სახსარი თავად გამოიმუშაო...

— ლტოლვილთა დახმარების ბიურო დერეფნის მეორე მხარესაა, აქაც ჩვენი მოხალისეები არიან. მათი დახმარება აუცილებელია, რადგან შესაძლებლობა არ გვაქვს იმდენი შტატიანი თანამშრომელი ვიყოლიოთ, რამდენიც საჭიროა. ამასთანავე, ნებაყოფლობით მუშაობას ღრმა აზრი უდევს საფუძვლად. როგორც ნამდვილი დემოკრატიის დროს, ყოველ ჭეშმარიტ მოქალაქეს შეგნებული აქვს, რომ საქველმოქმედო საქმიანობა მისი მოვალეობაა. უფრო მეტიც, მასში მონაწილეობის მიუღებლობა ცუდ ტონად ითვლება. მე ვიცნობ ინგლისელ მოხალისეებს, რომლებიც თავიანთ მოვალეობად თვლიან, კვირაში ერთხელ მაინც მივიდნენ მოხუცთა სახლებში. მაგრამ ეს პოლონეთში ჯერ კიდევ ყველას არა აქვს შეგნებული. მზად ვართ თავი გავწიროთ, მაგრამ მხოლოდ მოვალეობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ღირს ამ საქმისთვის თავგანწირვა. არ ვეთანხმები პრინციპს: „ჯერ თავო და თავოო...“ შესაძლებელია ერთდროულად დაეხმარო სხვასაც და საკუთარ თავსაც. აქ არ უნდა არსებობდეს „შემდეგ“. ყველაფერი უნდა გაკეთო „ახლა“.

— მუშაობა არ ჩერდება. მოწყობილობა მოქმედებს, რადგან მსხვერპლისგამღები თანამშრომლების, მოხალისეთა ენერგიით „იკვებება“. თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც ყველგან და ყოველთვის. მაგრამ შეუძლებელია არ განასხვავო მომუშავეთა ტონი. რამდენიმე თვის წინ მოვისმინე, რომ საჭიროა საზოგადოებრივი დახმარების ზრდა. მათ ხმაში დღეს შეშფოთების ნოტა გაერია, იქნებ ნაადრევიც, როგორ გავართვათ საქმეს თავი იანინას გარეშე?

— ოხოისკა კვლავ საავადმყოფოშია საავტომობილო კატასტროფის შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში მოხდა ბადრაგის ავღანეთში მსვლელობის დროს. რეაბილიტაციისათვის დროა საჭირო. მას თავი მხნედ უჭირავს. ნოვი შვიატის ქუჩაზე ამბობენ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება. მეჩვენება, რომ მას გააჩნია განსაკუთრებულად მშვიდი ენერგია, რომელიც დამახასიათებელია ფონდის ყველა თანამშრომლისათვის. ეს ენერგია მათში ერთი წყაროდან მოედინება, როგორც თავისებური ზიარი ჭურჭლიდან. ეს წყარო თვითონ გახლავთ.

— არ შემიძლია ჩემს თავს ვაპატიო, რომ მაშინ იმ ბადრაგს არ ვახლდი, – აცხადებს „დეიდა“ რეზუნოვა. მათ არ მოუწევდათ ასე ხანგრძლივი ცდა რუსეთის საზღვარზე, ბაჟის გადახდა, შემდეგ კი ყაზახეთის უგზო სტეპებზე სვლა. მე ხომ კარგად ვლაპარაკობ რუსულად, ვიცი როდის აღვშფოთდე, ვიცი როდისაა საჭირო „სმირნაზე დადგომა“. მე ვიჯდებოდი მასთან ერთად „რენოს“ კაბინაში შემცვლელად. მაგრამ ის გაუძლებს ყველაფერს. ეს ხომ 25-ე ოპერაციაა მის ცხოვრებაში.

რედაქციისაგან:

სტატია გამოქვეყნდა 1998 წლის ოქტომბერში. კრაყოვის საავადმყოფოში მყურნალობის შემდეგ ოხოისკამ კიდევ რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა. იგი განსაკუთრებულად ემადლიერება ტამბოვის საავადმყოფოს ექიმებსა და მედდებს. მიუხედავად ტრამვებისა, იგი ძველებურად აქტიურია. ხელმძღვანელობს დახმარების მრავალ აქციას, კერძოდ, კოსოვოში. იგი ეხმარება როგორც ალბანელებს, ისე სერბებს, ბოლო დროს კი თურქეთში მიწისძვრით დაზარალებულებს უცხადებს მატერიალურ და მორალურ თანადგომას.

თარგმნა ამბროსი გრიშაშვილმა

მალგოჟატა გუტოვსკა-ადამჩიკი

იურეკ ოვშიაკი — „გულთა ორკესტრის" დირიჟორი

უკვე ცხრა წელია, რაც იანვრის პირველ კვირა დღეს აჟღერდება ხოლმე მსოფლიოში ყველაზე დიდი —საშობაო მოწყალების დიდი ორკესტრი. ამ დღეს ქუჩებში მილიონობით ადამიანს მკერდზე წითელი ქაღალდისგან გამოჭრილი გული აქვს დამაგრებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი საოცრად კეთილშობილური აქციის მონაწილენი არიან. იმისათვის, რომ გახდეთ „მხურვალე გულთა ორკესტრის" მონაწილე, სულაც არ არის აუცილებელი უკრავდე რომელიმე ინსტრუმენტზე, ნოტების ცოდნაც კი არ არის საჭირო — საკმარისია გქონდეს სურვილი, დაეხმარო ადამიანს, უფრო ზუსტად — ავადმყოფ ბავშვებს.

საშობაო მოწყალების დიდი ორკესტრი — ეს სტიქიურად წარმოქმნილი სრულიად პოლონეთის აქციაა, რომლის მიზანია შეკრიბოს თანხები ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად. „დიდი ორკესტრის ფინალი" არის სიყვარულის, მეგობრობისა და მუსიკის ზეიმი — ასობით კონცერტი მთელს პოლონეთში, მილიონობით მაყურებელი ტელეეკრანებთან და უკეთილშობილესი პაექრობა — ვინ შეკრებს მეტ თანხას ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად. ტელევიზორების ეკრანებზე თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება თანხები, რომლებიც მოხმარდება თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის შეძენას. ამ დღეს ჩვენ არა მარტო ვისვენებთ და ვერთობით, არამედ სიამაყის გრძნობითაც ვივსებით, რომ პოლონელები ვართ. ჩვენ გვჯერა, რომ ორკესტრი იგუგუნებს „ქვეყნის აღსასრულამდე და კიდევ ერთი დღე", როგორც ამას ორკესტრის შემქმნელი და სულისჩამდგმელი იურეკ ოვშიაკი გვპირდება. და ჩვენც მარად ვიქნებით მასთან ერთად!

თავისი თავი ოვშიაკმა ასე დაახასიათა: „ასეთი სიფათი არავისში არ შეგეშლება".

როდესაც ის პირველად ვნახე ტელევიზიით, ვიფიქრე, ნაღდი თანამედროვე კლოუნია-მეთქი: ზღარბივით მოკლედ შეკრეჭილი თმა, ფუმფულა სახე, დიდი, წითელჩარჩოიანი სათვალე, წითელივე შარვალი და ყვითელი პერანგი. დარწმუნებული ვარ, მის გარეგნობაში არაფერი იყო ხელოვნური, ის ნამდვილად ასეთია. იურეკი არანორმალურად, სიგიჟემდეა შეყვარებული სიცოცხლეზე და ამის დემონსტრირებას ყოველ ნაბიჯზე ცდილობს. მთავარია, რომ ის ნაღდია. მეტყველების დეფექტიც კი ნამდვილად აქვს, თუმცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს მოგონილი პოზაა. მისი ენა მსუყე და მკვეთრია, მაგარ-მაგარი

სიტყვებითა და გამოთქმებით, ჟარგონებით. ასეთი ენის რაბლესაც არ შერცხვებოდა, ჩვენი თანამედროვე რომ ყოფილიყო. ის არ თვალთმაქცობს. ამიტომაც გვიყვარს იურეკ ოვშიაკი. ზნეობრივ ავტორიტეტებს შორის ახალგაზრდობამ მას მეორე ადგილი მიაკუთვნა პაპის იოანე პავლე II შემდეგ. ეს დიდი პატივია. მაგრამ მისი არჩევანი შემთხვევითი არაა: ოვშიაკი ყოველივე იმის განსახიერებაა, რასაც ახალგაზრდობა უშედეგოდ ეძებს მამების თაობაში. მისი პრინციპებია: პატიოსნება, სამართლიანობა, აღმერთებს ლოგიკას და ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. ვერ იტანს უზრდელობას, ქედმაღლობას, აგრესიულობას, ორპირობას. მისი ცხოვრება მუსიკაშია — უყვარს კლასიკური როკი, პანკი, ფოლკი, რეგი, ჯაზი. დადის ველოსიპედით და უყვარს დიდი მანქანებიც, განსაკუთრებით ტრაილერები და ჯიპები. სწამს ღმერთის, მაგრამ აღფრთოვანებულია დალაი-ლამათი და აფასებს მას. ყოველივე ამასთან ერთად საკვირველია იუმორით — ცოტა აბსტრაქტული, ველური, პირველყოფილი იუმორით. ის არა მარტო მუსიკალური წამყვანია რადიოსა და ტივიში (ტელევიზიაში), არამედ მუსიკალური ფესტივალების spiritus movens სულისჩამდგმელიცაა.

ის ბევრს მოგზაურობს, აკეთებს ვიტრაჟებს და, რაც მთავარია, აწყობს ყოველწლიურ საქველმოქმედო აქციებს, რომელთა მასშტაბიც განუსაზღვრელია.

ორმოცდაათს მიუკაკუნა, მაგრამ ბევრ ოცი წლისასაც ჯაბნის სიცოცხლის წყურვილით. ვინც მას პირადად არ იცნობს, ისინიც კი „იურეკად" მოიხსენიებენ, როგორც კარგ ძმაკაცს. არ გამიკვირდება, თუ პასპორტშიც „იურეკი" უწერია სოლიდური „იეჟის" ნაცვლად.

მისთვის ჩვეული ეშმაკობით იურეკი ამტკიცებს, რომ ის არმიის პირმშოა. სამაგალითო მოწაფე არასოდეს ყოფილა, ხანდახან მეორე წელსაც ჩარჩენილა კლასში. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზეც და სამხატვრო აკადემიაშიც. როდესაც ჯარში იწვნია ჯარისკაცის მძიმე ხვედრი, მიხვდა, რომ ყველანაირად უნდა დაეძვრინა თავი სამშობლოს დამცველის საპატიო როლისგან. სიგიჟის სიმულაციას შეეცადა. შედეგი ის იყო, რომ გაუთავებელი სამედიცინო კომისიების შემდეგ თვენახევრით ქ. ბოროშჩის საგიჟეში ამოყო თავი. პარადოქსია, მაგრამ სწორედ აქ დაიწყო საინტერესო თავგადასავლები. მოკლე ხანში საგიჟის პაციენტი, ფსიქოთერაპევტად იქცა და ვარშავის ცენტრ „სინაპსისში" დაიწყო მუშაობა, სადაც უამრავი საინტერესო პიროვნება გაიცნო.

საავადმყოფოში მან ადვილად გამონახა ენა გიჟებთან და, როდესაც პირველად (რასაკვირველია, შემთხვევით) რადიოში მოუხდა მისვლა, იქ მისმა თავისებურმა იუმორის გრძნობამ მიიქცია ყურადღება. იურეკს შესთავაზეს რადიოგადაცემა. და მოხდა საოცრება: მსმენელებს არ აღიზიანებდა მისი სპეციალური მეტყველება (იურეკი ბლუა, მაგრამ კოსმიური სიჩქარით მეტყველი). მსმენელისათვის, მის ენაბლუობასთან შედარებით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ რას ლაპარაკობდა იურეკი.

საკმაოდ მოზრდილ ინტერვიუში, რომელიც მას ბარტოლომეო დობრიჩინსკიმ ჩამოართვა, იურეკი იხსენებს ტელეპროგრამას „თუ გინდა ყირაზე დადექი, ანუ როკ-ენ-როლი შეუსვენებლად":

„გვყავდა მუდმივი ჯგუფი. ყველას უნდოდა ჩვენს პროგრამაში მოხვედრა, ჯერ ერთი, ღრეობების გამო, რომელსაც ვაწყობდით და იმიტომაც, რომ ყველაფერს სრული სერიოზულობით ვაკეთებდით; ვანთებდით ცეცხლს, სტუდია ინგრეოდა, იქცეოდა წყალი, ცნობილი იყო ყველაფერი, წამდაუწუმ ვიცვლიდით კოსტუმებს, გამოგვყავდა ძროხები, ინდიელი ცოცხალი ცხენით შემოდიოდა სტუდიაში, ცხენს მოჰყვებოდა

ტელევარსკვლავი იოლანტა ფაიფოვსკა. ამიტომ ყოველთვის, როცა ვიღებდით პროგრამას „თუ გინდა ყირაზე დადექი", ჩვენ გარშემო უამრავი ხალხი იკრიბებოდა. ყველას აინტერესებდა, რა ხდებოდა. ტელევიზიაში ხმა დაირხა, რომ ეს რაღაც არაჩვეულებრივი პროგრამებია. სულ 125 პროგრამა გამოვუშვით, ბოლო კი აურზაურით დავამთავრეთ: სამხედრო პოლიგონზე ავაფეთქეთ ჩვენი დეკორაცია და წამყვანების იურეკ ოვშიაკისა და აგატა მლინარსკას ფიტულები. მერე იყო პროგრამა „უძირო კალათი" (გახვრეტილი კალათი) — პროგრამა, რომელიც ძალიან თავისებურად ეწეოდა კალათბურთის პოპულარიზაციას. წარმოუდგენლად უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი იურეკი თავისი გუნდით მოგზაურობდა პატარა ქალაქებში და ქუჩისა თუ ეზოს საკალათბურთო გუნდებს ურიგებდა ფირმა „პეპსი-კოლას" ნაჩუქარ კალათბურთის კალათებს.

პროგრამა „ის ბრუნავს" მოგზაურობის მოყვარულთათვის იყო განკუთვნილი. იურეკმა მოინახულა მეზობელი ქვეყნები, მაგალითად, ფინეთი, იყო კანადასა და შეერთებულ შტატებში და იმოგზაურა აგრეთვე ისეთ ეგზოტიკურ ქვეყნებში, როგორიცაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბორნეო, ვიეტნამი, ნეპალი და ინდოეთი.

იურეკის ხასიათი და დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა გადაცემაში „თავისუფლება სპილოს", სადაც მიუკერძოებლად იყო ნაჩვენები ვარშავის ზოოპარკის პრობლემები. გადაცემა ეთერში არ გაუშვეს. ამჟამად იურეკს მეორე არხზე თავის განუმეორებელ მანერაში მიჰყავს გადაცემა „ვიცეკვოთ", რომელსაც ზაფხულობით ცვლის გადაცემა „უსაფრთხო არდადეგები".

იურეკს არც თავისი რადიომსმენელი ავიწყდებოდა. ჯერ მიჰყავდა გადაცემები პროვინციაში, შემდეგ პოლონეთის რადიოს მესამე პროგრამით. ახლა პოლონეთის რადიოს პირველი პროგრამით მიჰყავს გადაცემათა ციკლი „ის ტრიალებს", რომელიც არაკომერციულ ახალგაზრდულ მუსიკას უწევს პროპაგანდას.

ერთხელ, როდესაც რადიოთი მიჰყავდა მუსიკალური პროგრამა „ბრუმი", აღელვებულმა აუწყა მსმენელებს, რომ ვარშავის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის კარდიოქირურგიულ კლინიკას არა აქვს საკმარისი სამედიცინო აპარატურა ბავშვთა სიცოცხლის გადასარჩენად. ეს მან ერთ-ერთი ტელეწამყვანისგან შეიტყო. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი არის ყველაზე ცნობილი ბავშვთა საავადმყოფო პოლონეთში. საკმარისი იყო იურეკს დაეყვირა: „ხალხო, რაღაც უნდა ვიღონოთ!" და მეორე დღესვე წამოვიდა რადიოში ფულადი გზავნილები უბრალო საფოსტო კონვერტებით! ძირითადად ამ ფულს ახალგაზრდები აგზავნიდნენ. სხვისი სატკივარი მათ საოცრად ახლოს მიიტანეს გულთან.

დიდი საშობაო მოწყალების იდეა 1991 წლის დეკემბერში დაიბადა. ოვშიაკის მოწოდებით მისმა მსმენელებმა და ახალგაზრდა როკ-მუსიკოსებმა დაიწყეს კონცერტების ჩატარება. მთელ შემოსავალს კი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის კარდიოქირურგიულ კლინიკას ურიცხავდნენ. 1992 წლის იანვარში იაროცინის ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალზე ჩატარდა ნახევარფინალი, ხოლო 1993 წლის 3 იანვარს — დიდი ორკესტრის პირველი ფინალი. შეგროვდა 2 მილიონ დოლარზე მეტი. იმისათვის, რომ ეს ფული არ გაფლანგულიყო, იმავე წლის გაზაფხულზე შეიქმნა საშობაო მოწყალების დიდი ორკესტრის ფონდი. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, ყოველგვარი პოლიტიკური, რელიგიური თუ ფილოსოფიური ორიენტაციის გარეშე. ფონდის გამგეობის წევრები არიან ლიდია და იეჟი ოვშიაკები, ბოგდან მარუშევსკი, პეტრე ბურჩინსკი და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი პაველ იანუშევიჩი. პირველ ფინალში შეგროვებული თანხა საკმარისი აღმოჩნდა არა მარტო ვარშავის საავადმყოფოს კლინიკისათვის, არამედ

პოლონეთის დანარჩენი, ბავშვთა კარდიოლოგიური 11 კლინიკისთვისაც!

მას შემდეგ ყოველწლიურად ერთი და იგივე სურათი მეორდება. ექსპერტების დახმარებით, ფონდის გამგეობა ისახავს მორიგ მიზანს, რისთვისაც უნდა შეგროვდეს შემოწირულობა. შემოსული თანხა ირიცხება ბანკში. შემოდგომაზე კი ტარდება სამედიცინო აპარატურის აუქციონი. ფონდი არ ეწევა პიროვნულ ქველმოქმედებას, არ ურიცხავს თანხებს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს და არ ეწევა კომერციულ საქმიანობას, არც ერთი მისი წევრი-დამფუძნებელი არ ღებულობს ჯამაგირს ან რაიმე საზღაურს. შეგროვილი თანხის რაოდენობა დეკლარაციის სახით ეცნობება შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტროს. თებერვლის ბოლომდე იქვე უნდა იქნეს წარდგენილი მორიგი ფინალის სრული ფინანსური ანგარიში. ფონდს შეგროვილი თანხის მხოლოდ 5 პროცენტის გამოყენება შეუძლია ბიუროს შესანახად, სადაც 8 კაცი მუშაობს. განვლილი რვა ფინალის შედეგია 23 მილიონი დოლარის სამედიცინო აღჭურვილობა, რომელიც უფასოდ გადაეცა 650 საავადმყოფოსა და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც მოწოდებული არიან გადაარჩინონ ადამიანები. მაგალითად, სახელმწიფო და მოხალისეთა სახანძრო დაცვას, ტატრების მაშველთა სამსახურს, მოხალისე მაშველთა სამსახურებს მთაში და წყალში.

დიდმა ორკესტრმა იურეკ ოვშიაკი საზოგადო მოღვაწედ აქცია, ხოლო მისი მუშაობა გვარწმუნებს, რომ, თუ გულით გინდა ადამიანს დაეხმარო, მიზანს აუცილებლად მიაღწევ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნა ახალგაზრდული „სახალხო ლაშქარი". ის მათი მოძრაობაა! ოვშიაკმა ახალგაზრდებს ძალიან საინტერესო რამ შესთავაზა: ვაჩვენოთ, თუ რად ვღირვართ, თან ისე, რომ ერთი წამითაც არ მოვიწყინოთ, პირიქით, გავერთოთ! ორკესტრის ფინალები ჯერ კიდევ წაგავს დიდ სტიქიურ ბაზრობას. წლიდან წლამდე ჩვენ ტელევიზიით მოთმინებით ვადევნებთ თვალყურს ამ საინტერესო შოუს, მთელ პოლონეთთან ერთად გვიხარია, რომ იზრდება შემოწირულობანი და ველით, მოხსნის თუ არა ახალი ფინალი წინა რეკორდს.

შემოწირულობათა შეგროვებაში მონაწილეობს ათობით ათასი ახალგაზრდა პოლონელი. ფონდში, წერილობითი განცხადების საფუძველზე, ყოველი მათგანი ღებულობს მოწმობას და ტოლჩა-ყულაბას ქუჩაში შემოწირულობის შესაგროვებლად. ყოველი თანხის გამღები ჯილდოვდება ქაღალდის წითელი მკერდზე თვითწებვადი გულით. ამ დღეს პოლონეთში თითქმის ვერ ნახავ ადამიანს, მკერდზე მიმაგრებული ქაღალდის წითელი გულის გარეშე. არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ რამდენი გაიმეტა. სწორედ ყველაზე მცირე თანხებია ხანდახან ყველაზე უფრო ალალი. ტოლჩა-ყულაბებში ხანდახან ვალუტაც ხვდება, ზოგჯერ კი საქორწინო ბეჭდები ან სხვა საიუველირო ნაწარმიც გამოერევა ხოლმე. მათ გადაადნობენ გულის ფორმის კულონებად და შემდეგ ფინალში აუქციონზე გამოაქვთ. 1 გული-კულონის ფასი სატელევიზიო აუქციონის მსვლელობისას ხანდახან ფანტასტიურ ციფრს აღწევს! აუქციონში მონაწილეობენ როგორც კერძო პირები, ასევე ბანკები, რომლებისთვისაც ქველმოქმედება კარგი რეკლამის საშუალებაა.

აუქციონზე სხვა შემოწირულობებიც ხვდება. ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური საჩუქარი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, იყო არმიის მიერ ნაჩუქარი თვითმფრინავი მიგ-ი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დამცველთა ფირმამ შეიძინა და თავისი რეკლამის ლოზუნგადაც გამოიყენა:„თუკი დაგვჭირდა „მიგი", წამში გაჩნდება იგი!" საოცრად დამახსომდა ერთი ფინალის აუქციონი, რომელიც ბევრ სპორტულ ორთაბრძოლაზე საინტერესო გამოდგა! ორი ბანკი, როგორც მოკრივეები რინგზე, ნოკაუტამდე იბრძოდა!

ყოველწლიური ფინალების დროს პოლონეთის ტელევიზიის მეორე პროგრამა

მაყურებელთა რეკორდულ რაოდენობას აგროვებს. ორ სტუდიაში განლაგებულია შტაბი — ერთში დგას კომპიუტერები, რომლებშიც მთელი პოლონეთიდან შემოდის მონაცემები შემოწირულობათა შესახებ, — ისინი თვალს ადევნებენ აუქციონს; მეორე სტუდიაში გამოდიან მუსიკალური ანსამბლები. სტუდიას კავშირი აქვს რეგიონალურ სტუდიებთან. ორკესტრის ადგილობრივი შტაბების რიცხვი რამდენიმე ასეულია. ადამიანები თვითონ, ნებაყოფლობით ერთიანდებიან, რათა განახორციელონ კეთილშობილური მიზანი, რომ მერე უფლება ჰქონდეთ იამაყონ: მეც შევიტანე ჩემი წვლილი საერთო საქმეშიო. ყველა ქალაქს უნდა ლიდერი იყოს ქველმოქმედებაში, მაგრამ იმათაც კი, ვინც ბევრი ვერაფერი შეაგროვა, შეუძლიათ წარმოაჩინონ თავისი თავი ტელეგადაცემაში. იურეკი სტუდიაში მუდმივ მზადყოფნაშია, რათა ხმამაღლა ამცნოს მორიგი შემოწირულობის შესახებ და მადლობა გადაუხადოს მორიგ ქველმოქმედს. ის ამას აკეთებს ხმის ჩახრინწვამდე, სანამ ძალა შესწევს... როდესაც ერთ-ერთი პირველი ფინალის დროს შტაბებიდან მოწოდებულ ინფორმაციებს თვალს ვადევნებდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთვარეზე ადამიანის დაჯდომას ვესწრებოდი. მინდოდა ადგილიდან მოვმწყდარიყავი და სხვებთან ერთად განმეცადა არაჩვეულებრივი აღტკინება.

ალბათ სწორედ ამიტომ გამოდის ყოველ წელს ამდენი ახალგაზრდა მოწყალების შესაგროვებლად. ბოლოს და ბოლოს მათ გაუჩნდათ საქმე, რომელიც შეუძლიათ აკეთონ უფროსების მეთვალყურეობის გარეშე. შემოწირულობის შეგროვების შემდეგ ისინი ფულს ითვლიან და რიცხავენ ორკესტრის ანგარიშზე. ყოველივე ამის საფასურად ღებულობენ სამადლობელ ღია ბარათს შემდეგი ტექსტით: „შენი გული საუსეა როკ-ენ-როლით და სიყვარულით", და კიდევ ერთ რამეს — საერთო საქმეში თანადგომის საოცარ განცდას! ასეთივე ბარათებს ღებულობენ ქველმოქმედნიც. აქციამ უზარმაზარი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. იყო შემთხვევები, როცა მოსამართლეებმა მსჯავრდებულები დაავალდებულეს ჯარიმა ორკესტრის ფონდში გადაერიცხათ. წარმოიდგინეთ მსჯავრდებულის გაოცება, როცა ის მიიღებს სამადლობელ ღია ბარათს: „შენი გული სავსეა როკ-ერნ-როლის სიყვარულით". უნდა ითქვას, რომ ფონდი კეთილგანწყობილი არ არის მსგავს „შემოწირულობათა" მიმართ. „ჩვენი წარმატების ერთ-ერთ პირობად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ არ ვავალდებულებთ ადამიანებს გაიღონ მოწყალება. ამიტომ ხდება მისი შეგროვება ქუჩაში. ყველაფერი ნებაყოფლობითია. ადამიანები თვითონ „მოდიან ჩვენთან", — თქვა იურეკმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

თუმცა ქუჩაში შემოწირულობის შეგროვება გარკვეულ უნდობლობასაც ბადებს. რამდენად კეთილსინდისიერი არიან მოხალისეები ან დაცული არიან თუ არა ისინი ქუჩაში? იყო შემთხვევები, როცა ახალგაზრდებს თავს დაესხნენ და წაართვეს შეგროვებული თანხა. საბედნიეროდ, მსგავსი შემთხვევები ძალზე იშვიათია, ხოლო აქციის წარმატება გვაძლევს იმის უფლებას, რომ ახალგაზრდებს აუცილებლად უნდა გამოვუცხადოთ ნდობა.

ოვშიაკს ბევრი ჰყავს არაკეთილმოსურნე ოპონენტებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ორკესტრის აქციები თავისებური თვითრეკლამაა. არ უნდათ დაიჯერონ, რომ პირადად ოვშიაკს ფონდის საქმიანობიდან არავითარი სარგებელი არა აქვს. მის კეთილსინდისიერებას ეჭვის ქვეშ აყენებენ. ზოგიერთს მისი მოქმედების სტილიც აღიზიანებს და ისიც, რომ ბავშვები აგროვებენ შემოწირულობას. ამ ოპონენტებს ავიწყდებათ ან არ უნდათ დაინახონ, თუ რამდენი სიკეთე გააკეთა ფონდმა, როგორ დაეხმარა საზელმწიფოს, რომ თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილიყო საავადმ-

ყოფოები და ამით გადაერჩინათ ბევრი პატარა მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. იურეკმა შეძლო უპასუხოდ დაეტოვა კრიტიკა და დამცირება. მისი ხასიათისათვის ეს, ალბათ, საკმაოდ ძნელი იყო. თუმცა, პასუხი გასცე გამოგონილ, თითიდან გამოწოვილ ბრალდებებს, იგივეა, რომ ნაწილობრივ მაინც აღიარო არარსებული დანაშაული თუ შეცდომა.

იურეკს ჭკუა ეკეტება ახალგაზრდებისათვის. ის ღია ცის ქვეშ მათთვის აწყობს საზაფხულო კონცერტებს: „გაჩერება ვუდსტოკი" — ეს თავისებური სამადლობელია მათი მძიმე საქველმოქმედო მოღვაწეობისა და შრომისათვის. თუკი ორკესტრის საქმიანობამ მემარჯვენეების მხრიდან გამოიწვია რიგი არასასიამოვნო კომენტარები, საზაფხულო კონცერტებმა იგივე ხალხი აღაშფოთა, ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია. იურეკს დააბრალეს ახალგაზრდების გარყვნა, ზნეობრივი ნიჰილიზმი, სიკვდილის კულტის პროპაგანდა.

ოვშიაკი კი ახალგაზრდობას ღებულობს ისეთს, როგორიც ის არის. ის არ აძლევს თავს უფლებას, ასწავლოს მათ ცხოვრების ერთადერთი სწორი გზა. ახალგაზრდები ჩამოდიან „ვუდსტოკის გაჩერებაზე" ერთადერთი სურვილით, იპოვონ მეგობრები, მოუსმინონ და გაუგონ ერთმანეთს. და, რასაკვირველია, მათ სურთ დაისვენონ და იხმაურონ. ხშირად მათი მისწრაფებები ხანში შესულთათვის გაუგებარია. მართლაც, როდესაც ერთდროულად რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა თავს იყრის კონცერტზე, მასა იწყებს თავისი, ბრბოს კანონებით ცხოვრებას, და ყველაფერი ისე არ ხდება, რომ უფროსების მოწონება დაიმსახუროს. გადაკრულში მყოფ ახალგაზრდებში ხშირია აყალმაყალი, გაწევ-გამოწევა, ნარკოტიკებიც გამოჩნდება ხოლმე, ხანდახან კი საქმე ჩხუბამდე და ვანდალიზმამდეც მიდის. პრესის ნაწილი კი, რომელიც ოვშიაკს აკრიტიკებს, მხოლოდ ამ უარყოფით მხარეებს წარმოაჩენს.

ყველა შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ კონცერტების მასშტაბურობა და კარგი ორგანიზება. დადგმულ იქნა 250 კაბინატუალეტი, 240 ონკანი, 30 სატელეფონო და ერთი საბანკო ავტომატი, რომელმაც სამ დღეში 1700 ოპერაცია შეასრულა!

მიუხედავად საინფორმაციო საშუალებების პროგნოზისა, რომლებიც ყველაფერს შავ ფერებში ასახავდნენ, არ დაზიანებულა არც ერთი კაბინა და ავტომატი! კონცერტის პარალელურად 1999 წლის 6-8 აგვისტოს მიმდინარეობდა აგრეთვე კათოლიკე მისიონერთა აქცია „გაჩერება იესო", რომელიც ახალგაზრდობას ეკლესიასთან აახლოებს. კრიშნას ცნობიერების საზოგადოებამ კი 50 ათასი უფასო ვეგეტარიანული კერძი დაარიგა. კლუბმა „გაიამ" შეაგროვა ხელმოწერები ცხოველების აუტანელ პირობებში ტრანსპორტირების აღსაკვეთად; რასიზმის მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციამ „მეტი არასოდეს" შიდსის პროფილაქტიკის აქცია ჩაატარა, ჯგუფმა „ოჯახი" მოუწოდა ახალგაზრდებს უარი თქვან ნარკოტიკებზე და ბევრმა მოაწერა ხელი განცხადებას, რომ აღარ მიიღებს ნარკოტიკს „სიცოცხლის ბოლომდე და კიდევ ერთი დღე". როდესაც ტელევიზიით გაიჟღერა ცნობამ, რომ საზაფხულო კონცერტზე მიმავალმა ახალგაზრდამ 150 სხვადასხვა მატარებელს მიაყენა ზიანი 11 ათასი ზლოტის ოდენობით, ორკესრტმა მთლიანად აანაზღაურა ზარალი, ჩააბარა რა ჯართში 500 ათასი ტოლჩაყულაბა.

ერთ-ერთი ფინალის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა საავტომობილო ავარიებში მოხვედრილი ბავშვების სიცოცხლის გადარჩენას, გაირკვა, რომ სამედიცინო აღჭურვილობის შეძენასთან ერთად აუცილებელია პროფილაქტიკა — ბავშვებმა უნდა ისწავლონ ქუჩაში მოძრაობის წესები. ამან დაბადა ტელეპროგრამა „უსაფრთხო არდადეგები", სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ, თუ როგორ იხმარონ ჩაფსუტები

ველოსიპედით სეირნობისას, დაიკერონ ტანსაცმელზე სინათლის ამრეკლავი ნაჭრები ან პლასტიკები, რაც მათ მოძრაობას სიბნელეში უსაფრთხოს გახდის.

ოვსიაკის გუნდისა და საგზაო პოლიციის ინიციატივით საგზაო მოძრაობის კოდექსში შეტანილ იქნა მუხლი, რომელიც ავალდებულებს ქალაქგარეთ ფეხით მოსიარულეებს ასეთი სინათლის ამრეკლავების აუცილებლად ტარებას. უკვე დარიგდა ასეთი 750 ათასი სინათლი-სამრეკლავი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლად მაცხოვრებელ ბავშვებს, რომლებისთვისაც იურეკ ოვშიაკის ნაჩუქარის ტარება საპატიოც არის.

რისი ეშინია იურეკ ოვშიაკს? სიბერის და დაჩაჩანაკების. ცოტა თავისი ცოლისაც, რომელსაც ყოველთვის დიდი სინაზით მოიხსენიებს. ის არის იურეკის საყრდენი და თანაშემწე ყველაზე გიჟურ წამოწყებაშიც კი. საოცარია, მაგრამ მიუხედავად ექსტრავაგანტური, ესტრადული ნატურისა, იურეკ ოვშიაკი ყველაფერზე უფრო მეტად ოჯახურ სიმყუდროვეს აფასებს. არ უყვარს საზოგადოებაში მარიაჟობა, თუმცა ამას ბრწყინვალედ მოახერხებდა.

თავის წიგნში იურეკი აღნიშნავს, რომ მხოლოდ მეუღლეს უნდა უმადლოდეს, რომ მისი სახლი დაცულია მეგობრების „წყალდიდობისაგან", მათ შეუძლიათ სახლი ავტოვაგზლად აქციონ.

რაზე შეუძლია იოცნებოს კაცმა, რომელმაც ასეთ წარმატებებს მიაღწია?

ახალგაზრდების ამ კითხვაზე ოვშიაკმა უპასუხა, რომ მას არა აქვს პრეტენზია, გააფართოოს ორკესტრის მოღვაწეობა სხვა ქვეყნებში, არ სურს გახდეს პოლიტიკოსი, მით უმეტეს, პრეზიდენტი, როგორც ეს ერთმა ახალგაზრდა თაყვანისმცემელმა უსურვა. ერთადერთი, რასაც სიამოვნებით გააკეთებდა, ის არის, რომ მოაწყობდა დიდ კონცერტს ჩიკაგოს ცენტრში. ასეთი კონცერტის პროგრამაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა პოლონური უმაღლესი კლასის მუსიკა: ჯაზი, ფოლკლორი, კლასიკა. ეს იქნებოდა თავისებური უფასო კონცერტი-მოვლენა, რომელიც მთელი დღე გაგრძელდებოდა და დამთავრდებოდა ფანტასტიური ფეიერვერკით.

როგორ ფიქრობთ, შეძლებს ვინმე შეუშალოს ხელი იურეკ ოვშიაკს ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში?..

ვნახოთ, რით გაგვაოცებს კიდევ ადამიანი-ორკესტრი,- იურეკ ივშიაკი?

თარგმნა თემურ ფალავანდიშვილმა

ვიქტორ კულერსკი

იგი ტრამპლინიდან საშობაო სიმღერების ღიღინით ხტება



ჯერ თავისთვის ცხვირში ღიღინებს „ მოირბინეს ბეთლეემში მწყემსებმა . . .” ან „ უფალი იშვა, ძალი იმსხვრევა . . .”, ან კიდევ რომელიმე სხვა საშობაო სიმღერას. მერე იცმევს თხილამურებს, სამაგრებს იკრავს . . . გამორბენი: 6,2 წმ – სიჩქარე 100კმ /სთ–ში (აჩქარება ისეთივე, როგორიცა აქვს სპორტულ ავტომობილ „ პორშე–911 ”-ს), ტრამპლინის კიდიდან ზევით აფრინდება, და ფრენა . . . მაღალი, შორი ფრენა. სიჩქარე– 100-120კმ /სთ–ში. ეს ექვსი წამი გრძელდება, ზოგჯერ მეტიც. ობერსდორფში 132,5 მ – ტრამპლინის რეკორდი; ჰარმიშ-პარტენკირხენში 129,5 მ – ტრამპლინის რეკორდი; ინსბრუკში 120,5 მ – ტრამპლინის რეკორდი; ბიშოფსჰოფენში 134 მ – ოთხი ტრამპლინის ტურნირში გამარჯვება; გარახოვში „მამონტად” წოდებულ ტრამპლინზე – ტრამპლინის რეკორდი და შეჯიბრებაში გამარჯვება.

– გიფიქრიათ როდისმე, რომ 200 მეტრზე გადახტებოდით? – ეკითხებიან მას.

– არა, - პასუხობს ადამ მალიში. – მაგრამ რაღაც ამდაგვარის განცდაზე კი ვოცნებობდი. ადრე მე ასეთი რამ მხოლოდ მსმენია. ახლა კი თავად ვიცი, თუ რა შესანიშნავი შეგრძნებაა ეს, - და ცოტა მოგვიანებით უმატებს: – ფრენა შესანიშნავი რამ არის, მაგრამ ყველას ეშინია. ყველას გვინახავს უბედური შემთხვევები. უბრალოდ ნერვების მოთოკვა უნდა შეგეძლოს.

შემდეგ გამოსვლები საპოროში, სოლტ–ლეიკ–სიტიში, ველინგენში, მსოფლიო რეკორდით ნახტომის სიგრძეში, თუმცა კი ეს „უსაფრთხოების საზღვრების უხეში დარღვევებით” მოხდა.

– ეგ გაგიჟდა, – ასე ამბობს მალიშის შესახებ ავსტრიელი მოთხილამურე ანდრეას გოლდბერგერი. სხვანი კი ამტკიცებენ: - ეგ არ ხტება! ეგ ფრინავს!

გერმანიის გუნდის მწვრთნელი, რეინჰარდ ჰესი, მალიშის ნახტომებს ოცნების ნახტომებს ეძახის.

– იქ, ზემოთ, – ამბობს მალიში, – მე არ ვფიქრობ გამარჯვებაზე ნებისმიერ ფასად. ჩემთვის ვხტები, ნახტომზე მაქვს ყურადღება გამახვილებული, რათა რაც

შეიძლება უკეთესად მოვწყდე, შემდეგ კი დავჯდე. ჩემს ნახტომებში არ არის გათვლები: მე არ ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენით ვარ წინ, გამარჯვებისათვის რამდენი მეყოფა. ტრამპლინიდან ხტომებში შეუძლებელია რამეში წინასწარ იყო დარწმუნებული.

და ბოლოს ლახტი, მსოფლიო ჩემპიონატი ტრამპლინიდან ხტომებში, ამა წლის თებერვალი, – ჯერ ვერცხლის მედალი დიდ ტრამპლინზე, შემდეგ კი ოქროსი – საშუალოზე.

– საშინლად გახარებული ვარ. მსიამოვნებს, რომ რაღაც გავაკეთე პოლონეთისათვის, ოქროს მედალი მოვიპოვე.

პროფესორი ქშიშტოფ ერნსტი, ავტორი წიგნისა „სპორტის ფიზიკა", თვლის: „სამწუხაროდ მალიშის ფენომენი ფიზიკის კანონებით ვერ აიხსნება ". თავად მალიშს კი მიაჩნია: „ მე ალბათ მწვრთნელებში გამიმართლა (. . .) ვუგდებ ყურს ექიმების რჩევებსაც – ფსიქოლოგისა და ფიზიოლოგის. მათი წყალობით ვფრინავ ასე შორს" და კიდევ: „ იმათ ვინც მეკითხება თუ როგორ ფორმაში ვარ, მწვრთნელ ტაინერთან ვაგზავნი, ფსიქოლოგთან დოქ. ბლეხაჟთან და ფიზიოლოგთან პროფ. ჟოლონძთან. მათ ევალებათ შეადგინონ წვრთნის მართებული გეგმა, ხოლო ჩემი ამოცანა ამ გეგმის შესრულებაა.

აპოლონ ტაინერიც, რომელიც აფასებს მალიშის მოკრძალებასა და პროფესიონალიზმს, თავშეკავებით საუბრობს: „ ჩვენ შევქმენით სტრესისადმი წინაღდგომის, გარეშე სტიმულებისაგან სპორტსმენის იზოლაციის ტექნიკა. არ გვიყვარს ამაზე საუბარი, რადგან ჩვენს მეთოდებს საიდუმლოდ ვინახავთ. ჩვენ – დაამატა მან, – საგულდაგულოდ გვითვალთვალებენ. კონკურენტებს სურთ ყველაფერი ზედმიწევნით იცოდნენ (. .) მრავალ კითხვას გასაგები მიზეზების გამო არ ვპასუხობთ ".

პროფ. იეჟი ჟოლონძი – კრაკოვის ფიზკულტურის აკადემიის სამწრთვნელო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მას ზურგს უმაგრებს ორწლიანი სტაჟირება მაასტრიხტში და სამწლიანი ევროკავშირის სტიპენდია ამსტერდამის კუნთების ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. ჰოლანდიაში, ვრიეს უნივერსიტეტში, მან სადოქტორო დაიცვა. 2000 წელს პოლონეთში პროფესორის წოდება მიენიჭა. მისმა გამოკვლევებმა და აღმოჩენებმა კუნთებისა და დატვირთვათა ფიზიოლოგიაში თითქმის 70 წლის განმავლობაში გამეფებული კანონები შეცვალეს. აღმოჩნდა, რომ თურმე კუნთები განსხვავებული ტიპის ცილების მქონე სამი სახის ბიჭკოებისაგან შესდგება. თავის მხრივ ცილების ტიპზე ყოფილა დამოკიდებული კუნთის შეკუმშვის ძალა და სიჩქარე. ტრამპლინიდან მხტომელების ვარჯიში ახლა მიმართულია ამ კუნთების ბოჭკოების სამი ტიპიდან ორის გაუმჯობესებისაკენ, რათა გაიზარდოს კუნთის ძალა სხეულის წონის გაზრდის გარეშე. თავად პროფ. ჟოლონძი ამის შესახებ ასე ამბობს: „ ადამიანის ფიზიოლოგიის ჩემეული ცოდნის საფუძველზე დავამუშავე წვრთნის ახალი სისტემა, რომელიც არ ემყარება დღემდე არსებულ არცერთ სკოლას და ეფუძნება წვრთნის მაქსიმალურ ხარისხს (. . .) ეს არის ძალის ვარჯიში, მიმართული წარმატებულ მოწყვეტაზე [ტრამპლინის კიდიდან]. ადამს დაუმყარდა საუკეთესო თანაფარდობა კუნთის ძალასა და სხეულის წონას შორის. მწვრთნელები ხტომების ტექნიკაზე მუშაობდნენ, ხოლო ფხიქოლოგი იან ბლეხაჟი კი – სპორტსმენთა თავებზე ".

დოქ. იან ბლეხაჟმა, კრაკოვის ფიზკულტურის აკადემიის სპორტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან, ადამი განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მისთვის უმძიმეს პერიოდში აიყვანა, როდესაც რამოდენიმე წარუმატებელ სტარტს, ნაგანოს ზამთრის

ოლიმპიურ თამაშებში დამარცხებაც დაემატა. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. ჟოლონძი, როდესაც ადამ მალიშზე საუბრობს: „ მან მარცხის გემოც იცის და გამარჯვებისაც. მან საშინელი დამცირებები გადაიტანა, სურდა თავი დაენებებინა ხტომებისათვის და კრამიტის სახურავების მოწყობისთვის მოეკიდა ხელი: მას ეს პროფესია აქვს ათვისებული ". დოქ. ბლეხაჟმა ასწავლა ადამს ყურადღების გამახვილება სტარტზე, როგორც ამოცანაზე და არა როგორც შეჯიბრების მომენტზე; პირად კმაყოფილებაზე, რომელიც მოაქვს წარმატებულ ნახტომს და არა რეკორდის მოხსნის სურვილსა და მედლის მიღებაზე. მანვე ასწავლა გარეშე ზემოქმედებებისადმი, უეცრად გაზრდილი პოპულარობის გამოვლინებებისადმი წინაღდგომა. „ ფსიქოლოგის წყალობით ბიჭებს ნახტომების წინ მოშვების უნარი შესწევთ, – ამბობს აპოლონ ტაინერი. – როგორ? მაგალითად ტრამპლინისკენ მიმავალი ადამი საშობაო სიმღერებს ღიღინებს ".

სწორედ ამ საშობაო სიმღერებზე კითხულობდა გაკვირვებული იაპონელი ჟურნალისტი ქალი, როცა გაიგო, რომ იგი სტარტის წინ რაღაცას ღიღინებდა: „ რას მღერის? " ვიღაცამ, პოლონეთის გუნდიდან უმღერა „ მოირბინეს ბეთლეემში მწყემსებმა ", და მან ეს მაგნიტოფონზე ჩაიწერა. ამავე დროს იაპონურ ტელეჯგუფს ტრამპლინიდან მხტომელის მიღწევებზე მისი ანატომიის გავლენის შესახებ გადაცემა სურდა ჩაეწერა. როდესაც მალიშს სპორტული კოსტუმის გახდა სთხოვეს მან უარით უპასუხა. ერთ – ერთმა იაპონელმა ქალმა სთხოვა თუნდაც მხოლოდ ფეხი ეჩვენებინა – ცალი ფეხი, მაგრამ მთლიანად, თეძომდე. ადამმა პირობა წამოაყენა: ჯერ თვითონ გვიჩვენოს ფეხი, მთლიანად, თეძომდე . . . ასე დარჩა გამოცანად მალიშის ფეხი იაპონელებისთვის.

მედალი მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ავიღო, – ამბობს ადამ მალიში. – ოქრო არ არის აუცილებელი. თავს ვერ გამოვიჭედავ იმაზე ფიქრით, რომ ოქროს მედალი ნებისმიერ ფასად უნდა მოვიპოვო. ეს ყველაზე დიდი სისულელე იქნებოდა.

ხოლო, როდესაც ლახტიში ვერცხლის მედალი აიღო, ასე თქვა:

– არ მაინტერესებს სხვები რას ამბობენ. მე ჩემი ვერცხლის მედლით საშინლად გახარებული ვარ

რამდენია ამაში თავად მალიშის თანდაყოლილი უბრალოება და მოკრძალება, ხოლო რამდენი დოქ. ბლეხაჟის მუშაობის შედეგი? თვითონ დოქტორი არანაკლებ თავდაბალია:

– ადამი მართლაც გახარებული იყო ვერცხლის მედლით. მას საერთოდ უხარია რომ ხტება მაშინაც, როცა ვერ იმარჯვებს. უხარია, როდესაც მას კარგი, შორი ნახტომები გამოსდის.

ალბათ „ დოქტორების ", როგორც მათ მალიში ეძახის, პირად მაგალითსაც აქვს მნიშვნელობა. არცერთს არ გაუკეთებია მასზე ფული. ისინი ტრამპლინიდან მხტომელებთან პირადი სიამოვნებისთვის მუშაობდნენ, ხელფასის გარეშე. და საერთოდ ფულის საქმე ვერ იყო მთლად კარგად. ადამი მისი მშობლიური ქალაქის, ვისლას, მცხოვრებლებმა თავიანთი შეაგროვილი ფულით გაამგზავრეს პირველ შეჯიბრებაზე, ხოლო პირველი მწვრთნელი მიკეშკა კი საკუთარი ჯიბიდანაც კი უმატებდა ხოლმე. ფული ადამთან არ მოდიოდა.

– აქამდე მე მხოლოდ ოლიმპიური სტიპენდიით ვცხოვრობდი, ათას ხუთას ზლოტად. ეს შეიძლება ბევრი არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტია, რაც მაღაზიაში მუშაობით მექნებოდა.

მას კი ოჯახი ჰყავს – მეუღლე იზა და სამი წლის ქალიშვილი კაროლინა.

– სახლის აშენებას ვისურვებდი, – ოცნებობდა მალიში. – სიდედრ – სიმამრთან

ძალიან კარგად ვცხოვრობთ, მაგრამ საუთარი კუთხეც ხომ საჭიროა.

ახლა ადამი ალბათ აიშენებს საკუთარ სახლს, ისეთს, როგორზეც ოცნებობდა, თუმცა ააშენებს მას უკვე სამყაროში, რომელიც შეუქცევლად შეიცვალა.

– მთელი ეს აურზაური ჩემს ირგვლივ საოცრად დამღლელია. ჩემი სამყარო თავდაყირა დგას. ვისურვებდი, რომ დაბრუნებულიყო სიწყნარე, ის დრო, როდესაც არ ვიყავი ცნობილი. მაგრამ ეს შეუძლებელია

ადამი დისტანციას იჭერს საუთარ თავთანაც. კითხვაზე, თუ რა განსხვავებაა მასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის ასე პასუხობს:

– არავითარი განსხვავება არ არის. უბრალოდ მე მათზე ცოტა უფრო შორს ვხტები. შეიძლება მე მათზე უკეთეს ფორმაში ვარ.

ან:

– მე ჯერ კიდევ ბევრი მაკლია სრულყოფამდე. ჩემმა რვა წარმატებამ ამ სეზონში შეიძლება შექმნას ილუზია, რომ თითქოს მე უკვე ყველაფერი შემიძლია. ეს ასე არ არის. მე შეცდომებს ვუშვებ. მე სრულებითაც არა ვარ სრულყოფილი არსება, მე ჯერ კიდევ ბევრ რამეზე უნდა ვიმუშაო.

ფიქრობს რა ოლიმპიურ თამაშებზე, იგი ამბობს:

– მე ჯერ არცერთი ოლიმპიური მედალი არ მომიპოვებია – იგი კი სპორტსმენისათვის ყველაზე უფრო სანუკვარია.

მოწინააღმდეგეების შესახებ გულისხმიერებითა და სიმპათიით საუბრობს:

– ჩემთვის დიდი პატივია, როდესაც მადარებენ მარტინ შმიტს, რომელმაც ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს თასი და ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი. ჩვენს შორის არ არის არც შური და არც მტრობა. მე და შმიტს მოგვწონს ერთმანეთი და მხოლოდ სპორტულად გვინდა ვეპაექროთ ერთმანეთს. ხაკუბაში შეჯიბრებების შემდეგ მან თვითონ თქვა, რომ ამჯობინებდა იმ ნახტომის შემდეგ მხარდაჭერის გარეშე დარჩენილიყო, რადგან მაშინ ბრძოლა თანასწორი იქნებოდა. მე შემეცოდა მარტინი საპოროში, სადაც იგი ოცდაათ ფინალისტს შორის ვერ მოხვდა.

ადამმა თავისი გოგონასათვის მარტინისაგან საჩუქრად „მილკის" იისფერი საფირმო ქუდი მიიღო.

გარახოვში მალიში მაყურებლებს ბოდიშს უხდიდა პოლონელი გულშემატკივრების გამო.

– მე მრცხვენოდა მათ გამო, – ამბობს იგი. – ისინი ჩემს ამხანაგებს უსტვენდნენ – შმიტს, ახონენს და სხვებს. ასე არ შეიძლება: ავსტრიასა და გერმანიაში მე აღფრთოვანებით მღებულობდნენ – ამასვე ველი [სხვების მიმართ] პოლონელებისაგან.

იგი სიამოვნებით იხსენებს იაპონლებს:

– მიყვარს იაპონიაში ხტომა. ყოველი მხტომელისათვის მათი მიღება – დოპინგია, ყველას თბილად ღებულობენ. უცხოელებს არავინ არ უსტვენს. შინაურული ატმოსფერო სუფევს. ვის არ სიამოვნებს, როცა იგი უყვართ?

როგორია იგი, მალიში? სიმაღლე 168,3 სმ, წონა 53 კგ. მას 23 წელი 2000 წლის 22 დეკემბერს შეუსრულდა. აღმსარებლობა: აუგსბურგელი ევანგელისტი. არასრული საშუალო სკოლის შემდეგ ორწლიანი პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. მერე იყო მსოფლიოს ჩემპიონატი. ეს არის ოქროს და ვერცხლის მედლების მფლობელი, რომელიც თხილამურებით კი არ ხტება არამედ, როგორც ამბობენ, მათზე ჰაერში დაფრინავს. ერთხელ მან შენიშნა, რომ ეტყობა ასე თუ ისე, ეს ყოფილა მისი ბედი – ზემოდან უნდა უყუროს სახლების სახურავებს. მისი დევიზია – „ არ უღალატო საკუთარ თავს და არ მიჰქარო". მისი ცხოვრების იდეალი – რომის პაპი იოანე

პავლე II.

აი, რას ამბობს საკუთარ თავზე მალიში სტანდარტული ანკეტის პასუხებში:

ხასიათის მთავარი ნიშნები:
სიმშვიდე და მგრძნობიარეობა.
რას ვეძებ მამაკაცში:
გაგებასა და მხარდაჭერას.
რას ვეძებ ქალში:
არაფერს არ ვეძებ, რადგან ცოლიანი ვარ.
რას ვაფასებ მეგობრებში:
მხარდაჭერას მძიმე წუთებში.
მთავარი ნაკლი:
ძალიან მგრძნობიარე ვარ.
საყვარელი საქმიანობა:
ოჯახთან ერთად ყოფნა – მეუღლესთან და ქალიშვილთან.
რა მენდომებოდა, რომ ვყოფილვიყავი, რომ არ ვიყო ის რაცა ვარ:
ადამიანი თვითონ არ ირჩევს – მისი დანიშნულება უფლისგანაა.
რას ვერ ვიტან:
ჭორებსა და ზედმეტ ცნობისმოყვარეობას.
ნიჭი, რომელიც მინდოდა, რომ მქონოდა:
ნათელმხილველი ან ექიმბაში, რომელიც ხალხს ეხმარება.
შეცდომები, რომელთაც ყველაზე უფრო ადვილად ვპატიობ:
ნებისმიერი, რადგან ღმერთი ჩვენგან მიმტევებლობას მოითხოვს.



როდესაც მალიში ლახტიდან დაბრუნდა, მას ვარშავის აეროდრომ „ოკენცე”-ზე ხვდებოდა ხალხის გროვა, ტელევიზია, ყვავილები, სიმღერა „მრავალსა წელსა”.

– ვერ ვიჯერებ, რომ ამდენი ხალხი მოვიდა ჩემ დასახვედრად, – თქვა მან და აღელვებისაგან ლოყები უკანკალებდა.

ვარშავიდან მშობლიურ ვისლაში იგი პრეზიდენტის შვეულმფრენით გაფრინდა.

– პირველად ვიჯექი შვეულმფრენში, მაგრამ კარგად ვიფრინე.

ორი დღის შემდეგ ადამმა მონაწილეობა ვერ მიიღო პოლონეთის ჩემპიონატში, შირკეში. იგი ლახტიში გაცივდა, ფინური ყინვების შემდეგ სიცხე მისცა. მას ანტიბიოტიკებით მკურნალობდნენ. ხუთიათასიანი ბრბო უსტვენდა იქ არ მყოფ სპორტსმენს. 2001 წლის 9 მარტს, ტრონჰეიმში, მან მსიფლიოს თასი მოიპოვა.

თარგმნა რუსულიდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

მიხალ იაგიელო

გზა აღმოსავლეთისაკენ



სულ რამოდენიმე ხანია, რაც აღმოსავლური პოლიტიკის სასურველ მოდელზე ვსაუბრობთ. ეს სერიოზული თემაა, ვინაიდან პოლონეთის სტრატეგიული მიზნების ერთ-ერთ მათგანს - აღმოსავლეთთან ისეთი გზის მოძებნას ეხება, რომელიც პირველი, კონკურენციული არ იქნება პოლონეთის მსოფლიოს დასავლურ-ევროპულ-ატლანტიკის სტრუქტურებთან დაკავშირებისა. მეორე, ნამდვილი პარტნიორული მიდგომით იქნებოდა გამორჩეული ჩვენი ახლო აღმოსავლელი მეზობლებისადმი, მესამე, რუსეთის მიმართ არ იქნებოდა დაპირისპირებულად განწყობილი. ამოცანა ძალიან რთულია, მაგრამ რა თქმა უნდა შესაძლებელია მისი განხორციელება.

დღევანდელ დისკუსიას იულიანე მიეროშევსკის, იეჟი გიედროიცის და საერთოდ, პარიზული "კულტურის" წარმომადგენელთა ნათელი სულები მადლს ფენენ. აღმოსავლეთზე, პოლონური ახალი მსოფლმხედველობის დამაარსებელი მამების დიდი პატივისცემის მიუხედავად, მათი რჩევები დღევანდელი პოლონეთის პოლიტიკური პრაქტიკის იდეური მართვისათვისაა მხოლოდ განპირობებული. ეს უკვე ბევრია, მაგრამ საკმარისი როდია.

ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკა რთული იმიტომ არის, რომ ემოციებსაც ეყრდნობა. ადრინდელი პოლონური განწყობა უკრაინელების, ბელორუსებისა თუ ლიტველების მიმართ, ჩვენი წინაპრების ანგარიშსწორებიანი იდილიური სურათის სახე, როცა მათ რეალურ მეზობლებად არ თვლიდნენ, ერთი სიტყვით "უკიდურეს მენტალიტეტში" გადაზრდილი პოლონური განდიდების მანია და ყველაფერთან ერთად ფინანსური ქაოსი - განაპირობებდა აღმოსავლეთის მეურნეობისა და კულტურის სფეროში ჩვენს ძალზე შეზღუდულ მუდმივ არსებობას, - ეს რთული უკანსკნელაა შორეული თუ ახლო მომავლისა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს ახლანდელ მცირე ეკონომიურ შესაძლებლობებთან.

ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის საფუძველი, ნოტაციური განწყობილებებიდან საბოლოო განთავისუფლება უნდა იყოს. გადატანითი მნიშვნელობით რომ ვთქვათ, განთავისუფლება მენტალურობის საზღვრების საზღვრებიდან. საბედნიეროდ პო-

ლონეთის ოფიციალურ პოლიტიკაში იგი არ შეიმჩნევა, მაგრამ სადღაც სიღრმეში კიდევ შემორჩენილია. თვით განსაზღვრა: უკიდურესობა - პოლონელებისათვის უფრო არქაულია, რაც მიგვანიშნებს, რომ ის ხალხურ მითოლოგიაშია ჩაფლული, და რაღა თქმა უნდა, ძნელად ექვემდებარება რაციონალიზაციას. ჩვენმა აღმოსავლელმა პარტნიორებმა პოლონეთიდან მუდმივი და მრავალსახა სიგნალები უნდა მიიღონ, რომ არც პოლონეთი - როგორც სახელმწიფო, არც პოლონელები - როგორც ერი, არც რომაულ-კათოლიკური პოლონური ეკლესია არ ბრუნდებოდეს აღმოსავლეთში პოლონური ეშმაკობით, სახელმწიფოს გაპოლონურობის და "გაკათოლიკების" ჩანაფიქრით ძველ აღმოსავლეთის საზღვრებზე.

ჩემი წინადადება მარტივი და სრულიად პრიმიტიულია: პარტნიორული დამოკიდებულება როგორც მეზობლებთან, ასევე ხალხთა უმცირესობის, ჩვენი ერთობლივი მოქალაქეების მიმართაც. შემდგომ ამოცანას წარმოადგენს იგივე განსაზღვრების გამოყენება პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიასა და უკრაინაში პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მოქმედების და ხალხთა უმცირესობის მოთხოვნილებების შეფასებისას. მესამე, ადრეული შეხედულების სამართლიანი, ახლებური გადასინჯვა და მასების დარწმუნება, რომ ჩვენს მეზობლებს უფლება აქვთ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტზე საკუთარი შეხედულებები იქონიონ, განსხვავებული ჩვენგან. მეოთხე, გავითავისოთ პოლონური პატრიოტიზმი, რომელიც არ არის პოლონოცენტრიზმი. მეხუთე, ნუ გვეშინია იმის თქმისა, რომ ჩვენს ჩრდილო და აღმოსავლეთ საზღვარს ჭრის მოსაზღვრე ტერიტორიები, რომლებიც საერთო ტერიტორიებს წარმოადგენენ. ასევე: პოლონეთ-ლიტვის, პოლონეთ-ბელორუსიის, პოლონეთ-უკრაინის, პოლონეთ-სლოვაკიისა და პოლონეთ-ჩეხეთის. მეექვსე, უკვე დროა, რომ გადავხედოთ სეიმის საქმიანობას, სენატის, პრეზიდენტის, ხელისუფლების და ამავე დროს ახლო აღმოსავლეთში მყოფ პოლონელთა მსოფლმხედველობისა და კულტურის მხარდამჭერთა ორგანიზაციების მიმართულებებს, რომლებიც სახელმწიფო ფინანსური ბიუჯეტის წყაროებით სარგებლობენ; პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ფუნდაცია "დახმარება პოლონელებს აღმოსავლეთში" და "ერთობლივი პოლონეთი". მეშვიდე: ვაკეთოთ მხოლოდ ის, რაც შესაძლებელია, რაზეც ნამდვილად შეგვწევს უნარი ე. ი. თითოეული მოღვაწეობდეს მხოლოდ თავის სფეროში. რათქმა უნდა პოლონური სინამდვილითა და ფორმით, რომელიც ჩვენი აღმოსავლელი მეზობლებისათვისაც მისაღები იქნებოდა.

შემოგთავაზებთ კონკრეტული მოქმედების რამოდენიმე მოსაზრებას, რომელსაც სახალხო ბიბლიოთეკა იზიარებს, მას გარკვეული დროიდან ვხელმძღვანელობ. თითქმის ათი წელია, რაც აღმოსავლეთში პოლონური ლიტერატურა იგზავნება, ამ ბოლო დროს ეს ნაბიჯები დაექვემდებარნენ პროგრამას, რომელსაც დოქტორი ოსკარ ს.ჩარნიკი მართავს. ეს პროგრამა განხორციელბული იქნა უკრაინა, ბელორუსია და ლიტვის რამოდენიმე ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ კარვინის საკმაოდ დიდ რეგიონალურ ბიბლიოთეკაში. გვახსოვს პეტერბურგიც; მიმართვა პოლონური კულტურის ცოცხალი კონტაქტებით დაინტერესებული ადგილობრივი პოლონიისა და დიდ რუსული ბიბლიოთეკებისადმი.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს " Nowaja Polsza ", - შემქმნელი და რედაქტორი პროფესორ იეჟი პომიანოვსკი. გამომცემელი სახალხო ბიბლიოთეკაა. ეს

ერთადერთი ჟურნალია, რომელიც რუსული ელიტისა და რუსულ-ენოვანი ფენებისთვისაა განკუთვნილი. პოლონეთზე მოამბე, და გავრცელებული ძირითადად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. უნდა დავამატოთ, რომ გამოცემული იქნა ნომერი უკრაინულ ენაზე, მომზადებულია სპეციალური ნომერი ქართულ ენაზეც.

გავიხსენოთ წიგნის გამოფენა სახელწოდებით " რუსეთთან და რუსეთზე", რომელიც გავხსენით მოსკოვში, ა. პუშკინის სახელობის ლიტერატურის მუზეუმსა და პეტერბურგში, რუსეთის სახალხო ბიბლიოთეკაში. სადაც წარმოვადგინეთ პოლონური წიგნები რუსეთის თემაზე და რუსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი თარგმანები პოლონურად. ექსპოზიციამ მნახველთა დიდი გამოხმაურება და დაინტერესება გამოიწვია; გააბათილა რუსეთში დამკვიდრებული დამამცირებელი შეხედულება პოლონელებზე, როგორც რუსების დაუნდობელი მტრებისა.

საინტერესოდ ჩაიარა სახალხო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულმა გარკვეული პროგრამით გათვალისწინებულმა გამოფენათა ციკლმა, დევიზით: " ჩვენი მეზობლები - ახალი შეხედულება ". წარმოდგენილი იქნა საკმაოდ დიდი მასალი არჩეული ტექსტების, წიგნების, ჟურნალების, ბიბლიოთეკური თუ სამუზეუმო სხვადასხვა გამოცემებისა. მეზობლებზე ჩვენი, პოლონური ხედვის წარმოდგენის შემქმნელი ლიტერატურის ერთგვარი ჩვენება, მაგრამ უფრო ძირითადად კი მიმდინარე პერიოდის, პოლონეთის დამოუკიდებლობისა და წყობის შეცვლის შემგომი პერიოდის ლიტერატურა. დღემდე განხორციელებულია წიგნის გამოფენები: " ლიტვურ სარკეში ", იან მალიცკის ავტორობით და დანუტა ბილიკიევიჩ-ბლანცის თანაავტორობით, აგრეთვე სეიმის ვიცე მარშალის იან კრულის თანადგომით; " უკრაინა-პოლონეთი: დიალოგის მხარეს ", ავტორი ანა ლასკარჟევსკა, იერჟი გიედროიცის საპატიო ხელმძღვანელობით; " ბელორუს-დობრორუს ", ანა სმულეკ-ჟუროვსკას ავტორობით, თადეუშ კონვიცკის ხელმძღვანელობით. ამჟამად მიმდინარეობს გამოფენა " ბალტიელი მეზობლები ", ბოგუსლავ სოხანსკის ავტორობით, დანუტა ბილიკიევიჩ-ბლანცის თანაავტორობით და სეიმის მარშალის პლაჟინსკის ხელმძღვანელობით. უკანასკნელი შემეცნებითი სახის გამოფენა ნორვეგიელების, შვედების, ფინელების, ისლანდიელებისა და დანიელების, რომელიც დანიის კულტურის ინსტიტუტთან ერთობლივად იყო ორგანიზებული.

გეგმაში გვაქვს გამოფენის მოწყობა სლოვაკეთზე, რუსეთზე, ჩეხეთზე, გერმანიაზე, ასევე ესტონელებზე და ლატვიელებზე. არის მოსაზრება, რომ "მეგობრული" ციკლის დასასრულისას მოეწყოს პოლონურ-ებრაული ურთიერთობების ამსახველი გამოფენა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ღონისძიებები ერთგვარი სარკეა, სადაც აირეკლება ჩვენი, პოლონური განწყობა და დამოკიდებულება სხვა ხალხების, ახლო თუ შორეული მეზობლებისადმი. თვალის ასეთი გადავლება გვეხმარება არსებული ღრმა რწმენის შესანარჩუნებლად, რომ ჩვენი კულტურა გავლენას ახდენდა სხვებზე, ასევე თავად გახლდით გავლენის ქვეშ. ჩემს მიერ შემოთავაზებული გზა აღმოსავლეთისაკენ, ფაქტიურად გზა არის პოლონურობის ისეთი ცნობიერებისაკენ, რომელიც თანამედროვე სამყაროში თვითდამკვიდრების გზას გაგვიადვილებდა.

თარგმნა ნანული ბურდული-ტალიაშვილმა

ელენე ამირეჯიბი

როგორ აღმოვჩნდი პოლონეთში

ორმოცი წელია რაც ვარშავაში ვცხოვრობ. პოლონეთი ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია. და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. აქაურ საზოგადოებაში არსებობს განსაკუთრებული სიმპათია საქართველოსა და ქართველების მიმართ. შესაძლოა იმიტომაც, რომ გარკვეულ წილად მსგავსია ამ ორი "დანაწევრებული ქვეყნის " იღბალი. ორივე მეზობლობს დიდ რუსეთთან, რომელიც გამუდმებით ცდილობდა და მზად იყო მიესაკუთრებინა და დაეპყრო ისინი.

პირველ ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ ცუდად ვლაპარაკობდი პოლონურად, ტაქსში ჩავჯექი. მძღოლი დიდი მონდომებით ცდილობდა გაეგო სადაური ვიყავი. ბოლოს ვეღარ მოითმინა და შემეკითხა: "საიდან ბრძანდებით, აქცენტი გაქვთ, მაგრამ ვერ ვხვდები სადაური. არადა კარგი სმენა მაქვს". "რა თქმა უნდა ვერ გამოიცნობდით, წარმოშობით ძალიან პატარა ქვეყნიდან, საქართველოდან ვარ"- ვუპასუხე. იგი იმავე წამს გახალისდა. დაიწყო მოყოლა საქართველოსა და ქართველების შესახებ. ჰყვებოდა ფანტასტიურ და ძალიან თავმოსაწონ ამბებს. საქართველო დამანახა იმ კუთხით, რომელიც ჩემთვის აქამდე აბსოლუტურად უცნობი იყო. ბოლოს კი, მგზავრობის ფულსაც არ მართმევდა: "ქალბატონო, თქვენ, ჩემი პირადი სტუმარი ბრძანდებით"-ო.

ცნობილი ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნის, 1830 და 1863 წლების აჯანყებების შემდეგ, საქართველოში დასახლდა მეფის მოხელეთა მიერ გადმოსახლებული ბევრი პოლონური ოჯახი. ნაკლებად არის ცნობილი, რომ ბევრი განათლებული პოლონელი საქართველოში დასახლების მიზნით ნებაყოფლობით მიაწერდა თავს "გამოდევნილთა" რიცხვს, რადგან მეფის ხელისუფლება, მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა სხვაენოვან მოსახლეობას და გასამრჯელოსაც კარგად უხდიდა. სამაგიეროდ საქართველოში აბსოლიტურად არ არის ცნობილი, რომ თავისი ხანმოკლე დამოუკიდებლობის პერიოდის /1918-1921 წლები / შემდეგ, ქართული ინტელიგენცია და ქართველი ოფიცრები იძულებულნი იყვნენ თავი საზღვარგარეთისათვის შეეფარებინათ, რადგანაც მათ სამშობლოში გარდაუვალი დახვრეტა ელოდათ. ანდა საიდან უნდა გვცოდნოდა? ჩვენს მშობლებს იმ დროს პირი "ამოკერილი" უნდა ჰქონოდათ. ბევრმა ქართველმა იმ ხანად

თავშესაფარი სწორედ პოლონეთში ჰპოვა. პოლონეთის არმიაში ქართველი ოფიცრები "ხელშეკრულებით" მიიღებოდნენ. მათი კარგი სახელი და ავტორიტეტი დღემდეა შემორჩენილი.

პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე მოქმედებს საქართველოს თაყვანისმცემელთა წრე. ნაცნობი ეთნოლოგები დიდი მონდომებით აგროვებდნენ ხოლმე ფულს, რომ ზაფხულობით, არდადეგებზე საქართველოში წასულიყვნენ. საინტერესო ფოტომასალა ჩამოჰქონდათ და გამოფენებს აწყობდნენ, ისინი მიზნად პოლონური საზოგადოებისათვის საქართველოს ბუნებისა თუ ცხოვრების გაცნობას ისახავდნენ.

შეძლებისდაგვარად, თანხის მოპოვების შესაბამისად, პოლონეთში გამოდის ალმანახი, საკმაოდ საინტერესო ჟურნალი "Pro Georgia", სადაც იბეჭდება მოგონებები და სტატიები საქართველოზე. წერენ ადამიანები, რომელთაც ნამდვილად უყვართ საქართველო. ჟურნალთან სერიოზული მეცნიერებიც თანამშრომლობენ. სულ ახლახანს დაიბეჭდა ისტორიკოსის, ბატონ ვოიჩეხ მატერსკის, ძალიან საინტერესოდ და ამავე დროს დიდი მგზნებარებით დაწერილი ორი შესანიშნავი წიგნი. რომელიც უეჭველად სასარგებლო იქნება, რომ ითარგმნოს და გამოიცეს საქართველოში. ჟურნალში " Pro Georgia" ბევრი საინტერესო მასალა იმსახურებს ყურადღებასა და მოგვითხრობს პოლონეთში სხვადასხვა დროს მცხოვრები ქართველების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლონეთი იყო ერთ –ერთი პირველთაგანი ვინაც 1920 წლის თებერვალში დე-ფაქტოდ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქართველებს პოლონეთში სიმპათიისა და ნდობის დიდი მარაგი გაგვაჩნია.

ფრაგმენტი ელენე ამირეჯიბის წიგნიდან

"თავადის ქალის ტკბილი ცხოვრება",
ვარშავის გამომცემლობა. 1996 წელი.

დავიბადე ბედნიერ ვარსკვლავზე, სამყაროს უბედნიერეს ქვეყანაში, ნათელი მომავლის მშენებლობის ჟამს, მიუხედავად ამისა, როგორღაც მოვახერხე და ამ ყველაფრიდან ცოცხალმა გამოვაღწიე. არ გადავუსახლებივართ არც ციმბირში და არც ყაზახეთში, არ დაუხვრეტიათ ჩემი მშობლები და არც შიმშილით დავხოცილვართ. მაგრამ ის ფაქტი, რომ დავიბადე საქართველოში, ბედნიერების მწვერვალად უნდა ჩაითვალოს. იმ დროს როცა მილიონობით ადამიანს ყაზახეთსა თუ ჩრდილოეთში იძულებით ასახლებდნენ, საქართველოსაკენ ნებაყოფლობით მოემართებოდნენ, და უფრო მეტიც, სულაც აღარ უნდოდათ უკან დაბრუნება. აი, ერთი შემთხვევა, რომელმაც ყველანი ძალზე გაგვაოცა...

მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა საზაფხულო არდადეგებზე თბილისში ამხანაგი დავპატიჟეთ. მოსკოვიდან მატარებლით თითქმის სამი ათასი კილომეტრი ჩვენთან ერთად იმგზავრა. როდესაც კავკასიონის გრძელი გვირაბიდან გამოვაღწიეთ და მატარებელი შავი ზღვის სანაპიროს გაუყვა, ჩვენი ენაწყლიანი სტუმარი დადუმდა. შეჰყურებდა დამრეც მთებზე ბუდეების მსგავსად აკრულ სახლებს, მწვანედ მობიბინე პატარა გორაკებს, ხავერდივით დაფენილ ჩაის პლანტაციებს, ისრებივით ჩამწკრივებულ ევკალიპტებს ვერცხლისფრად ანთებული

ფოთლებით. არც მაშინ ამოუღია ხმა, როდესაც მატარებელი გასცილდა შავ ზღვას და გავიდა ვიწრო მდელოზე, სადაც აქაფებული ჩქარი მდინარე მოჩუხჩუხებდა. მისი დუმილით უზომოდ შეწუხებულმა, ყოყმანით შევეკითხე:

- მოგწონს?

- არა! - მომიგო უცბად.

შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი.

- რატომ ვითომ?

- იმიტომ, რომ შეუძლებელია ეს ნამდვილი იყოს! აქ რაღაც ზებუნებრივი სილამაზეა. - თითი ფანჯრის მინას დაადო. - ეს ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც ზღაპრის ილუსტრაცია.

მაშინ პირველად გავაცნობიერე, რომ ზღაპრული სილამაზის ქვეყანაში ვცხოვრობდი. მანამდე არასოდეს შემინიშნავს მისი მომხიბვლელობა. ყველაფერი გამოიყურებოდა ბუნებრივად: მთები - მთებია, ზღვა ისეთია როგორიც უნდა იყოს, სახლებიც – სახლებია . . . ყველაფერი ახლებურად და სხვისი თვალებით უნდა დამენახა.

ვიცი, რომ ჩემი საქართველო მშვენიერია, მაგრამ ეს ბანალური სიტყვებია, და არც ვაპირებ ბუნების აღწერას. ვწერ ადამიანებსა და მოვლენებზე არა შემთხვევით, არამედ იმისათვის, რომ ვალი მოვუხადო, ჩემს ორ შეუდარებელ თანამემამულეს - სტალინსა და ბერიას. მათი მიზეზით ჩვეულებრივი ცხოვრება არ მქონია. შევხვედრივარ ადამიანებს განსაკუთრებულ სიტუაციებში. მსგავსი ამბავი იშვიათად ხდება.

დავიწყებ იქიდან, რომ სწორედ სტალინმა და ბერიამ ჩამომაცილეს საქართველოს; ცოლად გავყევი პოლონელს და ოცდაათი წელია პოლონეთში ვცხოვრობ. რატომ მაინცა და მაინც პოლონეთში?

დეიდა ნინოს, პატარა კომოდზე, ძალიან სიმპათიური, ქერა, გამხდარი ყმაწვილის ფოტოსურათი ედგა. როდესაც წამოვიზარდე და ბიჭებს დავუწყე ყურადღების მიქცევა, შევეკითხე დეიდას ამ ყმაწვილის ვინაობა.

- ეს ალიკაა, ჩემი ძმა. ამაყი პოლონელი! - მიპასუხა.

ამგვარად გავიგე, რომ დეიდას ორი ძმა ჰყოლია, რომელთა შესახებაც არასოდეს არაფერი მსმენია. დედაჩემი და დეიდა ნინო მამით ერთნი იყვნენ. დეიდა ნინოს დედა მეორეჯერ პოლონელზე, გვარად ჟუკოვსკიზე, ყოფილა გათხოვილი. შესძენიათ ორი ვაჟი. ერთ-ერთი მათგანი იყო ალიკა, ფოტოსურათიდან მრავლისმთქმელად რომ შემომყურებდა.

- სად არის ახლა ეს ალიკა? – შევეკითხე, მაგრამ თითქოს პასუხს ვხვდებოდი.

- აიყვანეს, რა თქმა უნდა - მიპასუხა დეიდამ და დაუმატა, - ყველანი აიყვანეს ჩემს გარდა...

კიდევ ერთი დამნაშავე ოჯახში? კონტრრევოლუციონერი? მკვლელი? - სიმწრით გავიფიქრე. ასეთს რას სჩადიოდნენ?! რაღა მაინცა და მაინც ასეთ ეჭვმიტანილთა შორის უნდა დავბადებულიყავი?

მაგრამ ფოტოსურათიდან შემომცქეროდნენ დიდი, ღია ფერის, ღრმად მოაზროვნე თვალები. პირველად ჩემს ცხოვრებაში ეჭვი შემომეპარა: უბრალოდ შეუძლებელი იყო ეს ადამიანი დამნაშავე ყოფილიყო!

დეიდა თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა.

- ალიკა დამწყები არქიტექტორი იყო. სადიპლომო ნამუშევრად მთლიანად შემინული, ძალიან მსუბუქ ლითონის კარკასიანი თეატრის შენობა დააპროექტა. დიდი მოწონება დაიმსახურა და შეკვეთაც მიიღო დაკიდული ხიდის დასაპროექტებლად, რომელიც ძალიან თანამედროვე, ახალი და უცხო უნდა ყოფილიყო. როდესაც პროექტი დაამთავრა, ალიკასაც მოაკითხეს. დაადანაშაულეს კოსმოპოლიტიზმსა და დასავლეთის გავლენაში. ერთი კია, სტუდენტობის დროს, ხელი მიუწვდებოდა საზღვარგარეთულ ახალ ლიტერატურაზე, ერკვეოდა არქიტექტურის უახლეს მიმართულებებში - ამბობდა დეიდა, – მაშინ ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, რომ ამით თურმე ის მძიმე

დანაშაულს სჩადიოდა.

იმ დღეს დეიდასაგან სახლში შეყვარებული დავბრუნდი. შეყვარებული ბიჭზე ფოტოსურათიდან. ალიკა რომ არ დაეპატიმრებინათ, გაბერილ მუცელს ქართული ღვინოებით ამოივსებდა, და ალბათ არც მისი ფოტოსურათი დაამშვენებდა დეიდა ნინოს კომოდს, და ყველაფერი სხვაგვარად დატრიალდებოდა...

ახლა კი დედას გამოვუტყდი:

- როდესაც გავიზრდები, აუცილებლად ცოლად ამაყ პოლონელს გავყვები!

- ისწავლე, ისწავლე, პატარა მაიმუნო - გაეცინა დედას, - რომელ ამაყ პოლონელს ენდომება ასეთი რამ?

ასეთი პასუხით კი დედამ ნამდვილად გადააჭარბა. აუცილებლად პოლონელზე უნდა გავთხოვილიყავი. დეიდა ნინოსაგან კოდირებულს, მართლაც შემიყვარდა ამაყი პოლონელი, რომელსაც შევხვდი.

მართალია, დეიდაჩემის სათაყვანო ძმები ნახევრად პოლონელები იყვნენ, მაგრამ იგი მამობილს აღმერთებდა, გვარად ჟუკოვსკის, შეიძლება ითქვას, რომ დედაზე მეტადაც კი. თვალები უბრწყინავდნენ, როდესაც ჰყვებოდა, თუ როგორი ჭკვიანი, კეთილი და სამართლიანი იყო მისი მამინაცნალი.

ჩემს სულში პოლონეთის მიმართ სიყვარულის მარცვალი მოხვდა და სადღაც სიღრმეში ღვივდებოდა. საკმარისი იყო შეხვედროდი პოლონელს და . . . რაც რამოდენიმე წლის შემდეგ მოხდა.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც მოსკოვის კინომატოგრაფიის უმაღლეს სასწავლებელში სარეჟისორო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, სადაც გამუდმებით უსიამოვნებები მქონდა ჯგუფის ხელმძღვანელთან. ახალი აკადემიური სასწავლო წლის დასაწყისშივე, სამეცადინო დარბაზში შემოვიდა თუ არა განრისხებულმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ჩარიცხულია

ელენე ამირაჯიბი და მისი მეუღლე ცნობილი კინორეჟისორი იეჟი სტავინსკი

ხუთი სტუდენტი გოგონა. სარეჟისორო ფაკულტეტზე გოგონების მიღება დიდ იშვიათობას წარმოადგენდა, ერთი თუ იქნებოდა მთელს ჯგუფში. ეს კი ამჟამინდელი მისაღები გამოცდებისას, მისი შვებულებაში ყოფნის დროს მოხდა. მან ეს პირად შეურაცხყოფად მიიღო, და შეგვპირდა, რომ ვერცერთი ჩვენგანი სასწავლებელს ვერ დაამთავრებდა. და სისტემატიურად მიზეზების ძიება დაიწყო.

ჩემი რიგი ბოლოს მოვიდა. გავები, როდესაც პოლიტიკური აღზრდის საათზე გავბედე და დადებითი აზრი გამოვთქვი პოეტ ბორის პასტერნაკის შესახებ, რომლის დევნა კვლავაც გრძელდებოდა. ამით აღტაცებული ხელმძღვანელი საჩივლელად დირექტორთან გაიქცა. ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო. ისღა დარჩა, რომ კომკავშირის კრება მოეწვიათ და წესისა და კანონის მიხედვით, ყველა სტუდენტის წინაშე გავერიცხე კომკავშირის რიგებიდან. რაც ინსტიტუტთან გამოთხოვებასაც ნიშნავდა. დანაშაულს ფორმა მიეცა: გარიცხული იქნას ხულიგნობისათვის.

სანამ სრულად გავაცნობიერებდი, რა მომელოდა, საღამოს მუსიკის ისტორიის მეცადინეობას ვესწრებოდი. ხანდაზმული,

მომხიბვლელი პროფესორი შუხმანი (გვთხოვდა შუმანს ნუ დამიძახებთო) , აშკარად სადღაც ჩქარობდა. სწრაფად უსმენდა თანაკურსელებს და მაშინვე სახლში უშვებდა. მე ბოლოსთვის მომიტოვა. ერთად გამოვედით ქუჩაში, გასეირნება შემომთავაზა.

- თუ აცნობიერებ – დაიწყო, - რომ კომკავშირიდან გარიცხვის ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ინსტიტუტიდანაც ირიცხებიან?

გააზრებული კი მქონდა ეს.

- და თუ იცი, რა არის შენს წინააღმდეგ ნამდვილი მთავარი მოტივი?

თვალებით შევეკითხე.

- აი, რა მინდა გითხრა. . . - თავი დახარა წუხილით, - ზედმეტად ხშირად ხვდები ერთ უცხოელ მოქალაქეს, თუმცა დამეგობრებული ქვეყნისას. . . – გაიხედ-გამოიხედა - მჯერა, რომ ეს საუბარი ჩვენს შორის დარჩება! . . . - აღნიშნა თითის მოძრაობით - პარტიის კრებაზე გვქონდა ამის შესახებ საუბარი, მანამ, სანამ პასტერნაკზე გამოხტებოდი.

შიშისაგან ფეხები მომეკეცა. დეიდა ნინოს მონაყოლით კოდირებულს, შემიყვარდა "ამაყი პოლონელი", რომელიც ჩვენს სასწავლებელში სწავლობდა. ბედმა გამხდარი, სიმპათიური ქერა ბიჭი მარგუნა. მომხიბლა მისმა ერუდირებამ და კეთილშობილებამ. ჩვენს უიმედო და მშვენიერ გრძნობას მომავალი აღარ ეწერა. თავი რომეო და ჯულიეტად გვესახებოდა, ხოლო მონტეკისა და კაპულეტების როლში საბჭოთა კავშირი ერთპიროვნულად გამოდიოდა. და თუკი ერთად დაგვინახავდნენ, უსათუოდ გარიცხვა გველოდა. რომეოს გაამგზავრებდნენ პოლონეთში, თავად მე - საქართველოში, თანაც მგლის ბილეთებით, სწავლის გაგრძელების ყოველგვარი უფლების გარეშე. რომანი საბჭოთა კავშირის მოქალაქესა და უცხოელს შორის, თუნდაც დამეგობრებული ქვეყნიდან, იმ დროინდელ კგბ – ში დაგეგმილი თუ არ იყო, კანონის მძიმე დარღვევად ითვლებოდა. რომეო პოლონეთიდან გამომგზავრებამდე იქნა გაფრთხილებული, რომ მსგავსი გაუთვალისწინებელი ნაბიჯი მას არაფერ სიკეთეს არ მოუტანდა. ასე რომ, ვხვდებოდით საიდუმლოდ, გამოცდილი კონსპირატორებივით. და კიდევაც გვეგონა, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა.

- რა უნდა ვქნათ? - შევეკითხე პროფესორს, - არ არის ჩემი საშველი?

თითქოს დაფიქრდა. ადრევე კი უნდა ჰქონოდა ყველაფერი მოფიქრებული. არ ვიცი რატომ ვუყვარდი.

- შენ ადგილას, - მითხრა ცოტა ხნის შემდეგ, - მივაკითხავდი მიხეილ ჭიაურელს, ისიც ხომ ქართველია! იქნებ დაგეხმაროს?. .

იმ დროისთვის სამშობლოში და უცხოეთში ცნობილი რეჟისორი, მიხეილ ჭიაურელი, მართლაც დამეხმარა. და ამიტომაა, რომ უკვე დიდი ხანია პოლონეთში ვცხოვრობ.

თარგმნა ნანული ბურდული-ტალიაშვილმა

ანჯელი ვოჟნიაკი

ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში

ქართულ-პოლონური კონტაქტების ისტორია XV საუკუნის ბოლოდან იწყება და დაახლოებით ხუთას წელიწადს ითვლის. პოლონეთში ქართული ემიგრაციის საკითხი პირველად XVII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. ჟეჩიპოსპოლიტას ლაშქარში სხვა უცხოელებთან ერთად, ქართველებიც მსახურობდნენ, ისინი ცვალებადმა პოლიტიკურმა სიტუაციამ აიძულა სამშობლო დაეტოვებინათ. ზოგიერთმა ქართველმა ემიგრანტმა დიდი როლი ითამაშა, პოლონეთსა და ირანს შორის არსებულ დიპლომატიურ კავშირში, რომელსაც მიზნად ჰქონდა ამ ქვეყნის ჩართვა ანტითურქულ კოალიციაში. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ბოგდან გურჯიეცკი, რომელიც სამეფო ლაშქრის ასეულის მეთაური იყო, ასევე მისი ძმა - ფარსადანი.

XVII საუკუნის ბოლოს პოლონეთმა აქტიური ანტითურქული პოლიტიკა შეწყვიტა. ამასთან ერთად შეწყდა ქართველების პოლონეთში ემიგრაცია და მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ინფორმაციები პოლონეთში სტუმრად მყოფ ქართველებზე შედარებით იშვიათია.

პოლონეთის ქართული სათვისტომო კრაკოვში მეფის სასახლის ვაველის დათვალიერებისას, 1935 წელი.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველომ პოლონეთის მსგავსად, დამოუკიდებლობა დაკარგა. 1801 წ აღმოსავლეთ საქართველო (კახეთის სამეფო), შემდგომში კი დასავლეთ საქართველოც (იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) შეუერთეს რუსეთს. რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველები (სამხედროები და მოხელეები), პოლიტიკური დევნილები, მოგვიანებით ასევე ვაჭრები, მეწარმეები და სტუდენტები - სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ პოლონეთის მიწა-წყალზე. ნოემბრის აჯანყებამდე მათი რიცხვი პოლონეთის სამეფოს ავტონომიაში შედარებით მცირე იყო. XIX საუკუნის II ნახევარში ქართველების რიცხვმა იმატა. მათი უმეტესი ნაწილი ვრშავაში დამკვიდრდა, რომელიც ადმინისტრაციული, სამხედრო და განათლების ცენტრს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ბოლოს ქართველების უმეტეს ნაწილს პოლონეთის სამეფოში კვლავ სამხედროები და მოხელეები წარმოადგენდნენ, რომლის უმეტესობა თავს ვარშავაში იყრიდა. გამოჩნდნენ ქართველი ვაჭრები და მეწარმეები. სტუდენტური გარემო მცირერიცხოვანი, მაგრამ პოლიტიკურად საკმაოდ აქტიური იყო. იმდროისთვის განათლების ვარშავაში მიღება დიდი პოპულარობით სარგებლობდა პატრიოტულად განწყობილ ქართველ ახალგაზრდებს შორის. ამ პერიოდში წარმოშობილი ქართული დამოუკიდებლობის პარტიები, როგორც ამას იხსენებდა გ. ჩუბინაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში, სწორედ აქ ეძებდნენ მაგალითსა და შთაგონებებს თავიანთი საქმიანობისათვის. XIX საუკუნის 90-იან წლებში პოლონეთში ქართველი სტუდენტების ჯგუფი მოღვაწეობდა,

რომლებიც ა. ჯაფარიძის მიერ დაარსებული საქართველოს განთავისუფლების ლიგის წევრები იყვნენ. რუსეთის ხელისუფლებამ ორგანიზაცია გამოამჟღავნა და მათი წევრები დააპატიმრა. მათ შორის დაპატიმრებულ იქნა ვარშავის ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტი, მომავალში ცნობილი ქართველი მწერალი - შიო დედაბეროვი (დედაბრიშვილი), ცნობილი როგორც შიო არაგვისპირელი. გასული საუკუნის ბოლოს ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ნოე ჟორდანია (1869–1953) სწავლობდა, რომელიც მომავალში საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პრემიერი გახდა. მათ შორის იმყოფებოდა, მომავალში საბჭოთა საქართველოს გამოჩენილი პარტიული მოღვაწე- ფილიპე მახარაძე (1869–1941). სწავლის პერიოდში ნოე ჯორდანიამ ორგანიზება გაუკეთა ორ სამეცნიერო წრეს. ერთი - ქართულ ენაზე ქართველი სტუდენტებისთვის, ხოლო მეორე - რუსულ ენაზე მოსაუბრე ქართველებისა და რუსებისათვის. ცნობილი არ არის ამ სამეცნიერო წრეებში გაერთიანებული სტუდენტების რაოდენობა, და არც ის ეკუთვნოდნენ თუ არა მათ სხვა ინსტიტუტის მსმენელები, მაგრამ სავარაუდოა, რომ საუკუნეთა გასაყარზე ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა რიცხვი ორიოდე ათეულს არ აღემატებოდა.

ინფორმაცია იმ პერიოდში ვარშავის გარეთ მცხოვრებ ქართველებზე მცირეა. ცნობილია რამოდენიმე ქართველი მოხელის გვარი შედარებით პატარა ქალაქებიდან და ოფიცრებისა, რომლებიც პროვინციულ გარნიზონებში მსახურობდნენ. ზოგიერთ მოგონებებში გვხვდება ქართველი ექიმის გვარი კრესების პატარა ქალაქიდან.

შედარებით გაიზარდა ქართველების ემიგრაცია პოლონეთში ომთაშორის პერიოდში, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებული ჩვენი ცოდნაც არ არის სრულყოფილი. პოლონეთში ქართული სათვისტომოს წარმოშობა, უპირველეს ყოვლისა საქართველოს მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, პოლონეთში აღმოჩნდა ემიგრანტების ჯგუფი, მათ უმეტეს ნაწილს სამხედროები, კერძოდ: ექვსი გენერალი, ოცდათხუთმეტი ოფიცერი და ორმოცდაექვსი სამხედრო სასწავლებლის კურსანტი წარმოადგენდა, რომლებმაც უკვე პოლონეთში მიიღეს ოფიცრის წოდება. ისინი კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდნენ პოლონეთის არმიაში. სამოქალაქო ემიგრანტები სხვადასხვანაირი წარმატებით საქმიანობდნენ თავისი ადრინდელი ან ახლად შეძენილი პროფესიით და ადგილობრივი მკვიდრების მხრიდან გარსშემორტყმულნი იყვნენ კეთილმეგობრული განწყობილებით. ქართველი ემიგრანტების რიცხვი მუდმივად იცვლებოდა: დაბადებები, გარდაცვალებები, ზოგი მიემგზავრებოდა, ზოგი ჩამოდიოდა სხვა ქვეყნებიდან (მაგალითად 30-იან წლებში საფრანგეთიდან). ეს ყოველივე აძნელებდა მათი ზუსტი რიცხვის დადგენას. გარდა 20-იან – 30-იანი წლების ემიგრანტებისა პოლონეთში ასევე ცხოვრობდა მცირე ჯგუფი ადრეულ პერიოდში დასახლებული ქართველებისა.

არაზუსტი ინფორმაციებიდან ცნობილია, რომ პოლონეთში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი დაახლოვებით 200 კაცს შეადგენდა. 1939 წლის საქართველოს კომიტეტის წყაროებზე დაყრდნობით, ქართველი ემიგრანტების უმეტესობა თავს ვარშავაში იყრიდა, სადაც დაახლოებით 100 ქართველი ცხოვრობდა. სხვა პოლონურ ქალაქებში მათი რიცხვის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ემიგრანტების მცირე ჯგუფები (უმეტეს შემთხვევაში ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები) ცხოვრობდნენ ასევე პოზნანში, ბიდგოშჩსა და ტორუნში, ხოლო ერთეული ოჯახები გროდნოში , კრაკოვში, ლუბლინში, რუვნოში, სამბოჟში, ჟულკევსა და ისეთ პატარა ქალაქებში, როგორიცაა გრკო-

პოლონეთის ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები მარშალ პილსუდსკის საფლავზე კრაკოვში, 1935 წელი.

ლინა, გრაევო და პლეშევი.

XX საუკუნის 20 – 30-იან წლებში პოლონეთში არსებული ქართული დიასპორა სპეციფიური სტრუქტურის მქონე დემოგრაფიულ და პროგესიულ ჯგუფს წარმოადგენდა. მისი უმრავლესობა - ოფიცრები და სამხედრო სასწავლებლის კურსანტები იყვნენ. "პოლონელი" ქართველების უმეტესობას 20-დან 50 წლამდე ასაკის მამაკაცები წარმოადგენდნენ. მხოლოდ რამოდენიმე იყო უმაღლესი რანგის ოფიცერი, მაგალითად 1860 წელს დაბადებული გენერალი ყაზბეგი. ქართველ ემიგრანტებს შორის ცოტა იყო მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტები, რადგანაც მხოლოდ ერთეულები (მაგ. ზოგიერთი უმაღლესი რანგის ოფიცრები) ჩამოვიდნენ პოლონეთში ოჯახებთან ერთად. ახალგაზრდა, უცოლო ოფიცრებსა და სამხედრო სასწავლებლის კურსანტებს თანამემამულე ემიგრანტთა ოჯახებში მეორე ნახევრების პოვნის დიდი შანსი არ ჰქონდათ. რის გამოც ხშირ შემთხვევაში ცოლად მოჰყავდათ პოლონელები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოჯახებით ჩამოსულ ქართველთა შორისაც გვხვდება ეთნიკური თვალსაზრისით შერეული ქორწინებები, მაგალითად - მეუღლე რუსი ან იტალიელი.

პოლონეთში ქართული დიასპორის პროფესიული სტრუქტურა დიფერენცირებული იყო. თუმცა კი უმეტესობას სამხედროები წარმოადგენდნენ, მაგრამ სამოქალაქო პირებს შორის იყვნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევდა სხვადასხვა დონის ვაჭრობას, იყვნენ აგრეთვე მეცნიერ მუშაკები, მოხელეები, ჟურნალისტები, ექიმები, აგრეთვე სასულიერო პირი – არქიმანდრიტი, მამა გრიგოლ ფერაძე, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვარშავის ქართულ სათვისტომოში კაპელანის ფუნქციებს ასრულებდა. რამოდენიმე ქართველი უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს კითხულობდა, ხოლო ახალგაზრდები პოლონურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ. როგორც ვხედავთ, ამ ოცწლეულის განმავლობაში პოლონეთში მყოფი ქართველების უმრავლესობას ინტელიგენცია წარმოადგენდა და მათ შორის არ იყვნენ ისეთები, ვინც თავს ფიზიკური შრომით ინახავდნენ.

ომთაშორის პერიოდში ვარშავა იყო პოლონეთში ქართველების არა მარტო უდიდესი თავშეყრის ადგილი. აქ ცხოვრობდა, განსაკუთრებით 20-იან წლებში, ქართული ემიგრაციის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე და კონტრაქტის საფუძველზე მომსახურე ოფიცრების დაახლოებით 1/3 (მათ შორის ორი გენერალი). 1921 წლამდე აქვე იყო საქართველოს დიპლომატიური მისია და კონსულატი, მთელი ომთაშორისი პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდნენ ქართული და ქართულ-პოლონური საზოგადოებები და ორგანიზაციები, აქ ისახებოდა თითქმის ყველა კულტურული, საგამომცემლო და პროპაგანდული ინიციატივები. 1919 წლიდან ვარშავაში ფუნქციონირებდა კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლობა თავად ვალერიან სიდამონ–ერისთავის ხელმძღვანელობით, რომელსაც 1920 წლის გაზაფხულზე, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ, მიენიჭა პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის რანგი. მან 1921 წლამდე იარსება. შედარებით ხანგრძლივად ფუნქციონირებდა საქართველოს სა-

პოლონეთის ქართული სათვისტომოს დელეგაციას მოაქვს ურნა ქართული მიწით, რომელიც კრაკოვში მარშალ პილსუდსკის საფლავზე იქნა მოყრილი.

კონსულო, რომელიც "ნოვი შვიატის" 17 ნომერში მდებარეობდა.

1921 წლამდე პოლონეთში ქართული ემიგრაცია არ იყო დიდი. შემადგენლობით ყველაზე რიცხვმრავალი, ვარშავის საზოგადოება, მხოლოდ რამოდენიმე ათეულ წევრს ითვლიდა. კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლის, ხოლო 1920 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის თავად სიდამონ-ერისთავისა და მისი გარემოცვის გარდა მას მიეკუთვნებოდნენ შედარებით უფრო გვიანდელი ქრთული დამოუკიდებლობითი ემიგრაციის გარემოცვაში კარგად ცნობილი სერგო ყურულიშვილი და კაპ. ალექსანდრე გოძიაშვილი. ქართველების ამ მცირე ჯგუფმა ორგანიზება გაუკეთა თვითგადარჩენის კომიტეტს, რომელსაც სათავეში სიდამონ-ერისთავი ედგა. კომიტეტი 1921 წლამდე ე.ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე არსებობდა.

როგორც 1920 წლის თებერვალში გაზეთ "ვსხუდ პოლსკი"-ში იქნა აღნიშნულ – ამა წლის დასაწყისში ინჟინერმა ყურულიშვილმა, ბიალესტოკში მოიწვია "პოლონეთის მიწა-წყალზე მყოფი ქართველების ყრილობა". სადაც არჩეულ იქნა ქართული სახალხო საბჭო, რომლის მიზანი ურთიერთ დახმარება, საქართველოსა და პოლონეთს შორის მეგობრული პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების მხარდაჭერა იყო. კრებამ პირველ რიგში მისალმება გაუგზავნა სეიმს ვარშავაში, სადაც პოლონეთისა და მისი ხალხის მიმართ კეთილი სურვილები იქნა გამოხატული.

1921 წელს შეიქმნა ქართულ-პოლონური კლუბი (საქართველო-პოლონეთის კლუბი). კლუბის ორგანიზაციული კომიტეტის მდივნად, ხოლო სტატუსის დამტკიცებისა და ხელმძღვანელობის არჩევის შემდეგ (1920 წელის დეკემბერი), კლუბის დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ყურულიშვილი. საზოგადოების ძირითად მიზნად "ქრთველი და პოლონელი ხალხის ეკონომიური და კულტურულ-საზოგადოებრივი დაახლოება " უნდა ყოფილიყო, პრაქტიკულად კი უახლოეს თვეებში კლუბი იძულებულ შეიქნა თავისი მოღვაწეობა საქართველოს შესახებ სხვადასხვა სახის ცოდნის პოპულარიზაციამდე შეეზღუდა. მის ფარგლებში გამოშვებული იქნა ერთჯერადი ჟურნალი "ამირანი", რომელიც ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიას ეძღვნებოდა. მისი რედაქტორი სერგო ყურულიშვილი იყო.

1921-1922 წლებში საქართველოდან პოლონეთში პოლიტიკური ემიგრანტების დიდი ტალღა დაიძრა. ამ პერიოდში ხელახლა იქნა დაკარგული მოპოვებული დამოუკიდებლობა და სწორედ ეს იყო მიზეზი გაცილებით რიცხვმრავალი ქართული სათვისტომოს ჩამოყალიბებისა პოლონეთში, რომელიც ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტასაც მოითხოვდა.

1922 წლის პირველ ნახევარში ვარშავაში ჩამოყალიბდა პოლონეთის საქართველოს კომიტეტი, რომლის პირველი თავმჯდომარე სერგო კურულიშვილი იყო. მოგვიანებით ამ ფუნქციას: ი. სალაყაია, ა. გოძიაშვილი და კ. იმნაძე ასრულებდნენ. კომიტეტი გარკვეულ ფარგლებში საქარ-

თველოს ემიგრაციული მთავრობის (რეზიდენცია პარიზში) ფუნქციებს ასრულებდა, მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ ემიგრანტებსა და მათ ოჯახებს, ორგანიზებას უკეთებდა ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნასა და მეგობრულ შეხვედრებს, ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, რომელიც ფინანსური სირთულეების გამო საკმაოდ შეზღუდულ იყო. დაიბეჭდა ორი ერთჯერადი ჟურნალი "პროგეორგია" (1922) და "პროპარტია"(1923), ბროშურა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავთან დაკავშირებით და ფრანგულიდან იქნა თარგმნილ პარიზში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების საერთო ნაშრომი " გრუზია " (ვარშავა 1939წ). ალბათ კომიტეტის მოწადინებით, მაგრამ მისი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მოგვიანებით გამოცემული იქნა სხვა ქართული ერთჯერადი ჟურნალებიც, როგორც ვარშაული ჟურნალების სპეციალური ნომრები. 1923-1924 წლებში კომიტეტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ მისი თავმჯდომარის სერგო ყურულიშვილის რედაქტორობით გამოდის ჟურნალი "გლოს ვსხოდუ", რომელიც ძირითადად საქათველოს საკითხებს ეხებოდა. ყურულიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ იანმა (ვანომ) 1925 წელს სცადა ჟურნალ "ვსხუდ ი პოლსკა"-ს გამოშვება.

ინფორმაციები არ მოგვეპოვება პოლონეთში არსებული საზოგადოების "ქართველი სტუდენტური წრის" შესახებ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1925 წლის 1 მაისს გამოშვებულ "გლოს პოლსკი"-ში სერგო ყურულიშვილის ნეკროლოგს ხელს ისინი აწერდნენ.

შედარებით მეტია ცნობილი პოლონეთში არსებული, კავკასიელი სტუდენტების კავშირზე, რომელიც 1929 წელს აღმოსავლეთის ინსტიტუტის მფარველობის ქვეშ იქნა დაარსებული. მათ მიზანს " პოლონეთის სტუდენტ ახალგაზრდობასთან დაახლოება და მათში კავკასიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება" წარმოადგენდა. 30-იანი წლების დასაწყისში კავშირის თავმჯდომარე იყო ბატირ ბეგ კაზი-ხანი,

ქართველი ოფიცრები მეუღლეებთან ერთად 1924 წლის საქართველოს ანტიბოლშევიკური აჯანყების ლეგენდარული წინამძღოლის ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის გარშემო, რომელმაც თავშესაფარი პოლონეთში ჰპოვა, ბიდგოშჩი.

თავმჯდომარის მოადგილე და ხაზინის გამგებელნი იყვნენ ქართველები ნიკოლოზ ბაგრატიონი და გრიგოლ კერცელი, ხოლო მდივანი - მურატ ბეი-ბარაგუნი.

1925 წლიდან ვარშავაში არსებული პოლონეთ- საქართველოს საზოგადოების შესახებაც მცირე რამ არის ცნობილი. ამავე წლის დეკემბერში თავმჯდომარედ თავადი პავლე თუმანიშვილი დაინიშნა, მდივნად პორ. ალექსანდრე ყიფიანი, ხოლო გამგეობის წევრები იყვნენ: სტანისლავ კორვინ-პავლოვსკი, პოლკ. ნიკოლოზ კანდელაკი და მაიორი კონსტანტინე ტერიაშვილი. საზოგადოებას საკმაოდ დახურული ხასიათი უნდა ჰქონდა. არ არის ცნობილი მისი ფორმალური სტატუსი, მოქმედების არეალი, და არც არსებობის ხანგრძლივობა.

II ჟეჩპოსპოლიტის პერიოდში (1917-1939), ქართველები იმ ეთნიკური ჯგუფებს მიეკუთნებოდნენ, რომლებსაც სტატისტიკების უმრავლესობა არ აღნიშნავდნენ. ქართველი ემიგრანტები რიცხობრივი თვალსაზრისით მცირე ჯგუფს მიეკუთნებოდნენ, მაგრამ თავისი დამოუკიდებლობროვი ხა-

სიათის გამო საკმაოდ აქტიურები იყვნენ და განსაკუთრებული, პრივილეგირებული პოზიციები გააჩნდათ, რომელიც ვერც რიცხობრივი შემადგენლობით და ვერც ეკონომიური როლით ვერ აიხსნება. ამ პოზიციას უფრო ემოციური, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის, პოლონელი და ქართველი ხალხის ისტორიების მსავსება ედო საფუძვლად. ტრადიციულად მეგობრული გრძნობები, რომლებიც პოლონურ საზოგადოებაში ქართველებისადმი არსებობდა, მხარდაჭერას მარშალ პილსუდკის აღმოსავლური პოლიტიკის ფედერალისტურ კონცეფციაში პოულობდა. მართალია რიგის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ მან პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ არ გამქრალა იდეოლოგიურ სფეროში, რომლის გაგრძელებასაც პრომეთეიზმი წარმოადგენდა. მისი მიზანი სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი იმ ხალხების მხარდაჭერა იყო, რომლებმაც I მსოფლიო ომის პერიოდში წამოიწყეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მცდელობები, მათ რიგებში შედიოდნენ: უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, თათრები, კავკასიის მთიელები და ქართველები. ასე რომ პრომეთეიზმს პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს ჰქმნიდა ხელსაყრელ პირობებს კულტურული, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ემიგრანტების დამხმარე საზოგადოებებისთვის, მათ შორის ქართველებისა და მათ მხარში მდგომი პოლონელებისთვის. 30-იან წლებში ერთ-ერთი პრომეთეული წრის წარმომადგენელი კლუბი "პრომეთე" იყო, რომლის რიგებში ზოგიერთი ქართველი ემიგრანტიც შედიოდა.

1939 წელს ომის დაწყების შემდეგ, მრავალმა ქართველი კონტრაქტული ოფიცერი, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით არ იყვნენ ვალდებულნი, მოხალისედ მონაწილეობდა ომში. ხშირად ურთულეს მონაკვეთებზე უხდებოდათ ბრძოლა, სადაც არა მარტო სიმამაცით, არამედ ორგანიზაციული და მეთაურული ნიჭით გამოირჩეოდნენ. ომის პერიოდში "პოლონელი" ქართველიები "ა კ"-სა და "პ ს ზ"-ს რიგებში იბრძოდნენ. მონაწილეობა მიიღეს ვარშავის აჯანყებაში. ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი სამხედრო ჯილდოები დაიმსახურა, მათ შორის "Virtuti Militari". ფაშისტური ოკუპაციის მძიმე პრიოდში ქართველი ემიგრანტები, მიუხედავად პრივილეგირებული პოზიციისა, რითაც ოკუპანტები ცდილობდნენ მათ გადაბირებას, საერთო ჯამში ლოიალურნი რჩებოდნენ შეძენილი სამშობლოს მიმართ. თუმცა ვარშავის ქართულ დიასპორას არ ასცდა დრამატული, ხოლო ზოგიერთ ტრაგიკული მომენტები დღემდე იწვევენ ღრმა განცდებს. გერმანელების ოკუპანტურმა ხელისუფლებამ, საქართველოს კომიტეტს რეორგანიზაცია გაუკეთა და თავის დაქვემდებარებაში მოაქცია. კომიტეტის მართვა დაევალათ გერმანელების ნდობით აღჭურვილ პირებს.

ომის დამთავრების შემდეგ მხოლოდ ერთეული ქართველები დარჩნენ პოლონეთში. ნაწილი ოკუპაციის დროს დაიღუპა, ბევრმა დატოვა პოლონეთი და დასავლეთისკენ გაემგზავრა. ზოგიერთი, მაგრამ არა ყველანი, მრავალი წლის შემდეგ დაბრუნდა საბჭოური გადასახლებიდან, უმრავლესობა დაავადმყოფებულნი. 50-60-იან წლებსა და მოგვიანებით პერიოდში პოლონელი ქართველების საზოგადოებაში გამოჩნდნენ ახალი სახეები. მათ უმეტესობას ის ქართველები წარმოადგენდნენ, რომლებიც პოლონეთის მოქალაქეებზე დაქორწინდნენ. ქართველი სტუდენტები პოლონეთში იშვიათად ჩამოდოდნენ. განსაკუთრებულ ჯგუფს, ხანმოკლე პერიოდით ჩამოსული მსახიობები, მწერლები და მეცნიერები წარმოადგენდნენ.

სიტუაცია 90-იანი წლების დასაწყისში შეიცვალა. ორივე ქვეყანაში პოლიტიკური წყობის შეცვლის შემდეგ გაცილებით გაადვილდა კონტაქტების დამყარება. აღირიცხება გაცილებით მეტი ქართულ-პოლონური ქორწინებები, მიუხედავად შეზღუდვებისა სულ უფრო მეტი ქართველი ცდილობს პოლონეთში სამუშაოდ ჩამოსვლას, ქართველი ბიზნესმენებიც გამოჩნდნენ.

90-იანი წლების დასაწყისში, საქართვე-

ლოსთვის პოლიტიკური ცვლილებების მძიმე პერიოდში, პოლონეთში, კერძოდ კი ლოძის , ვარშავისა და მოგვიანებით სხვა ქალაქების სასწავლებლებში, ახალგაზრდა ქართველი სტუდენტების საკმაოდ დიდი ჯგუფი ჩამოვიდა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნას ეუფლებოდნენ, ან სადოქტორო ნაშრომებს წერდნენ. მათი უმეტესი ნაწილი თავისუფალ დროს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. იმ დროს მათში ყველაზე აქტიურებს განეკუთვნებოდნენ: დავით ყოლბაია, ანგია კახიანი, გოჩა შათირიშვილი. ქართველი ახალგაზრდების ეს აქტიურობა დაემთხვა "ქრთველი პოლონელების" გამოცოცხლებას, ისინი ომთაშორის პერიოდის ის ჯერ კიდევ ცოცხალი ემიგრანტები და მათი მემკვიდრეები იყვნენ, რომლებმაც ახალ ხელსაყრელ პირობებში წინა თაობის საქმიანობისა და მიღწევების განახლება მოინდომეს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მაიორი ნიკოლოზ მათიკიშვილი, იექი ირაკლი გოძიაშვილი, იექი არონიშიძე, სერგო ყურულიშვილი და თამარ ყურულიშვილი-ვოიტკევიჩი. ვარშავაში მათმა საქმიანობამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს ისტორიისა და კულტურით დაინტერესებული პირების, დამოუკიდებლობის მუზეუმის დირექციისა და მუშაკებისა, თავისუფლების ინსტიტუტისა და ასევე მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მხრიდან. 1991 წლამდე პოლონეთში მცხოვრები ქართველები ერთმანეთთან ხშირ შემთხვევაში მეგობრული კონტაქტებით ისაზღვრებოდნენა, რომელიც ორგანიზაციის ფარგლებში არ გადადიოდა. 1991 წლის 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავისა და საქართველოში პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეს ვარშავის დამოუკიდებლობის მუზეუმში ჩატარებულ იქნა გამოფენა საქართველო-პოლონეთი, რომელმაც თავი მოუყარა, პოლონეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ქართველების ჯგუფს, რაც გახდა იმპულსი მომავალი პატრიოტული საქმიანობისთვის. ამან გამოიწვია ამავე წლის სექტემბერში, ლოძში საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ჩამოყალიბება. ეს საზოგადოება I და II მსოფლიო ომებს შორის არსებული ქართულ-პოლონური კლუბის ტრადიციების მატარებლად მოგვევლინა. ან თავის რიგებში გააერთიანა პოლონეთში მცხოვრები ქართველები და საქართველოს მეგობრები პოლონელები. მათ სურთ პოლონეთის საზოგადოება გაეცნოს საქართველოს ისტორიასა და კულტურას და აგრეთვე ორი ხალხის სამომავლო კავშირების გაღრმავება. საქმიანობა მთელ პოლონეთს მოიცავს, ფილიალები აქვს ვარშავასა და პოზნანში, ხოლო რწმუნებულები კი ჰყავს კროშლინში, ლემბურკსა და ვროცლავში. 1994 წლისთვის საზოგადოება 86 წევრს ითვლიდა, მათი უმეტესი ნაწილი ვარშავაში (30), ლოძში (22), პოზნანში, ბიდგოშჩში, ვროცლავში, კრაკოვსა და სხვა ქალაქებში ცხოვრობენ. მათ უმეტესობას ქართველები ან ქართული წარმოშობის პოლონელები წარმოადგენენ. საზოგადოებას სიცოცხლის ბოლომდე იექი არონიშიძე ხელმძღვანელობდა (1998 წელი). 90-იანი წლების პირველი ნახევარი ითვლება საზოგადოების ყველაზე გამოცოცხლებულ პერიოდად, ორგანიზება გაუკეთდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედ, საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების აქციებს. ეწყობოდა გამოფენები, მეგობული შეხვედრები, აღწერილ იქნა პოლონეთის სასაფლაოებზე დასაფლავებული ქართველების საფლავები და ა.შ. 1991-1998 წლებში გამოცემულ იქნა ჟურნალ "პრო გეორგია"-ს რვა ნომერი, რომლის დამა-

პოლონეთის ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები მარშალ პილსუდსკის საფლავზე კრაკოვში, 1935 წელი.

არსებელი და რედაქტორი დავით ყოლბაია იყო, ხოლო მოგვიანებით ანჟეი ვოჭნიაკი და 1994 წლიდან კი – ვოიჩეხ მატერსკი.

90-იანი წლების დასაწყისში, ხანმოკლე დროით, ფუნქციონირებდა ანგია კახიანის მიერ დაარსებული, საქართველოს სახალხო-დემოკრატიული პარტიის ვარშავის კლუბი, რომელიც ქართველი სტუდენტების წრეში ფუნქციონირებდა, ქართულ-აფხაზური კომფლიქტის პერიოდში მოეწყო რამოდენიმე დემონსტრაცია საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის მხარდასაჭერად. 1993 წელს, ა. კახიანის რედაქტირებით, კლუბმა გამოსცა ჟურნალ "ჰეროლდის" ერთადერთი ნომერი. მისი მიზანი იყო პოლონელი მკითხველებისთვის "საქართველოს საშინაო და საგარეო სიტუაციის" გაცნობა.

პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების წევრების ჯგუფმა, I და II მსოფლიო ომთაშორის პერიოდში არსებული ქართულ-პოლონური კლუბის ტრადიციებზე დაყრდნობით, 1995 წელს ვარშავაში ჩამოაყალიბა "საქართველოს კლუბი 1920". მისი თავმჯდომარეა სერგო ყურულიშვილი, 20-იან წლებში ცნობილი ემიგრანტი მოღვაწის ძმიშვილი და სეხნია. კლუბის ძირითად მიზანს წარმოადგენს: კონფერენციების, სემინარების, საქართველოში პოლონეთის, ხოლო პოლონეთში საქართველოს შესახებ ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაცია. კლუბი ვარშავაშია, მაგრამ საქმიანობა მოიცავს სრულიად პოლონეთს. 90-იანი წლების დასასრულს ლისტოპადის ქუჩაზე № 29-ში ეწყობოდა შეხვედრები, ვარშავაში მცხოვრები ქართველი მხატვრების გამოფენები.

90-იანი წლების მეორე ნახევარში კვლავ შეინიშნება ყველა ქართული ორგანიზაციების აქტიურობის დაკარგვა, ხოლო საქართველოს სახალხო-დემოკრატიული პარტიის ვარშავის კლუბმა მას მერე რაც მისმა ორგანიზატორებმა დატოვეს პოლონეთი, არსებობა შეწყვიტა. დღესდღეობით ქართული დიასპორა ჩაეფლო ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიძნელეებში და ამდენად ნაკლები დრო რჩებათ საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. უკანასკნელ წლებში წარმოშობილ ორგანიზაციებში იგრძნობოდა დიდი გამოცოცხლება. აქ თავს იყრიდნენ პოლონელები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საქართველოს კულტურით. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა 1999 წლიდან არსებული საქართველოს მოყვარულთა წრე, რომელიც პოლონეთის ხალხთმცოდნეობის საზოგადოების ვარშავის განყოფილებასთან დაფუძნდა. მის წევრებს ვარშავის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები წარმოადგენენ იუსტინა დობოშინსკას ხელმძღვანელობით. წრე ორგანიზაციას უკეთებს საქართველოსთვის მიძღვნილ ფოტო გამოფენებს, ფილმების ჩვენებებს, აღნიშნავს წლისთავებს. მისი ინიციატივიტ 2000 წლის მაისში მოეწყო სამეცნიერო სესია საქართველოს თემაზე. წრის წევრები არიან მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორები, რომელიც ამ თემას მიუძღვნეს.

მსგავს ხასიათს ატარებს 2000 წლის აპრილში ვროცლავში დაარსებული წმინდა იეჟის სახელობის პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, რომელიც თავის საქმიანობით სრულიად პოლონეთს მოიცავს. საზოგადოების თავმჯდომარეა, ცნობილი ვროცლაველი არქეოლოგი პროფესორი ბოგუსლავ გედია. მის რიგებში რამოდენიმე ათეული წევრი ირიცხება, რომელთა უმეტესობას პოლონელი სტუდენტები წარმოადგენენ. საზოგადოების მიზანია: საქართველოს შესახებ ცოდნისა და მასთან კონტაქტების გაღრმავება. საზოგადოება ვროცლავში საქართველოს კულტურის ცენტრის გახსნას აპირებს, მიმდინარეობს მცდელობები შენობის შესაძენად.

შედარებით სხვა მიზნები ამოძრავებს ვარშავაში 2000 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბებულ "გადარჩენის" ფონდს, რომლის დამაარსებელი და თავმჯდომარეა დოროთა პარჟიმიესი. ფონდის სურვილია დაეხმაროს ამიერკავკასიის "პოლონია"-ს, ამასთან ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ ცოდნის გაღრმავებასაც ითვალისწინებს.

თარგმნა ზურაბ სეფიაშვილმა

რობერტ კარაბინი

პრომეთეიზმი

1918 - 1921 წლების პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კავკასიელი ხალხის მონაწილეობა

პოლონეთის სამხედრო ნაწილებში კავკასიელ ოფიცერთა გამოჩენა შედეგი გახლდათ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ფორმირებული პოლიტიკურ კონცეფციისა, რომელსაც მრავალი წლის შემდეგ "პრომეთეიზმი" ეწოდა. მისი ფესვები შეიძლება შევნიშნოთ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მოღვაწეთა ნაწილის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80 - 90-იან წლების გარდატეხაზე აღიარებულ შეხედულებებში. ისინი 1893 წელს, რუსეთში, იმ დროს გაბატონებული სიტუაციის ღრმა ანალიზის საფუძველზე, დარწმუნდნენ იმის აუცილებლობაში, რომ უნდა უარყოფილიყო ამ ქვეყნის პროლეტარიატი, როგორც ერთგაროვანი მასა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მოღვაწეთა ასეთ შეხედულებას განაპირობებდა მეფის სახელმწიფოს ცალკეული ნაწილების რევოლუციისათვის მზადყოფნა. ძირძველ რუსეთში წარმატების ნაკლები იმედი იყო, ხოლო რაც შეეხება პოლონეთის სამეფოს, იგი ითვლებოდა იმპერიის იმ ნაწილად, რომელიც ყველაზე უფრო ადრე მომწიფდა ამისათვის. ამიტომ, სწორედ აქედან უნდა მომხდარიყო ეგრეთ წოდებული " გადანერგვა " მეფის რუსეთის დანარჩენ კუთხეებში. ასეთი სახის " რევოლუციის ექსპორტის " წარმატებით განხორციელების იმედსაც არა რუსულ მოსახლეობაში ხედავდნენ. ემანსიპაციური მისწრაფებების ნებისმიერი საშუალებებით ხელშეწყობას შედეგად უნდა მოჰყოლოდა რევოლუციის გამარჯვება და ე.ი. პოლონეთში დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ იდეას გულმხურვალედ უჭერდა მხარს იუზეფ პილსუდსკი, რომელმაც ისარგებლა იაპონია - რუსეთის ომის დაწყებით და 1904 წელს 13 ივლისს ტოკიოში, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეს მემორიალით წარუდგა. პილსუდსკი, იაპონელებს დახმარებას სთხოვდა საერთო მტერთან ბრძოლაში და აქვე მიუთითებდა, მისი აზრით, გამარჯვებისათვის საჭირო ეფექტურ მეთოდზე. რაც დამოუკიდებლობის სურვილით შეპყრობილი არა რუსი ხალხისათვის მხარდაჭერაში უნდა გამოსახულიყო. იგი იაპონელების ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ რუსები მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან ეროვნულ ჯგუფს რუსეთის იმპერიაში, მაინც მთელი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარსაც კი არ შეადგენენ. ბარათის მიხედვით რუსები 57 - 59 მილიონი იყო, მაშინ როდესაც პოლონელები 12 - 13 მილიონი, რუსინები 15 - 16 მილიონი, ხოლო დანარჩენი ხალხებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანიც კი არ აღემატებოდა 10 მილიონს. პილსუდსკის აზრით " მონოლითურობას მოკლებულ ქვეყანაში სუსტ წერტილს აქილევსის ქუსლი წარმოადგენს, და სწორედ აქ უნდა უმიზნებდეს რუსეთის ყველა მტერი ". მოხსენებით ბარათში პოლონელებს ეკუთნოდათ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი რუსეთთან ბრძოლაში. ავტორის აზრით "(. . .) მხოლოდ პოლონელებს შეუძლიათ საქამე მიიყვანონ ღია ბრძოლამდე და ჩაიყოლიონ მასში რუსეთის მიერ დამორჩილებული დანარჩენი ხალხები ".

1912 წელს, პარიზში ლიტველი გაბრისი გამოსცემდა გაზეთ " Les Annales des Nationalites " მიძღვნილს რუსეთის ხალხების დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებისადმი. ასევე პარიზში, მისივე ინიციატივით დაფუძნდა " L'union des nationalites ", რომელიც მოუწოდებდა ამ ხალხების განთავისუფლებისაკენ. კავშირის მოქმედებამ ნაყოფი

გამოიღო. 1916 წლის ივნისში, ლოზანაში რუსეთის ხალხების კონგრესზე, მიღებული იყო "ეროვნებათა უფლებების დეკლარაცია," რომელმაც გამოაცხადა ამ ერების სრული გამოსვლა მეფის მორჩილების ქვეშიდან.

ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუწყო რუსეთში პოლიტიკური ცვლილებების მიმდინარეობამ. 1917 წლის 24 ნოემბერს სახალხო პარლამენტი " კურლუტაი " ყირიმს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს. შემდგომი პირველი ქვეყანა, რომელმაც 1918 წელს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, უკრაინა იყო. მოკლე დროში მათ კვალს დაადგნენ ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები, ჩრდილო კავკასიელები. ანალოგიურ გზა აირჩიეს ბალტიის ქვეყნებმაც.

ყველა ეს მოვლენები იუზეფ პილსუდსკის ძალიან დიდი ყურადღების ქვეშ მიმდინარეობდნენ. იგი არა მხოლოდ ინარჩუნებდა ძველ კონტაქტებს, არამედ ცდილობდა ახალი დაემყარებინა იმ ერებთან, რომელნიც მიისწრაფოდნენ რუსეთის გავლენის ქვეშიდან განთავისუფლებისაკენ. პილსუდსკის აზრით ასეთი კავშირები პოლონეთს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იყო აუცილებელი და გარდა ამისა, სამომავლოდ, რუსეთის მხრიდან მოიხსნებოდა ყოველგვარი საფრთხე.

პოლონეთის რესპუბლიკისათვის ყველანაირი რუსეთი პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. თავდაცვის მიზნით საჭირო იყო მისი მაქსიმალური დასუსტება. ამის საუკეთესო საშუალება კი მისი ყველაზე მეტად არსებითი ნაწილების ჩამოშორებაში მდგომარეობდა. ასეთ მნიშვნელოვან პუნქტებს უკრაინა და კავკასია წარმოადგენდა. ამიტომ პოლონეთი შეგნებულად უნდა ცდილობდეს ამ ერებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდეს და მხარი დაეჭიროს მათ მისწრაფებებს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

რუსეთისათვის კავკასიას განსაკუთრებულად არსებითი მნიშვნელობა რამოდენიმე მომენტის გამო ჰქონდა. იგი ხომ თურქეთის გამომყოფ ბუნებრივ ზღუდეს ქმნიდა, ასევე დამაკავშირებელი ხიდი იყო ევროპასა და შუა აზიას შორის. აქვე იდო სახმელეთო გზის გასაღები ინდოეთისაკენ. ძირითადი სამხრეთ - აღმოსავლეთი ბაზების დაკარგვის შემთხვევაში, შავი ზღვის კავკასიის ნავსადგურები შეიძლება რუსეთის ფლოტისათვის უკანასკნელი დასაყრდენნი გამხდარიყვნენ. მისთვის უმნიშვნელო არ იყო აგრეთვე ამ რაიონის უამრავი წიაღისეული სიმდიდრე, - უპირველეს ყოვლისა ნავთობი და მსოფლიოში უმდიდრესი მანგანუმის საბადო. ამ რეგიონის ხალხებმა დამოუკიდებლობა 1918 წლის მაისში გამოაცხადეს.

კავკასიაში იმ დროს ბევრი პოლონელი იმყოფებოდა. 1917 წლიდან იწყება მათგან პოლონურ სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბება. ისინი ყველგან გარკვეული სიმპათიით სარგებლობდენ და ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერასაც პოულობენ. ეს გამოიხატებოდა არა მარტო ამ ნაწილთა ორგანიზების საქმეში დახმარებით, არამედ მათი ბოლშევიკებისაგან დაცვაშიც. ასე მოხდა მაგალითად 1917 წლის ბოლოს, როდესაც კაპიტან რესსლერის პოლონური ბატალიონი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა ბაქო, მათ მხარდაჭერა სწორედ ჩრდილო კავკასიაში ჰპოვეს. მოგვიანებით ეს ბატალიონი დაღესტნის არმიის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობდა ბოლშევიკების წიააღმდეგ ბრძოლებში.

პოლონელების თავშეყრის მთავარ პუნქტს საქართველო წარმოადგენდა. თბილისში 1917 წლიდან მოქმედებდა პოლონური კომიტეტი. ამ ქალაქშივე იმყოფებოდა პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ვაცლავ ოსტროვსკი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წლის თებერვალში მისიის გამოგზავნას ტიტუს ფილიპოვიჩის ხელმძღვანელობით. მისი მთავარი მიზანი იყო დაემყარებინა მჭიდრო ურთიერთობები პოლიტიკურ - სამხედრო სფეროში საქართველოს, აზერბაიჯანსა და სასომხეთთან. მისი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, 1920 წლის აპრილში, შემუშავდა საქართველოსთან სამხედრო კავშირის პროექტი. იგი ითვალისწინებდა ამ რესპუბლიკისთვის პოლონეთის

დახმარებას იარაღითა და აღჭურვილობით, ასევე ოპერატიული თანამშრომლობის განმსაზღვრელ გეგმას. ამ მოლაპარაკების საფუძველზე საქართველოს უნდა განეხორციელებინა მცდელობები ანტიბოლშევიკური მოძრაობის ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებზე გავრცელებასათვის. დაგეგმილი იყო, რომ მსგავსი ხელშეკრულებები დაიდებოდა კავკასიის დანარჩენ სახელმწიფოებთანაც, მაგრამ როდესაც კონსული ფილიპოვიჩი მიზნის განსახორციელებლად ბაქოში გაემგზავრა, 1920 წლის 28 აპრილს ინტერნირებული იქნა ამ ქალაქში შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილების მიერ. ფილიპოვიჩის მისიის გაგზავნის ინიციატორი პილსუდსკი იყო, რომელიც 1920 წლის დასაწყისში ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ დიდ აქციას ამზადებდა. უკრაინაში დაგეგმილი დიდი მილიტარული ოპერაციის დაწყებამდე დამყარებული იქნა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი სიმონ პეტლიურასთან. მოქმედებებს კავკასიაში ბოლშევიკებისათვის შეუძლებელი უნდა გაეხადათ აქედან პოლონეთის ფრონტზე ძალების გადასროლის. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპოვიჩის ინტერნირებისა და პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ფრონტზე გაუთვალისწინებელი სიტუაციის გამო ვერ მოხერხდა ქართველებთან მჭიდრო ურთიერთ - თანამშრომლობის დამყარება, მათ მოქმედებებს გარკვეული გავლენა მაინც ჰქონდათ მიმდინარე ბრძოლებზე. ქართველების მიერ ბოლშევიკების შეტევის შეჩერებამ გამოიწვია ის, რომ პოლონეთისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში, 1920 წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში კავკასიის ფრონტიდან არ მოუხსნიათ არცერთი დიდი სამხედრო ძალა.

1919 - 1920 წლებში პოლონეთში იმყოფებოდა სიდამონ ერისთავის მისია, ფილიპოვიჩის ელჩობის ქართული შესატყვისი, მხოლოდ საგრძნობლად ნაკლებ აქტიური.

მიუხედავად ბოლშევიკებთან ომის წარმატებით დასრულებისა, მარშალი პილსუდსკი ძალიან კარგად აცნობიერებდა ქვეყნის მდებარეობასთან დაკავშირებულ მდგომარეობის სერიოზულობას. 1920 წლის დეკემბერში ყირიმელ თათართა წარმომადგენელ ჯაფერ სეიდამეტთან საუბარში თქვა -"(...)პოლონეთი შეუძლებელია ნამდვილად დამოუკიდებელი იყოს ორ ბუმბერაზს შორის (...). იქამდე, სანამ ერების დიდი რაოდენობა იქნება რუსეთის უღელს ქვეშ, ჩვენს მომავალზე მშვიდად ვერ ვიფიქრებთ ".

1923 წელს მარშალი პილსუდსკი ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, ამ მოვლენამ თავისებური უარყოფითი გავლენა იქონია პოლონეთის და საბჭოთა რუსეთიდან თავის დაღწევის სურვილით შეპყრობილი ხალხის ურთიერთობაზე. პილსუდსკის გადადგომა არ ნიშნავდა მანამდე დამყარებული კონტაქტების გაწყვეტას. 1924 - 1926 წლებში ზემოთ ნახსენები ჯაფერ სეიდამეტის გარდა მას ხვდებიან საქართველოს წარმომადგენლები: ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და მ. ჩხეიძე. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ შტაბში კვლავ რჩებოდა ამ საკითხზე მომუშავე ხალხი ჯარში, პოლკოვნიკები შაეტზელი და ვაცლავ იენდრჟიევიჩი, საზღვარგარეთის საქმეთა განყოფილების მუშაკი კნოლი და ლუკაშიევიჩი.

დამოუკიდებლობის ერთობლივი მოძრაობები განხორციელებული საბჭოთა რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ერების მიერ განსაზღვრული იყო სახელწოდებით - პრომეთეიზმი. ამ ტერმინის წარმოშობა ბოლომდე არ არის ნათელი. ზოგიერთი ავტორის მიხედვით ამ მოძრაობას სახელი დაერქვა პარიზში გამოცემული ყოველთვიური ჟურნალის სახელწოდებიდან "Promethee",რომელიც ამ საკითხების პროპაგანდას ეწეოდა. სხვა ავტორები კი ამ ტერმინის მამად თურქეთში პოლონეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ თადეუშ შაეტზელს თვლიდნენ. სწორედ მან, 1926 წელს ანკარაში, რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მსურველთა შეხვედრის

დროს წინადადება წამოაყენა, რომ ამ მოძრაობას შერქმეოდა პრომეთე. სხვა ვერსიით ეს ტერმინი ქართველებიდან უნდა მოდიოდეს. 1926 წელს იქმნება რუსეთის მიერ ჩაგრული ხალხების პრომეთეს ლიგა. ამ ორგანიზაციაში, რომელსაც შემოკლებით პრომეთეს ლიგას ეძახდნენ, გაწევრიანებულნი იყვნენ აზერბაიჯანის წარმომადგენლები, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, დნეპრისპირა უკრაინის, დონისა და ყუბანის კაზაკები, ყირიმისა და ვოლგისპირა თათრები, თურქესტანის და ჩრდილო რუსეთის უგროფინური წარმოშობის სამი მცირე ერი. ლიგის მიზანი იყო რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ერთიანი ფრონტით ბრძოლა, აქ გაწევრიანებულ ერებს შორის სადაო საკითხების მოგვარება, აგრეთვე დემოკრატიის იდეალებისა და ხალხთა ლიგის პროპაგანდა.

ურთიერთ თანამშრომლობა პრომეთეულ ერებს შორის ძალიან კარგად ვითარდებოდა პოლონეთის საზღვრებს მიღმა. ღრმა კონტაქტები იყო თურქეთსა და პარიზში. იმ პერიოდში (1925 წლის ბოლოსათვის) იქ იმყოფებოდა თადეუშ ჰოლუვკო, რომელსაც ზედმეტსახელად "პილსუდსჩიკოვსკის" ეძახდნენ და რომელიც ითვლებოდა საბჭოთა რუსეთის ეროვნული პრობლემების მთავარ მცოდნედ. პარიზში ყოფნისას იგი დაკავშირებული იყო პრომეთეისტების ემიგრანტთა დიდ და საკმაოდ აქტიურ ჯგუფთან. პოლონეთში დაბრუნებისას ჰოლუვკო ხდება ეროვნულ საქმეთა კვლევის ინსტიტუტისა და ექსპრეს ტელეგრაფის (ATE) საწარმოს სააგენტოს დირექტორი. თუმცა კი ეს სააგენტო ფორმალურად წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, სინამდვილეში სუბსიდირდებოდა გენერალური შტაბის მეორე განყოფილების (სამხედრო დაზვერვის) მიერ. პოლონეთში იმ ხანად გაბატონებული პოლიტიკური სიტუაციის გამო მოქმედება ძალიან შეზღუდული უნდა ყოფილიყო.

1926 წლის მაისის მოვლენების შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდა ი. პილსუდსკი, სიტუაცია შეიცვალა. 1927 წელს თადეუშ ჰოლუვკო დანიშნული იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსად, ხოლო მისი მრავალი თანამშრომელი გაიგზავნა დიპლომატიურ თანამდებობებზე საზღვარგარეთ. მაისის თავდასხმის შემდეგ თვითონ პილსუდსკი ცდილობდა, მისი პიროვნება ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო პრომეთეისტთა საქმიანობაში, ამიტომ მთლიანად ამ მოქმედებას სამხედრო სფეროში ხელმძღვანელობდა გენერალი იულიან სტახიევიჩი. ოფიციალურად იგი სამხედრო ისტორიის ბიუროს უფროსის ფუნქციას ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ ეს თანამდებობა უადვილებდა მუშაობას ამ პრობლემაზე და ამავე დროს საუკეთესო შენიღბვასაც წარმოადგენდა. ამ საკითხებით დაინტერესებულ სამხედრო პირთა შორის, შედარებით მცირე როლს გენერალი თადეუშ კასპჟიცკი ასრულებდა. ცვლილებები შეეხო აგრეთვე მეორე განყოფილების უფროსობას, სადაც 1923 წელს დანიშნული პოლკოვნიკი ბაიერი შეცვალა პრომეთეისტთა პოლიტიკისა და იდეების ღრმა მცოდნემ, პოლკოვნიკ თადეუშ შხაეტზელმა. რადგანაც საგარეო საქმეთა სამინისტრო სრულიად აშკარად ვერ უხელმძღვანელებდა პრომეთეის მთელ საქმიანობას, ამიტომ მას რჩებოდა იდეოლოგიური სახის ფორმირება. სიმართლე რომ ითქვას ამ აქციის ხელმძღვანელობა გენერალურ შტაბში უნდა ყოფილიყო, კერძოდ კი ამ მიზანს ყველაზე უკეთ პასუხობდა მეორე განყოფილება. პრომეთეული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის ასეთი განთავსება მართებული იყო არა მარტო ამ შორს გამიზნული გასაიდუმლოების მიზნით, არამედ ასევე ამჟღავნებს ამ მოძრაობის აღმოსავლეთში სადაზვერვო – დივერსიული საქმიანობაში გამოყენების სურვილს. 1926 წლის შემდეგ იზრდება პრომეთეისტ ერებთან თანამშრომლობაზე გამოყოფილი დაფინანსება.

პრომეთეისტთა საქმიანობაში მეორე განყოფილების მონაწილეობა არ ნიშნავდა

იმას, რომ ხორციელდებოდა ნამდვილი დივერსიული მოქმედებანი. რუსეთის წინააღმდეგ " დივერსია " ემყარებოდა პოლიტიკურ მოქმედებას, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა არა რუსი ერების ემანსიპაციური მისწრაფებებისათვის.

1928 წელს ვარშავაში გაიხსნა "La Promethee"-ს ფილიალი, -პრომეთეს კლუბი. რომელიც თავიდან საკმაოდ ელიტარულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და აერთიანებდა პოლონეთში მყოფ ემიგრანტთა შორის ყველაზე სახელგანთქმულ ოცდაშვიდ მოღვაწეს. ისინი კლუბის ნამდვილი წევრები იყვნენ, ამას გარდა კლუბს ჰყავდა ცხრამეტი საპატიო წევრი.

პრომეთეის მოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროპაგანდას, ამ თვალსაზრისით ვარშავაში, 1926 წელს გაიხსნა აღმოსავლეთის ინსტიტუტი. რომლის არსებობის მთავარი მიზანი ამ საქმიანობისათვის აუცილებელი მასალის მოპოვება იყო. მოქმედებდა ინსტიტუტთან არსებული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ახალგაზრდა ორიენტალისტთა წრე. ოთხი წლის მოგვიანებით მსგავსი დაწესებულება, აღმოსავლეთ-ევროპის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა ვილნიუსში. რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებდა პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა, პროპაგანდის სხვა მიმართულება ჰქონდა 1925 წელს გახსნილ ზემოთხსენებულ, ექსპრეს ტელეგრაფის სააგენტოს (ATE), ისევე როგორც 1928 წლიდან ჟენევაში მომქმედ საინფორმაციო სააგენტო " Ofinor "-ს. ამ ორგანიზაციების მოქმედების მიზანი იყო დასავლეთ ევროპაში პრომეთეიზმის იდეების პროპაგანდა და სსრკ-ში მიმდინარე მოვლენების წარმოჩინებით ბრძოლა დასავლეთში არსებულ საკმაოდ ძლიერ კომუნისტურ პროპაგანდასთან. პოლონეთში ამ პრობლემატიკას იხილავდა 1930 წლიდან ვარშავაში გამომავალი ყოველ კვარტალური გაზეთი " Wsxód–Orient ",

ეჭვს გარეშეა რომ პრომეთეისტული ლიგის უმაღლეს მიღწევას წარმოადგენდა ჯერ კიდევ 1918 - 1920 წლებში კავკასიაში მისი ერების კონფედერაციის ფორმირების მიზნით მიმდინარე მოვლენების ფინალამდე მიყვანა. 1934 წლის 14 ივლისს აზერბაიჯანის, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ურთიერთ - კავშირის აქტს. კონფედერაციაში ჯერ - ჯერობით არ იყო გაერთიანებული სასომხეთი, თუმცა მასში მისთვის ადგილი კი იყო შენარჩუნებული. ეს კავშირი თითოეულ წევრს შინაგანი დამოუკიდებლობის გარანტიას აძლევდა, მაგრამ ამავე დროს ავალდებულებდა საერთაშორისო ურთიერთობებში ერთობლივი პოლიტიკის შენარჩუნებას და ამასთან იგი განხორციელებული უნდა ყოფილიყო ერთობლივი კონფედერაციული ორგანოთი. საზღვრების დაცვა კი ევალებოდა ამ კავშირში შემავალი ყველა ქვეყნის არმიებს. კონფედერაციის წევრთა შორის ყველანაირი კონფლიქტი უნდა განხილულიყო კონფედერაციის უმაღლეს სასამართლოში, ან უშუალო მოლაპარაკებების საშუალებით. ერთობლივად უნდა ყოფილიყო დამუშავებული კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ამოსავალი წერტილი იქნებოდა საკანონმდებლო საქმიანობისათვის ცალკეულ ქვეყნებში.

ოცდაათიან წლებში პოლონური პრომეთეული ძალების თანდათანობითი შესუსტება შეიმჩნევა. მის მსვლელობაზე ძალიან სერიოზული გავლენა მოახდინა, 1932 წელს ხელმოწერილმა პოლონეთ - საბჭოთა კავშირის პაქტმა არააგრესიულობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რაც შეიძლება შორს უნდა დაეჭირა თავი პრომეთეულ მოძრაობისაგან და ამით იგი უფრო მეტად ხვდება მეორე განყოფილების ძალაუფლების ქვეშ. აგრეთვე, ამ აქციისადმი ცვლილებებს ექვემდებარება პოლონეთის ხელისუფალთა ჯგუფის დამოკიდებულებაც. პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ, პრომეთეიზმი უფრო მეტად კარგავს მხარდაჭერას გენერალური შტაბისა და მეორე განყოფილების ხელმძღვანელობისაგან. უფრო და უფრო ნაკლებ ეფექტური ხდება პოლონური ძალისხმევები ამ სფეროში

რაც შედეგია ერთის მხრივ გერმანიის სურვილისა საკუთარ ხელში აეღო პრომეთეული მოძრაობა და გარდა ამისა, თავად ემიგრაციის მშობელ ხალხისაგან მოწყვეტისა.

1938 წელს შემუშავებული იქნა ტრაქტატი მიძღვნილი პოლონეთ -პრომეთეული ურთიერთობებისადმი. მასში წარმოდგენელი იყო როგორც განვითარების მთელი ისტორია, ასევე მისგან გამომავალი სიკეთე. ნაშრომს ყურადღება უნდა გაემახვილებინა მისი მნიშვნელობისათვის, რომ აქამდე გაწეულ შრომას აზრი ეკარგებოდა, თუ იგი უფრო მეტად არ დაფინანსდებოდა და ასევე თუ უზრუნველყოფილი არ იქნებოდა განსაკუთრებულად არსებითი მომენტი, რომელზეც იყო დამოკიდებული მთელი ეს საქმიანობა - " პოლონეთის საზღვარგარეთული პოლიტიკისა და დიპლომატიის მხრიდან მთელი ამ საქმის ღირსეულად დაფასება ".

ბევრი კავკასიის წარმომადგენელი გაეცნო პოლონეთსა და პოლონელებს ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე. ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში 1891 - 1893 წლებში სწავლობდა მომავალში პრემიერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნოე ჟორდანია. აგრეთვე, პოლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე მსახურ რუსეთის არმიის მრავალ ოფიცერთა შორის, ბევრი ქართველი ეროვნებისა იყო, ხშირად მათ მაღალი სამსახურებრივი თანამდებობებიც ეკავათ, როგორიც მაგალითად გენერალი ივანე ყაზბეგი გახლდათ, 1897 წლიდან იგი ვარშავის არსენალის შტაბის უფროსი იყო. ვარშავის სამხედრო ოლქის კვატერმისტრი, მოგვიანებით დენბლინის სამხედრო კომენდანტი და ბოლოს, 1902 წლიდან ჩაიბარა ვარშავის არსენალის კომენდატობა. მოდლინის ციხესიმაგრის საარტილერიო ეკიპის ოფიცერი იყო კაპიტანი პლატონ მიქელაძე. იგი მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე გერმანელების წინააღმდეგ 1915 წელს.

1920 წელს პოლონეთ - საბჭოთა ომში კავკასიიდან მოხალისეებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. მათგან უმრავლესობამ ეს კამპანია ულანების თათართა ლეგიონში გაატარა. 1920 წლის პირველ ნახევარში სწორედ აქ, ამ ლეგიონში გაანაწილეს კავკასიიდან მოხალისეები. ესენი იყვნენ: აზერბაიჯანელები, დაღესტანელები, ოსები, ჩეჩნები. ამ პოლკის ლიკვიდაციის შემდეგ, აქაური ჯარისკაცებისაგან შეიქმნა 1920 წლის 17 სექტემბერში "მაჰმადიანური" დივიზია. ამ განყოფილების კომენდატად დაინიშნა კავკასიელი, მოხალისე როტმისტრი ბაჰაედინ ემირ ჰასან ბეი ხურში. ამ დივიზიონის კადრის ოფიცრები იყვნენ ათი კავკასიელი და შვიდი პოლონელი. ქვეოფიცერთა რიგებშიც მრავალი კავკასიელი მოხალისე იყო. ზოგიერთ მათგანს, ბრძოლაში თავგამოჩენისათვის ორდენები გადაეცემოდა. ასეთი იყო უფროსი ლეიტენანტი გუცუნაევი თემირ ბულატი, რომელიც დაჯილდოვებული იქნა მამაცობის ჯვრით.

ბრძოლების დამთავრების შემდეგ, მაჰმადიანური დივიზიიდან რამოდენიმე ოფიცერმა, 1921 წლის თებერვალში პოლონურ არმიაში დაიწყო კონტრაქტული სამსახური. მათ შორის როტმისტრი ხურში, რომელმაც გარკვეული ხნის შემდეგ დასტოვა პოლონეთი, რათა რამოდენიმე წლის შემდეგ დაბრუნებულიყო და ხელახლა დაეწყო სამხედრო სამსახური. დანარჩენ ოფიცერთა შორის მინიმუმ სამმა მიიღო პოლონეთის მოქალაქეობა და პოლონურ არმიაში მსახურობდნენ როგორც პროფესიონალი ოფიცრები.

თარგმნა ნანული ბურდული-ტალიაშვილმა

რობერტ კარაბინი

ქართველი ოფიცრები პოლონურ ჯარში

კავკასიელი ემიგრანტების პოლონურ ჯარში სამსახური პოლონური არმიის ისტორიის ერთ – ერთი ყველაზე ნაკლებად ცნობილი საკითხია. ომებს შორის პერიოდში პოლონურ ჯარში ასამდე მარტო საქართველოს მოქალაქე მსახურობდა. სტანისლავ მაჩეკის მოხსენების თანახმად, უკვე 1918 წელს ლვოვის მაშველთა შორის ქართველი პოდხორონჟიც იყო, ხოლო პრაქტიკულად კი მისი თანამემამულენი სექტემბრის კამპანიაში ბრძოლების ბოლომდე ღებულობდნენ მონაწილეობას და თავიანთი პოლონელი ამხანაგების ბედს იზიარებდნენ.

1921 წელს, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, კონსტანტინოპოლში აღმოჩენილი 700 კაციანი ემიგრაციის მნიშვნელოვან ნაწილს სხვადასხვა წოდების სამხედროები წარმოადგენდნენ. პრეზიდენტ ჟორდანიას მთავრობამ, სურდა რა შეიარაღებული ძალების შესაქმნელად ყოველ მიზეზს გარეშე შეენარჩუნებინა კადრები და ამასთან ერთად ცდილობდა რა გადაეჭრა ძალიან მძიმე მატერიალური სიტუაცია, რომელშიც ემიგრანტები აღმოჩნდნენ, დახმარების თხოვნით მიმართა მეგობარ ქვეყნებს. ფრანგები დათანხმდნენ მხოლოდ თხუთმეტი ქართველი ოფიცრის უცხოელთა ლეგიონში მიღებას; საბერძნეთმაც მიიღო თავის სკოლებში დაახლოებით ამავე რაოდენობის ქართველი იუნკერი.

ქართველებმა გადაწყვიტეს დახმარება პოლონელებისათვისაც ეთხოვათ. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა როგორც კონსტანტინოპოლში, პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, ასევე ვარშავაში, უშუალოდ ხელისუფლე-ბასთან. რა თქმა უნდა გადაწყვეტილებანი ამ საქმეში მიიღებოდა უმაღლეს დონეზე და გადამწყვეტი ხმა, სავარაუდოა რომ სახელმწიფოს მეთაურს, იოზეფ პილსუდსკის, ეკუთვნოდა. რამდენადაც ქართული ემიგრაციისათვის დახმარებაზე თანხმობა კარგად თავსდებოდა პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის კონცეფციაში, მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო – ქართველების წინადადებით სარ- გებლობა.

ქართველებს ყველაზე მეტად აინტერესებდათ, რომ პირველ რიგში, კონსტან-

პოლონელი და ქართველი კავშირგაბმულობის ოფიცრების ჯგუფი ოფიცერთა დასახლება ბენიამინუვში, 1925 წელი.

ტინოპოლთან ბანაკში მყოფი თავისი ოცდახუთი იუნკერი ვარშავის პოდხორონჟთა სკოლაში ჩაერიცხათ. კონსტანტინოპოლში, პოლონეთის წარმომადგენლობასთან ამ თემაზე მოლაპარაკებებში ემიგრაციულ ხელისუფლებას წარმოადგენდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და გენერალური შტაბის უფროსი დივ. გენ. ალექსანდრე ზაქარიაძე. 1921 წლის 1 სექტემბერს გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენ. ვლადისლავ სიკორსკიმ თანხმობა განაცხადა ოცდახუთი ქართველის ვარშავის პოდხორონჟთა სკოლაში მიღებაზე. პოლონური მხარისათვის ამ აქციას ჰქონდა წვრთნაში დროებითი დახმარების ხასიათი და მხედველობაში არც კი მიიღებოდა პოლონურ ჯარში მათი მომავალი სავარაუდო სამსახური.

1921 წლის დეკემბერში ოცდაოთხმა ქართველმა სწავლა დაიწყო. სასწავლებლის მიზანი იყო ათთვიანი კურსის განმავლობაში პოდხორუნჟების უშუალოდ ცალკეულ ოფიცერთა სკოლებში სასწავლებლად მომზადება. სასწავლო წელი იწყებოდა სექტემბრის დასაწყისში, ასე რომ ქართველები დაგვიანებით შეუერთდნენ თავიანთ პოლონელ ამხანაგებს, რაც მათგან განსაკუთრებული ინტენსიობით მეცადინეობას მოითხოვდა. კავკასიიდან ჩამოსულებს განსაკუთრებულ სიძნელეს პოლონური ენა უქმნიდა. კარგად ესმოდა რა ეს პრობლემა, პოლონეთის მთავრობამ ქართველებს დაუნიშნა მასწავლებლები, რომელთა ამოცანა იყო უმოკლეს დროში ესწავლებინათ მათთვის ეს ენა. ვარშავაში მოსწავლე პოდხორუნჟებს, უკვე შემდეგსავე წელს, დაემატა ოცდაორი თანამემამულე, რომელთა უმეტესობა, საბერძნეთის რევოლუციის შედეგად გაუქმებული, ათენის პოდხორუნჟთა სკოლის მსმენელი იყო. ამ პერიოდში ვარშავის პოდხორონჟთა სკოლის მსმენელთა დაახლოებით 10 %-ს ქართველები შეადგენდნენ.

ვარშავის პოდხორუნჟთა სკოლის კურსდამთავრებულნი სწავლას აგრძელებდნენ ჯარის ცალკეული სახეობების ოფიცერთა სკოლებში. მათდამი მოპყრობა ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მათი პოლონელი ამხანაგებისადმი. პოლონელი პოდხორუნჟების მიერ გულთბილად მიღებული ქართველები მალე გაშინაურდნენ. ისინი ყველაზე მეტნი იყვნენ ფეხოსანთა საოფიცრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1923 და 1925 წლებში მათ პოდპორუჩნიკის წოდებები მიანიჭეს (მათი რაოდენობა შესაბამისად იყო რვა და ცხრა).

გრუჯონძში, კავალერიის საოფიცრო სასწავლებელში, 1923 წლის ნოემბერში ორმოცდათხუთმეტი ახლად წოდება მინიჭებულებს შორის შვიდი ქართველი იყო. ამ სკოლის შემდეგი გამოშვება 1925 წლის 1 ივლისს შედგა და აქაც ოცდაცამეტ კურსდამთავრებულს შორის სამი ქართველი იყო. 1926 წელს კავალერიის პოდპორუჩნიკის წოდება მიენიჭა ამ სკოლის კურსდამთავრებულს – ფარნაოზ ნაცვლიშვილს. გრუჯონძში სწავლის დროს ქართველებმა საუკეთესო ცხენოსნებისა და გამოცდილი მოფარიკაველების სახელი დაიმსახურეს.

არტილერიის საოფიცრო სკოლის პირველი ორი გამოშვებისას ოფიცრის პირველი წოდებები ქართველ პოდხორონჟებსაც მიენიჭათ – 1924 წლის 1 ოქტომბერს სამი პოდპორუჩნიკი და კიდევ შვიდი – შემდეგი წლის 4 ოქტომბერს. საშუალოდ ამ პერიოდის ტორუნის სასწავლებლის კურსდამთავრებული ყოველი მე–20 ოფიცერი ეროვნებით ქართველი იყო.

ორად ორი ქართველი აღმოჩნდა 1923 წლიდან მომქმედ ვარშავის საოფიცრო საინჟინრო სასწავლებელში და კიდევ ერთმა დაიწყო სწავლა ტორუნის ოფიცერთა სამხედრო საზღვაო სასწავლე-

ბელში. პოდხორონჟ ვიქტორ ლომიძეს საზღვაო პოდპორუჩნიკის წოდება მიენიჭა 1925 წლის 29 ოქტომბერს, ამ სასწავლებლის პირველი გამოშვების დროს. მრავალი წლის განმავლობაში რჩებოდა იგი ამ სასწავლებლის ერთადერთ ქართველ კურსდამთავრებულად. საზღვაო სასწავლებელში მხოლოდ 1935 წელს გამოჩნდა შემდეგი ქართველი – პოდხორუნჟი გიორგი თუმანიშვილი. უფროსი მეგობრისგან განსხვავებით იგი არასოდეს ყოფილა ტფლისის იუნკერთა სკოლის მსმენელი, რადგან იგი დაიბადა 1916 წელს, ხოლო საქართველო დასტოვა 1921 წელს, საქართველოს მთავრობისა და არმიის ევაკუაციის შემდეგ.

ქართველები, როგორც პოლონური საოფიცრო სასწავლებლების თავისუფალი მსმენელები პოლონური არმიის შემადგენლობაში არ შედიოდნენ. მათი საკითხის ასეთი გადაწყვეტა ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ თავდაპირველად საერთოდ არ განიხილებოდა მათი პოლონეთის არმიაში მიღების შესაძლებლობა. გარდა ამისა არ არსებობდა საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა, რომლის საფუძველზე უცხოელს ექნებოდა ასეთი სამსახურის შესაძლებლობა. მხოლოდ მათი სწავლის პერიოდში შეიცვალა პოლონეთის ხელისუფლების დამოკიდებულება, რამაც შესაძლებელი გახადა ამ საკითხის რეგულირება. ქართველი პოდხორონჟები სათანადო კონტრაქტის დადების შემდეგ იწყებდნენ პოლონეთის არმიაში სამსახურს. ეს შესაძლებელი იყო მათ მიერ ოფიცრის პირველი, პოდპორუჩნიკის, წოდების მიღების შემდეგ.

ქართველებისთვის ამ სიტუაციაში უმთავრესი იყო, რომ პოლონეთის მხარეს თანხმობა განეცხადებინა არა მხოლოდ ქართველი ოფიცრების მომზადებაზე, არამედ ასევე პოლონურ არმიაში მათ შემდგომ სამსახურზეც. მილიტარულ ასპექტში ქართველებთან თანამშრომლობის ყველა საკითხი თავს იყრიდა სამხედრო საქმეთა სამინისტროში, სადაც გადამწყვეტი ხმა ისევ და ისევ მარშალ იოზეფ პილსუდსკის ეკუთნოდა. გადაწყვეტილება ქართველი სამხედროების პოლონეთის არმიაში მიღების შესახებ ხელმოწერილი იქნა იმდროინდელი სამხედრო საქმეთა მინისტრის გენ. კაჟიმიერჟ სოსნკოვსკის მიერ. გადაწყდა, რომ ამ ოფიცრების სწავლების, მათი პოლონეთში ყოფნის რეგულირება და ასევე მათი მიწერილობის საკითხი გენერალური შტაბის II განყოფილების (სამხედრო დაზვერვა) დაქვემდებარებაში იქნებოდა.

კონსტანტინოპოლში შეიქმნა უმაღლესი ჩინის ქართველი ოფიცრებისაგან შემდგარი სპეციალური კომისია, რომლის ერთ - ერთი წევრი იყო პოლ. კიკვიძე და რომელსაც უნდა შეერჩია პოლონეთში გასაგზავნი ოფიცრები. საფიქრებელია, რომ პოლონეთში მოსამზადებლად შერჩეულ ოფიცერთა სიას დასამტკიცებლად პოლონელებს წარუდგენდნენ.

1922 წლის სექტემბერში ვარშავაში ჩამოვიდა ქართველი ოფიცრების პირველი ჯგუფი: სამი გენერალი, ერთი პოლკოვნიკი, ოთხი კაპიტანი. ისინი გადამზადებაზე გააგზავნეს რემბერტოვში არსებულ არმიის მომზადების ექსპერიმენტალურ ცენტრში. მიღებულნი იქნენ მათი წოდებისდა მიხედვით: გენერლები და პოლკოვნიკი – ფეხოსანთა პოლკის მეთაურთა კურსებზე, ხოლო კაპიტნები – ფეხოსანთა ბატალიონის მეთაურთა მომზადების კურსზე.

ქართველების მორიგი ჯგუფები 1922 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდნენ. ეს ოფიცრები ყველანი, მათი წოდებების მიუხედავად, გააგზავნეს ბიდგოშჩში, ოფიცერთა სასწავლებელში, რომელიც მათ შემთხვევაში იმავე როლს ასრულებდა რასაც ვარშავის საოფიცრო სკოლა ტფლისის იუნკრებისათვის. მხოლოდ აქ გავლილი საოფიცრო უნიტარული გადამზადების შემ-

დეგ, ეს ოფიცრები, შესაბამისად კვალიფიკაციისა, დააგზავნეს სხვა სპეციალიზირებულ სამხედრო სასწავლებლებში, ან ცალკეულ ერთეულებში სტაჟირების გასავლელად. 1923 წლის ზაფხულში (ივლისი) პოლონეთის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელში გადამზადებაზე იმყოფებოდა სამოცდაცხრამეტი ქართველი – ორმოცდაორი პოდხორუნჟი და ოცდაჩვიდმეტი ოფიცერი. ხაზგასასმელია, რომ მიუხედავად გადამზადების გაელისა, ეს ოფიცრები მაინც არ შედიოდნენ პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

კავკასიელი ემიგრანტებიდან კონტრაქტული სამსახური პოლონეთის ჯარში პირველებმა პოლონური საოფიცრო სკოლის კურსდამთავრებულებმა, ანუ ყოფილმა ტფლისის სკოლის იუნკრებმა დაიწყეს. ამ სკოლების დამთავრების შემდეგ მათ არ ჰქონდათ უფლება ოფიცრის პირველი წოდების – პოდპორუჩნიკის მიღებისა, რადგან არ იყვნენ პოლონეთის მოქალაქეები, მაგრამ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობის მიღების შემდეგ შეეძლოთ ემსახურათ პოლონურ ჯარში ინდივიდუალური კონტრაქტების საფუძველზე, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნებით. 1924 წლის ივნისში ასეთ გადაწყვეტილებას ხელიმოაწერა მაშინდელმა სამხედრო საქმეთა მინისტრმა დივ. გენ. ჰალერმა. 1925 წლის შემოდგომაზე ოცდათექვსმეტი საკონტრაქტო პოდპორუჩნიკის გვერდით კიდევ მსახურობდა ოცდაოთხი მაღალი წოდების ოფიცერი – ერთი პოლკოვნიკი, ხუთი მაიორი, ათი კაპიტანი, შვიდი პორუჩნიკი. ამავე დროს გაფორმების სტადიაში იყო კიდევ სამი ქართველის კონტრაქტი – ორი პოდპორუჩნიკისა და ერთი პორუჩნიკის.

1923 წელს მარშალ იოზეფ პილსუდსკის ჩამოშორება საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ქართველები დასტოვა მათთან თანამშრომლობის მთავარი ენთუზიასტის გარეშე. მისი მემკვიდრენი უკეთეს შემთხვევაში არ გამოხატავდნენ იმდენ ენთუზიზმს ამ კონტრაქტების შემდგომი განვითარებისათვის. ამ სიტუაციაში 1925 წლის დეკემბერში ჩნდება გეგმა, რომ მეტი აღარ მიიღონ კავკასიელები პოლონურ ჯარში, უფრო მეტიც იხილებოდა მათი შემცირების საკითხი. ამ გეგმის შესახებ შეიტყო საქართველოს მთავრობამ, რომელიც პარიზში იმყოფებოდა. ქართველები ყველანაირად ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ პოლონური მხარის გადაწყვეტილების შესაცვლელად. გენ. ჭავჭავაძის, სალაყაიასა და თავად თუმანოვის მიერ ჩატარებულმა საუბრებმა დააინტერესეს ზოგიერთი პოლონელი პარლამენტარისტი. ასეთივე დამოკიდებულება დაიკავა საგარეო საქმეთა სამინისტროში შემავალმა განყოფილებამ, რომელსაც ამ ოფიცრების პოლონურ ჯარში სამსახური პოლიტიკური მოსაზრებებით გამართლებულად მიაჩნდა.

1926 წლის მაისის გადატრიალების შემდეგ მათ შემცირებაზე საბოლოოდ სთქვეს უარი, ხოლო 1927 წლის 25 მარტს პრეზიდენტი იგნაცი მოშჩიცკი დასთანხმდა, რომ პოლონურ ჯარში კონტრაქტოსან ოფიცრებად მიეღოთ უმაღლესი წოდების ოფიცრები საქართველოდან.

ისინი დაინიშნენ მეთაური თანამდებობის პოლონელი ოფიცრების დუბლიორებად. მათ შესაძლებლობა მიეცათ ყველანაირ სავალე ვარჯიშებსა და მანევრებში მიეღოთ მონაწილეობა, გარდა მობილიზაციის საკითხებთან დაკავშირებული მომენტებისა. ამან გაუადვილა კონტრაქტოსან ოფიცრებს აეთვისებინათ არმიის უახლეს სახეობებთან, საფრენოსნო და საჯავშნოსთან დაკავშირებული ცოდნა. 1926 წლის თებერვალში მფრინავების დაწყებით სკოლაში ბიდგოშჩში სწავლობდა პპორ. არკადი სხირტლაძე, ხოლო 1927წლის ნოემბერში მსგავსი მომზადება გაიარა მეორე ქართველმა პორ. სევერიან ჭყონიამ.

კავკასიელი ოფიცრები საჯარისო ერთეულებში თუ სკოლებში უმეტესად სარგებლობდნენ კარგი სახელით, უფრო მეტიც, ძალიან კარგი სახელით, მაგ. 1930 წელს პორ. სხირტლაძეს მიანდეს 62-ე ესკადრის მეთაურობა. იგი შემდეგ წლებშიც მეთაურობდა კიდევ სხვა საფრენოსნო ერთეულებს და დაიმსახურა გამორჩეული მფრინავისა და მეთაურის სახელი. 1936 წელს გადაიყვანეს საფრენოსნო მომზადების №1 ცენტრში დემბლინში, აერონავიგაციის განყოფილებაში ლექტორად. ეს ოფიცერი ომის დაწყებამდე ასწავლიდა სახელგანთქმულ „ არწივების სკოლაში ”, რაც ყველაზე უკეთ ადასტურებს მის კვალიფიკაციას.

საკონტრაქტო ოფიცრების უმრავლესობა სამსახურს ეწეოდა ერთეულებში. დამსახურებული ჰქონდათ იდეალური ცხენოსნებისა და მოფარიკავეების სახელი. ამის მაგალითად გამოდგება ულანთა 14 - ე პოლკის ოფიცერი პპორ. დადიანი. გამორჩეული ნიჭის ხმლის ხმარების ოსტატი და თითქმის საცირკო ოსტატობის ცხენოსანი ამაში წვრთნიდა თავის პოლონელ ამხანაგებს. ერთ - ერთი მისი მოწაფე, იმდროინდელი პორ. ფრანჩიშეკ სკიბინსკი ამტკიცებდა, რომ სწორედ პპორ. დადიანს ემადლიერება 1927 წელს მოპოვებულ კავალერიის მომზადების ცენტრის ხმლის ფლობის ჩემპიონატის მოგებას.

პოლონეთის II რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჯარისკაცის სასროლო მომზადებას, რის გამოც იგი მაღალ დონეზე იყო. ამ სიტუაციაში საჭიროა დაფასდეს მეორე ქართველი კონტრაქტოსანი ოფიცრის პორ. ხუნდაძის დამსახურება, რომლის მეთაურობის ქვეშ მყოფნი ყოველ წელიწადს იგებდნენ თავიანთი პოლკის (ფეხოსანთა 44–ე პოლკი), ან უფრო მეტიც დივიზიის (ფეხოსანთა 13–ე დივიზია) ჩემპიონატს.

პოლონეთის ჯარში სამსახურის დროს რამოდენიმე კონტრაქტოსანმა დაჰკარგა სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად საფრთხე მფრინავებს ემუქრებიდათ. ღამის საწვრთნელი ფრენის დროს მიღებული ტრამვებისაგან გარდაიცვალა პორ. სეევერიან ჭყონია. სხვა სახეობის ჯარებშიც ხდებიდა უბედური შემთხვევები, ერთ - ერთი მათგანის მსხვერპლი შეიქნა პორ. ნაცვლიშვილი, რომელმაც შედეგად თვალი დაკარგა. სულ მცირე ორ შემთხვევაში მძიმე სამსახურმა გამოიწვია მათი სიკვდილი.

ქართველთა ნაწილს მიეცა საშუალება მიეღოთ, პოლონეთის პირობებში შესაძლებელი, უმაღლესი განათლება, რასაც იძლეოდა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, უმაღლესი საინტენდანტო სასწავლებელი და უმაღლესი საინჟინრო სასწავლებელი.

პირველმა ოფიცრებმა კავკასიიდან 1923 წელს დაიწყეს სწავლა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, ჯერ კიდევ კონტრაქტის საფუზველზე სანამ დაიწყებდნენ სამსახურს პოლონეთის არმიაში. მათსაუკეთესო შედეგებს მიაღწიეს, რასაც ადასტურებს ემიგრანტების მიერ მოპოვებული შეფასებები – ყველაზე „ უარესი ” იყო გენ. ალექსანდრე კონიაშვილის შეფასება – „ ძალიან კარგი ოფიცერი ”, იმ დროს როცა სამი დანარჩენი შეფასდა როგორც „ განსაკუთრებული ”.

უმაღლეს საინტენდანტო სასწავლებელშიც პირველი მსმენელები კავკასიიდან იყვნენ ისინი ვინც სწავლა ჯერ კიდევ კონტრაქტის გაფორმებამდე დაიწყეს. მთლიანობაში ეს სასწავლებელი ექვსმა საკონტრაქტო ოფიცერმა დაამთავრა. პირველი გამოშვებაში იყო კაპ. ვალერიან ჭელიძე.

საკონტრაქტო ოფიცრები სამხედრო მომზადების გარდა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ასევე პოლონეთში ქართული ემიგრაციის ცხოვრებაშიც. ამ სფეროში მათი აქტიობის მაგალითად გამოდგება ის ფაქტი, თუ როგორი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდნენ ისინი 1926 წლის თებერვალში პოლონეთში ქართული კომიტეტის არჩევას. ამ კომიტეტის წევრებად მაშინ აირჩიეს გენ. ზაქარიაძე, პოლკ – ები ბაგრატიონი, ინჯია და კანდელაკი. სამშობლოდან ჩამოტანილი ნებისმიერი ინფორმაცია მათში ცხოველ ინტერესს იწვევდა. ერთმანეთშიც ძალიან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, მრავალჯერ შეკრებილან მეგობრულად. ხელფასის ნაწილს ამ თავის ემიგრაციულ ორგანიზაციას ახმარდნენ.



გიორგი მამალაძის ახალგაზრდობის სურათი. იგი 1921 წელს ჩამოვიდა პოლონეთში, დაამთავრა ოფიცერთა სკოლა, კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის ჯარში, მიაღწია მაიორის წოდებას. 1939 წლის სექტემბრის კამპანიაში იბრძოდა გერმანელების და საბჭოების წინააღმდეგ. საბჭოთა ტყვეობაში გაიზიარა პოლონელი მეგობრების ბედი: 1940 წელს ენკავედეს მიერ კატინში იქნა დახვრეტილი.

საკონტრაქტო ოფიცრებმა პოლონურ ჯარში სამსახურის ბოლომდე შეინარჩუნეს სამშობლო ქვეყნის მოქალაქეობა და ამიტომ, როგორც უცხოელნი არ იყვნენ ვალდებულნი ომის შემთხვევაში მასში მონაწილეობა მიეღოთ. კაპ. ნიკოლოზ მათიკაშვილის თანახმად, ყველა ქართველმა საკონტრაქტო ოფიცერმა გამოთქვა სურვილი ემსახურა პოლონური არმიის საფრონტო ერთეულებში.

ისინი პირველი დღიდანვე, 1939წლის 1 სექტემბრიდან, მონაწილეობდნენ ბრძოლებში გერმანელების წინააღმდეგ, ხოლო 1939 წლის 30 სექტემბრიდან იანოვ ლუბელსკის მისადგომებთან იბრძოდნენ განყოფილებები, რომელთაც საკონტრაქტო ოფიცრები მეთაურობდნენ. 1939 წლის თავდაცვითი ომის განმავლობაში საკონტრაქტო ოფიცრებმა თავიანთი საქციელით მრავალჯერ დაიმსახურეს განსაკუთრებული პატივისცემა. ამის მაგალითად გამოდგება ვარშავის დაცვის შტაბის უფროსის დიპლ. პოლკ. ტადეუშ ტომაშევსკის შეფასება, რომელიც მან მისცა პპოლკ. ვალერიან თევზაძეს თავის მოგონებებში: „ თავმდაბალი, მორიდებული, კეთილი ადამიანი, მაგრამ კაჟივით მტკიცე [. . .] ბოლომდე გაამართლა მასთან დაკავშირებული ჩვენი იმედები მიუხედავად არაჩვეულებრივად ძნელი პირობებისა [. . .] სამაგალითო იყო ყველა თვალსაზრისით ”.

1939 წლის 17 სექტემბრის შემდეგ პოლონეთის არმიის ბევრი ფორმირება, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საკონტრაქტო ოფიცრები, იბრძოდა როგორც გერმანელების ასევე საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. ისინი იჩენდნენ ბრძოლის არაჩვეულებრივ ნებას, ხშირად უფრო მაღალს ვიდრე მათი პოლონელი მე-

გობრები. ხშირად იხდიდნენ უმაღლეს ფასს – საკუთარ სიცოცხლეს, როგორც მაგალითად საბჭოთა ჯარისკაცების მიერ უშუალოდ ბრძოლის ველზე მოკლული საკონტრაქტო ოფიცერი მე-2 საჯავშნო ბატალიონიდან კაპ. რატიშვილი.

1939 წლის სექტემბერში საკონტრაქტო ოფიცრები მთლიანად იზიარებდნენ თავიანთი პოლონელი მეგობრების ბედს. მათსავით იჭრებოდნენ ბრძოლებში და იღუპებოდნენ, ღებულობდნენ უმაღლეს ჯილდოებსაც, მათ შორის ჯვარს Virtuti Militari, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პპოლკ. თევზაძის ან როტ. კვალიაშვილის შემთხვევაში. რამდენიმე მათგანი აღმოჩნდა საბჭოთა ტყვეთა ბანაკებში, სამი მათგანი – მაიორი მამალაძე და კაპიტნები სხირტლაძე და რუსიაშვილი სტარობელსკის, ოსტაშკოვის და კოუელსკის ბანაკების სხვა ტყვეებთან ერთად დახოცეს კატინში 1940 წლის გაზაფხულზე. ასევე სსრკ–ს ტერიტორიაზე იქნა სხვებთან ერთად მოკლული ყოფილი საკონტრაქტო ოფიცერი გენ. ალექსანდრე ჩხეიძე.

საკონტრაქტო ოფიცრების გარკვეული რაოდენობა გერმანულ ტყვეთა ბანაკებში აღმოჩნდა, სადაც ისინი ქმედით მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, წინააღმდეგობის მოძრაობაში. ნაწილი პოლონური საკონტრაქტო ოფიცრებისა აღმოჩნდნენ გერმანელების მხარეს მებრძოლ ქართულ ფორმირებებში, რაც სრულიადაც არ ნიშნავდა პოლონეთთან თანამშრომლობის შეწყვეტას. ასეთი თანამშრომლობის შედეგი იყო, რომ იმ ფორმირებებიდან პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში მოდიოდა ინფორმაცია შეიარაღების შესახებ და ისეთი არაორდინალურიც კი, როგორიც იყო მაგალითად ჰიტლერის ადგილმდებარეობის შეტყობინება, რამაც შესაძლებელი გახადა იმ ადგილის დაბომბვა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტყვეობიდან განთავისუფლებული ოფიცერი უერთდებოდა პოლონური წინააღმდეგობის მოძრაობას, მაგალითად „ არმია კრაიოვას " (AK) ფეხოსანთა მე-7 დივიზიის შტაბის უფროსი იყო „ ტომაში " – ვალერიან თევზაძე. AK–ს უფრო დაბალ თანამდებობებზეც იყვნენ ყოფილი საკონტრაქტო ოფიცრები. რამდენიმე ქართველი საკონტრაქტო ოფიცერი მონაწილეობას იღებდა პოლონური შეიარაღებული ძალების ბრძოლებში დასავლეთში მთელი II მსოფლიო ომის განმავლობაში.

ომის შემდეგ მრავალი ყოფილი პოლონური საკონტრაქტო ოფიცერი აღმოჩნდა ემიგრაციაში ინარჩუნებდა და მჭიდრო კონტაქტს პოლონურ კომბატანტურ წრეებთან. ისინი ვინც ომს გადაურჩნენ და პოლონეთში დარჩნენ რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ ახალი ხელისუფლების მხრიდან. მაიორი მათიკაშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამსახური. მრავალ მის ამხანაგს ამდენი „ ბედნიერებაც " არ ხვდა წილად – მათ მრავალი წელი გაატარეს „ გულაგებში ". უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციის ასეთი განვითარება 1944 წლის ზაფხულში გათვალისწინებული იყო. 1944 წლის 17 ივლისის ბრძანებაში AK–ს ხელმძღვანელობამ რჩევით მიმართა ოფიცრებს კავკასიიდან, რათა მათ წითელი არმიის შემოსვლამდე დაეტოვებინათ პოლონური მიწა - წყალი. იმ ბრძანებაში იყო მეტად არსებითი სიტყვები: „ ვითვალისწინებთ რა შესაძლო მოლაპარაკებას წითელ არმიასთან – ხოლო თქვენ ხომ მათ ვერ გადაგცემთ ". ამ სიტუაციაში სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ პპოლკ. თევზაძემ ომის დამთავრების შემდეგ ახალ ხელისუფლებას გარდაცვალებამდე (13. 12. 1987) არ გაუმჟღავნა თავისი ნამდვილი ვინაობა და ბოლომდე მოგონილი სახელით –ვალერი კრუიუანოვსკი – დარჩა.

თარგმნა რუსულდან
კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

ირინა ძუცოვა,
ჰენრიეტა იუსტინსკაია

პოლონელი მხატვრები საქართველოში

უძველესი დროიდან იპყრობდა საქართველო უცხოელი მოგზაურების, ვაჭრების, მწერლების, მუსიკოსების, პოეტების, მხატვრების ყურადღებას. ზოგიერთი ოჯახდებოდა და რჩებოდა საქართველოში, ზოგი კი მიემგზავრებოდა და შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა.

მე-19 საუკუნეში ტფილისი ჰგავდა ევროპულ, მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანს, რომელსაც კოსტიუმიდან აზიური პერანგი მოუჩანდა. ენამოსწრებულნი ხუმრობდნენ: "კოლუმბის გზა ტფილისზე გადისო." ქალაქმა „პატარა პარიჟის" სახელი დაიმკვიდრა.

კ.ზდანევიჩი „პოეტ კოლაუ ჩერნიავსკის პორტრეტი" 1900წ. სხსმ

უცხოელებს იზიდავდა რბილი კლიმატით, ევროპა-აზიის ტრადიციების ეგზოტიკური შერწყმით და უპირველეს ყოვლისა - სტუმართმოყვარეობით.

ამ „ნოეს კიდობანში" ერთმანეთს არაერთი ცნობილი პიროვნება, შეხვდა, რომლებიც დღესდღეობით საქართველო-რუსეთის, საქართველო-საფრანგეთის, საქართველო-პოლონეთის კულტურულ საგანძურს წარმოადგენენ.

მე-19 საუკუნის საქართველოში საკმაოდ ბევრი პოლონელი ცხოვრობდა, (მხოლოდ ტფილისში - დაახლოებით ხუთი ათასი). ძირითადად პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და 1831, 1863 წლების ამბოხებისათვის გადმოსახლებულები. ნაწილი პოლონელებისა მეფის არმიაში მსახურობდა, ზოგი იურიდიულ პრაქტიკას მისდევდა, როგორც მაგალითად შესანიშნავი მთარგმნელისა და იუმორისტული ჟურნალის „გუსლი"-ს რედაქტორის ი. ტხორჟევსკის მამა.

ამიერკავკასიაში იმყოფებოდა ასევე გადმოსახლებული პოლონელი პოეტი, აღმოსავლეთ და დასავლეთ ლიტერატურათმცოდნე ტადეუშ ლადა, რომელმაც შილერის ნაწარმოებების გერმანული გამოცემა აჩუქა ტფილისის სახალხო ბიბლიოთეკას.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში გამოჩენილი მხატვარი, მეცნიერი და მწერალი იან პოტოცკი, ავტორი წიგნისა „სარაგოსაში ნაპოვნი ხელნაწერები", კავკასიას ესტუმრა. მართალია საქართველოში არ მოხვედრილა, მაგრამ წიგნში „Voyage dans les steppes d'Astakhar et du Caucase" (პარიზი, 1829, გამომცემელ უ.კლაპროტის კომენტარებით) აღწერა შეხვედრა ქართველებთან, რომელთაგანაც მოიპოვა ძვირფასი ინფორმაცია ამ საოცარ ქვეყანაზე.

პოტოცკიმ გაიცნო მღვდელი თავადი დავით ერისთავი და ერეკლე მეფის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი მირიან ბაგრატიონი. იან პოტოცკი მოიხსენიებს მას როგორც განათლებულ და ნიჭიერ ახალგაზრდას.

მომქმედი სახელმწიფო მრჩეველი, ტფილისის გუბერნატორი, ა.გრიბოედოვის თაანაავტორი „რუსეთის იმიერკავკასიის კამპანიაზე ჩანაწერები"-ს შექმნაში, პიოტრ ზავილეისკი იყო ტფილისში "კეთილშობილ ქალთა სასწავლებელის" შექმნის ინიციატორი. იყენებდა რა თანამდებობრივ პრივილეგიებს იგი ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებდა თავის სიყვარულსა და პატივისცემას ქართველი ხალხის მიმართ. პ.ზავილეისკი მეგობრობდა ქართველ პოეტსა და გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და მეფის ძე ოქროპირთან. ა.ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ზავილეისკის, როგორც კეთილშობილ და კეთილ ადამიანს, ასევე აღსანიშნავია, რომ ორივენი იზიარებდნენ საერთო შეხედულებებს მე-19 საუკუნის დასაწყისში პოლონეთსა და საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე.

პ.ზავილეისკის სახელი დაკავშირებულია 1832 წლის ქართველ თავადთა შეთქმულების ორგანიზებასთანაც. ალექსანდრე ორბელიანის მიხედვით, როდესაც 1831 წლის პოლონეთის ამბოხების ამბავმა ტფილისს მოაღწია, ზავილეისკი არწმუნებდა ორბელიანს საქართველოში მსგავსი მოვლენის აუცილებლობაში და პოლონური გაზეთებით ამარაგებდა. შემდეგ უკვე თავად 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი ცდილობდნენ ადგილობრივი პოლონელების შემოერთებას, რადგან მათ მდიდარი სამხედრო გამოცდილება გააჩნდათ.

იმ დროისათვის ტფილისი ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა და აქ ბევრი პოლონელი მხატვარი მოღვაწეობდა. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის სამხატვრო, ლიტერატურულ, მუსიკალურ თუ თეატრალური საზოგადოებების ცხოვრებაში, ასევე მონაწილეობდნენ გამოფენებსა და კონცერტებში.

ტფილისის სამხატვრო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო ფერმწერი და არქიტექტორიი ჰენრიხ გრინევსკი (1869-1937). დაიბადა ქალაქ ქუთაისში, იქვე დაამთავრა გიმნაზია, სწავლობდა გერმანიასა და იტალიაში, შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და მას დაუკავშირა მთელი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. უძღვებოდა ხატვისა და ფერწერის კურსებს "კავკასიის სახვითი ხელოვნების მხარდამჭერ საზოგადოებასთან" არსებულ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში, ხატავდა ილუსტრაციებს ტფილისის ჟურნალ-გაზეთებისათვის. გრინევსკიმ გააფორმა საოპერო თეატრის რამოდენიმე სპექტაკლი. მას ეკუთვნის ცნობილი ტილო „აულ ვედენოს იერიში" (1906) და აკვარელთა სერია - „საქართველის უძველესი არქიტექტურა". გრინევსკი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების პირველი ილუსტრატორი იყო. 1914 წელს მხატვარი დაჯილდოვდა პირველი პრემიით „ქართულო სათავად- აზნაურო ბანკის" ინტერიერის გაფორმების პროექტისათვის. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაფუძნების დღიდანვე (1922) გრინევსკი ფერწერას ასწავლიდა თავდაპირველად როგორც პედაგოგი, შემდეგ კი როგორც პროფესორი. მისი ერთერთი მოსწავლე დინა ნიკოლოზის ასული შახ-აზიზი დღემდე მოღვაწეობს თბილისში. გრინევსკიმ გამოსცა „პრაქტიკული სახელმძღვანელო ხაზობრივი პერსპექტივის შესახებ". 1937 წელს პიოტრ გრინევსკი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ იგივე ბედი გაიზიარა მისმა წარმოშობით იტალიელმა მეუღლემ მარია პერინიმ, რომელიც ტფილისის საბალეტო სტუდიას უძღვებოდა. მარია პერინის აღზრდილები იყვნენ საქართველოს გამოჩენილი არტისტები: ვახტანგ ჭაბუკიანი, ლილი გვარამაძე, ირინა ალექსიძე, იანა ლოსინსკაია და სხვები...

რეპრესიების დროს ნიჭიერი მხატვრის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი განადგურებული იქნა. თუმცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდში შემორჩენილია რამოდენიმე ნამუშევარი.

მხატვარმა ილია ზანევსკიმ (1832-1919) პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. 1864 წლიდან მეფის არმიის კავკასიის გარნიზონში მსახურობდა და იმავდროულად თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში ასწავლიდა. მისი ნახატები: „ბორჯომის ხეობა", „უშბა", „იალბუზი", „გამცილებლები" საქართველოს რომანტიულ ბუნებას ასახავდნენ და დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ კრიტიკოსების წრეში. „ტფილისის უწყებანი" ზანოვსკის ერთერთ ნამუშევარზე სწერდა: „აღტაცებული შეჩერდები ამ ნაზი პეიზაჟით დამტკბარი. „შუადღე კახეთის სოფელში" გამსჭვალულია სიდინჯითა და ისეთი მადლიანი, მშვიდობიანი იდილიით, როგორიც მხოლოდ ძილში თუ დაგვესიზმრება ქალაქის მაცხოვრებლებს."

ი.ზანოვსკის ნამუშევრების ნაწილი ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ზოგი კი რუსეთსა და აზერბაიჯანში კერძო კოლექციების კუთვნილებაა.

"კავკასიის სახვითი ხელოვნების მხარდამჭერი საზოგადოების" გამოფენებში მონაწილეობდა მხატვარი ადამ მენძიბლოცკი. მისი საშუალო ზომის ტილოები საქართველოსა და აზერბაიჯანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს ასახავდნენ.

1890-1900 წლებში ტფილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მხატვარი იან პაევსკი. 1913 წლიდან ის პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ქუთაისში.

რუსეთში დაბადებული ბორის რომანოვსკი, რომელიც 1910 წლამდე პარიზში ცხოვრობდა, 1925 წლიდან ტფილისში დაფუძნდა. მუშაობდა "ქართულ ფილმში" და მონაწილეობას იღებდა სამხატვრო გამოფენებში.

ვლადისლავ სტახოვსკიმ (1852-1932) დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემია მესამე ხარისხის მხატვრის წოდებით. 1889 წელს მონაწილეობა მიიღო "კავკასიის სახვითი ხელოვნების მხარდამჭერი საზოგადოების" მიერ მოწყობილ გამოფენაში. მოგვიანებით სტახოვსკი ვარშავაში გაემგზავრა, სადაც გააგრძელა შემოქმედებითი მოღვაწეობა. მხატვარი გატაცებული იყო მთების ფონზე სიუჟეტური კომპოზიციების შექმნით.

საქართველოს, უფრო ზუსტად კი ბათუმსა და ტფილისს დაუკავშირა თავისი ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა ნიკოლოზ ვასილის ძე სკლიფოსოვსკიმ (1870-1935). ამ შესანიშნავი მხატვრისა და პედაგოგის სახელი საქართველოს სახვითი ხელოვნების ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერა. სკლიფოსოვსკის დიდი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ ქართველ ფერმწერთა აღზრდაში, როგორებიც არიან: ს.ქობულაძე, ე.ახვლედიანი, ვ.წილოსანი, ვ.ხოჯაბეკოვა, კ.ზდანევიჩი, ი.ბაუმეუკ-მელიქოვა და სხვანი

სკლიფოსოვსკი საქართველოში თავისი მეგობრის ფ.ფოგელის რჩევით ჩამოვიდა. 1895 წელს დაქორწინდა და ტიფლისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. დემობილიზაციის შემდეგ ოჯახთან ერთად ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძო. ამასთანავე გახსნა პირველი საბავშვო სამხატვრო სკოლა.

1909 წელს სკლიფოსოვსკის ტფილისის მეორე ქალთა გიმნაზიაში პედაგოგობა შესთავაზეს. 1911 წელს ტფილისში დაბრუნების შემდეგ მხატვარმა საკუთარ სახლში სამ წლიანი ხატვის კურსები გახსნა. მოსწავლეების უმრავლესობა უფასოდ სწავლობდა. ქველმოქმედება ძვირად დაუჯდა სკლიფოსოვსკის: იმისათვის, რომ კურსებთან დაკავშირებული ხარჯები აენაზღაურებინა, ღამეებს ათენებდა ხატებისა და ნახატების შექმნაში. ამ სკოლაში სწავლობდა მისი ოთხივე შვილი. სალომეა და ელენე სკლიფოსოვსკები

მხატვრები გახდნენ, უმცროსი შვილი ლევი კი საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

1914 წელს სკლიფოსოვსკი არმიაში გაიწვიეს. ოქტომბრის რევოლუციამ აიძულა ელიზავეტპოლში შეყოვნებულიყო ოჯახთან ერთად. მხოლოდ 1918 წლის მარტში მოახერხა ტფილისში დაბრუნება. თან ჩამოიყვანა დედა აგატა ვასილის ასული და და ევგენია. ნიკოლოზ ვასილის ძე კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასევე ხატვის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას შეუდგა. ტფილისის სამხატვრო აკადემიის შექმნის დღიდანვე სკლიფოსოვსკი პროფესორ-მასწავლებლების რიცხვში მოიხსენიება.

1925 წელს მხატვარი ლენინგრადს მიემგზავრება, 1930 წელს კი ციმბირის სოფელ სლიუდანკაში იწყებს ხატვის მასწავლებლად მუშაობას. სკლიფოსოვსკი 1935 წელს ლენინგრადში გარდაიცვალა. მისი მდიდარი არქივი კი 1942 წელს ლენინგრადის ბლოკადის დროს განადგურდა.

ნიკოლოზ ვასილის ძე ფრიად ერუდირებული, მაღალი კულტურის ადამიანი იყო. გამოირჩეოდა განსაკუთრებული კეთილშობილებით. მისმა პედაგოგიურმა, მხატვრულმა ნიჭმა და ადამიანურმა თვისებებმა ქართული კულტურის ბევრი მოღვაწის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ მისმა თანადგომამ, გავლენამ და მატერიალურმა დახმარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა სიგიზმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის, როგორც გამოჩენილი პოლონელი მხატვრის ჩამოყალიბებაში.

ზ.ვალიშევსკი (1897-1936) სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები პოლონელი ემიგრანტის, ვლადიმერ ვალიშევსკის ოჯახში დაიბადა. დედა მიხალინა ქსავერის ასული რეგულსკა პოლონეთის 1863 წლის ამბოხების შედეგად გადმოსახლებული ოჯახიდან იყო. მისი მამა პოლონეთის ეროვნული საბჭოს წევრი გახლდათ და სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1905 წელს მიიღო.

მხატვრული ნიჭი ზიგას ბებია-ბაბუასაგან გადმოეცა. ბაბუა ქსავერი ვარშავის ლიტოგრაფად მუშაობდა, ბებია სესილი დეტრუა კი გერმანიაში დაბადებული მხატვრების ოჯახიდან იყო. გადმოცემის მიხედვით ერთ-ერთი დეტრუას ნამუშევრები ლუვრში ინახებოდა.

ზიგამ ხატვა ხუთი წლის ასაკში დაიწყო და მას შემდეგ ფუნჯსა და ფანქარს არ განშორებია. გარდაიცვალა კიდეც პალიტრით ხელში. მისი და ვალერიაც მხატვარი იყო. ცოლად გაჰყვა კ.ზდანევიჩს, შემდეგ მწერალ კ.პაუსტოვსკის, ბოლოს კი მეცნიერ ბოტანიკოსს მ.ნავაშინს. ვალერიას ვაჟი, პაველი, თბილისში ცხოვრობდა და აქ არის დაკრძალული.

ვალიშევსკი სკლიფოსოვსკის თავის პირველ და უსაყვარლეს მასწავლებლად თვლიდა. ზიგამ ტფილისში ბევრი მეგობარი და თანამოაზრე შეიძინა, მათ შორის ლადო გუდიაშვილი, ლეონიდ

ა.სტახოვსკი „გადასელა მთაში" XIX-საუკუნის ბოლო სხსმ

პოტაპოვი, ძმები კირილე და ილია ზდანევიჩები, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი და სხვები... დაუფასებელია ვალიშევსკის, როგორც ნიკო ფიროსმანის აღმომჩენის როლი. ფიროსმანის ხელოვნებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მხატვრის ჩამოყალიბებაზე.

ზ. ვალიშევსკი მონაწილეობას იღებდა მეცხრამეტე საუკუნის ათიანი წლების ტფილისის ყველა მნიშვნელოვან გამოფენაში, ლიტერატურულ შეხვედრასა თუ პოლემიკაში, ხატავდა პლაკატებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს. ეხმარებოდა სერგეი სუდეიკინს

არტისტული სარდაფის "ქიმერიონის" კედლების მოხატვაში. გარდა ამისა მონაწილეობა მიიღო საოპერო ფარდის დიზაინის შექმნაში.

1920 წლის პერსონალური გამოფენის შემდეგ ვალიშევსკი პოლონეთის კონსულის ტიტუს ფილიპოვიჩის დახმარებით პოლონეთს გაემგზავრა და სწავლა განაგრძო კრაკოვის სამხატვრო აკადემიაში. მოგვიანებით პარიზში მუშაობდა. შემდეგ კვლავ დაუბრუნდა კრაკოვს. მონაწილეობა მიიღო პოლონეთის მხატვართა კავშირის შექმნაში, გააფორმა სპექტაკლები, მოხატა ვაველის სასახლე. ვალიშევსკი მოულოდნელად გარდაიცვალა თავისი შემოქმედების წვერვალზე აუსვლელად.

გამოჩენილმა მხატვარმა ზიგა ვალიშევსკიმ ნათელი კვალი დატოვა ორივე ქვეყნის კულტურაში. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და კერძო კოლექციებში შემორჩენილია მისი ადრეული ნამუშევრები. ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა არაერთი ნაშრომი თუ სტატია მიუძღვნეს ვალიშევსკის შემოქმედებას. 2000 წლის იანვარში საქართველოში აღინიშნა მხატვრის დაბადების 100 წლისთავი. თბილისში გალერეა "ვერნისაჟში" მოეწყო ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ნამუშევრები ი.მარკევიჩის კოლექციიდან.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მოხერხდება ფილმის "ლეგენდა ზიგა ვალიშევსკის შესახებ" გადაღება თამარ დულარიძისა და იეჟი ლიუბახის სცენარის მიხედვით.

ძმები კირილე და ილია ზდანევიჩები პოლონეთში 1863 წლის ამბოხებაში მონაწილეობის გამო ამიერკავკასიაში გადმოსახლებული პოლონელის შთამომავლები იყვნენ. მათი მამა მიხეილ ანდრეის ძე წლების განმავლობაში ასწავლიდა ფრანგულ ენას ტფილისის გიმნაზიებში. დედა ვალენტინა კირილეს ასული გამყრელიძე იყო შესანიშნავი პიანისტი, პ.ი. ჩაიკოვსკის მოსწავლე.

კირილე ზდანევიჩი (1892-1969) – ნიჭიერი მხატვარ-გამფორმებელი, ავტორი რამოდენიმე წიგნისა ნიკო ფიროსმანზე, ყოველთვის ტფილისისა და მოსკოვის კულტურული ცხოვრების ცენტრში იყო. უმცროს ძმა ილიასთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის ნიკო ფიროსმანის აღმოჩენასა და მისი ნახატების პოპულარიზაციაში.

თანამედროვეებმა კ.ზდანევიჩის ფერწერას "ორკესტრული" უწოდეს. როგორც მხატვარი მრავალი მიმდინარეობით იყო გატაცებული: აკადემიზმით, ფუტურიზმით, კუბოფუტურიზმით, "სეზანიზმით", პრიმიტივიზმით. მთლიანობაში კი საინტერესო მხატვარად ჩამოყალიბდა, რომლის შემოქმედებას დიდად აფასებდა პიკასო.

კ.ზდანევიჩს მძიმე ცხოვრება ჰქონდა, გამოიარა ვორკუტის ბანაკები და მაინც კეთილისმსურველ, მოკრძალებულ ადამიანად დარჩა, რომელმაც ბოლომდე უერთგულა თავისი გამოჩენილი მეგობრებისა და თანამედროვეების ლ.გუდიაშვილს, ზ.ვალიშევსკის, ა.კრუჩენიხს, ტ.ტაბიძეს, პ.იაშვილს, ს.ჩიქოვანს ხსოვნას.

კ.ზდანევიჩი დაკრძალულია თბილისში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ნახატები კი ინახება საქართველოს, პოლონეთის, რუსეთის, საფრანგეთის, ამერიკის, ინგლისისა და კანადის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში.

ზდანევიჩის შვილიშვილი ქსანა,

აგრძელებს რა ოჯახურ ტრადიციას, მხატვრად მოღვაწეობს პარიზში. მეორე შვილიშვილი გამოჩენილი მხატვარი ყარამან ქუთათელაძე კი თბილისის სამხატვრო აკადემიის ლექტორია.

კირილეს უმცროსი ძმა ილია ზდანევიჩი (1894-1975) მოღვაწეობდა, როგორც: პოეტი, ისტორიკოსი, ხელოვნების კრიტიკოსი, არქეოლოგი, დიზაინერი და წიგნის გამომცემელი. ფსევდონიმით "ილიაზდ" ქართული, რუსული და ფრანგული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც ფუტურიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ლიდერი, შექმნა რა ახალი მიმდინარეობა. ილია ზდანევიჩი ფიროსმანის პირველი ბიოგრაფი იყო, რომელმაც 1913-1914 წლებში ტიფლისის პრესაში გამოაქვეყნა რამოდენიმე პუბლიკაცია ნიკალას შესახებ. ძმა და თანამოაზრე კირილესთან ერთად ჩამოაყალიბა მხატვრულ- ლიტერატურული ჯგუფი "41 გრადუსი." ილია ზდანევიჩის მეგობრები იყვნენ: ზ.ვალიშევსკი, მ.ლედანტიუ, მ.ლარიონოვი, ა.კრუჩენიხი, ვ.მაიაკოვსკი, ვ.ხლებნიკოვი, ჟან კოკტო, პოლ ელუარი, ს.ანდრონიკოვა, ვ.შუხაევი, პიკასო, რობერ და სონია დელონე.

1921 წლიდან ზდანევიჩი პარიზში ცხოვრობს. 1966 წელს მას კირილე ეწვია, რომელსაც ძმა თითქმის ნახევარი საუკუნე არ ენახა. ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო. ილია ზდანევიჩი დაკრძალულია პარიზთან ახლოს, ლევილ-სურ-ორჟეს ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე. მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ საფრანგეთში, ხოლო პარიზში ფუნქციონირებს "ილიაზდ-კლუბი", რომელიც რეგულარულად გამოსცემს ჟურნალს **"Les Carnets d'Iliazd-club".** კლუბის წევრების მიზანია მკითხველს გააცნოს ილია ზდანევიჩის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

შესაძლებელია როდესმე ვარშავაში ან კრაკოვში მოეწყოს გამოფენა "ძმები ზდანევიჩები", ისეთი, როგორიც 1989 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თაოსნობით თბილისში ჩატარდა.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა ტრადიციულად დღემდე გრძელდება. ამის დადასტურებაა 1999 წელს მოწყობილი გამოფენა "პოლონელი მხატვრები საქართველოში", რომლის ორგანიზატორი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და პოლონეთის საელჩოს გარდა არის ამ სტატიის ერთერთი თანაავტორი, წარმოშობით პოლონელი ქართველი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ჰენრიეტა ქრისტოფორეს ასული იუსტინსკაია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამოცამდე ნამუშევარი მუზეუმის ფონდიდან და კერძო კოლექციებიდან. ზოგიერთი ექსპონატი პირველად იქნა გამოფენილი.

თქვენს წინაშე მდებარე სტატია, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს ამ თემას, თემას, რომელსაც მთელი მონოგრაფია შეიძლება მიეძღვნას. შემდეგ გამოკვლევებში აუცილებელი იქნება დადგინდეს პოლონელი მხატვრების საქართველოში მოღვაწეობის ქრონოლოგიურად ზუსტი თარიღები, გარკვეული სისტემის მიხედვით დალაგდეს სახელები და ბიოგრაფიები, რათა თვალი გავადევნოთ თუ რა გავლენა იქონია მათ შემოქმედებაში საქართველოში ყოფნამ. ზოგიერთი მათგანისთვის საქართველო მხოლოდ მოკლე მოგზაურობა იყო უცხო, ეგზოტიკურ, უჩვეულო ტრადიციების მქონე ქვეყანაში, ზოგიერთისთვის მოგზაურობა ნებით თუ იძულებით სწორედ აქ დამთავრდა და დაიწყო ნაყოფიერი შემოქმედებითი ხანა, რომელიც საქართველოს კულტურის ძვირფას მემკვიდრეობად იქცა.

თარგმნა ხათუნა გოილაძემ

ანჯეი ფურიერი

პროფესორი კვინიხიძე - ქართველი პოზნანიდან

სულ რამოდენიმე ათეული ქართველი ცხოვრობდა და ცხოვრობს პოზნანში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დღემდე. ამიტომ ძალიან ძნელია საუბარი ამ ქალაქში ქართული კოლონიის არსებობაზე. მაგრამ ამ ჯგუფიდან ზოგიერთი პიროვნების მოღვაწეობა აღნიშვნის ღირსია და პროფესორი ნიკოლოზ კვინიხიძე სწორედ ასეთებს მიეკუთვნება.

ნიკოლოზის მამა, რუსეთის არმიის კადრის ოფიცერი, ვლადიმერ კვინიხიძე, წარმოშობით ქუთაისიდან იყო. ფეხოსან ნაწილში მსახურობდა, რაც ნაკლებად შეძლებული ფენიდან წარმოშობაზე მიუთითებს. როგორც ცნობილია კარიერის ცხენოსან ჯარში გაკეთება თავად - აზნაურობისა და არისტოკრატიის პრივილეგია იყო. სამხედრო სამსახური ვლადიმერ კვინიხიძემ ბელორუსიის ვიტებსკში გაიარა. იქ გაიცნო ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებელი მარია ლუსკანოს - ჟვანსკა, რომელიც მალე ცოლად შეირთო. ნიკოლოზი 1889 წლის 24 იანვარს, ვიტებსკში დაიბადა და იქვე იზრდებოდა. სწავლა დაიწყო იქაურ ფილოლოგიურ გიმნაზიაში. მამამისის კიევში გადაყვანამ ნიკოლოზი იძულებული გახადა სკოლა გამოეცვალა. 1908 წელს მიიღო საშუალო განათლების ატესტატი და იმავე წელს თავისუფალ მსმენელად ჩაეწერა კიევის უნივერსიტეტის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განყოფილებაზე. 1910 წელს სტუდენტურ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის ნიკოლოზ კვინიხიძე ვოლოგდის გუბერნიაში იქნა გაგზავნილი. მოგვიანებით ამ პერიოდს დიდი სიმპათიით იგონებს. სახელმწიფოსაგან მუდმივი ხელფასი ჰქონდა და როგორც რეპეტიტორს დამატებითი შემოსავალიც გააჩნდა. ერთადერთ ვალდებულებას პოლიციის გარკვეულ განყოფილებაში გამოცხადება წარმოადგენდა. კიევში დაბრუნების ნება მხოლოდ 1913 წელს მისცეს. მან სწავლა დაიწყო სახელმწიფო სავაჭრო ინსტიტუტში, რომელიც მსოფლიო ომის დაწყების გამო შეწყვიტა. 1914 წელს მობილიზაციის შედეგად ფრონტზე აღმოჩნდა, სადაც ოთხი წლის განმავლობაში მსახურობდა. 1914 წელს მამა გარდაეცვალა. ომის დამთავრების შემდეგ, 1919 წელს სახლში დაბრუნებული ნიკოლოზი პორუჩნიკად იქნა მობილიზებული გენერალ ანტონ დენიკინის "თეთრ" არმიაში, რომლის ნაწილებთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა. ცნობები მისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ მეტად მწირია. ამ თემაზე ნაკლებად საუბრობდა. მისივე მონაყოლიდან არის ცნობილი, რომ თავდაპირველად მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციის მხარეზე ბრძოლებში, ხოლო შემდეგ დენიკინის არმიაში აღმოჩნდა.

1920 წლის პირველ თებერვალს დაპატიმრებული იქნა და გადმოგზავნილი პოლონეთში. პოზნანთან ახლოს გოლენცინში, გადასახლებულთა ბანაკში იმყოფებოდა. სწორედ აქ იპოვა პროფესორმა ფელიქს ტერლიკოვსკიმ, რომელიც იმ ხანად პოზნანის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტს აყალიბებდა. ე. წ. ნანსენის პასპორტის მიღების შემდეგ, რომელსაც პოლონეთში 1922 წლის პირველ ივლისამდე მოხვედრილ რუსეთის მოქალაქეებს აქვე აძლევდნენ, პროფესორ ტერლიკოვსკიმ დამხმარე სამუშაოებზე თანაშემწედ აიყვანა, რამაც პოლონეთში დასახლების საშუალება მისცა.

1920 წლის ნოემბერში მუშაობა დაიწყო ლაბორანტად ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე, რომელსაც სათავეში პროფესორი ფელიქს ტერლიკოვსკი ედგა და რომელიც პოზნანის უნივერსიტეტში 1919 წლიდან არსებობდა. შესაძლებელია, რომ სწორედ შემთხვევამ განაპირობა, რომ იმ დროს პოზნანში ახალი უმაღლესი სასწავლებლის კადრების შექმნის მოთხოვნილება

იყო. ცოდნის გაღრმავების მიზნით ნიკოლოზ კვინიხიძე თავისუფალ მსმენელად ჩაეწერა პოზნანის სასოფლო-სატყეო უნივერსიტეტში. ენის ცუდი ცოდნა გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა, მაგრამ ენებისადმი მიდრეკილებამ პოლონური ენის სწრაფად ათვისება გაუადვილა, რამაც განაპირობა, რომ ნიკოლოზ კვინიხიძემ შეძლო დროულად (1926 წელს) დაემთავრებინა სასწავლებელი და სოფლის მეურნეობის ინჟინრის დიპლომი მიეღო. 1927 წელს დაიკავა ასისტენტის ადგილი პოზნანის უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე.

მაშინ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, სასწავლებლიდან სამი კილომეტრის მოშორებით. იგი ყოველდღიურად ამ მანძილს ფეხით გადიოდა. შემდგომ წლებში რამოდენიმეჯერ გამოიცვალა საცხოვრებელი. 1928 წლიდან გახდა ნიადაგმცოდნეობის კათედრის უფროსი ასისტენტი, ხოლო 1930 წლიდან, პროფესორ ტერლიკოვსკის მხარდაჭერით, გადადის სრულ შტატზე. ამ თანამდებობაზე 1939 წლამდე მუშაობდა.

სამეცნიერო კარიერის დასაწყისიდანვე ნიკოლოზ კვინიხიძე დაინტერესებული იყო მცენარეთა გამოყვანაში ხელოვნური სასუქის გამოყენების თემატიკით, საველე ნიადაგმცოდნეობითა და ვეგეტაციური მეთოდების გამოცდით. მის სამეცნიერო კარიერაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ფელიქს ტერლიკოვსკის ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევებს პოლონეთის ნიადაგმცოდნეობასა და ზღვისპირა ტერიტორიის საკითხებზე. 1933 წლის 13 მარტს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რამაც შემგომში ამავე უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის საშუალება მისცა. პოლონეთის მოქალაქე არ იყო და ამის გამო მუდმივი სამსახურის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ სამუშაო ხელშეკრულებას სისტემატურად უგრძელებდნენ პოზნანის უნივერსიტეტშივე.

ნიკოლოზ კვინიხიძემ პროფესორ ტერლიკოვსკისთან ერთად გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო ნაშრომი – ძალიან მნიშვნელოვანი ნიადაგმცოდნეობის რუქები.

1939 წელს სამამულო ომის დაწყებამ და პოზნანში გერმანელების შეჭრამ განაპირობა უნივერსიტეტის დახურვა და მის ნაცვლად გერმანული უნივერსიტეტი გაიხსნა. ნიკოლოზ კვინიხიძე რამოდენიმე თვის განმავლობაში უმუშევარი იყო (1939 წლის პირველი სექტემბრიდან 1940 წლის თებერვლამდე). მხოლოდ გერმანელთა მიერ ჩატარებული ატესტაციის საფუძველზე დარჩა უნივერსიტეტის კათედრაზე თანაშემწედ, ისევე როგორც სხვა დანარჩენი მეცნიერ თანამშრომლები. ამას პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა –სპეციალისტთა ძალების გამოყენება. გადაწყდა, რომ კვლავ მეცნიერულ მოღვაწეობას გააგრძელებდა, მაგრამ როგორც "დამხმარე ძალა". რაც იმას ნიშნავდა, რომ არ შეეძლო რაიმე მეცნიერული გადაწყვეტილების მიღება ან სხვა ნებისმიერი სამუშაოს დამოუკიდებლად ჩატარება. არ იყო იძულებული ეთანამშრომლა იმ ქართულ მებრძოლ კომიტეტებთან, რომლებიც გერმანელებს უჭერდნენ მხარს (კავკასიის ლეგიონი, ბატალიონი "ბერგმანი"). თუმცა ამ კომიტეტების არსებობამ გარკვეული სახით ხელი შეუწყო მის მოღვაწეობას გერმანელების ოკუპაციის პერიოდში.

ნიკოლოზ კვინიხიძე 1945 წლის მარტს, პოზნანის განთავისუფლების შემდეგ, სასწავლებელში ხელახლა იქნა სამუშაოდ მიღებული. 1946 წელს პოზნანის აღდგენილი უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის განყოფილების ადიუნქტის წოდება მიენიჭა, 1951 წლის მაისში, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, რომლის თემატიკაც გახლდათ ტყის ნიადაგების კლასიფიკაცია, ღებულობს სატყეო განყოფილების დოცენტის თანამდებობას. 1951 წლის სექტემბრიდან ასრულებდა პოზნანის უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელის მოადგილის ფუნქციას. იმავე წელს ამ კათედრის ბაზაზე გაიხსნა პოზნანის სასოფლო - სამეურნეო უმაღლესი სკოლა, რომელიც 1972 წელს გადაკეთდა სასოფლო - სამეურნეო აკადემიად.

1946 - 1948 წლებში ნიკოლოზ კვინიხიძე კითხულობდა ლექციებს ტყის ნიადაგების კლასიფიკაციის თემაზე პოზნანის ვიკლინის სოფლის გლეხთა კავშირის მიერ ორგანიზებულ და აგრეთვე პოზნანისა და ტორუნის მეტყევეთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებულ კურსებზე. 1951 - 1952 წლებში კითხულობდა ლექციებს პოზნანის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე ნიადაგმცოდნეობის ზოგად საკითხებზე. იმ ხანებში აქვეყნებდა დამოუკიდებელ ნაშრომებს, რომელთა შორისაც აღნიშვნას იმსახურებს რუქები 1:300 000 მასშტაბით. ნიკოლოზ კვინიხიძის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა ოციანი წლებიდან

დაწყებული მუშაობა რუქაზე, რომელიც 1950 წელს განახორციელა მეცნიერთა ჯგუფმა, მისივე მონაწილეობით.

ამ დროს საბოლოოდ მოაგვარა თავისი მოქალაქეობის საკითხის იურიდიული მხარეც. 1950 წლის 18 ნოემბერს მიიღო პოლონეთის მოქალაქეობა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტის მიღების შემდგომაც იგი საბუთებში ეროვნებად ქართველს წერდა.

1951 წლის ივლისში პოლონეთის მიწების რუქა დაჯილდოვებული იქნა მესამე ხარისხის სახელმწიფო ჯილდოთი. ეს ნიკოლოზ კვინიხიძის უთუოდ დიდი დამსახურება იყო, მას საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭა. დაინიშნა პოზნანის სოფლის მეურნეობის უმაღლესი სკოლის ნიადაგმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელად და 1960 წელს პენსიაზე გასლამდე მიენიჭა პროფესორის წოდება. მის მიერ გაწეული დიდი ღვაწლისათვის დაენიშნა სპეციალური პენსია, ოთხიათას ხუთასი ზლოტის ოდენობით.

პროფესორი კვინიხიძე დაინტერესებული იყო პოლონეთის მიწების ტიპოლოგიითა და ტყეების გენეტიკური კლასიფიკაციით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის თანამშრომლობას პოლონეთის ნიადაგმცოდნეთა საზოგადოებასთან. ცდილობდა თეორიული მეცნიერება პრაქტიკულ სამუშაოებთან დაეკავშირებინა. ეს შრომები სამოცდაათამდე მონოგრაფიულ და კოლექტიურ კვლევას ითვლის. იყო გამომცემლობების " დასავლეთ პოლონეთის ფიზიოლოგიური კვლევის " და " პოლონეთის გეოგრაფიის " რედკოლეგიის მუდმივი წევრი.

ნიკოლოზ კვინიხიძე მეცნიერულ შრომას საზოგადოებრივ საქმიანობასაც უთავსებდა. 1953 წელს გახდა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ტყის ტიპოლოგიის საკითხების დროებითი კომისიის წევრი. შემდეგ წელს კი პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მიკრობიოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის სამეცნიერო კომისიის, 1955 წელს ზღვისპირა ბოტანიკის კომიტეტის, 1957 წელს პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ტყისა და სასოფლო სამეურნეო მეხუთე სამეცნიერო განყოფილების წევრი. მონაწილეობას იღებდა პოზნანის მეცნიერების მეგობართა საზოგადოების საქმიანობაში. იყო პოლონეთ - საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე, დემოკრატ მეცნიერთა კლუბისა და უმაღლეს სკოლათა ახალგაზრდობის მეგობართა საზოგადოებების წევრი.

პენსიაში გასვლა არ ნიშნავდა ნიკოლოზ კვინიხიძისათვის აქტიური მოღვაწეობის დასასრულს. მიუხედავად ასაკისა, იგი სამოცდაათ წელს გადაცილებული გახლდათ, 1961 წელს მოიპოვა მინისტრის თანხმობა სასწავლებლის მეცნიერულ სამუშაოებში მონაწილეობაზე: წელიწადში სამი ასპირანტის ხელმძღვანელობის და ოთხი სადოქტორო გამოცდის მიღების უფლება ჰქონდა. კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის კათედრაზეც.

სასწავლებელში ყველა მისი თანამშრომელი თუ სტუდენტი აღნიშნავდა მის გონიერებასა და გარემოსადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ კ. გავენცკის დახასიათებაში ასეთ ფრაზას ვხედებით: " ძალიან გულღია, ფეთქებადი ხასიათის, კრიტიკული ". ნიკოლოზ კვინიხიძე ბევრს უმადლოდა პროფესორ ფელიქს ტერლიკოვსკის (1885 - 1951). მისი გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობდა სამეცნიერო მემკვიდრეობის დამცავ კომისიას და ხელი მოკიდა პროფესორის ნაშრომთა სიკვდილის შემდგომ გამოცემას.

ნიკოლოზ კვინიხიძე გარდაიცვალა მოულოდნელად, 1968 წლის 8 თებერვალს. დაკრძალულია ლუტიცკის ქუჩაზე მდებარე სამრევლო სასაფლაოზე.

პროფესორ კვინიხიძის ბიოგრაფია - ქართველისა პოზნანიდან, მოგვითხრობს მის ცხოვრებაზე, ყოველდღიურ საქმიანობაზე, იმაზე თუ როგორ ახერხებდა მასპინძელი ქვეყნისათვის ვალის გადახდას.

ორი დიდი მეცნიერის, პროფესორ ფელიქს ტერლიკოვსკისა და ნიკოლოზ კვინიხიძის დამსახურება ნიადაგმცოდნეობის დარგში, დაფასებული იქნა სასწავლებლისა და მთავრობის მიერ. პოზნანში, 1985 წელს, მაზოვიეცკის ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის აკადემიის ნიადაგმცოდნეობის განყოფილების ტერიტორიაზე დაიდგა ორი მემორიალური ქვა ამ მეცნიერთა ღვაწლის აღმნიშვნელი ინფორმაციული წარწერებით.

თარგმნა ნანული
ბურდული-ტალიაშვილმა

სერგო ი. ყურულიშვილი

ოჯახური მოგონებები სერგო ყურულიშვილზე

ბიძია სერგოს არ ვიცნობდი, იგი ჩემს დაბადებამდე ათი წლით ადრე გარდაიცვალა. სახლში კი ხშირად საუბრობდნენ მასზე. მამას სამუშაო ოთახში ბიძიას ფოტოსურათი ეკიდა.

სერგო ყურულიშვილი მამაჩემის, ვანო ყურულიშვილის მკვიდრი ძმა იყო. მამის მონაყოლიდან და შემორჩენილი დოკუმენტებიდან ვიცი, რომ 1894 წლის 4 სექტემბერს, საქართველოში, საჩხერის რაიონში იყო დაბადებული. მისი მშობლები იყვნენ ვანო ყურულიშვილი და ეკატერინე ნაზარიშვილი.

მშობლები და და-ძმანი საჩხერეში დარჩნენ, ახალგაზრდა სერგომ კი სამშობლო დატოვა. პოლონეთში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჩამოვიდა და 1918 – 1924 წლებში საქართველოს კონსული იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული საზოგადოების ორგანიზებისა და იმათი თავმოყრისათვის, ვინც იმ პერიოდში პოლონეთში აღმოჩნდნენ. მან ვარშავაში ქართულ - პოლონური კლუბი დააფუძნა.

განათლებით სერგო ყურულიშვილი ინჟინერ - არქიტექტორი იყო, აგრეთვე მოყვარული პოეტი და პროზაიკოსი. რედაქტორობდა ჟურნალ " Glos Wschodu". იბეჭდებოდა ფსევდონიმით: " ტაიფუნი ". პოლონეთში გამოცემულია მისი ნაწარმოებების რამოდენიმე კრებული: " მათრობელა ვარდი ", " ტალღები ", " ნოველები, მოთხრობები და ესეები ". სერგო ყურულიშვილი კარგად მოეწყო პოლონეთში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მან მოგვიანებით საქართველოდან ძმა, ვანო ჩამოიყვანა. ცოლად პოლონელი მოიყვანა, რომელსაც სახელად მარია ერქვა. ბიძია სერგო მრავალმხრივი დაინტერესების ადამიანი ყოფილა, ამიტომაც მას არა მხოლოდ ქართველებს შორის ჰყავდა კარგი მეგობრები. მამის მონაყოლიდან იგი აქტიურ და მეტად ხალისიან პიროვნებად მესახებოდა, რომელსაც მონატრებული სამშობლოს სიყვარული ქართული კლუბის მზრუნველობაზე გადაჰქონდა. მის უამრავი მეგობრით გარემოცულ პოლონურ სახლში კი მუდამ იგრძნობოდა ქართული სული.

სერგო ყურულიშვილი ტანდაბალი, ოდნავ წელში მოხრილი იყო. გაზეთ " Exspres Porannym " –ში 1925 წელს მასზე წერდნენ: " შეიძლება ვერც შეგემჩნიათ ხალხში, თუ არა მისი შავი, ანთებული თვალები..."

იგი ტრაგიკულად დაიღუპა. 1925 წლის 25 მარტს, დღის სამ საათზე, ვარშავაში, კომოროვსკის კაფეში იქნა მოკლული, ნოვი შვიატის ქუჩა 26 –ში. მკვლელი სტეფანე ლებრაუმ ველ ლიკიერნიკი, მხატვარ ჰალინა სას-ვუიციცკის ეჭვიანი ქმარი იყო. მისი სიკვდილი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად და უაზროდ გამოიყურებოდა. იმ დროს იგი მხოლოდ 34 წლისა იყო.

სერგო ყურულიშვილი დაკრძალული იქნა ვარშავაში, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე.

დღემდეა შემორჩენილი მისი ლექსები და პოემები, სურათები და ბევრი სხვა სამახსოვრო ნივთი. ზოგჯერ გადავხედავ ხოლმე. ჩემს ვაჟებსაც აინტერესებთ. ერთ-ერთი, 19 წლის სერგო, საქართველოს ისტორიით არის დაინტერესებული. ვცდილობ მათ გადავცე ყველაფერი ის, რაც ჩემს მახსოვრობას მამის მონაყოლიდან შემორჩენია. ვუყვები ახალგაზრდა, ენერგიითა და ფანტაზიით სავსე ქართველ ყმაწვილზე, რომელსაც სურდა თავისი სამშობლოს პატარა ნაწილი პოლონეთში შეექმნა. ვერ მოასწრო. მაგრამ იქნებ ჩვენ მაინც მოვახერხოთ ... ან ჩვენმა შვილებმა.

თარგმნა ნანული ბურდული-ტალიაშვილმა

მელოდია

რიჟრაჟის სიომ ფრთა დაშვებით ველს გადურბინა,
ლიკ-ლიკ ნაკადულს ჩასჩურჩულა და გაუცინა
კოკობი ვარდი ამბორს უყოფს მზის პირველ სხივსა
და გულს ახარებს მოკრიალე ლაჟვარდი ცისა.

ტბის ზედაპირმა სარკესავით გაიპრიალა,
შეკრთა მიდამოც, სიცოცხლის ხმამ გაიწკრიალა,
დაღლილმა გულმა კვნესა ოხვრით ამოიგმინა,
და ციურ მნათობს თვის ვაება მან შეჰქვითინა!

აქეთ, ხმა დიდი სანეტარო მოესმა გულსა,
ის ხმა მიქარვებს ბოღმა-ვარამს და გულის წყლულსა,
ლურჯმა ტატნობმა მომხიბლავი იწყო ციალი,
ოცნების ფრთებმა ზენას აგრძნო გულის ტრფიალი...

იქ, შორს, ბორკილი ველარ სძლებდა და იმსხვრეოდა
სევდა-კაეშნის ღრუბელთ გროვა განიბნეოდა
მტრის გულსაკლავად შრომის შვილსა ელიმებოდა
თუმც სამსხვერპლოზე მისი სისხლი კვლავ იღვრებოდა.

ხედავს სიცოცხლე კვლავ უფსკრულზე არის მიმდგარი,
ბედის დაღმართზე სიკვდილი ჰქრის დაუდეგარი,
ბრდღვინავს დრაკონი შესაზარი, ცოცხლდება გიდრა,
ტალღა-კი დრტვინავს, შავი ძალა მას დაემკვიდრა

და ზღვა მდუმარებს, მისი ტალღა ლეგიონური
არ ბობოქარობს, დასცემია გლოვა მონური...

ჰო, მეგობარო, დაგვიდგება კვლავ დღე დიადი,
ნუ, ნუ შედრკები, იფანტება უკვე წყვდიადი,
და კვლავ ათბობს მათ რწმენის ცეცხლი და იდეალი...

თუ ვქრები როგორც ოცნება მალი,
როგორც აჩრდილი შუაღამისა,
ობლად დევნილი იმედის გზაზე
რად ჩამომაწვა გლოვა ჟამისა.

თუ ვარ საფლავის გამოძახილი,
თუ უკვდავებაც არ მაქვს წამისა,
და მარადიულ ყოფნის წიაღში
მე სტუმარი ვარ მხოლოდ ღამისა...

ვითა გრიგალი მსწრაფლი და მალი,
ჟამი ოცნებას გაატიალებს,
და სასომიხდილს და უნუგეშოს
მზიური ფრთები ვერ გამახარებს...

შორს ჩრდილოეთში ბრძოლის ტალღებში
ობლად სამარა ამომეთხრება,
და სიმთა ჟღერა, ხსენება წმინდა
ვითა ოცნება მსწრაფლივ გაჰქრება!..

ბრძოლის ველი. ს. ტაიფუნი

პიოტრ მიტზნერი

ვერცხლისფერი ნატალია

უკვე მესამე, ან შეიძლება მეოთხე თაობაც კი, კონსტანტი ილდეფონს გალჩინსკის (1905 – 1953) „ თავის პოეტად ” თვლის. მკითხველთა შორის უდიდეს წარმატებას თან ახლავს ლიტერატურათმცოდნეთა ერთგვარი დაბნეულობა. მათ ხომ ჯერაც ვერ მოუძებნეს შესაბამისი ადგილი მწერალს, რომელიც დემონსტრაციულად სცილდება ყველანაირ ლიტერატურულ სკოლას.
იგი ლირიკოსი იყო და ხუმარა, სიურეალისტი და უბრალო ხალხის სინამდვილის მომღერალი, ეხებოდა პოლონურ ყოველდღიურობასა და ევროპული კულტურის შედევრებს. ამიტომაც გალჩინსკის შემოქმედებაში ყველანი – ახალგაზრდაცა და ხანდაზმულიც, კონსერვატორიცა და მეამბოხეც – პოულობენ რაიმეს სათავისოს. უპირველეს ყოვლისა კი ისინი, ვინც სიყვარულზე ეძებენ ლექსებს. ასეთები კი პოეტის ნაწარმოებებს შორის ცოტა არ არის და ყოველი მათგანი ერთი ქალის, მეუღლე ნატალიასადმი, გრძნობით არის გამთბარი.
1930 წელს დაქორწინდნენ. ჯვარი ვარშავის მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიწერეს. პატარძალი რუსეთის მეფის არმიის ოფიცრის, კონსტანტინე ავალიშვილის, ქალიშვილი იყო. მისი მეუღლე, ბავშვებთან ერთად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთში აღმოჩნდა, თავად კი სამოქალაქო ომის დროს რუსეთში დაიკარგა. მრავალი წლის შემდეგ გაირკვა, რომ თურმე გადარჩენილა ბოლშევიკურ ტყვეობასა და ორმოცდაათიანი წლების შუაში საქართველოში გარდაიცვალა. ცხადია, არც კი იცოდა, რომ მისი ქალიშვილი პოლონელი პოეტის მუზად იქცა.

—

მქონდა ბედნიერება და ვიცნობდი ქალბატონ ნატალია გალჩინსკას. ვყოფილვარ პოეტის ვარშავის ბინაში. და თუმცა თავად იგი უკვე დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო, აქ მაინც იგრძნობოდა მისი არსებობა, პირველყოვლისა იმაში, თუ რას და როგორ ყვებოდა მისი მუზა. ალეა რუჟზე მდებარე ბინიდან გამოსლის შემდეგ გავაკეთე ჩანაწერები, რომელთა ფრაგმენტებსაც ახლა გთავაზობთ.

—

გესაუბრებათ ნატალია გალჩინსკა:
„ მუსიკა უყვარდა. მას მიუძღვნა მრავალი ლექსი, ხოლო კომპოზიტორებთან, იმათთან, სულეთის ქვეყანაში გარდასულებთან, მეგობრობდა – ბახთან, მოცარტთან, შოპენთან. მის პოეზიაში მუსიკალური და პოეტური სტრუქტურები ერთმანეთში ძალიან ღრმადაა გადახლართული. მაგალითად, კონსტანტის ლექსებში სადღაც მიმალულია შუბერტის „კალმახი”, მაგრამ სად, ეს მხოლოდ მან იცოდა. პოემაში „ნიობე” არის ბურლაკების სიმღერებისა და ბეთჰოვენის „ IX სიმფონიის ” მელოდიების ფრაგმენტები.
შესანიშნავად ამყარებდა კონტაქტს ჩვეულებრივ ადამიანებთან. ერთხელ კალატოზების რამოდენიმე ბრიგადა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, პოეზიის მოსასმენად შეკრიბეს. ხალხი დაღლილი იყო, მშიერი, გაბოროტებული. აქ კი ვიღაც ლიტერატო-

რები შრომაზე ლექსებით თავსაბეზრებენ, მაგრამ როცა გამოვიდა კონსტანტი და დაიწყო თავისი პოეტური იგავ–არაკების კითხვა, გამხიარულდნენ და უსმენდნენ, მოჯადოებულებივით უსმენდნენ.
როდესაც კონსტანტის საპატივცემლოდ ჩვენ სახლზე მემორიალური დაფა განათავსეს, ერთ–ერთი მუშა ბინაში, მეუღლის ოთახში, შემოვიდა ტახტის წინ დაიხარა და მის კუთხეს აკოცა.
შურიანი კოლეგები მას პოპულარობას ვერ პატიობდნენ, მისი პოეზია კი სოცრეალიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. ამიტომაც საჯაროდ ლანძღავდნენ. ერთმა მებრძოლმა აქტივისტმა განაცხადა: –კისერი უნდა მოეგრიხოს იმ ბურჟუაზიულ იადონს, რომელიც გალჩინსკის პოეზიაში ჭიკჭიკებსო. რაზეც პოეტმა ასე მიუგო: "კი, ბატონო, მაგრამ მაშინ ხომ გალიას ყველანი დაინახავენ ".
კონსტანტი მხოლოდ ერთი სახეობის რეალიზმს სცნობდა. იგი ამინდთან იყო დაკავშირებული. თუ სარკმლებს მიღმა წვიმა მოდიოდა, ლექსებშიც წვიმდა. იგივე ითქმის თოვლზე, მზეზე.
ადამიანურ სინამდვილეს ისე სცვლიდა როგორც ჯადოქარი, რომელსაც საკუთარი თავიცა და ყველა სხვა, ვისაც ეს სწყურია, შორეულ, ეგზოტიკურ ქვეყნებში გადაჰყავს, ან დროში მოგზაურობას სთავაზობს: ანტიურ ხანაში, შუა საუკუნეებში, შექსპირის კომედიების სამყაროში ".

—

ქალბატონი ნატალია, „ ვერცხლისფერი ნატალია " (ასე სწერდა მასზე მეუღლე), არ იყო მხოლოდ ის მედიუმი ვისი მეოხებითაც შეგვეძლო დავკავშირებოდით საყვარელ პოეტს. იყო პიროვნება არაჩვეულებრივად ლამაზი და ძლიერი. მახსოვს მისი გულმოწყალება, წყნარი და მუღერი ხმა.
მასაც დარჩა საკუთარი ლიტერატურული ნამუშევრები: თარგმანები (ჰერცენი, ლესკოვი, ჩეხოვი), საყმაწვილო სამოგზაურო მოთხრობები და შესანიშნავი ზღაპრების კრებული. პოეტი იყო, თუმცა კი ლექსებს არ წერდა.
ჩემი ჩანაწერები ნატალია გალჩინსკას გარდაცვალებამე ერთი წლით ადრე თავ-დება (1976 წელს გარდაიცვალა). მის მიერ ნაკარნახები უკანასკნელი ფრაზა მეუღლის ნაწერებიდან მოტანილი ციტატია: " პოეზია სუფთა, ხალასგულიანი ხალ-ხისთვის არის, ან მათთვის ვისაც პოეზიით სურთ განიწმინდონ ".

თარგმნა რუსულდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

თარგმნა რუსულიდან
კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

კონსტანტი ილდეფონს გალჩინსკის სამი ლექსი მიძღვნილი მეუღლე ნატალიასადმი

ვედრება ბედნიერების კუნძულებზე

ბედნიერების კუნძულებზე თან წამიყვანე,
ნაზი სიოთი ყვავილთ დარად მიწეწე თმები,
კოცნით დამახრჩვე, მინანავე, დამაძინე მუსიკის ბანგით,
ბედნიერების კუნძულებზე სიზმრებიდან ნუ გამაღვიძებ.

წყლები მაჩვენე დიდზე დიდი და წყნარზე წყნარი,
მწვანე ტოტებში მასმენინე ვარსკვლავთ ბაასი,
პეპლების ჯარი გულში მინდა ფრთხილად ჩავიკრა,
და წყლის ნაპირზე სიყვარულით მშვიდ ფიქრს მივეცე.

სიზმარში ჰყვირი

სიზმარში ჰყვირი. ლამფა ბოლავს.
ნატალიავ! ნატო!! ნატუნა!!!
რად არ წახვედი სამშობლოში, კავკასიაში
მამასთან, ძმებთან და საერთოდ შენიანებთან?

აქ, ხომ ხედავ, ამ დღეების უნიათო რბოლას,
სურდო, ხველა, ასპირინი,
იღრუბლება კიდევ უფრო მეტად.

იქ კი მოგელოდა შენი ციხე – კოშკი,
მარანი და ტაიჭების რემა –
ერთი კია . . . შესაძლებლად მიიჩნევდი ამას?!

ლირიული საუბარი

- მითხარი როგორ გიყვარვარ.
- გეტყვი.
- ჰო, აბა, გისმენ.
- მიყვარხარ მზეში. მოკიაფე სანთელთა შუქში,
ფართე ფარფლიან ქუდშიც, ბერეტშიც.
ქარშიც მიყვარხარ, თეატრშიც და ალუბლებს შორის,
იასამნებში, ჟოლოებში, თეთრ ენძელებში.
მაშინაც როცა გძინავს, როცა მუშაობ.
კოვზის დავარდნაც მიყვარს შენი,
როცა კვერცხს იწვავ.

ყველგან მიყვარხარ ავტობუსში, სახლში და კარში.
ტაქსშიც მიყვარხარ, ქუჩის თავშიც, ქუჩის ბოლოშიც.
საფრთხეში მყოფიც მიყვარხარ და კარუსელებზეც.
მე ისიც მიყვარს სავარცხელით თმას როცა იყოფ.
ზღვაშიც მიყვარხარ, მთებშიც და ტყეშიც.
ქოშებში ხარ თუ ფეხშიშველი მაშინაც გეტრფი.
გუშინ მიყვარდი, დღესაც, ხვალაც, დღისით და ღამით,
როცა მერცხლები მოიყვანენ გაზაფხულს ჩვენთის.
- ზფხულობით, ზაფხულობით როგორ გიყვარვარ?
- ისევე როგორც ზაფხულის არსი.
- შემოდგომაზე, მოქუფრული ცა როცა გვიმზერს?
- ქოლგა დაკარგო – მეყვარები მე მაინც ისევ.
- ზამთარი როცა შემოჭირხლავს ჩვენს სარკმლის მინებს?
- ბუხრის მხიარულ ცეცხლის ალად შემოგენთები.
მე შენი გულის სიახლოვით თავს მშვიდად ვიგრძნობ.
გარეთ კი თოვლი და იმ თოვლში შეცივებულ ყვავების გუნდი.

ლეშეკ ბალცეროვიჩი

POLNISCHE WIRTSCHAFT?



ახლახანს ვმონაწილეობდი შეხვედრაში, რომელიც საზღვარგარეთულ ინვესტიციათა სახელმწიფო სააგენტოს საკმაოდ სასარგებლო ინიციატივასთან იყო დაკავშირებული. შეხვედრა მიმდინარეობდა დევიზით – „პოლონეთის მეგამარკა". ინიციატივა მიმართული იყო მსოფლიოში პოლონეთის იმიჯის გასაუმჯობესებლად. ამ ნარკვევში მსურს ჩემი ზოგიერთი მოსაზრებანი წარმოგიდგინოთ ამ თემაზე.

დავიწყებ იმით, რაც ყველასათვის ნათელია. უეჭველია ყველანი ვიზიარებთ იმ აზრს, რომ რეკლამის საუკეთესო აგენტიც კი ვერ გაყიდის ისეთ საქონელს, რომელიც საერთო შეხედულებით ცუდია. ეს ეხება პოლონეთის რეკლამასაც. ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის პოლონეთის, საუკეთესო რეკლამა – კარგი მმართველობაა. ცხადია აქედან არ გამომდინარეობს, რომ თითქოს უარი უნდა ითქვას პროპაგანდის სხვა სახის, ტრადიციულ ელემენტებზე. მაგრამ მაინც ვერაფერი შესცვლის ეფექტურ მართვას. პოლონეთში ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა რომ ყოფილიყო, ეკონომიკაც სუსტი იქნებოდა, – მაშინ ნებისმიერი სარეკლამო ძალისხმევა ვერაფერს გვიშველიდა.

რა თქმა უნდა არ შეიძლება, რომ პოლონეთის იმიჯი ეკონომიკამდე დავიყვანოთ, მაგრამ მსოფლიოში პოლონეთის იმიჯის არსებითი ელემენტი ეკონომიკური პოლიტიკის ხარისხია. კარგი ეკონომიკური პოლიტიკა ციურ მანანასავით ციდან არ სცვივა. ასე, რომ ყოფილიყო ყველა ქვეყანა იქნებოდა მდიდარი. მაგრამ მდიდარი ყველა არ არის. კარგი ეკონომიკური პოლიტიკისათვის, სხვადასხვა სახის მცდარ წინადადებებს დაპირისპირებულმა, მშვიდობიანი ხერხებით უნდა იბრძოლო.

აი, ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი უკანასკნელი რეცეპტი იმისა, თუ ხელის ერთი დაკვრით, როგორ მივაღწიოთ კეთილდღეობას: „ გავახუროთ " ეკონომიკა, რომელიც თითქოსდა „ ცივდება ". ამ შეხედულების გამავრცელებლების აზრით ეკონომიკის „გახურება" მიგვიყვანს იქამდე, რომ ყველა კარგად იცხოვრებს. ჩვენ რომ დავთანხმებულიყავით და მიგვეღო ასეთი რეკომენდაცია, პოლონეთის კარგ სახელს

საზღვარგარეთ არავითარი მომავალი არ ექნებოდა. სხვათა შორის ადვილია იმ ქვეყნების ჩამოთვლა, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ეკონომიკის „გახურებას": უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი. განა მათ შეიქმნეს კეთილი რეპუტაცია?

პროპაგანდის მნიშვნელოვანი ელემენტი და საერთოდ პოლონეთის პოლიტიკური სისტემის არსი მდგომარეობს იმ მნიშვნელოვან პრობლემათა რაც შეიძლება ფართე წრის განსაზღვრაში, რომლებიც კონსენსუსის საფუძველზე გადაიჭრებიან. თუმცა ამავე დროს სეიმის დეპუტატებს შორის ასეთი გამონათქვამიც დიდ გასავალშია: „ოპოზიციის ავაზაკური უფლებაა – ყველაფერში ხელი შეუშალოს მთავრობას". მაშ, რაც არ უნდა გააკეთოს ოპოზიციამ ყველაფერი გამართლებულია იმით, რომ ის ოპოზიციაა. ეს აბსურდია. სხვადასხვა ქვეყნებში ოპოზიციას განსხვავებული სტილი აქვს: არსებობს დესტრუქციული და კონსტრუქციული ოპოზიცია. სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გარდაქმნის სტადიას გადიან, მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციას გააჩნდეს თანამშრომლობის უნარი.

თუ ჩვენ შევძლებთ დავუპირისპირდეთ კეთილდღეობის ადვილად მიღწევის დაუფიქრებელ პროექტებსა და აღმოგვაჩნდება უნარი პრობლემების ფართო წრის კონსენსუსის საფუძველზე გადაჭრისა, მაშინ ჩვენი ქვეყნის პროფესიონალური რეკლამის უზრუნველყოფასაც შევძლებთ. კარგი ამოსავალი წერტილი იქნებოდა, რომ შეგვედგინა იმ სტერეოტიპების სია, რომლებიც ასუსტებენ ჩვენს დადებით იმიჯს, რათა შეგვექმნა ან განგვემტკიცებინა ისეთი ფაქტები, რომლებიც ამ სტერეოტიპებს უარყოფენ. სხვანაირად ნებისმიერი პროპაგანდა უძლურია. ასეთ სტერეოტიპებს მიეკუთვნება რწმენა იმისა, რომ პოლონელებს მართვა არ შეუძლიათ, რომ ისინი მოკინკლავე ხალხია, რომ სადაც ორი პოლონელია იქ სამი მოსაზრებაა. თუმცა ახლახანს გავიგე, რომ თურმე კორეელებზეც ზუსტად ასევე ლაპარაკობენ კორეაში, მაგრამ ეს მე მგონი დიდი ვერაფერი ნუგეშია.

მეორე გავრცელებული სტერეოტიპი – ჩვენი ხალხის უყაირათობა. ამბობენ, რომ პოლონეთს სუსტი ეკონომიკა აქვს. გერმანიაში არც თუ დიდიხნის წინ ამბობდნენ „Polnische Wirtschaft" („პოლონური მეურნეობა") – მხედველობაში ჰქონდათ პოლონური დოყლაპიობა, უყაირათიანობა. მაგრამ ვამჩნევ, რომ ასე სულ უფრო და უფრო იშვიათად ლაპარაკობენ. პირადად მე, როგორც პოლონელს, ეს ძალიან მსიამოვნებს. რადგან ეს ხდება არა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს რაღაც მასირებული პროპაგანდისტული პროგრამა მიმართული გერმანელების დასარწმუნებლად, იმაში რომ ჩვენ მეურნე ხალხი ვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ რაღაცას მივაღწიეთ და ეს ფაქტები უდაოა. ცხადია ასეთ ფაქტებს მარჯვედ უნდა დემონსტრირება.

შემდეგი სტერეოტიპი – არასაიმედოობა. მიმაჩნია, რომ სიტყვის პატრონობა უაღრესად მნიშვნელოვანია. საკუთარ გამოცდილებას დავეყრდნობი. ისე მოხდა, რომ ათი წლის წინათ მე მომიხდა დასავლეთის ქვეყნებში წარმედგინა 1989 წ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პირველი პოლონური ეკონომიკური პროგრამა. პროგრამა იყო ძალიან მოკლე: კერძოდ რისი გაკეთება აქვს განზრახული პოლონეთს, როდის გააკეთებს და რას ელის დასავლეთისაგან (უმთარესად – ვალების

ჩამოწერა). ჩვენი პარტნიორების პირველი რეაქცია იყო თავაზიანი სკეპტიციზმი, ალბათ ღრმად ფესვებ გამჯდარი, რომ პოლონელები ამის განხორციელებას შესძლებენ. მაგონდება როგორ იხევდა უკან სკეპტიციზმი იმის და მიხედვით, თუ როგორ ასრულებდა პოლონეთი თავის დაპირებებსა და ამასთან თვითონაც იცვლებოდა. ეს იყო შეუნაცვლებელი კაპიტალი – დაინახეს, რომ თურმე ჩვენ გვაქვს უნარი საკუთარი ინტერესებისათვის გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც ძალიან ძნელად ითვლება, რომ ჩვენ სიტყვას ჰაერში არ ვისვრით, ხოლო თუ პირობას ვიძლევით – მას აუცილებლად შევასრულებთ.

მაგალითად ასეთი სტერეოტიპი და მტკიცება: – თითქოს პოლონელები სწრაფად დუნდებიან, თითქოს ჩვენ კარგები ვართ ბრძოლაში, მაგრამ არა სისტემატურ საქმიანობაში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – პოლონეთი უკვე ათი წელია მიდის რეფორმების გზით. ვვითარდებით ზოგადი ხაზიდან სხვადასხვანაირი გადახრებით, ზოგჯერ ტემპი ეცემა, და მაინც ჩვენ ერთადერთი პოსტსოციალისტური ქვეყანა ვართ, რომელიც გარდაქმნების გზაზე მაკროეკონომიკურ კრიზისში არ ჩავარდა. ამ კაპიტალის გაფლანგვა არ შეიძლება. ჩვენ ვერ დავუშვებთ ეკონომიკური პოლიტიკის დასუსტებას, რასაც შედეგად ეკონომიკის დაუძლურება მოჰყვება.

ადვილი არ არის სტერეოტიპების დაძლევა. ზემოთ მე მოვიყვანე ზოგიერთი მათგანი და ის ფაქტები, რომლებიც მათი შესუსტების საშუალებას გვაძლევენ. პოლონეთის იმიჯისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ფაქტების განმტკიცება და მათი შესაფერისად მიწოდების მოხერხება.

და ბოლოს დავამატებ: სტერეოტიპები უნდა დაიმსხვრეს სათანადოდ წარმოჩინებული საქმით, და არა მხოლოდ ეკონომიკაში. მნიშვნელოვანი ამოცანები დგას ისეთი სფეროების წინაშე, როგორებიცაა სპორტი და კულტურა. ვფიქრობ პოლონეთის იმიჯი მსოფლიოში უფრო მიმზიდველი გახდება თუ სიდნეის მოახლოებულ ოლიმპიადაზე წარმატებას მიაღწევენ პოლონური ფეხბურთი და პოლონელი მძლეოსნები. თავის მხრივ კულტურამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს იქ, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო პოლიტიკური უთანხმოებანი წარმოიქმნებიან ხოლმე – მაგალითად პოლონურ – რუსულ ურთიერთობებში. დაძაბულობანი უნდა მოიხსნას.

თარგმნა რუსულდან
კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

ვაცლავ ვილჩინსკი

უმეცართა თავხედობა

მეცნიერების მდგომარეობის უცოდინრობა, გარემომცველი სამყაროს სინამდვილეში ცუდი ორიენტაცია – დღეს ეს ნაკლოვანებები სამარცხვინოა, საგულდაგულოდ იმალება და სწორდება. ჩვენთან კი ნურას უკაცრავად. ჩვენთან საკუთარი უვიცობით თავი შეიძლება კიტრივით მოგწონდეს, ამაყად აცხადებდე სკანდალურ, თავისმომჭრელ შეხედულებებს, ისეთს რაც ნებისმიერ სხვა ადგილზე დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდებოდა. უფრო მეტიც, ჩვენთან ამას საღ აზრად აცხადებენ, ვითომდა ცრუ და დამღუპველი დოქტრინებისადმი ჯანსაღი, სახალხო, ეროვნული, საზოგადოებრივი (ეპითეტი გემოვნებისდა მიხედვით აირჩევა) წინაღდგომის გამოვლინებად.

ჩვენს პოლიტიკოსებს ხელს არ უშლით არც თანამედროვე ცოდნისადმი დიამეტრალურად საპირისპირო შეხედულებათა ქადაგება, არც ფუძემდებლურ სოციალურ–ეკონომიკურ მცნებათა სრულიად მცდარი განმარტებანი. მით უფრო, რომ ამ უმეტესად შიშველ ფორმულირებებს თან მოაქვთ სოციალური მუხტი და შეუძლიათ გადმოიბირონ ამა ქვეყნის უძლურთა ხმები. ჩვენთან შეიძლება მსხვილი პარტიის თავმჯდომარე იყო და 2000 წელს ომი გამოუცხადო ლიბერალიზმს – არა მარტო როგორც დროებითი ხაზი და მიმართულება, არამედ როგორც გენერალური. მსხვილი პარტიის პროგრამაში შეიძლება შეიტანო, როგორც ფუნდამენტალური მოთხოვნა, – ეროვნული პროდუქტის გადანაწილების მაღალი დონის შენარჩუნება, თუმცა ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით უფრო დაბალია ინვესტიციებისა და ეკომიკური ზრდის დონე. და ყველაფერი ეს რა თქმა უნდა ყველაზე იაფფასიანი, ამწუთიერ ეფექტზე გათვლილი სოციალური ორიენტაციის დევიზით. აი, რატომ არის, რომ ჩვენთან ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სოციალურ საბაზრო ეკონომიკის მცნებათა მცდარი, ნახევრად სოციალისტური განმარტებანი, ხოლო განსაზღვრება „ მონეტარისტი ” სალანძღავ სიტყვად იხმარება ისევე, როგორც „ ლიბერალი ”, რომლის ადგილი სწორედაც რომ ჯოჯოხეთშია.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პირდაპირ ვაცხადებ: მე ლიბერალი და მონეტარისტი ვარ, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის სწორედ ამ მიმართულებებმა განაპირობეს ნამდვილი მიღწევები, დაამტკიცეს თავისი არა მარტო თეორიული, არამედ სოციალური უპირატესობანიც, ვინაიდან უზრუნველყვეს სწრაფი და

მოწესრიგებული ეკონომიკური ზრდა. სხვადასხვა ჯგუფების მიერ განხორციელებული ცუდი მეურნეობისათვის პასუხისმგებლობა ლიბერალიზმსა და მონეტარიზმს დააკისრო უბრალოდ უპატიოსნობაა. ამ დოქტრინების უარყოფა ანტისოციალურობის საბაბით ასაბუთებს, რომ მათ ან არ იცნობენ, ან კიდევ შეგნებულად მცდარად განმარტავენ. მიდით, შესთავაზეთ ბრაზილიის ფაველების მცხოვრებთ ფიდელ კასტროს სამოთხეში გადასახლება, საინტერესოა, ვითომ დაგთანხმდებიან? . .

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ მავნებლური ამერიკული ლიბერალიზმი საყოველთაო დასაქმებას ბევრად უფრო მაღალ დონეზე უზრუნველყოფს ვიდრე დასავლეთევრეოპული მზრუნველობის სახელმწიფო. გავიხსენოთ, რომ სწორედ მონეტარიზმმა უზრუნველყო ამერიკული ვალუტის დღევანდელი სტაბილურობა. ჩვენ უკვე დაგვავიწყდა, რომ სამოცდაათიანი წლების ბოლოს ნეოკეისიანობამ აშშ მიიყვანა 10 - 12% - იან ინფლაციამდე, ხოლო ინფლაციის მოშთობა მხოლოდ სწორედ ამ ყბადაღებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ შესძლო.

ზოგიერთ ჩვენს თანამედროვე პოლიტიკოსს დღემდე არ სურს გაიგოს, რომ სოციალურ საბაზრო ეკონომიკას – მისი შემქმნელების მიულერ - არმაკისა და ერჰარდის გაგებით – არაფერი არ ჰქონდა საერთო სოციალიზმთან და სოციალ-დემოკრატიასთან. განსაზღვრება „სოციალური ” მას უწოდეს გდრ–ის „ სოციალისტურ ” ეკონომიკასთან კონტრასტის გამო. მაგრამ გვახსოვს კი, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა მეურნეობებით გატაცებული ფრანგების, ინგლისელებისა და იტალიელებისაგან განსხვავებით, დასავლეთ გერმანიაში მაინც არ შექმნილა სახელმწიფო სექტორი, რომელსაც მხოლოდ უსიამოვნებები ახლავს თან და სხვა არაფერი? ვიცით კი ჩვენ, თუ რა ძნელია გერმანული სოციალური ეკონომიკის ფარგლებში საქმის გაფიცვამდე მიყვანა?

დროა გავიღვიძოთ! უკვე 1990 წლის შემდეგ პოლონეთში დაგროვდა 130 მილიარდი ზლოტი შიდა სახელმწიფოებრივი ვალი – მხოლოდ და მხოლოდ „სოციალურად დასაბუთებული” საბიუჯეტო ხარჯების გამო. ამიტომ დღეს სახელმწიფოს განკარგულებაშია ბიუჯეტის არა 100 არამედ მხოლოდ 86 % ! შვილებსა და შვილიშვილებს მოუწევთ ჩვენი ვალების გადახდა.

თარგმნა რუსულდან
კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

ემილ ვონსაჩი

პოლონური გამოცდილება პრივატიზაციის პერიოდში.



დაბადებული 01. 08. 1945 წელს, ზაბრატუვკაში (ჟეშოვის სავოევოდო) ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.
1969 წელს დაამთავრა ლოძის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონიკის ფაკულტეტი ავტომატიკის სპეციალობით; 1994 წელს ვაჭრობის უმაღლესი სკოლა, (დიპლომის შემდგომი განათლება); 1997 წელს ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (დიპლომის შემდგომი განათლება). მსახურობდა სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე მათ შორის კატოვიცეში, შჩეჩინში, სოსნოვეცში. 1997 - 2000 წლებში არის სახელმწიფო ქონების მინისტრი, ხოლო 2000 წლის 25 ოქტომბრიდან ინიშნება STALEXPORT–ის გამგეობის თავმჯდომარედ.

წარსულზე თვალს ერთი გადავლებით, პოლონური პრივატიზაციის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად ალბათ პრინციპი "ნელა და კარგად" უნდა ვაღიარებთ. ამ პრინციპს პრივატიზაციაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. საკუთრების ფორმების გარდაქმნაა ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ბრძანებითი – გამანაწილებელი - კომუნისტური მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. საკუთრების ფორმების სახეცვლილებანი ხელს უწყობენ მეურნეობის მუდმივ განვითარებას, ან სრულ უძრაობაში მოჰყავთ იგი მრავალი ათწლეულის განმავლობაში. შეცდომები ძნელი გამოსასწორებელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა.

ხშირად ვასახელებთ იმ უამრავ მიზეზს, რისთვისაც არის საჭირო პრივატიზაცია. მთავარი მათი მნიშვნელობის განსაზღვრაა. მე პირადად პირველ ადგილზე ვაყენებ მეურნეობის პოლიტიკისაგან განთავისუფლების საკითხს. კომუნისტური სისტემის, როგორც სამეურნეო სისტემის განვითარება ხდებოდა ეკონომიკის სისტემატური პოლიტიზირების გზით. რაც გამოვლინდებოდა სისტემატიური ცენტრალიზაციის ზრდით ეკონომიკის მართვაში, ანუ უზრუნველყოფდა ძალაუფლებას პოლიტიკოსებისათვის, მოხელეთათვის და ბიუროკრატიისათვის, ყოველგვარი ფინანსური ხარჯებისა და პასუხისმგებლობის გარეშე. რატომ არის პოლონეთსა და ყოფილი კომუნისტური

ბანაკის დანარჩენ ქვეყნებში პრივატიზაციის ამდენი ფაქტიური მოწინააღმდეგე, მიუხედავად იმისა, რომ ვცხოვრობთ განსხვავებულ პოლიტიკურ წყობაში, დემოკრატიულ პირობებში?

ამ კითხვაზე გულახდილად გიპასუხებთ ბანკების პრივატიზაციის საკითხის განხილვისას. მინდა ავღნიშნო, რომ ფირმაში რეალურ ეკონომიკურ ხელისუფლებას უნდა ფლობდეს ის, ვინც ამისათვის გაიღო რეალური საკუთარი თანხა, რადგან მხოლოდ იგი იზრუნებს ფირმის განვითარებისათვის, რომ არ დაკარგოს ინვესტირებული, საკუთარი ფული. რითაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს თანამშრომლებისათვის, აგრეთვე ფირმის მართებული ფუნქციონერებით გადასახადთა სფეროში, სოციალური დაზღვევის სისტემაში, საშემოსავლო გადასახადებითა და პროცენტული დანამატებით უზრუნველყოფს შემოსავლებს ბიუჯეტში. საკუთარ ფულზე ზრუნვა კი გავლენას იქონიებს მართვის ხარისხზე. არ დაასაქმებს ახლობელს, პარტიულ მეგობარს დირექტორის თანამდებობაზე, თუ მას სათანადო კვალიფიკაცია არ ექნება.

სასურველი, საკუთარი, კარგი ხარისხის გაურეცხავ კაპიტალზე მზრუნველი მფლობელის შესაფერისი კანდიდატურის ჩამოსაყალიბებლად, პოლონეთმა აირჩია პრივატიზაციის ინდივიდუალური ვარიანტი. ყოველი ფირმისათვის შეირჩა პრივატიზაციის ინდივიდუალური გზა.

და მაჩვენებლები მიუთითებენ, რომ პრივატიზაციის ინდივიდუალური მეთოდი უკეთესია, - საერთო, ჯგუფურ და საბითუმო პრივატიზაციასთან შედარებით?

ასეთი რამოდენიმეა:

პირველი, სახელმწიფოს ამ ეტაპზე შეუძლია მართოს გარდაქმნების პოლიტიკა და აუმჯობესოს იგი. შეუძლია აირჩიოს პრივატიზაციის სათანადო გზა ყოველი ფირმისათვის ინდივიდუალურად, ფირმის სიტუაციის გათვალისწინებით, რომ არ წარმოიშვას კერძო მონოპოლია.

მეორე, თითოეული პრივატიზაცია ინდივიდუალურად არის განხილული და ოპტიმიზირებული მოცემული ფირმისათვის. განიხილება ხოლმე სამი ძირითადი საკითხი:

- ინვესტიციური პაკეტი.
- სოციალური პაკეტი.
- ფასები.

განხილვის უმთავრესი საკითხია ინვესტიციური პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას ძალიან მწვავე კონკურენციის პირობებში. ინვესტიციური პაკეტის სფეროში შედის აგრეთვე ისეთი პრობლემები როგორიც არის კაპიტალის ზრდა, Know-how-ს ათვისება და სხვა.

სოციალურმა პაკეტმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი თანხმობა პრივატიზაციაზე, თანამშრომლების დაცვა პრივატიზაციის პერიოდში, იგი შეიცავს ისეთ ელემენტებს როგორებიცაა: დასაქმების გარანტია გარკვეული დროის განმავლობაში, ანაზღაურების მომატების გზას, სოციალურ უზრუნველყოფას და ა.შ.

რიგით მხოლოდ მესამეა ფასები, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის მოპოვება. რაც უფრო დიდია

ინვესტიციური და სოციალური პაკეტის ხარჯი, მით უფრო მცირეა ფასი. პოლონეთში ძალიან სუსტი ფირმების ხშირ შემთხვევაში იყო ყბადაღებული სიმბოლური ერთი ზლოტი.

არსებითი საკითხი, რომელიც წარმატებას უზრუნველყოფს გრძელვადიან პერსპექტივაში არის პრივატიზაციის პროცესში გამოყენებული კაპიტალის ხარისხი. წარმატების დიდი შანსია, თუკი ეს კაპიტალი მსოფლიოს პირველი ლიგიდან იქნება. თუ პრივატიზაციის პროცესში ჩაერთვება ფირმა ბაზარზე კარგი რეპუტაციის მქონე, ამით ის ყველა ღონეს იხმარს წარმატების მისაღწევად.

ძალიან კარგი პირობების შემომთავაზებელ ნაკლებად ცნობილ ფირმებს შეუძლიათ პრივატიზაცია გამოიყენონ ჭუჭყიანი ფულის გასარეცხად. ასეთ შემთხვევებს, თუმცა ერთეულებს, პოლონეთში ადგილი ჰქონდა და ამჟამადაც აქვს. მთავარია, რომ ინვესტორის სტრატეგიას გრძელვადიანი ინვესტიციების სახე ჰქონდეს და სახელმწიფო ინტერესებსაც ემთხვეოდეს.

როდისაა შესაძლებელი მაღალი ხარისხის კაპიტალის მოპოვება?

აქ სიმართლე უნდა ითქვას, რომელიც დიდი სირთულით ღებულობს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თანხმობას. ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარგი ფირმის პრივატიზება ხდება, და ისიც კარგ პირობებში. ჩნდება ბევრი კარგი ინვესტორი, რომელთაგანაც ამოირჩევა საუკეთესო და მასთან შესაძლებელია ძალიან ხელსაყრელ ინვესტიციურ, სოციალურ და ღირებულების პაკეტზე შევთანხმდეთ. წამგებიანი ფირმების ყიდვა ან არავის არ სურს, ან იყიდება საერთოდ არახელსაყრელი პირობებით. ელოდებიან მის სავარაუდო დაცემას, რათა ხელში ჩაიგდონ ბაზარი ხარჯის გაწევის გარეშე. ან კიდევ მიიღონ ფირმა მათ მიერვე თავს მოხვეული პირობით.

შემდეგი შეკითხვა, რომელიც იბადება ასეთია, როგორი წარმოშობის უნდა იყოს კაპიტალი - სამამულო თუ უცხოური?

ყველა გონივრულად მოაზროვნე ადამიანი ცალსახად უპასუხებს: უნდა იყოს სამამულო კაპიტალი. თუმცა არის ერთი პრინციპული შეკითხვა: რა მოვიმოქმედოთ, თუ ეს კაპიტალი უბრალოდ არ არის, ან საეჭვო წარმომავლობისაა? გადავდოთ სამომავლოდ პრივატიზაცია, იმ დროისათვის, როცა ეს კაპიტალი გამოჩნდება, თუ გამოვიყენოთ მოჩვენებითი საკუთარი კაპიტალი უცნობი წარმოშობის? თუ მაინც გამოვიყენოთ უცხოური?

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გამოსავალთა პლიუსებსაც და მინუსებსაც, ასევე პოლონეთის ევროგაერთიანებაში გაწევრიანების მცდელობას, პასუხი ერთია. პრივილეგია უცხოურ კაპიტალს ეკუთვნის. იმისათვის, რომ ამ კაპიტალს შემოსვლის სურვილი გაუჩნდეს, ეს ბაზარი უნდა იყოს სხვებზე გაცილებით სახარბიელო. უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სტაბილური, თამაშის ნათელი წესებით, დამოუკიდებელი მისგან, თუ როგორი პოლიტიკური ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს. პოლონეთმა ეს პირობა შეასრულა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე და სწორედ ეს გახლავთ პოლონეთის ბოლო წლების წარმატების წყარო.

ამის გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ბრუნვის პირობებში არ შეიძლება აეკრძალოს შემსყიდველს მისი აქციების გაყიდვა. ეს რომ გაკეთებულიყო, გაფართოვდებოდა შავი სფერო, აღურიცხავი შემოსავალი

სახელმწიფო ბიუჯეტის სანაცვლოდ აღმოჩნდებოდა კერძო პირების ჯიბეებში.

ბევრს ებადება შეკითხვა, რა აჯობებდა, ჯერ მოხდეს რესტრუქტურიზება და მხოლოდ ამის შემდეგ პრივატიზება თუ პირიქით?. პოლონეთში საკითხი ინდივიდუალური დამოკიდებულებით განიხილება. ზოგადად უფრო მიზანშეწონილია ორგანიზაციული თუ სხვა სახის შედარებით დაბალი ფინანსური ხარჯების რესტრუქტურიზება ჩატარდეს პრივატიზაციამდე, რადგანაც ინვესტორებს არ სურთ ინვესტირება არა რესტრუქტურიზებულ ფირმებში და ამის გარდა ყოველთვის ვერც ერკვევიან იმ ადგილობრივ სინამდვილეში რომელიც რესტრუქტურიზაციის პროცესის გაძლიერების საშუალებას იძლევა.

შემდეგი კითხვაა, ღირს თუ არა ბანკის პრივატიზაცია, როდის და როგორი პირობებით?

ეს თემატიკა პოლიტიკურად ყველაზე მეტად მტკივნეულია. თუმცა დინჯი ანალიზი მიუთითებს შემდგომ ასპექტებზე.

- მხოლოდ ჯანსაღი საბანკო სისტემა განაპირობებს მეურნეობის მართებულად ფუნქციონერებას და განსაკუთრებით მის განვითარებას.
- კერძო ფირმები უეჭველად უფრო ეფექტურები არიან.
- ბანკები განსაკუთრებით ექვემდებარებიან კორუფციას.
- ბანკები განსაკუთრებულად ექვემდებარებიან პოლიტიკოსების ზეწოლას, მიმართულს ხელსაყრელი ან საეჭვო კრედიტების გაცემაზე იმ ფირმებისათვის,რომელთაც მოცემული პოლიტიკოსის ამომრჩეველი ელექტორატი შეადგენს.
- ბანკების მფლობელობაშია მხოლოდ და მხოლოდ სხვისი ფული, იმ ნდობით მიბარებული, რომ იქნება გაცემული პროცენტული ნამატით, და არ შეუძლიათ ეკონომიკური პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს სახელით.
- ეკომომიკური პოლიტიკის გატარება /სტიმულირებული მაგალითად პრეფერენციული სესხებით / ჯანსაღ სახელმწიფოში მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, კანონმდებლობის სახით. მათ შორის საბიუჯეტო კანონით, რომელიც პარლამენტის კონტროლს ექვემდებარება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ექვს პუნქტს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანკების სწრაფი და კარგი პრივატიზაცია არის წარმატების საფუძველი. სამაგიეროდ ბანკების პოლიტიკასთან კავშირს ვერ გაუძლო ისეთმა ეკონომიკურმა გიგანტებმა, როგორიც იაპონია და სამხრეთ კორეაა.

პოლონეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების შეჯამება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ინდივიდუალური პრივატიზაცია შესაძლებლობას იძლევა პოსტკომუნისტური მეურნეობის დინამიური გარდაქმნისა და უზრუნველყოფს მის განვითარებას. ჰქმნის შესაძლებლობას, მაგრამ არ იძლევა გარანტიას, არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა. საჭიროება მოითხოვს ახალი და კიდევ ახალი პირობების შექმნას, მაგრამ ისინი არ გახლავთ ჩემი საუბრის თემა.

თარგმნა ნანული
ბურდული-ტალიაშვილმა

იეჟი ფედროვიჩი

ხულიგნები დგამენ შექსპირს

1949წ. დაიწყო ფოლადსამსხმელო კომბინატის მშენებლობა ყველაზე ნაყოფიერ სასოფლოსამეურნეო სავარგულებზე კრაკოვის მიდამოებში, ქალაქისა, რომლისთვისაც კომუნისტური „ღირებულებების" შთანერგვა ყველაზე უფრო ძნელი იყო მთელ პოლონეთში. ამიტომაც გადაწყდა ერთმანეთში გაეთქვიფათ ევროპის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქის (სადაც უნივერსიტეტი 1364წ-დან არსებობს) კონსერვატული ინტელიგენცია და ახალი მუშათა კლასი, რომელიც კომბინატის მშენებლობაზე იქმნებოდა, ხოლო შემდეგ მასშივე მუშაობდა. ლენინის სახელობის კომბინატი საბჭოეთის საჩუქარი იყო პოლონეთისათვის. იქმნებოდა კომსომოლსკისა თუ კუზნეცკის მსგავსი ახალი ქალაქი. ვარაუდობდნენ, რომ მისი მცხოვრებნი გახდებოდნენ პარტიის დასაყრდენი. მაგრამ ამაში პარტიული ხელმძღვანელები მოტყუილდნენ და თანაც კარგა მაგრადაც მოტყუილდნენ. პირველი შეტაკება საყდრის აშენებისათვის ბრძოლაში მუშებსა და კომუნისტურ ხელისუფლებას შორის სწორედ ნოვა-ჰუტაში მოხდა. იქვე შეიქმნა სიძლიერით მეორე (გდანსკის გემთსაშენის შემდეგ) მუშათა „სოლიდარნოშჩი". ოთხმოციან წლებში, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან, აქ ხდებოდა შეჯახებები მუშებსა და მილიციას შორის. მათში მონაწილეობას ახალგაზრდობაც ღებულობდა. ეს გრძელდებოდა სანამ არ დადგა 1989 წელი და კომუნისტური სისტემის დასასრული.



ასეთ ისტორიულ და სოციალურ ვითარებაში 1989 წლის 1 სექტემბერს დამნიშნეს ნოვა-ჰუტას სახალხო (ლუდოვეგო) თეატრის დირექტორად. ეს თეატრი განთქმული იყო. მისი არსებობის პირველი ათი წელი (1955 – 1965) წარმატებათა უწყვეტი ჯაჭვია. ახალგაზრდა რეჟისორები და სცენოგრაფები. ახალგაზრდა კოლექტივი. „ დათბობის " შემდეგ – დასავლეთის თეატრისა და დრამატურგიისაკენ მიბრუნება. ახალი არსი. ახალი ფორმა. თეატრი გახდა მოდური. აქ მოდიოდა კრაკოვის ინტელიგენცია, ხოლო მას კი მთელი პოლონეთი მოჰყვებოდა. ეს მართლაც ერთ რამედ ღირდა!

მოგვიანებით სხვადასხვაგვარად იყო: ხან უკეთესად, ხან უარესად. მაგრამ მე მაინც თავიდან ვიწყებდი თეატრის შექმნას. კოლექტივი გავაახალგაზრდავე. თანამშრომლობაზე დავითანხმე გამოჩენილი მსახიობი და პედაგოგი იეჟი სტური – ჩვენთან უნდა შემდგარიყო მისი სარეჟისორო დებიუტი. ყველაზე რთული დაწყება იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ ნოვა-ჰუტას მცხოვრებლებისადმი მიძღვნილი სპექტაკლი დაგვედგა. იდეა ანჟეი ვაიდამ მოგვაწოდა. იოანა ოლჩაკ–რონიკეროვამ დაწერა, ხოლო ქშიშტოფ ოჟეხოვსკიმ დადგა „ მარმარილოს ადამიანი – დასაწყისი და დასასრული ”, პიესა მეტალურგებსა და კომბინატის მშენებლების შესახებ. ადამიანის ბედზე. რეპეტიციები 1989 წლის სექტემბერში დავიწყეთ.

უკვე დადგა თავისუფლება. პირველყოველისა დაიწყეს სიმბოლების მსხვრევა. იმავე ახალგაზრდობამ, რომელიც ებრძოდა მილიციას, გადაწყვიტა ლენინის ძეგლის აღება. დაიწყო არეულობანი. მთელი მსოფლიოს ტელევიზიები მოდიოდნენ. იღებდნენ იმას რაც ხდებოდა ვარდების ხეივანში და ამასთან ერთად, ბარემ თეატრშიც შემოდიოდნენ. იღებდნენ რეპეტიციებს. გვეკითხებოდნენ. ცნობისმოყვარენი იყვნენ.

პრემიერა 8 დეკემბერს შედგა და დაემთხვა ლენინის კვარცხლბეკიდან ჩამოღებას. ეს იყო დიდებული დღე. ნოვა-ჰუტა სხვანაირი იყო, ჭეშმარიტად თავისუფალი. თეატრი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა: „ ივონა, ბურგუნდიის პრინცესა”, „გლახაკების ოპერა”, „ჭირვეულის მორჯულება”, ბრელი, სოროკინი.

და აი, ყველაფერმა რღვევა დაიწყო. ახალგაზრდათა ბრბოები, დაკარგეს რა პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ერთმანეთს დაერივნენ. სხვაგან არსად არ შემხვედრია ორ სასკოლო სპორტულ მოედანს შორის მოთავსებული თეატრი. წარმოიდგინეთ: არასრული საშუალო სკოლა – სპორტმოედანი – თეატრი – საშუალო სკოლა – სპორტმოედანი. საღამოობით ბნელა. ბუჩქები. არავითარი კულტურული ინფრასტრუქტურა, ცუდი ტრანსპორტი, ხოლო თეატრში 370 ადამიანი. და უცებ შიშმა ზრდა დაიწყო. ავტობუსებს ქვებს ესროდნენ, ქუჩაში ხალხს ეტორღიალებოდნენ. მაშინდელი პოლონური ახალგაზრდული სლენგით ამას „ მექსიკა ” ერქვა.

მაყურებელთა დარბაზი იცლებოდა. მშობლები შვილებზე დარდობდნენ. არ ვიცოდი რა მექნა. პოლიციისთვის მეთხოვა დახმარება? ამას საქმე შეიძლება კიდევ უფრო გაერთულებინა. არც თუ ისე დიდიხნის წინანდელი იყო „ კომუნა”– მათ შეიძლება დამსმენად ჩავეთვალე. „თავგადახოტრილები ” თეატრში შეხვედრაზე მოვიწვიე. რატომ მაინცა და მაინც ისინი? იმიტომ, რომ ყველანაირი ახალგაზრდული, როგორც ამას მაშინ ჩვენში უწოდებდნენ, „ ზადიმა ” სკინებს მიეწერებოდა. მხოლოდ სპეციალისტები არჩევდნენ კარგად სხვადასხვა სუბკულტურებს. მე თვითონ ახალგაზრდობაში ხულიგანი ვიყავი, ხოლო ჩემი ცოდნა თავდებოდა ჰიპებითა და „ჰიტ–ადამიანებით” (60-იანი წლების პოლონური მოძველბიჭო ახალგაზრდობა). და აი, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სკინები თეატრში მოვიწვიე. მოხდა საოცრება, დამოვიდნენ! ალბათ ცნობისმოყვარეობის გამო: ნეტა, ერთი ამას რაღა უნდაო? პოლიცია სცენის ქვეშ დაიმალა – საფრთხის შემთხვევაში გამოვარდნას ყვნენ დაპირებულები, მაგალითად თუ დარბევას დაიწყებდნენ. იყვნენ ჟურნალისტები და ტელევიზია. ეს ხდებოდა 91 წლის ნოემბერში. სცენაზე წმ. ფრანცისკო ასი-

ზელზე მიუზიკლის რეპეტიცია მიმდინარეობდა, დარბაზი გადაშავებული იყო „ფლეიერსის" ქურთუკებისაგან და ამავე დროს გადათეთრებული გადახოტრილი თავებისაგან.

რეპეტიცია მათ დიდად არ აინტერესებდათ. როდესაც ალაპარაკდნენ შემზარავი იყო მათი მოსმენა: „პოლონეთი პოლონელებისათვის", „ურტყი ურიებს, გერმანელებს და რუმინელებს", - და სხვა ამდაგვარი სისულელეები. ვუთხარი, რომ მე ეს არ მაინტერესებს, რომ მე ეს მეზიზღება და რომ ხელოვნებაში ადგილი არა აქვს სიძულვილსა და ასეთ გამიჯვნებს. ვთქვი, რომ მათ მართავენ ასაკით უფროსი ბრიყვები. ორი თვის სიმშვიდე ვთხოვე – ერთგვარი თავდაუსხმელობის პაქტი. ხოლო შემდეგ მე მათ რაიმეს შევთავაზებ. დამპირდნენ. სახალხოდ, რადგან ეს აჩვენეს ტელევიზიით „ექსპრეს რეპორტერუე"-ში. სიტყვა შეასრულეს. თეატრის გარშემო სიწყნარე იყო. მაგრამ ჩემს წინაშე იდგა საკითხი: რა შევთავაზო?

იმ პერიოდში ჩვენ ვამზადებდით „რომეო და ჯულეტას" პრემიერას. კრაკოვსა და შემოგარენში გამოვაცხადეთ კონკურსი ჯულეტას როლზე თხუთმეტი წლის ასაკის გოგონებისათვის. ხუთასი მოვიდა. მოსმენა სამი დღე გრძელდებოდა. მეორე ადგილზე გასულმა გოგონამ განაცხადა, რომ თავს მოიკლავდა თუ ამ როლს არ მიიღებდა. შემეშინდა და დავპირდი, რომ მიიღებს. თვითონ ცხოვრებამ მიკარნახა იდეა. ამ დროისთვის მე უკვე უფრო მეტი ვიცოდი სუბკულტურების შესახებ. ვიცოდი, რომ პანკები და სკინები ერთმანეთის მტრები არიან. და აი, 1992 წლის 13 იანვარს თეატრში მოვიწვიე ერთიცა და მეორენიც და ვკითხე, ხომ არ ითამაშებენ „რომეო და ჯულეტას" და ღებულობენ თუ არა ამ გოგონას. პანკები დათანხმდნენ – ე. ი. სკინები ვერ დათანხმდებიან. დავპირდი, რომ ითამაშებენ თავიანთი სუბკულტურის შესატყვის კოსტუმებში და რომ კოსტუმები მათი საკუთრება იქნებოდა. ამან გადაწონა და ჩვენ დავიწყეთ რეპეტიციები. პანკები – მონტეკები, სკინები – კაპულეტები. მე ვირჩევდი ვინ ვის ითამაშებდა. საბედნიეროდ არცერთხელ არ შევმცდარვარ. რომეო – პანკი ვესლავ ზაგული, მეტსახელად „ აგრავა ". ის იყო პანკების როკ–ჯგუფის ლიდერი. მისი ამხანაგები: „როკო", „დრატვა", „ახალგაზრდა", „თავადი", „სპილო", „ნიუსიკი", „დუში", „უწლოვანი", „ვიოლა" – მონტეკები იყვნენ, ხოლო სკინები: „ოზი", „ქონიანი", „სამართებელი", „კუბო", „საწამლავი" – კაპულეტები. რეპეტიციები სამი თვის განმავლობაში კვირაში სამჯერ ტარდებოდა, პრემიერის წინ კი – ყოველდღე, როგორც ნამდვილ თეატრში. 13 იანვარსა და 3 მაისს შორის წარმოიშვა წარმოდგენა „რომეო და ჯულეტა"-ს თერთმეტი შემოკლებული სცენით, მაგრამ მთლიანობის შენარჩუნებითა და მუსიკით, რომელიც აირჩიეს ამათაც და იმათაც. მხოლოდ ორი სცენა მიდიოდა სრულად: აივნისა და ალიონის (განშორების) სცენა. დანარჩენი ძლიერ შემოკლებული და დინამიური იყო. ყველა ქუჩის ბრძოლა იყო არაჩვეულებრივად ეფექტური, რადგან „მსახიობები" დარტყმებს კი არ თამაშობდნენ, არამედ მართლა ჩხუბობდნენ, და ეს მათ სრულებით არ უშლიდა ხელს. სამაგიეროდ მაყურებელზე ახდენდა ზემოქმედებას – მინახავს შიშისაგან სავარძელში თუ ინვალიდის ეტლებში ჩამძვრალი ხალხი, რომლებმაც ამოსუნთქვაც ვერ მოასწრეს. სპექტაკლი ძალიან სწრაფად დამთავრდა. სულ 50 - 55 წუთი გრძელდებოდა.

რეპეტიციის დროს შევამჩნიე, რომ როდესაც რომეო და ჯულეტა სიყვარულზე ლაპარაკობდნენ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ყველა რეპეტიცია ღია იყო, და მათზე დაახლოებით ორმოცდაათი - ასი „გულშემატკივარი" მოდიოდა ხოლმე. ჩვენ რეპეტიციებს

ექსპერიმენტალურ სცენაზე ვატარებდით, თეატრის ადმინისტრაციისა და ტექნიკის შენობაში. სხვადასხვა სუბკულტურის ახალგაზრდობა მოდიოდა: ტუალეტებში პლანს ეწეოდნენ, სიგარეტებს სავარძლებზე აქრობდნენ, იატაკზე აფურთხებდნენ, ხშირად იყვნენ ბინძურები და ჩხუბობდნენ, მაგრამ ჩხუბობდნენ ყოველთვის თეატრიდან ათიოდე მეტრის დაშორებით. უკვე ესეც კი პროგრესი იყო. სიტუაცია ყოველდღიურად უმჯობესდებოდა, თუმცა ყველაფერი ძველებურად ისევ ისე ძალიან რთული იყო. ხშირად ვფიქრობდი, რომ არაფერი გამომივიდოდა. მაშინ ყველას გარეთ ვყრიდი და ვატარებდი დახურულ რეპეტიციებს რომეო და ჯულეტასთან. შემდეგ ბრუნდებოდნენ დანარჩენები. და ასე – ოთხი თვის განმავლობაში. ტელეჟურნალისტები მუდმივად გვესწრებოდნენ.

ჯერ კიდევ რეპეტიციების დროს გერმანიაში დამპატიჟეს. სასაზღვრო ოდერის–შვედტში მიმდინარეობდა ძალადობის, ქსენოფობიისა და სხვ. წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. საუბარი ძირითადად პოლონურ–გერმანულ პრობლემებს ეხებოდა. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მუდმივად ჩნდებოდა კონფლიქტები, ძირითადად ახალგაზრდებს შორის. ჩვენი თეატრი ხდებოდა ძნელ ახალგაზრდებთან მუშაობის მაგალითად. ამბობდნენ, რომ შეუძლებელი ფაქტად იქცა.

ასეც იყო. 1992 წლის 3 მაისის პრემიერა არაჩვეულებრივად წარმატებული იყო და უზარმაზარი შვება მგვიტანა. სპექტაკლის ხელმეორედ თამაში მოგვიწია, რადგან ძნელი ახალგაზრდობის ისეთი რაოდენობა მოგროვდა, რომ კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით დავპირდი, რომ სპექტაკლი ორჯერ იქნებოდა ნათამაშები. და მაისში ასე ათჯერ განმეორდა. დიდ სცენაზე მიდიოდა კლასიკური თეატრის სპექტაკლი, ხოლო მცირეზე – შექსპირის იგივე განთქმული ტრაგედია პანკებისა და სკინების შესრულებით. ამ შრომამ ჩვენ გაგვაერთიანა. მათ საკუთარი თავის პატივისცემა გაუჩნდათ, გაიგეს თუ რა არის ერთი მიზნისაკენ მისწრაფული ადამიანების კოლექტივი. უმეტესობა მათგანი – ღრმად მარტოსულია და თავის გრძნობებს აგრესიაში განმუხტავს – ქუჩაში, მატჩებზე, დისკოთეკებზე, რომლებიც, სხვათა შორის, მაშინ ცოტა იყო. თეატრში მათ იპოვეს მეგობრები, ბევრმა სიყვარული. ექვსი წყვილი შეხვდა ჩვენთან ერთმანეთს, შეუყვარდათ ერთმანეთი, შვილები გააჩინეს.

ამასობაში სპექტაკლმა სახელი მოიხვეჭა. ევროპის ყველა გაზეთში გაჩნდა სტატიები. იაპონიაში და ბრაზილიაშიც კი სწერდნენ ჩვენზე. და ბოლოს საზღვარგარეთ გასტროლების პირველი მოწვევაც მოვიდა. მე ამას ადრეც ველოდი, ვეუბნებოდი ყმაწვილებს, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო. და მოხდა კიდევაც: ჩვენ ბერლინში მივდივართ.

92 წლის ოქტომბერი. შაბათს მივემგზავრებით, ორშაბათიდან დავიწყეთ რეპეტიციები, რათა განვაახლოთ სპექტაკლი. გვსურს რაც შეიძლება საუკეთესოდ გამოვიყურებოდეთ. ოთხშაბათს, საღამოს, დავითხოვე დასი (დაახლოებით ოცდახუთი ადამიანი). დარჩნენ მხოლოდ რომეო და ჯულეტა – ჩვენ მათ სცენებს ვხვეწავთ. დილით თეატრში ცხრა საათზე მივდეი. კაბინეტში მელოდებიან პოლიციელები სამოქალაქო კოსტუმში. მეკითხებიან როდის წავიდნენ „მსახიობები". საღამოს რვა საათზე. ხომ არ ვიცი სად შეიძლებოდა წასულიყვნენ? არა, არ ვიცი. რა მოხდა? თურმე ცხრის ნახევარზე ათიოდე სკინი თავს დაესხა გერმანული მძიმე სატვირთო მანქანის ორ მძღოლს და ისე სცემეს,

რომ ერთი სისხლის დაკარგვის გამო გარდაიცვალა. თითქოს ეს იყო გერმანულ სასაზღვრო ზონაში პოლონელებზე თავდასხმის რევანში. გული გამიჩერდა. მაგრამ მაშინვე ვუთხარი, რომ ვერ დავიჯერებ იმ ბანდიტებს შორის ჩემი ხალხის ყოფნას. ოცი საათის შემდეგ დამნაშავეები დაიჭირეს. მათ შორის არცერთი ჩემი „მსახიობები" არ იყო. ასეთ საშინელ მომენტში ეს იყო უსაზღვრო შვება: რომ ყოფილიყვნენ – მთელი ჩემი საქმიანობა აზრს დაკარგავდა. ღირს კი საერთოდ მათთან მუშაობა? მით უფრო, რომ ისინი განსაკუთრებით საშიში არიან, როცა ერთად იკრიბებიან.

ამასობაში დაიწყეს მსჯელობა (ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში და დიპლომატიურიც) – აქვს თუ არა აზრი გერმანიაში ჩვენს გამგზავრებას. ძალიან დაგვეხმარა გერმანიის გენერალური კონსული. იგი იცნობდა ჩემს პროექტს და ამდაგვარი საქმიანობის მომხრე იყო. ჩვენ ერთად გამოვედით ტელევიზიით ახალ ამბებში. ბონი და ვარშავა დიპლომატიურ ნოტებს ცვლიდნენ. გაჩნდა შიში (უახლო XX საუკუნის ბოლოსათვის), რომ სადღაც ტყეში საზღვარსა და ბერლინს შორის ჩვენზე ჩასაფრებული იქნებიან სისხლსა და რევანშს მოწყურებული გერმანელი სკინების, პანკების, ნაცისტების, მეტალისტებისა და სხვათა ურდოები. ორმა - რაც მართალია მართლაც ძალიან „მაგარი" ბიჭების დედებმა, უარი განაცხადეს მათ გამგზავრებაზე. სასწრაფოდ საშოვნელი გაგვიხდა ავტობუსი და მძღოლი: წინასწარ შეკვეთილმა ჩვენს წაყვანაზე უარი განაცხადა. ბოლოს და ბოლოს მიდივართ. ვაკვირდებოდი ჩემს დასს. რაც უფრო ვუახლოვდებოდით საზღვარს მით უფრო ყუჩდებოდნენ და რა დასამალია და შეშინებულებიც სჩანდნენ. მეც გადმომედო მათი დაძაბულობა. შიშის დასაძლევად პანკებმა ყველაზე უფრო უცნაური „იპოკეზები" გაიკეთეს: თმები ყალყზე დაიყენეს და საღებავით მოიპკურეს. ისინი გამოიყურებოდნენ, როგორც ყველაზე უფრო უცნაური, ყველაზე უფრო ფერადოვანი პანკ-ჯგუფი ევროპაში. სამაგიეროდ სკინები იყვნენ სუფთები და არაჩვეულებრივად თავაზიანები. წარმოიდგინეთ იმ გერმანელი პენსიონრების შოკი, რომლებმაც შუა გერმანიაში, ავტობუსის გაჩერებაზე დაინახეს ერთმანეთის გვერდით მიმავალი და საამურად მოსაუბრე სკინები და პანკები. ასეთი დამფრთხალი გაოცება თანგვზდევდა სამი წლის განმავლობაში.

ჩავედით ბერლინში. გვძინავს კულტურის სახლში სამხედრო ნარებზე. ვთამაშობთ ყოფილ ლუდსახდელ ქარხანაში, რომელიც გადაკეთებულია მრავალფუნქციურ სცენად ადმინისტრაციული და სარესტორანო სათავსოებით. შესანიშნავი სისტემაა. ძველი, მიტოვებული ფაბრიკები გადაკეთებულია თეატრებად, გალერეებად, დისკოთეკებად და მისთ. – Kulturfabrik. გერმანიაში ისინი უამრავია. დამავიწყდა მეთქვა, რომ გერმანიაში თან გვახლდა პოლონეთის ტელევიზიის გადამღები ჯგუფი. ადრე მე თვითონ ვიწერდი რეპეტიციებსა და სპექტაკლებს – ამ მასალებიდან შეიქმნა ტელეფილმი „ზადიმა". ამჯერად კი ტელევიზიამ სენსაცია იყოსა და თავისი გადამღები ჯგუფი გამოგვაყოლა. ამან ჩვენი პრესტიჟი აამაღლა. მოვიდნენ გერმანელი ჟურნალისტები. დარბაზში იყვნენ სპეციალისტები და ბერლინელი ძნელი ახალგაზრდობა, მათ შორის ჩვენთან უკვე დამეგობრებული ლაიფციგის მეტალისტების ჯგუფი. სპექტაკლი ოვაციებით დამთავრდა და ყველამ ერთად იცეკვა „პოგო". მეორე დღეს ყველა სერიოზულმა გაზეთმა დაბეჭდა აღფრთოვანებული რეცენზიები. ასე დაიწყო ჩვენი სამწლიანი ტურნე გერმანიის ქალაქებში. ჩვენ ვითამაშეთ ჰამბურგში, ბრემენში, ესენში, ფრეიბურგში, ნიურნბერგში, მაინის ფრანქფურტში, ხოლო შემდეგ საფრანგეთშიც – რამბუიეში.

ეს ყველაფერი ლამაზად გამოიყურებოდა, მაგრამ ყოველთვის და ყველაფერი როდი იყო ასე ვარდისფერი. კონფლიქტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ხუთმა ბიჭმა მოგზაურობისას ავტობუსის გაჩანაგება მოახერხა. სხვადასხვა მანიპულაციებს გვიწყობდნენ: არ სჯეროდათ პანკებსა და სკინებს შორის ურთიერთგაგებისა, მისტიფიკაციაში გვადანაშაულებდნენ. ხშირად ეს ძალიან მტკივნეული იყო. მაგალითად არ დაგვიშვეს პოლონური კულტურის ფესტივალზე იტალიაში, ბრალი დამდეს, რომ ვხელმძღვანელობ სკინების ე. ი. შოვინისტების თეატრს. მოგვიანებით ბოდიში მოიხადეს. ძალიან განვიცდიდი, მაგრამ ეს კარგი გაკვეთილი იყო. მხოლოდ დრომ მასწავლა, რომ თავად ცხოვრებაა ასეთი: ერთი ნაბიჯი წინ, ხოლო შემდეგ ხშირად ორი უკან. ჩვენ ძალიან შეგვიყვარდა ერთმანეთი და ახლა, როცა ისინი უკვე დიდები არიან, ბევრი მეგობარი მყავს მათ შორის. რამოდენიმეს გადარჩენა ვერ მოხერხდა – ისინი ნარკოტიკებმა და ალკოჰოლმა დაღუპა.

ჩემი ცხოვრებაც შეიცვალა. მეპატიჟებოდნენ თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ სერიოზულ საერთაშორისო კონფერენციებზე. ჩვენი საქმიანობის შესახებ ფილმებს ვაჩვენებდი გერმანიაში, აშშ -ში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბელორუსეთში. მუდამ მიხდებოდა მეპასუხა კითხვაზე: როგორ შევძელი? ვფიქრობ იმიტომ, რომ მათ ჩემში იპოვეს მკაცრი და მტკიცე მამა. მე ორი ვაჟიშვილი მყავს, ორივე იმათი ასაკის. მსახიობი ვარ, ასე რომ შემიძლია მათ ენაზე საუბარი. ვერ დავუშვებდი რომ ბავშვებს ჩემი სიყვარული – თეატრი, გაენადგურებინათ. და არასოდეს არაფერში ისინი არ მომიტყუილებია.

ᲠᲣძვირფასო მკითხველო, ეს არის რამოდენიმე სიტყვა ოთხწლიანი საოცარი თავგადასავლის თემაზე. დავიღალე, შევეცადე დამესვენა „პედაგოგიური" საქმიანობისაგან. მაგრამ რაღაც სულში ჩაითესა და 1996 წელს დავიწყე მუშაობა იმათთან ვინც ნარკომანიისაგან მკურნალობს. ორი წელი გავატარე მათთან. დავდგით ორი სპექტაკლი, მომანიჭეს წოდება „ 1996 წლის ვოლონტერი". ჩემს „მსახიობებს" შორის იყვნენ პაციენტები კიევიდან, მოსკოვიდან, ბრატისლავიდან, პეტერბურგიდან. ბევრი უკვე ცოცხალი აღარ არის. შევეხე XX საუკუნის ყველაზე მტკივნეულ პრობლემას – ნარკომანიას. მათ ვისაც სურდათ მისი დაძლევა, - თეატრი ძალიან დაეხმარა, მაგრამ ჩვენ დავსტიროდით მათ ვინც ჩვენგან წავიდა - ისინი 90 % -ზე მეტნი იყვნენ. არასოდეს დამავიწყდება დედის გამოხედვა, რომლის შვილი გახდა „ნეოფიტი" (ნარკოტიკული დამოკიდებულებისაგან განიკურნა). მან თქვა, რომ თავს ისევე გრძნობს როგორც მაშინ, როცა იგი მშობიარობის შემდეგ ძუძუზე პირველად მიუყვანეს. ასეთი წუთებისთვის ღირს მუშაობა. ამ სიტყვებს იმიტომ ვწერ, რომ ჩემი თეატრი აგრძელებს თერაპიულ საქმიანობას.

ვმუშაობთ გონებრივად არასრულფასოვნებთან, მარტოხელა ბავშვებთან და დიდებთან, ახალგაზრდებთან რთული ოჯახებიდან. მიმდევრებიც გვყავს. ლამაზად ცხოვრებას აქვს აზრი.

თარგმნა რუსულდან
კიკალეიშვილი-დომუხოვსკამ

მარეკ ვასილევსკი

თავისუფლების აჩრდილი

პოლონეთის ხელოვნება XXI საუკუნის ზღურბლზე

ძნელია პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორია პოლონეთის კულტურა XX საუკუნის ბოლოს. შესაძლოა ყველაზე შესაფერისი პასუხი მოძებნა კრიტიკოსმა იეჟი ლუდვინსკიმ, ხელმძღვანელმა ისტორიული გალერეისა – „მონა ლიზას ქვეშ“. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ხელოვნება მრავალგვარია. ეს ნიშნავს თანაბარუფლებიანი ტენდენციების მრავალფეროვნებას. რა თქმა უნდა, შეიძლება შევეცადოთ და გამოვყოთ ის მიმართულებანი, რომლებიც მოცემულ მომენტში ყველაზე შესამჩნევია და ისინიც, თუნდაც მას–მედიის შესუსტებული ინტერესისა, არ კარგავს თავის ღირებულებას და აქტუალურობას.

1989 წლის მოვლენებმა პოლონეთში ხელოვნებისათვის სრულიად ახალი პირობები შექმნა. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა თავისუფლებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ პოლონეთი დანარჩენი მსოფლიოსათვის გაიხსნა იმ დონემდე, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო და შეიძლება ითქვას, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ბოლომდე გააზრებული. შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ გამოსულიყო ცენზურისგან შეუზღუდავი ჟურნალები. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, თითქოს მოხდა რაღაც გაუგონარი აფეთქება, შეიქმნა ახალი დაწესებულებები და ჟურნალები. უბრალოდ დასრულდა ის დრო, როდესაც ხელოვნების შესახებ ჟურნალების გამოცემის ნებართვას იძლეოდნენ მხოლოდ ვინმეს წყალობით, როდესაც გამოფენაზე მოსაწვევი ბილეთის პროექტიც კი ცენზურას გადიოდა. სამაგიეროდ, ახლა ცენზურა სრულიად სხვა სახით მოგვევლინა. სანახაობების და პუბლიკაციების კონტროლი შეიცვალა ზნეობის თვითცენზურითა და წინასწარი ცენზურით, რომელიც ხორციელდება ხან ეკლესიის მიერ წარმოსახვითი საშიშროების გამო, ხან ყალბად გაგებული წეს-ჩვეულებების სახელით. ამავდროულად, განსაკუთრებით სასიხარულო ფაქტია მცირე და, ჩანაფიქრის მიხედვით, არაკომერციული საავტორო გალერეების ქსელის არსებობისა (ძირითადად თავად მხატვრების მიერ დაარსებული), რომლებიც გაფანტულია პოლონეთის ყველა მსხვილ ქალაქში. მათ მიეკუთვნება მაგალითად, „გალერეა ვსხოდნია“ („აღმოსავლეთის გალერეა“) ლოძში (სახელი წარმოდგება „ვსხოდნეი“-ს ქუჩისაგან, სადაც იგი არის განთავსებული), გალერეა „ბიალა“ („თეთრი გალერეა“) ლუბლინში, გალერეა „QQ“ კრაკოვში, „AT“ და „ON“ პოზნანში, „ვისპა“ („კუნძული“) და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი „ლაჟნია“ („აბანო“) გდანსკში. საჭიროა იმის დამატებაც, რომ მრავალ მათგანს უკვე აქვს ოცწლიანი ისტორია. ზოგიერთები არსდებოდა კერძო ბინებში, მხატვართა სახელოსნოებში, სხვები გამოიყენებდნენ აუდიტორიებს, რომლებიც შემოთავაზებული იყო უნივერსიტეტის მიერ „სტუდენტური თვითშემოქმედებისათვის“.

1989 წლის შემდეგ შესაძლებლობა შეიქმნა ღიად დაეარსებინათ ისეთი გალერეები, რომლებიც ფართისა და დოტაციის თაობაზე შეთანხმდებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. თუმცა, ეს გალერეები ჩრდილში რჩება ისეთ მნიშვნელოვან სალონებთან შედარებით, როგორებიცაა „ზახენტა“ ან „თანამედროვე ხელოვნების ცენტრი“ ვარშავაში. ზუსტად აქ, მათი ორგანიზატორების უანგარო საქმიანობის შედეგად, გამოდიან პირველად სამოღვაწეო ასპარეზზე ახალგაზრდა მხატვრები, აქ იცვეთება პოლონეთის კულტურის მომავალი, – ცენზურის გარეშე, იმისდა მიუხედავად, თუ რას იტყვის ვოევოდა, ეპისკოპოსი, თუ პროფესორი ხელოვნების აკადემიიდან. რა თქმა უნდა, ასეთი გალერეების ზემოქმედება ელიტარულ ხასიათს ატარებს, მათ აუდიტორიას ადამიანთა მეტად ვიწრო წრე შეადგენს, რომელშიც, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, როგორც წესი, არ შედიან ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეები, – ისინი, ვისაც ოდესმე მოუწევთ ამ მოვლენების შეფასება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ არ იყო არავითარი შანსი იმისა, რომ ასეთი გალერეების შესახებ ინფორმაცია გეზეთში დაიბეჭდებოდა. დღეს კი, საავტორო გალერეების მიერ მოწყობილი ღონისძიებები ადგილობრივი პრესის მუდმივი

კატარჯინა კოზირი „სისხისმიერი კავშირები"

თემაა, რაც არსებითად აუმჯობესებს მათ სოციალურ რეპუტაციას, პოტენციური სპონსორების თვალში ანტკიცებს მათი არსებობის საფუძვლიანობას.

უკვე რამდენიმე წელია, რაც საავტორო გალერეების ორგანიზატორები ერთმანეთში თანამშრომლობენ, ქმნიან არაფორმალურ ქსელს, ინფორმაციას ცვლიან ერთმანეთში და რაც მთავარია, აწყობენ ერთობლივ გამოფენებს. ისინი თანდათან უფრო ხშირად გამოდიან ერთსულოვნად ოფიციალური დაწესებულებების წინააღმდეგ (მრავალი ამ გალერეათაგანი შეიძლება დაათვალიეროთ ინტერნეტში – საიტის www. free. art. pl–ს გვერდებზე).

გაცილებით ცუდი მდგომარეობაა თანამედროვე ხელოვნების შესახებ წიგნებისა და ჟურნალების გამოცემის საქმეში. ამ თემაზე წიგნები საერთოდ არ გამოდის, რამდენადაც მათი ტირაჟი ვერ იძლევა მოგების მიღების გარანტიას, ხოლო საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება ცივ ანგარიშს, ჩვენს ქვეყანაში თანდათან უფრო ნაკლებად შესაძლებელი ხდება. ჟურნალები, რომლებიც თანამედროვე ხელოვნებას ეხება, პოლონეთში ისევე აწყდება ფინანსურ პრობლემებს, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, მათი დაფინანსების მთავარი წყარო, – საბიუჯეტო დოტაციაა, მაგრამ სახელმწიფო სახსრების გამოყოფა გაძნელებულია ამ სფეროში შექმნილი ფინანსური სირთულეების გამო (ხომ შეიძლება ყოველთვის იყოს უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა). ჟურნალები კარგავენ თავიანთ უმთავრეს კოზირს, ისინი გამოდიან არარეგულარულად, ვერ ახერხებენ ოპერატიულად მიაწოდონ ინფორმაცია მკითხველს იმის შესახებ, თუ რა ხდება ხელოვნებაში. მკითხველი გაღიზიანებულია ჟურნალის მუდმივად დაგვიანებით, მასალების არააქტუალურობით და იკარგება ინტერესი მათდამი. ამის შედეგად ირღვევა ჟურნალების ფინანსური სტაბილურობა, რომელიც მკითხველთა რიცხოვნების ზრდაზე არის ორიენტირებული. ამ სიტუაციას შედარებით უკეთ ართმევს თავს ორენოვანი ყოველკვირეული ჟურნალი „Exit", რომელიც პოლონეთის კულტურის უახლოეს მოვლენებს აშუქებს. მაგრამ ყველაზე უკეთესი გზა აირჩია ჟურნალმა „მაგაზინ შტუკი" (ხელოვნების ჟურნალი), რომელსაც ბეჭდავს რიშარდ ზიარკევიჩის კერძო გამომცემლობა. ამ ჟურნალმა თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა იმ პოლიტიკურ ხელოვნებასა და მიმდინარეობებს, რომელთაც კრიტიკოსები „წინააღმდეგობის მოდერნიზმს" უწოდებენ. დისკუსიაში, რომელიც დღეს პოლონური კულტურის შესახებაა გაჩაღებული, მან სრულიად კონკრეტული პოზიცია დაიკავა.

დამკვირვებლისათვის ნათელია, რომ პოლონეთში მიმდინარეობს იდეური კამათი სხვადასხვა მხატვრული მეთოდების დაშვების შესახებ. ზოგიერთი ავტორი ჯიუტად ამტკიცებს, რომ თითქოს ის, რაც მიჩნეულია თანამედროვე

ხელოვნებად, სრულიადაც არ არის ხელოვნება, ხოლო ის, რაც დასავლეთის მუზეუმებსა და გალერეებშია გამოფენილი, – დეგენერატულ მუტაციას წარმოადგენს. კრიტიკოსებსა და მხატვრებს, რომლებიც ამგვარად გაგებული ხელოვნების გარშემო კამათობენ, ხშირად თვლიან დეკადანსის უგუნურ ეპიგონებად. პოლონეთში ვიზუალური ხელოვნებისათვის ნამდვილად არაკეთილსასურველი ატმოსფეროა. შედარებითი ლოიალობა ხშირად გადაიზრდება ხოლმე მტრობაში. დისკუსიის დონე შემაშფოთებელი ხდება, თუკი ქვეყნის წამყვანი გაზეთები სვამენ კითხვას იმის შესახებ, საერთოდ იმსახურებს თუ არა ხელოვანის სახელს ის მხატვარი ქალი, რომელიც პოლონეთს ვენეციის ბიენალეზე წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს, თუკი გავიხსენებთ, რომ პოლონეთი სიტყვიერების ქვეყანაა, რომ აქ კულტურა უპირველეს ყოვლისა, მწერლობასთან, მწერლის მისიასთან არის გაიგივებული, ხოლო მწერალს, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, წინასწარმეტყველის როლის შესრულება უწევდა. თავის მკითხველს იგი აწვდიდა მითებს, რათა ამ გზით საზოგადოებრივი ქსოვილის რღვევის პროცესი აეცილებინა თავიდან. პოლონელებმა მშვენივრად ისწავლეს თავიანთი პოეტების შემოქმედების სტრიქონებს შორის წაკითხვა, ილუზია და მეტაფორა – კულტურის მომხმარებლის ძირითადი საკვები. მაგრამ, როდესაც თამაშში შედის წმინდად ვიზუალური გამონათქვამები, ჩვენ, როგორც საზოგადოება, უწიგნურები ვართ. და თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ ვცხოვრობთ არა რომელიღაც ბრმების ქალაქში ხოსე სარამაგოს რომანიდან (1999 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, პორტუგალიელი მწერალი – ა. გ.), სავსებით ცხადია, რომ საგანთა ვიზუალური აღქმა ჩვენთვის არავის უსწავლებია.

დღეს პოლიტიკური პრობლემები იმგვარი როდია, როგორც ათი წლის წინათ. ეს არ არის სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებულების საკითხი, არც პროფკავშირების და არც თავისუფალი არჩევნების. 80-იან წლებში პოლიტიკურად ითვლებოდა თავად ჩათრევა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტში. ახლა პოლიტიკური თემებია სხვა კანის ფერის ბავშვებისადმი დამოკიდებულება, რომლებიც ჩვენი ქალაქების ქუჩებში მათხოვრობენ; გახსნილობის დონე სქესის თავისუფლების მომხრეთა თუ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა დემონსტრაციის დროს; კონტექსტი, რომლითაც მხატვარი თავისი ქმნილების რელიგიური კულტის ობიექტთან ასოციაციას ახდენს. პოლიტიკური ხდება ჩემისა და შენის დაპირისპირება, პოლიტიკური ხდება რელიგიური შეხედულებების შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა, ან მის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია. ადვილი შესამჩნევია, რომ „პოლიტიკური“ ეს არის ის, რაც ცხარე კამათის, დეპუტატებისა და ჟურნალისტების გამოსვლის საგანი ხდება, რაც უახლოვდება მითების ძნელად ხელჩასაჭიდ სფეროს. უფრო მეტიც, იცავს რა ამ მითს, დემოკრატიული საზოგადოება უარს ამბობს სამოქალაქო თავისუფლებაზე და იწყებს რეპრესიების, ცენზურისა და აკრძალვების, ბრძანებების ენაზე საუბარს. „გთხოვთ, ნუ ილაპარაკებთ ხელოვნებაში თავისუფლების საზღვრებისა და სხვა ამისთანა მონაჩმახების შესახებ“ – განაცხადა 1996 წელს პოზნანელმა დეპუტატმა ქალაქის გალერეაში ერთ-ერთი გამოფენის დროს დისკუსიისას. როგორც ჩანს, აზრის გამოთქმის თავისუფლება, თავისუფალი ბაზრის, დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი დოგმატი, რომლის წყალობითაც ამ დეპუტატმა მიიღო თავისი თანამდებობა თავისუფალ არჩევნებზე, – სხვა არაფერია, თუ არა „მონაჩმახი“. იგივე მოხდა 1999 წელს, როდესაც პოზნანის ეროვნულ მუზეუმში ცენზურის წნეხში გაატარეს ზოფია კულიკის გამოფენა „ციმბირიდან კიბერიამდე“. სათაური ბევრს გვპირდებოდა და XX საუკუნის მხატვრული შეფასების მცდელობას წინასწარმეტყველებდა. იმ საუკუნისა, რომელიც პოლონელი გადასახლებულებისათვის ციმბირის საშინელებებთან ასოცორდებოდა და ბანაკებში სიკვდილთან იყო გაიგივებული, რათა ბოლოს და ბოლოს შევსულიყავით სამყაროში, რომელიც ვირტუალური ციფრული ჩანაწერებისგან შედგებოდა. კიბერია – ეს არის მულტიმედიური საინფორმაციო არხების სამყარო, რომელიც აღძრავს შერეულ გრძნობებს, სადაც ტრაგედია და გართობა, სიმართლე და სიცრუე „ცნობათა“ ერთიან ქაოსში არის ათქვეფილი. ეს ყველაზე კარგად ჩანს მხატვარი ქალის უკანასკნელი, 1999 წლის ნამუშევრიდან, რომელიც წარმოადგენს პოლონეთის და რუსეთის ტელევიზიიდან აღებულ მცირე მოცულობის სტოპ-კადრების ფოტოკოლაჟს.

დამაინტერესა ზოფია კულიკის ხელოვნებამ. განსაკუთრებით იმ დარბაზმა, სადაც წარმოდგენილი იყო მამაკაცის მოდელის რამდენიმე ასეული ფოტოეტიუდის სერია. თავშეკავებული, ფორმალურად მომწიფებული ნამუშევარი, რომლის

შთაგონების წყაროც პრაქტიკულად ევროპული კულტურის მთელი მემკვიდრეობა და განსაკუთრებით, კლასიკური ქმნილებები შეადგენს. ეს ფოტოგრაფიები წარმოდგენას გვიქმნის მხატვარი ქალის ოსტატობაზე და ნიშნების იმ ანბანზე, რომლებისგანაც იგი აგებს თავის ნამუშევარს, ასევე ჩვენი განტოტებული კულტურული ფესვების შესახებ. რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია, რომ 1999 წლის თებერვალში პოზნანის „არსენალში“ ნაჩვენები იყო გამოფენა, რომელიც წარმოადგენდა მხატვრების, – ზოფია კულიკისა და პშემისლავ კვეკას დუეტს. მხატვრებმა თავისი შემოქმედება დაიწყეს ჯერ კიდევ 1967 წელს. მათი ერთ-ერთი პროვოკაციული შემოქმედებითი აქცია, რომლის ჩანაფიქრიც იყო ხელოვნების შეჯახება ყოველდღიურობასთან და ამ მოვლენის დაფიქსირება ფოტოაპარატის დახმარებით, დასრულდა კვეკის დაპატიმრებით უცნობი ჯარისკაცის საფლავთან 1970 წლის თებერვალში. 1971-1987 წლებში ზოფია კულიკის და პშემისლავ კვეკის დუეტი სახელწოდებით „კვეკულიკი“, ერთად მუშაობდა. მათ თავიანთ ბინაში მოაწყვეს არაოფიციალური, ალტერნატიული მოქმედებების, დოკუმენტაციებისა და გავრცელების „სახელოსნო“. 1975-1979 წლებში თავიანთი მხატვრული შემოქმედების გამო მათ უარი უთხრეს საზღვარგარეთის პასპორტების მიცემაზე, აუკრძალეს პოლონეთის ტერიტორიაზე გამოფენების მოწყობა, თუმცა ზოგიერთმა ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ყურადღება არ მიაქცია ამ აკრძალვას. თავისი შემოქმედება ზოფია კულიკმა და პშემისლავ კვეკმა განსაზღვრეს როგორც „რეაქცია მოვლენებზე, განსაკუთრებით ცუდზე“. მათ აინტერესებდათ ადამიანსა და დაწესებულებას შორის უთანხმოების სფერო, ადამიანთაშორისი ურთიერთობის მექანიზმი და ის, თუ როგორ განაპირობებენ ჩვენს ადგილს სამყაროში ნივთები. მათი შემოქმედება – ეს არის რამდენიმე ასეული ანაბეჭდი „სიბახრომისა“ 1984-1987 წლების დიაპოზიტივებით.

მაგრამ კვლავ პოზნანის ეროვნულ მუზეუმში ზოფია კულიკის გამოფენას დავუბრუნდეთ. დამთვალიერებელთა გაკვირვება გამოიწვია ცარიელმა სივრცემ მუზეუმის სადემონსტრაციო დარბაზში, რომელიც გაჩნდა მას შემდეგ, რაც დირექცია წინააღმდეგი წავიდა მამაკაცთა ასოების ბუნებრივ ზომებში გადაღებული სურათების სერიის გამოფენისა. საინტერესოდ შეიძლება მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ ფალოსი იყო არა ნამდვილი, არამედ... მარმარილოსი. ეს იყო პეტერბურგის ერმიტაჟის კოლექციის ფირზე აღბეჭდილი სტატუეტების ფრაგმენტები. ის ფაქტი, რომ მუზეუმი უარს ამბობს იმ გამოსახულებების გამოფენაზე, რომელიც სხვა მუზეუმის საგამოფენო ექსპონატებს შეადგენს, შეიძლება საკმაოდ ეფექტურ სიუჟეტად გამოდგეს ძალზე ბილწი ანეგდოტისა ბნელეთის მსახურთა ცხოვრებიდან.

დაახლოებით მსგავსი რამ გადახდა კატაჟინა კოზირის პლაკატსაც „სისხლის კავშირები“. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის, რომ აქ საქმე ეხება არა ნაწარმოებს, რომელიც რამდენადმე მიუღებელი ან ვულგარულია კონსერვატორული ეთიკის თვალსაზრისით, არამედ ნამუშევრებს, რომლებიც კიცხავს ზოგიერთ ძირითად საზოგადოებრივ მითს. ზოფია კულიკის შემთხვევაში ეს არის საკითხი ხელოვნებაში მამაკაცის სხეულის გამოსახვის შესახებ, რომელიც გაძლიერებულია მუზეუმების როლთან კავშირით და ამ მუზეუმებში არსებული კლასიკური ექსპონატებით. ამ კოზირის ფოტოგრაფია შეეხო სხვა არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან სფეროსაც, კერძოდ კი, თუ ვის ეკუთვნის რელიგიური სიმბოლოები და ვის აქვს მათი გამოყენების რეგლამენტირების უფლება იმ, ერთი შეხედვით, ძალზე დაშორებულ შემთხვევაშიც კი, როგორიც არის სიმბოლო „წითელი ჯვარისა“. ამ პლაკატზე გამოსახულია ორი შიშველი ქალიშვილი, ამასთან, ერთ-ერთი მათგანი წევს წითელი ჯვარის ფონზე კომბოსტოს თავების გარემოცვაში, ხოლო მეორე ჩასმულია წითელ ნახევარმთვარეში, რომელიც ერთი მხრიდან შემოსაზღვრულია ფერადი კომბოსტოს თავის ზოლით. კომპოზიცია აგებულია, უწინარეს ყოვლისა, წონასწორობაზე: ფოტოგრაფიაზე გამოსახული ქალიშვილები დები არიან და ორივე მათგანი, თითოეული თავისებურად, დასახიჩრებულია. წითელი ჯვარი და ნახევარმთვარე (უდიდესი მონოთეისტური რელიგიების სიმბოლოები), გარდა მათ მიერ სიმბოლიზირებული ჰუმანიტარული ორგანიზაციების ნათესაობისა, დაკავშირებული არიან სისხლის ფერთან; ფერად და ჩვეულებრივ კომბოსტოს შორისაც ასევე მრავალი რამ არის მსგავსი, თუმცა ისინი „კანის ფერით“ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. წესით, გარეგნულად ამ აწონილ-დაწონილ, პროვოკაციისგან შორს მყოფ ეროტიკას და ძალზე ესთეტიკურ კომპოზიციას რაიმე განსაკუთრებული ემოცია არ უნდა გამოეწვია, მით უმეტეს, თუკი მას შევადარებთ ნახატებს სარეკლამო პლაკატებზე სიგარეტითა და ლუდით.

ზოფია კულიკი „ციმბირიდან კიბერიამდე"

პოლიტიკური ხასიათის მეორე მაგალითია პლაკატი, რომელიც ქუჩებში გვხვდება და რომლის ავტორიც არის გდანსკის ჯგუფი ტკცს (ტექნიკური კულტურის ცენტრალური სამმართველო). პლაკატზე გამოსახულია კომპიუტერზე მოდელირებული პრეზიდენტის პოსტზე იდეალური კანდიდატი ქალი ვიქტორია ტკცს. პლაკატს ახლავს წარწერა „პრეზიდენტი 2000" და ლოზუნგი „პოლიტიკოსები ზედმეტნი არიან". ამ პროვოკაციაზე ძალზე მწვავე რეაქცია ჰქონდა ცნობილ პოლიტიკოსს პეტრე ნოვინა-კონოპკას, რომელმაც პოპულარული ყოველკვირეული „ვპროსტ"-ის ფურცლებზე თავის სვეტში დაწერა: ეს ლოზუნგი იმდენად აბსურდულია, რომ დამახსოვრებაც კი ვერ შეძლო. იგი იძულებულია ამნეზიითღა დაიცვას თავი ამქვეყნიური სისულელეებისაგან და თუ უნებურად დაამახსოვრდებოდა რომელიმე იდიოტური ლოზუნგი, მას მოუწევდა შეეწყვიტა ქუჩაში გასვლა. რამ გააოცა ეს, როგორც ჩანდა, საზოგადოებრივი ცხოვრების გონიერი წარმომადგენელი? ტკცეს–ის პლაკატმა არაჩვეულებრივად ზუსტად დაარტყა ომ პოლიტიკურ კლასს, რომელიც ჯერ კიდევ თავისი მითოლოგიის შემუშავების ეტაპზე იმყოფება და ვერ წარმოუდგენია საზოგადოებრივი ცხოვრება თავისი მონაწილეობის გარეშე.

საუკუნის დასასრულის პოლონეთში თანამედროვე ხელოვნებაზე კამათის დეფიციტი არ იგრძნობოდა. პრესა, რადიო თუ ტელევიზია ერთმანეთს ეჯიბრებოდა ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გალერეის – ვარშავის „ზახენტეს" ორი გამოფენის შესახებ თავიანთ რეპორტაჟებსა თუ კორესპონდენციებში. დისკუსიაში ჩაება პარლამენტიც და როგორც ეს შენიშნა ერთ-ერთმა კომენტატორმა, თითქმის ყოველი მეხუთე დეპუტატი თავს საკმაოდ კომპეტენტურად თვლიდა ზემოთაღნიშნული გალერეის დირექტორის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. სხვა შემთხვევაში, ხელოვნებით მას-მედიისა და პოლიტიკოსთა ასეთი დაინტერესება მისასალმებელი იქნებოდა, მათი მცდელობები ამ მიზნის მისაღწევად საშინელებათა ფილმებისა და პოლიტიკური ფარსის ზღვრამდე რომ არ მისულიყო.

„ზახენტეს" პირველი სკანდალის გმირი გახდა ახალგაზრდა მხატვარი პეტრე უკლინსკი, რომელმაც წარადგინა ფოტოგრაფიების ციკლი სათაურით „ნაცისტები". სურათზე გამოსახულნი იყვნენ ცნობილი მსახიობები ჰიტლერელთა მუნდირებში. გამოფენის კონცეპცია ეყრდნობოდა ნაცისტური მუნდირის მომხიბვლელობის ცნობილ პარადოქსს, რომელიც ოდესღაც აღწერა სიუზენ ზონტაგმა ესსეში „მიმზიდველი ფაშიზმი". ბოროტების ამ სინონიმის მიმზიდველი სიკეკლუცე შეინიშნება ჰოლივუდში ომის შესახებ გადაღებულ ფილმებში: წამყვანი მსახიობები ტყავიდან ძვრებიან, რომ წუთით მაინც, უმცირესი საბაბით, გამოეწყონ გერმანელი თერძების შედევრში. მეხმა დაიქუხა მაშინ, როდესაც ერთი კინომსახიობი, რომელიც აღბეჭდილი იყო გამოფენაზე წარმოდგენილ სურათზე, ექსპონატებს ხმლით მივარდა. გაისმა აღშფოთებული ხმები იმის გამო, რომ გამოფენა თითქოსდა ჰიტლერიზმის პროპაგანდას ცდილობდა (sic!) და რომ, თითქოს, ეს სილის გაწვნას ნიშნავდა ვარშავისათვის, რომელმაც ჰიტლერელებისაგან ამდენი გადაიტანა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ იყო საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვანი იმის შესახებ, რომ თითქოს გერმანული მუნდირის მომხიბვლელობა ჩვენზე არ მოქმედებდეს, როდესაც სწორედ ამ დროს ტელევიზია ატრიალებდა რეკლამას, სადაც ელექტროტალღურ ღუმელს აქებდა გესტაპოელის მუნდირში გამოწყობილი ტიპი პოლონეთში პოპულარული სერიალიდან, სადაც გმირები გერმანულ ფორმაში არიან. როგორც ჩანს, ხელოვანმა თავისდაუნებურად გააღვიძა სხვადასხვა, ბოლომდე შეუცნობელი კომპლექსები, რომლებიც მკურნალობას დაექვემდებარება რომელიმე საზოგადოებრივი ფსიქოანალიზის პროცესში.

კიდევ უფრო დიდი არევ-დარევა გამოიწვია იტალიელი მხატვრის მავრიციო კატელანოს ნამუშევარმა „მეცხრე საათი", რომელიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე „ზახენტას" ასი წლისთავის იუბილეს ჩარჩოებში. ამ სურათზე

გამოსახულია მეტეორიტისაგან გაჭყლეტილი პაპი იოანე პავლე II. მიუხედავად იმისა, რომ კატელანის ნაწარმოები ძალზე ფართო ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა თანამედროვე სამყაროში პაპის სახის ფენომენზე დასაფიქრებლად და კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმაც კი ერთსულოვნად მიუთითეს სურათის წაკითხვის ასეთ შესაძლებლობაზე, სკანდალის თავიდან აცილება მაინც შეუძლებელი შეიქმნა. პარლამენტის ორმა დეპუტატმა მმართველი პარტიიდან გაანადგურა ეს ნაწარმოები. ამგვარად, თავისი ასი წლისთავის იუბილეზე „ზახენტა“ გადაიქცა კამათისა და მხატვრული პროვოკაციის არენად, რამაც გააშიშვლა პოლონეთის საზოგადოების ჭეშმარიტი ინტელექტუალური მდგომარეობა გაცილებით უკეთ, ვიდრე 94-იან წლებში დაწარილმა ნებისმიერმა ესსემ.

მაგრამ, მე მსურდა ყურადღება მიმეპყრო მეორე, გაცილებით უფრო ნაკლებადშესამჩნევი პროვოკაციისათვის, რომელიც მოაწყო პოზნანი–ბერლინის ტრასაზე ხუბერტ ჩერეპოკმა. ამ გზის პოლონური მონაკვეთი წარმოადგენს იაფი პროსტიტუციისა და ვაჭრობის ცნობილ ადგილს. აქ ყოველ კილომეტრზე გვხვდება ჯიხურები საბაღე „გნომებით“, რომელსაც აღმერთებენ გერმანელები და იყიდება სიგარეტი თუ სხვა წვრილმანი საქონელი. მუყაოს „პლაკატები“ მოგიწოდებენ იყიდო საქონელი. მხატვარმა ტრასაზე არსებულ რეკლამებს საკუთარი ლოზუნგები მიუმატა: „სიკვდილი ყველას ელის“, „ახლოა დასასრული“, „ჩვენ დავინაცრებით“, „უკან დასახევი გზა აღარაა“ და სხვ. ყველა ეს წარწერა გაკეთებული იყო გერმანულ ენაზე და გამიზნული გერმანელი ტურისტებისათვის, რომლებიც აქ საქონელს იძენენ. თავის პროვოკაციებში ხუბერტ ჩერეპოკი, ვგონებ, არც კი ეხება ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემას. იგი თავის ყურადღებას, ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვან საქმეებზე აჩერებს, მაგალითად, ნახევრადლეგალურ საზღვრისპირა ვაჭრობაზე, ორი სამყაროს ცივილიზებულ გამიჯვნაზე (ამასთან, ჩვენი ქვეყანა საზღვრის „ცუდ“ მხარესაა). ამ გამომწვევი ირონიით სავსე აქციამ მის ადრესატებში გაკვირვება და ისტერიული სიცილი გამოიწვია. ამავე დროს მხატვარმა გვიჩვენა, რომ ძალზე უბრალო საშუალებების გამოყენებით ზოგჯერ შესაძლოა გასაოცარი ეფექტის მიღება.

როდესაც მე ვწერ „90-იანი წლების პოლონეთის კულტურაზე“, მახსენდება პოზნანის გალერეა „არსენალის“ მიერ გამოცემული გუეგოუ ზიამსკის ამავე სახელწოდების წიგნი. ეს გახლავთ რეცენზიებისა და მოსაზრებების კრებული, რომელსაც „ავანგარდის შემდეგ ავანგარდის“ ავტორი ბეჭდავდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. არ ვიცი, რამდენად იმალება ავტორის ირონია იმაში, რომ ამ პუბლიკაციების ნაკრებს ხსნის რეცენზია უკვე ყველასგან დავიწყებულ ღონისძიებაზე, სახელწოდებით „ინტერარტ“, რომელიც გაიმართა პოზნანის საერთაშორისო ბაზრობის ტერიტორიაზე. არავის უყვარს გაიხსენოს, როგორი სასაცილოები ვიყავით ოდესღაც, როცა სერიოზულად ვუდგებოდით „სოციალისტური ქვეყნების ხელოვნების ბაზრობის“ ორგანიზებას, რაც იდეაშივე იწვევდა ღიმილს. თავისთავად სახელი „ხელოვნების ბაზარი“ – სოციალისტურ ქვეყნებშიც კი იუმორის საზღვრებს სცილდება.

1990 წლის „ინტერარტი“ მაინც განსაკუთრებული იყო: ბედის ირონიით, ზუსტად პირველი „ინტერარტი“, რომელმაც უკუაგდო გროტესკული განსაზღვრება და დაერქვა უბრალოდ „ხელოვნების ბაზარი“, უკანასკნელი აღმოჩნდა. დასრულდა სოციალიზმი – დასრულდა ხელოვნების ბაზრობაც. განა ეს სასაცილო არ არის? სოციალიზმი სპეციალიზდებოდა ფიქტიური არსის წარმოებაზე. მეშვიდე „ინტერარტის“ სტუმარი იყო ფრანკფურტის ბაზრობის დირექტორი ანიტა კეგი. პოლონეთის საზოგადოებისათვის წაკითხულ ლექციაში მან გაიხსენა, რომ დასავლელი ექსპერტების შეფასებათა თანახმად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დასჭირდებათ 6-7 წელი იმისათვის, რომ შექმნან ნამდვილი ხელოვნების ბაზარი. მე მზადა ვარ თავი დავდო, რომ, თუკი ქ-ნი კეგი ესტუმრებოდა ჩვენს ქვეყანას დღეს, იგი სუფთა სინდისით გაიმეორებდა იგივეს. 1990 წელს შვიდი წლის ლოდინი სამუდამო პატიმრობის ანალოგიად მოსჩანდა. დღეს რეალური პერსპექტივაა, რომ ექვსი-შვიდი წლის შემდეგ პოლონეთის ბაზარზეც მოხდეს გარდატეხა. როგორც ჩანს, 90-იან წლებში ხელოვნებაში, ისევე როგორც მთელ პოლონურ კულტურაში, – იყო სერიოზული გადაფასებების დრო, როდესაც მძიმედ სტოვებდა სარბიელს ძველი, სხვა პირობებში ფორმირებული თაობათა ფორმაციები და ყალიბდებოდა ბევრისთვის მიუღებელი სრულიად ახალი მიდგომები. ეს ეხება არა მხოლოდ ახალი ნაწარმოების ფორმალურ ასპექტს, არამედ თავად ხელოვნების განსაზღვრებასაც, თვითონ „მხატვარ-შემოქმედის“ გაგებასაც თანამედროვე სამყაროში.

თარგმნა ამბროსი გრიშუაშვილმა

ლეშეკ შარუგა

უკანასკნელი ათწლეულის ლიტერატურა



სადაო საკითხია, თუ როდის დამთავრდა სახალხო რესპუბლიკის ეპიზოდი პოლონეთის ისტორიაში. ზოგი 1989 წლის 4 ივნისს ასახელებს, როდესაც სეიმის არჩევნები ჩატარდა, სხვები – 1990 წლის 22 დეკემბერს, დღეს, როდესაც რიშარდ კაჩოროვსკიმ ლეხ ვალენსას, აქამდე ემიგრაციაში გადანახული, პრეზიდენტის რეგალიები გადასცა. ერთი რამ უეჭველია, სოციალისტური პერიოდის დასასრულთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც. უპირველეს ყოვლისა დასრულდა კულტურის დაყოფა სამამულო და ემიგრაციულად, რაც პოლონური ლიტერატურისათვის მეტად დამამძიმებელი რამ იყო. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება ცენზურის მოხსნაა. მესამე ძირითადი ფაქტორი კი – პროვინციის აღორძინება და ამდენად დეცენტრალიზაცია.

როგორც ყოველთვის მსგავს შემთხვევაში, კრიტიკა, ისევე როგორც მკითხველი, ლიტერატურის მხრიდან მკვეთრ რეაგირებას მოელოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ამ ცვლილებებზე. შემთხვევითი არ იყო რომ ლიტერატურულ ჟურნალ „**BruLion**“-ის ფურცლებზე, რომელიც ჯერ კიდევ 80-იან წლებში არაოფიციალურად გამოდიოდა, გაიმართა მწვავე დისკუსია, რომლის ლოზუნგადაც იქცა შეკითხვა: „ახალი სკამანდრიტები ხომ არ არიან?“ ეს შემთხვევითი შეკითხვა არ გახლდათ, რადგანაც „სკამანდრები“ 1918 წელს განთავისუფლებული პოლონეთის პოეტები იყვნენ, რომელთა შემოქმედებამაც ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა. 1989 წლიდან ზოგიერთმა კრიტიკოსმა პოეტ რობერტ ტეკელის რედაქტორობით გამომავალი „**BruLion**“-ის გარშემო შემოკრებილი პოეტები „სკამანდრების“ მსგავს დაჯგუფებად მიიჩნია. შემოქმედების საწყის ეტაპზე ეს მწერლები აუჯანყდნენ, როგორც იმას რასაც შეიძლება ოფიციალური მეტყველება ეწოდოს, ასევე იმასაც, რაც დამახასიათებელი იყო ოპოზიციური მეტყველებისთვის – პოლიტიკით გადაჯერება. კულტურული ცხოვრების ორივე სფეროს იდეოლოგიზაცია – ოფიციალურისაც და იატაკქვეშეთისაც – აღიზიანებდა ახალგაზრდებს, მასხარაობისკენ უბიძგებდა, რაც იგრძნობოდა კიდეც მათ ნაწარმოებებში და ისეთი ჯგუფების მოღვაწეობაშიც, როგორიც იყო ვროცლაური „ნარინჯისფერი ალტერნატივა“, რომლის მიერ მოწყობილი ღონისძიებები დასცინოდნენ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ

ზოგიერთ შემთხვევაში „სოლიდარნოშჩ“-ის უზომოდ გაბღენძილ „ვეტერანობასაც“.

1918 წლიდან „სკამანდრიტები“ იან ლეხონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „აცხადებდნენ, რომ მათ გაზაფხულზე გაზაფხულის დანახვა უნდათ და არა პოლონეთის“. 1989 წლის შემდეგ კრიტიკა მსგავს რეაგირებას ელოდა ახალგაზრდა მწერლებისგანაც. და მართლაც, ბევრი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში პოლიტიკისა და ისტორიული პრობლემატიკისაგან განდგომა შეიმჩნეოდა. ახალგაზრდებს აღარ უნდოდათ პოლონეთი, აღარ უნდოდათ პოლიტიკა, აღარ უნდოდათ ისტორია. ხოლო რადგანაც კრიტიკას ყურადღება სწორედ ახალგაზრდებზე ჰქონდა გამახვილებული, დააჯერა (როგორც ჩანს ნაადრევად), რომ მთელმა თანამედროვე ლიტერატურამ ზურგი შეაქცია თანამედროვე პოლონეთს, რომ იგი კერძო, პირად საქმეებში ჩაეფლო, და რომ მისთვის ყველაზე არსებითია – არა დიდი საზოგადოებრივი და იდეური პრობლემები, არამედ პირადი სამშობლოს შეგრძნება და მთელი სამყაროსაგან დამოუკიდებლობის დემონსტრირება. თითქოს ამ დიაგნოზის დადასტურება იყო „**BruLion“**-ში გამოქვეყნებული „სამი მარჩინის“ (ბარანი, სენდეცკი და სვეტლიცკი) ლექსი-მანიფესტი, რომელშიც ისინი§ პირდაპირ და მკაცრად პასუხობდნენ უფროს კოლეგა - პოეტს, რომელმაც ახალ თაობას მნიშვნელოვანი საკითხების უგულებელყოფა უსაყვედურა.

„ფანჯრის მიღმა ჩემი ..., იდეები არა სჩანან”

მსგავსი პროტესტი, ან იქნებ უფრო ბავშვური გამოხტომები, მორალურ შოკში ჩაგდებისა და ვულგარიზმით შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი – მაგალითად მანუელა გრეტკოვსკას მსგავსად, რომელმაც თავისი პროზის გმირი ორი კლიტორით აღჭურვა, – იწვევს არ 1918 წლის ასოციაციას, არამედ უფრო მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნის „მლოდაპოლსკა“-ს გვაგონებს, რომელსაც მიზნად ჰქონდა „წვრილი ბურჟუების“ შეძრწუნება. მხოლოდ ერთი კია, მსგავსი გაცვეთილი მეთოდები თანამედროვე „ ფილისტერებზე“ შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენენ. ასევე ვერ დასცა თავზარი ვერც მკითხველთა ფართე წრესა და მით უფრო პროფესიონალებს 1991 წელს გამოცემულმა ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგიამ სათაურით **„Przyszli barbarzyncy“ ,** რომელიც წაკითხული შეიძლება ორგვარად იქნეს: „ბარბაროსები მოვიდნენ “ან „მომავალი ბარბაროსები“.

საქმე იმაშია, რომ დღესდღეობით აღარ არსებობენ ნამდვილი ფილისტერები. ან - ჯერ არ არსებობენ. ამიტომ „ბარბაროსები“, რომლებიც თითქოსდა მათ უნდა ემუქრებოდნენ, მიზანს ვერ ახვედრებენ. უფროსი თაობა თითქოს უკეთესად აფასებს სიტუაციას, რისი ნათელი მაგალითია ერთის მხრივ ტადეუშ რუჟევიჩის პოეზია, ხოლო მეორეს მხრივ, ტადეუშ კონვიცკის პროზა, უპირველეს ყოვლისა რომანი „საკითხავი“, რომლითაც ეს გამოჩენილი მწერალი დამოუკიდებლობის მოპოვებას მიესალმა. ორივე ნაწარმოებში ნაჩვენებია დეგრადირებული, შემკრავი ნივთიერების გარეშე დარჩენილი, ატომიზირებული სამყარო. თანამედროვე ბაღი რუჟევიჩის პოეზიაში, სადაც ადამის ძეს ვხედავთ, შემაძრწუნებლად გამოიყურება:

„მე ის ბაღში დავინახე

გაშიშვლებულ ხეებს შორის
ხის პალოზე მიბმული
ცარიელი ლუდის ქილასავით,
ასკილის ბუჩქზე
ჰიგიენური პაკეტივით გაფენილი.“
(„მე დავინახე ის“)

ამ ლექსის სამყაროში ადამის ძე წარმოდგენილია პარკში სკამზე წამოწოლილ ნაგვის შემგროვებელ მათხოვრად, რომელიც მხოლოდ ზიზღს თუ იწვევს:

“მივდოდი გზააბნეული
უკანვიხევდი
გავრბოდი

სახლში ხელები დავიბანე.“

ლექსის გმირი პილატეს საქციელს იმეორებს: არ უნდა თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ამ ადამიანზე, ზურგს აქცევს, ტოვებს მას, რადგანაც ასკვნის, რომ:

„ადამიანი – ეს უბედური შემთხვევაა
ბუნების წარმოების
ნარჩენი.
ადამიანი
ეს შეცდომაა.”

ავტორი იყენებს „სიტყვას, რომელიც ტყუის / ამახიმჯებს, აავადებს”. ის, რასაც ოდესღაც ფორმა და ფერი გააჩნდა, ახლა იქცა უფორმო მაგმად, გათითხნულ არარაობად, რაც ასე ნაცნობია ეჟი ანჟეევსკის “სალაფავი”-ს მკითხველისათვის. ახლა, როდესაც დაიმსხვრა ძველი სისტემა, რომელიც რეალობას ალამაზებდა, კაცობრიობის საცოდაობა მთელი სიცხადით წარმოჩინდა.

ასევე გამოიყურება სამყარო კონვიცკის რომანში “საკითხავი”, სადაც თავად სათაური პროვოცირებას იწვევს. თითქოს ავტორი გვეუბნება: “თქვენ არ გინდათ და არც გჭირდებათ ლიტერატურა, “საკითხავი” გეყოფათ.” ამ ნაწარმოებში კონვიცკი სათავგადასავლო სიუჟეტის მქონე უმნიშვნელო ისტორიას გვიყვება, რომელშიც სასიყვარულო რომანიც არის ჩაწნული. ამბავი ვითარდება ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის წინ მდებარე ევროპის ყველაზე დიდი ბაზრობის მახლობლად. ადგილი, სადაც სამყაროს ფასი დაკარგა, სტრუქტურა დაინგრა. ეს არის რეალობა, რომელიც ძველი სისტემის დამსხვრევის შედეგად დამკვიდრდა.

არარაობა სუფევს, როგორც რუჟევიჩი წერს:

“ახალგაზრდებმა არ იციან
სად მოხვდნენ
სად არის რომი სად ყირიმი
(ოჰ! ბ... ვიყო! სადაა მაყუთი?)
(“პოეზიის გასაყართან”)

ორივე მწერალი თანამედროვეობის ასეთ აღქმას ათავსებს ხედვის განსაზღვრულ ტრადიციებში, რომელმაც სათავე ჯერ კიდევ ომისდროინდელ პერიოდში დაიდო, ეპოქაში როდესაც ფასეულობების სისტემა მდგრადი და უცვლელი გვეჩვენებოდა, საზოგადოება კი თავადაც მშვენივრად ერკვეოდა ყველაფერში. დღესდღეობით ადამიანის სახელი გათელილია, ღირებულებების ძველი სისტემა კი დანგრეული და წაშლილი. და არცაა გასაკვირი როცა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე პოეტი მარჩინ სვეტლიცკი (რომლის დებიუტი 1989 წელს შედგა) დაწერს, რომ ახალი ეპოქა, წარსულის ნაშიერ “საკონცენტრაციო ბაღს” წარმოადგენს. რას ნიშნავს ეს ტერმინი, რამდენად გამოხატავს იგი 80-იანი წლების თვითშეგნებას?

1989 წლის შემდეგ, და მანამდეც, ლიტერატურაში შეიმჩნევა ორი განშტოება. პირველი შეგვიძლია აღვწეროთ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან განდგომა, მეორე კი - ამ პრობლემების გადაფასების მცდელობა. საქმე იმაშია, რომ პოლონეთის რეალური ცხოვრება სხვადასხვა მიზეზის გამო (მათ შორის: ცენზურა და საკითხის უცხო თვალით შეფასების უნარის არქონა), ლიტერატურაში არ აისახა. ეს ეხება ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. მხატვრულ ნაწარმოებებში არ ჩანს: სამხედრო რეჟიმით გამოწვეული ფსიქოლოგიური შოკი, გასახლებები და დეპორტაციები, საზღვრების გადაადგილება, ფაქტი რომ მოსახლეობის ნაწილი დაასახლეს დიდ აგლომერაციებში, რამაც მთლიანად შეცვალა მათი ცხოვრების სტილი. შეგახსენებთ, რომ ომის შემდეგ საჭირო იყო გერმანელებისაგან და ებრაელებისაგან "გათავისუფლებულ" მიწებზე ხალხის დასახლება. მოსახლეობის მიგრაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია დიდი ქალაქების ჩამოყალიბებაში. მაგალითისთვის ვარშავის მოსახლეობის 80% ომის შემდეგ არის ჩამოსახლებულია.

ლიტერატურამ ვერ შესძლო ცხოვრების თითოეული ამ ასპექტის აღწერა. ან არ შესწევდა უნარი აღეწერა. აღმოსავლეთის მიწების დაკარგვაზე საუბარი არ შეიძლებოდა. ამიტომაც არის, რომ კონვიცკის რომანის გმირი თავს უცხოდ გრძნობს სივრცეში, რომლის ცენტრიც კულტურის სასახლესთან მდებარე ბაზრობა გამხდარა. ახალი ვილეიკისა და ვილნიუსის დაკარგულ პეიზაჟები კი მხოლოდ ძილში თუ ელანდება. მწერალი დანაკარგზე მხოლოდ მოგვიანებით ალაპარაკდება, 1989 წლის შემდგომ გამოცემულ წიგნებში: „საკითხავი", „ბოხინი", „განთიადი", „პამფლეტი საკუთარ თავზე".

ამ თემას არა მარტო კონვიცკი შეეხო. ტერესა ლიუბკევიჩ-ურბანოვიჩი თავის ცნობილ, რეალისტურ რომანში "ღვთის გლახა." კრიტიკულად უყურებს წარსულს (რომანი ეკრანიზებულია იზაბელა ცივინსკას სერიალში). იგივე თემა გვხვდება ახალი თაობის მწერლებთანაც: ალექსანდრე იურევიჩის მოთხრობა „ლიდა"-ში, რომელმაც ჩესლავ მილოშის პრემია დაიმსახურა. ასევე პაველ ჰიულლეს ლექსებში, კაზიმიეჟ ბრაკონიეცკის, ზბიგნევ დომინიაკისა დაა ტადეუშ ჟუკოვსკის ნაწარმოებებში. ჟუკოვსკი თავის " ელეგია აღმოსავლეთით მგზავრობის შესახებ"-ში წერს:

„მატარებლის ფანჯრებს მიღმა მონოტონურად მოცეკვავე
ფიჭვები, არყის ხეები და მოუმკელი ყანებია (...)
დედა, კიდევ ერთხელ გასაჩენად
ხომ არ მაბრუნებ უკან?
ცა ჩვენთან ერთად დაბრუნდა წარსულში
ისეთივეა მიწაც და მხოლოდ
რუსული ენის ფუტკრებმა
სულ სხვანაირად დაიბზუილეს. (...)
ავტობუსის ფანჯრის მიღმა
რადუნია. და მროკავი
პეიზაჟიც გაშეშდა.
ერთგული ხეების ჰორიზონტს ზემოთ
ქვის გუმბათებით ხელებაწვდილი
ჩენი ნათლობის საყდარი მოჩანს
კრესებზე მოგზაურობა დასრულდა?"

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძალზედ რთულია. დაკარგული მიწების პეიზაჟები, რომლებიც ერთ დროს ჟეჩპოსპოლიტას კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ლანდშაფტს შეადგენდნენ, არასოდეს წარიშლება ხალხის კრებითი მახსოვრობიდან.

რადგან აქ აქვს ფესვები რომანტიკოსების პოეზიას, სენკევიჩის პროზას, თუ ივაშკევიჩის შემოქმედებას (მხოლოდ ამ მაგალითებით შემოვისაზღვროთ). საკითხი იმაშია, თუ როგორ განვაგრძოთ ცხოვრება ამ პეიზაჟების გარეშე ისე, რომ არ გამოვიწვიოთ მტრობა და არ გავაღვიძოთ წარსულის აჩრდილები. ბოლოს და ბოლოს ეს არა მარტო ლიტერატურული საკითხია. კითხვა - არის თუ არა ეს დასასრული მგზავრობისა „კრესებზე“ (ერთ დროს პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრები), ამ თვალსაზრისით, პრინციპიალური საკითხია, რადგან მოიცავს იმ აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობის ასპექტს, რომლებიც თავად ცნება „კრესები”-ს ხმარებაშიც კი საფრთხეს ხედავენ. ამ საკითხზე უამრავი პუბლიკაცია არსებობს, საკმარისია დავასახელოთ თუნდაც იაცეკ კოლბუშევსკის შესანიშნავი „კრესები” სერიიდან „სწორედ ეს არის პოლონეთი“. და მაინც შესანარჩუნებელია თუ არა ეს ტერმინი, უკვე ისტორიული, მაგრამ ღრმად ფესვებ გადგმული პოლონურ ლიტერატურაში, თუ ვისაუბროთ მხოლოდ „სამიჯნაო ლიტერატურის” შესახებ?

ეს ერთი შეხედვით თეორიული საკითხი არაერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში იქნა განხილული, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ტერიტორიებს. გავიხსენოთ თუნდაც პაველ ჰიულეს „ვეიზერ დავიდეკი“ ანდა სტეფანე ხვინის „ჰანნემანი“, რომლებშიც გერმანულ ლიტერატურასთან დიალოგი გაიმართა აღმოსავლეთის მიწების შესახებ. ასევე ოლგა ტოკარჩუკის რომანი „დღის სახლი, ღამის სახლი“ და წიგნები: ადამ ზაგაევსკის „ორი ქალაქი“, იულიან კორნჰაუზერის „სახლი, სიზმარი, საბავშვო თამაშები“, ანდა თუნდაც არტურ დანიელ ლისკოვაცკისა და ინგა ივასიუვის შჩეჩინის პროზა, და რა თქმა უნდა ერვინ კრუკის შემოქმედება, რომელშიც ნათლადაა აღწერილი ვარმიისა და მაზურების ისტორია („მაზურის ქრონიკები“). ოლშტინის კულტურულ თანამეგობრობა „ბორუსსიაში“ გაერთიანებულმა პოეტებმა აღმოსავლეთ პრუსიის მოსახლეობის პრობლემა წამოჭრეს. კაჟიმიუ ბრაკოვიეცკი, ზბიგნევ ხოინოვსკი, ალიცია ბიკოვსკა-სალჩინსკა „ბორუსიის“ ავტორები არიან. ლექსში „ისტორიკოსი“ ვკითხულობთ:

„და ბოლოს რჩება
მიწა არაფისი
მიწა წამებული
როგორც პატარა,
სულ ახლახანს დაჭრილი
ღმერთი.”

ეს ნაწარმოებები ეძღვნება არა მარტო ამ მნიშვნელოვან ისტორიულ დანაკარგს, არამედ იმ მოსახლეობის სატკივარს,, რომლებმაც დატოვეს ძველი ტერიტორიები. 1989 წლის შემდგომი ლიტერატურაც ამ პრობლემატიკას ეხება. ანჯეი ზავადამ საკუთარ ესეების კრებულს “ბრესლავი” უწოდა. შეაერთა რა ქალაქის გერმანული და პოლონური სახელწოდებები ავტორმა გამოხატა მზადყოფნა დიალოგისთვის, რომელიც შეიძლება მომავალში გამაერთიანებელი ფაქტორი გახდეს.

შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს ამ საკითხის წამოჭრა მხოლოდ 1989 წლიდან. რა თქმა უნდა მარტო ცენზურა ვერ იქნება გასამართლებელი საბუთი. ადრულ პერიოდშიც გვხვდება ეს თემა, თუმცა შეკვეცილი და ვიწრო სახით, კორნელი ფილიპოვიჩის, ტადეუშ რუჟევიჩის, ვლადიმირ ოდოევსკის თუ კატარინა სუხოდოლსკაიას შემოქმედებაში. თუმცა ეს ცალკეული ნაწარმოებები იყო და ერთიან გამოკვეთილი საკითხად არ ჩამოყალიბებულა. დღეს, როდესაც ახალ რეალობაში აღზრდილი პოეტების თაობა ძალას იკრებს, ახალი პეიზაჟების დაფუძნება და ადამიანის მიერ საკუთარი ადგილის პოვნა აუცილებელი ხდება. იმისათვის რომ გავიგოთ სად არის ჩვენი

ადგილი საჭიროა მივუბრუნდეთ წარსულს, გავიაზროთ რა მემკვიდრეობა გაგვაჩნია და გავერკვეთ ჩვენს დამოკიდებულებაში წარსულის მიმართ.

ახალი ლიტერატურის მიზანი იყო გაეთავისუფლებინა ეროვნული სული უკვე დაწერილი ისტორიის უღელიდან. მხოლოდ ამ ისტორიას ისედაც გადამწყვეტი ხმა აქვს, იმაში, თუ ვინ არიან პოლონელები და ვინ უნდათ რომ იყვნენ.. ასე რომ ამ გარდატეხის პერიოდში, როდესაც მილოშ ბეჯიცკი ითხოვს უკან მოვიტოვოთ "აშლოპების" მხარე - პოლონეთი, ეს სურვილი მარტინ სვეტლიცკის იმ ლექსს გვაგონებს, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლონური ცხოვრების ახალი ჰორიზონტები – "საკონცენტრაციო ბაღია". ამავდროულად აღსანიშნავია, რომ პარნიცკის უკანასკნელი რომანის: "მეტისების ისტორია" (1992) გმირისათვის პოლონეთში დაბრუნება ერთ-ერთი უმთავრესი ცხოვრებისეული პრობლემაა.

ისტორიულ თემას მიეძღვნა უკანასკნელი ათწლეულის უფროსი თაობის მწერლების სქელტანიანი რომანებიც: შჩიპიორსკის "ავტოპორტრეტი ქალთან ერთად", მისლივსკის "ჰორიზონტი", ტერლიცკის "ჯალათის კუნძული". ოდოევსკის რომანის "ოქსანას" გმირები კი ისტორიასა და მის დღევანდელობაზე გავლენას ეჭიდებიან. ისტორიული მოტივებითა არის გაჟღენთილი ჰერლინგ-გრუძინსკის უკანასკნელი ნაწარმოებებიც. იაროსლავ მარეკ რიმკევიჩის მიცკევიჩისეულ პროზის თხრობის სტილს განსაზღვრავს ისტორიის მეტად სპეციფიკური აღქმა და მისი რომანტიულ ჭრილში წარმოჩენა. მიცკევიჩის მაგალითი აიძულებს ავტორს გამოთქვას შემდეგი კომენტარი ლექსის "დედა პოლონეთს" შესახებ: "ეს არის ლექსი რომელიც გვეუბნება: უნდა იცოდეთ სად ცხოვრობთ, პოლიტიკოსები და მათი დაქირავებული ჟურნალისტები ატყუებენ ხალხს, იმით რომ ამტკიცებენ - ერს უკვე აღარაფერი აღარ ემუქრებაო. მაგრამ მიცკევიჩი სიფრთხილის ნიშანს გვაძლევს." და მართლაც: იმის დაჯერება, რომ ისტორია შეჩერდა, დამღუპველი და უაზროა. მაგრამ მიგვანიშნებს თუ არა ეს კატასტროფის მოახლოებას?

ეს კითხვები დღეს სხვანაირად ჟღერს, ვიდრე ოცი წლის წინ. და ასევე განსხვავებულად აირეკლება იგი ლიტერატურაში, რომელიც ნებით თუ უნებლიედ (ხანდახან დემონსტრაციულადაც კი) აღწერს ახლო თუ შორეულ ტრადიციებს, პოლონეთსა და პოლონელებს, სივრცეს რომელშიც ეროვნულობა ელინდება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა ახლიდან პოულობს თავის ადგილს კულტურულ ცხოვრებაში.

თუმცა ეს არ არის უახლესი ლიტერატურის ერთადერთი თემატიკა. აქ გაისმის სხვა ხმებიც, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება აქ ნახსენები პრობლემატიკისაგან. ამის მაგალითია მილოშ ბეჯიცკის ლექსი "აშლოპ", რომელიც ძალზედ პოპულარული იყო 90-იანი წლების დასაწყისში. სახელწოდება წარმოდგა პოლონეთის ("**Polsza**" – ს) ასოების შებრუნებით. მაგრამ აქ მთავარია არა პოლონეთი, არამედ ცხოვრება, რომელიც ჩაფლულია "მოჩვენებითი სილამაზის" დინებაში.

"ცხოვრება – სხეულის დაშლის ეპოპეაა!
უკვე გეგონა რომ ყველაფერი თავის
კალაპოტში ჩადგა, როდესაც უეცრად
სარკეში შეამჩნიე ორმაგი ღაბაბი.
მამა მიმტკიცებს: „წერას თავი გაანებე,
თორემ ჰერბერტს დაემსგავსებიო"
როგორ არ შეექმნა მოჩვენებითი სილამაზე, როცა
ყოველი კუნთით ეგრძნობ, როგორ
მეცლება ფეხქვეშ მიწა."

მართლაც რომ ცხოვრება, ამაოება, ეგზისტენციური დრამა – უფრო მნიშვნელოვანი თემებია, ვიდრე პოლონეთი თუ "აშლოპ"-ი, რომელიც, საბოლოო ჯამში ისედაც მნიშვნელობას კარგავს, რადგან "ბოლოს რჩება მიწა არავისი".

დაახლოებით ოცდაათი წლის წინ იან ბლონსკი ნაწარმოებში "პოლონელები – როგორ აღიქვამენ მათ და როგორები უნდათ რომ იყვნენ" წერდა: "რა არის ჩვენი ლიტერატურა, თუ არა პოლონეთისა და პოლონელების ამსახველი ნათელი სურათი? უფრო მეტიც: ლიტერატურა ცდილობს გვიჩვენოს ეს ნახატი, მაშინაც კი, როდესაც სინამდვილეში არაფერს არ ასახავს." ეს უნივერსალური ფორმულა საშუალებას გვაძლევს ლიტერატურის, როგორც ერის სარკის აღქმას. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სხვადასხვანაირად აირეკლება იგი გომბროვიჩის, კონვიცკისა თუ კაჟიმიეჟ ბრანდისის შემოქმედებაში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს მწერლები შეგნებულად აყენებდენ ეროვნულ თემას საკუთარი შემოქმედების ცენტრში. გომბროვიჩს სურდა კიდეც ნაწარმოებებში აერეკლა ეროვნულ თვითშეგნებაში მომხდარი ცვლილებები. მილოში "პოეტურ ტრაქტატში" საუბრობს ქვეყნის ისტორიაზე, მრავალმხრივი პოლონური საწყისის განმსაზღვრავ ელემენტებზე, ასევე ახალ სახელმწიფოებრიობაზე, გლობალურ სამყაროსა და სხვადასხვა კულტურის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ ისტორიაზე. და თუ, არც თუ ისე შორეულ წარსულში გერმანული ლიტერატურის კრიტიკის "პატრიარქი" მარცელ რაიხ-რანიცკი კიცხავდა პოლონური მხატვრული სიტყვის შემეცნებით აქტიურობას და აღშფოთებული აღნიშნავდა, რომ იგი ხოტბას ასხავს სოფელსა და მიყრუებულ ადგილებს, გარკვეულ წილად მართალიც იყო. დიახ, ეს სოფელია, მაგრამ სოფელი მაკ-ლუგანის ნამუშევრებით ცნობილი, სოფელი, რომელიც რუქაზე მდებარეობის მიუხედავად, მაინც მსოფლიო ცენტრს წარმოადგენს. და არა მიყრუებული ადგილი – როგორც გერმანელი კრიტიკოსი უწოდებს.

მსგავს "სოფელს" წარმოადგენს ნიუ-იორკი იანუშ გლოვაცკის დრამაში "ანტიგონა ნიუ-იორკში" და იზაბელა ფილიპიაკის მოთხრობებში წიგნიდან "სიკვდილი და სპირალი". ესეთივე "სოფელია" – სამყარო, წარმოდგენილი ანჟეი სტასიუკის "გალიციურ მოთხრობებში" და მთელი სივრცე ოლგა ტოკარჩუკის ბოლო ნაწარმოებებში. ასეთივეა ვარშავა მაგდალენა ტულასთვის და პარიზი კშიშტოფ რუტკოვსკისთან. ყოველივე ეს მრავალ კულტურა შერწყმულ სივრცეს ქმნის, რომელსაც მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიცია გააჩნია, როგორც პავლე ჰიულლესა და სტფანე ხვინის გდანსკს, შჩეჩინს - ლისოვაცკის რომანში **"Einne Kleine",** ვარმია-მაზურებს - კაჟიმიეჟ ბრაკონიეცკის ნაწარმოებებში, ჰამბურგს - იანუშ რუდნიცკის პროზაში და ადგილებს, რომლებზედაც საუბარია იაცეკ პოდსიადლოს ლექსებსა, თუ ნატაშა გერკეს მოთხრობებში. "თანამედროვე პოლონელი" (მანუელა გრეტკოვსკას პოპულარული წიგნის სახელწოდება რომ გამოვიყენოთ) "ნათელმხილველი" არის. ის ყველგან შინ გრძნობს თავს, მაშინაც კი, როდესაც პროვინციულ ქალაქსა თუ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს – თავი "მსოფლიოს მოქალაქე" ჰგონია. განთავისუფლებულია "პროვინციელის" კომპლექსისგან, რადგან იცის, რომ მისი პროვინცია არაფრით არ განსხვავდება სხვებისაგან: თუნდაც იმიტომ რომ თავად დედამიწის მრგვალი ფორმა არ იძლევა საშუალებას რომელიმე ადგილს მისი ცენტრი დავარქვათ. თუმცა ეს აზრი არასოდეს არ არის პირდაპირ ნათქვამი ლიტერატურაში, მსგავსმა დამოკიდებულებამ ამ საკითხისადმი მაინც ფეხი მოიკიდა ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ახალი თაობის ავტორებთან. "ლვოვი ყველგანაა", როგორც ადამ ზაგაევსკიმ აღნიშნა თავის ცნობილ ლექსში ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში. ვოიჩეხ ვენცელმა შემოქმედებით გზაზე საკუთარ პროვინციასა და წმინდა მიწას შორის დიდი მსგავსება აღმოაჩინა.

"მსოფლიოს მოქალაქე" ამ ახალი ლიტერატურის გმირი უარს არ ამბობს საკუთარ მეზე, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ თემას უფრო თანამედროვედ აღიქვამს,

ვიდრე წინა თაობა. უკანასკნელი ათწლეულის ნაწარმოებებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ საკითხის ახლებურად შეფასების, ეროვნულობის განსხვავებულად ჩამოყალიბების სურვილი. ძველებური შეფასება, თუ განსაზღვრა მოძველებური აღმოჩნდა. ამან დადებითი შედეგი მოიტანა, რადგან საჭირო გახდა ძიებებით ახალი პოლონური საწყისის აღმოჩენა. ეს არ იყო სიახლე. ედუარდ ბალცეჟანი ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში აქცევდა ამას ყურადღებას, როდესაც იან პოლკოვსკის პოეზიაზე მსჯელობის დროს განაცხადა: "პოეტი ცდილობს შეგვატყობინოს საკუთარი ქვეყნის მიმართ თავის ავადმყოფურ ცნობისმოყვარეობაზე, პოლონეთის თემა მისთვის ნარკოტიკივით გამხდარა, პირადი ცხოვრების ნაწილი." შეიცვალა თუ არა მას შემდეგ სიტუაცია?

სადაო არ უნდა იყოს, რომ ლიტერატურაში ადამიანური გრძნობების მნიშვნელობა გაიზარდა. შეიძლება გავრისკოთ და ჩამოვაყალიბოთ თეზა, რომ თანაგრძნობა, რომლითაც ამ ლიტერატურის გმირი "თავის" საზოგადოებას აჯილდოებს, უფრო ინდივიდუალური მოსაზრებებით არის გამოწვეული ვიდრე ეროვნული თანადგომით. ეს მოსაზრებები კვეთს რა რეგიონებისა თუ ქვეყნების საზღვრებს პლანეტის ფარგლებსაც კი სცილდება და ამით მასშტაბურ ხასიათს იძენს. როგორც ბრაკონეცკის ლექსშია:

"ის მეკითხება: განა ჩვენ თანამოქალაქენი არა ვართ
ნათელღებით, უახლოესი სამშობლოს რწმენით?
და მიჩვენებს მშობლების სურათებს
გერმანიაში ნოსტალგიამ რომ დაუხოცა.
მე კი ვუჩვენებ დიდედისა და ჴდედაჩემმს ფოტოსურათებსს
ყირგიზეთიდან როცა დაბრუნდნენ.
რისთვის
თუკი ყველგან ერთნაირი
კარგად ათვისებული ამაოების პათოსი სუფევს
და ქაოსი პატარა თუ დიდი ხსოვნისა.
ის კი, რაც ყველას გვაერთიანებს
მიწის მიღმაა."

ამ სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნა დღესდღეობით ყველაზე აქტუალური საკითხია.

შეიძლება ეგზისტენციური გამოცდილება უფრო ძლიერად თავს პოეზიასა და ესთეტიკაში იჩენს, ვიდრე პროზაში. რისი ნათელი მაგალითია ოლგა ტოკარჩუკის რომანები, თუ ჰვინის „ესფირი", კშიშტოფ მიშკოვსკის „**Funerbe"**, პეტრე შევცის „განთიადები და დაისები" და გუგოჟ სტრიმიკის „ცრემლები". აქ ყველგან დრო „ზებუნებრივ რიტმად" არის წარმოდგენილი. სხვასთან გაერთიანების სურვილი სვიდერსკის „უცნობის სიტყვებში" საკუთარ მეზე უარის თქმას არ ნიშნავს. აქ მხატვრული ნაწარმოების გმირი ახალი გამოცდილებისთვის მზად მყოფი ადამიანია, და არა თავის თავში ჩაკეტილი, იზოლირებული პიროვნება.

თარგმნა ხათუნა გოილაძემ

სტანისლავ ლემი

ცოდნისა და უცოდინრობის შესახებ

სტანისლავ ლემი (დაიბადა 1921 წელს ქ. ლვოვში) არის პოლონელი პროზაიკოსი და ესეისტი. ქ. კრაკოვის, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასახლდა, იაგელოს სახელობის უნივერსიტეტში იგი მედიცინას სწავლობდა. პირველი წიგნი — „არგონავტები“ — ლემმა 1951 წელს გამოსცა. შემდგომმა შემოქმედებითმა მუშაობამ სტ. ლემს გამოჩენილი პოლონელი ფანტასტის სახელი მოუტანა. მის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს მიეკუთვნება მოთხრობების ციკლი „რობოტთა ზღაპრები“, „კიბერიადა“, „მოთხრობები ნავიგატორ პირსკეს შესახებ“ და რომანი „სოლიარისმა“.

ჭეშმარიტად გასაოცარია, რომ მთვარიდან მთელი ცის თაღზე მხოლოდ ერთადერთი პლანეტის — ცისფერი დედამიწის დანახვა შეიძლება. მთვარიდან ჩანს დედამიწის ერთიანობა, — ნამდვილი, ჭეშმარიტი ერთიანობა და ასევე მისი ერთადერთობა. მაგრამ ამის გაცნობიერება არ სურთ ერთმანეთის წინააღმდეგ გააფთრებით მებრძოლ ერებსა და პოლიტიკურ ფრაქციებს. და აქ რაიმეს შეცვლა შეუძლებელია. — ყურადღებით დავათვალიერეთ თქვენი ოთახი და ვნახეთ, რომ მაგიდაზე კომპიუტერის ნაცვლად საბეჭდი მანქანა დგას. როგორ გავიგოთ, რომ მწერალი, რომელმაც მრავალი წლის წინ განჭვრიტა უახლესი ტექნიკური აღმოჩენები, მათ შორის, „ვირტუალური რეალობა“, სარგებლობს მოძველებული საბეჭდი მანქანით და არა ახალი თაობის კომპიუტერით?

— მე მქონდა საშინელი ხელწერა,ჩრის გამოც მასწაბლებლები მიწინასწარმეტყველებდნენ, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. ამიტომ მამამ მიყიდა „უნდერვუდის“ მარკის საბეჭდი მანქანა — იმ დღიდან საბეჭდ მანქანაზე ვბეჭდავ. კომპიუტერი არ მიყვარს, — მე ხომ არსებითად კონსერვატორი ვარ. — მაგრამ ცნობილია, რომ ბავშვობაში თქვენ ძალიან გიყვარდათ ჩხირკედელაობა, აწყობდით თვითმფრინავებს, გაინტერესებდათ ყოველგვარი ტექნიკური სიახლე. დღეს კი, როდესაც თქვენ უყურებთ კომპიუტერს, არ გებადებათ სურვილი, მოხსნათ მას სახურავი და შეძვრეთ მის ქსელებში?

— არა, დღეს მე ამის არავითარი სურვილი არა მაქვს. თუმცა, ადრე, მართლაც, მაინტერესებდა მსგავსი ჩხირკედელაობა. პირველი ავტომობილი, რომელიც მე ვიყიდე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოშვებული იყო. ერთხელ მე და ჩემი მეუღლე ვარშავაში მივდიოდით და გზაში მას რაღაც გაუტყდა. მე მოვაძრე „კარბურატორი“, ჩავბერე ძირითად „ჟიკლიორს“ და მანქანამ შეძლო გზის გაგრძელება, თუმცა, მღელვარებისაგან რამდენიმე ჭანჭიკი დავკარგე.

დღეს კი, თუ მანქანას რაიმე გაუფუჭდება, მას აღარ აკეთებენ — მთლიანად აგდებენ და ახალს ყიდულობენ. ჩანს, ჩვენ მარტივიდან რთულისაკენ მივდივართ. ერთჯერადი მოხმარების ცივილიზაციაში ვცხოვრობთ.

— ამიტომ ეპყრობით კომპიუტერს განსაკუთრებული სინაზის გარეშე?

— გარკვეულ დონემდე — კი. მე ვვარაუდობდი, რომ კომპიუტერები სწრაფად „დაჭკვიანდებოდნენ“. ისინი კი დღემდე მხოლოდ ინფორმაციას აგროვებენ. ცხადია, შეიძლება მათი გამოყენება საბეჭდი მანქანის ნაცვლად, მაგრამ მე ეს უკანასკნელიც მაკმაყოფილებს. მასზე რამდენიმე ათეული წიგნი დავწერე. — ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ ტექნიკური სიახლეების ათვისების მაინც და მაინც დიდი სურვილი არ გაქვს? თქვენ არა ხართ ინტერნეტის მოყვარული? არ მოგწონთ კომპიუტერთან ურთიერთობა?

— არა, ინტერნეტი არ მიყვარს, მასში უფასოდ ჩართვასაც კი მთავაზობდნენ, მაგრამ არ დავთანხმდი. ინტერნეტის ქსელებს ათასობით ვირუსი ემტერება, რასაც შეიძლება მრავალი სერიოზული გართულება მოჰყვეს.

რა თქმა უნდა, თუკი პროფესიით ვიქნებოდი, მაგალითად, ფიზიკოსი, ასტროფიზიკოსი ან, საერთოდ, მეცნიერი, რომელსაც სჭირდება ინფორმაცია სამხრეთი თუ ჩრდილოეთი ამერიკიდან ან სამყაროს რომელიმე სხვა ადგილიდან, მაშინ, ცხადია, ჩავერთვებოდი ინტერნეტში. მაგრამ მე რობიზონივით ვარ უკაცრიელ კუნძულზე, სადაც ყველაფერი თავად უნდა გავაკეთო.

— ახალი თაობა, ე. წ. იქს თაობა, დაცინვით უწოდებს „არიფებს“ მათ, ვისაც არ ეხერხება ტექნიკურ სიახლეებთან ურთიერთობა. ეს ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე სამყაროში მათი ადგილი თანდათან მცირდება?

— წესი ასეთია: თუ შენ შეიძინე რომელიმე თანამედროვე ვიდეომაგნიტოფონი ან კომპიუტერი და არ იცი, თუ როგორ უნდა მოეპყრო მას, დახმარებისათვის უნდა მიმართო ათ წლამდე ასაკის ბავშვს. რვა-ცხრა წლის ბავშვი ადვილად და უბრალოდ გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა. მე მივეკუთვნები იმ მოხუცების თაობას, რომელთაც უკვე მაინც და მაინც აღარ უყვართ ტექნიკასთან ურთიერთობა. ეს ტექნიკა მათ უნდა ემსახურებოდეს.

— სამაგიეროდ, თქვენ გიყვართ მომავლის განჭვრეტა. თუ არის შესაძლებელი, რომ უახლოეს ან შორეულ მომავალში ტექნიკის ფლობა ადამიანის სოციალური კომფორტის კრიტერიუმად იქცეს?

— ეს, მართლაც, დიდი პრობლემაა. 60-იან წლებში გამოვიდა ნორბერტ ვინერის წიგნი, რომელიც წინასწარმეტყველებდა, რომ მრეწველობის რობოტიზაცია და ავტომატიზაცია უმუშევრობას გამოიწვევდა. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, პატრონი-კაპიტალისტისთვის იგი ძალზე ხელსაყრელია, რადგან რობოტი რვა საათის ნაცვლად მუშაობს მანამ, სანამ მწყობრიდან არ გამოვა, მისთვის საჭირო არ არის ბიულეტენის გახსნა, არ ითხოვს შვებულებას, არ აწყობს გაფიცვას ხელფასის გადიდების მოთხოვნით და ა. შ. მართალია, რობოტის დახმარებით ყველაფრის წარმოება შეიძლება, მაგრამ მას ვერაფერს მიჰყიდი.

— იქნებ, გენური ინჟინერიის წყალობით, ჩვენ შევძლებთ იდეალური ადამიანის შექმნას, რომელიც რობოტს კონკურენციას გაუწევს?

— უკეთესი იქნება, თუ ხელს არ მოვკიდებთ იმის სრულყოფას, რაშიც ბოლომდე არ ვართ გარკვეული. დღემდე ხომ ძალზე მცირე რამ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ჩვენი ტვინი. გენეტიკაში ხელის ფათური დაახლოებით იგივეა, რაც ასტამის ხმარება კურანტების

შესაკეთებლად — შეიძლება შეაკეთონ და შეიძლება გატეხონ. ჩემი აზრით, უფრო გატეხავენ. ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ გენურმა ინჟინერიამ ისევე, როგორც თანამედროვე ეპოქის ყოველგვარმა ტექნოლოგიამ, შეიძლება თავდაპირველად ზიანი უფრო მოგვიტანოს, ვიდრე სიკეთე. ასე იყო ყოველგვარ ტექნოლოგიასთან დაკავშირებით: აფრენის მცდელობები ცუდად მთავრდებოდა პირველი თვითმფრინავებისათვის; პირველი წყალქვეშა ნავები, როგორც წესი, იძირებოდა. მახსენდება, როდესაც ჯერ კიდევ ძალზე პატარა ვიყავი, ლვოვში მშობლებთან ერთად ხშირად დავდიოდი „რაცლავიცკის პანორამის“ სანახავად. ზოგჯერ ხდებოდა, რომ ავტომობილის ბორბალს საბურავი მოსძვრებოდა ხოლმე. დღეს ამგვარი რამ საერთოდ აღარ ხდება.

ტექნიკის სრულყოფა დროს მოითხოვს, ხოლო იმ ტექნიკის გაუმჯობესება, რომელსაც ჩვენ გენეტიკას ვუწოდებთ, საუკუნეების საქმეა.

— ანუ, თუ ადამიანები გენებში ჩხირკედელაობას დაიწყებენ, ეს მიგვიყვანს უფრო ფრანკენშტეინის, ვიდრე იდეალური, ზეადამიანის დაბადებამდე...

— არა მგონია, რომ ყველაფერი ასე უიმედოდ გამოიყურებოდეს — მე არ მივეკუთვნები უკიდურეს პესიმისტთა რიცხვს, უფრო ოპტიმისტი ვარ — ცოტა ოპტიმისტი, ცოტა — პესიმისტი. ალბათ, გენური ინჟინერიის დახმარებით შესაძლებელი იქნება გენეტიკური ნაკლოვანებების გამოსწორება. ახლა ადამიანებს ძალიან მოსწონთ ათასგვარი ცდების ჩატარება საკუთარ სხეულზე. ლაპარაკობენ ქალის რაღაცნაირი ხელოვნური მკერდის გაკეთების შესახებ; მსუქან ადამიანებს აცლიან ქონს იმ ადგილებიდან, სადაც ის არ უნდა იყოს და შეჰყავთ იქ, სადაც ის საჭიროა. ჯერჯერობით ეს მოდა ადამიანის სხეულის ფიზიოლოგიური შესაძლებლობებით არის შემოსაზღვრული, მაგრამ გენების დახმარებით, ცხადია, შეიძლება გაცილებით მეტის მიღწევა. მაგალითად, თაგვის გადაქცევა არა ვირთაგვად, არამედ რაღაც საშუალოდ ვირთაგვასა და თაგვს შორის. მეშინია, რომ რომელიმე მომავალმა ბიოლოგმა არ შექმნას რაღაც ისეთი არსება, რომელიც იქნება ადამიანსა და შიმპანზეს შორის. ამერიკაში უკვე გამოვიდა წიგნი სათაურით „მესამე შიმპანზე“. ავტორს მიაჩნია, რომ ჩვენ სწორედ მესამე შიმპანზე ვართ.

როგორც ჩანს, მომავალი ყოველგვარ სიურპრიზებს გვიმზადებს, რომლებიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

— ჩვენ ვიცით, რომ მეცნიერება და ტექნიკა მაინც და მაინც შეშფოთებული არ არის აქედან გამომდინარე საშიშროებით და, თუკი ისინი ხედავენ იმის შესაძლებლობას, რომ რაიმეში ჩაერიონ, ცდილობენ გამოიყენონ იგი. უკვე დღეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ, ათი წლის შემდეგ, სამსახურში მიღებისას, დაგვავალებენ, ავიღოთ სისხლის ანალიზი დნმ-ს გამოსაკვლევად. შემდეგ კი ამ კვლევის საფუძველზე დაადგენენ, გამოვდგებით თუ არა ახალი სამსახურისთვის.

— ამის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს და იგი ძალზე საინტერესოა ფილოსოფიური ეთიკის თვალსაზრისით. დადგენილია, რომ თვალის ფერი გენებზეა დამოკიდებული. იგივეს თქმა შეიძლება თმის ფერზე და ა. შ. მაგრამ ისიც მართალია, რომ არ არსებობს ინტელექტის არავითარი გენი. უმაღლესი სააზროვნო ფუნქცია კი დამოკიდებულია სხვადასხვა გენების უდიდეს რაოდენობაზე.

იმაში, რასაც შეიძლება ეწოდოს მემკვიდრეობითობის პარტიტურა, ჩვენ უკვე შეიძლება გავარჩიოთ ცალკეული ნოტები, დო დიეზი, ფა ბემოლი და ვიოლინოს და ბანის გასაღებებიც კი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცამ იცის ცალკეული ნოტის დასახელება, არ ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია შეასრულოს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია.

ამის მიღწევამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია დარჩენილი. ვფიქრობ, რომ გენოგრაფიული რუკების საკონტროლო დათვლა არც ჩვენ და არც ჩვენს შვილებს არ ემუქრება.

— თქვენ ამბობთ: არც ჩვენ და არც ჩვენს შვილებს ეს არ ემუქრება. მაგრამ მეორე მხრივ, — როდესაც ფიქრობდით ფანტომატიკისა და ვირტუალური რეალობის განვითარების პერსპექტივებზე, ვარაუდობდით თუ არა, რომ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა?

— არა, მე ასე არ ვფიქრობდი. იმიტომაც ვმსჯელობდი ამის შესახებ მშვიდად. ერთხელ ჟურნალ „ოდრისათვის“ რაღაც ირაციონალური ნარკვევი დავწერე იმის შესახებ, რომ რამდენიმე მილიარდი წლის შემდეგ მზე გამოფიტავს წყალბადის ენერგეტიკულ მარაგებს და გადაიქცევა წითელ გიგანტად, რომელიც გადაყლაპავს დედამიწას — დედამიწა გადაიქცევა ნახშირის გამომწვარ სხეულად. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი მასზე ცოცხალია, დაიღუპება. ამ ფაქტმა ძალიან დამწყვიტა გული. მაგრამ შემდეგ დავფიქრდი: რამდენიმე მილიარდი წელი — ეს ხომ ათასობით მილიონი წელია. თუ ჩვენ არ ვიცით, რა გველის თხუთმეტი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ, რა საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა მოხდება მილიარდი წლის შემდეგ.

ხომ იყო დრო, როდესაც მე ვერცკი წარმოვიდგენდი, რომ 1970 წელს ვიქნებოდი აქ, კრაკოვში და ტელევიზორში ვნახავდი ადამიანებს, რომლებიც მთვარეზე დასეირნობდნენ. ზოგჯერ, როდესაც ღამით ბაღში გავდივარ და მოკრიალებულ ცაზე მთვარეს ვხედავ, ვფიქრობ იმაზე, რომ იქ სადღაც ჯერ კიდევ ყრია მანქანების ნარჩენები, ამერიკელებმა რომ დატოვეს მის ზედაპირზე. მე ვიცი, რომ ეს მართლაც ასეა და, ამასთან ერთად, არარეალურადაც მეჩვენება, რომ ჩვენ ასე სწრაფად და ასე შორს წავედით. თუმცა, გაუკვეველია, რისთვის. მოკლედ, ჩვენი წარმოდგენების ჰორიზონტი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოხდეს, განუჭვრეტელია.

— იმის მიუხედავად, თუ რა მოტივები ჰქონდა მთვარეზე ჩვენს გამოჩენას, მაშინ გვეჩვენებოდა, რომ ადამიანის წინაშე სრულიად ახალ პერსპექტივები გადაიშლებოდა. მაშინ შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ ამსტრონგის ცნობილი სიტყვები: „პატარა ნაბიჯი კაცისა — უდიდესი ნაბიჯი კაცობრიობისა“ — ძალზე ბევრის აღმნიშვნელი იქნებოდა, ისინი შეცვლიდნენ დედამიწის შესახებ ჩვენს წარმოდგენებს. გამოდის, რომ არაფერი შეცვლილა?

— სამწუხაროდ, ბევრი არაფერი. ოლდრინს, მეორე კოსმონავტს ამსტრონგის შემდეგ, რამდენიმე ხანი ფსიქოზის სიმპტომები ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრების კულმინაციური წერტილი — ეს იყო მომენტი, როდესაც მან ფეხი დადგა მთვარეზე. იმის შეგნებას, რომ მთვარის სილაზე მისი ნაფეხური მილიონი წლის განმავლობაში დარჩებოდა მაშინ, როდესაც თავად მისი კვალიც კი აღარ იქნებოდა დედამიწაზე, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ამ ადამიანების ცხოვრებაზე. ჭეშმარიტად საკვირველია, რომ ერთადერთი პლანეტა მთელ ცის კაბადონზე, რომელიც მთვარიდან ჩანს, ეს არის ცისფერი პლანეტა დედამიწისა. მთვარიდან შესამჩნევია მისი ერთიანობა — ნამდვილი,— ჭეშმარიტი ერთიანობა და, ამავე დროს, მისი ერთადერთობა. ამის შეგნება არ უნდათ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებს, პოლიტიკურ პარტიებს, ერთი სიტყვით, — ადამიანებს. აქ უკვე რაიმეს გაკეთება შეუძლებელია. — ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კაცობრიობა დაყრუვდა?

— რაღაც აზრით, ეს, სამწუხაროდ, ასეა.

— თუ მეცნიერება ჩვენ უკეთესობისკენ არ შეგვცვლის, თუ მეცნიერების პროგრესი არ სრულგვყოფს ჰუმანური თვალსაზრისით, მაშინ საინტერესოა, რატომ ეწევიან ადამიანები მეცნიერულ კვლევა-ძიებებს? იქნებ თანამედროვე მეცნიერები, ნაცვლად იმისა, რომ იყვნენ მეცნიერების ასკეტები, სინამდვილეში არიან ტყვეები განდიდებისა, რისი მოპოვებაც გაცილებით მალე შეიძლება აღმოჩენით ან ფსევდოაღმოჩენით?

— მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ საქმე არა მხოლოდ დიდებაშია, არამედ, უხეშად რომ ვთქვათ — ფულში. დღეს წარმოუდგენელია ედისონი, რომელიც ნემსების, მემბრანების და ა. შ. დახმარებით შექმნიდა ადამიანებისათვის აუცილებელ ტექნიკას. ახლა საჭიროა უზარმაზარი ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ისეთი დანადგარებით, რომელთა ფასი მილიარდებს უტოლდება. ამერიკის კონგრესი ან იძლევა ამაზე თანხას, ან არა. ამიტომ ატეხეს ასეთი ხმაური მეცნიერებმა ანტარქტიდაზე აღმოჩენილ მეტეორიტთან დაკავშირებით. თითქოს იგი შეიცავდა მარსზე ცხოვრების რაღაც კვალს. პრაქტიკულად, ეს ზრდიდა NACA-ს შანსს მილიარდობით დამატებითი სახსრების მოპოვებაზე, რაც აუცილებელია მარსზე მოგზაურობის მომზადებისათვის.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენ ვცხოვრობთ გიგანტური მეცნიერული აღმოჩენების თუ უპრეცედენტო ავანტიურების ეპოქაში?

— უპირველეს ყოვლისა, აღმოჩენების, მაგრამ, ამასთან, ავანტიურიზმის ეპოქაშიც. დღეს მეტისმეტად ძლიერია სურვილი — იყო პირველი, მისცე მსოფლიოს რაღაც ახალი, შთამბეჭდავი.

ამიტომ შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს ის ბოდვა მწვანე კაცუნების, აბდაუბდა მფრინავი თეფშების, ასტროლოგიის შესახებ, რასაც გერმანული ტელევიზია საოცრად დიდ დროს უთმობს. პირადად მე ეს შეურაცხმყოფს იმიტომ, რომ საშინლად არ მიყვარს სისულელეები.

გულახდილად უნდა ითქვას: ახალი აღმოჩენები ზრდის შემდგომი აღმოჩენების შესაძლებლობებს, ამასთან, ცოდნის გაღრმავება გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ ბევრი რამ არის ჯერ კიდევ შესაცნობი, ჯერ კიდევ რაოდენ დაბალია ჩვენი ცოდნის დონე.

— იმას, რომ პროგრესი მეცნიერებაში რაღაც აზრით დაკავშირებულია რეგრესთან, მხოლოდ მეცნიერები თუ უწევენ ანგარიშს. მსოფლიო კი, როგორც ყოველთვის, სიამოვნებით იჯერებს, რომ მეცნიერება ყველაფრის წამალია. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მეცნიერების კულტი ნაადრევია. რწმენა იმის შესახებ, რომ მეცნიერებას შეუძლია ჩვენი ხსნა, რეალობაში ვერ ნახულობს დადასტურებას?

— მეცნიერება ჰგავს რაღაც ცოცხის მსგავსს, რომელიც გვის რა მსოფლიოს, წვრილ-წვრილ ტოტებად ქუცმაცდება. საბოლოო ჯამში, იდეალად, თუმცა უსუსურ, ნეგატიურ იდეალად წარმოგვიდგება ვიღაც სპეციალისტი, რომელმაც ყველაფერი იცის რომელიმე უმნიშვნელო წვრილმანის შესახებ, მაგრამ არსებითად არაფერი იცის მთელის შესახებ. ჩვენი ინფორმაციული შესაძლებლობები, კიბერნეტიკის ენით რომ ვთქვათ, დარჩა ისეთივე, როგორც იყო 160-180 ათასი წლის წინათ, როდესაც ჩვენი წინაპრები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. ამიტომაც ახლანდელი ინფორმაციული წარღვნის გამო ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს სრულ ქაოსში ვიმყოფებოდეთ.

— თქვენ ახსენეთ, რომ ცრურწმენა მეცნიერებას კვალდაკვალ მისდევს, მაგრამ თქვენ საუბრობთ ქაოსის შესახებაც, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით. შესაძლოა ცრურწმენისაკენ ადამიანების მიდრეკილება აიხსნება იმით, რომ მათ არ ძალუძთ სძლიონ ქაოსს. მაშ, რა გამოდის, — მიუხედავად მეცნიერული პროგრესისა, ადამიანი ისევ ისეა ჩაკარგული სამყაროში, კოსმოსში, როგორც ათობით და ათასობით წლების წინ?

— გარკვეული თვალსაზრისით, თქვენ მართალი ხართ. სხვათაშორის, სხვა დანარჩენებთან ერთად, მე გამოწერილი მაქვს ერთი ჟურნალი, რომელსაც ეწოდება „პოპიულერ საიენს“-ი. იქ აღწერილია, ეგრეთ წოდებული, „გაჯეტები“, — დაწყებული ველოსიპედიდან, ფოტოაპარატიდან და დამთავრებული ტურბოშვეულმფრენებით. თუ დავუშვებთ, რომ ყველა ეს „გაჯეტი“ თავმოყრილი იქნება ერთ ქვეყანაში, მისი მკვიდრნი ჭკუიდან შეიშლებოდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი ისეთი არსებაა, რომელიც შექმნილია ზომიერი ხასიათისათვის — არც მეტისმეტად მგრძნობიარე, არც მეტისმეტად ცივი; არც მეტისმეტად ფიცხი, არც მეტისმეტად ზანტი; არც მეტისმეტი გაგიჟება, მაგრამ არც სიზარმაცის სიჭარბე. ეს ეხება ასევე ცოდნასაც და ინფორმაციასაც. ყველა სფეროში ზომიერებაა საჭიროა.

— დავუბრუნდეთ იმას, თუ ჩვეულებისამებრ როგორ წარმოუდგენიათ მეცნიერება რიგით ადამიანებს. დღეს მეცნიერებისადმი დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, პარარელიგიურია. შემთხვევითი როდი იყო, რომ ჯერ კიდევ ამ მცირე ხნის წინ ჩვენ საქმე გვქონდა მეცნიერულ მსოფლმხედველობასთან, ანუ დასრულებულ და აბსოლუტურ მსოფლმხედველობასთან. დღეს მსოფლიოში ძალზე გავლენიანია საიენტოლოგთა სექტა, — რაღაც, რელიგიის მსგავსი, ოღონდ მეცნიერული. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეცნიერების კულტი, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება, არაჯანმრთელია?

— სეინტოლოგია არც არის მეცნიერება.

— ცხადია, არ არის, მაგრამ მას ასე შემთხვევით არ უწოდებენ.

— კი, მაგრამ, უხეშად რომ ვთქვათ, აქ საქმე ფულშია, უბრალოდ — ფულში. ასეთი სექტები ახლა უსაშველოდ მომრავლდა, რამდენადაც ადამიანებს სჭირდებათ მეტაფიზიკა. ამ მეცნიერებას კი ისინი ისე ეპყრობიან, როგორც ქალები მოდას, ანუ უნდა დაიჯერო ის, რაც უფრო მოდაშია. მით უფრო მიმზიდველია ესა თუ ის სექტა, რაც უფრო დაუჯერელია მისი ფანტაზიები.

— თქვენ ხომ არ თვლით, რომ განსაკუთრებით მოდაშია ის სექტები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს მეცნიერულიც არიან და მისტიკურიც?

— მაგრამ ეს ფსევდომეცნიერებაა. მეცნიერები ისევე გამოარჩევს შარლატანს მეცნიერისგან, როგორც მოლარე ყალბ კუპიურას ნამდვილისაგან.

— ძალზე მტანჯველ გამოცანად ხომ არ გეჩვენებათ ის, რომ თანამედროვე ცივილიზაციას ცრუმორწმუნეობის ასეთი დიდი კუდი მიჰყვება უკან?

— კი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ფსევდოა, ფსევდო... იმას, რასაც ერთ დროს სულებს ვუწოდებდით, დღეს სხვაპლანეტელები ჰქვია.

ერთხელ მე მკვეთრი შთაბეჭდილება გამოვხატე ფილმის — „დამოუკიდებლობის დღე“ — გამო. ფილმში ჩამოფრინდებიან რაღაც არსებები კოსმოსიდან, ხომალდების მთელი არმადით სინათლის წლების გზას გადალახავენ მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწაზე სიცოცხლე მოსპონ. კითხვას ასე მკაცრად დავსვამ: რა ინტერესი აქვთ მათ, დახარჯონ ამდენი ენერგია იმაში, რომ ჩვენ გაგვაცამტვერონ? დაინტერესება მხოლოდ კინოპროდიუსერს აქვს, რომელსაც ბევრი ფულის აღება სწყურია. სხვა ყველაფერი კი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ ჩვენ გონება აგვირიონ. ჩვენ ათას რაღაცას გვახვევენ თავს, რომელსაც წინ უნდა აღვუდგეთ. მაგრამ ხალხს მოსწონს, როდესაც მას ასულელებენ.

მე თქვენ ამას არ გთავაზობთ, მაგრამ სრულიად საკმარისია ფირფიტაზე გააკეთოთ წარწერა, რომ თქვენ წარმოადგენთ საზოგადოებას, რომელიც იბრძვის ღრუბლების გადასარჩენად და ამ ფირფიტით ქალაქში გაიაროთ, რომ აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, ვინც ფულს არ დაიშურებს თქვენი ორგანიზაციისთვის. — თქვენ თავადაც ხომ, რაღაც გაგებით, მომავლის წინასწარმეტყველი ხართ. ხომ არ არის ამაში შარლატანობის რაღაც წილი?

— მე მხოლოდ ვცდილობდი განმეჭვრიტა გარკვეული ტექნოლოგიური ტენდენციების განვითარება.

წიგნში „ახალი ტექნოლოგიები“ მე მკითხველს ვთავაზობდი ორიენტირი ისეთ ტექნოლოგიებზე აგვეღო, რომლებსაც თავად ცხოვრება ქმნის. ანუ შევისწავლით რა ბუნებას, ჩვენ გავმდიდრდებით იმ ცოდნით, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს.

მართლაც, მეცნიერება ამ მიმართულებით წავიდა.

— ლეშეკ კოლაკოვსკი რეცენზიაში, რომელიც ამ წიგნის შესახებ რამდენიმე წლის წინ დაიწერა, გადანაშაულებდათ იმაში, რომ თქვენ ტექნოკრატიის იდეოლოგი ხართ.

— ამაზე მე ვუპასუხე, რომ ამ ლოგიკით, გამოდის, რომ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც ლექციებს კითხულობს გადამდებ დაავადებათა შესახებ, ქოლერისა და შავი ჭირის უდიდესი იდეოლოგია.

— თუ გახსოვთ, პირველად როდის შეშინდით მეცნიერებით?

— შეშინებით არ შევშინებულვარ, უფრო იმედი გადამეწურა და თანაც, საკმაოდ სერიოზულად. როდის იყო ეს პირველად? ძნელი სათქმელია. გარკვეული დროის მანძილზე მართლაც მჯეროდა, რომ ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანი ადამიანები უნივერსიტეტის პროფესორები არიან. გიმნაზიის რომელ კლასში ვიყავი, როდესაც ეს რწმენა დავკარგე, არ მახსოვს. ამის მიზეზი კი სწორედ ცოდნა იყო. მაგალითად, საკმარისი იყო რენტგენს იქს სხივები აღმოეჩინა, რომ ფრანგებმა H-სხივები მოიგონეს. ფრანგი ხალხი კმაყოფილი იყო და ძალიან ამაყობდა იმით, რომ ჰქონდათ კონტრგამოგონება

გერმანული სხივების წინააღმდეგ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ფრანგულ სხივებს საერთოდ არ უარსებიათ. ბოლოს და ბოლო ამ მისტიფიკაციას ფარდა ახადეს.

ასეთი ცრუაღმოჩენები მრავლადაა. ლისენკოს, მაგალითად, სჯეროდა, რომ შეიძლება ავიღოთ ნებისმიერი მცენარე და ისე ენერგიულად ვაჯანჯღაროთ მისი მემკვიდრეობა, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს მცენარე ისე მოიქცეს, როგორც საჭიროა. საგაზაფხულო ხორბალი გახდება საშემოდგომო, საშემოდგომო — საგაზაფხულო და ა. შ. ერთხელ კრაკოვში საბჭოთა მეცნიერი ჩამოვიდა, ლისენკოს მარჯვენა ხელი და გვაჩვენა პომიდორი, რომელიც ზომით რაგბის ბურთზე დიდი იყო. ამან გამოიწვია საყოველთაო აღფრთოვანება, გაოცება და შეშფოთება კრაკოვის აუდიტორიისა, რომელსაც, ასე თუ ისე, პოლონეთის მეცნიერები წარმოადგენდნენ.

ვიღაცამ პომიდვრისთვის ხელის შეხება მოინდომა. მაშინ რუსმა თქვა, რომ ეს არის ცვილის მულაჟი, და რომ ნამდვილი პომიდორი მოსკოვში ინახება.

— მიუხედავად ყველაფრისა, განა მეცნიერების წყალობით არ ვმბრძანებლობთ სამყაროს?

ან იქნებ, როგორც თქვენ ეს ერთხელ დაწერეთ, ეს მბრძანებლობა სხვა არაფერია, თუ არა მიკრობების ილუზია, რომლებიც ვაშლის ზედაპირზე მიდი-მოდიან?

— ამ უკანასკნელ ხანს ისლანდიაში დაიწყო ამოფრქვევა ვულკანისა, რომელმაც ექვსასმეტრიანი ყინულის ფენა გაარღვია. იქ წარმოიშვა უშველებელი, თითქმის ადუღებული ტბა. არსებითად ჩვენ ვსხედვართ მიწის ბურთის თხელ, ეს-ესაა გაქვავებულ ქერქზე, რომლის ქვეშაც გავარვარებული ლავაა.

ბუნების სტიქიებთან შედარებით, ჩვენ ვართ მიკრობები პატარა მტვრის ნაწილაკზე, რომელიც მზის გარშემო ტრიალებს.

— დღეს, საუკუნეთა გაფაყარზე, ხომ არა გაქვთ ისეთი გრძნობა, რომ ემშვიდობებით რაღაც ისეთს, რომელიც მცირე კატასტროფის მდგომარეობაში იმყოფება, თუ თქვენ ესალმებით ახალი საუკუნის, ახალი სამყაროს ცისკარს?

— უპირველეს ყოვლისა, კალენდარული ნუმერაცია მხოლოდ წმინდა პირობითობაა. მე ვფიქრობ, რომ XX საუკუნის დამთავრებით ბევრი არაფერი შეიცვლება. იქნებიან მდიდრები და ღარიბები. სამყარო გააგრძელებს თავის არსებობას.

— კაცობრიობის ისტორიის შესახებ არსებობს ისეთი ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ცივილიზაცია აღწევს განსაზღვრულ დონეს, რომლის შედეგადაც მოულოდნელად ხდება კატასტროფა — სამხედრო ან ბიოლოგიური და კაცობრიობა ყველაფერს თავიდან დაიწყებს. იქნებ მხოლოდ ერთი ნაბიჯია დაგვრჩა ასეთ კატასტროფამდე?

— ცნობილმა ინგლისელმა ასტროფიზიკოსმა ფრედ ჰოილმა, რომელიც საკმაოდ უცნაური ადამიანია, ცივილიზაციის განვითარება გამოსახა სინუსოიდის მსგავსი მრუდის საშუალებით, რომლის რხევებიც შემდეგნაირად მერყეობს: დაცემა — აღმავლობა — დაცემა.

უნდა გითხრათ, რომ ისტორიის ასეთი, ლუნა-პარკის მსგავსი კონცეფცია პირადად მე, მაინცდამაინც, არ მომწონს.

— როგორც ჩანს, საუკუნის დასასრულს ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს...

— მომავალი აბსოლუტურად განუჭვრეტელია.

1996 წლის ოქტომბერი,
სტანისლავ ლემის ბინა კრაკოვში.

თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა

„საყოველთაო
ყოველკვირეული“,
კრაკოვი, 4 ივნისი, 2 000

XX საუკუნის გასამართლება

„XX საუკუნის გასამართლება“ გაიმართა გაზეთის „საყოველთაო ყოველკვირეული“ 55 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით. 2000 წლის 1 აპრილს სამეფო ქალაქ კრაკოვის საბჭოს სათათბირო და წვეულებათა დარბაზში, სადაც დაყენებული იყო ტელეკამერა. თავი მოიყარა დაახლოებით ათასმა ადამიანმა. სასამართლო პროცესი 4 საათი მიმდინარეობდა. ღღეს გთავაზობთ ამ პროცესის სტენოგრამას. „გასამართლების“ იდეის ავტორია პეტრე მუხარსკი, მანვე დაამუშავა სცენარი.

„საყოველთაო ყოველკვირეული“, რომელიც კრაკოვში გამოიცემა, კომუნიზმის ხანაშიც კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაზეთი იყო. პოლონური ინტელიგენცია (და არა მარტო კათოლიკური) ყოველკვირეულს მუდამ საკუთარ ორგანოდ მიიჩნევდა.

ყოველკვირეულის თაოსნობით კრაკოვში გაიმართა არაჩვეულებრივი ღონისძიება: „XX საუკუნის გასამართლება“. ორგანიზატორთა თავაზიანი თანხმობით ვაქვეყნებთ ამ ღონისძიების სტენოგრამას.

სასამართლო პროცესში მონაწილეობდნენ:

მღვდელმსახური ადამ ბონეცკი — გაზეთის „ყოველკვირეული ყველასათვის“ მთავარი რედაქტორი;

ანჯეი ცოლი — იურისტი, უკანასკნელ ხანებამდე საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარე, ამჟამად ომბუდსმენი;

ქშიშტოფ პესევიჩი — ადვოკატი, ქიშიშტოფ კეშლევსკის კინოფილმების ციკლის „დეკალოგის“ სცენარისტი;

მამა იან ანჯეი კლოჩოვსკი — დომინიკანელთა ორდენის ბერი, ფილოსოფოსი;

ვოიჩეხ როშკოვსკი — პოლონეთის უახლესი ისტორიის მკვლევარი, 1989 წლამდე იბეჭდებოდა თვითგამოცემის მეშვეობით;

ბარბარა სკარგა — ფილოსოფოსი, სტალინურ ხანაში საბჭოთა ბანაკების პატიმარი;

მღვდელმსახური მიხალ ჰელერი — ასტროფიზიკოსი, ქალაქ ტარნუვის სასულიერო აკადემიის რექტორი;

რიშარდ კაპუშინსკი — მწერალი;

ანჯეი ვაიდა — თეატრისა და კინოს რეჟისორი, „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი შემოქმედებითი ერთობლიობისათვის (2000 წ.);

მარეკ ედელმანი — ექიმი, 1943 წლის ვარშავის გეტოს აჯანყების უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი მეთაური და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე;

ანტონ ლიბერა — პროზაიკოსი, სამუელ ბეკეტის შემოქმედების მთარგმნელი და მცოდნე.

წამოდექით სასამართლო მოდის!

სასამართლოს ბოქაული მთვდელმსახური ადამ ბონეცკი:

— ბატონებო, გმადლობთ, რომ ესწრებით სასამართლო პროცესს, რომელიც აღძრა XX საუკუნის წინააღმდეგ გაზეთმა „საყოველთაო ყოველკვირეული“.

როგორც მოვლენის, ასევე თვით ამ ადგილის მნიშვნელობა, სადაც ტარდება ღონისძიება, მაიძულებს მოგმართოთ თხოვნით, გამორთოთ მობილური ტელეფონები და ფეიჯერები სასამართოო პროცესის მსვლელობის დროს.

ნაფიცო მსაჯულებო, გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილები. პროცესზე ნაფიც მსაჯულებად მოწვეულნი არიან: ქშიშტოფ ბურნეტკა, კატარჟინა იანოვსკა, ანჯეი დობოში, ანა სტიპკა, იაცეკ ფლიცი, ქრისტინა სტშელეცკაია, აგრეთვე მსაჯულთა მამასახლისი, პროფესორი იაცეკ კლინოვსკი...

თავმჯდომარე ანჯეი ცოლი:

— საზოგადოებრივი სასამართლო იწყებს საქმის გამოძიებას. ძიების საგანია ბრალდებები XX საუკუნის წინააღმდეგ. პროცესში მონაწილეობს საზოგადოებრივი ბრალმდებელი მამა იან ანჯეი კლოჩოვსკი თავის თანაშემწე იანუშ მაიჰერეკთან ერთად. სასამართლოში გამოცხადდა მსჯავრდებული XX საუკუნე თავისი ადვოკატის ქშიშტოფ პესევიჩისა და მისი თანაშემწის ვოიჩეხ ბერგერის თანხლებით.

ბატონო ნაფიცო მსაჯულებო! თვით ეს პროცესიც, ბრალდებულიცა და სასამართლოც ერთობ უჩვეულოა. დამსწრეთაგან ყველას თანაბრად გვაქვს უფლება ვიყოთ როგორც პროცესის მონაწილე, ასევე მოსამართლეც. ყველა ჩვენთაგანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან ვახლდით მსჯავრდებულს, ხოლო მის წინააღმდეგ აღძრული საქმე, აგრეთვე ბრალმდებლისა და დამცველის მტკიცებულებანი, მთლიანად ეყრდნობა ჩვენს გამოცდილებასა და აზრებს. ყველა ჩვენთაგანს მისჯილი გვქონდა მონაწილეობა ბრალდებულის საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, დღევანდელი პროცესი გახლავთ ფიქრი ჩვენს საკუთარ ცხოვრებაზე, ქმედებებზე, ღვაწლსა თუ შეცოდებებზე.

ბატონო ნაფიცო მსაჯულებო! იმედი მაქვს, რომ ობიექტურად განიხილავთ ყველა არგუმენტს და გამოიტანთ ობიექტურ და სამართლიან განაჩენს.

თქვენი განაჩენი საბოლოო იქნება როგორც მსჯავრდებულისათვის, ასევე თითოეული ჩვენთაგანისათვისაც.

ვთხოვ პროკურორს წარმოგვიდგინოს ბრალდებები.

დამცველი ქშიშტოფ პესევიჩი:

— ბატონო თავმჯდომარევ, ვიდრე ბრალმდებელი გამოვა, მინდა შუამდგომლობით მოგმართოთ.

საბრალდებო სკამზე მსჯავრდებულთან ერთად უნდა ისხდნენ აგრეთვე დანაშაულის წამქეზებლები, თანამდგომები და თანამონაწილეები. სასამართლოს ვთავაზობ გააფართოვოს პროცესის ჩარჩო და საბრალდებო აქტში შეიყვანოს XX საუკუნე.

თავმჯდომარე:

— ბატონო ადვოკატო, ჩვენთვის ნაცნობია სხდომის გადადებისა და პროცესის გაჭიანურების ცდა. სასამართლო შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს, ვინაიდან XIX საუკუნის ადგილმდებარეობა უცნობია.

ვთხოვ პროკურორს, წარმოგვიდგინოს ბრალდებები.

ბრალმდებელი მამა იან ანჯეი კლოჩოვსკი:

— ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, დღეს თქვენ უნდა დაადგინოთ მსჯავრდებულის, XX საუკუნის, ბრალეულობა. ამიტომ გავეცნოთ მის საანკეტო მონაცემებს.

გაირკვა, რომ მსჯავრდებული დაიბადა 1914 წელს და მისი გაჩენა მსოფლიოს სარაევოში გასროლით ეუწყა. ამ ქვეყნიდან წასვლა კი დაიწყო 1989 წელს, როცა პოლონეთსა და ცენტრალურ ევროპაში დაემხო კომუნიზმი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოო დამშვიდობება. მისი გარდაცვალების თარიღი გახლავთ 1991 წელი, რომელიც დაემთხვა საბჭოთა იმპერიის დაშლის წელს. მსჯავრდებულის სახე გამოკვეთილია, ჩვენს წინაშეა ბოროტმოქმედი, დამნაშავე როგორც რიგით, ასევე მხოლოდ ამ საუკუნეში შესაძლო, წარმოუდგენელი მასშტაბის ბოროტმოქმედებებში.

მე ბრალს ვდებ XX საუკუნეს შეგნებულ სიბრმავეში, რაც გამოიხატა წარმოსახვის გაცნობიერებული და სრული მკვლელობით. თავის ქმედებებში იგი არ ითვალისწინებდა და არც უნდოდა გაეთვალისწინებინა შედეგები. როგორც განმანათლებელი საუკუნის მემკვიდრე, იგი დაბადებიდანვე სრულწლოვანად თვლიდა საკუთარ თავს და ეგონა, რომ გონებას სათანადოდ მოიხმარდა. ასეთი თვითდაჯერების მიუხედავად, იგი გონებით როდი მოქმედებდა, არამედ მასების, უფრო სწორად, ბრბოს კარნახით. ბრბო კი, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა გავაიგივოთ ხალხთან.

რომელ სფეროებში შეგვიძლია გავადევნოთ თვალი მის დანაშაულებრივ ქმედებებს? დავიწყოთ სოციალური ინჟინერობით.

მე ბრალს ვდებ XX საუკუნეს პიროვნებაზე მაღლა მასის დაყენების გამო. ეს მან დაამკვიდრა ტოტალიტარიზმი წითელ და ყავისფერ ვერსიებში. იერარქია ორივე შემთხვევაში დაცული იყო — კოლექტივი მბრძანებლობდა პიროვნებაზე. ამ საუკუნეში ითქვა: „ერთეული არაფერია, ერთეული — ნულია", ხოლო პარტია — ეს არის „ერთ მუშტად შეკრული მრავალმილიონიანი ხელი". და ეს არ იყო უბრალოდ მეტაფორა, ეს გახლდათ ძალიან კონკრეტული მუშტი, რომელიც ურჩებს სასიკვდილოდ გმირავდა.

უნდა ითქვას, რომ პიროვნებაზე მაღლა მასის დაყენება შეიმჩნევა იქაც, სადაც ბატონობს დემოკრატია, რომელიც იმთავითვე წინ აღუდგა ტოტალიტარიზმს და მხნედ იცავდა ადამიანის უფლებებს. თუმცა აშკარაა, რომ დემოკრატიის ფასეულობანიც, გარკვეული თვალსაზრისით, შელამაზებულია.

პიროვნების მასებისადმი დაქვემდებარებამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის, როგორც ღირებულების გაუფასურება. რა თქმა უნდა, დანაშაული ნებისმიერ საუკუნეში ხდებოდა, მაგრამ XX საუკუნის ყველაზე საეჭვო მიღწევა გახლავთ ისტორიის მასშტაბებისათვის წარმოუდგენელი იდეოლოგიური და ტოტალური გენოციდი. ამ საუკუნეში მკვლელობის იარაღად პირველად იქნა გამოყენებული ინდუსტრიული მეთოდები, რის კლინიკურ მაგალითადაც შეგვიძლია დავასახელოთ კამბოჯის მოსახლეობაზე ჩატარებული საშინელი ექსპერიმენტი. საბრძოლო მასალების ეკონომიისათვის მსხვერპლს თავზე ცელოფანის პარკს წამოაცვამდნენ და გუდავდნენ. ასე გაანადგურეს იდეოლოგიური მიზნებისათვის მილიონ ნახევარი ადამიანი და ეს ფაქტი მოხდა ხსენებული საუკუნის 70-იან წლებში, კატასტროფისა და გულაგის ამაზრზენი გამოცდილებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ. თუმცა ბრალდებულმა მაინც ვერაფერი შეიგნო.

მე ბრალს ვდებ XX საუკუნეს წარმოებისა და ქონების განაწილების სფეროში შექმნილი პრობლემებისათვის. მან, ერთის მხრივ, ბიძგი მისცა ჭარბწარმოებას, საიდანაც ამოიზარდა მოხმარების ჟინი, ხოლო მეორეს მხრივ — შიმშილით სიკვდილისათვის გაწირა მილიონობით ადამიანი. ჰაკსლის წინასწარმეტყველებით, უნდა შექმნილიყო „ახალი მშვენიერი სამყარო", მაგრამ ამ სამყაროში ისწრაფოდნენ მხოლოდ ჭარბწარმოებისა და მოხმარებისაკენ, კერპად იქცა „ფორდის" შავი მოდელი. სწორედ აქ ვლინდება XX საუკუნის დემოკრატიის ხავერდოვანი ტირანია, რომელიც გულგრილად ხვდება დედამიწის სამხრეთ ნაწილში მილიონობით ადამიანის შიმშილით სიკვდილს.

ამბობენ, რომ XX საუკუნე იყო დიად სამეცნიერო მიღწევათა ეპოქა, მაგრამ სწორედ ამ საუკუნეში იზრდებოდა გენერალური შტაბებისა და არმიების საბრძოლო პოტენციალი. კოსმოსური ექსპედიციებიც კი სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა. ალბერტ

თავჯდომარე ანჯეი ცოლი

აინშტაინის სიტყვებით, ბირთვული ენერგიის გამონთავისუფლებამ, ჩვენი ცნობიერების გარდა, ყველაფერი შეცვალა. ჩვენ გამოვიგონეთ საშინელი და მძლავრი საშუალებები, მაგრამ ვერ შევძელით მათი გამოყენება ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

მე დანაშაულად ვუთვლი XX საუკუნეს სრულ განუკითხაობას ცნებებში, რაც დაფუძნებული იყო ეჭვზე ჯბროვნების ინსტრუმენტების მიმართ. იგი თავს ვონების საუკუნედ სთვლიდა, მაგრამ ამავე დროს განწირული იყო ყველაზე მთავარი საკითხის — ცხოვრების არსის გარკვევის ირაციონალური და გამალებული ძიებისათვის. როცა ეჭვს ქვეშ დადგა ცნება „ადამიანის ბუნება“, დაუცველი პიროვნება ნადავლად ჩაუვარდა ანონიმურ ძალებს, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ მისი ბედი.

კულტურის სფეროში XX საუკუნემ განახორციელა, ერთი შეხედვით, კეთილშობილური პროექტი, რომლის მიზანი იყო ვონებრივი ჰორიზონტის გაფართოება განათლების მეშვეობით, მაგრამ ამან ხსოვნის მემკვიდრეობითობის დაკარგვამდე მიგვიყვანა, რამაც გამოიწვია ადამიანის თვითშემეცნების დაკარგვაც. კულტურა გარიყული აღმოჩნდა. ძალაუფლება უხამსმა მასობრივმა კულტურამ მოიპოვა. ხელოვნებაში უმაღლეს ფასეულობად სიახლე იქნა მიჩნეული. ამიტომაც გაქრა სიწმინდისა და აღკვეთის გრძნობა. საკუთარ ფესვებთან დაშორებამ, მემკვიდრეობითობისადმი შენარჩუნების აპათიამ შემდეგში თავისი გამოხატულება ჰპოვა ფუნდამენტალიზმის საშიშ ფორმებში.

ბატონო თავმჯდომარევ! ღრმად პატივცემულო ნაფიცო მსაჯულებო! დღეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ დამნაშავეა თუ არა XX საუკუნე ამ ბოროტმოქმედებებში და დაადგინოთ გამომწვევი მიზეზები.

თავმჯდომარე:

— გმადლობთ, სიტყვა ეძლევა დაცვას.

დამცველი:

— ბატონო თავმჯდომარევ, ვიდრე სასამართლო გამოძიება დაიწყება, მინდა ბრალმდებელს ვთხოვო დააკონკრეტოს ბრალდების ობიექტი. იგი XX საუკუნის რომელიმე ფრაგმენტს ადანაშაულებს, თუ მთლიანად საუკუნეს?

ბრალმდებელი:

— ჩვენ ვალდებული ვართ განვსაზღვროთ პრინციპი, რომლის მეშვეობითაც დავადგენთ მსჯავრდებულის მოღვაწეობის დროს. რა გვაინტერესებს, აბსტრაქტული ასტრონომიული დრო, რომელიც აითვლება კოსმოსში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში, თუ ჩვენ ვზომავთ ადამიანურ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიულ დროს?

ბრალდებას შემოაქვს შუამდგომლობა, ჩაითვალოს პერიოდი 1914 წლიდან 1991 წლამდე დროდ, როცა განვითარდა იფეთი ისტორიული პროცესები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მსჯავრდებულის ბრალეულობის გასარკვევად. ასტრონომიული დრო წშინდა მექანიკური და ჩვენი გამოძიებისათვის უმნიშვნელოა.

დამცველი:

— ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ XX საუკუნეს ბრალმდებლის შეხედულებიდან ავითვლით და არა ქრისტეს დაბადებიდან?

ბრალმდებელი:

— მე მინდა მხოლოდ მიგითითოთ, რომ 1989 წლის შემდეგ XX საუკუნე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა მისი ცხოვრების ეს მონაკვეთი გახდეს ჩვენი გამოძიების საგანი. თუმცა, ნივთმტკიცება ვერ მოვიპოვე, მაგრამ როგორც ამბობენ, იგი ამ ბოლო ხანებში ალცგეიმერის სენით არის დაავადებული.

თავმჯდომარე:

— ბრალდებისათვის საკმაოდ სახიფათო თეზისია. ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულის შერაცხადობის დასადგენად ექსპერტების მოწვევა მოგვიხდება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ თეზისი მოკლე საუკუნის შესახებ ჩვენთვის მიუღებელია. გარჩევის საგნად რჩება XX საუკუნის მთელი მოღვაწეობა დღევანდელ დღემდე.

პროკურორს ვთხოვ, გამოიძახოს ბრალდების მოწმეები. დაიწყო სასამართლო გამოძიება.

ბრალმდებელი:

— მოწმედ გამოძახებულია ვოიჩეხ როშკოვსკი, ისტორიის პროფესორი.

თავმჯდომარე:

მოწმეს შევახსენებ მოვალეობას — ილაპარაკოს სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

ბრალმდებელი:

— არის თუ არა ტოტალიტარული რეჟიმების დანაშაულებრივი ქმედებები დამახასიათებელი მხოლოდ ამ საუკუნისათვის? როგორ ფიქრობთ, მსჯავრდებული გამოცეთდა ტოტალიტარული დაავადებისაგან, თუ მის ორგანიზმში ჯერ კიდევ ცოცხალია ამ სნეულების ვირუსი?

მოწმე ვოიჩეხ როშკოვსკი:

— უეჭველია, რომ ტოტალიტარიზმი იყო XX საუკუნის დანაშაულებრივი და უნიკალური მოვლენა, აღრეულ ეპოქებში იგი არ შეიმჩნევა. არც საზოგადოება იყო ისე მრავალრიცხოვანი და არც ტექნიკური საშუალებები იყო ისე სრულყოფილი, რომ

განეხორციელებინათ ფართო დაპყრობები და მონობაში ჰყოლოდათ მთელი რიგი ხალხები. ეს განსხვავება პრინციპულია, მაგრამ არა ერთადერთი. XX საუკუნის ტოტალიტარიზმი — ნაცისტური იქნება ეს თუ კომუნისტური — გავლენას ახდენდა მილიონობით ადამიანის ბედზე არა მარტო რევოლუციების, ომების, საზოგადოებრივი მღელვარებების დროს. XX საუკუნის ტოტალიტარიზმი ადამიანებს სპობდა მშვიდობიან დროშიც, ომებისაგან დამოუკიდებლად. კატასტროფას ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, მაგრამ ომთან მხოლოდ ირიბად თუ ჰქონდა კავშირი. ბანაკები მშვიდობიან დროშიც არსებობდა. ჩინეთის კულტურული რევოლუცია, მასობრივი მცლელობები წითელი ქხმერების მიერ — ეს ყველაფერი მშვიდობიან დროში ხდებოდა.

XX საუკუნის ტოტალიტარიზმი დამნაშავეა ადამიანების წამებასა და განადგურებაში ცრუ იდეალებზე დაყრდნობით, რომელთაც შეგვიძლია „მანიერი იდეალები" ვუწოდოთ. XX საუკუნის იდეალები გადაიქცა განადგურების იდეოლოგიად და მის სამსახურში ჩაყენებული იყო ტექნიკის უახლესი მიღწევები. ეს მიღწევები გამოიყენებოდა კლასობრივი და რასული შუღლის გასაღვივებლად, რათა გაუკუღმართებულიყო სიტყვა, ადამიანი დამორჩილებოდა ბოროტებას, და ბოლოს, რათა ეწამებინათ და ეხოცათ.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულმა სწორედ ამ პუნქტში აღიარა თავისი ბრალეულობა, მაგრამ ნაწილობრივ. მან აღიარა ნაცისტური ჰიტლერიზმის მიერ ჩადენილი გენოციდი, მაგრამ ძნელი სათქმელია, აღიარებს თუ არა იგი თავის დანაშაულს კომუნიზმის მასობრივ ბოროტმოქმედებებში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაისმის ამ რეჟიმის დამცველთა ხმები. ყოველ შემთხვევაში, ზოგი ჯერ კიდევ ამტკიცებს, რომ „კომუნიზმს თავისუფლებაზე ხელი არ აღუმართავს". ეს არის ციტატა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ლიონელ ჯოსპენის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლიდან. ძნელია ერთი საზომით შეაფასო ნაციზმისა და კომუნიზმის ბოროტმოქმედებანი, ვინაიდან ეს მოვლენები განსხვავებულია ვადებითა და და ინტენსივობით, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიული სინამდვილის ფალსიფიცაციასთან.

XX საუკუნის ტოტალიტარიზმი ეყრდნობოდა ძალადობასა და სიცრუეს. ძალადობა გარკვეულწილად შეჩერებულია, სიცრუე ტოტალიტარიზმის შესახებ — რჩება.

ბრალმდებელი:

— შეგიძლიათ დაასახელოთ ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა რაოდენობა? ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენ მცდარი იდეებისათვის კი არ ვასამართლებთ მსჯავრდებულს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შედეგებად ქცეული ქმედებებისათვის.

მოწმე როშკოვსკი:

— XX საუკუნე ამაყობს ინტელექტის დონით, ტექნიკური სრულყოფილებით, ინფორმაციის გავრცელების სისწრაფით, მაგრამ ამავე დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, დაზუსტებული არ არის XX საუკუნის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა. ციფრები მერყეობს 100 და 200 მილიონს შორის. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამგვარი უზუსტობა შეუფერებელია გონების საუკუნისათვის.

ბრალმდებელი:

— შეიძლება თუ არა ჩაითვალოს საგეგმო მეურნეობის შექმნა, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ? ცნობილია, რომ ამ სისტემამ მოიტანა სიღატაკე, უფრო მეტიც, მასობრივი სიკვდილიანობა შიმშილისაგან, რასაც ადგილი ჰქონდა უკრაინაში 1930-იან წლებში.

მოწმე როშკოვსკი:

— ეკონომიკური სფერო კიდევ უფრო ამძიმებს XX საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების დანაშაულს. ისინი მობილიზაციას უწევდნენ შრომით რეზერვებს, რათა იძულების გზით მიეღწიათ, როგორც ეკონომისტები ამბობენ, სოციალიზმისა და ნაციზმის ე. წ. პირველადი დაგროვებისათვის. ძალდატანებითი შრომა სახელმწიფოსათვის დროებით მომგებიანი იყო. იქამდე, ვიდრე ამ ძალდატანების უმაღლესი პრინციპი — ტერორი ხორციელდებოდა. როცა ხელისუფლების შესანარჩუნებლად ტერორი, როგორც მექანიზმი, უკვე საჭირო აღარ იყო, სისტემა სერიოზული წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩნდა. თურმე მხოლოდ ძალადობის გზით ყოფილა შესაძლებელი მეტ-ნაკლები რენტაბელობის შენარჩუნება. მესამე რაიხის იარაღის ქარხნები, სადაც ტყვეები შრომობდნენ და საბჭოური ტიპის ბანაკები, სადაც გრანდიოზულ მასშტაბებში ხდებოდა მუქთი მუშახელის ექსპლოატაცია, დასავლეთში ჰყიდდნენ პროდუქციას საბაზრო ფასებში. ამონაგები თანხებით შენდებოდა სოციალიზმის „მატერიალური ბაზა". ორივე სისტემა წარმოებულ პროდუქციას მოიხმარდა მომავალი აგრესიებისა და ექსპანსიებისათვის, რასაც თან სდევდა მოლიონობით ადამიანის მსხვერპლი.

ბრალმდებელი:

— ტოტალურმა საგეგმო ეკონომიკამ რამდენი წლით დაამუხრუჭა ის ქვეყნები, სადაც ასეთი რეჟიმები არსებობდა?

მოწმე როშკოვსკი:

— ეს საკმაოდ ძნელი დასადგენია. 1930 წელს პოლონეთის სახალხო მეურნეობა 10-15 პროცენტით მაღლა იდგა, ვიდრე საბერძნეთში. ამჟამად საბერძნეთის ნაციონალური შემოსავალი პოლონეთის დონეზე ორჯერ მაღალია.

დამცველი ჭიშტოფ პესევიჩი

ბრალმდებელი:
— გმადლობთ. შეკითხვები არა მაქვს.
თავმჯდომარე:
— მოწმე დაცვის განკარგულებაშია.
დამცველი:
— მოწმევ, რას საქმიანობდით 1989 წლამდე?

დამცველი ქრისტოფ პესუჩი
მოწმე როშკოვსკი:
— სამეცნიერო მოღვაწეობას ვეწეოდი.
დამცველი:
— წიგნებს თუ გამოსცემდით?
მოწმე როშკოვსკი:
— დიახ.
დამცველი:
— საკუთარი გვარით?
მოწმე როშკოვსკი:
— როგორც საკუთარი, ასევე მოგონილი გვარითაც.
დამცველი:
— რატომ?
მოწმე როშკოვსკი:
— იმიტომ რომ, ზოგიერთი ნაშრომის პუბლიკაციას შეიძლება მათი ავტორისათვის სერიოზული საფრთხე შეექმნა.
დამცველი:
— ახლაც გამოსცემთ წიგნებს?
მოწმე როშკოვსკი:
— დიახ.
დამცველი:
— ვისი გვარით?
მოწმე როშკოვსკი:
— რა თქმა უნდა, საკუთარი გვარით.
დამცველი:
— ეს ფაქტი ხომ არაფერს მიგვანიშნებს?
მოწმე როშკოვსკი:
— მიგიხვდით. დიახ, დღეს სიტყვის თავისუფლებაა.
დამცველი:
— გაქვთ თუ არა ისეთი შეგრძნება, რომ ისტორიისა და ადამიანებისაგან ჩამოყალიბებული გარემო, რომელშიც ამჟამად ცხოვრობთ, თქვენს განვითარებას ხელს უწყობს?
მოწმე როშკოვსკი:
— თუკი დღევანდელი დღე გაქვთ მხედველობაში, ეჭვიც კი მეპარება, რომ ამჟამად ისევ XX საუკუნეში ვცხოვრობდეთ.
თავმჯდომარე:
— ეს საკითხი უკვე დაზუსტებულია. მოწმეს ვთხოვ დაეთანხმოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.
მოწმე როშკოვსკი:
— ვეთანხმები. დღეს მე თავს თავისუფლად ვგრძნობ.
დამცველი:
— გმადლობთ. თავისუფალი ბრძანდებით.
ბრალმდებელი:
— მოწმედ გამოძახებულია ბარბარა სკარგა, ფილოსოფიის პროფესორი.
თავმჯდომარე:
— მაპატიეთ, დიდი მოკრძალებით შეგახსენებთ მოწმის მოვალეობის შესახებ.
ბრალმდებელი:
— მე ვთხოვ მოწმეს, გამოთქვას აზრი XX საუკუნეში მასების ანონიმურობისა და ადამიანურ ღირსებათა დეგრადირების შესახებ და აქედან გამომდინარე, ჰქონდა თუ არა ადამიანს ჩამორთმეული თავისუფლად და პასუხისმგებლობის შეგნებით ცხოვრების უფლება?
მოწმე ბარბარა სკარგა:
— ბატონო პროკურორო, თქვენ ადამიანის შესახებ მეკითხებით. მე კი არ ვიცი, რა უნდა ვისაუბრო მასზე. რას წარმოადგენს დღეს ადამიანი და საერთოდ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის გარკვევა?

ჩვენ ვცხოვრობთ სამეცნიერო-ტექნიკურ საუკუნეში, რაც თავისებურად აისახება ჩვენს წარმოდგენაზე ადამიანის შესახებ. მეცნიერისათვის ადამიანი სახეობის წარმომადგენელია, სოციოლოგისათვის — საზოგადოებრივი ელემენტი, ექიმისათვის — შემთხვევა სამკურნალო პრაქტიკაში, პოლიტიკოსისათვის — ამომრჩეველი, ეკონომისტისათვის — გადასახადების გადამხდელი, ან მომხმარებელი. ინდივიდუალური ადამიანი აღარ არის. ადამიანი დაქვეითებულია სოციალური როლის შემსრულებლის დონემდე. როცა სამყაროს ახსნაში ძირითადი ფუნქცია მეცნიერებასა და ტექნიკას ეკისრება, ცალკეული ადამიანი პატარავდება, მცირდება უზარმაზარი მსოფლიო მექანიზმის ჭანჭიკის ზომამდე და მნიშვნელობას ჰკარგავს.

აღარავის აღელვებს ტკივილი, სურვილი, ცალკეული ადამიანის გარდაცვალება. პიროვნება ნელ-ნელა იკარგება, რჩებიან მასები. ამ ჭადრაკის დაფაზე ნებისმიერი სვლებით შეიძლება ადამიანით მანიპულაცია — ისე, როგორც მოისურვილებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებმაც უკვე მნიშვნელობა დაკარგეს, შეიძლება დაუბრკოლებლად მოჰგლიჯო მშობლიურ ფესვებს, გადაასახლო სადაც გინდა, შეიძლება ამოუღლიტო მთელი ერი. ხომ გვაქვს ასეთი მაგალითები XX საუკუნის ისტორიიდან.

სამაგიეროდ, მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოებამ, ერმა, პარტიამ, ორგანიზაციამ. კიდევ უარესი. თავადვე ვრწმუნდებით, რომ აღარაფერს არ წარმოვადგენთ და აღარ გვინდა გარემომცველი მასისაგან გამოყოფა. ყოველდღიურად ვშრომობთ საკუთარი ინდივიდუალობის ჩასახშობად. ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთი, როგორიც არის სხვა, როგორიც არის ყველა. ჩვენ აღარ გვინდა ვიყოთ ორიგინალურები, აღარ გვინდა სხვებისაგან განსხვავდებოდეთ. ჩვენ შევიძულეთ სხვაგვარობა, პატივს მივაგებთ მხოლოდ რიგითობას.

ჩვენს საუკუნეში დაიბადა პიროვნების კულტი — იმ ფონისათვის, რაზეც მე ვისაუბრე, ეს ფაქტი დაუჯერებელ პარადოქსად აღიქმება, მაგრამ ეს პარადოქსი არ არის. რაკი მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოებამ, რაც უფრო მრავალრიცხოვანი იყო იგი, მით უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ პიროვნებები, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებას განასახიერებდნენ, როგორც მათი ხილული სიმბოლოები და ამის გამო, ბრმა თაყვანისცემის ობიექტად იქცეოდნენ. სტალინი მსოფლიო პროლეტარიატს განასახიერებდა, ჰიტლერი — ძლიერ გერმანულ ერს. როცა დიადი კერპები დაემხო, მსოფლიომ მოისაცლისა და მცირე კერპები მოისურვილა. დიადი დამწაშაეებიდან მასობრივი კულტურის ზიზილ-პიპილებამდე ჩამოქვეითდა. ვისაც ახსოვს მასების ენთუზიაზმი პარტიულ თავყრილობებზე და დღევანდელ ბედის რჩეულებსა და მათ პატივსაცემად აბღავლებულ ბრბოს შეადარებს, აუცილებლად გააცებს შსგავსება.

ამგვარად, ინდივიდუალობა იკარგება. ჩვენ არ გვიყვარს ინდივიდუალობა, არ გვიყვარს ელიტა. ზოგჯერ ვუშვებთ გამონაკლისს, მაგრამ ელიტა მაინც არ გვიყვარს. კულტურას კი, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ ელიტა ჰქმნის.

ბრალმდებელი:

— პროცესისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა თქვენი აზრი ინდივიდუალობის დაკარგვის პრაქტიკული შედეგების შესახებ. ხომ არ არის კავშირი ასეთ შედეგებსა და ჩვენთვის მიუღებელ მდგომარეობას შორის, როცა ბოროტმოქმედება ხდება საზოგადოების თანხმობით?

მოწმე სკარგა:

— რა თქმა უნდა. თუკი პიროვნება აღარაფერს არ ნიშნავს, ადამიანი თავს დამნაშავედ აღარ სთვლის, პასუხს არ აგებს საკუთარ საქციელზე. ამბობენ, დამნაშავეა საზოგადოება, დამნაშავეა სკოლა, დამნაშავეა აღზრდა, დამნაშავეა ისტორია. აღარავის არ სურს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. იმიტომ რომ, მთლიანად საზოგადოებაზე, მთლიანად ისტორიაზეა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, დამნაშავე საერთოდ არ არსებობს. იგივე ხდება კულტურის სფეროშიც. დაიკარგა ავტორი. გაქრა პასუხისმგებლობა. ამიტომ ყველაფერი ნებადართულია. დაიკარგა პატივისცემა მეორე ადამიანისადმი, ვინაიდან სხვას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება პატივი სცე, როცა საკუთარ თავს სცემ პატივს.

ბრალმდებელი:

— ესე იგი, თქვენს სიტყვებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ XX საუკუნეში გაღრმავდა დეჰუმანიზაციის პროცესი, რისი გამოხატულებაც გახლავთ პასუხისმგებლობის გრძნობის მასობრივი დაკარგვა.

დამცველი:

— ვაპროტესტებ!

მოწმე სკარგა:

— მე საკითხს ასე მკვეთრად არ დავაყენებდი, მაგრამ ტენდენცია აშკარაა და მის წინააღმდეგ აუცილებლად ბრძოლაა საჭირო.

ბრალმდებელი:

— გმადლობთ.

თავმჯდომარე:

— სიტყვა ეძლევა დაცვას.

დამცველი:

— მაპატიეთ ასეთი შეკითხვისათვის, მაგრამ თქვენ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ხომ ეწევით?

მოწმე სკარგა:

— დიახ.

დამცველი:

— დიდი ხანია?

მოწმე სკარგა:

— დიახ, საკმაოდ დიდი ხანია.

დამცველი:

— თქვენი მოწაფეები, ვინ არიან ისინი, პიროვნებები თუ მასა?

მოწმე სკარგა:

— ერთი ძველი პოლონური ანდაზა ამბობს: „გამონაკლისი ასაბუთებს წესს".

დამცველი:

— მაგრამ გამონაკლისები შესძლებენ თუ არა ჩვენი მომავლის შექმნას?

მოწმე სკარგა:

— მე ძალიან მინდა, რომ ჩემმა მოწაფეებმა ააშენონ ჩვენი საერთო მომავალი, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთო მასაში მათ ძალიან პატარა ხმა ეძნებათ.

დამცველი:

— ახლახან, დაახლოებით ერთი წლის წინათ (პოლონეთში რომის პაპის — იოანე პავლე II სალოცავად მოგზაურობის დროს), კრაკოვის მიდამოებში კოკისპირული წვიმის ქვეშ მილიონი ადამიანი შეიკრიბა. ვინ იყო იქ — მასა თუ პიროვნებები, რომლებიც მიელტვოდნენ ინდივიდუალურ შეგრძნებებს...

მოწმე სკარგა:

— ბატონო ადვოკატო, თქვენი შეკითხვა საკმაოდ რთულია. მე დარწმუნებული არა ვარ მსგავსი აღტკინების ფულწრფწლობაში. არც ის ვიცი, როგორ მოიქცეოდნენ ეს ადამიანები, თუკი მათ წინაშე პრესლი გამოვიდოდა. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ მათთვის ყველაფერი სულერთი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ბევრი მათგანისათვის არ არის სულერთი.

დამცველი:

— თქვენ დარწმუნებული ხართ?

მოწმე სკარგა:

— არა, არა ვარ დარწმუნებული. მე მხოლოდ მოწმე ვარ და არ შემიძლია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ხდება ადამიანთა სულებში.

დამცველი:

— გმადლობთ. შეკითხვები არ მაქვს.

თავმჯდომარე:

— ბრალდებას გამოძახებული ჰყავს სხვა მოწმეები?

ბრალმდებელი:

— დიახ, ბატონო თავმჯდომარევ, კიდევ რამდენიმე ადამიანია. ბრალდების მოწმედ მოვიხმობ მიხალ ჰელერს, მღვდელმსახურს, ფიზიკის პროფესორს.

ბატონო თავმჯდომარევ და ღრმად პატივცემულო ნაფიცო მსაჯულებო, თქვენ, ალბათ, დაგაინტერესებთ, რამდენად კომპეტენტურია მოწმე...

მოწმე მიხალ ჰელერი

— მე რომაულ-კათოლიკური რწმენის მიმდევარი გახლავართ...

ბრალმდებელი:

— ეს საკითხი დღეს უკვე აღარ წარმოადგენს ბრალდების საგანს...

მოწმე ჰელერი:

— ...ვმოღვაწეობ მეცნიერებაში — თეორიულ ფიზიკაში, რელატიურ კოსმოლოგიაში, ფილოსოფიაში, მეცნიერების ფილოსოფიაში.

ბრალმდებელი:

— ერთი სიტყვით, თქვენ საკმაოდ კარგად ერკვევით XX საუკუნის მეცნიერების მდგომარეობაში?

მოწმე ჰელერი:

— იმედი მაქვს...

ბრალმდებელი:

— ხშირად გაიგონებთ, რომ სამეცნიერო თვალსაზრისით ასე რიგად განვითარებული XX საუკუნე, ამავე დროს ახშობდა მეცნიერებას. რამდენად სწორია ასეთი მოსაზრება?

მოწმე ჰელერი:

— ბატონო თავმჯდომარევ და ღრმად პატივცემულო ნაფიცო მსაჯულებო, ჩვენება მინდა დავიწყო სუბიექტური აღიარებით. მე მიყვარს XX საუკუნე. იმიტომ, რომ ეს ჩემი დროა. მით უფრო დიდი გულისტკივილი იქნება პასუხში.

მეცნიერება საოცარი სფეროა, თუმცა XX საუკუნემ იგი დაამახინჯა და უკეთური მიზნებისთვის გამოიყენა. ამ საუკუნეში ბევრს შთააგონეს, რომ მეცნიერება, გარკვეული თვალსაზრისით, ბოროტებაა. მეცნიერება სინამდვილეში სიკეთეა. ისეთივე სიკეთე, როგორც ადამიანობა. ადამიანი გონიერი არსებაა. გონი ადამიანის ბუნების ნაწილია, ხოლო მეცნიერება ჩვენი გონიერების მშვენიერ კვინტესენციას წარმოადგენს. ამიტომაც გააჩნია მას ზნეობრივი ღირებულება. მეცნიერების შექმნითა და მასში მოღვაწეობით ჩვენ ვქმნით და ვანვითარებთ ადამიანურს.

სამყაროს შეცნობით ჩვენ ვუახლოვდებით ჭეშმარიტებას. ამრიგად, მეცნიერებას დიდი შემეცნებითი ღირებულებაც გააჩნია, მაგრამ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ გარემოებას. მეცნიერება ღირებულია ესთეტიკური თვალსაზრისითაც. იგი მშვენიერია. ჩვენ შევქმენით ხელოვნების უამრავი შედევრი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ისინი ახლოს მოვიდნენ მეცნიერებასთან. მეცნიერება გახლავთ აბსტრაქცია, გამოუთქმელიც და ამავე დროს კონკრეტულიც, ხელშესახებიც და წინააღმდეგობრივიც.

ძნელია ამტკიცო, რომ ამ საუკუნეს არ ჰქონდა დიადი მიღწევები. XIX საუკუნისაგან ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ მთელი რიგი პრობლემები, რომლებმაც მეცნიერების საფუძველთა დიდ რევოლუციამდე მიგვიყვანა. ეს იყო კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი სამყაროს შესაცნობად. მე, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ფარდობითობისა და კვანტური მექანიკის თეორიები და ამ თეორიათა შემდგომი დამუშავება.

XX საუკუნემ თავისი წინამორბედი XIX საუკუნისაგან ბევრი რამ ისწავლა, მაგრამ განსხვავება მაინც საგრძნობია. XIX მეცნიერთა საუკუნე იყო, XX — მეცნიერ-მუშაკების საუკუნე გახლავთ. დღეს გიგანტები ზეგიგანტობაზე პრეტენზიების მიუხედავად, იძირებიან რივითობისა და ერთფეროვნების მორევში.

ჩვენ შემოვაბიჯეთ XX საუკუნეში უდიდესი მიღწევებით. რა მოხდა მერე? გამოცხვა თეორიები, რომელთა მიხედვითაც მეცნიერება მხოლოდ უამრავი შეთანხმება ყოფილა. მერე — რომ შეიძლება მისი დაყვანა უამრავ ხორციელ გრძნობამდე. კონვენციონალიზმი და პოზიტივიზმი შეიცავდა ბევრ მნიშვნელოვანსა და ფასეულს, მაგრამ ყველაფერი იმდენად იყო გაჯერებული ათასგვარი მონაჩმახით, რომ ადამიანის გონების დაჩლუნგების იარაღებად იქცა.

ნებისმიერი მეცნიერი, რიგითი მეცნიერ-მუშაკიც კი, რომელიც ამ სპეციალობებში მუშაობს, ვალდებულია აღიაროს რომ ნეოპოზიტივიზმის ძირითად თეზისებში მხოლოდ უაზრო რახა-რუხია.

ეს სისტემები ჩვენს საუკუნეს მძიმე ტვირთად დაწვა, რადგან ადამიანებს შთააგონებდნენ ისეთ მეტაფიზიკას, რომლის თანახმად ნებისმიერი მეტაფიზიკა სისულელედ აღიქმებოდა. ასეთი იყო მეცნიერების მდგომარეობა სამყაროს ერთ ნაწილში, მეორე ნაწილში კი XX საუკუნემ განსხვავებული სტრატეგია აირჩია — აღვირახსნილი სიცრუისა და ტერორის სტრატეგია. მეცნიერება ვალდებული იყო დახმარებოდა ლოზუნგების კორიანტელს დიალექტიკური მატერიალიზმის სახელწოდებით. მას ძალდატანებით აზუთხინებდნენ ადამიენებს, ხოლო თუ ვინმე სიფრთხილეს არ გამოიჩენდა და სხვავგარად ფიქრს გაბედავდა, ასეთებს, უბრალოდ, ლიკვიდაციას უკეთებდნენ. ამ ცოტა ხნის წინ ერთმა საბჭოთა, ამჟამად რუსმა მეცნიერმა მითხრა, რომ შურს ჩვენი, რადგან ევროპაში იყო ინკვიზიცია, რომელიც თვალის ასახვევად მაინც აწყობდა სასამართლოებს, საბჭოეთში კი დამნაშავეებს, მისი თქმით, პირდაპირ კედელთან აყენებდნენ.

ბოროტების არსი ირაციონალურობაშია. იგი ანგარიშს ვერ უწევს სინამდვილის სტრუქტურებს. ამიტომაც, ადრე თუ გვიან — სამწუხაროდ, ყოველთვის ძალიან გვიან — იგი მარცხდება. 70-იან წლებში მკაცრმა პოზიტივიზმმა დათმო პოზიციები, ცოტა ხანში დაინგრა კომუნისტური სიცრუისა და ტერორის სისტემაც. თითქოს დადგა დრო, გვესუნთქა ჯანსაღი ჰაერით, გვეცხოვრა თავისუფლებისა და კრიტიკული აზროვნების საპასუხისმგებლო ატმოსფეროში. მაგრამ გაბატონდა ახალი, კიდევ უფრო გაქნილი გონება-ჭახრაკობა. აზროვნების თავისუფლება? რა თქმა უნდა! ამისათვის მთავარია განვთავისუფლდეთ შინაგანი შეზღუდვებისაგან. რა ზღუდავს ადამიანს ყველაზე მეტად? ლოგიკა, რომელიც ახალი დროის მეცნიერებმა შეთხზეს. მაშასადამე, შორს ლოგიკა, შორს თვითდისციპლინა, შორს თანამედროვეობა. ჩვენ შევქმნით საკუთარ დროებას — პოსტთანამედროვეობას. სამწუხაროდ, ასეთი ბაცილა უკვე გავრცელებულია და ახალ სივრცეებს ითვისებს.

XX საუკუნემ მემკვიდრეობად მიიღო შეკითხვები, რომლებმაც დიად აღმოჩენებამდე მიგვიყვანა. მე ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: ჩვენ, ამ საუკუნის ადამიანები რას ვუტოვებთ შთამომავლობას? ხომ არ იქნება ეს მაღალი ტექნოლოგიებით შეფუთული საინფორმაციო საღეჭი რეზინა?

ბრალმდებელი:

— დაღგენილია, რომ XX საუკუნე მეცნიერებასა და ტექნიკას მკვლელობის მიზნით იყენებდა. რას გვეტყვით გამოგონებებზე, რომლებიც უშუალოდ გამოიყენებოდა როგორც მასობრივი განადგურების იარაღი და გენიციდის ინსტრუმენტი?

მოწმე ჰელერი:

— მოწმეებმა უკვე აღნიშნეს, რომ დანაშაული ინდუსტრიად იქცა. ინდუსტრია კი ტექნოლოგიის შედეგია, რომელიც თავის მხრივ მეცნიერების გაგრძელებას წარმოადგენს. ჩემი მსჯელობით არ მინდა ჩრდილი მივაყენო მოწმეთა ჩვენებების მნიშვნელობას, მაგრამ მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო კავშირს დანაშაულებრივ ტექნოლოგიებსა და მეცნიერებით ფსევდოფილოსოფიურ მანიპულაციას შორის. ერთი, მეორის გარეშე, წარმოუდგენელია. მე ვიტყოდი, რომ სწორედ მეცნიერებით მანიპულაცია გახლავთ დანაშაულებრივი ტექნოლოგიების შექმნის წინაპირობა.

ბრალმდებელი:

— ეს იმიტომ, რომ დღეს მეცნიერებაში ფასობს ეფექტიანობა და არა ჭეშმარიტება? ეფექტიანობა შეიძლება იყიდო და არა მარტო ქრთამით, თუნდაც ბიუჯეტის სახსრებიდან...

მოწმე ჰელერი:

— დარწმუნება უფრო იაფია, ვიდრე ყიდვა.

ბრალმდებელი:

— მაშასადამე, XX საუკუნის სპეციფიკა შეგვიძლია ასეც განვმარტოთ: მსჯავრდებულმა შესძლო (სხვათა შორის, მეცნიერების დახმარებითაც) შეექმნა ისეთი ტექნოლოგიები, რომლებმაც საშუალება მისცა განეხორციელებინა წინა საუკუნეებთან შედარებით გაცილებით ინტენსიური ბოროტმოქმედებანი...

დამცველი:

— პროტესტს გამოვთქვამ! ბატონო თავმჯდომარევ, მოვითხოვ, რომ მოწმემ გამოთქვას საკუთარი აზრი და არა ბრალმდებელმა ჩამოაყალიბოს თეზისებად თავისი შეხედულებები.

თავმჯდომარე:

— სამართლიანი საყვედურია. ბრალდებას ვთხოვ შეკითხვა სხვა ფორმით დასვას.

ბრალმდებელი:

— არსებობს თუ არა კავშირი პოლიტიკურ და ფინანსურ საშუალებებს შორის, რაც გავლენას ახდენს მეცნიერებაზე და იყენებს მას დანაშაულებრივი მიზნებისათვის?

მოწმე ჰელერი:

— ასეთი კავშირი, რა თქმა უნდა, არსებობს. მეცნიერება, განსაკუთრებით კი ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული დარგები, მოითხოვს უზარმაზარ კაპიტალდაბანდებას. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მეცნიერთა ყიდვა შესაძლებელია. არის მეორე გარემოებაც, რომელიც უცხო იყო წინა საუკუნეებისათვის. სერიოზული კვლევითი ამოცანებისათვის, მაგალითად, ატომური ბომბის შესაქმნელად, საჭიროა მრავალრიცხოვანი კოლექტივის შრომა. პროგრამის ცალკეულ ნაწილებზე მომუშავე რგოლებს შესაძლოა წარმოდგენაც არ ჰქონდეთ ერთმანეთის საქმიანობისა და კვლევის საბოლოო მიზნის შესახებ. ასეთ შემთხვევებში ძალაუფლებისა და ფულის მეპატრონეებს მანიპულაცია უადვილდებათ და ისინიც თავის ნებაზე ატარებენ მეცნიერებებს, რომლებსაც შედეგზე წარმოდგენა არა აქვთ.

ამ საუკუნის ზოგიერთ მონაკვეთში მანიპულაციათა მოტივი გახლდათ იდეოლოგია და მსოფლიოზე გაბატონების სურვილი, დღეს მოტივაცია ძირითადად მოგებაა.

ბრალმდებელი:

— გმადლობთ, მე დავასრულე.

თავმჯდომარე:

— დაცვას უფლება ეძლევა დასვას შეკითხვები.

დამცველი:

— თქვენი ჩვენებიდან გამომდინარე, XX საუკუნეში სამეცნიერო კაბინეტებიდან დალაბორატორიებიდან მხოლოდ ბოროტება გამოდიოდა. თუ გახსოვთ კაცობრიობის ისტორიიდან ისეთი პერიოდი, როცა სამეცნიერო მიღწევები მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს ადამიანის ფიზიკური ტკივილის შემცირებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას?

მოწმე ჰელერი:

— ამ თვალსაზრისით ჩვენი საუკუნე მართლაც გამონაკლისია და მოხარული ვარ, რომ მომიწევს ჩვენების მოცემა მსჯავრდებულის სასარგებლოდ. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ მე მეცნიერებას როდი ვადანაშაულებდი. პირიქით, ვცდილობდი მის დაცვას. მე დასაწყისშივე ვთქვი, რომ მეცნიერება სიცეთეა. მედიცინა მეცნიერების ერთი შემადგენელი ნაწილია და ნამდვილად ჩვენი სიამაყის საგანს წარმოადგენს. თუმცა, როგორც მოწმე, ვამტკიცებ, რომ XX საუკუნეში მეცნიერებას უკეთური მიზნებისათვის იყენებდნენ. საბედნიეროდ, მეცნიერების ყველა დარგს ასეთი მიზნებისათვის ვერ გამოიყენებ, მაგრამ თუ ჩაუღრმავდებით მედიცინის ისტორიას, განსაკუთრებით თანამედროვე გენურ ინჟინერობას, აქაც შეიძლება შევნიშნოთ მსჯავრდებულის საწინააღმდეგო მოტივები.

დამცველი:

— მაინც რომელი მეცნიერი გახდება XX საუკუნის სიმბოლო, დოქტორი მენგელე თუ აინშტაინი?

მოწმე ჰელერი:

— რა თქმა უნდა, აინშტაინი.

დამცველი:

— თქვენ მეცნიერების მიღწევებზე საუბრობდით. რას იტყვით ასეთ პარადოქსზე: ჩვენ რაც უფრო მეტს ვიგებთ, მით უფრო ღრმაა საიდუმლოს აღქმა? რაც უფრო მეტი ვიცით, მით უფრო მივისწრაფით აბსოლუტისაკენ?

მოწმე ჰელერი:

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ვიგულისხმებთ ამ ნაცვალსახელში. თუ ბატონი ადვოკატი გულისხმობს სპეციალისტებს, ანუ ელიტას, როგორც წინა მოწმემ აღნიშნა, მაშინ აუცილებლად მორჩილების გრძნობა გაიზარდა, საიდუმლოს აღქმის უნარიც. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ასეთ სტატისტიკურ გრძნობას ვერწმუნოთ. მაგრამ თუ ჩვენ მხედველობაში გვყავს მასა, რომელზეც წინა მოწმე საუბრობდა, მაშინ, რა თქმა უნდა, პასუხი უარყოფითი იქნება.

აქ მე კიდევ ერთხელ დავადანაშაულებდი XX საუკუნეს მანიპულაციებისათვის. დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მეცნიერებას სიბრტყეში, გამარტივებულად, ხშირად კარიკატურულად გვისატავს. მათ მეცნიერება დაჰყავთ ოდენ სენსაციურ მიღწევებამდე. ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს მორჩილების გრძნობის ზრდასა და საიდუმლოს აღქმას.

დამცველი:

— ხომ არ შეადარებდით XIX საუკუნის ბოლოს ჩვენი საუკუნის ბოლოსთან?

მოწმე ჰელარი:

— საინტერესო შედარება გამოვა, თუმცა ძნელი სათქმელია, ვის სასარგებლოდ დამთავრდება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფიზიკის დარგში სერიოზულად მუშაობდა დაახლოებით 500 მეცნიერი. დღეს ათი ათასობით მეცნიერ-მუშაკი საქმიანობს ულტრათანამედროვე ლაბორატორიებში. როგორც ხედავთ, შედარება არც ისე იოლია.

დამცველი:

— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღეს რწმენა ადამიანის ეონებრივი შესაძლებლობების სიდიადეში შეირყა?

მოწმე ჰელერი:

— ვისთვის — კი, ვისთვის — არა. დღეს, ასწლეულის ბოლოს, მეცნიერებას ცრუ მეცნიერებასთან აიგივებენ. მე მაღიზიანებს, როცა წიგნების მაღაზიებში ჩემი ასტრონომიული ნაშრომების გვერდით ასტროლოგიურ ფანტაზიებს ვხედავ.

დამცველი:

— მე საშუალო ციფრებზე გეკითხებით.

მოწმე ჰელერი:

— ციფრებზე შეგიძლიათ მიმართოთ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ინსტიტუტს. მსგავს მონაცემებზე მე ხელი არ მიმიწვდება. ღრმად მოაზროვნე ადამიანებში მეცნიერება აუცილებლად ამძაფრებს სწრაფვას აბსოლუტისაკენ, ზედაპირულად მიაზროვნე ადამიანებში კი, რომლებიც, სამწუხაროდ, ყოველთვის უფრო მეტნი არიან, აბსოლუტს სცვლის მეცნიერება, აბსოლუტის სუროგატი.

დამცველი:

— უკანასკნელი შეკითხვა. როგორ ფიქრობთ, ბოლომდე არის თუ არა გამოყენებული მძლავრი, XX საუკუნეში დაგროვილი ენერგია, რომელსაც დედამიწის განადგურება შეუძლია?

დაჭერილია, თუ არა თითი უკანასკნელ ღილკაზე?

მოწმე ჰელერი:

— ასეთ შემთხვევაში ჩვენ აქ ვერ შევიცრიბებოდით.

დამცველი:

— გმადლობთ. მოწმესთან შეკითხვები არა მაქვს.

ბრალმდებელი:

— ბრალდების მოწმედ გამოძახებულია რიშარდ კაპუშჩინსკი.

თავმჯდომარე:

— მოწმეს შევახსენებ მოვალეობის შესახებ.

ბრალმდებელი:

— მოწმევ, თქვენ მოგზაური და მწერალი ბრძანდებით, აკვირდებოდით რა ბრალდებულის დანაშაულებრივ საქმიანობას პლანეტის მასშტაბით, ხშირად გამოგითქვამთ უკმაყოფილება კეთილდღეობის, ანუ დედამიწის მატერიალური დოვლათის უსამართლო განაწილებაზე.

მოწმე რიშარდ კაპუშჩინსკი:

— ბატონო თავმჯდომარევ, წარმოვიდგინოთ ძალთა შეფარდება და დაძაბულობის მიმართულებები პლანეტაზე ჯგერის ფორმით. XX საუკუნის მეორე ნახევარში მთავარი იყო ამ ჯგვარის ჰორიზონტალური მხარე, ანუ დამოკიდებულება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ერთმანეთს ექიშპებოდა ორი დიდი კონცეფცია, ორი მტრულად განწყობილი ბანაკი. ერთ მხარეს იყო დემოკრატია, მეორე მხარეს — ნუ ჩავეძიებით წვრილმანებს — დიქტატურა. კონფრონტაციის ეს ხაზი ათი წლის წინ გაირღვა. მაგრამ გამწვავდა მდგომარეობა კონფრონტაციის სრულიად ახალ ხაზზე, რომელიც სამხრეთსა და ჩრდილოეთს, ანუ მდიდრებსა და ღარიბებს შორის გადის. ახალი დაპირისპირება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობს ორი განსხვავებული ცივილიზაცია, განვითარების ცივილიზაცია და თვითგადარჩენის ცივილიზაცია.

როცა კაცობრიობამ XX საუკუნეში შემოაბიჯა, იგი მილიარდ ნახევარ ადამიანს ითვლიდა. 100 წლის განმავლობაში ეს ციფრი ოთხჯერ გაიზარდა და ექვსი მილიარდი შეადგინა. და ეს მილიარდები ჩვენი ცივილიზაციით სრულიად არათანაბრად სარგებლობენ.

დედამიწა ძალიან უსამართლო ადგილია და ეს უსამართლობა განუხრელად იზრდება. დაგისახელებთ XX საუკუნის ყველაზე უცნაურ პარადოქსს, რაც უფრო ვითარდება სამყარო, მით უფრო იზრდება უსამართლობა ამ განვითარების მიღწევათა განაწილებაში. ნებსით თუ უნებლიედ, განვითარება თავისთავად გადაიქცა უსამართლობის მამოძრავებელ ძალად. 1960 წელს, ანუ ჩვენი საუკუნის შუახანებში, დედამიწის მოსახლეობის ყველაზე მაღალანაზღაურებადი 20 პროცენტის შემოსავალი 30-ჯერ აღემატებოდა ყველაზე დაბალანაზღაურებადი 20 პროცენტის შემოსავალს. დღეს, საუკუნის მიწურულს კი, 83-ჯერ აღემატება. სხვაობა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის შეადგენს 25 წელიწადს. აქედან გამომდინარე, ყველას, ვინც მდიდარ ქვეყანაში იბადება, წინასწარ საჩუქრად აქვს ბოძებული დამატებით 25 წლის სიცოცხლე.

უთანასწორობა აბსოლუტურად ყველა სფეროში ვლინდება. მაგალითად, სამედიცინო ფირმებმა, რომლებიც ძირითადად დიდი ამერიკული კონცერნების ხელშია, 1980 წლიდან დღემდე, მსოფლიო ბაზარზე გასაყიდად გამოიტანა 1230 დასახელების ახალი პრეპარატი. აქედან მხოლოდ თოთხმეტია განკუთვნილი ტროპიკულ დაავადებათა საწინააღმდეგოდ. ეს მაშინ, როცა ტროპიკული სნეულებებით დაავადებულია კაცობრიობის სამი მეოთხედი.

პარადოქსია, მაგრამ დღეს პრობლემას წარმოადგენს არა მარტო შიმშილი, რაზეც უკვე ისაუბრა ბრალმდებელმა, არამედ კვების პროდუქტების სიჭარბე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამ პროდუქციით შეგვეძლო გამოგვეკვება დედამიწის დღევანდელი მოსახლეობის 120 პროცენტი. პრობლემა კვების პროდუქტების განაწილებაშია.

დღეს დედამიწაზე ცხოვრობს მილიარდი უმუშევარი, ან დროდადრო დასაქმებული ადამიანი, რომლებმაც არ იციან, რით იცხოვრონ. 7 წლის შემდეგ ჩვენს პლანეტას შეემატება 15-დან 24 წლამდე ასაკის 700 მილიონი ახალგაზრდა, რომელთაც არ ექნებათ მომავალი, რადგან დაიბადნენ ჯურღმულებსა და მიწურებში, მოკლებულნი იმედს, საკვებსა და სასმელ წყალს. რა ვუყოთ ამ 700 მილიონ ენერგიით და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდას, რომლებისთვისაც ჩვენს პლანეტაზე ადგილი არ არის?

უთანასწორობა ჯერ კიდევ ოჯახში იწყება, სადაც ქალები და მოზარდები მეტს შრომობენ, მაგრამ უარესად იცვებიან, ვიდრე მამაკაცები. ცალკეულ ქვეყანათა შიდა განვითარებაც საკმაოდ არათანაბრად მიმდინარეობს. არის რეგიონები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ სხვა რეგიონებს. ასე, მაგალითად, ბრაზილიის სამხრეთი საშინელ ექსპლუატაციას უწევს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს. ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს შიდა კოლონიალიზმი, ექსპლოატაცია ერის, ტომის, თემის ფარგლებში. ეს უთანასწორობა შემდეგ მსოფლიო დონეზე გადადის. ასეთია კაპიტალის ლოგიკა. ინვესტორები ეძებენ ადგილს, სადაც შესაძლებელია მაქსიმალურად დიდი და სწრაფი მოგება. ჯგუფში მსოფლიო კაპიტალის 82 პროცენტი თავმოყრილია პლანეტის მოსახლეობის 20 პროცენტის ხელში.

ღარიბებს მდგომარეობიდან თავის დაღწევის არავითარი იმედი და შანსი არა აქვთ. ჩვენ კი სულ უფრო და უფრო ხშირად ვარიდებთ თავს ამ პრობლემას, ვინაიდან მზად არა ვართ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ ვერ ჩამოვაყალიბეთ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მიიღებდნენ გამოწვევას. შექმნილია სიტუაცია, ჩვენს წარმოსახვასაც და რეაგირების უნარსაც რომ აჭარბებს.

ელექტრონულმა რევოლუციამ ჩვენ ერთ საკაცობრიო ოჯახად გაგვაერთიანა. გლობალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველდღიურად გვაწვდის ცნობებს დღის მთავარი თემების შესახებ და ჩვენს წინაშე ყოველდღიურად დგას თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემა, მდიდრები — კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები — კიდევ უფრო ღატაკდებიან.



მოწმე რიშარდ კაპუჭინსკი

ბრალმდებელი:

— ბრალდებამ ყურადღებითა და თანაგრძნობით მოისმინა მოწმის ჩვენება. მაგრამ სურვილი გაგვიჩნდა კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხოთ ზოგიერთ საკითხს. როგორ ფიქრობთ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი კონფლიქტები მხოლოდ XX საუკუნისათვის არის დამახასიათებელი?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— დიახ, ისინი მხოლოდ XX საუკუნისათვის არის დამახასიათებელი და ამავე დროს სულ სხვადასხვა ნიშნით. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მოწმედ გამოვდივარ, არ შემიძლია არ აღვნიშნო პარადოქსებით აღსავსე მსჯავრდებულის უდიდესი მიღწევა. ეს გახლავთ კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაცია. თუ შევადარებთ XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის რუქებს, დასაწყისში დავინახავთ მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელ ქვეყანას, დანარჩენი სამყარო, ძირითადად, ამ ქვეყნებზეა დამოკიდებული. ბოლოს ჩვენ ვნახავთ რუქას, რომელზეც პრაქტიკულად მთელი მსოფლიო თავისუფალია. რა თქმა უნდა, არსებობს ჩაგვრის სხვადასხვა ფორმა, აგრეთვე დამოკიდებულება — დამოუკიდებლობის სხვადასხვა ფორმები, მაგრამ ფორმალურად, ლეგალიზაციის თვალსაზრისით, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, კაცობრიობამ, როგორც სუბიექტმა, პირველად შეაღო ისტორიის კარები.

ბრალმდებელი:

— როგორ ფიქრობთ, გახდა თუ არა კაცობრიობა ამ ფაქტის წყალობით უფრო ბედნიერი?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— მისი ყველა წევრი არა, მაგრამ გამოიკვეთა შესაძლებლობა, რომელიც აქამდე არ ჩანდა. პრინციპული შეცდომა და უზარმაზარი გაუგებრობა იმაში მდგომარეობს, რომ აქამდე პროგრესის დონე ფასდებოდა საერთო ნაციონალური შემოსავლის საფუძველზე. ეს იყო ეკონომიკური ზრდის მშრალი მონაცემები. დღეს ჩვენ გადავდივართ პროგრესის დონის შეფასების სრულიად ახალ მეთოდზე. ჩვენ პირველად შევიტანეთ შემოსავლებში ჰუმანიტარული ფაქტორი.

ბრალმდებელი:

— როგორ ფიქრობთ, ჰუმანიტარული ფაქტორის გათვალისწინებამდე, პასუხი შექმნილ მდგომარეობაზე მაინც XX საუკუნემ უნდა აგოს?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— დიახ, რა თქმა უნდა. ადრე ითვლებოდა, რომ საკმარისი იყო გვეშენებინა განსაზღვრული რაოდენობის ფაბრიკები, გზები, სხვადასხვა ნაგებობები და ეს აღიქმებოდა პროგრესის ნიშნად, ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ნიშნად. აღმოჩნდა, რომ ასე არ არის. შეიძლება აშენო ფაბრიკა-ქარხნები და ამავე დროს საზოგადოებამ სიღატაკეში იცხოვროს.

ბრალმდებელი:

— თქვენი ჩვენებიდან გამომდინარე, შეგვიძლია მოვითხოვოთ ბრალდების ჩარჩოების გაფართოება, ვინაიდან XX საუკუნე მემკვიდრეობად არა მარტო საშინელ სიღატაკეს გვიტოვებს, არამედ უმიზნოდ გახარჯულ ადამიანურ კაპიტალსაც. თქვენი

დამცველი:

— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღეს რწმენა ადამიანის ვონებრივი შესაძლებლობების სიდიადეში შეირყა?

მოწმე ჰელერი:

— ვისთვის — კი, ვისთვის — არა. დღეს, ასწლეულის ბოლოს, მეცნიერებას ცრუ მეცნიერებასთან აიყვანენ. მე მაღიზიანებს, როცა წიგნების მაღაზიებში ჩემი ასტრონომიული ნაშრომების გვერდით ასტროლოგიურ ფანტაზიებს ვხედავ.

დამცველი:

— მე საშუალო ციფრებზე გეკითხებით.

მოწმე ჰელერი:

— ციფრებზე შეგიძლიათ მიმართოთ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ინსტიტუტს. მსგავს მონაცემებზე მე ხელი არ მიმიწვდება. ღრმად მოაზროვნე ადამიანებში მეცნიერება აუცილებლად ამძაფრებს სწრაფვას აბსოლუტისაკენ, ზედაპირულად მიაზროვნე ადამიანებში კი, რომლებიც, სამწუხაროდ, ყოველთვის უფრო მეტნი არიან, აბსოლუტს სცვლის მეცნიერება, აბსოლუტის სუროგატი.

დამცველი:

— უკანასკნელი შეკითხვა. როგორ ფიქრობთ, ბოლომდე არის თუ არა გამოყენებული მძლავრი, XX საუკუნეში დაგროვილი ენერგია, რომელსაც დედამიწის განადგურება შუძლია?

დაჭერილია, თუ არა თითი უკანასკნელ ღილჯზე?

მოწმე ჰელერი:

— ასეთ შემთხვევაში ჩვენ აქ ვერ შევიცრიბებოდით.

დამცველი:

— გმადლობთ. მოწმესთან შეკითხვები არა მაქვს.

ბრალმდებელი:

— ბრალდების მოწმედ გამოძახებულია რიშარდ კაპუშჩინსკი.

თავმჯდომარე:

— მოწმეს შევახსენებ მოვალეობის შესახებ.

ბრალმდებელი:

— მოწმევ, თქვენ მოგზაური და მწერალი ბრძანდებით, აკვირდებოდით რა ბრალდებულის დანაშაულებრივ საქმიანობას პლანეტის მასშტაბით, ხშირად გამოგითქვამთ უკმაყოფილება კეთილდღეობის, ანუ დედამიწის მატერიალური დოვლათის უსამართლო განაწილებაზე.

მოწმე რიშარდ კაპუშჩინსკი:

— ბატონო თავმჯდომარევ, წარმოვიდგინოთ ძალთა შეფარდება და დაძაბულობის მიმართულებები პლანეტაზე ჯვრის ფორმით. XX საუკუნის მეორე ნახევარში მთავარი იყო ამ ჯვარის ჰორიზონტალური მხარე, ანუ დამოკიდებულება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ერთმანეთს ეჭიშპებოდა ორი დიდი კონცეფცია, ორი მტრულად განწყობილი ბანაკი. ერთ მხარეს იყო დემოკრატია, მეორე მხარეს — ნუ ჩავეძიებით წვრილმანებს — დიქტატურა. კონფრონტაციის ეს ხაზი ათი წლის წინ გაირღვა. მაგრამ გამწვავდა მდგომარეობა კონფრონტაციის სრულიად ახალ ხაზზე, რომელიც სამხრეთსა და ჩრდილოეთს, ანუ მდიდრებსა და ღარიბებს შორის გადის. ახალი დაპირისპირება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობს ორი განსხვავებული ცივილიზაცია, განვითარების ცივილიზაცია და თვითგადარჩენის ცივილიზაცია.

როცა კაცობრიობამ XX საუკუნეში შემოაბიჯა, იგი მილიარდ ნახევარ ადამიანს ითვლიდა. 100 წლის განმავლობაში ეს ციფრი ოთხჯერ გაიზარდა და ექვსი მილიარდი შეადგინა. და ეს მილიარდები ჩვენი ცივილიზაციით სრულიად არათანაბრად სარგებლობენ.

დედამიწა ძალიან უსამართლო ადგილია და ეს უსამართლობა განუხრელად იზრდება. დაგისახელებთ XX საუკუნის ყველაზე უცნაურ პარადოქსს, რაც უფრო ვითარდება სამყარო, მით უფრო იზრდება უსამართლობა ამ განვითარების მიღწევათა განაწილებაში. ნებსით თუ უნებლიედ, განვითარება თავისთავად გადაიქცა უსამართლობის მამოძრავებელ ძალად. 1960 წელს, ანუ ჩვენი საუკუნის შუახანებში, დედამიწის მოსახლეობის ყველაზე მაღალანაზღაურებადი 20 პროცენტის შემოსავალი 30-ჯერ აღემატებოდა ყველაზე დაბალანაზღაურებადი 20 პროცენტის შემოსავალს. დღეს, საუკუნის მიწურულს კი, 83-ჯერ აღემატება. სხვაობა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის შეადგენს 25 წელიწადს. აქედან გამომდინარე, ყველას, ვინც მდიდარ ქვეყანაში იბადება, წინასწარ საჩუქრად აქვს ბოძებული დამატებით 25 წლის სიცოცხლე.

უთანასწორობა აბსოლუტურად ყველა სფეროში ვლინდება. მაგალითად, სამედიცინო ფირმებმა, რომლებიც ძირითადად დიდი ამერიკული კონცერნების ხელშია, 1980 წლიდან დღემდე, მსოფლიო ბაზარზე გასაყიდად გამოიტანა 1230 დასახელების ახალი პრეპარატი. აქედან მხოლოდ თოთხმეტია განკუთვნილი ტროპიკულ დაავადებათა საწინააღმდეგოდ. ეს მაშინ, როცა ტროპიკული სნეულებებით დაავადებულია კაცობრიობის სამი მეოთხედი.

პარადოქსია, მაგრამ დღეს პრობლემას წარმოადგენს არა მარტო შიმშილი, რაზეც უკვე ისაუბრა ბრალმდებელმა, არამედ კვების პროდუქტების სიჭარბე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამ პროდუქციით შეგვეძლო გამოგვეკვება დედამიწის დღევანდელი მოსახლეობის 120 პროცენტი. პრობლემა კვების პროდუქტების განაწილებაშია.

დღეს დედამიწაზე ცხოვრობს მილიარდი უმუშევარი, ან დროდადრო დასაქმებული ადამიანი, რომლებმაც არ იციან, რით იცხოვრონ. 7 წლის შემდეგ ჩვენს პლანეტას შეემატება 15-დან 24 წლამდე ასაკის 700 მილიონი ახალგაზრდა, რომელთაც არ ექნებათ მომავალი, რადგან დაიბადნენ ჯურღმულებსა და მიწურებში, მოკლებულნი იმედს, საკვებსა და სასმელ წყალს. რა ვუყოთ ამ 700 მილიონ ენერგიით და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდას, რომლებისთვისაც ჩვენს პლანეტაზე ადგილი არ არის?

უთანასწორობა ჯერ კიდევ ოჯახში იწყება, სადაც ქალები და მოზარდები მეტს შრომობენ, მაგრამ უარესად იცვებიან, ვიდრე მამაკაცები. ცალკეულ ქვეყანათა შიდა განვითარებაც საკმაოდ არათანაბრად მიმდინარეობს. არის რეგიონები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ სხვა რეგიონებს. ასე, მაგალითად, ბრაზილიის სამხრეთი საშინელ ექსპლუატაციას უწევს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს. ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს შიდა კოლონიალიზმი, ექსპლოატაცია ერის, ტომის, თემის ფარგლებში. ეს უთანასწორობა შემდეგ მსოფლიო დონეზე გადადის. ასეთია კაპიტალის ლოგიკა. ინვესტორები ეძებენ ადგილს, სადაც შესაძლებელია მაქსიმალურად დიდი და სწრაფი მოგება. ჯგაში მსოფლიო კაპიტალის 82 პროცენტი თავმოყრილია პლანეტის მოსახლეობის 20 პროცენტის ხელში.

ღარიბებს მდგომარეობიდან თავის დაღწევის არავითარი იმედი და შანსი არა აქვთ. ჩვენ კი სულ უფრო და უფრო ხშირად ვარიდებთ თავს ამ პრობლემას, ვინაიდან მზად არა ვართ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ ვერ ჩამოვაყალიბეთ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მიიღებდნენ გამოწვევას. შექმნილია სიტუაცია, ჩვენს წარმოსახვასაც და რეაგირების უნარსაც რომ აჭარბებს.

ელექტრონულმა რევოლუციამ ჩვენ ერთ საკაცობრიო ოჯახად გაგვაერთიანა. გლობალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველდღიურად გვაწვდის ცნობებს დღის მთავარი თემების შესახებ და ჩვენს წინაშე ყოველდღიურად დგას თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემა, მდიდრები — კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები — კიდევ უფრო ღატაკდებიან.



მოწმე რიშარდ კაპუშჩინსკი

ბრალმდებელი:

— ბრალდებამ ყურადღებითა და თანაგრძნობით მოისმინა მოწმის ჩვენება. მაგრამ სურვილი გაგვიჩნდა კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხოთ ზოგიერთ საკითხს. როგორ ფიქრობთ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი კონფლიქტები მხოლოდ XX საუკუნისათვის არის დამახასიათებელი?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— დიახ, ისინი მხოლოდ XX საუკუნისათვის არის დამახასიათებელი და ამავე დროს სულ სხვადასხვა ნიშნით. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მოწმედ გამოვდივარ, არ შემიძლია არ აღვნიშნო პარადოქსებით აღსავსე მსჯავრდებულის უდიდესი მიღწევა. ეს გახლავთ კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაცია. თუ შევადარებთ XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის რუქებს, დასაწყისში დავინახავთ მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელ ქვეყანას, დანარჩენი სამყარო, ძირითადად, ამ ქვეყნებზეა დამოკიდებული. ბოლოს ჩვენ ვნახავთ რუქას, რომელზეც პრაქტიკულად მთელი მსოფლიო თავისუფალია. რა თქმა უნდა, არსებობს ჩაგვრის სხვადასხვა ფორმა, ავრეთვე დამოკიდებულება — დამოუკიდებლობის სხვადასხვა ფორმები, მაგრამ ფორმალურად, ლეგალიზაციის თვალსაზრისით, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, კაცობრიობამ, როგორც სუბიექტმა, პირველად შეალო ისტორიის კარები.

ბრალმდებელი:

— როგორ ფიქრობთ, გახდა თუ არა კაცობრიობა ამ ფაქტის წყალობით უფრო ბედნიერი?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— მისი ყველა წევრი არა, მაგრამ გამოიკვეთა შესაძლებლობა, რომელიც აქამდე არ ჩანდა. პრინციპული შეცდომა და უზარმაზარი გაუგებრობა იმაში მდგომარეობს, რომ აქამდე პროგრესის დონე ფასდებოდა საერთო ნაციონალური შემოსავლის საფუძველზე. ეს იყო ეკონომიკური ზრდის მშრალი მონაცემები. დღეს ჩვენ გადავდივართ პროგრესის დონის შეფასების სრულიად ახალ მეთოდზე. ჩვენ პირველად შევიტანეთ შემოსავლებში ჰუმანიტარული ფაქტორი.

ბრალმდებელი:

— როგორ ფიქრობთ, ჰუმანიტარული ფაქტორის გათვალისწინებამდე, პასუხი შექმნილ მდგომარეობაზე მაინც XX საუკუნემ უნდა აგოს?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— დიახ, რა თქმა უნდა. ადრე ითვლებოდა, რომ საკმარისი იყო გვეშენებინა განსაზღვრული რაოდენობის ფაბრიკები, გზები, სხვადასხვა ნაგებობები და ეს აღიქმებოდა პროგრესის ნიშნად, ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ნიშნად. აღმოჩნდა, რომ ასე არ არის. შეიძლება აშენო ფაბრიკა-ქარხნები და ამავე დროს საზოგადოებამ სიღატაკეში იცხოვროს.

ბრალმდებელი:

— თქვენი ჩვენებიდან გამომდინარე, შეგვიძლია მოვითხოვოთ ბრალდების ჩარჩოების გაფართოება, ვინაიდან XX საუკუნე მემკვიდრეობად არა მარტო საშინელ სიღატაკეს გვიტოვებს, არამედ უმიზნოდ გახარჯულ ადამიანურ კაპიტალსაც. თქვენი

აზრით, რამდენად ზუსტია ეს თეზისი?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— თეზისი საკმაოდ ზუსტია. კაცობრიობამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და განვითარების გზას დაადგა. დღეს ყველგან მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული სასოების რევოლუცია „revolution of expectations“, რომელიც აიტაცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ისინი გვაჩერებენ მხოლოდ მოხმარების ნიმუშებს. ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თითქმის არ უწევენ პოპულარიზაციას შრომის სახეობებს. აქედან გამომდინარე, გვექმნება ილუზია, თითქოს ფართო მოხმარების საგნები შრომის გარეშე დამზადდა. ამიტომაც არ ესმით ადამიანებს, რატომ აქვთ სხვებს ყველაფერი, მათ კი არაფერი.

ბრალმდებელი:

— ეს მექანიზმები XX საუკუნემ შეჰქმნა?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებები XX საუკუნეში გამოჩნდა.

ბრალმდებელი:

— პირობები, სადაც ყოველგვარი უსამართლობა დაკანონებულია, XX საუკუნემ შეჰქმნა?..

მოწმე კაპუშჩინსკი:

— როგორ გითხრათ, ეს არის არასწორი აზროვნებისა და ინტერესთა სხვადასხვაობის შედეგი. კაცობრიობას ათასწლეულების განმავლობაში უჭირდა. იყვნენ გამონაკლისები, მაგრამ კაცობრიობა, როგორც სახეობა, ღარიბი იყო. მხოლოდ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე გამოჩნდა მჭონებელთა გარკვეული ფენა. მისი რაოდენობა კაცობრიობის დაახლოებით 20%-მდე გაიზარდა და ამ რიცხვზე შეჩერდა.

ბრალმდებელი:

— გახდა თუ არა კაცობრიობა უფრო უსამართლო XX საუკუნის ბოლოს?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— მე ვიტყოდი, უსამართლოდ დანაწილებული — აი, მისი მთავარი ნიშანი.

ბრალმდებელი:

— გმადლობთ. შეკითხვები არ მაქვს. მოწმე დაცვის განკარგულებაშია.

დამცველი:

— გაიხსენეთ, იყო როდესმე სამყარო უფრო სამართლიანი?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— პრინციპული სხვაობა მოვლენათა მასშტაბებშია. XIX საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა ნახევარ მილიარდ ადამიანს ითვლიდა. სამყარო მაშინაც უსამართლო იყო, მაგრამ მასშტაბები იყო სხვა. მე მაშინებს გაქანება, მაშინებს ის ფაქტი, რომ საშუალება ვერ მოგვიძებნია, მილიარდ ადამიანს ჩავუტაროთ აცრა სხვადასხვა დაავადებებზე, რომლებიც მათ სიცოცხლეს ემუქრება. ჩვენ არა გვაქვს ასეთი ტექნიკური საშუალებები. ჩვენ არასოდეს ვიდგარვართ ისეთი გაქანების მოვლენების წინაშე, რომლებიც აჭარბებენ არა მარტო სამართლიანი განაწილების შესაძლებლობებს, არამედ ჩვენს წარმოსახვასაც.

ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, როგორ ცხოვრობენ ღარიბ ქვეყნებში. ეს სულ სხვა ცივილიზაციებია, რომელთაც გააჩნიათ ცხოვრების საკუთარი რიტმი. მათ არა აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, გადავიდნენ „ქმნადობის“ ცივილიზაციის მხარეზე. ისინი რჩებიან „თვითგადარჩენის“ ცივილიზაციაში, ისეთივე მოსაწყენ და ერთფეროვან ცივილიზაციაში, როგორიც იყო იგი ასეულობით წლის წინათ.

უგანდაში ყოფნისას მე ვცხოვრობდი ქოხში, სადაც სამზარეულო მხოლოდ სამი ქვისაგან შედგებოდა. გამახსენდა, რომ სწორედ ასეთი სამზარეულო ნანახი მქონდა არქეოლოგიის სახელმძღვანელოში. ეს იყო 5 თუ 10 ათასი წლის წინანდელი ცხოვრების ნაკვალევი. წარმოიდგინეთ ადამიანთა ცხოვრება სამყაროში, სადაც 5 თუ 10 ათასი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. უძრაობიდან მათი გამოყვანა — აი, უდიადესი გამოწვევა კაცობრიობისათვის, თითოეული ჩვენთაგანისათვის.

დამცველი:

— როგორ ფიქრობთ, თუკი ჩავწვდით ჩვენს გასაჭირს, ეს XX საუკუნის დამსახურებაც არ არის?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— XX საუკუნე წინააღმდეგობრივი საუკუნეა. კლასიკური მაგალითია ისეთი სიტუაციის, როცა სიკეთე შობს ბოროტებას, ხოლო ბოროტება — სიკეთეს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბოროტება და სიკეთე განუყოფელია, ეს გახლავთ XX საუკუნის გამოცდილების მთავარი მომენტი. შექმნილია პრეპარატები ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, რომელთაგანაც ხალხი მასობრივად იხოცებოდა. ანტიბიოტიკები, პოლიომიელიტისა და ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინები. ესეც XX საუკუნის დამსახურებაა. ადამიანები ცხოვრობენ, როგორც ცხოვრობდნენ. ასე თუ ისე, მაგრამ ცხოვრობენ.

დამცველი:

— მართალია თუ არა, რომ XX საუკუნეში ადამიანები, როგორც არასოდეს, ისე ახლოს არიან ერთმანეთთან?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— შეიძლება ითქვას „ჰოც“ და „არაც“ — ისევ XX საუკუნისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა. რა თქმა უნდა, კავშირების სფეროში მომხდარმა რევოლუციამ ტექნიკური თვალსაზრისით დააახლოვა კაცობრიობის კერები.

20-30 ათასი წლის წინათ მცხოვრებ ადამიანთა ნასახლარების გათხრები მოწმობენ, რომ ადრე კაცობრიობა

მცირერიცხოვანი ჯგუფებისაგან შედგებოდა. ერთად ცხოვრობდა დახლოებით 30 ადამიანი. სწორედ ამ რაოდენობის გამოკვება შეეძლო მათ გარემოს. მაშინ დედამიწა გაუვალი ტყეებით იყო დაფარული, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა იბადებოდა, ცხოვრობდა და კვდებოდა რწმენით, რომ სამყარო 30 ადამიანისაგან შედგებოდა. ასე ყალიბდებოდა ჩვენი ცნობიერება. ამავე დროს, ბოლო$ხანებში დაწყებულმა ელექტრონულმა რევოლუციამ მთლიანი პლანეტა როდი მოიცვა. მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ ეს დაახლოებაც საკმაოდ ზედაპირულია. ახალი ტექნიკის მაშვეობით ერთმანეთთან დაკავშირების შემდეგ, ჩვენ ვხვდებით, რომ ერთმანეთისათვის არაფერი გვაქვს სათქმელი. არ არის კავშირი კულტურებს შორის და ესეც სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან ჩვენ განწირული ვართ, ერთად ვიცხოვროთ მრავალი კულტურის სამყაროში.

კულტურათა პირველი კონტაქტი საკმაოდ მტრული იყო. უცხოსთან შეხვედრისას ადამიანის პირველი რეფლექსი ყოველთვის მტრულია. თუკი რომელიმე პოლიტიკური სტრუქტურა ამ რეფლექსს ნაციონალიზმის ყალიბში მოაქცევს, იგი სტერეოტიპის სახეს მიიღებს.

მე ახლახან დავბრუნდი ინდოეთიდან, რომლის მოსახლეობამ უკვე მილიარდს გადააჭარბა. ვმოგზაურობდი მაღალი კულტურის ქვეყანაში და ვფიქრობდი: აქ არავინ არაფერი იცის ბახის, მოცარტისა თუ დანტეს შესახებ, აქ არავინ არაფერი იცის ჩვენი კულტურის შესახებ. არც ჩვენ ვიცნობთ მათ კულტურას. ჩვენ ვცხოვრობთ მრავალი კულტურის სამყაროში ისე, რომ ძალიან ცოტა რამ ვიცით ერთმანეთის შესახებ.

დამცველი:

— თქვენი აზრით, დისტანცია მცირდება?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— პროპაგანდის შეცდომა, რომელიც შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელდა, მდგომარეობს ცნებების „ევროპის“ და „განვითარებული სამყაროს“ აღრევასთან საერთოდ სამყაროსთან მიმართებაში. ჩვენ გვეჩვენება, რომ ყველაფერი ისეა, როგორც რეკლამაში „მთელი მსოფლიო სრიალებს „ოლიმპის“ თხილამურებით“. ფაქტობრივად, „ოლიმპის“ თხილამურებით სარგებლობს კაცობრიობის უმცირესი ნაწილი. ვამბობთ, რომ დღეს მთელი მსოფლიო ინრეტნეტშია ჩართული. ამ დროს, ინტერნეტი ხელმისაწვდომია კაცობრიობის მხოლოდ 2%-ისთვის. ასეთია სინამდვილე.

დამცველი:

— უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ბევრი რამ კეთდება ღარიბთა და უპოვართა დასახმარებლად. გასული საუკუნეებიდან თუ გაიხსენებთ ასეთ მონდომებასა და ძალისხმევას?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— სინამდვილეში მონდომება და ძალისხმევა კი არ იზრდება, არამედ დღითი დღე კლებულობს. სამოციან წლებში, როცა მიმდინარეობდა დეკოლონიზაციის პროცესი, გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებს ევალებოდათ გამოეყოთ საერთო ნაციონალური შემოსავლის 1% მესამე სამყაროს ქვეყნების დასახმარებლად. დღეს, 40 წლის შემდეგ, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებისთვისაც კი დახმარება მხოლოდ 0,17%-ია.

დამცველი:

— ამრიგად, ჩვენ უკვე ვაცნობიერებთ, რომ არსებობს დისპროპორცია სიმდიდრესა და სიღატაკეს, სიმაძღრესა და შიმშილს შორის, მაგრამ განა მიღწევად არ უნდა ჩაითვალოს ტექნიკისა და ეკონომიკის უდიდესი პროგრესი, რომელსაც მიაღწია კაცობრიობის თუნდაც მცირე ნაწილმა? რომ არა ამგვარი მიღწევა, დღეს საერთოდ არ დავაყენებდით საკითხს ღარიბებისათვის შანსების მიცემაზე.

მოწმე კაპუშჩინსკი:

— არ არსებობს ინსტიტუტები, არ არსებობს მექანიზმები ამქვეყნიური სიკეთის სამართლიანად განაწილებისათვის. გაერო ამ როლს არ ასრულებს. არის ბევრი ინდივიდუალური თავდადების მაგალითი. არსებობენ „ექიმები საზღვრებს გარეშე“, სხვა ჰუმანიტარული და არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ მათი საქმიანობა და შეაძლებლობები მხოლოდ მცირე ნაწილის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ამაგე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დახმარებას ორი ასპექტი აქვს: ადამიანებს დახმარებას დროებით უწევენ, მაგრამ ვინაიდან საერთაშორისო დახმარებები მხოლოდ ქალაქებში იგზავნება, აქ თავს იყრიან ახლო-მახლო სოფლების მაცხოვრებლები. გარეუბნებში იზრდება ლტოლვილთა უზარმაზარი ბანაკები. იქ მხოლოდ დახმარების იმედზე ცხოვრობენ. ეს ხალხი აღარასოდეს დაუბრუნდება მშობლიურ სოფლებს, რომლებიც უკვე გაუკაცრიელებულია. კანალიზაციის სისტემები ამოვსებულია, საქონელი გაწყვეტილია. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ასეთ ტერიტორიებზე იწყება სამოქალაქო ომები. ამ ხალხისათვის ლტოლვილობა არსებობის ერთადერთი საშუალებაა. როგორც კი დახმარება შეწყდება, ისინი დაიღუპებიან. ასე ხშირად ხდება.

დამცველი:

— მაგრამ XX საუკუნის ტექნიკურ და ეკონომიკურ მიღწევებს ხომ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ტანჯვის შემსუბუქებას?

მოწმე კაპუშჩინსკი:

— შეუძლიათ, მაგრამ სიმდიდრის განაწილების თანამედროვე სტრუქტურის პირობებში ვეჭვობ, რომ რაიმე კარდინალურად შეიცვალოს.

დამცველი:

— გმადლობთ. შეკითხვა აღარა მაქვს.

ბრალმდებელი:

— ბრალდების მოწმედ გამოძახებულია ანჯეი ვაიდა, რეჟისორი.

მოწმე ანჯეი ვაიდა:

— ბატონო მოსამართლევ, ვიმედოვნებ, რომ არ მომთხოვთ მე, უბრალო კინორეჟისორს, ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. ასეთ შემთხვევაში არც მე და არც ჩემს დიდ წინამორბედებს სვიფტს, გოგოლსა და სხვებს სამუშაო აღარ გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მოწმედ გამოვდივარ, შევეცდები დავიცვა საუკუნე, რომელშიც მე ვცხოვრობდი.

როგორც ბრალმდებელმა, ასევე ბრალდების მოწმეებმა აქ წარმოგვიდგინეს XX საუკუნის მიერ ჩადენილი უმძიმესი ბოროტმოქმედებანი. მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ხსენებულ საუკუნეში ვცხოვრობდი იმ ადამიანთა გვერდით, რომლებმაც ღირსეულად გაუძლეს მის ყველა გამოცდას. თუკი დღეს ჩვენ შორის ზის მარეკ ედელმანი, ამაყად რომ შეებრძოლა საშინელებას, რომლის გადატანაც მას მოუწია, თუკი რიშარდ კაპუშჩინსკიმ, ჯერ კიდევ როდის, ასე წინდახედულად დაუსვა დიაგნოზი ჩვენს საუკუნეს, ვფიქრობ, მეოცეში ჩვენ ამაოდ არ გვიცხოვრია.

უბედურებები ყველა დროში ხდებოდა. როცა დამწყები რეჟისორი ვიყავი, თორმეტგოჯა ნაწლავზე წყლული გამიჩნდა, რაც ძალიან მესახელებოდა იმიტომ, რომ გაგონილი მქონდა, წყლული მოსაზრონე ადამიანებს უჩნდებათო. მოგვიანებით საადღაც ამოვიკითხე, რომ წყლული ბუშმენებში ფართოდ გავრცელებული დაავადება ყოფილა, რადგან ისინი მუდმივი სტრესის ქვეშ ცხოვრობენ. მე მეშინოდა, რომ კინოდარბაზში მაყურებელი არ მოვიდოდა, მათ კი ზურგზე მაიმუნის დახტომისა ეშინოდათ. რა განსხვავებაა? დაავადება ხომ ერთი და იგივეა. XX საუკუნის ბევრი დრამა და ტრაგედია აღრეც გათამაშებულა. განა რომში მონად რომ დავბადებულიყავი, დღევანდელზე მეტი შესაძლებლობები მექნებოდა?

XX საუკუნემ, ყველა უბედურებათა მიუხედავად, ჩვენ უზარმაზარი შესაძლებლობები მოგვეცა. მე, ალბათ, ზერელე განათლება მაქვს, მაგრამ მაინც მახსოვს, რომ ქმედების ძალა უკუქმედების ძალის ტოლია. თუკი XX საუკუნეში, როგორც ამტკიცებენ, ქმედების ძალა იყო ბრალდება და მისი მოწმეები, იყო უკუქმედების ძალაც. მარეკ ედელმანი, ბარბარა სკარგა, რიშარდ კაპუშჩინსკი არა მარტო სამყაროს შეცნობას ცდილობდნენ, არამედ უპირისპირდებოდნენ კიდეც მას.

აქ ითქვა, რომ კინოთეატრში მოსული პუბლიკა ადვილად სამართავი მასაა, მაგრამ თუკი ასეა, კინოფილმის გმირია გამორჩეული პიროვნება. ჩანს, მასაში მაინც არსებობს სწრაფვა არაორდინალურობისაკენ. იქნებ მეტი არც უნდა მოვითხოვოთ ამ დროში, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ. როგორც რიშარდ კაპუშჩინსკიმ აღნიშნა, ხშირად ჩვენ ერთმანეთისთვის არაფერი გვაქვს სათქმელი, მაგრამ ადრე ერთმანეთთან საუბრის სურვილიც ხომ არ გვქონდა.

მიმაჩნია, რომ ყველა მისი ბოროტმოქმედების, სიცრუისა და სიყალბის მიუხედავად, ჩვენ ამ საუკუნემ ბევრი რამ გვასწავლა. აწორედ ამიტომაც ველოდები იმედიანი განწყობილებით XXI საუკუნეს.

ბრალმდებელი:

— ეს ყველაფერი უდავოდ საინტერესოა, მაგრამ იბადება კითხვა: XX საუკუნის ყველა მიღწევა იმ მძიმე გამოცდის ხარჯზე ხომ არ არის შექმნილი, რომელიც მანვე მოგვიწყო?

მოწმე ვაიდა:

— ურთიერთკავშირი არსებობს. უბედურებისა თუ ტრაგედიისაგან მაინც იბადება ძალა და რწმენა მხატვრებში, მეცნიერებში, რომლებიც ცდილობდნენ დაპირისპირებოდნენ განსაცდელს.

ბრალმდებელი:

— რწმენა ხელოვნებისადმი! მშვენიერი გრძნობაა! თუმცა ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები ხშირად ემსახურებოდნენ ძალაუფლების აპარატს, ხოლო მათი ფორმალური მიღწევები ადამიანის გასახრწნელად იყო გამიზნული. რას იტყვით ამ საკითხზე?

მოწმე ვაიდა:

— ეს სიმართლეა. რა თქმა უნდა, ბევრმა მხატვარმა გააკეთა საკუთარი არჩევანი და დადგა ბოროტების მხარეზე. შევეცადოთ დავინახოთ ისინი, როგორც ადამიანები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ სამყარო უკეთესი უნდა გამხდარიყო. XX საუკუნიდან ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, თითქოს ტექნიკური პროგრესი მოგვანიჭებდა სრულ თავისუფლებას, კავშირის საშუალებები კი გაგვანთავისუფლებდნენ ცრუმორწმუნეობისაგან. ასე მასწავლიდნენ სკოლაში, ეკლესიაში, საკუთარ ოჯახში. რიშარდ კაპუშჩინსკის რომ ეუსმენდი, გამიკვირდა, საიდან ვიცოდი წინასწარ ყველა მისი დიაგნოზი? სად და ვინ მასწავლიდა? ეს იყო მარქსიზმის გაკვეთილებზე. მაშინაც გვწამდა, რომ ვიპოვნიდით საშუალებებს სამყაროს განსაკურნავად. ამდენად, თუკი მე ერთგვარი პესიმიზმით ვხვდები დამდეგ საუკუნეს, მხოლოდ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთი რამ უკვე გამოვცადეთ და ვიცით, მათ წარმატების მოტანა არ შეუძლიათ.

ბრალმდებელი:

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ XX საუკუნე სევდიანი საუკუნეა, ცხოვრებაში გამოტარებული და დალუპული იმედების ასწლეული?

დამცველი:

— პროტესტს ვაცხადებ!

თავმჯდომარე:

— ეს შეკითხვა კი არა, კარნახი იყო. გთხოვთ, სხვაგვარად ჩამოაყალიბოთ კითხვა.

ბრალმდებელი:

— მოწმევ, თვლით თუ არა, რომ XX საუკუნე იყო დალუპული იმედების საუკუნე?

მოწმე ვაიდა:

— არა, ვერ დაგეთანხმებით.

თავმჯდომარე:

— ასეთ სიტუაციაში სასამართლო ენით ამბობენ, რომ ბრალდებამ პასუხი მიიღო.

მოწმე ვაიდა:

— მე არ მინდა, რომ ამ შემთხვევაში ბრალმდებელი მართალი აღმოჩნდეს. ძალიან ბევრი შეგნებული ადამიანი, ვფიქრობ, აქ სწორედ ასეთებზე ვსაუბრობთ, ყველაფერს აკეთებდა, რათა კაცობრიობას ასცდენოდა თავსდატეხილი უბედურება, მაგრამ უბედურება მაინც გვეწია და იყო ამაში რაღაც ფატალური. ეიზენშტეინი, რომელიც ფილმებს ქმნიდა სტალინისათვის, სხვები, რომლებიც იმ დროს ილებდნენ კინოფილმებს, აუცილებელი არ არის დავადანაშაულოთ სტალინიზმის ბოროტმოქმედებებში. მე ვფიქრობ, ბევრ მათგანს სწამდა, რომ შეიძლებოდა იმ უბედურებათა თავიდან აცილება. დღეს ყველა ძალიან ფრთხილი გახდა. დღეს არავის არაფერში არ სურს მონაწილეობის მიღება. იმიტომ, რომ ჩვენ ყველამ კომუნიზმისა და ჰიტლერიზმის სისტემებზე დავწვით თითები.

ბალმდებელი:

— თქვენ საუბრობდით შეგნებულ ადამიანებზე, რომლებიც ისტორიულ აუცილებლობას დაემორჩილნენ, ესე იგი მათ შეგნებულად თქვეს უარი თავისუფლებაზე? არის თუ არა წინააღმდეგობა თავისუფლებასა და შეგნებას შორის?

მოწმე ვაიდა:

— არა, მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, რომ თავისუფლება შეგნებული აუცილებლობაა.

ბრალმდებელი:

— იყვნენ თუ არა ეს ადამიანები „დაავადებულნი ჰეგელით“?

მოწმე ვაიდა:

— ჰეგელი არასოდეს წამიკითხავს, მაგრამ „დაავადებული“ მეც ვიყავი.

ბრალმდებელი:

— შეიძლება თუ არა დიადი იყოს საქმე, რომელსაც მასობრივ განადგურებამდე მივყავართ?

მოწმე ვაიდა:

— ალბათ, არა. საჭირო არ არის იმათი დაცვა, ვინც ბოროტმოქმედებებში მონაწილეობდა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად მიმტევებელნი უნდა ვიყოთ იმ ადამიანების მიმართ, ვინც მაშინ ცხოვრობდა. ტოტალური განკიცხვა აუცილებლად სხვა მხარეს წაგვიყვანს.

ბრალმდებელი:

— როგორც მე გავიგე, გთხოვთ, შემისწოროთ, თუ არასწორად გავიგე, თქვენ იზიარებთ შეხედულებას, რომ სჭირია მივუტევოთ ადამიანებს, როგორც პიროვნებებს, ოღონდ სისტემის გარეშე. სწორია?

მოწმე ვაიდა:

— დიახ. მე ასე ვფიქრობ.

ბრალმდებელი:

— ხოლო ბრალდების ობიექტის, ანუ XX საუკუნის მოღვაწეობა უფრო ახლოს არის იმასთან, რასაც ჩვენ სისტემას ვუწოდებთ?

მოწმე ვაიდა:

— მართალია. ამიტომაც ვცემ პატივს ყველას, ვინც ამ მძიმე საუკუნეში ცდილობდა დაპირისპირებოდა ბოროტებას, თუმცა ხანდახან იძულებული იყო თავადაც მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში, მაგრამ იმ ილუზიით, რომ სიცეთეს ემსახურებოდა.

ბრალმდებელი:

— გმადლობთ. მოწმესთან შეკითხვები არ მაქვს.

დამცველი:

— მოწმესთან ერთადერთი შეკითხვა მაქვს. პირველ რიგში, მინდა მადლობა მოგახსენოთ შთამბეჭდავი გამოსვლისათვის. მსურს შევეხო სფეროს, რომელშიც ასე ბრწყინვალედ საქმიანობთ. XX საუკუნის 100 წელი — ეს არის კინოს 100 წლისთავიც. თქვენი აზრით, ის გამომსახველობითი ხერხები, რომლებიც შეიმუშავა კინემატოგრაფიამ, იძლევა თუ არა საშუალებას, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი და სწორად შევაფასოთ რეალობა?

მოწმე ვაიდა:

— უპირობოდ. რიშარდ კაპუშჩინსკიმ უკვე ამიხსნა, რომ ეს ეხება მხოლოდ მცირე ჯგუფს, კაცობრიობის დაახლოებით 20%-ს, მაგრამ მე არ ვიცი, შეგვიძლია თუ არა კინემატოგრაფისტებს საკუთარ თავზე ავიღოთ პასუხისმგებლობა, რომ ჩვენი ხელოვნება ვერ გასცდა ამ 20%-ს.

დამცველი:

— გმადლობთ.

თავმჯდომარე:

— მადლობას მოგახსენებთ. ბრალდებამ ყველა მოწმე წარმოადგინა. ბატონო ადვოკატო, გთხოვთ, მოიწვიოთ დაცვის მოწმეები.

დამცველი:

— დაცვის მოწმედ გამოძახებულია მარეკ ედელმანი, ექიმი.

მოწმე მარეკ ედელმანი:

— დაუნდობლობამ, რომელიც აქ ბატონმა პროკურორმა მსჯავრდებულის მიმართ გამოიჩინა, თითქოს უნდა დაგვარწმუნოს, რომ არა მარტო სამყარო და XX საუკუნეა საშინელი, არამედ გაურკვეველია, დიდხანს თუ გაუძლებენ ისინი, ვინც დღეს

ცხოვრობს. ასევე ჩვენც! სასამართლო სხდომა უკვე სამი საათია მიმდინარეობს. ამიტომ მოკლედ ვიტყვი.

სურათი, რომელიც დახატეს პროკურორმა და ბრალდების მოწმეებმა, წმინდა აპოკალიფსია. ჩემი აზრით, ეს სურათი ტენდენციური და ყალბია. დიახ, იყო ფაშიზმი, იყო კომუნიზმი. მოკლულა მილიონობით ადამიანი, მაგრამ, ბატონებო, ვინ ჩაიდინა ყოველივე ეს? ადამიანებმა? არც პოლონეთის უშიშროებისა და არც საბჭოთა ნკვდეს თანამშრომლები ციდან არ ჩამოფრენილან. ისინი არც ღმერთს და არც სატანას არ გამოუგზავნია.

რას ნიშნავს წყობა? რას ნიშნავს სისტემა? სისტემასაც და წყობასაც ადამიანები ქმნიან. ბრალმდებლის მტკიცებით, ადამიანებს სისტემა ხოცავდა, მაგრამ ამ სისტემას ხომ მეორე ადამიანი აშენებდა? აი, აქ არის ბრალდების შეცდომა. მცდარია, თითქოს ადამიანი კი არ არის დამნაშავე, არამედ სისტემა, რომელიც ციდან ჩამოვარდა და ადამიანები თავის მარწუხებში მოაქცია. ყველაფერი ადამიანებმა შექმნეს. როცა ბლუმს უთხრეს, საკონცენტრაციო ბანაკები გერმანელებმა ააშენესო, იგი შეედავა: „არა, ეს ადამიანმა გაუმზადა მეორე ადამიანს“. ასეა კომუნიზმთან დაკავშირებითაც. მე გთხოვთ, ნუ შექმნით ადამიანისაგან ნებიერას, თოთო ბავშვს, რომელიც სიამოვნებით გაეხვეოდა ახალშობილის სახვევებში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საუკუნე ფაშიზმის, კომუნიზმისა და გვამთა ჰეკატომბების მიუხედავად, სხვა სახესაც ატარებდა. გაიხსენეთ განდი! ეს მან დაიწყო XX საუკუნეში საუბარი ადამიანის უფლებებზე. დღეს მილიარდიანი ინდოეთის სახელმწიფო წყობა დემოკრატიულია. დღეს იქ აღარ არის შიმშილი, მაშინ, როცა XIX საუკუნეში იქ შიმშილით იხოცებოდნენ. ავიღოთ ამერიკა. იყო მონობა, კუ-კლუქს-კლანი, ზანგების მუსვრა. XX საუკუნეში კი ტრუმენმა ზანგი ბიჭუნა სახლში თავისი ავტომანქანით გაისტუმრა და ექსკორტიც აახლა. აქედან დაიწყო სეგრეგაციის დასასრულის დასაწყისი.

ავიღოთ სამხრეთი აფრიკა. მე იქაც ვიყავი. კეიპტაუნსა და იოჰანესბურგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ კეიპტაუნში დავინახე თეთრკანიანი ჭაბუკები და შავკანიანი გოგონები როგორ ეხვეოდნენ ერთმანეთს ყველას დასანახად. განა ეს სიახლე არ არის? განა ეს პროგრესი არ არის? ნუთუ ეს არის XX საუკუნის მარცხი?

აქ უდიერად მოიხსენიეს მედიცინა. მაშინ რატომ ცხოვრობს ინდოეთში ამდენი ადამიანი? იმიტომ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა დროულად ჩაიტანეს ყვავილის ვაქცინა. რამდენჯერ შემცირდა კეთრით დაავადება აფრიკაში? მე გთხოვთ, ნუ ხატავთ აქ აპოკალიფსის სურათს.

ომის შემდეგ დაიბადა ორგანიზაცია, რომელსაც ყველა დამცინავად უყურებს. ეს გაეროა. მას ბევრი არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მაგრამ 1946 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. გაერო წლების განმავლობაში არაფერს აკეთებს. მკვლელობა დაშვებულია. იმიტომ, რომ გაერო მაინც არაფერს გააკეთებს. ამიტომაც კლავენ ადამიანები ერთმანეთს. მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანი უხეირო ქმნილებაა, ღმერთმა-შემოქმედმა იგი ცუდად გამოძერწა. რუხი ნივთიერებაც ძალიან ცოტა არგუნა. ამ კოლოფში სულ რაღაც 6 მილიარდი უჯრედია. ამიტომაც არის ადამიანი ცუდი. საბედნიეროდ, კოლოფში აღგილი კიდევ დარჩა. ვინ იცის, იქნებ შემდეგი მუტაცია უფრო წარმატებული აღმოჩნდეს.

სამყაროში უეცრად რაღაცა შეიცვალა. მილოშევიჩი, ისევე, როგორც მანამდე ბევრი სხვა, ხოცავდა ალბანელებს. მერე მოვიდა ჯარი — ამერიკული, პოლონური და უფლება აღარ მისცა მას, ეხოცა. ფაშიზმს მხოლოდ ძალა სწამს. ამიტომაც ადამიანის დასაცავად საჭირო გახდა ძალა გვეჩვენებინა. თქვენ იკითხავთ, რატომ ივიეტ არ მოხდა ჩეჩნეთშიო. რა უნდა მოხდეს? რუსეთში ატომური ბომბი ჩამოვაგდოთ? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველას დაცვა არ ხერხდება.

სამყარო არ მიიწევს წინ და მაღლა იმიტომ, რომ ისტორია მიხვეულ-მოხვეული გზებით დადის. ხან ცოტა ცუდად იქნება საქმე, ხან ცოტა კარგად, როგორც ავადმყოფობის დროს. უცებ განკურნება შეუძლებელია. ოდნავ მაღლა, ოდნავ დაბლა. ხან ისე, ხან ასე.

დაიხსომეთ, რაც სამყაროში ხდება, 90%-ით დამოკიდებულია არა ბატონ ჰიტლერზე, არა ბატონ სტალინზე, არამედ თითოეულ მოქალაქეზე. ლენინგრადში პური რომ არ იყო, ვერაფერი მიზეზია იმისათვის, წითელარმიელებს უკრაინაში ეხოცათ ადამიანები. და მაინც, აგრესია ადამიანის ფუნდამენტური თვისებაა. ეს არის გენეტიკურად ჩამოყალიბებული, ატავისტური თვისება. მისი აღმოფხვრა ძალიან ძნელია — იქნება ეს XIX, XX თუ XXI საუკუნეში.

მაგრამ ის, რაც ხდებოდა კოსოვოში, ტიმორზე, რუანდაში, სადაც ფრანგები ჩავიდნენ ტუტსების გადასარჩენად — ჩვენი მიმავალია. თუმცა იგი არც ისე მალე დადგება. ვფიქრობ, ასეთი იქნება XXI საუკუნეც, სოციალური, ადამიანური.

მე დავამთავრე. მაპატიეთ, მაგრამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ.

თავმჯდომარე:

— მესმის თქვენი. ამიტომაც არ დაგაყისრებთ ჯარიმას. გამდლობთ, მოწმევ!

დამცველი:

— დაცვის მოწმედ გამოძახებულია ანტონ ლიბერა, მწერალი.

მოწმე ანტონ ლიბერა:

— ბატონო თავმჯდომარევ, ერთი ადამიანის, უფრო უკეთ, ერთი ადამიანის პიროვნული ღირსებების პირობაზე მსჯავრდებულ XX საუკუნის სახე არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება. XX საუკუნეში ქმნადობას ნგრევა აჭარბებს. მაღლიანი საქმეები, როგორიც გახლავთ პროგრესი მედიცინასა და ელექტროფიკაციაში, ვერ გადაწონის იმ ბოროტებათ, რომლებიც XX საუკუნის ანგარიშზე დაგროვდა. სასამართლო გამოძიებაც ისე წარიმართა, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: იგი დამნაშავეა.

ამავე დროს, თუკი მას დამნაშაველ ვაცხადებთ და გასამართლებას ვუპირებთ, თუკი მსჯავრდებულის იდეებში, საქციელსა და ქმედებებში ვხედავთ წრეგადასულ ბოროტებას, უნდა დავაყენოთ საკითხი მისი შერაცხადობის შესახებ — აცნობიერებდა თუ არა საკუთარ საქციელს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემოვდივარ შუამდგომლობით, ჩაითვალოს მისი ფიზიკური მდგომარეობა საქმის შემამსუბუქებელ გარემოებად. თითქოს პარადოქსია, არა? მაგრამ რას ვაფასებთ ადამიანში? ბრმა ნებისყოფას, ბუნებას,

ინსტინქტსა და ვნებებს, თუ თვითშემეცნებას, კულტურას, მცნებების ერთგულებას? ალბათ, უკანასკნელთ. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენთვის უფრო ახლობელი უნდა იყოს დიდი ავაზაკი, რომელმაც იცის კანონები და თვალის ასახვევად მაინც ცხოვრობს კანონებთან შესაბამისობაში, ვიდრე უწყინარ, ჯერჯერობით მაინც, სუბიექტი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს კანონებზე და საერთოდაც, სიკეთისა და ბოროტების ზღვარს მიღმა ცხოვრობს. გასარკვევი დარჩა, თუ რაში გამოიხატება ასეთი შეგნება და რომელ სფეროში ვეძებოთ მისი გამოვლინება. რას გვეუბნება მაგალითი? მსჯავრდებულის შემთხვევაში ეს სფერო ხელოვნებაა. განსაკუთრებით დამწერლობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. დამწერლობის შთაგონებულ ქმნილებებში, იქნება ეს ლექსი, პროზა, თუ პუბლიცისტიკა, ადამიანი სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა საშუალებებით ხატავს საკუთარ თავს, ქმნის ავტოპორტრეტს. იგი ცდილობს ჩაწვდეს საკუთარ არსს მოცემულ პერიოდში, თქვას ჭეშმარიტი საკუთარ თაზე. ასე იყო ჩვენი ცივილიზაციის დასაწყისიდან. ასეთია ყველა დიდი ნაწარმოები, რომელიც დღემდე შექმნილა. ამ ნაწარმოებებში ადამიანი აღსარებას ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ხედავს საკუთარ თავს დედამიწისა და ვარსკვლავების ფონზე.

მსჯავრდებული ამ საკითხშიც წარმოუდგენლად ცოდვილია. მისი უმძიმესი ცოდვები გახლავთ მასობრივი კულტურა, ხელოვნების კომერციალიზაცია, მამონასთან დადებული პაქტი და შეღავათიანი ტარიფები. არც ერთ მის წინამორბედს არ შეუქმნია ამდენი უხამსობა, ამდენი შარლატანური ბოდვა და ლოგიკას მოკლებული მიეთ-მოეთი. არც ერთ მის წინამორბედს ასე არ შეურყვნია შეფასების კრიტერიუმები და იერარქიები. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის ხმაურიან და უაზროდ აღტაცებულ შემოქმედებაში, ამ ქაღალდის ჰიმალაებში, ტიპოგრაფიული ლიტერებით რომ არის ამოყვანილი, მაინც მოიძებნება არა უბრალოდ ღირებული, არამედ შედევრის დონეზე დაწერილი ნაწარმოებებიც.

მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და ფარული, ანუ ის, რაც ადამიანში ასრულებს სინდისისა და გულის როლს, გამოვლინდა სულ მცირე, ხუთი მომღერლის შემოქმედებაში. მათში პირველი და ყვალაზე უფროსი არის გიგანტი თომას მანი — ჩემთვის მნიშვნელოვანი სამი რომანის ავტორი. ეს რომანებია „ჯადოსნური მთა“, „იოსები და ძმანი მისნი“ და „დოქტორი ფაუსტი“. შემდეგ გახლავთ როგორც ტალანტით, ასევე პიუოვნული და ცხოვრებისეული$პოზიციებით სრულიად განსხვავებული, სნეულებით განაწამები ფრანც კაფკა, „პროცესისა“ და „სასახლის“ ავტორი. შემდეგ თომას სტერნზ ელიოტი — პოეტი-მეტაფიზიკოსი, ცნობილი პოემების „უნაყოფო მიწისა“ და „ღრუ ადამიანების“ ავტორი. შემდეგ — გენიალური ჯეიმს ჯოისი, ვიზიონერიც და რეალისტიც, ხსოვნისა და სტილისათვის წამებული, აბსოლუტური სმენის სიტყვის ოსტატი, დიადი რომანის „ულისეს“ ავტორი. და ბოლოს, მათში ყველაზე უმცროსი და ამავე დროს, ალბათ, უკანასკნელიც ტიტანთა, ანუ მაქსიმალისტების მოდგმიდან, რომლებიც შემოქმედებას ბედისაგან დაცისრებული მისიის აღსრულებად მიიჩნევდნენ, მწერალი წყნარი და თავმდაბალი, ცხოვრებისეულ ამაოებას გარიდებული, შინაგანი ხმის კარნახის ლოდინში გაქვავებული და დადუმებული სემუელ ბეკეტი, სულ მცირე, ორი სიმბოლური პიესის „გოდოს მოლოდინში“ და „თამაში დამთავრდას“ ავტორი.

რა აერთიანებს ამ ხუთ მომღერალს. რატომ მაინცდამაინც ისინი. რა არის აქ ჩამოთვლილი ნაწარმოებების საერთო მახასიათებელი? პირველ რიგში ის, რომ ეს ნაწარმოებები სათავეს იღებენ კაცობრიობის დიადი მითებიდან: ებრაულ-ქრისტიანულიდან, ბერძნულიდან, დასავლეთ ევროპულიდან და ამავე დროს (და ამავე მიზეზით), ეხებიან პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხებს, იძიებენ ფუძემდებლურ საგნებს, ისეთებს, როგორიცაა ადამიანის საწყისთა საწყისი და ადამიანის დანიშნულება, ადამიანური ისტორიის არსი, არსებობის აზრი, და ბოლოს, ტრანსცენდენტიზმი და ხსნის იდეა.

ხუთივე მწერალი გრძნობს, რომ უახლოვდებიან დასასრულს, ზღვარს, რომ ყველაფერი ამოწურულია და ესთეტიკური თვალსაზრისით მისაღები ხდება მხოლოდ პაროდია. პაროდია, ანუ ყოველდღიურობის ნიადაგზე დაბრუნება, საუკეთესო შემთხვევაში, არქეტიპის სიმაღლიდან საწყის წერტილამდე დაშვება. აქ იკვრება წრე და კვეთილი აპოკალიფსური ტონი ყველა მათგანს ახასიათებს. ყველა ისინი ერთნაირად აფასებენ მოვლენათა მსვლელობას და კრიზისის მიზეზს გონების ემანსიპაციაში, სიწმინდისაგან ნელ, მაგრამ თანამიმდევრულ უკანდახევაში, ბუნებით გატაცებასა და მისი საიდუმლოებების ამოხსნის დაუოკებელ სურვილში ხედავენ. ამავე დროს, ისინი არ მიგვითითებენ შეცდომებზე და საერთოდ, არ გვთავაზობენ, რაც მოხდა და აფიქსირებენ შედეგს. მათ ნაწარმოებებში ისმის გლოვა და დამცინავი ქირქილი, მკრეხელობა შერწყმულია სათნოებაგე ღაღადმან.

დავამატებდი, რომ პოლონეთშიც არიან მწერლები, რომელთა აზრებიც ამ იდეათა წრეში ტრიალებდა და რომელთა ნაწარმოებებიც მსგავსი ინტუიტიური გამონათებებით არის დაღდასმული. ჩამოვთვლი ყველაზე კაშკაშა სამეულსა და მათ ნაწარმოებებს. პირველია სტანისლავ იგნაცი ვიტკევიჩი თავის რამდენიმე დრამაში, განსაკუთრებით კი რომანებში „დაუმაყოფილებლობა“ და „გამომშვიდობება შემოდგომასთან“. ვიტოლდ გომბროვიჩი, თავისი „დღიურით“, აგრეთვე კრიტიკით თანამედროვეობის შესახებ და მოგვიანებით დაწერილ გაუხუნარ ესეში „სიბრძნიდან სიბრიყვემდე“. და ბოლოს, ჩესლავ მილოში, თავისი ბევრი ნაწარმოებით, ჯერ კიდევ ომამდე შექმნილი კატასტროფის ციცლის ლექსებით, „მეტაფიზიკური პაუზით“, პირველ რიგში კი მისი ფილოსოფიური ძიებების საბოლოო შედეგით — „ულროს მიწით“.

შევაჯამოთ: XX საუკუნის ყველაზე დიდი მომღერლების ნაწარმოებებში დომინირებს აზრი, რომ ადამიანი დეგრადირებს. ოდესღაც ის ემირი იყო, როგორც ოდისევსი ან იოსები, მოგვიანებით მეფე ან რაინდი, როგორც პარციფალი, როლანდი, არტური, მაკბეტი, რიჩარდი, ლირი, კიდევ უფრო გვიან — ექიმი-მეცნიერი ან გენიალური მხატვარი, ესე იგი, ფაუსტი. ამჟამად იგი ნაძირალა და მსჯავრდებულია, მსგავსი თავისივე კომპანიის, ღრუ ადამიანი უსაზღვროდ უნაყოფო მიწაზე, მაწანწალა და ხეიბარი, როგორც ბეკეტის პერსონაჟები.

ცივილიზაცია იზრდება, ადამიანის არსება პატარავდება. ადამიანის ნახელავი მაღლა-მაღლა მიიწევს, თავად ადამიანი კი მიწაზეა გართხმული. აქედან გამომდინარე, ძნელია თქმა, რომ მსჯავრდებული ვერ აცნობიერებდა, თუ რას აკეთებდა ან საით მიდიოდა. პირიქით, იგი სწორად აფასებდა მდგომარეობას და კარგად აცნობიერებდა საკუთარ ქმედებებს. შეიძლება ითქვას, რომ

თვით ამ სასამართლოს იდეაც, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, მსჯავრდებულისაგან მომდინარეობს. დღეს იგი თავად ადანაშაულებს საკუთარ თავს და თავადვე ასამართლებს. მე დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ მსგავსი აქტი ამსუბუქებს გარემოებას. უარესი იქნებოდა, მას რომ შეუგნებლად ჩაედინა ყველაფერი.

რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია? მსჯავრდებულმა იცოდა, რომ მანკიერი გზით მიდიოდა, მაგრამ ნებისყოფა არ ეყო შეჩერებულიყო? რბილი ხასიათის გამო შესცოდა? ან იქნებ მეტი არ შეეძლო, ანდა ძალა არ ეყო, ზეგავლენა მოეხდინა მოვლენებზე? ან იქნებ ყველაფერი მძიმე მემკვიდრეობის ბრალი იყო? ვინ იცის, იქნებ მისი ყველა საქციელი და, აქედან გამომდინარე, შედეგიც გარდაუვალი იყო, როგორც წარსული ხრწნის კვალი, ვინაიდან პროცესი საძირკველშივე იყო დაწყებული? მაშინ მისი ბედი წინასწარ ყოფილა გადაწყვეტილი, რისი დამტკიცებაც ძნელია, მაგრამ არც გამორიცხვა შეიძლება.

უნდა ითქვას, რომ მსჯავრდებული ვერ ურიგდებოდა საკუთარ თავს და თვითგვემაში სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ გარდაქმნაც აღარ შეეძლო. ევოლუციურ მასშტაბებში იგი ისე შეიცვალა, რომ ცვლილება აშინებდა კიდეც. მსჯავრდებული ამ სახეცვლილებას აღიქვამდა საკუთარი არსის, ყოველივე იმის შებილწვად, რასთანაც მთელი ასწლეულის მანძილზე აიგივებდა თავს. არასახარბიელო სიტუაციაა, უფრო თანაგრძნობის ღირსი. პირდაპირ გეტყვით: სასამართლომ როგორი მკაცრი განაჩენიც არ უნდა გამოიტანოს, მოვლენათა მსვლელობას ვერ შეცვლის.

თავმჯდომარე:

— ბატონო ადვოკატო, მოწმე თქვენს განკარგულებაშია.

დამცველი:

— მინდა გკითხოთ ერთი კონკრეტული შემთხვევის შესახებ XX საუკუნის ისტორიიდან. ნიკოლაუ ჩაუშესკუმ, რომლის განკარგულებაში იყო ტერორის უზარმაზარი აპარატი, ერთ მშვენიერ დღეს ბრძანება გამოსცა ყველა საბეჭდი და გასამრავლებელი მანქანის რეგისტრაციის შესახებ. საბეჭდი მანქანა იარაღი არ არის. ხომ ვერ აგვიხსნით ბრძანების მოტივს?

მოწმე ლიბერა:

— ვფიქრობ, მას იმ ხმებისა ეშინოდა, რაზეც უკვე მოგახსენეთ. ეშინოდა ბრალდებების, კაცობრიული სინდისი რომ გამოსთქვამს და რომელიც ზოგჯერ დაჰყვება ხოლმე ლიტერატორს.

მოწმე ანჯეი ვაიდა

დამცველი:

— რას წარმოადგენდა ცენზურა XX საუკუნეში?

მოწმე ლიბერა:

— სინდისის ხმის ჯვრძალვას.

დამცველი:

— გმადლობთ. შეკითხვები არა მაქვს.

ბრალმდებელი:

— მოწმევ, თუ მე სწორად გავიგე, თქვენ ეჭვი არ გეპარებათ სასამართლოს უფლებამოსილებაში.

მოწმე ლიბერა:

— სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი მსჯავრდებულის სასარგებლოდ გადაიხრება.

ბრალმდებელი:

— ის საერთო მდგომარეობა, რომელიც თქვენ XX საუკუნის ლიტერატურიდან დაიმოწმეთ, ჰგავს თუ არა წინამორბედ საუკუნეებში შეთხზულ სურათს?

მოწმე ლიბერა:

— განსხვავება იმაშია, რომ დღევანდელი დიაგნოზი გაცილებით უფრო პესიმისტურია. ლიტერატურა განგაშის ზარს რეკს.

ბრალმდებელი:

— XX საუკუნის ადამიანი...

მოწმე ლიბერა:

— სწორედ ასე უყურებს საკუთარ თავს და იცის, რომ ბედისწერის წინაშე უძლურია.

ბრალმდებელი:

— მოწმევ, თქვენ გინდათ, რომ მსჯავრდებულს ბრალდებათა დიდი ნაწილი მოუხსნათ და ისინი ბედს, საბედისწერო აუცილებლობას მიაწეროთ, მაგრამ ამ დარბაზში უკვე ითქვა, რომ ასეთი ბედი ადამიანმა გაუმზადა მეორე ადამიანს.

მოწმე ლიბერა:

— დიახ, მე დავეთანხმე ამ მოსაზრებას, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით, მაგრამ სხვა სიტყვებით, მეც იგივე ვთქვი.

ბრალმდებელი:

— არც თუ ისე სრულად, თუკი სწორად გავიგეთ, თქვენ მსჯავრდებულზე საუბრისას ბრძანეთ, რომ იგი სისხლისაგან

იცლება. თუ ერთი ადამიანია მეორე ადამიანის ბედის განმკარგულებელი, გამოდის, რომ იგი მეორე ადამიანს სასიკვდილო ჭრილობას აყენებს.

მოწმე ლიბერა:

— რას ნიშნავს ადამიანი ადამიანს?

ბრალმდებელი:

— კეფაში სროლა.

მოწმე ლიბერა:

— შეკითხვა გასაგებია, მაგრამ საქმე იმაშია, როგორ დავადგინოთ ბრალდებული. მე მინდა კაცობრიობა წარმოვიდგინო, როგორც ერთი მთლიანი არსება. ზოგჯერ იგი საკუთარ თავზეც ძალადობს. როცა ერთი ადამიანი კეფაში ესვრის მეორე ადამიანს, ძალადობის მსხვერპლი მთელი კაცობრიობაა.

ბრალმდებელი:

— ესე იგი, ჩვენ ყველანი ერთად თვითმკვლელების საუკუნეში ვცხოვრობთ?

მოწმე ლიბერა:

— გარკვეული თვალსაზრისით, დიახ.

ბრალმდებელი:

— გმადლობთ. მე დავამთავრე.

თავმჯდომარე:

— მოწმეც, გმადლობთ. სასამართლო გამოძიება დამთავრებულია. სასამართლო მადლობას უხდის მოწმეებს XX საუკუნის ბრალეულობის დადგენაში შეტანილი წვლილისათვის.

არის თუ არა შუამდგომლობები ნივთმტკიცებათა სახით?

დამცველი:

— დიახ, ბატონო თავმჯდომარევ, დაცვას სურს ნივთმტკიცებათა სიაში შეიტანოს დოკუმენტების პაკეტი. მათ შორის არის ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება, მსხვერპლის უფლებათა დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია, გაეროს სან-ფრანცისკოს ქარტია, ევროპის საბჭოს წესდება, სპეციალური მისიების კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო უთანხმოებათა მშვიდობიანი გზით მოგვარების კონვენცია, საერთაშორისო სასამართლოს წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ენციკლიკები „Evangelium vitae“, „Veritatis splendor“, „Fides et ratio“, მოწმე მარეკ ედელმანის მიმართვა ბილ კლინტონისადმი და ბოლოს, იოანე პავლე II ლოცვა იერუსალიმის კედელთან.

აი, ზემოჩამოთვლილი დოკუმენტები. გთხოვთ, დაურთოთ საქმეს.

თავმჯდომარე:

— ვთხოვ ბრალდებას, გამოხატოს თავისი პოზიცია შუამდგომლობის მიმართ.

ბრალმდებელი:

— შუამდგომლობა, უდავოდ, იმსახურებს ინტერესს. აქ წარმოდგენილი დოკუმენტების კრებული წარმოაჩენს როგორც მათი ავტორების კეთილ ნებას, ასევე უმწეობასაც. ეს დოკუმენტები არის ცდა, პასუხი გაეცეს XX საუკუნის შიშისმომგვრელ გამოწვევას, მის მიერ დალვრილ ზღვა სისხლს. ჩემი რწმენით, ეს დოკუმენტები არ ატარებს მტკიცებულებათა ხასიათს. ამდენად, ბრალდება მათ მიმართ არანაირ პოზიციას არ დააფიქსირებს. თუმცა, როგორც გნებავთ, შეგიძლიათ შეიტანოთ საქმეში, შეგიძლიათ — არ შეიტანოთ.

თავმჯდომარე:

— სასამართლო ტრიბუნალს დოკუმენტები საქმეში შეაქვს.

ბრალმდებელი:

— სამუშაომ, რომელიც ამ პროცესის ჩატარებას დასჭირდა, მოითხოვა დიდი გარჯა არა მარტო მოწმეების, არა მარტო მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების მხრიდან, არამედ დამსწრე საზოგადოების მხრიდანაც. ოთხსაათიანი სხდომის შემდეგ მინდა მოკლედ შევაჯამო პროცესი. გაირკვა, რომ მსჯავრდებულის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. სავარაუდო ციფრები ჩვენს წარმოსახვას აჭარბებს. ჩვენ ვიძიებთ, რამდენია მოკლული, 100 თუ 200 მილიონი, ამ დროს ერთი ადამიანის მკვლელობაც კი წარმოუდგენელი ტრაგედიაა. ეს ციფრები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ XX საუკუნეში ადამიანმა ღირსება დათმო, ვინაიდან არ ძალუძს შეაფასოს მის მიერვე ჩადენილი დანაშაულის მასშტაბი.

დადგენილია, რომ სამყარო ჩაეფლო კონფლიქტებში, რომლებიც დედამიწას ცეცხლის ალში ხვევენ. ყოველგვარი მატერიალური სიკეთით მომადლებულმა კაცობრიობამ არ იცის მისი სამართლიანი განაწილების საშუალებები. ასეთი გამოუვალი სიტუაციის შექმნაში დამნაშავეა მსჯავრდებული — XX საუკუნე.

აქ საუბარი იყო სტრუქტურების პასუხისმგებლობაზე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის აგრესიულობით მანიპულაცია ადვილია. ადამიანში ორი საწყისია კოდირებული: ერთი მიმართულია ქმნადობისაკენ, მეორე აგრესიისაკენ. XX საუკუნეში შეიქმნა სტრუქტურები, რომლებიც აღვივებდნენ აგრესიას. ასეთ შემთხვევაში აგრესია ცალკეული გამოვლინება კი აღარ არის, არამედ დემონური ძალაა.

ჩვენ აგრეთვე დავადგინეთ, რომ XX საუკუნის ხელოვნება ხატავს ღრუ ადამიანებით დასახლებულ უნაყოფო მიწას და ამ პეიზაჟით უდიდეს ბრალდებას უყენებს XX საუკუნეს.

ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, დღეს თქვენ უდიდესი პასუხისმგებლობა გაგისრიამ. ყალბიჰათოსის გარეშე ვამბობ: ამ წუთებში თქვენ კაცობრიობის საერთო სინდისს წარმოადგენთ. თქვენს გადაწყვეტილებაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, ვინ იცის, იქნებ მომავალი თაობების ბედიც. მოგიწოდებთ, მსჯავრდებული დამნაშავედ სცნოთ.

თავმჯდომარე:

— ბრალდებას მადლობას მოვახსენებ. ბატონო ადვოკატო, სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

დამცველი:

— მე საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ვარ. დარბაზში ამდენი მოწმეა, ამდენი გონიერი ადამიანი, დაბრძენებულნი XX საუკუნის მაგალითებსა და გამოცდილებაზე. მე მინდა გესაუბროთ იმ უბრალო ადამიანის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც ყოველთვის მომავლის იმედით იღვიძებს. ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, დიდი სიამოვნებით გავიხდიდი ტოგას და თქვენს გვერდით დავჯდებოდი.

თქვენი განაჩენი იმედის განაჩენი უნდა იყოს და იქიდან ნდობა უნდა გამოსჭვიოდეს. თქვენმა გადაწყვეტილებამ უნდა დაამტკიცოს ფაქტი: XX საუკუნის გმირობა და მამაცობა. მამაცობა სისასტიკესთან ბრძოლაში, იმ ვამპირებთან ბრძოლაში, რომლებიც ცეცხლისწამიდებელმა მიუსია სამყაროს.

როცა ჟოზეფ კონრადი საუკუნის გარიჟრაჟზე წერდა „წყვდიადის გულს“, იგი თავის გენიალობაში წინასწარმეტყველებდა ყველა ამ საშინელებას. მან ჯერ კიდევ მაშინ დაინახა ცეცხლისწამიდებელი, ნიცშესეული ნებისყოფა ძალაუფლებისაკენ ლტოლვაში და ზეადამიანის საზარელი ფიგურა. ყველაფერი ეს აღწერილი იყო დოსტოევსკის „ქაჯებში“. დოსტოევსკი კატეგორიულად აცხადებდა, რომ ამის შემდეგ ყველაფერი XX საუკუნეზე იყო დამოკიდებული. ჩვენ მას ვპასუხობთ: XXI საუკუნემ დაამარცხა XIX საუკუნიდან შემოხეტებული ვამპირები.

ვაგნერის მუსიკის თანხლებით ისტორიის არენაზე გამოვიდა ზეადამიანი. პლანეტა დედამიწის ადამიანთა მამაცობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ, მიუხედავად იმ სიმახინჯეებისა, რაზეც საუბრობდა მოწმე რიშარდ კაპუშჩინსკი, უახლესი ისტორიის მანძილზე კაცობრიობას არასოდეს ჰქონია ასეთი დიდი და ნათელი იმედები მომავალზე.

ბოროტმოქმედებები ხდება, შეიძლება ტოტალიტარიზმმაც მოგვიკაკუნოს კარზე, მაგრამ კაცობრიობამ პირველად ისტორიაში დაწერა საერთო კანონები. ეს კოდექსი იწყება დებულებით, რომ ადამიანი ტრანსცენდენტურია, რომ მას უფლება აქვს იყოს ბედნიერი, იყოს თავისუფალი. შეიძლება ყოველთვის არ იყოს ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ მთავარია, რომ მიმართულება მონიშნულია.

მე მოწმე მიხალ ჰელერს ვკითხე იმ უკანასკნელ ღილაჯზე, რომელსაც თითი მაინც არ დააჭირეს. XX საუკუნის მეცნიერებამ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა. როცა 60-იან წლებში სკოლაში დავდიოდი, გაბატონებული იყო ტვინის გამორეცხვის თეორია. ჩვენ გვიმტკიცებდნენ, რომ ზეცა ცარიელია, რომ ჩვენ მალე ვისწავლით ყველაფერს და სამოთხეს დედამიწაზე გავაშენებთ. დღეს ჩემი ბავშვები იმავე სკოლაში დადიან, მაგრამ ახლა იქ სხვა ატმოსფეროა. მეცნიერების წყალობით, რომელიც XX საუკუნეში ასე წინ გაიჭრა, ჩვენ ვიცით, რომ ვერასოდეს გავცემთ პასუხს უკანასკნელ შეკითხვას. ეს უდიდესი წარმატებაა, რადგან გვაიძულებს გვერდიდან შევხედოთ საკუთარ თავს. დედამიწის ხედი მთვარიდან — ესეც XX საუკუნის დამსახურებაა და ამავე დროს ლაპიდარული სახეა იმისა, რასაც „გლობალიზაციას“ ვუწოდებთ, მაგრამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით, დედამიწა სათუთი გარსია, მარტოხელა ნოეს კიდობანი. ჩვენ ვისწავლეთ, რომ ცხოვრება წამია, საოცარი ძღვენი და სასოებით ვიმსჭვალებით იმ სამყაროს მიმართ, რომელშიც ვცხოვრობთ. აი, ეს ყველაფერი XX საუკუნემ გვასწავლა.

ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, თუ თქვენ საბრალდებო განაჩენს გამოიტანთ, გამოდის, რომ მსხვერპლი ამაო იყო, რომ მამაცი ადამიანები, გმირები, ყველანი დამარცხდნენ? მაპატიეთ, ასე თუ ვიტყვი, მაგრამ „audiatur et altera pars“, ჩვენ ხომ სასამართლო დარბაზში ვიმყოფებით. ხომ არ შეიცავს პროკურორის თვალსაზრისი ერთგვარ მკრეხელობას? ბოროტების არ შემჩნევა უდიდესი შეცოდებაა, სიცეთის არდანახვა — მკრეხელობა. გამარჯვება, ესე იგი „capax Dei“ — აი, კაცობრიობის პასუხი ღმერთი-შემოქმედისაკენ XX საუკუნის მიწურულს. გამარჯვება! გამარჯვება! რაც, თავისთავად, გამართლებას მოასწავებს!

რამდენად შესაძლებელია, რომ მოწმეებად გამოვიდეთ საკუთარ საქმეზე? ვფიქრობ, არა, არ არის შესაძლებელი, მაგრამ ჩვენ ჭეშმარიტებას უნდა მივცეთ ჩვენება. გავაღვივოთ იმედი, რითაც უნდა გადავიდეთ XXI საუკუნეში. უნდა ვირწმუნოთ, რომ ბოროტებასთან ბრძოლაში გამარჯვებულები გამოვედით.

მე თან წამოვიღე პატარა, უბრალო წიგნაკი ჩვენი ეპისკოპოსის წინასიტყვაობით. ეს წიგნი მღვდელმა, პროფესორმა იუზეფ ტიშნერმა დაწერა და ჰქვია „მოწყალების გზები და უგზოობა“. თავს ნებას მივცემ წავიკითხოთ პატარა ნაწყვეტი: „რობესპიერში მოწყალება გამოიხატება ზღვარგადასულ ტერორში“. დიახ, XX საუკუნის რობესპიერთა მოწყალება გღვარგადასულ ტერორში გამოიხატებოდა. ვაგრძელებ ციტატას: „და ფაუსტინაში მოწყალება გამოიხატება ზღვარგადასულ მიტევებაში“. შემთხვევითი ხომ არა არის, რომ ბრალმდებლის აზროვნებაში უფრო მიკერძოება ჭარბობს, ვიდრე შეფასება? XX საუკუნის დრამატული ისტორიის მოქმედი პირობებისაგან ვინ არის ახლოს მოწყალების ჭეშმარიტებასთან — დავამატებდი, სიყვარულის ჭეშმარიტებასთან, — რომელმაც გაიმარჯვა XX საუკუნეში? საით წავიდა ადამიანი, რომელიც იდგა ატავიზმსა და ღმერთს შორის? მე გიპასუხებთ: დღევანდელ დღეში! აქ! კრაკოვში! 2000 წლის 1 აპრილში! ვინაიდან ეს არის ჩვენი დრო და ადგილი.

ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, თქვენი გადასაწყვეტია, ახლა საით უბიძგებთ ადამიანს. მან ხომ გაიმარჯვა. მე ვითხოვ გამოიტანოთ მსჯავრდებულის უდანაშაულობის დამამტკიცებელი განაჩენი.

თავმჯდომარე:

— ბრალდებას რეპლიკის უფლება ეძლევა.

დამცველი:

— მაპატიეთ, ბატონო თავმჯდომარევ, მინდა წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი დოკუმენტი. ეს არის „საყოველთაო ყოველკვირეული“, დაცვის უკანასკნელი მტკიცებულება.

თავმჯდომარე:

— იგი სასამართლოსათვის კარგად არის ცნობილი. საქმეში შეტანა საჭირო არ არის. სიტყვა ეკუთვნის ბრალდებას.

ბრალმდებელი:

— დაცვისაგან განსხვავებით მე ჩემი შესანიშნავი მოწინააღმდეგის ემოციურ მდგომარეობას არ შევეხები. მან ბრალი დამდო მიკერძოებაში, მე კი ვმხელმძღვანელობდი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლით. მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად, მინდა შეგახსენოთ სიმართლის შესახებ. მიტევება მონანიებას მოსდევს. ბოლოს ვინც არ ინანიებს, ის არც მიტევებას იმსახურებს. არ ვიცი, ახსოვს თუ არა ბატონ ადვოკატს, მაგრამ მიტევების წინაპირობა ცოდვების მონანიებაა, აგრეთვე გამოსწორების სურვილი და გულწრფელი აღსარება. ეს სასამართლო აღსარება იყო, მაგრამ არა იმათი, ვისაც უნდა მოენანიებინა.

დამცველი:

— ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო. ჩემი პასუხი ძალიან მოკლე იქნება. მოწმე ლიბერის ჩვენებას გავაგრძელებ და მოვიტან სიმონა ვეილის ფრაზას ჭეშმარიტების შესახებ: „ჭეშმარიტება იქ არის, სადაც სიკეთე ხვდება გონიერებას“. აი, ეს არის ჩემი პასუხი ბრალდებისადმი. სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს, XX საუკუნეში სიკეთემ გაიმარჯვა! სიმართლე ეს არის!

ბრალმდებელი:

— ხოლო სიკეთე, — ივივე სიმონა ვეილს მოვიხმობ, — ის არის, რაც პირად ინტერესზე მაღლა დგას. დამოუკიდებლად იმისა, დარბაზში დაცვა გაიმარჯვებს თუ ბრალდება, მე მოგიწოდებთ, რომ იზეიმოს ჭეშმარიტებამ.

დამცველი:

— ბატონო თავმჯდომარევ, ბოლო სიტყვა, როგორც წესი, ყოველთვის დაცვას ეკუთვნის. აქ ბრალმდებელი საუბრობდა კოლექტივზე, მასებზე. როგორც მომეჩვენა, იგი კოლექტიურ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. ეს ხომ აშკარა წინააღმდეგობაა.

ბრალმდებელი:

— არა. მე მხოლოდ XX საუკუნის ბრალეულობის დადასტურებას მოვითხოვ. გამადლობთ.

თავმჯდომარე:

— მადლობას მოვახსენებ ბრალდებას, მადლობას მოვახსენებ დაცვას. ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, სასამართლო სხდომის მსვლელობისა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, მე ჩემოვაყალიბე რვა შეკითხვა, რომელთაც თქვენ გიგზავნით. ესენია:

1. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული შედეგებზე, რომლებიც გამოიწვია გონებაზე გულუბრყვილოდ მინდობამ?
2. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული მასისადმი მორჩილების გზით ადამიანის დამონებაში, იმის ცდაში, წაართვას ადამიანს პიროვნული ფასეულობები და გადააქციოს იგი კოლექტივის, ხალხის ან კლასის რიგით წევრად?
3. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული იმაში, რომ დემოკრატია თანდათან უმრავლესობის ძალაუფლებად აქცია, ანუ უბრალო პროცედურად, რომელიც მოკლებულია ორიენტირებს ობიექტური ფასეულობების თვალსაზრისით?
4. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული ადამიანის სიცოცხლის გაუფასურებაში?
5. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული სამყაროს მდიდარ ჩრდილოეთად და ღარიბ სამხრეთად დაყოფაში?
6. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული სამეცნიერო აღმოჩენების უპასუხისმგებლო გამოყენებაში?
7. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული იმაში, რომ ადამიანს წაართვა ცხოვრების აზრზე ჩაფიქრების სურვილი და უნარი?
8. დამნაშავეა თუ არა მსჯავრდებული ხსოვნის მემკვიდრეობითობის გადაწყვეტაში, კულტურის ნგრევასა და მის შეცვლაში მასობრივი კულტურით?

თქვენი ნებართვით, უკანასკნელ კითხვასთან დაკავშირებით მინდა დავაზუსტო. გთხოვთ, ვიდრე განხილვას დაიწყებთ, გაითვალისწინოთ იმ ადამიანების მონაწილეობა, რომლებიც პროცესზე გამოდიოდნენ. რა არის ეს — ხსოვნის დაკარგვის საბუთი, თუ მისი შენახვის იმედი?

ნაფიცი მსაჯულები სათათბიროდ გადიან.
(შესვენება)

სასამართლო ბოქაული:

— გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილები. სხდომის მონაწილეები ბრუნდებიან.

თავმჯდომარე:

— ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, განაჩენი შეთანხმებულია?

ნაფიცი მსაჯულების მამასახლისი იაცეკ კლინოვსკი:

— დიახ, ბატონო თავმჯდომარევ.

თავმჯდომარე:

მოწმე ანჯეი ბონეცკი

— გთხოვთ, გამოაცხადოთ განაჩენი.

მსაჯულების მამასახლისი:

— ჩემს წინაშე დევს 8 ბრალდების ჩანონათვალი, რომელიც განსახილველად გადმოგვეცა. ნაფიცმა მსაჯულებმა განვიხილეთ ეს საკითხები მოწმეთა ჩვენებების გათვალისწინებით, აგრეთვე დამცველისა და ბრალმდებლის გამოსვლებზე დაყრდნობით.

ჩვენი გადაწყვეტილება ასეთია:

შეკითხვა პირველი — პასუხი:
დამნაშავეა.
შეკითხვა მეორე — პასუხი:
დამნაშავეა.
შეკითხვა მესამე — პასუხი:
უდანაშაულოა.
შეკითხვა მეოთხე — პასუხი:
დამნაშავეა.
შეკითხვა მეხუთე — პასუხი:
უდანაშაულოა.
შეკითხვა მეექვსე — პასუხი:
უდანაშაულოა.
შეკითხვა მეშვიდე — პასუხი:
უდანაშაულოა.
შეკითხვა მერვე — პასუხი:
უდანაშაულოა.

თავმჯდომარე:

— გმადლობთ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო. სამი პუნქტის მიხედვით მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობის გამო, სასამართლომ მას მიუსაჯა, დარჩეს მომავალი თაობების ხსოვნაში, როგორც გაფრთხილება, როგორც იმის მოწმობა, თუ რა შეუძლია ადამიანმა გაუკეთოს მეორე ადამიანს.

იქნება თუ არა აპელაცია?

„XX საუკუნის გასამართლება“ შედგა პირველ ინსტანციაში და თავისი ხასიათით აჩქარებული სასამართლო წარმოების ხასიათს ატარებდა. მეორე ინსტანცია იმქვეყნიური იქნება. მე დამშვიდებული ვარ, ვინაიდან ეს იქნება სამართლიანი, კეთილგანწყობილი და გონიერი სასამართლო. განაჩენის კომენტირება არ შეიძლება. ან რა უნდა თქვა ღმერთის განაჩენზე? ხოლო თუკი მიწაზე დავეშვებით და შევეცდებით კომენტარი გავუკეთოთ 2000 წლის 1 აპრილს სამეფო ქალაქ კრაკოვში მომხდარ ფაქტს, ვიტყვი, რომ თავისი არსით ეს იყო ადამიანური სიმამაცის ტრიუმფი, ეს იყო იმედების ტრიუმფი, როგორც გუსტავ ჰერლინგ-გრუბინსკისთან პოლემიკაში ბარბარა სკარგამ უწოდა, ეს იყო „გამარჯვებული იმედების ტრიუმფი“. თუნდაც ერთი პუნქტის მიხედვით დამნაშავედ ცნობა უფლებას იძლევა დავსაჯოთ მსჯავრდებული, მაგრამ ვფიქრობ, რომ სასამართლომ სწორად შეამჩნია და შეაფასა XX საუკუნის მემკვიდრეობის სწორედ ეს ასპექტი.

რა იქნება მომავალში? ეს საიდუმლოა, მაგრამ სიფრთხილე აუცილებელია. საჭიროა განვდევნოთ პრომეთე სამანებიდან და მონაწილეობა მივიღოთ სიზიფეს დამქანცველ შრომაში.

ქშიშტოფ პესევიჩი

თარგმნა მერაბ გლდერძიშვნლმა

POLISH KNOW HOW FOUNDATION

პოლონური ნოუ-ჰაუ ფონდი

პოლონეთის მთავრობამ შექმნა ფონდი «ნოუ-ჰაუ».

მიზნები

ფონდის მთავარი ამოცანაა იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც პოლონეთმა მიიღო 1989 წლის შემდეგ ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- პრივატიზაცია,
- იურიდიული სისტემისა და საკანონმდებლო პროცესის ცვლილებები,
- იურიდიული სისტემის ახალი ელემენტების, ისეთების, როგორიც არის საზოგადოებრივი შეკვეთები და სამოქალაქო სამსახური,
- საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია
- საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება,
- კერძო სექტორის განვითარება,
- საზოგადოებრივი ფინანსები(მ.შ.ბიუჯეტი და საგადასახადო სისტემა),
- რეგიონალური პოლიტიკა, სამრეწველო პოლიტიკა,
- საზოგადოებრივი პოლიტიკა, ბრძოლა უმუშევრობასთან

ადრესატები

ფონდის საქმიანობის ადრესატები არიან:

- პირები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, პოლიტიკოსები, პარლამენტის წევრები, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელები და თვითმართველობის ორგანოები,
- სამეცნიერო წრეები, სტუდენტები,
- არასამთავრობო ორგანიზაციები,
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები,
- ბიზნესმენები.

საქმიანობის ფორმები

კონსულტაციები

- კონსულტაციები სამთავრობო სტრუქტურებისათვის
- სტაჟირება ბიზნესმენებისათვის
- სემინარები - ერთჯერადი და ციკლური
- სტაჟირება პარლამენტის წევრებისა და თანამდებობის პირთათვის
- ექსპერტიზა

დიალოგი

- პარლამენტის წევრების, თანამდებობის პირთა და თვითმართველობის წარმომადგენლების შეხვედრები
- ღია დისკუსიები
- სამუშაო ჯგუფები (მუდმივად მომუშავე, შერჩეული პრობლემის საანალიზოდ შერჩეული),
- რეგიონალური პრობლემები („სამუშაო ჯგუფების" სპეციფიური ვარიანტი, ცალკეული რეგიონების რესტრუქტურიზაციის თემაზე კურსებისა თუ ექსპერტიზისათვის მხარის დასაჭერად),
- ერთობლივი პუბლიკაციები.

განათლება

- თემატური პრეზენტაციები პოპულიარიზატორული კონფერენციები
- პუბლიკაციები (ფონდის შეკვეთით შესრულებული სამუშაოები, თარგმანები, სახელმძღვანელოები),
- სასწავლო მილინებები და მენეჯერული ვარჯიშები,
- საუკეთესო სტუდენტებისა და მეცნიერ-მუშაკებისათვის საშუალოვადიანი სტიპენდიები,
- Visiting lectures უმაღლეს სასწავლებლებში,
- პოლონური ეკონომიკური პრესისა და სპეციალური ლიტერატურის მიწოდება.

საქმიანობის რეგიონი

ფონდის საქმიანობის მთავარი რეგიონია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსი და სლოვაკეთი.

POLISH KNOW-HOW FOUNDATION
Warecka 4/6, 00-040 Warsaw, POLAND
phone/fax (+48 22) 828-75-21-23
e-mail zarzad@knowhow.org.pl
http://wwwknowhow.org.pl

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ
პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული
მემკვიდრეობის სამინისტროს
ფინანსური დახმარებით გამომავალ შემდეგ ჟურნალებს:

Dialog

თანამედროვე დრამატურგიისადმი მიძღვნილი ყოველთვიური ჟურნალი.

NOWE
KSIĄŻKI

ყოველთვიური ჟურნალი მკითხველების, ბიბლიოფილების, ბიბლიოთეკარებისა და გამომცემლებისათვის. ყოველ ნომერში იბეჭდება სიახლეთა მიმოხილვა, რეცენზიები, ანონსები, ბიბლიოგრაფიები და სტატიები საგამომცემლო საქმის შესახებ.

НОВАЯ
ПОЛЬША

ახალი ყოველთვიური ჟურნალი პოლონეთის შესახებ რუსულ ენაზე. პუბლიცისტიკა, პოლიტიკა, ეკონომიკისა და კულტურის საკითხები, ქვეყნის ლიტერატურული და სამეცნიერო ცხოვრების მიმოხილვა.

twórczość

ყველაზე ხანგამძლე და დამსახურებული
პოლონური ლიტერატურული ყოველთვიური ჟურნალი, მიძღვნილი თანამედროვე პროზის, პოეზიისა და პუბლიცისტიკისადმი. ჟურნალი აქტიურად მონაწილეობს პოლონეთის კულტურულ ცხოვრებაში.

ruch muzyczny

პოლონეთში ერთადერთი ჟურნალი მუსიკის, მისი თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. გამოდის ორ კვირაში ერთხელ.

LITERATURA
na świecie

ყველაზე ცნობილი ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც შეიცავს უცხოელ ავტორთა ნაწარმოებების მიმოხილვას

Biblioteka Narodowa. Zakład Wydawniczy Czasopism Patronackich,
02 – 086 Warszawa, Al. Niepodległości 213, tel./fax 6082488, 6082374